

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

I-II, 2009



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:

ელ. ბაბუნაშვილი, ვ. ბოდერი, ი. გიპერტი, ჯ. გიუნაშვილი,
დ. თვალთვაძე, გ. კარტოზია, ბ. უტიე, კ. ფენრიხი, მ. შანიძე,
კ.პ. შმიდტი, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:

E. Babunashvili, W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, I. Gippert,
J. Giunashvili, A. Harris, G. Kartoziya, B. Outtier, M. Shanidze,
K. H. Schmidt, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:

რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),
რ. ენუქიძე, ივ. ლეჟავა (პასუხისმგებელი მდივანი), დ. მელიქიშვილი,
ირ. მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ეთ. სოსელია,
ი. ქობალავა, ნ. ქუთელია, მ. ქურდიანი, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD:

R. Asatiani, T. Bolkvadze, R. Enukidze, **Th. V. Gamkrelidze** (Editor-in-Chief),
M. Jikia, I. Kobalava, M. Kurdiani, N. Kutelia, **I. Lezhava** (Executive Secretary),
D. Melikishvili, **I. Melikishvili** (Deputy Editor-in-Chief), E. Soselia

*ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და
ზურაბ სარჯველაძის მიერ*

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010

ISSN 1512-0473



*კრებული ეძღვნება ზურაბ სარჯველადის
დაბადების 70-ე წლისთავს*

ზურაბ სარჯველაძე – 70

ზურაბ სარჯველაძე – მეცნიერი და პიროვნება¹

ჩვენს, მე და ზურას, თაობას წილად ხვდა ბედნიერება, ქართული ენათმეცნიერების კორიფეთა მოწაფეები ვყოფილიყავით, მაგრამ ამავე თაობას ბევრი ტკივილის გადატანა მოუხდა ჩვენი მასწავლებლებისა და უფროსი თუ თანატოლი კოლეგების, ღირსეული მეცნიერების ამ ქვეყნიდან ძალიან ადრე წასვლის გამო. მე არ დამავიწყდება ზურას გაბზარული ხმა და ის ცრემლი, რომელიც მას სიკვდილამდე სულ რამდენიმე დღის წინ, მისი მასწავლებლის, კოლეგისა და მეგობრის, გივი მაჭავარიანის ხსოვნის 30-ე წლისთავზე სიტყვის წარმოთქმისას მოადგა თვალზე. მაშინ ზურაც და ჩვენც, მისი თანაკურსელები, გივი მაჭავარიანზე უფროსები ვიყავით. დღეს კი ჩვენ ზურაზე უფროსები ვართ, რადგანაც დრო აქ, ამქვეყნად უმოწყალოდ გარბის, ხოლო „მუნ, მარადისობასა შორის, რომელსა არა აქუს გარდასრული, აწი და მომავალი“, დრო უძრავად „განმანებულ არს“ (ჰეიეს) იმ მარადიულ ცხოვრებაში გარდასულთათვის. მაგრამ მათი სიცოცხლე აქ მათს ნაღვაწსა და ნამუშავეებში გრძელდება და აცოცხლებს იმ აზრსა და საქმეს, რომელსაც ისინი მთელი თავისი ცნობიერი ცხოვრების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდნენ.

დღეს ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ ვაჩვენოთ, თუ რა მემკვიდრეობა დაუტოვა თავის ქვეყანას და მომავალ თაობას აზრისა და გონების სიმწიფის ასაკში ამ წუთისოფლიდან მარადიულ სოფელში გადასულმა გურიის ერთ ლამაზ სოფელში, ჯუნ-ეწერში 1939 წლის 12 მარტს დაბადებულმა ზურაბ სარჯველაძემ, რომელმაც 1957 წელს დაამთავრა ლანჩხუთის I საშუალო სკოლა და ამავე წელს პირველად შეაღო ჩვენი თეთრი უნივერსიტეტის კარი და ბოლო დღემდე არ დაუტოვებია იგი: დაიწყო სტუდენტობით ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე, განაგრძო სწავლა ასპირანტურაში ძველი ქართული ენის კათედრაზე აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, რომელთანაც გაიარა დიდი ფილოლოგიური სკოლა, დაიცვა საკანდიდატო (1967) და სადოქტორო (1973) დისერტაციები, იყო პროფესორი ამავე კათედრაზე და ბოლოს ამავე კათედრის გამგე.

ზურაბ სარჯველაძეს თავიდანვე განსაზღვრული და ნათლად გამოკვეთილი ლინგვისტური ინტერესები ჰქონდა და სტუდენტობიდანვე გატაცებული იყო ქართული და ქართველური ენების ცალკეული საკითხების კვლევით, რაც თანდათან გადაიზარდა ამ ენათა როგორც გრამატიკის (ფონეტიკა-მორფოლოგიის),

¹ წაკითხულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზურაბ სარჯველაძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე 2009 წლის 17 მარტს.

ისე ლექსიკოლოგია-ეტიმოლოგიის სისტემურ კვლევაში, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევაში. მისი თითქმის ორმოცდაათწლიანი პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობის შედეგია სახელმძღვანელოები „ქართული სალიტერატურო ენის ისტორია“ (რომელსაც მან „შესავალი“ უწოდა) და „ძველი ქართულ ენა“, ასევე, ჩვენგან ძალიან ადრე წასული შესანიშნავი მეცნიერის, კორნელი დანელიასთან თანაავტორობით შექმნილი „ქართული პალეოგრაფია“, რომლებითაც დღეს ხელმძღვანელობენ და მომავალშიც იხელმძღვანელებენ ქართული ფილოლოგიის საკითხებით დაინტერესებული სტუდენტები.

თბილისის უნივერსიტეტში გავლილმა დიდმა სკოლამ და აქ მიღებულმა თეორიულმა ცოდნამ, გამდიდრებულმა იმ დიდი გამოცდილებითა და ემპირიული ცოდნით, რომელიც მისცა მას ასევე დიდმა სკოლამ, რომელსაც „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი“ ერქვა, აქცია იგი თვალსაჩინო ენათმეცნიერად და ფილოლოგად. ზურაბი ახალგაზრდობიდან მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტში და, მე ასე მგონია, ეს წლები მის ცხოვრებაში დიდი სულიერი სიმშვიდის, ნეტარების, კმაყოფილებისა და მეცნიერული დაგემოვნებისა და დაღვინების ოქროს წლები იყო, როდესაც იგი ხან მარტო, ხან კი ელგუჯა გიუნაშვილთან თუ აწ განსვენებულ სხვა კოლეგებთან ერთად პირველი სართულის დიდი სამკითხველო დარბაზის მარჯვენა კუთხეში, ფანჯარასთან იჯდა და უძველეს ხელნაწერთა ძველ ფოლიანტებს ჩაჰკირკიტებდა (მე შეენატროდი მათ, იმიტომ რომ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ მთელი დღე ასე ტკბილად გაეტარებინათ და ეცხოვრათ საყვარელ, მშობლიურ ნუსხებთან ერთად, რომელთა ყოველი გვერდი სუნთქავდა და იმ ძველსა და იღუმბლებით აღსავსე დროში გასაზღვებდა).

აი, იმ, 60-70-80-იანი წლების „მონასტერში“ გატარებულმა წლებმა და იქ შექმნილმა ცოდნამ და გამოცდილებამ მისცა ზურაბ სარჯველაძეს საშუალება:

- მოემზადებინა და გამოეცა ძველი ქართული ენის ძეგლები (იაკობ ხუცესის „მუშანიკის წამება“, ადიშის ოთხთავი 897 წლისა (ე. გიუნაშვილთან, დ. თვალთვაძესთან, მ. მაჩხანელთან და ს. სარჯველაძესთან ერთად), მათეს სახარება (ე. გიუნაშვილთან ერთად), მარკოზის სახარების გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია (ე. გიუნაშვილთან ერთად), გამოეცა ეკლესიასტეს და ქებათა ქების ტექსტების ელექტრონული ვერსიები. ეხელმძღვანელა და რედაქცია გაეწია ქართლის ცხოვრების ახალი გამოცემისათვის, რომელიც დაასრულეს მისმა თანამშრომლებმა.
- ქართული ენის სიტყვიერი საუნჯის კვლევა ახალ სიმაღლეებამდე აყვანა: მისი ხელმძღვანელობით თანაავტორობით ერთად გამოეცა ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონის I და II ტომები, ლესიკონები დაერთო „ქართული მწერლობის“ სერიის ძველი ტექსტებისათვის, მის მიერ მოპოვებული ახალი მასალით შეევსო ილია აბულაძის ლექსიკონი („ძველი ქართული ენის ლექსიკონი“) და, ასევე, გამოეცა „ძველი ქართული ენის სიტყვის კონა“, რომელიც „ძველი ქართული ენის ძირითადი ლექსიკის

მეტ-ნაკლებად სრული აღრიცხვის ცდას წარმოადგენს (მასში ოცდაათიათასამდე სიტყვაა შესული). ამ ლექსიკონის წინასიტყვაობაში ზურაბი წერს: „მე შედგენილი მაქვს ვრცელი დოკუმენტური ლექსიკონი, რომელიც ნიადაგ ივსება და რომლის გამოქვეყნებასაც არ ვჩქარობო, თუმცა „ჟამსა მიმყოფებისასა“ ყველაფერი შეიძლება საშური იყოსო“. და, სამწუხაროდ, მისი ეს გუჟანი მალე გამართლდა.

ზურაბ სარჯველაძის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის ერთი დიდი ფურცელია აკაკი შანიძის კიდევ ერთ სასახელო აღზრდილთან, გერმანელ ქართველოლოგთან, ჰანც ფენრიხთან ერთად შექმნილი „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელიც ორჯერ გამოიცა ქართულად და ერთხელ – გერმანულადაც. აქ გამოვლინდა ის დიდი ინტერესი, რომელიც მას სტუდენტობიდანვე თან სდევდა, და ცოდნა, რომელიც მას ქართველური და კავკასიური ენების სფეროში მისცა უნივერსიტეტმა და მისმა დაულალავმა შრომამ.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ზურაბ სარჯველაძის ნაყოფიერი თანამშრომლობა ჩვენთან კარგად ცნობილ გერმანელ ენათმეცნიერთან – იოსტ გიპერტთან, რომელთან ერთადაც მან ძველი ქართული ენის ტექსტების არაერთი ელექტრონული ვერსია მოამზადა (მათ შორის ხანმეტი და ჰემეტი ტექსტებისა).

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი ზურაბ სარჯველაძის პედაგოგიური მოღვაწეობა როგორც უნივერსიტეტში, ისე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, სადაც იგი წლების განმავლობაში პრორექტორი იყო სამეცნიერო დარგში.

2004 წელს ძველი ქართული ენის კათედრის ბოლო ტომში დაიბეჭდა ზურაბ სარჯველაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პატარა, მაგრამ გულთბილი წერილი და მისი ნაშრომების დიდი ბიბლიოგრაფია. ამ ბიბლიოგრაფიის ერთი თვალის გადავლევაც კმარა იმისათვის, რომ დაინახო, რაოდენ მნიშვნელოვანია ამ მეცნიერის კვალი ქართული და ქართველური ენების კვლევის ისტორიაში. მას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის გამგეს, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, ვილჰელმ ჰუმბოლდტის, გეორგ როზენის სამეცნიერო პრემიების ლაურეატს, სხვადასხვა უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრს, მრავალი სამეცნიერო გამოცემის ინიციატორსა და რედაქტორს, ზურაბ სარჯველაძეს 12 მარტს 70 წელი შეუსრულდებოდა. ამ ქვეყნიდან იგი 63 წლის ასაკში წავიდა, მაგრამ იმ მოკლე დროში, როცა იგი ძველი ქართული ენის კათედრის გამგის ჭაპანს ეწეოდა, შეძლო გაეწია თავისი დიდი მასწავლებლის, აკაკი შანიძის ღირსეული „მონაცვალე“ ყოფილიყო ამ კათედრაზე.

ღამანა მელიქიშვილი

ზურაბ (ზურა) სარჯველაძე

მინდა ბატონ ზურაბ სარჯველაძეზე, ჩემს ძვირფას ზურაზე, მოვახსენოთ ის, რაც სათქმელი მრჩება ღიად, საჯაროდ. ზურა ჩემზე ხუთი წლით უმცროსი იყო, მაგრამ მუდამ ვგრძნობდი მისგან უფროსი ძმის – ლაზები რომ იტყვიან თურქულ ალაბეის – მზრუნველობას, თანადგომას. ასე სხვებიც ზრუნავდნენ და ყურადღებას არ მაკლებდნენ, ოღონდ ისინი ასაკით უფროსები იყვნენ ჩემზე, როგორც, ვთქვათ, ზურაბ თანდილავა, შურა გვახარია, შურა ონიანი. ზურამ სამუშაოდ მიმიწვია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართველურ ენათა პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიაში. მერე არ მომასვენა და თავადაც არ მოისვენა, ვიდრე საკვალიფიკაციო ნაშრომთა დასაცავად არ განმავყო.

ზურასთან მუშაობა მომიწია ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში.

და კიდევ: ბატონ გივი მაჭავარიანის ლექციების კურსის – „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა“ – გამოცემით (მისი ყოფილი სტუდენტების ჩანაწერების მიხედვით რომ განახორციელა) ზურამ ღირსეულად მოიხადა მოწაფის ვალი საყვარელი მასწავლებლისათვის პატივისცემისა და მადლიერების გამოხატვით. ზურას წყალობით ეს წიგნი სარეცენზიოდ (საგამომცემლო რეცენზიისათვის) გადმომცეს მეც, ვისაც მქონდა ბედნიერება, მომესმინა ეს კურსი როგორც ბატონ გივის სტუდენტს.

ზურას რომ კოლეგებზე, თანამშრომლებზე ზრუნვა, მათი პრობლემების გადასაწყვეტად აქტიური, რეალური ქმედება, სხვისი წარმატებით წრფელი გახარების ნიჭი არგუნა განგებამ, ამაზე ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, ასე რომ, ჩემზე ზრუნვა, ჩემი პერსონით დაინტერესება რაღაც უჩვეულო ფაქტი, მის ყოველდღიურობაში გამონაკლისი კი არ იყო, არამედ თითოეულ მოყვასზე ზრუნვა ცხოვრების წესი გახლდათ ამ გამოჩენილი ენათმეცნიერისათვის.

კვლავინდებურად პატივს მივაგებთ და გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ზურაბ სარჯველაძეს – სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დიდ ორგანიზატორს, სიმართლისა და სამართლიანობის დაცვისათვის პრინციპულსა და შეუვალ მებრძოლს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, დიდ ერისკაცს, დიდებული ოჯახის პატრონს და თავკაცს.

გურამ კარტოზია

ზურაბ სარჯველაძე – ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის უზაღლო მკვლევარი

ბატონი ზურაბ სარჯველაძე ცნობილი ენათმეცნიერი იყო. ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივი: ლექტორი, ოჯახის მამა, ინტელიგენტი, ზედმიწევნით თავდაჭერილი. მაგრამ იგი მაინც გამორჩეული იყო და, ჩემი აზრით, ამ გამორჩეულობას განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მისი თვალები. არაჩვეულებრივი ფერის, რაღაც უცნაური გამომეტყველებით როცა არ მოსწონდა; ხოლო სიხარულით ანთებული, როცა ნიჭიერ, საინტერესო ადამიანს ელაპარაკებოდა.

ზურაბ სარჯველაძის გარდაცვალება მოულოდნელი ტკივილი იყო; დიდი ბედნიერება იქნებოდა, ის ჩვენთან ერთად შეხვედროდა მეცნიერისთვის შემავაძებელ იუბილეს – 70 წელს.

ჩვენი ერთმანეთს მხოლოდ სამეცნიერო კონფერენციებზე ვხვდებოდით. ყველას, და მათ შორის მეც, გვხიბლავდა მისი დეტალური ცოდნა ქართული ენის ისტორიისა, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკვანძო საკითხებისა; ჩემთვის სანიმუშოა ბატონი ზურაბის მაღალი პროფესიონალიზმი.

მის უდიდეს მემკვიდრეობიდან მხოლოდ 2 ნაშრომს შევვხები.

ფუნდამენტური ნაშრომი „**ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი**“ სრულფასოვანი სახელმძღვანელოა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესასწავლად. ამ წიგნში საინტერესოაა წარმოდგენილი ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორცაა: უძველესი ქართული ძეგლები, სამწიგნობრო ენის ფონემატური სტრუქტურისა და მორფოლოგიის ისტორიის საკითხები, ქართული სალიტერატურო ენის დიალექტური საფუძვლები, ურთიერთობა მეზობელ უცხო ენებთან, ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრობლემა და ა.შ. ჩვენს უნივერსიტეტში დღემდე ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელოა დიდი შრომის შედეგად შექმნილი ეს წიგნი.

მეცნიერის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ნაშრომი „**წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხები**“ ერთ-ერთი საინტერესო ხელნაწერის ანალიზია. ნაშრომის მიზანია, დაადგინოს ოპიზური რედაქციის ხელნაწერთა შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ტექსტუალური სხვაობები.

მეცნიერი ხელნაწერთა სკრუპულოზური შესწავლის შედეგად ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ურბნისისა და პალესტინური ოთხთავები უგამონაკლისოდ მისდევს წყაროსთავის და სინურ ოთხთავებს. მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერის დასკვნა, რომ ეს არ არის ცალკე რედაქცია, არამედ ე.წ. ოპიზური რედაქციის ხელნაწერთა მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფია.

ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე ავტორი სხვა შეხედულებებისაგან განსხვავებით ასკვნის, რომ „ურბნისის“, პალესტინის (აგრეთვე ტბეთისა და მესტიის) ოთხთავები განეკუთვნებიან წინათონურ რედაქციას და შეუძლებელია მათში წარმოდგენილი ტექსტი ეფვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობით საქმიანობას დაუყავშიროთ. ეს დასკვნა მართებულად მიგვაჩნია, იმდენად თვალ-

საჩინოა ის ფაქტი, რომ ეფთვიმე მთაწმინდელმა მათეს სახარების თარგმანებში გამოიყენა წინათონური პერიოდის ოთხთავის ისეთი ხელნაწერი, რომელიც ძალზე ახლოს იდგა წყაროსთავის ოთხთავთან, სინურ ოთხთავებთან ან მათ მიმყოფ ურბნისის, პალესტინის (აგრეთვე ტბეთისა და მესტიის) ხელნაწერებთან.

სტატიაში არის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ურბნისის, პალესტინის (აგრეთვე ტბეთისა და მესტიის) ოთხთავები განეკუთვნებიან წინათონურ რედაქციასა და შეუძლებელია მათში წარმოდგენილი ტექსტი ეფთვიმე მთაწმინდლის მთარგმნელობით საქმიანობას დაუკავშიროთ.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზ. სარჯველაძეს მიაჩნია, რომ წინათონური ოთხთავის ზოგი ხელნაწერი წყაროსთავის სინ 15, სინ 16, სინ 30, ურბნისისა და პალესტინისა გარკვეულ ჯგუფს ქმნის, ასეთ კატეგორიულ დასკვნას ავტორი აკეთებს იმის საფუძველზე, რომ სინ 15-ისა და სინ 30-ის ხელნაწერებში გამოვლენილია ჰაემეტობის გადმონაშთები. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ზ. სარჯველაძე წარმოადგენს ისეთ მაგალითებს, რომლებშიც პირის ნიშანი 3- გვხვდება არა მარტო წინაენისმიერი თანხმოვნების, არამედ ხმოვანთა წინაც.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული იყო, რომ ეფთვიმე მთაწმინდელმა ოთხთავი თარგმნა. ეს აზრი განავითარეს თ. ჟორდანიამ, კ. კეკელიძემ. მაგრამ ზ. სარჯველაძეს ეჭვი შეაქვს ამ ვარაუდში იმის გამო, რომ ის ეფთვიმეს თარგმანთა ნუსხაში არ არის შეტანილი. ასევე, მეცნიერს მიაჩნია, რომ ურბნისის, პალესტინის (აგრეთვე ტბეთისა და მესტიის) ოთხთავების გადამწერთა ანდერძში არ არის მოხსენიებული ეფთვიმე. ის ძნელად წარმოსადგენია, რომ ეფთვიმეს ღვაწლი გამოეტოვებინათ. ასევე მრავლისმეტყველია ისიც, რომ გიორგი მთაწმინდელი არას ამბობს ეფთვიმეს ამ ღვაწლზე.

ამ გამოკვლევაში ავტორი რამდენიმე კითხვას სვამს. საჭიროა თუ არა ახლებურად დაისვას გიორგისეული რედაქციის ადრინდელ ვერსიასთან მიმართების საკითხი. უნდა გაირკვეს, რომელი წაკითხვები რომელი ხელნაწერებიდან მომდინარეობს, რა შეიტანა გიორგიმ თავის რედაქციაში ან საიდან აიღო. პროფესორს ეს მეტად რთულ პრობლემად ეჩვენებდა. ერთადერთი, რაც საიმედოდ მიაჩნდა, იყო ის, რომ პროფესორ ივ. იმნაიშვილის მიერ გიორგის რედაქციის ხელნაწერების და ადრინდელი ხელნაწერების მიმართების შესახებ ჩატარებული კვლევის მიერ გამოვლენილი მასალა შემდგომ კვლევას დიდად შეუწყობდა ხელს. წყაროსთავის ოთხთავის შესწავლით ზ. სარჯველაძემ ქართული ენის ისტორიას კიდევ ახალი ფურცელი შემატა. უპირველეს ყოვლისა, ეს ძეგლი ყურადღებას იქცევს ჰაემეტი ფორმებით, იგი გამოირჩევა ცოცხალი მეტყველების ამსახველი ფორმების სიუხვითა და მრავალფეროვნებით.

ზ. სარჯველაძის ეს ნაშრომი საკითხის ახლებური დასმით და დამაჯერებელი დასკვნებით ახალი მნიშვნელოვანი სიტყვაა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესწავლის საქმეში.

ჩვენ, მისი ქუთაისელი კოლეგები, მუდამ გულწრფელი სიყვარულით მოვიგონებთ და პატივის მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

მარინა ქაცარავა

ზურაბ სარჯველაძის ეტიმოლოგიათა მნიშვნელობა ქართველოლოგიაში

როგორც ცნობილია, ენათა ნათესაობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია ძირითად ლექსიკურ ფონდში გამოვლენილი სისტემური ხასიათის რეგულარული ფონემათშესატყვისობანი. ქართველოლოგიაში ამგვარი მონაცემების კვლევას უკვე საკმაო ხნის ისტორია ჰქონდა, დადგენილი იყო ძირითადი ბგერათშესატყვისობანი თუ არქეტიპები, არსებობდა რამდენიმე შედარებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონიც ქართულსა თუ უცხოურ ენებზე, მაგრამ იმის გამო, რომ შეიცვალა დამოკიდებულება სიბილანტურ ფონემათა მიმართ და ძველი ქართული ტექსტებისა თუ ყველა თანამედროვე ქართველური ენის ძირ-ფუძეების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა სამი (სისინა, სისინ-შიშინა, შიშინა) რიგისა და სონანტთა კლასის დაშვების აუცილებლობა ფუძე-ენაში, ზურაბ სარჯველაძემ სწორედ მაშინ მოჰკიდა ხელი ურთულეს საქმეს – კომპარატივისტული მეთოდებით ეწარმოებინა ქართველური ლექსიკის კვლევა, რაშიც მას დიდად უწყობდა ხელს ფენომენალური მეხსიერება, მრავალწლიან ტექსტოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება ძველ ქართულ ხელნაწერებზე და უმწერლობო ქართველურ ენა-კილოთა პრაქტიკული ცოდნა. გარკვეულ ეტიმოლოგიათა ახალი გააზრება აუცილებელი იყო იმის გამოც, რომ თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივი ნაშრომის პუბლიკაციის (1965) შემდეგ მალევე (1969) გამოქვეყნდა მაქსიმე ქალღანის აღმოჩენა სვანური ენის უკანა მიმართულების, ე.წ. ველარული უძლავუტის შესახებ.

სამწუხაროდ, დღემდე არაა გამოცემული მოსე ჯანაშვილის „ქართველური სიტყვარი“. ზურაბ სარჯველაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მკითხველს გაუცოცხლა შესანიშნავი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მკვლევრის ნააზრევი. თუკი რამ არის ამ ხელნაწერში პოზიტიური და მისაღები თანამედროვე ქართველოლოგიის დონეზე, ყველაფერს მიჩენილი აქვს თავისი კუთვნილი ადგილი ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“, რომლის სამი გამოცემა არსებობს (ორი – ქართულად, ერთი – გერმანულად) და რომელიც კიდევ დიდხანს დარჩება ყველა ჩვენგანის სამაგიდო წიგნად.

გარდა ფორმალური მხარისა, ამ გამოკვლევა-ლექსიკონში ყურადღება ექცევა ცალკეულ ლექსემათა სემანტიკურ ნიუანსებსაც, თუმცა ცნობილია, რომ ფონემათა რეალიზაცია მკაცრად ზუსტ წესებს ექვემდებარება მაშინ, როდესაც სემანტიკური რეკონსტრუქცია ძალზე რთულია, რადგანაც ასეთ შემთხვევებში გამორიცხული არ არის ნებისმიერობა, მაგრამ სემანტიკურ ცვლილებათა კრიტერიუმების დადგენა ისევე აუცილებელია, როგორც ფონეტიკურისა. „მონათესავე ენებში მრავალფეროვანია შესაღარებელ სიტყვათა განსხვავებული ნიუანსები, სემანტიკურ პოზიციათა სიმრავლე გაცილებით კომპლექსურია და ნაკლები სინშირისაა, ვიდრე ფონეტიკური. თითოეულ ენობრივ სისტემას სამყაროს ლინ-

გვისტური ხატის აგებისას საფუძვლად მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინტაქსურ-სემანტიკური ალგორითმი უდევს“ (ივანიშვილი 2005:6).

საუკუნეთა სიღრმეში სავარაუდო ამოსავალ ფორმათა კვლევისას დიდ დაბრკოლებას ქმნიან ის ნასესხები სიტყვები, რომელთაც აქვთ რეგულარული ფონემათშესატყვისობანი ქართველურ ენებში; განსაკუთრებით რთულია ვითარება მაშინ, როდესაც გასაანალიზებელია ე.წ. იდენტურ შესატყვისობათა შემცველი ლექსემები.

ზურაბ სარჯველაძის მოღვაწეობის დროისთვის ქართველოლოგიაში არაერთი პრობლემა იდგა; ყველაფერი არც დღესაა მოგვარებული, მაგრამ ჟ რომ საერთო-ქართველური ფონემატური სისტემის შემადგენელ კომპონენტად უნდა ვივარაუდოთ, რევაზ აბაშიას შრომების შემდგომ უკვე საეჭვო აღარ უნდა იყოს; მაშინ კი სრულიად საპირისპირო თვალსაზრისი (თინათინ გონიაშვილისა) იყო გაბატონებული და, თავისთავად ცხადია, განსხვავებულად წარმოგვიდგებოდა ფუძე-ენის სავარაუდო ფონემატიკა.

დღემდე არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი, აგრეთვე, მუდერი ფარინგალის არსებობის საკითხი წინარექართულ ენაში.

ცხადია, ზემოაღნიშნული და სხვა არაერთი პრობლემის გამო, ძალზე გართულდა მუშაობა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე, მაგრამ მან მაინც იხილა მზის სინათლე 1991 წელს ავტორთა საოცარი ძალისხმევითა და უანგარო თავგანწირვის წყალობით. პროფ. ჰაინც ფენრიხთან თანამშრომლობით შექმნილი დიდებული ნაშრომი გამოქვეყნებისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ლინგვისტთა, ფოლკლორისტთა, ეთნოლოგთა, არქეოლოგთა, ისტორიკოსთა თუ სტუდენტ-ასპირანტთა მოთხოვნით ქართველმა და გერმანელმა კოლეგებმა კვლავ გააგრძელეს მუშაობა ამ მიმართულებით – დაზუსტდა ბევრი ადრინდელი ეტიმოლოგია მოგვიანებით გამოქვეყნებული ნაშრომებისა თუ სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებების მიხედვით. ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სხვისი არც ერთი ფასეული მიგნება მათ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ, ამიტომაც საანალიზო ნაშრომი მხოლოდ სამეცნიერო გამოკვლევად კი არ აღიქმება, არამედ, თავისი მნიშვნელობითა და კოლეგებისადმი კეთილგანწყობილებით აღსავსე დამოკიდებულების გამო, 1350-ზე მეტი არქექტიპის შემცველი 815-გვერდიანი პუბლიკაცია ჩვენ წარმოგვიდგენია ერთგვარ ეტიმოლოგიურ ენციკლოპედიად.

ზურაბ სარჯველაძეს ხშირად ჰქონია მწვავე კამათი საპირისპირო შეხედულებათა ავტორებთან და ამიტომ გარედან მაყურებელი თვალისთვის ზოგჯერ თითქოს ძალზე მკაცრ კრიტიკოსადაც კი გამოიყურებოდა ზოლმე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით – მას არასოდეს არავინ შესძულებია შედარებით ნაკლები განსწავლულობისა ან ნიჭის გამო – ყველანი ვუყვარდით, მაგრამ, თუ ვინმეს მაინც „მტრად“ მიაჩნდა, ეს თავად იმ ვინმეს პრობლემა იყო და არა სარჯველაძისა. აი, როგორი „მკაცრი“ იყო ის თავისი ოპონენტების მიმართ: „ამ ლექსიკონს მოჰყვა გარკვეული გამოხმაურება როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ჩემთვის უაღრესად ფასეულია ედიშერ ჭელიძის საკმაოდ ვრცელი რეცენზია,

რომელშიც გამოთქმულია მკაცრი, მაგრამ სამართლიანი შენიშვნები, დიდად სასარგებლო არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასთვის, ვინც ლექსიკის შესწავლას მიჰყოფს ხელს“, – წერდა ზურაბ სარჯველაძე 2001 წელს.

საკმაოდ რთულად იდგა საკითხი გვიანდელი ეპოქის ფუძე-ენაში გრძელ ხმოვანთა სავარაუდო არსებობის შესახებ. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, რომელშიც საგანგებოდაა დასაბუთებული სიგრძის სხვადასხვა საფეხურის არსებობა არა მხოლოდ სვანურში, რასაკვირველია, სადაც სავარაუდო იყო, თავისუფლად შეიძლებოდა არქექტიპთა ესა თუ ის ხმოვანი წარმოდგენილიყო შესაბამისად, მაგრამ საკითხი დიდ პრობლემად იქცა „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ავტორთათვის – გერმანელი კოლეგა კატეგორიულად უარყოფდა გრძელი ხმოვნების არსებობას საერთო-ქართველურ ენაში, ამიტომ ქართველმა თანაავტორმა ერთგვარად დათმო თავისი პოზიციები და „დაკმაყოფილდა“ ორივე გამოცემის წინასიტყვაობებში წარმოდგენილი განცხადებებით: „ასეთი ნაშრომი გონივრული კომპრომისების გარეშე არ შეიძლება შეიქმნას, რაც, ბუნებრივია, ავტორებს შორის ცალკეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობას გულისხმობს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:32)... საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი ფუძე-ენაში გრძელ ხმოვანთა არსებობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომში ჩვენ არ ვასხვავებთ გვიანდელ საერთო-ქართველურ დონეზე გრძელ და მოკლესმოვნიან ვარიანტებს, სრულებით არ გამოირიცხება მათი არსებობის შესაძლებლობა“ (იქვე 25).

დღეს ჩვენმა ზოგმა კოლეგამ საპაექროდ აქცია გიორგი კლიმოვის მეთოდი, ერთი მხრივ, საერთო-ქართველური, ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ-ზანური ერთიანობის სავარაუდო ეპოქათა დონეების შესახებ. საანალიზო ლექსიკონის როგორც ქართულ, ისე გერმანულ პუბლიკაციებში, ყველა ეტიმოლოგიის შემთხვევაში, ამოსავალია დიდი ენათმეცნიერის გერჰარდტ დეეტერსის სქემა, რომლის თანახმადაც დიფერენციაციის პროცესში ფუძე-ენას ყველაზე ადრე გამოეყო სვანური. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ, თუ ამა თუ იმ ლექსემის ძირი დღეს დასტურდება სვანურში, მისი არქექტიპი უნდა დაიშვებოდეს საერთო-ქართველურ დონეზე, ხოლო თუ არა – მაშინ ის უნდა ჩავთვალოთ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის მონაცემად. ვინც გ. დეეტერსის სქემას არ ეყრდნობა, თავისთავად ცხადია, მას შედეგებიც განსხვავებული ექნება.

ჩვენი აზრით, ამ ორი დონის გამოყოფა ქართველური ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლისას ბევრ დაბრკოლებას გვიხსნის, თუმცა მსჯელობა შესაძლოა ზოგჯერ პირობითიც გამოგვივიდეს. ქართულ-მეგრულ-ლაზურ ლექსემათა ურთიერთშეპირისპირებისას სავარაუდო არქექტიპი შეიძლება შეიცვალოს მას შემდეგ, თუ კვლევას გავაგრძელებთ ამ მიმართულებით და სვანურშიც დავადასტურებთ მოსალოდნელ ძირს. რასაკვირველია, ასეთ შემ-

თხვევაში ქართულ-ზანური ერთიანობის დონისთვის აღდგენილი ძირი გადაინაცვლებს საერთო-ქართველურ დონეზე, ზოგჯერ გარკვეული კორექტივებითაც. ამ მეთოდის ილუსტრაცია არაერთია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ სხვადასხვა გამოცემის ურთიერთშედარებისას. მაგალითად:

ქართული **გრეხ-/გრიხ-** მეგრულ **გირახ-/გოროხ-/გირიხ-** ძირებს დაუკავშირეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა და ამოსავლად მიიჩნიეს ***გრახ-** არქეტიპი, რომლის შესატყვისი, ზურაბ სარჯველაძის აზრით, გახლავთ ლაზური **ნგრიხ-** (<**გრიხ-**). შესაბამისი ძირი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის სვანურში, ამიტომაც **გრეხ-/გრიხ-** საერთო-ქართველურ დონეზე არ განიხილება (ასლან ლიპარტელიანის ლექსიკონში წარმოდგენილი ჩოლურული **აგრიხე** ქართულის მიხედვით შექმნილი ხელოვნური ფორმა ჩანს).

არნოლდ ჩიქობავას (1938) მიერ შეპირისპირებული ქართული **წელ-**, მეგრული **ჭი-/ჭვ-** და ლაზური **ჭუ-/მჭუ-** („ნაწლავი“) ძირების მიხედვით, გიორგი კლიძოვა (1964) ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***წელ-** არქეტიპი, ხოლო მას შემდეგ, რაც ჰაინც ფენრიხმა (1987) ყველა ეს მასალა დაუკავშირა სვანურ **ჭინ-ჭილ**ს, იმავე არქეტიპმა გადაინაცვლა საერთო-ქართველური ფუძეების დონეზე.

1985 წელს ზურაბ სარჯველაძემ ერთმანეთს შეუდარა ქართული **ჭყივ-** და მეგრული **ჭყი-** ძირები („ჭყვილი, ყვირილი“). ბუნებრივია, რაკი სვანური შესატყვისი აკლდა, არც დასმულა საკითხი **ჭყიჟ-** არქეტიპის საერთო-ქართველური დონისთვის მიკუთვნებულობის შესახებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გიორგი კლიძოვა ლაზურშიც დაადასტურა იგივე **ჭყოვი-** ძირი, ხოლო ჰაინც ფენრიხმა გამოავლინა სვანური **ჭყვ-**, რასაკვირველია, იმავე არქეტიპმა გადაინაცვლა ფუძეების დონეზე, თუმცა გიორგი კლიძოვა მაინც გამოთქვა ეჭვი ამ ფუძის ქართულიდან ნასესხობის შესახებ (**ლი-ჭყვ-ლი / ლი-ჭყ-ლი**).

ჩვენი ყურადღება მიიქცია „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ წარმოდგენილმა მსჯელობამ ჯერ კიდევ ალექსანდრე ცაგარლის (1880) მიერ გაანალიზებული ქართული **ბაგა** („გომი“) და მეგრული **ბოგა** („გომის იატაკი“; „ხის ხიდი“) ლექსემების შესახებ; თავის დროზე (1964) მათი ლაზური ეკვივალენტი **ბოგა** („გომი“), **ბოგა-ხინჯი** („ხის პატარა ხიდი“) გამოავლინა გიორგი კლიძოვა და, შესაბამისად, ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისათვის აღადგინა ***ბაგ** არქეტიპი. ზურაბ სარჯველაძე და ჰაინც ფენრიხი ამ ლექსემას ადასტურებენ ძველი ქართულიდანვე, აგრეთვე ტოპონიმში **ბაგ-ეზი**. მათი აზრით, მეგრული და იქიდან მომდინარე გურული **ბოგა** „ხის ხიდის“ მნიშვნელობით მეორეული ჩანს. მეგრული ვარიანტი უნდა იყოს ამოსავალი, აგრეთვე, ქართული **ბოგ-ირ**ისთვისაც. რაც შეეხება სვანურ **ბაგ** („გომი“) ფორმას, ის მიღებულია ამ ენისთვის სპეციფიკური ფონოლოგიური მოვლენის – ლიამარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის ტენდენციის – მოქმედების შედეგად. „თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეალია მეტად ძველია და შესაბამისი ძირი კანონზომიერი ფონემური შესატყვისებით არის ასახული ყველა ქართველურ ენაში, შესაძლოა ***ბაგ-** საერთო-ქართველური

ფუძე-ენის დონეზე აღვადგინოთ და მას 'გომის' მნიშვნელობა მივაწეროთ“ – აღნიშნულია საანალიზო წიგნში (იხ. გვ. 91).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთი ეჭვი მაინც ჩნდება: **ბოგ-ირ** სვანურშიც არის, თანაც უშგულურში, ანუ უძველეს მეტყველებაში, რომელიც მეგრულის გავრცელების არეალიდან ძალიანაა დაშორებული (ალბათ ასე იყო ადრეც!); ამიტომ ძნელად დასაჯერებელია მისი მეგრულიდან შესხება ქართულშიც და სვანურშიც. შესაძლოა აქაც ამოსავალი იყოს ***ბაგ-**, რომლისგანაც ლაბიალური ფონემის მომდევნო პოზიციაში ა ხმოვნისაგან **ო-ს** მიღება შეუძლებელი არ იქნებოდა. სწორედ ასიმილირებული ძირი გამოყენებული უნდა იყოს სვანურ მასდარში **ლიბრეე** „ხიდის გაღება“ (აგრეთვე მისგან ნაწარმოებ ზმნათა პირიან ფორმებსა და მიმღებებში). ეს რომ ასეა, ამაზე მიუთითებს ბესარიონ ნიჟარაძის მიერ უშგულურ **ლი-ბეჟი**-ი მასდართან დადასტურებული ქართული შესატყვისი **მო-ბაგ-უა** („დადება იატაკისა, მოკირწყვლა ქუჩისა“), ძვ. ქ. **მო-ბაგ-ულ-ი** („სახურავი“), „გარ სარკმელმოვლებული“ (საბა), **ბაგ-ოვ-ნ-ებ-ი** („სართულები“) და ზემორაჭული **ბაგ-არ-ი** („პურეულის ნამცხვრის ქერქი“), აგრეთვე, ქართულ დიალექტში დადასტურებული, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ლექსემა **ბოგ-ირ-ა** („გაუთლელი, ახირებული“). მაშასადამე, ***ბაგ-** არქეტიპი ფუძე-ენაშივე ომონიმური მნიშვნელობისა ჩანს: 1. გომი; 2. ხის საფარი – ა)იატაკი, ბ)სახურავი, გ)ხიდი.

ჰაინც ფენრიხმა და ზურაბ სარჯველაძემ მართლაც დიდებული ლექსიკონი შექმნეს, მაგრამ არამხოლოდ ლინგვისტოთათვის და არამხოლოდ ენათმეცნიერულ ანალიზზე დამყარებული დასკვნების გამოტანის საფუძველზე. წიგნში გამოვლენილი ძირების უბრალო გადათვალიერებაც კი ერთგვარ წარმოდგენას იძლევა საერთო-ქართველურ ფუძე-ენაზე მეტყველი ეთნოსის კულტურის, ყოფის, საცხოვრებელი გარემოს (არეალი, კლიმატური პირობები,...) შესახებ. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ქართულ **ვეცხლ-ი** / **ვერცხლ-ი** და მეგრულ **ვარჩხილ-ი** ლექსემათა ანალიზი. ეს დაკავშირება ჯერ კიდევ 1849 წლიდანაა ცნობილი და ეკუთვნის მარი ბროსეს. ზურაბ სარჯველაძის ცნობით, **ვერცხლ-** ფუძე XI-XII საუკუნეებამდე არ გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. მაშასადამე, გიორგი კლიმოვის მიერ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღდგენილი **ჟერცხლ** არქეტიპი (1964:83) ანაქრონიზმი ჩანს – თავისთავად ცხადია, ახ. წ.-ის XI-XII საუკუნეებისთვის გამოირიცხება ამგვარი ერთიანობა. რაც შეეხება სვანურ **ჟარჩხილ**-ს („ფული“), ის ნასესხები ჩანს მეგრულიდან. შესაბამისად, ყველა ქართველურ ენაში **-რ-** სონორით წარმოდგენილი ფუძე შედარებით გვიანდელია, მიღებული **ჟეცხლ-** ძირის ინლაუტში **რ-**ს ჩართვის შედეგად, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა როგორც ძველ ქართულ ტექსტებში, ისე თანამედროვე ცოცხალ ქართველურ ენა-კილოებში. ასე რომ „ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის არ არის საკმარისი ოდენ ფონემათ-შესატყვისობების საფუძველზე აღდგენილი არქეტიპებისა და თანამედროვე ენებში წარმოდგენილ სემანტიკათა მიმართების დადგენა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:31).

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ავტორები მომავალში ფიქრობდნენ ლინგვოკულტუროლოგიურ სამუშაოთა ვრცლად ჩატარებას. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ აუცილებელი იყო ისტორიის, არქეოლოგიის, ქართული და უცხოენოვანი წყაროების, მითოლოგიის, ბუნებათმცოდნეობის მონაცემთა რაც შეიძლება სრულად გათვალისწინება, ანუ ინტერდისციპლინარულ კვლევათა წარმოება. ზურაბ სარჯველაძეს გული სწყდებოდა იმის გამო, რომ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არ არსებობს ქართველური ენებისა და მათი დიალექტების ლექსიკური ფონდის ბანკი, რაც შესაძლებელს გახდიდა მრავალი საერთო ძირის გამოვლენას.

ქართველი და გერმანელი კოლეგების მრავალწლოვანი რუდუნებით შექმნილი წიგნის პუბლიკაციები, სრულიად ბუნებრივია, რომ ზოგჯერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად: 1990 წლის გამოცემაში არ არის გათვალისწინებული კარლ ჰორსტ შმიდტის (1962 წ.), გივი მაჭავარიანისა (1965) და ჰაინც ფენრიხის (1992, 1998) თვალსაზრისები საერთო-ქართველური ფუძენის ფონემატურ სისტემაში /*ლ'/, /*ტ'/ ლატერალთა შესაძლო არსებობის შესახებ, ხოლო 2000 წელს გამოქვეყნებულ შევსებულ ვარიანტში რამდენიმეჯერაა (გვ. 87, 732-739) წარმოდგენილი ამ ფონემათა შემცველი არქეტიპები (*ასულ', *ლ'ეთ-, *ლ'ძე-, *ტ'ამ-, *ტ'უერ-, *ტ'ოდ-,...). დღეს სპეციალისტებს შორის ზემოაღნიშნული თეორია მანცდამანც დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი შედარებით უმტკივნეულოდ ხსნის ს – ლ, ლ – შ და წ – ჭ – ჰ შესატყვისობათა ამოსავალ ვითარებას ქართველურ ენებში.

რასაკვირველია, 2000 წლის შემდეგდროინდელ სამეცნიერო გამოკვლევებსა და ლექსიკონებში არ არის გაზიარებული ზურაბ სარჯველაძის ყველა მოსაზრება, რაც წარმოუდგენელია კიდევ, მაგრამ გერმანელ კოლეგასთან ერთად შექმნილი ლექსიკონი არა მხოლოდ ყველაზე ვრცელია ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ გამოკვლევებს შორის, არამედ თანამედროვე ლინგვისტიკის უახლესი მეთოდების გამოყენებით გაანალიზებული მასალა, ძირითადად, დამაჯერებელია და სარწმუნო, ხოლო ორიგინალური თვალსაზრისები ძალზე მომხიბლავია და მათემატიკური სიზუსტით გამყარებული.

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ არც ერთი გამოცემის დროს ჯერ კიდევ არ იყო დასტამბული ვარლამ თოფურიას და მაქსიმე ქალდანის სვანური და ოთარ ქაჯაიას მეგრული აკადემიური ლექსიკონები, ამიტომაც ზურაბ სარჯველაძეს თავადვე მოუხდა უმძიმესი სამუშაოს ჩატარება არა მხოლოდ ქართველურ ტექსტებზე, არამედ უშუალოდ ცოცხალ მეტყველებაზე, რამაც, რაღა თქმა უნდა, ბევრი რამ შესძინა კოლექტიურ ნაშრომს, მაგრამ, სამწუხაროდ, სვანურ-მეგრულ ლექსიკონებში გათვალისწინებული არაერთი მეტად საინტერესო ლექსემის ეტიმოლოგია მოაკლდა ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ნაღვაწს. ამჟამად არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში ლაზ კოლეგებთან ერთად გრძელდება მუშაობა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაწყებულ ლაზურ ლექსიკონზე და როცა ისიც დაიბეჭდება,

მაშინ ქართველოლოგთა ახალგაზრდა თაობამ აუცილებლად უნდა იფიქროს ქართველურ ენათა ახალი, შედარებით სრული ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენასა და გამოცემაზე.

სამწუხაროდ, ზურაბ სარჯველაძეს ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში დაწყებული არაერთი მნიშვნელოვანი საქმე დარჩა დაუმთავრებელი; ეს მით უფრო ლექსიკოლოგიაზე ითქმის. სხვამ ვინ, თუ არა მან, ძალიან კარგად იცოდა, რომ „ქართველთა ენად უფსკრულ ღრმა არს“ და ამიტომაც, მიუხედავად ოთხი ათეული წლის მუხლჩაუხრელი შრომისა, ქართველურ ენათა ლექსიკური მარაგის ამოწურვა შეუძლებელი იყო. მას შედგენილი ჰქონდა ძველი ქართულის ვრცელი დოკუმენტირებული ლექსიკონი, რომელსაც ყოველდღიურად ავსებდა, მაგრამ გამოქვეყნებას მაინც არ ჩქარობდა, თუმცა ისიც უწყოდა, რომ „ჟამსა მიმცხონებებისასა“ ყველაფერი შესაძლოა საშური ყოფილიყო. ზურაბ სარჯველაძეს მიაჩნდა, რომ ქართველურ ენათა მრავალტომეული სრული ლექსიკონის შექმნამდე თაობათა დიდი სამუშაო უნდა ჩატარებულიყო, მათ კი ასე შეახსენა დიდებული სულხან-საბას ანდერძი: „რომელნიცა ვიცოდი, დავწერე; თქვენ იგულისმოდგინეთ, რომელთა მოგცესთ უფალმან სიბრძნე და მეცნიერება, თქვენ შესრულეთ“...

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

ივანიშვილი 2005: მ. ივანიშვილი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და სემანტიკური რეკონსტრუქციები, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994: ა. ლიპარტელიანი, „სვანურ-ქართული ლექსიკონი“, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქალღანი 1969: მ. ქალღანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უძლავუტის სისტემა სვანურში, თბილისი.

ჩიქობავა 1942: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

Kartvelischer wort-schatz, IV, Georgica, 10, Jena-Tbilisi 1987.

Климов 1964: Г. А. Климов, Этимологический словарь Картвельских языков, Москва.

Цагарели 1880: А. Цагарели, Мингрельске этюды - I, Санкт-Петербург.

Iza Chantladze

The Significance of Zurab Sarjveladze's Etymologies for Kartvelology

Summary

The significance of Prof. Zurab Sarjveladze's etymologies for Kartvelology is invaluable. In our view, *Etymological Dictionary of Kartvelian Languages* compiled together with a German colleague Heinz Fenrich, numbering 815 pages and containing more than 350 archetypes, is a certain etymological encyclopedia and a new stage from the viewpoint of linguocultural study.

The presented article is an attempt to demonstrate the method and style of the talented scholar. Rich illustrative material is offered in order to show the contribution of Zurab Sarjveladze to Kartvelology.

ზურაბ სარჯველაძის სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია¹

წიგნები

1. ხანმეტ და ჰემეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, „მეცნიერება“, თბილისი, 1971.
2. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, „განათლება“, თბილისი, 1975.
3. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, „განათლება“, თბილისი, 1984.
4. მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, „ცოდნა“, თბილისი, 1984.
5. სავარჯიშო მასალა ძველ ქართულ ენასა და პალეოგრაფიაში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1985.
6. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, I (საქართველოს ისტორიის წყაროები 36), „მეცნიერება“, თბილისი, 1986 (თანაავტორები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრადე, მ. ჩხენკელი, თ. ხაყოშია).
7. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, II (საქართველოს ისტორიის წყაროები 42), „მეცნიერება“, თბილისი, 1986 (თანაავტორები: ა. სარჯველაძე, თ. ხაყოშია).
8. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ, კ. დანელიამ და ე. გიუნაშვილმა, „განათლება“, თბილისი, 1986.
9. აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1987 (თანაავტორი კ. დანელია).
10. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1990 (თანაავტორი ჰ. ფენრიხი).
11. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ და ე. გიუნაშვილმა, „განათლება“, თბილისი, 1990.
12. იაკობ გოგებაშვილი, საღმრთო ისტორია, გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, თ. ჩუბინიძემ, ე. გიუნაშვილმა და თ. ტონიამ, „ნაკადული“, თბილისი, 1990 (პირველი გამოცემა).

¹ შედგენილია ზურაბ სარჯველაძის მიერ 2002 წელს. შეავსეს და დააზუსტეს პროფ. ვინფრიდ ბოდერმა, პროფ. იოსტ გიპერტმა, ნინო დობოროვკინიძემ და სოფიო სარჯველაძემ.

13. ა. ფრონელი (ა. ყიფშიძე), დიდებული მესხეთი (წიგნი გამოსაცემად მოამზადა გამომცემლობა „მარიხის“ სარედაქციო ჯგუფმა: დ. თვალთვაძე, მ. მაჩხანელი, ე. გიუნაშვილი, ზ. სარჯველაძე, ზ. კალანდაძე), რედაქტორი ზ. სარჯველაძე, გამომცემლობა „მარიხი“, თბილისი, 1991.
14. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, I, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, ლ. ალექსიძემ, ნ. დობორჯგინიძემ, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ლ. ნიჟარაძემ, ნ. შულაძემ, თ. ცოფურაშვილმა, გამომცემლობა „მერკური“, თბილისი, 1993.
15. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, II, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, ლ. ალექსიძემ, ნ. დობორჯგინიძემ, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ლ. ნიჟარაძემ, ნ. შულაძემ, თ. ცოფურაშვილმა, გამომცემლობა „მერკური“, თბილისი, 1993.
16. Heinz Fänrich – Surab Sardschweladze, Etymologisches Wörterbuch der Kartwel-Sprachen, Leiden-New York-Köln: Brill, 1995.
17. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1995.
18. ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), თპუ გამომცემლობა, თბილისი, 1997.
19. ქართული პალეოგრაფია, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 1997 (თანავტორი კ. დანელია).
20. Chroniken der georgischen Königin Tamar, Aus dem Georgischem übersetzt von Surab Sardschweladse und Heinz Fänrich, (Kaukasien-Reihe) Jena: Friedrich-Schiller-Universität, 1998.
21. Surab Sarjveladze – Heinz Fänrich, Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch (Lexicographia Orientalis 5), Hamburg:Buske, 1999.
22. Mose Choneli, Amirandaredschiani, Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fänrich, (Kaukasien-Reihe) Jena: Friedrich-Schiller-Universität, 1999.
23. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ, კ. დანელიამ და ე. გიუნაშვილმა (მეორე, შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა), თბილისი, 1999.
24. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2000 (თანავტორი ჰ. ფენრიხი).
25. Giorgi Mertschule, Das Leben des Grigol von Chandsta, Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fänrich, (Kaukasien-Reihe) Jena: Friedrich-Schiller-Universität, 2000.
26. ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, (ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 5), თპუ გამომცემლობა, თბილისი, 2001.
27. Giorgi Mzire, Das Leben des Giorgi Mtazmideli, Deutsch von Surab Sardschweladse und Heinz Fänrich, (Kaukasien-Reihe) Jena: Friedrich-Schiller-Universität, 2001.

28. ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ე. გიუნაშვილმა, მ. მაჩხანელმა, დ. თვალთვაძემ, ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ (ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 10), „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2003.
29. იაკობ გოგებაშვილი, საღმრთო ისტორია, გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, თ. ჩუბინიძემ, ე. გიუნაშვილმა და თ. ტონიამ, „ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა“, თბილისი, 2003 (განახლებული გამოცემა).
30. ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), (მეორე გამოცემა) „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2004.
31. მათეს სახარება, გიორგი მთაწმიდლის რედაქცია, გამოსაცემად მოამზადეს და განმარტებები დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2004.
32. მარკოზის სახარება, გიორგი მთაწმიდლის რედაქცია, გამოსაცემად მოამზადეს და განმარტებები დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2004.
33. Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch von Surab Sardshweladse und Heinz Fänrich unter Mitwirkung von Irine Melikishvili und Sopio Sardshweladse, Leiden-Boston: Brill, 2005.
34. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით, ტ. I (ა-ლ), „არტანუჯი“, თბილისი, 2005.
35. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით, ტ. II (მ-რ), „არტანუჯი“, თბილისი, 2007.
36. Gippert, Jost / Sarjveladze, Zurab / Kajaia, Lamara: **The Old Georgian Palimpsest Codex Vindobonensis georgicus 2** edited by Jost Gippert in cooperation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia. (Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series Ibero-Caucasica, 1), 368 p.; Turnhout: Brepols 2007.

სტატიები და რეცენზიები

1964

1. ქართული ძირკ- ფუძის ზანური შესატყვისისათვის: გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, თბილისი, 1964, გვ. 145-147.

1965

2. ზანიზმები გურულში: გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, თბილისი, 1965, გვ. 189-198.

1966

3. მეტათეზისი XI-XIII საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში: გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, თბილისი, 1966, გვ. 133-149.

1967

4. **ხ** და **ჭ** გრაფემათა და /ჭ/ და /ხ/ ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის: ორიონი, თბილისი, 1967, გვ. 260-265.

1968

5. ზანურიდან ნასესხები ერთი სიტყვა ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 51, 2, თბილისი, 1968, გვ. 505-508.

6. ჰაემეტობის გადმონაშთები X საუკუნის სინურ ხელნაწერებში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 52, 1, თბილისი, 1968, გვ. 259-262.

7. [ღ]-ს შემცველ დამავალ დიფთონგთა მოშლის გზები ძველ ქართულში: გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XII, თბილისი, 1968, გვ. 113-115.

1969

8. ბგერათშესატყვისობა ქართ. **ლ**: სვან. **შ**: თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბილისი, 1969, გვ. 127-130.

9. -ნ სუფიქსით გამოხატულ მრავლობით რიცხვში დასმული სახელის ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში: „მაცნე“, 3, თბილისი, 1969, გვ. 228-234.

10. ძველი და საშუალო ქართულის ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი: „მაცნე“, 6, თბილისი, 1969, გვ. 223-232.

11. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთი საჭირბოროტო საკითხი: „ლიახვი“, გორი, 1969, გვ. 148-153.

1970

12. ორი ზანური ზმნური ძირის ძველქართული შესატყვისებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 58, 1, თბილისი, 1970, გვ. 233-236.

13. თი, თე, *თა ნაწილაკები ზანურში. „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 6, თბილისი, 1970, გვ. 249 – 252.

1971

14. **სულ** და **სუნ** ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 62, 1, თბილისი, 1971, გვ. 245-248.

15. Против извращения вопросов грузинской топонимики: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 3, თბილისი, 1971, გვ. 169-182 (აღ. ონიანთან ერთად).

1972

16. წყალ- ფუქსთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე 65, 2, თბილისი, 1972, გვ. 505-508.

17. ახალი მასალები მესამე ხოლმეობითის შესახებ, „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 3, თბილისი, 1972, გვ. 147-149.

1973

18. **მროველი** თუ **მრუველი**? (ო და უ ნიშანთა ურთიერთმონაცვლეობისათვის ქართულ წერილობით ძეგლებში), მრავალთავი, II, თბილისი, 1973, გვ. 5-10.

19. [ვა], [ჟა], [ვე], [ჟე] და [ო] სეგმენტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: მრავალთავი, III, თბილისი, 1973, გვ. 73-84. (ბ. გიგინეიშვილთან ერთად).

20. დ/ედ და ნ ნიშნებიანი მესამე სუბიექტური პირის იშვიათი ფორმები ძველ ქართულში, მაცნე (ენისა და ლიტ. სერია), 2, თბილისი, 1973, გვ. 141-148.

21. სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში ზოგ გარდაუვალ ზმნასთან: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბილისი, 1973, გვ. 71-72.

22. რეცენზია ჰანს ფოგტის ნაშრომზე «Grammaire de la langue géorgienne», Oslo, 1971: Вопросы Языкознания, 4, Москва, 1973, ст.148-151.

1974

23. დარღვევები სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირების ნიშანთა ხმარებისას ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები, I, თბილისი, 1974, გვ. 135-148.

24. ქართული კუარცხ- ძირის სვანური შესატყვისისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 73, 3, თბილისი, 1974, გვ. 749-751.

1975

25. XI-XV საუკუნეთა ქართული ისტორიული დოკუმენტების ძირითადი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი: „მრავალთავი“, V, თბილისი, 1975, გვ. 131-146.

26. ქართული სალიტერატურო ენა და ქართველური ენები: მრავალთავი, V, თბილისი, 1975, გვ. 185-191.

27. სიტყვათგანლაგების ზოგიერთი მოდელი ძველსა და საშუალ ქართულში: „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 3, თბილისი, 1975, გვ. 94-109.

1976

28. ორი ზანური ზმნური ძირის ქართული შესატყვისებისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 81, 1, თბილისი, 1976, გვ. 217-219.

29. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის იდენტიფიკაციისათვის: „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია), 1, თბილისი, 1976, გვ. 151-152.

30. XI-XV საუკუნეთა ქართული ისტორიული დოკუმენტების ორთოგრაფიული და ფონეტიკური თავისებურებანი, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 2, თბილისი, 1976, გვ. 109-120.

1978

31. ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში: მრავალთავი, VI, თბილისი, 1978, გვ. 123-136 (ბ. გიგინეიშვილთან ერთად).

32. მეტყველი „ლვიძლი სიტყვისა“ (ი. ჭავჭავაძე), ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბილისი, 1978, გვ. 14-20.

1979

33. წყვეტილისა და II ხოლმეობითის ფორმათა ურთიერთშენაცვლებისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: საენათმეცნიერო კრებული, თბილისი, 1979, გვ. 186-190.
34. ვით თანდებულის ისტორიისათვის, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 4, თბილისი, 1979, გვ. 122-124.
35. მნიშვნელოვანი გამოკვლევა მსგავსებითი შედარების შესახებ: „ცისკარი“, 5, თბილისი, 1979, გვ. 125-127.
36. Rezension des Buches Eteri Soselia: «Анализ терминов родства» (Тбилиси, 1979): Georgica, 5, Jena, 1979:106-109.

1980

37. საზოგადო სახელად გაგებული ერთი ტოპონიმისათვის საბას ლექსიკონში, „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 2, თბილისი, 1980, გვ. 97-102.
38. ძველ ქართულ მონაცემთა მნიშვნელობა მეგრულ-ჭანურში მომხდარი ზოგი კომბინატორული ცვლილების ისტორიისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 98, 1, თბილისი, 1980, გვ. 225-227.
39. ზოგი საერთო-ქართველური ლექსემის ეტიმოლოგიისათვის: „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 4, თბილისი, 1980, გვ. 115-122.
40. „შუმანიკის წამების“ ტექსტის ისტორიისათვის: „ცისკარი“, 8, 1980, გვ. 131-134 (თანავტორი ე. გიუნაშვილი).
41. უბისის ერთი წარწერა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 99, 3, თბილისი, 1980, გვ. 737-739.
42. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის (საკითხის დასმა): მრავალთავი, VIII, თბილისი, 1980, გვ. 20-30.

1981

43. ერთი სტილისტური ხერხის ისტორიისათვის: „მრავალთავი“, IX, თბილისი, 1981, გვ. 63-65.
44. Zur Geschichte einer syntaktischen Erscheinung: Georgica, 4, Jena, 1981: 86-87.
45. „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ ტექსტის ისტორიისათვის: „მნათობი“, 6, თბილისი, 1981, გვ. 169-173.
46. ძიებანი ძველი ქართულის ლექსიკიდან: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1, თბილისი, 1981, გვ. 104-108.
47. მიხეილ ჯავახიშვილი ილიასა და აკაკის ენის შესახებ: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 3, თბილისი, 1981, გვ. 68-74.
48. „მშვენიერი ძველი ენა“: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 4, თბილისი, 1981, გვ. 113-118.
49. „შლა წიგნების მიყვარს ძველის“ (გალაკტიონი და ძველი ქართული ენა). ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში 4, თბილისი, 1981, გვ. 113-118.

50. სასწაულებრივ გადარჩენილნი (ძველი ქართული ხელნაწერების შესახებ), „საბჭოთა ხელოვნება“, 8, თბილისი 1981, გვ. 66-71.

51. „წიგნურისა“ და „სოფლურის“ შესახებ: „ლიტერატურული საქართველო“, 20. XI. 1981 წ., გვ.10

52. რეცენზია ალ. ონიანის ნაშრომზე „ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები“, თბილისი, 1978: Вопросы Языкознания, 1981, 6, Москва, ст. 141-143.

1982

53. ერთი ზმნური ფორმის შესახებ: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 108, 2, თბილისი, 1982, გვ. 429-431.

54. საშური საქმე, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში 2, თბილისი, 1982. გვ. 92-96 (თანაავტორი კორნელი დანელია).

55. ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ქართველური ანთროპონიკისა და ტოპონიმიის შესწავლისათვის: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 3, თბილისი, 1982, გვ. 73-80.

56. ფრთხილად, ძნელი საქმეა: „ცისკარი“, 4, თბილისი, 1982, გვ. 143.

1983

57. ვენაში დაცული „ქებაჲ ქებათაჲს“ ტექსტისათვის: მრავალთავი, X, თბილისი, 1983, გვ. 75-87.

58. У истоков грузинской лингвистической мысли: Вопросы Языкознания, 1983, 1, Москва, ст. 113-121.

1984

59. Die Frage der Geschichtsperiodisierung der georgischen Literatursprache: Georgica, 7, Jena, 1984: 5-12.

60. სამხარ- სიტყვის ეტიმოლოგიის ცდა: ქართული ენა (წერილების კრებული), თბილისი, 1984, გვ. 86-90.

61. რეცენზია ლ. ქაჯაიას წიგნზე „ხანმეტი ტექსტები“ I (თბილისი, 1984), „მნათობი“, 7, თბილისი, 1984, გვ. 174-176.

1985

62. უძლავუტის კვალი ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 120, 1, თბილისი, 1985, გვ. 197-200.

63. უნახაობის გამოხატვისათვის ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1, თბილისი, 1985, გვ. 79-85 (გ. ნინუასთან ერთად).

64. ზოგი დიალექტური ფორმა ძველ ქართულ ხელნაწერებში: თსუ შრ., 262, თბილისი, 1985, გვ. 140-146.

65. Kartwelische Etymologien: Georgica, 8, Jena-Tbilissi, 1985: 23-25.

66. რეცენზია კ. დანელიას ნაშრომზე „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“: თსუ შრ., 262, თბილისი, 1985, გვ. 361-373.

67. ლეონტი მროველი, მომგებელი XI საუკუნის ხელნაწერისა: „ლიტერატურული საქართველო“, 1985, 25 იანვარი.

1987

68. ეკლესიასტე (ეკლესიასტეს ძველი ქართული ტექსტი), ქართული მწერლობა, ტ. 1, თბილისი, 1987, გვ. 145-163.
69. ქება ქებათა : ქართული მწერლობა, ტ. 1, თბილისი, 1987, გვ. 164-174.
70. ლექსიკონი: ქართული მწერლობა, ტ. 1, თბილისი, 1987, გვ. 725-764.
71. ლექსიკონი: ქართული მწერლობა, ტ. 2, თბილისი, 1987, გვ. 550-773.
72. დებონენსურ ზმნათა შესახებ ძველ ქართულში: საიუბილეო კრებული: აკაკი შანიძე – 100, თბილისი, 1987, გვ. 102-105.
73. ანთროპონიმთა იშვიათი ფორმები ძველ ქართულში: ონომასტიკა, I. თბილისი, 1987, გვ. 299-303.
74. Forschungen zur Lexik der Kartwelsprachen: Georgica, 10, Jena-Tbilissi, 1987:17-24.
75. О лингвистической концепции А. Г. Шанидзе: Вопросы Языкознания, 1, Москва, 1987, ст. 24-33 (კ. დანელიასთან ერთად).
76. რეცენზია მ. მაჩხანელის ნაშრომზე „იოანე, ეფთვიმე და გიორგი ათონელეზის ცხოვრების ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით“ (თბილისი, 1982): Georgica, 10, Jena, 1987: 114-115.
77. რეცენზია კ. დანელიას ნაშრომზე „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“ (თბილისი, 1983): Georgica, 10, Jena, 1987:117-119.
78. რეცენზია ზ. ჭუმბურიძის ნაშრომზე „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“ (თბილისი, 1983): Georgica, 10, Jena, 1987:120-121.

1988

79. აკაკი შანიძე – საერთო-ქართველური ლექსიკის მკვლევარი: პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1988, გვ. 39-44.
80. მოწაფე ფუძის ეტიმოლოგიისათვის: თსუ ძველი ქართ. ენ. კათ. შრ., 27, თბილისი, 1988, გვ. 89-91.
81. ბოლნისის უძველესი წარწერის ზოგი აღდგენილი ადგილის შესახებ: „კრიტიკა“, 3, თბილისი 1988, გვ. 97-100.
82. ლექსიკონი: ქართული მწერლობა, ტ. 5, თბილისი, 1988, გვ. 788-829.

1989

83. ლექსიკონი: ქართული მწერლობა. ტ. 6, თბილისი, 1989, გვ. 849-879.
84. Aus der Geschichte des georgischen sprachwissenschaftlichen Denkens: Georgica, 12, Jena, 1989:7-9.

1990

85. რა განძი გვქონია! პიონერი, 2, თბილისი, 1990, გვ. 21-23.

1991

86. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პერიოდები: „ბალავერი“, 1-6, თბილისი, 1991.
87. Картвельские этимологии, в сборнике: Историческая лингвистика и типология, Москва, 1991.

88. Rezension des Buches von Aleksandre Oniani: ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (თბილისი, 1989), Georgica 13/14, 1990/91:160-163,.

89. რეცენზია ალ. ონიანის ნაშრომზე „ქართველურ ენათა ისტორიული გრამატიკის საკითხები“, თბილისი, 1989: Вопросы Языкознания, 3, Москва 1991, ст. 134-138, (Соавтор Г.Климов).

1995

90. ცხორება და შესხმა წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი, კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისა, რომელი აღწერა წმიდამან და ნეტარმან მამამან ჩუენმან გრიგოლი ღმრთისმეტყუელმან (გამოსაცემად მოამზადა ზურაბ სარჯველაძემ), მამათა ცხოვრება, თბილისი, 1995, 16-77.

91. კიდევ ერთხელ **ხანმეტობისა** და **ჰაემეტობის** ურთიერთმიმართების შესახებ: ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1995, გვ. 125-132.

92. Rezension des Buches von Tamaz Gamqrelidze: „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ (თბილისი, 1989): Georgica, 18, Konstanz, 1995: 118-121.

1996

93. Aus der Geschichte des georgischen Vokalismus, Georgica, 19, Konstanz, 1996:118-121.

1997

94. რედაქტორისაგან (წინასიტყვაობა პ. ჭარაიას წიგნისა „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“), თპუ ქართული ენის კათედრის შრომები 2, თბილისი, 1997, გვ. 5-14.

95. ენობრივი სიტუაცია XI-XIII საუკუნეთა საქართველოში: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის შრომები, I, თბილისი, 1997, გვ. 3-11.

96. ლექსთა გრძელთა თქმა და **ხევა**: ზურაბ ჭუმბურიძე – 70, თბილისი, 1997, გვ. 125-130.

97. Rezension des Buches von Jost Gippert: Iranica Armeno-Iberica. Studien zu den iranischen Lehnworten im Armenischen und Georgischen. I-II (Wien, 1993), Georgica, 19, Konstanz, 1997:151-152.

98. Rezension des Buches von Georgij Klimov: «Древнейшие индревропеизмы в картвельских языках»: Georgica, 19, Konstanz, 1997:152-3.

99. Rezension des Buches von Aleksandre Poxishvili: „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“ (თბილისი, 1995): Georgica, 19, Konstanz, 1997:153-154 .

100. მრავლობითი რიცხვის ფორმის გამოყენება მხოლობითის ნაცვლად (საკითხის ისტორიისათვის): სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, III, თბილისი, 1997, გვ. 3-10.

1998

101. მცა ნაწილაკის ერთი ფუნქცია ძველ ქართულში: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, IV, თბილისი, 1998, გვ. 170-171.
102. გ. მაჭავარიანის დაბადებიდან 70-ე წლისთავის გამო: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, IV, თბილისი, 1998, გვ. 229-230.
103. Für den sprachwissenschaftlichen Status der chanmeti Texte: *Caucasica*, 2, Tbilisi, 1998:86-92 (mit Jost Gippert).
104. სამი ძველქართული სიტყვის კონტექსტუალური მნიშვნელობისათვის: ქართველური მეძველერობა, II, ქუთაისი, 1998, გვ. 243-244.
105. დაგვიანებული რეცენზია (წიგნზე: იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ, თბილისი, 1992), ჟურნალი „სიტყვა“, 1, 1998, გვ. 19-20.

1999

106. ეტიმოლოგიური შენიშვნები: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია (მასალები), თბილისი, 1999.
107. არის კი *ხომ*- ძირი ბერძნულში?: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია (მასალები), თბილისი, 1999, გვ. 109-115.
108. ქართველური ეტიმოლოგიები: ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი, 1999, გვ. 89-92.
109. ვ თანხმოვნის განვითარების ერთი შემთხვევის შესახებ: ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი, 1999, გვ. 30-31.
110. ეტიმოლოგიური დაკვირვებები: ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი, 1999, გვ. 111-119.

2000

111. წინასიტყვაობა წიგნისა: თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები (ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 3), თბილისი, 2000, გვ. V-VIII.
112. მიმღეობათა ოდენ -ელ სუფიქსიანი წარმოება და პირ-ვ-ელ- ფუძის წარმომავლობის საკითხი: ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი, 2000, გვ. 10-17.
113. ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ცნობები დასავლურქართული ტომების შესახებ: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბილისი, 2000, გვ. 21-28.

2001

114. Forschungen zur Lexik der Kartwelsprachen: *Georgica*, 24, Konstanz, 2001:69-73.
115. დიდი მეცნიერი და ღირსეული მამულიშვილი (ივანე იმნაიშვილი – 95): ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი, 2001, გვ.20-22.

116. ჰაინც ფენრიხი 60 წლისა: ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი, 2001, გვ. 23-30 (რ. მეტრეველსა და თ. გამყრელიძესთან ერთად).
117. აკაკი შანიძის წერილები ჰაინც ფენრიხს (გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ზ. სარჯველაძემ): ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი, 2001, 41-59.
118. მზექალა შანიძე – 75: ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი, 2001, გვ. 72-79.
119. ვარლამ თოფურია – ქართველურ ენათა ლექსიკის მკვლევარი: ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი, 2001, გვ. 68-79.
120. ალექსანდრე ონიანი – 75: ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი, 2001, გვ. 84-86.
121. ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები ზოგ ძველქართულ წერილობით ძეგლში: ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი, 2001, გვ. 100-102.
122. ზურაბ ჭუმბურიძე – 75: ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი, 2001, გვ. 151-152.
123. მიმღეობებში შემონახული ზმნური ფუძეებისათვის: ვარლამ თოფურია 100, თბილისი, 2001, გვ. 149-154.
124. ქართულ გვარსახელთა ჩამოყალიბების ისტორიისათვის: *Dedicatio* (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბილისი, 2001, გვ. 429-432.
125. რომელ ენაზე დაიწერა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“?: მწიგნობარი, თბილისი, 2001, გვ. 136-152.
126. წინასიტყვაობა ო. ქაჯაიას წიგნისა „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, (ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 7), თბილისი, 2001, გვ. 7-14.
127. წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხი: თსუ ძველი ქართ. ენის კათ. შრ. 29, თბილისი, 2001, გვ. 109-133.
128. უფროობითი ხარისხის იშვიათი ფორმები ძველ ქართულსა და „ვეფხისტყაოსანში“: ენათმეცნიერების საკითხები 4, თბილისი, 2001, გვ. 109-110.
- 2002
129. აკაკი შანიძე – 115, ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი, 2002, გვ. 3-5.
130. ეტიმოლოგიური შენიშვნები: ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი, 2002, გვ. 74-78.
131. წინასიტყვაობა (გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა; თბილისი, ქართველური ბიბლიოთეკა, 9), თბილისი, 2002, გვ. 5-6.
132. გივი მაჭავარიანი (გივი მაჭავარიანის დაბადებიდან 75-ე წლისთავის გამო: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2002, 4, გვ. 55-62); ლიტერატურული საქართველო, № 6; 12 დეკემბერი, 2002.
133. დიდი ენათმეცნიერი: ენათმეცნიერების საკითხები 4, თბილისი, 2002, გვ. 4-13.

134. გალაკტიონის ერთი ლექსის ზოგი ადგილის გაგებისათვის: ენათმეცნიერების საკითხები 4, თბილისი, 2002, გვ. 175-180.

135. რედაქტორის ბოლოსიტყვაობა (ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი III); თბილისი, 2002, გვ. 659.

2003

136. Die Benennungen der westkartwelischen Stämme in den altgeorgischen Denkmälern, Kaukasische Sprachprobleme, Beiträge zu den Kaukasistentagungen in Oldenburg 1995-2001, Herausgegeben von Winfried Boeder (Caucasica Oldenburgensia 1), Oldenburg: Bibliotheks- und Informationssystem der Universität Oldenburg, 2003:309-318.

137. გალაკტიონის ერთი ლექსის ზოგი ადგილის გაგებისათვის, გალაკტიონოლოგია, II, თბილისი, 2003, გვ. 242-247.

2004

138. Zum Problem der Entstehung des georgischen Schrifttums, კრებულში: B. Schrader – Th ahbe (edd.): Georgien-Beiträge zur Geschichte, Politik und Kultur. Vorträge bei der Berliner Georgischen Gesellschaft e. V. 2000-2003. Berlin, 2004.

139. საწერი ხელსაწყოები, „ჯეჯვილი“, №3, 2004, გვ. 6-7.

2008

140. Altgeorgisch: Kartwelsprachen, Herausgegeben von Heinz Fähnrich, Reichert Verlag Wiesbaden, 2008: 55-115.

141. ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა,“ „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა,“ გამოსაცემად მოამზადეს მიხეილ ქავთარიამ, ელენე ცაგარეიშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008, გვ. 25-149

142. ჯუანშერი, „ცხოვრებად ვახტანგ გორგასლისა,“ გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008, გვ. 151-244.

143. ლეონტი მროველი, „წამებად წმიდისა არჩილისი,“ გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008, გვ. 247-250.

რედაქტორობა

1. მცხეთური ხელნაწერი, I-V, თბილისი, 1981-1985.

2. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, I, თბილისი, 1986.

3. ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, II, თბილისი, 1986.

4. ა. ფრონელი (ა. ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, გამომცემლობა „მარიხი“, თბილისი, 1991.

5. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, I, თბილისი, 1993 (მზეკალა შანიძესთან ერთად).

6. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, II, თბილისი, 1993 (მზექალა შანიძესთან ერთად).
7. ი. სიხარულიძე, ომონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1994.
8. რ. ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბილისი, 1995.
9. პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997.
10. ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.
11. ა. ფოცხიშვილი, ქართული ენა, თბილისი, 2000.
12. თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000.
13. ბიბლიის ლექსიკონი, I, 2000.
14. ბიბლიის ლექსიკონი, II, 2000.
15. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბილისი, 2001; II, თბილისი, 2002; თბილისი, III, 2003; IV, თბილისი, 2009.
16. ადიშის ოთხთავი 897 წლისა, თბილისი, 2003.
17. ვ. იმნაიშვილი, უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში, თბილისი, 2004.

ქართველური მნეპი

რუსულან გერსამია

იოტიზაციის საპიტიხისათვის მებრულში

მ, როგორც დისტინქტური ფუნქციის მატარებელი დამოუკიდებელი ფონემა, მეგრულში არ არსებობს, ის მხოლოდ ცალკეულ ფონეტიკურ პოზიციებში დასტურდება როგორც რომელიმე სხვა ფონემის მონაცვლე ვარიანტი, ან კიდევ როგორც გარკვეული ფონეტიკური პროცესის შედეგი. გავრცელებული მოსახერებით, „მ მეგრულში ისე ხშირი არ არის, როგორც ჭანურში. მხოლოდ სენაკური კილოკავის მარტვილურ-ბანძური თქმა აძლევს მას გასაქანს – ლ-ს (ზოგჯერ რ-ს!) დასუსტების პროცესში ვიღებთ მ-ს“ (ჩიქობავა 1936:19).

აუცილებელია: ა) დაზუსტება იმ ფონოლოგიური პოზიციებისა, სადაც ხდება იოტიზაცია; ბ) იოტიზაციის გავრცელების არის დადგენა, სცდება თუ არა იგი სენაკურ-მარტვილური დიალექტის ფარგლებს.

ლ > მ პროცესს პირველად შეეხო ალ. ცაგარელი. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ლ სუსტდება მ-ად განსაკუთრებით ბანძასა და მის მიმდებარე სოფლებში და არაიშვიათად სალიპარტიანოშიც, ანუ ამ პროცესს ლოკალური ხასიათი აქვს (Цагарели 1880, IV). ი. ყიფშიძე ლ > მ პროცესს მონაცვლეობას უწოდებს და ასევე თვლის დიალექტურ მოვლენად (Кипшидзе 1914:010). მისი მსჯელობა ცაგარლისას მიჰყვება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მკვლევარი დამატებით შენიშნავს მ-ის საბოლოოდ დაკარგვას. მას პროცესი ასე წარმოდგენია: ლ > მ > 0 (Кипшидзе 1914:05). შდრ. ლ > ლმ > მ (ქლენტი 1953:346).

ო. ქაჯაიამ დაადგინა ფონეტიკური პოზიციები ამ პროცესისათვის და დაასკვნა, რომ ბანძურში ლ, ყველა პოზიციაში, როგორც თანხმონებთან, ისე ხმონებთან, გვაძლევს მ-ს, ან სრულიად უჩინარდება (ქაჯაია 1957:278). ლ > მ გადასვლას სისტემის სახე აქვს ა, ო, უ ხმონების მეზობლობაში, ხოლო ე ხმონთან იკარგება კიდევ, ანუ დასტურდება პარალელური ვარიანტები: იოტიანი და ნულოვანი. ამ საერთო კანონზომიერებიდან გამონაკლისად მიიჩნევა V₁ლV₂ პოზიცია, სადაც V₁=ე/ი, ხოლო V₂=უ. მოსალოდნელი ელუ/ილუ-ს ნაცვლად გვაქვს ეეუ || იიუ (ქაჯაია 1957:278).

ლ > მ პროცესის გავრცელების არე დღევანდელ მეგრულში გაფართოებულია და იგი მოიცავს არა მხოლოდ ბანძასა და მის მიმდებარე სოფლებს, არამედ მთლიანად მარტვილურს, აგრეთვე სენაკისა და ჩხოროწყუს იმ სოფლების მეტყველებას, რომლებიც ესაზღვრება მარტვილის სოფლებს. თუმცა ლ-ს

დაკარგვის პროცესი ყველაზე მეტად ისევ ბანძასა და მის მიმდებარე სოფლებშია თვალსაჩინო.¹

როცა **ლ > ი** პროცესს ეხებიან, იქვე მიანიშნებენ **რ > ი-ზეც**, თუმცა ამის დასადასტურებლად სულ ორიოდე მაგალითი მოჰყავთ: **ტენირი > ტენიდი** „ტენურა“ (მდინარის სახელწოდება), **მურე // მუდე** „რა არის“ (ჩიქობავა 1936:19); **რ-ს** დაკარგვა ამ გზის გავლითაა ახსნილი **მაჟირა > მაჟია** „მეორე“ ლექსემაშიც, **რ** დაკარგული ფორმის გავრცელების არედ კი სენაკური მიიჩნევა (ჩიქობავა 1936:19).

რამდენად გამოდგება აღნიშნული მასალა **რ > ი** პროცესის მაგალითებად და რამდენად არის მართებული ზოგადად **რ** ფონემის იოტიზაციის საკითხის დასმა მეგრულში?

ტენიდი ფორმის დადასტურება ჩვენ ვერ შევძელით, შესაძლოა, ის იდიოლექტიც იყოს. საზოგადოდ კი ცნობილია, რომ **რ** მეგრულში, ლაზურისაგან განსხვავებით, საკმაოდ მყარი ფონემაა და მისი ინტერვოკალურ პოზიციაში დაკარგვის სულ რამდენიმე მაგალითი გვაქვს: **ჯგურა > ჯგუა**, **მაჟირა > მაჟია**, **ქირონი > ქიონი** (ყლენტი 1953:68; დანელია 2006:55), **ტარია > ტაია** („ტარიელი“ – საკუთარი სახელი) (გ. კარტოზია), მაგრამ არ გვაქვს არც ერთი შემთხვევა, როცა **რ** ერთგვარ ხმოვნებს შორისაა.

რამდენად შეიძლება ჩაითვალოს **მუდე < მურე**-საგან მიღებულად? ზოგადად, ამ საკითხს ლაზურის მონაცემით ხსნიან, რადგან აქ **რ-ს** იოტიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა და მას სისტემის სახე აქვს: **რენ > დენ** „არის“, ანალოგიურია ლაზური – **გადა < გარი** „საჭმელი, პური“, **დერი > [დედი] > დეი** „ადგილი“ – მაგალითებისა (ჩიქობავა 1936:22).

ვფიქრობთ, რომ **მუდე** არასწორად არის სევმენტირებული, იგი ასე უნდა დაიშალოს: **მუდე ან**, უკეთეს შემთხვევაში, ერთად იყოს წარმოდგენილი: **მუდე**.

ი. ყიფშიძე **მუ** კითხვითი ნაცვალსახელის გვერდით მის იოტიან **მუ-ი** "что?" ვარიანტსაც ასახელებს, ხოლო **მუდე** "что такое?" ფორმას ასე შლის: (< **მუდე** + **[ორ]-ე**) (Кипшидзе 1914:019); მას არა აქვს ნაჩვენები გზა, თუ როგორ მივიღეთ იოტიანი ვარიანტი. ი. ყიფშიძეს **მუ-ი/მუ-ი** ფორმები **მუ** ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმაში სახელობითის მონაცვლე ვარიანტებად აქვს წარმოდგენილი, ხოლო **ი/ი** – სახელობითის ალომორფებად გამოყოფილი (Кипшидзе 1914:048). ი. ყიფშიძის ტექსტებში ერთადერთი მაგალითია, რომელიც შემდეგ ტ. გუდავასაც შეუტანია „ქართული ხალხური სიტყვიერების“ I ტომში (გუდავა 1975:291): ჟინოსქუალობაში მაგოროუს, **მუდე** გოკონა გორათინი? (ყიფ. 116₁₋₂) „აზნაურობის მძებნელებს, რა გინდათ, რომ მოძებნოთ“, ამ ტიპის მაგალითებია: **მუდე გოკო?** „რა გინდა?“ **მუდე ულუდე?** „რა ჰქონდა?“ **მუდე აკეთუ?** „რა გააკეთა?“ რომელიც ჩვენ მიერ მარტვილის

¹ ამას ცხადყოფს 2007-2009 წლების ექსპედიციებზე ჩვენი ჯგუფის მიერ მოპოვებული ტექსტები.

სოფლებში ჩაწერილ ტექსტებში დასტურდება. **მუე** ფორმის ქართულ თარგმანად ო. ქაჯაიას მოჰყავს „რა (რაი)?“ **მუე გოკო?** „რა გინდა?“ (ქაჯაია 2001:25). როგორც ჩანს, მეგრული **მუე** არის ძველქართული **რად**-ს ფორმოებრივ-სემანტიკური ეკვივალენტი. არნ. ჩიქობავა მეგრულისათვის **მუე** ფორმის **მუე** ვარიანტს საერთოდ არ განიხილავს და, ცხადია, იგი არც ბრუნვების პარადიგმაში შეაქვს (ჩიქობავა 1936:77).

მუე < **მუე რე**-საგან **რ**-ს დაკარგვით მიღებულად მიგვაჩნია, როგორც ეს ი. ყიფშიძეს აქვს ახსნილი, მაგრამ იოტიანი ვარიანტისთვის ამოსავალია ი-ხმოვნიანი ფორმა: **მუი რე** > **მუე რე** > **მუე**, ჯერ ინტერვოკალურ პოზიციაში **რ**-ს დაკარგვით, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგრულისთვის უცხო არ არის, და შემდგომ **ი** > **ე** გადასვლით.² **მუე** ფორმა სენაკურ-მარტვილური დიალექტის მარტვილურ თქმაშია გავრცელებული, სრულხმოვნიანი **მუე** კი – სენაკურში: „**მუიღუა?**“ – კითხუ ღორონთქ (კარტ. 1928,39) „რა იყო?“ – ჰკითხა ღმერთმა. **მუიღუა** < **მუი რღუა** ასევე **რ**-ს დაკარგვით. საყურადღებოა, რომ ამავე დიალექტში აწმყოს (ახლანდელი დროის) **რე** „არის“ და წარსულდროიან **რღუ** (უწყვეტელი) „იყო“ || **რდას** (აწმყოს კავშირებით) „იყოს“ ფორმებში **რ**-ს, ანუ ძირისეული ფონემის დაკარგვის შემდეგ რჩება მორფემული ელემენტები: **ღუ**, **დას**, **ე**, რომლებიც ენკლიტიკურად მიერთვის სახელებს და არ ახდენს რაიმე ფონეტიკურ გავლენას წინამავალ ხმოვანზე: **ღორონთიე** „ღმერთია“, **კონიე** „კაცია“, **ჯოლორიე** „ძალია“, **მიშიე** „ვისია“, **მინიე** „ვინაა“, **სონიე** „სადაურია“ და ა.შ. ჯიმა **მუსიე** მირაგადუქი ნი (ყიფ. 322; 328) „ძმაო, რასაა, რომ მელაპარაკები“, **მუსიე** პატონი კითხულენთინი (ყიფ. 428; 517) „რასაა, ბატონო, რომ კითხულობთ“, **მართალიე** ღო ვარა ტყურა (გუდ. 19713) „მართალია და ან ტყუილი“, „**მუიღუა?**“ - კითხუ ღორონთქ (კარტ. 1928,39) „რა იყო?“ – ჰკითხა ღმერთმა“.

მაშასადამე, ჩვენი დასკვნით, მეგრულში სონორთაგან მხოლოდ **ლ** გადადის **ღ**-ში, ამ პროცესის გავრცელების არე კი თანამედროვე ენობრივი მონაცემებით სცილდება მარტვილის სოფლებს, იგი არასპორადულად, მაგრამ მაინც ვლინდება მარგინალებშიც. რაც შეეხება ზუგდიდურ-სამურზაყანულს, აქ **რ** და **ლ** ბგერები **ღ**-ში არ გადადის. სამურზაყანულში **ლ** უფრო მყარია და აკუსტიკურად შედარებით მაგარი, ვიდრე მეგრულის დანარჩენ თქმებში (ციკოლია 1954:323).

ი > **ე** გადასვლის პროცესი სხვა ლექსებშიც დასტურდება და არა მხოლოდ აღმოსავლურ, არამედ დასავლურ მეგრულშიც.

ი. ყიფშიძე **ი**-ს იოტიზაციას იშვიათობად მიიჩნევს და მას მხოლოდ ლექსისთვის დამახასიათებლად თვლის, ანუ ლექსში მარცვალთა რაოდენობით ხსნის

² ამ მხრივ საგულისხმოდ გვეჩვენება კიდევ ერთი მაგალითი: **მიღგარენი** > **მიღგენი** / **მიღგენი** / **მიღგანნი** „ვინმე, ვიღაც“ (დასავლურ არეალში). ამოსავლად ორე ზმნური ფორმა ითვლება (Кипшидзе 1914:010), ასეთივე მაგალითებია: **მუღგარენი** > **მუღგანნი** „რალაც“, **ნამღგარენი** > **ნამღგანნი** „რომელიღაც“.

(Кипшидзе 1914:010):³ მუღოს კვარდას არზენს თესგ, მელა ორწყე შორშე ჩესგ (ყოფ. 175₁₄₋₁₅) – „როცა ყვავს აძლევს ამას, მელა ხედავს შორიდან თეთრს“; მელა კვარდას მარს ოვანსგ, ცქუმაღათე გურს ურძღანსგ (ყოფ. 175₁₇₋₁₈) – „როცა მელა მადლობას იხდის, ქებით გუღს უკეთებს“, ძირე მდარო ჯგგერი ღლა ნი, მორჩქილეე ბირა სქანი (ყოფ. 175₂₇)⁴ – „რომ ბევრჯერ ნახო კარგი ღლე, მომასმენინე შენი სიმღერა“. შღრ. გუღავა: ლადტიში ქვირქ ღემელიუ (გუღ. 297₃₃) – „სიმინღის ფქვილი დამელია“; საღანგებას რაგაჯანქო? (გუღ. 171₁₉) – „საღაგლობას (სააუგოს) ლაპარაკობ? ლექსიკონთა მიხედვით: მდარო < მდარო “многo” (Кипшидзе 1914:010), რომელსაც ფონეტიკური ვარიანტები აქვს: მი/დარო || მი/დარე „მაღიან ბევრი, მრავალი“ (ქაჯაია 2002:262,289), საღანგება < საიანგება “дерзoсть”, (Кипшидзе 1914: 010) რომელიც მომღინარეობს იანგეე (ქართ. იგავი) ფორმიდან (იგივე, გვ. 247), საი/ღანგეე „არაჩვეულებრივი, უჩვეულო, მორიდებული, გაბელული“ (ქაჯაია 2002:571). ი. ყიფშიძე იოტიანი ფორმებისათვის ამოსავლად ი-ნმოვნიან ვარიანტებს თვღის. ამავე რივის მონაცვლეობად მიიჩნევს კნინობითის მაწარმოებელი -ია სუფიქსის წინა პოზიციაში ი//ღ მონაცვლეობას: ბაბა-ი-ა || ბაბა-ღ-ა, ნანა-ი-ა || ნანა-ღ-ა ფორმებში (Кипшидзе 1914:019).

ღექსში მარცვალთა რაღღენობით შეიძღებოღა აგვეხსნა ტ. გუღავას პოეზიის ნიმუშებში (გუღავა 1975) დაღასტურებული ისეთი იოტიანი ფორმების არსებობა, როგორებიცაა: ქოღჩქუნო: სი ქოღჩქუნო მოჭარუა „შენ იცი მოწერა?“ (გუღ. 236₄), ეკოღყუნღას: თინეფი ეკოღყუნღას ნი (გუღ. 300₆) „ისინი რომ მოგყებოღნენ“, გემშაღტყურუან, ქეკოღღინუანს: ღიო გემშაღტყურუანს, უკულ ქეკოღღინუანს (გუღ. 305₂₀₋₂₁) „ჯერ შეგიტყუებს, მერე დაგღუპავს“, ვაღბირეზუღას: უკულ ვაღბირეზუღას შხვა მუთუნიშ მოთხირუა (გუღ. 179₁₄) „მერე არ აბირებღე სხვა რამის მოთხონას“, მაგრამ საგუღისხმოა, რომ ის მ. ხუბუას პროზაულ მასალაშიც ფიქსირღება (ხუბუა 1937). მის მიერ ფახუღანში ჩაწერიღი ერთი ტექსტი შეტანიღი აქვს კ. დანელიას „ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“ (მეგრული ტექსტები ტ. II, 1991), და ღ-იანი ფორმაც გაღმოტანიღი აქვს (იხ. ქხს. 258₂₃).

ზემოღღნიშნულ ტექსტურ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ი > ღ ცვლიღება გვაქვს:

1. როცა ზმნას ერთვის ზმნისწინი, ან ეს ზმნისწინი გართუღებულია ნაწილაკით და მის შემადგენლობაში არის გი ფონემური მიმღღვრობა:

ვა-ღ-შაჩინებე (თის თინა „ის მას“) < ვა-ი-შაჩინებე < ვა-გი-შაჩინებე „ვერ გამოიცნობს“: მუმასღთი ვაღშაჩინებე თინეფიშა (ხუბ. 89₇) „მამაც ვერ გაარჩევს მათგან“.

³ ამით აიხსნება ის, რომ ყიფშიძის მასალაში ღ პროზაულ ტექსტებში არ გვხვღება.

⁴ იგავი: კვარია ღო მელა – „ყვავი და მელა“ (Кипшидзе, 1914, X)

გა-ა-წულღ (თიქ თის თინა „მან მას ის“) < **გა-ი-წულღ** < **გა-გი-წულია** „გამოართვიო“: **გააწულღ** ენა ბოშიქ (ხუბ. 1048) „გამოართვა ეს ბიჭმა“.
გააწულღ ე ოსურქ ქუა (ხუბ. 845) „გამოართვა ამ ქალმა ქვა“.

ქე-ა-თოსქიდღ თიქ („მან“) < **ქე-ი-თოსქიდღ** < **ქე-გი-თოსქიდღ** „დარჩა რალაცის ქვეშ“: ბეჭეტიქ **ქე-ა-თოსქიდღ** თულო (ხუბ. 9211) „ბეჭედი ჩარჩა ქვევით“.

გა-ა-თისოფღ თიქ თინა („მან ის“) < **გა-ი-თისოფღ** < **გა-გი-თისოფღ** „გამოიგლიჯა“: დედობიქ ჟირი თომა **გაათისოფღ** (ხუბ. 10319) „დედაბერმა ორი [დერი] თმა გამოიგლიჯა“.

ქა-ა-თირგინგ თიქ < **ქა-ი-თირგინგ** < **ქა-გი-თირგინგ** „რალაცის ქვეშ ტრი-ალით მოძრაობა“: ბოშიქ თულო **ქაათირგინგ** ქუალონც (ხუბ. 978) „ბიჭი გამოძვრა ქვებიდან“.

ამავე რიგში უნდა განვიხილოთ **გიშა-** რთული ზმნისწინით ნაწარმოები ვნებითი გვარის უარყოფითი მიძლეობა: **უ-აშ-უ-გორუო** (ხუბ. 10410) < **უ-გიშა-უ-გორუო** „განურჩევლად“. **გ-**ს დაკარგვითა და **ი** > **ა** გადასვლით. შდრ. ზმნური: **გა-ა-შა-გორუ** თიქ თინა < **გე-გი-შა-გორუ** < **გა-გი-შა-გორუ** „გამოარჩია“.

2. როცა ზმნა არის ობიექტური წყობისა, დვას მეორე პირში და მეორე პირის მორფემა **გ-**ს მოსდევს ქცევის აღმნიშვნელი **ი** მორფემა, ანუ აქაც **გი** ფონემათმიმდევრობა წარმოიქმნება:

გა-ა-წულია (სი თის თინა „შენ მას ის“) < **გა-ი-წულია** < **გა-გი-წულია** „გამოვართვიო“: [სი] დანტკიცება **გააწულია** ღო ის მა ქუწინქია (ხუბ. 884) „[შენ] მტკიცებულება გამოართვიო და იმას მე ვეტყვიო“.

ქე-ა-თინჯირია (სი „შენ“) < **ქე-ი-თინჯირია** < **ქე-გი-თინჯირია** „დაწექიო რალაცის ქვეშ“: ეთი ჯას **ქეათინჯირია** უწუ (ხუბ. 7117) „იმ ხის ქვეშ დაწექიო უთხრა“.

გა-ა-შატყობია (სი „შენ“) < **გა-ი-შატყობია** < **გა-გი-შატყობია** „გამოიპარეო“: თინენს ლურდას თეში ქიმერთია ღო **გა-ა-შატყობია** (ხუბ. 6825) „იმათ რომ ეძინოთ ისე მიდიო და გამოიპარეო“.

ქო-ა-ჩქენიადა (სი თინა „შენ ის“) < **ქო-ი-ჩქენიადა** < **ქო-გი-ჩქენიადა** „თუ იციო“: მუს იჩიებუნა თინეფინ ქომიწი, **ქოაჩქენიადა** (ხუბ. 8812) „რას ამბობენ ისინი, მითხარი, თუ იციო“.

ქილა-ა-ნჯირუანქია (სი მა თის „შენ მე მას“) < **ქილა-ი-ნჯირუანქია** < **ქილა-გი-ნჯირუანქია** „ჩაგვიწვენო“: დოუნიშნგ ძლაბიქ ბერს აბანაში ულა ღო თექ **ქილანჯირუანქია** – უწუ (ხუბ. 744) „დაუნიშნა გოგომ ბერს აბანოში წასვლა და იქ მოგიწვენო – უთხრა“.

ქო-ა-წინა (სი თინეფი თის „შენ ისინი მას“) < **ქო-ი-წინა** < **ქო-გი-წინა** „გეტყვიან“: თიმწკემა მინილი სი ღო **ქოაწინა** მუ ქიმიხე (ხუბ. 10233) „მაშინ შედი შენ და გეტყვიან, რა ქნა“.

ქო-ღ-ღუდას (სი თინა „შენ ის“) $<$ **ქო-ი-ღუდას** $<$ **ქო-გ-ი-ღუდას** „გქონდეს“: ათე ჩქიმი სატევეარი სი **ქოღუდას** (ხუბ. 102₁₀) „ეს ჩემი სატევეარი შენ გქონდეს“.

მ. ზუბუას ტექსტიდან მოყვანილი მაგალითების გაგრძელება შეიძლება ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან, ზეპირი მეტყველებიდან: **მე-ღ-ღუ** „მიგაქვს“, **გო-ღ-ჯოგუ** „შეგაძულა“, **გო-ღ-რზე** „გაგვიძლებს“, **გო-ღ-ტებე** „გაგვიშვია“ **ქო-ღ-ქიმიზე** „გაგვიკეთებია“, **გო-ღ-ჭკირე** „გაგვიჭრია“, **ღო-ღ-ხანტე** „დაგინატავს“, **ღო-ღ-ჭარე** „დაგისწორია“. ყველა ფორმისათვის ამოსავალია **გ-** ფონემიანი ფორმა. აღნიშნულ პროცესს მეგრულში სისტემის სახე აქვს.

საინტერესოდ გვეჩვენება ერთი მაგალითი, რომელიც დადასტურებულია გ. კარტოზიას მიერ ზემო ნაქალაქევეში (სენაკი) 1949 წელს ჩაწერილ ზღაპარში: თე მუში დაში ჩქვას **ქიგოსხაპუ** ღო ვიშ(ო) ღოღურუ (კარტ. 1924), „ამ თავის ღის ეშვს დაახტა და მოკვდა“. აღნიშნული მაგალითი არც ერთ ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ კლასიფიკაციას არ მისდევს.

ქი-გ-ღ-ოსხაპუ $<$ **ქო-გე-ო-სხაპუ**, სადაც **გე-** ზმნისწინის ვოკალური ელემენტის დიფთონგიზაცია მომდევნოდ მდგომმა **ო** ფონემამ განაპირობა: **ე + ო > ო**, ანალოგიურია **ე + ა > ა** პროცესიც. ზოგადად, **ე** ან **ე-ზე** დამთავრებული ზმნისწინების შემდეგ ხდება იოტიზაცია, რომელიც წარმოშობს **-ეო**, **-ეა**, **-მო**, **-მა** მიმდევრობებს: **ქი-მ-ღ-ოსხაპუ**⁵ „მიახტა“, **ქი-მ-ღ-ოჭირინუ** „მიაწოლა“, **ქი-გ-ღ-ანჯირუ** „დააწვა“, **ქი-გ-ღ-ანწყუ** „დაეჩვია“, **ქი-გ-ღ-ოჭყუ** „დაიწყო“, **ქი-გ-ღ-აჯინუ** „დააკვირა“ და ა.შ. მაგრამ დაჩნდება არა მხოლოდ **გ** ფონემის, არამედ **მ-ს** შემდეგაც: სო **ვემღოხე** სქანი ნალ? (გუდ. 157₂₅), „სად არ ატყვია შენი ნავალი“. ანალოგიურია **ქი-მ-ღ-ანჯირუ** „მიაწვა, მიუწვა“, **ქი-მ-ღ-ანწყუ** „შეეწყო“, **ქი-მ-ღ-აჯინუ** „მიხედა“.

როგორც პროზაულ ტექსტებში, ისე პოეზიის ნიმუშებში **ი > ე** პროცესის მაგალითებიც დასტურდება: ა) ზმნიზედები: **ემაზ** (ხუბ. 90₂₁) $<$ **ემაზ** „იქამდე“ **ამაზ** (ხუბ. 91₂₀) $<$ **აიმაზ** „იქამდე“. ბ) მარტივი **ე-** ზმნისწინით ნაწარმოები ზმნები: **ეოფუმე** (ხუბ. 92₃) $<$ **ეოფუმე** „აავსო“, **ეჯუმანს** $<$ **ეიჯუმანს** „არჩენს“, ან მათგან ნაწარმოები მომავალდროიანი ვნებითი გვარის მიმღობები: **ეოჯუმალარო** (გუდ. 216₂₉) $<$ **ეიოჯუმალარო** „სარჩენად“; **ეოფუმაფალო** $<$ **ეიოფუმაფალო** „ასავსებად“.

რაც შეეხება **შ > ღ** გადასვლის ფაქტს, იგი შენიშნულია ჯერ კიდევ ალ. ცაგარელთან (Цагарели 1880:62) და ი. ყიფშიძესთან, ეს უკანასკნელი მას მხოლოდ კომპოზიტათვის დამახასიათებელ პროცესად მიიჩნევს (Кипшидзе 1914:020). მოგვიანებით ვრცლად შეეხო ამ საკითხს ე. ლომთაძე თავის სტატი-აში „მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში“ (ლომთაძე 1954, VI), მკვლევარმა მოვლენა განაზოგადა ნათესაობითი დასმული მსაზღვრელისათვის და დაასკვნა: „მეგრულში საზღვრულის წინ ემფატიკური **ღ** ჩამოცლილი მსაზ-

⁵ მაგალითები მოყვანილია ჩვენ ექსპედიციების მასალიდან.

ღვრელის ფორმანტიისეული -შ საკმაოდ ხშირად სუსტდება **ღ-ად**, ხოლო ხშირ შემთხვევაში საერთოდ იკარგება“ (ლომთაძე 1954:220, 223). ანუ მეგრულისათვის პროცესი ასე წარმოგვიდგინა: **შ > ღ ან შ > ღ > 0**, ხოლო ქართველურ ენათა მასალაზე დაკვირვებით დაასკვნა, რომ „საზღვრელის წინ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელის ფორმანტიისეული თანხმოვნების **ს, შ-ს** დაკარგვა ქართველური ენების განვითარების საერთო ტენდენციას წარმოადგენს. ეს ტენდენცია მაქსიმუმამდე შეზღუდულია ნორმათა ყალიბში მოქცეულ სალიტერატურო ქართულში, სამაგიეროდ, ფართო გასაქანს პოულობს ქართულის არანორმირებულ ცოცხალს კილოებსა, ზანურსა და სვანურში“ (ლომთაძე 1954:230).

შ, ს დასუსტებისა და დაკარგვის უმთავრეს მიზეზად მსაზღვრელ-საზღვრელის თავისებური განლაგება მიიჩნია. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „მორფოლოგიური ფორმანტის ფუნქციას შესიტყვეებაში სინტაქსური წყობა, უფრო ზუსტად, მსაზღვრელის ადგილი ასრულებს; აზრის სწორად გაგებისათვის მისი ადგილიც საკმარისია; ნათესაობითის აფიქსის საჭიროება არ იგრძნობა. ამის შედეგია მისი მოღუწება: მეტყველი არ მიიჩნევს აუცილებლად მის გამოკვეთით წარმოთქმას. შედეგად წინაენისმიერი ნაპრალოვანი **ს, შ** ჯერ **ღ-ს** სახეს იღებს, ხოლო შემდეგ სრულიად იკარგება“ (ლომთაძე 1954:230).

ე. ლომთაძის თვალსაზრისით, **შ-ს** დაკარგვა მხოლოდ და მხოლოდ მსაზღვრელის ნათესაობითისეული **შ-ს** ხვედრია (ლომთაძე 1954:231), მაგრამ გამოყოფს ცალკეულ შემთხვევებს, როცა სუსტდება არა ნათესაობითის, არამედ სხვა კვალიფიკაციის მქონე -**შ** ფონემა, ის ასახელებს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: **ურაში > ურაღ** „უფროსი“, **ჯვეში > ჯვეფ** „ძველი“, **ოში > ოფ** „ასი“ (რთულ რიცხვით სახელებთან გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციებში), **ბოში > ბოფ** „ბიჭო“, **აშო / აში > აფ** „აქეთ“. იოტიანი ფორმები სენაკურის კუთვნილებაა (ლომთაძე 1954:237-239).

1. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, **ურ-აში-ი** და **ჯვე-ეში-ი** ფორმაში **შ** არ არის ნათესაობითის აფიქსი, მისი ვარაუდით, ბოლოკიდური **ი-ს** დაკარგვის შემდეგ **შ-ს** დასუსტებით მივიღეთ **ღ**. **ურ-აში-ი** ნაწარმოებია ხარისხის მაწარმოებელი **ურ-აში** ცირკუმფიქსით, რომელიც ქართული **ურ-ეს-ის** შესატყვისი მორფემაა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ **ურაში** ფორმის სემანტიკა ხდება ასე: **ურ-ა-ში-ი, უ-ა-ში** ფორმანტი ზუსტი შესატყვისია ძველქართული **ურ-ე-ღ-ის** ფორმანტისა, სადაც ე წყვეტილის მაწარმოებელია (შანიძე 1923:410) და ა-ს შესატყვისი, **-ღ-ს** ნათესაობითის ნიშანი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:307) და **შ-ს** ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტი. ვფიქრობთ, ნათესაობითის ისტორიული ფორმანტიისეული **შ** გადავიდა **ღ-ში**. ანალოგიურად უნდა აიხსნას მეორე მაგალითიც. კერძოდ, **ჯვე-ეში-ი** ფორმაში **ჯვე-** ძირეული მორფემა კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ძვე-** (**ძველ-ი**) [იმავე მნიშვნელობით ლაზ. **ჯვე-** (**მ-ჯვე-ეში-ი** // **ნ-ჯვე-ეში-ი** // **მ-ჯვე-ე**), სვან. **ჯუ-** (**ჯუ-ინ-ელ**)] ძირისა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:625). თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ მეგრულ-ლაზური **-ეში** დიაქრონიულად ნათესაობითის მორფემაა, რომლის ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტია ქართ. **-ელ-იც** (< ***ენ**) (თოფურია 1941:194), მაშინ

შეიძლება დავასკვნათ, რომ აქაც ისტორიული ნათესაობითის ფორმანტიკული შ-ს იოტიზაცია მოხდა, რომელიც მისი ნათესაობითის მორფემად გააზრებამ, კერძოდ, მეტყველის ქვეცნობიერში არსებულმა ტენდენციამ გამოიწვია.⁶

თუმცა შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ ეს ასეა, მაშინ რატომ არ არის შ > ღ გადასვლა რეალიზებული ანალოგიურად ნაწარმოებ ფორმაში უ-კულ-აში „უმცროსი“? შ > ღ პროცესს აქ შეიძლება ხელი შეუშალა ლ სონორის არსებობამ, რადგან მარტვილურში ლ > ღ პროცესი უფრო სისტემურია: უკუაში ბუნებრივი ფორმაა ამ არეალისათვის, ხოლო დამატებით შ-ს იოტიზაცია სემანტიკის გაბუნდოვანებას გამოიწვევდა (ასევე უნდა აიხსნას უხოაში < უხოლაში „უახლესი“).

ზოგადად, ვფიქრობთ, უფროობითი ხარისხის ფორმებთან მიმართებითაც შეიძლება დაისვას უ-აში- ცირკუმფიქსიკული შ ელემენტის იოტიზაციის საკითხი მისი ეტიმოლოგიის, ნათესაობითის მორფემისეული წარმოშობის გამო. აღნიშნული თეორიულად დასაშვებია, მაგრამ მასალის სიმცირე ჯერ კიდევ არ გვადლევს დასკვნების საშუალებას, ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი დაკვირვებას მოითხოვს ტექსტების ჩაწერის დროს. უჭიფაა შარა ვამიძირუ < უჭიფაში შარა ვამიძირუ, უსქამაა < უსქამაში „ულამაზესი“, უჭიჭაა < უჭიჭაში „უმცირესი“, უნწარაა < უნწარაში „უმწარესი“, ურჩიაა < ურჩიაში „უთეთრესი“, უჭითაა < უჭითაში „უწითლესი“ და მისთანანი თეორიულად სავარაუდო ფორმებია.

2. არანათესაობითის შ-ს იოტაში გადასვლის მაგალითია ოში „ასი“ რიცხვითი სახელით ნაწარმოები რთული რიცხვითი სახელები, როცა ღ-ს დაკარგვის შემდეგ შ ექცევა სპირანტების ჟ, შ-სა და ს⁷-ს მეზობლობაში: ოფიური > ოში(ი)ფიური „ას ორი“, ოფსუმი > ოში(ი)სუმი „ას სამი“, ოფშქითი > ოში(ი)შქითი „ას შვიდი“ და ა.შ.

3. რაც შეეხება აში/აში ლექსემებს. ამათგან აში ლექსემის იოტიზირებული ვარიანტი დასტურდება სენაკურ-მარტვილურში. ე. ლომთაძის აზრით, აა < აში < აში, სადაც „ამოსავალ ფორმათა ძირეული მასალას ა წარმოადგენს“, ხოლო -ში//-(ი) მიჩნეულია „აფიქსისეულ მასალად“, კერძოდ, დანიშნულებითი ბრუნვის მაწარმოებლად და ოდინდელი ნათესაობითის ბრუნვის ნიშნად.

ვფიქრობთ, ა დეიქტური ნაწილაკია, რომელიც პირველ პირთან საგნის მყოფობას გამოხატავს (თოფურია 1941:194; კიზირია 1982:233), შდრ: აში „აქეთ“ - იში „იქეთ“, აში⁸ „აქეთ“ - იში „იქეთ“, აში „ასე“ - ეში „ისე“. ამასთან, აა შეიძლება მივიღოთ მხოლოდ და მხოლოდ აუსლაუტში ი ფონემიანი აში ვარიანტიდან, ვფიქრობთ, ინტერვოკალურ პოზიციაში შ-ს დაკარგვით და

⁶ შდრ.: „შ-ს მოკვეთა ამ ფორმებში ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელებთან ანალოგიის შედეგი ჩანს“ (ლომთაძე 1954:238).

⁷ ეს უკანასკნელი ე. ლომთაძის სტატიაში შეტანილი არ არის, თუმცა მაგალითები მოყვანილია.

⁸ ომონიური ფუძეა, მისი მონაცვლე იოტიზირებული აა ვარიანტი ორივე სემანტიკით გვხვდება.

შემდგომ ი > დ გადასვლით. ვინაიდან, დანიშნულებითის -იშო(თ) მორფემაში ო-ს წინ შ არ გადადის დ-ში, ამდენად, არც აშო ფორმაშია მისი გადასვლა მოსალოდნელი.

რაც შეეხება იოტიზაციის გავრცელების არეალს, როგორც ე. ლომთაძე აღნიშნავს, ზუგდიდურ-სამურხაყანულ მეგრულ ტექსტებში, მიუხედავად მათი შედარებით დიდი რაოდენობისა, შ-ს დ-ად დასუსტება არსად შეინიშნება, თუმცა გამოთქვამს ვარაუდს, რომ ის აუცილებლად იქნებოდა და ტექსტებში მათ არარსებობას ჩაწერის მიზეზით ხსნის (ლომთაძე 1954:226). ჩვენი ჯგუფის მიერ 2007-2009 წლების ექსპედიციებზე მოპოვებულ ზუგდიდურ-სამურხაყანულ დიალექტურ მასალაში კი შ > დ პროცესის ამსახველი არცერთი ფორმა არ დასტურდება, სამაგიეროდ ის საკმაოდ მრავლადაა სენაკურ-მარტვილურ მასალაში.

ამდენად, იოტიზაცია ახასიათებს მთლიანად მეგრულს, მაგრამ ეს პროცესი არაერთგვაროვანია დიალექტთა მიხედვით, კერძოდ, სენაკურ-მარტვილურში ერთნაირად დასტურდება როგორც ლ > დ და შ > დ პროცესები, ისე ი > დ, როცა ზუგდიდურ-სამურხაყანულისთვის მხოლოდ ეს უკანასკნელია დამახასიათებელი.

ლიტერატურა

გულაია 1975: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გულაიამ, თბილისი.

დანელია 2006: კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბილისი.

თოფურია 1941: ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, №1-2, 1941.

კიზირია 1982: ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი.

ლომთაძე 1954: ე. ლომთაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, იკე, VI, თბილისი.

ჟღენტი 1953: ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე, შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი.

ქაჯაია 1957: ო. ქაჯაია, ლ ფონემისათვის მეგრულის მარტვილურ-ბანძურ თქმაში. პედ-ინსტიტუტის შრომები, III, 1957.

ქაჯაია 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

შანიძე 1923: ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო: ტუმ, II, ტფილისი.

ჩიქობავა 1936 არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფილისი.

ციკლია 1954: მ. ციკლია, მეგრულის სამურზაყანულ-ზუგდიდური კილოკავის ფონეტიკური მიმოხილვა, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შრომები, ტ. XXV, 1954.

Кипшидзе 1914: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб.

Цагарели 1880: Ал. Цагарели, Мингрельские эпюды, вып. I. Мингрельские тексты с переводом и объяснениями, СПб.

შემოკლებები:

გულ. – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ, თბილისი 1975.

ლოლა ნანა – ლოლა ნანა (ლოლა ჯგერენაიასაგან მ. თოდუას მიერ ჩაწერილი მეგრული (მარტვილური) ტექსტები), შეადგინა ლ. ბასილამ, თბილისი 2007.

კარტ. – გ. კარტონია, მეგრული და ლაზური ტექსტები, თბილისი 2008.

ყიფ. – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб 1914.

ხუბ. – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბილისი 1937.

Rusudan Gersamia

About Iotization in Megrelian

Summary

j, as an independent phoneme, doesn't exist in Megrelian. It is confirmed only in certain phonetic positions either as the allophone of another phoneme or the result of the certain phonetic process. The transition processes **l > j**, **i > j**, **š > j** should be singled out.

1. The transition **l > j** in the neighbourhood of the vowels **a, o, u** is systematic, but **e** is lost neighbouring a vowel: **l > j > 0**. In modern Megrelian the indicated process exceeds the boundaries of Bandza and the adjacent villages and embraces the whole Martvili. Moreover, it is becoming widespread in the speech of Senaki and Chkhorotsku villages neighbouring Martvili villages. The examples validating this process can't be found in Megrelian. **muje** "What is" doesn't act as the example in this case, as **muje < muj + re < mui + re** "what is" is the result of the loss of **r** in the position between vowels. Besides, it is due to the transition of the morpheme **i**, denoting the nominative of the interrogative pronoun, into **j**: **i > j**, next to which the phoneme **e** is added to the **muj || mui** interrogative pronoun enclitically.

2. **i > j** process is not determined only by the number of syllables in a poem. The observation on the text material confirmed that there exists the change **i > j**: a)

when a compound preverb is added, the verb or this preverb is complicated by the particle and there is **gi** phonetic sequence; b) when the verb is of the object structure, it is in the second person and **g** morpheme is followed by the **i** morpheme of the subject or object version; c) the diphthongization is due to the existence of **o** phoneme after the preverb **e-**: **e + o > jo**, which causes palatal sequences **ejo-**, **jo-**.

3. **š > j** or **š > j > 0** is the quality of the substantive determiner, the genitive morpheme **š** moves into **j** both in compounds and common collocations with almost no exceptions. The indicated process is characteristic of all Kartvelian languages. Thus, it represents a common Kartvelian phenomenon. There are some exceptions: **učaši > učaj** “elder”, **žveši > žvej** “old”, **oši > oj** “hundred” (with compound numerals in certain phonetic positions), **boši > boj** “boy” (vocative), **ašo / aši > aj** “over here”, in whose structure the iotization of the **š** phoneme is interpreted in a different way (Comp. E. Lomtadze).

On the basis of the published text material and our field trip entries it is established that iotization is characteristic of the whole Megrelian, but this process is not uniform according to the dialects, in particular, **l > j** and **š > j** processes, as well as **i > j** processes, are confirmed in Senakian-Martvilian. On the other hand, only the latter is characteristic of Zugdidian-Samurzakanoan.

მცენარეთა სახელები ქართულში: „კოწახური“

ზურაბ სარჯველაძემ ქართ. *კოწახურ-კოწახური*: მეგრ. *კორწოხულ-კორწოხული*-ი „კოწახური“ ფუძეების შეპირისპირების საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგინა **კოწახურ*- არქეტიპი (სარჯველაძე 1999:127). *კოწახური* დასტურდება სულხან-საბას ლექსიკონში. შესაძლოა, ქართული *კოწახურ*-ის შესატყვისი იყოს მეგრული *კორწოხულ*- (<**კორწოხურ*-დისიმილაციის შედეგად. *რ* მეგრულში განვითარებულია. *კორწოხური* < *კორწოხური*). ცხადია, რომ *კოწახურ*- ფუძეა, ოღონდ მისი შემდგომი სეგმენტაცია ჯერჯერობით არ ხერხდება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

ა. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონში *კოწახურ*- ფუძისთვის შემდეგი ფორმებია წარმოდგენილი: *კოწახური* (Berberis) ფშ. *კეკლძმარა*; ხევს. *ესკალძმარა*; მთ. *კოწახური*; რაჭ. *კვანახური*; ლაზ. *კაწახური*; მეგრ. *კორწოხული*; სვან. *გვანხირ*, *ვოწხირ*.

ქართველურ ენებში *კოწახურ*-, *კვანარახ*-, *კოწახ*- ფუძეთა შემდგომი სეგმენტაციისა და სემანტიკის ახსნას ეძღვნება გ. თოფურიას გამოკვლევა (თოფურია 1994:7-8; 2003:120-131). მისი აზრით, იმთავითვე არსებობდა ორი პარალელურად ნაწარმოები ფუძე: *კოწ-ახ*- (||*კვან-ახ*) და *კოწ-არ*- (||*კვან-არ*-) – მნიშვნელობით „მჟავა“. ეს ფუძეები შემდგომში ახალი სიტყვათწარმოებისათვის (-*ახ* და -*არ* სუფიქსებით) იქნენ გამოყენებულნი: *კოწ-ახ-ურ*-ი, *კვან-არ-ახ*-ი... ამავე ფუძეებთან ახლოს დგას *კაწ-ახ*-იც, რომელიც მკვანე, უმწიფარი ხილის მნიშვნელობას, სიმჟავის ცნებას გამოხატავს. გ. თოფურია გამოთქვამს ვარაუდს, რომ -*ახ* სუფიქსიან ფორმასთან (კოწ-ახ-) მცენარისა და ნაყოფის სახელწოდებაა დაკავშირებული, ხოლო -*არ* სუფიქსიან ფორმასთან (კოწ-არ) – მისი პროდუქტისა. რთული, კომპოზიტური შედგენილობისა უნდა იყოს სიტყვა *კოწახნი/კოწამხნი*: *კოწ-მახ*- < *კოწ-ა-მახ*- < **კოწ-ახ-მახ* (შდრ. *მხე* „მოტკობი მჟავა“, „მომჟავო“ – სულხან-საბა ორბელიანი).

ქვემოთ წარმოვადგენთ მეგრულის გამოცემულ ტექსტებსა და ლექსიკონებში *კორწოხულ*- ფუძისთვის დადასტურებულ მასალას: სუმი ბერწული და სუმი *კორწოხული*: – სამი ბროწეული და სამი კოწახური. || გადატ. მწარე, მწარე ენის მქონე (ხუბუა 1937:211).

კორწოხოლიჯგუა ნინა მილაძე – კოწახურივით (ძლიერ მწარე) ენა უღევს (პირში). შდრ. ხევს. *კოწახი* ძლიერ მჟავე (ჭინჭარაული 1960:194). ლაზ. *კაწახური* კოწახური (მაყაშვილი 1961), *კორწოხული*, *კვანარახი* – *კვანარახი*, *კოწახური* (ჭარაია 1997). *კორწოხური*, *კვანარახი*, *კოწახ* (ქართ. *კვანარახი*) ტყის ტყემლის (ცომური) საწებელი; ჩუბ. *კოწახი*, *კაწახი*, *კოწამახი* – ძალიან მჟავე, მკვანე (Кипшидзе 1914; ქაჯაია 2002).

ვფიქრობთ, ამ მცენარის აღმნიშვნელ ქართულ-ზანურ სახელთა რიგში უნდა განვიხილოთ სვანური ფუძეც: **გოწხირ** (-იმ, -ვლ ბზ., ლნტ., -არ ბქ., -ალ ლაშხ.) – **კოწახური**. შუქანს ხუჯა გოწხირ წუა (ბზ.) – სვანეთში ბევრი კოწახურია. ცხეკისგა მენწირდ ხაგ **გოწხირ** (ბქ. 70) – ტყეში ბლომდაა **კოწახური**. **გოწხირ** (ლაშხ., ხორ. 7) – კოწახური (თოფურია, ქალღანი 2000).

გოწხირ ლეჩხ. „კვაწახური“, барбарисъ. Сваны употребляют въ хдѣ зерна, а также листья изъ-за кислоты. **გოწხირ გიმშ** (ლენჯერს), ალ ბალახს დამბალ კელ ხარ კელლეჟა თხუძულარ ი ჩუბაუ ბალღლარ – **კოწახური** მიწისა (მცენარეა ერთგვარი), ამ ბალახს დაბალი ღერო აქვს, ღეროზე თავები გამოსდის და ქვემოთ – ფოთლები (ონიანი 1917).

აღსანიშნავია, რომ სვანურში **გოწო ვისგ** – მაჟალო ვაშლი (მაყაშვილი 1961) ამ ძირის „მკვახე“, „მჟავე“ ცნებასთან კავშირს მიუთითებს.

სვანურის თავკიდური მჟღერი **გ**-ველარი ქართულის მკვეთრი **კ**-ველარის შესაბამისად სვანურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა (შდრ. ქართ. **კაკ**-სვან. **გაკ**), ისევე როგორც ფუძის შეკუმშული სახით წარმოდგენა.

ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის თვალსაზრისით ორ ყრუ თანხმოვანთაგან ერთს შეიძლება დისიმილაცია მოუვიდეს და გამჟღერდეს, რასაც **გ**-ახვლედიანმა დისიმილაციური გამჟღერება უწოდა. ყრუ ბგერათაგან შეიძლება ორივე ერთნაირი იყოს (**კრკო** – **გრკო**), შეიძლება – სხვადასხვა (**პატარა** – **ბატარა** დიალექტ.). ისტორიულად ცნობილია აგრეთვე **კაბარჭი-ც** და **კაბარჭი-ც** (**კ-პ > კ-ბ**); **ჭაპუკი-ც** და **ჭაბუკი-ც** (**პ-კ > ბ-კ**). დისიმილაციური გამჟღერების შედეგია **პატ(რ)ონ-ისგან წარმომდგარი ბატონ-ი** (**პ-ტ > ბ-ტ**).

ამავე მოვლენამ სვანურში **კოწახურ**-ისგან **გოწხ**-ის მოგვცა (**კ-წ > გ-წ**), და **ლა-კურკა**-საგან **ლა-გურკა** მივიღეთ (**კ-კ > გ-კ**). შდრ. **ლაგურკა** წმ. კვირიკეს საყდარი კალაში (შანიძე 1973:§27ა). სვანური ფონოტაქტიკა უძველეს ვითარებას ასახავს (მელიქიშვილი 1999; 2000). ვფიქრობთ, დასახელებულ ქართულ და ზანურ ფუძეებს უნდა დაემატოს სვანური **გოწხირ**- ფუძეც და საერთო-ქართველურ დონეზე ამ მცენარის სახელის არქეტიპად აღვადგინოთ არა ***კოწახურ**-, არამედ ***გოწახურ**- ფუძე.

ამრიგად, ქართ. **კოწახურ**:- მეგრ. **კორწოხულ**:- სვან. **გვაწხირ**-, **გოწხირ**- ფუძეების შეპირისპირების საფუძველზე საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება ***გოწახურ**- „კოწახური“ ფუძე.

ლიტერატურა

გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი 1994.

თ. გამყრელიძე, **გ. მაჭავარიანი**, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი 1965.

ტ. გუდავა, ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე ტ. XXV, 1, თბილისი 1960.

- კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი 2001.
- თოფურია 1994; 2003. გ. თოფურია, ქართველურ ენათა ლექსიკიდან, კოწახური, კვაწარახი, კოწმახი, ბ. ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი.
- მაყაშვილი 1961: ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.
- მელიქიშვილი 1999: ი. მელიქიშვილი, აღდგება თუ არა აქცესიური კომპლექსები საერთო-ქართველურში?, ენათმეცნიერების საკითხები, I, 1999, თბილისი.
- ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი 2007.
- ონიანი 1917: არს. ონიანი, ხეებისა და მცენარეების სვანურ სახელთა ლექსიკონი, პეტროგრადი.
- ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი 1993.
- სარჯველაძე 1999: ზ. სარჯველაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილოლოგიების II სამეცნიერო სესია (მასალები), თბილისი.
- ფენრიზი, სარჯველაძე 2000. პ. ფენრიზი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
- ქაჯაია 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- შანიძე 1973: აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
- არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი 1938.
- ჭარაია 1997: პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- ჭინჭარაული 1960: ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, ნაწილი II, ხევსურული დარგობრივი ლექსიკა, თბილისი.
- ხუბუა 1937: მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი.
- Кипшидзе 1914: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (Иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Петербург.
- Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, Москва 1964.
- Марр Н. Я., Яфетические названия деревьев и растений (pluralia tantum), I-III, ИАН, Санкт-Петербург 1915.

Marine Ivanishvili

Proto-Kartvelian Plant Names: "*koc'axuri*"(Lat. berberis)

Summary

According to the phonemic correspondences between the Kartvelian languages (Georg. *koc'axur-*: Megr. *korc'oxul-*) steam **koc'axur-* has been reconstructed for common Zan-Georgian by Z. Sarjveladze. We added to this correspondence a Svanian steam **goc'xir-* with the same meaning and reconstructed **goc'axur-* steam for the Proto-Kartvelian level.

Thus, **goc'axur-*: Georg. *koc'axur-*: Megr. *korc'oxul-*: Svan. *goc'xir-* "berberis".

პახტანზ იმნაიშვილი

**მრჩობლი ხმოვნების მართლწერასთან დაკავშირებული
ზოგიერთი საკითხი**

ქართულში არაიშვიათად გვხვდება მიჯრით მდგომი ორი ერთნაირი ბგერა – ხმოვანიც და თანხმოვანიც, ე.წ. მრჩობლი ბგერები. ეს იყო ჩვენი მწერლობის გარიჟრაჟზე და მას ვხვდებით დღესაც. როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ სიტყვებში ორი (ზოგჯერ სამი) ერთნაირი ბგერის გვერდიგვერდ შეყრისას ჭრელი სურათი გვაქვს. ერთნაირი ბგერები ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით უმტკივნეულოდ ძლებს, ზოგჯერ (უფრო ნაკლებად) ხდება მათი შერწყმა (ან ერთის დაკარგვა).

პარალელური ფორმების შესახებ აღნიშნავენ: „ენაში ამჟამად დიდი სიჭრელეა. სწორი ფორმების გვერდით ბგერია უმართებულო ფორმებიც და მათ გარდა კიდევ ე.წ. ვარიანტული, პარალელური ფორმებიც, როგორცაა მაგ., **კალათი** და **კალათა**, **შვინდი** და **შინდი**... და მისთ. ვარიანტული ფორმები ენის ლექსიკის სიმდიდრეს არ წარმოადგენენ. ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორთოგრაფიული ლიბერალიზმის შედეგია. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი ენის ნორმების დარღვევისა ამ ვარიანტული ფორმების არსებობაცაა, ვინაიდან მათი ფაკულტატიური ან ნებისმიერი ხმარება შეიძლება გახდეს მიზეზი ენის ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებისა.

ენის ნორმების დაცვა პირველ რიგში მოითხოვს წერის ნორმების, ორთოგრაფიის ზუსტად დაცვას. წერის კულტურა კი იმიტომდა განსაკუთრებული მნიშვნელობისა, რომ ყოველი ახალი თაობა წიგნის მეშვეობით ეუფლება შალიტერატურო ენას“¹

თუ წავუყრუეთ, ეს ჩვენს ენას სიკეთეს არ მოუტანს.

ქართული ენისათვის არაა დამახასიათებელი ერთმანეთის გვერდით ორი ერთნაირი ბგერის **უ ფ უ ნ ქ ც ი ო** ხმარება. თუკი ასეთი რამ მაინც გვხვდება აქა-იქ, ის გვიანდელი წარმოშობისად არის მიჩნეული (მაგალითად გამოგვადგება **ჩჩვლი** და **თთუე**²). როცა თითოეული ამ ბგერათაგან რაღაც როლს ასრულებს, რაღაცის მაჩვენებელია, რაღაც დანიშნულება აქვს, მაშინ ორი კი არა, შეიძლება სამი ბგერაც კი აღმოჩნდეს გვერდიგვერდ: გააანალიზა, შეეერთებინა...

¹ **ა. კობახიძე**, როგორ ვიცავთ ქართული ენის ნორმებს, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XI, 1998, გვ. 69.

² **ი. ყიფშიძე**, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტუმ, №1, 1919-1920, გვ. 3; **ვ. თოფურია**, ფონეტიკური დაკვირვებები ქართველურ ენებში. I, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: „მიმოხილველი“, 1926, გვ. 216-217.

როდესაც სიტყვა სხვა ენიდანაა შემოსული, ორიგინალურ დაწერილობაში მიჯრით მდგომი ასოები ქართულში, თუ თანხმოვნებთან გვაქვს საქმე, როგორც წესი, არ გადმოდის, ხოლო ხმოვნები, ძირითადად, წყვილად რჩება. რა თქმა უნდა, ორივე შემთხვევაში არცთუ იშვიათად გვხვდება გამონაკლისები („სოვრემენიკი“, ზელანდია...). დღეს მინდა მხოლოდ მიჯრით მდგომ ხმოვნებზე შევაჩერო თქვენი ყურადღება, თანხმოვნების შესახებ სხვა დროს მექნება საუბარი.

ჯერ აჯობებს, უფრო მარტივი საკითხი, კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანიც, განვიხილოთ – უცხოურიდან შემოსულ სიტყვებზე ვიტყვი მოკლედ.

ზემოთ აღვნიშნე, რომ უცხოური ენებიდან შემოსულ სიტყვებში გვერდი-გვერდ მდგომი სიტყვებში, ძირითადად, ტრადიციას უწევენ ანგარიშს, თორემ მრჩობლ ბგერებს რაიმე დანიშნულება გადმოქართულებულ ვარიანტში არა აქვს.

მრჩობლი ხმოვნების ხმარება განსაკუთრებით გავრცელებულია ესტონურში, ჰოლანდიურში, ფინურში, იაპონურში... ამგვარი ფორმები, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად სხვა ენებშიც გვხვდება. ამ ქვეყნებიდან შემოსულ სიტყვებში მრჩობლი ხმოვანი მეტწილად შენარჩუნებულია, დედნის ანალოგიურად გადმოდის, თუმცა ამ ბოლო დროს ეს წესი ყოველთვის არ არის დაცული. პირველის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ აახენი, ჰაავა, მასტრიხტი, საარბრიუკენი, სერვანტეს საავედრა (Cervantes Saavedra), შპრეე, ფერია, ზელორფი, აბრამ როომი, კოორდინატი, ზოოპარკი, კუუსინენი... აქამდე ასეთ შემთხვევაში ცნობილი სახელებიდან, რამდენადაც მახსოვს, მხოლოდ **ბეთჰოვენი** (Beethoven) და ახალი **ზელანდია** (Newsealand) არ მისდევდნენ წესს, არ ინარჩუნებდნენ წყვილ ხმოვანს და მათ ერთი ე-თი წერდნენ, ალბათ, რუსულ დაწერილობაზე დაყრდნობით. ამჟამად ეს მტკიცე წესიც ირღვევა და აღარც მიჯრით მდგარ ორ ერთნაირ ხმოვანს წერენ დედნისებურად: რუდ ვან ნისტელროი (Ruud van Nistelrooy) როი მაკაი (Roy Makaay), მიკა ჰაკინენი (Mika Haakkinen), ჰავაი (Hawaii). შდრ. სამუელ ეტო'ო (Samuel Eto'o). აქ, ალბათ, იმან იქონია გავლენა, რომ ორ **ო**-ს შორის აპოსტროფია. ჰოლანდიურ ქალაქ **ალკმარს** „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ (ქსე) ერთი **ა**-თი წერს, სპორტული გაზეთები კი – ორით. ორი **ი**-ს გვერდიგვერდ ხმარების შემთხვევები უცხოურიდან შემოსულ ძირებში ძალზე იშვიათია, უფრო იაპონური გეოგრაფიული სახელების გადმოქართულებისას გვხვდება (ნიიგატა, ნიიჰამა...). ვფიქრობ, ყველაზე მეტად გავრცელებულია ბილიარდის სათამაშო ჯოხის სახელწოდება: **კიი**, რომელიც ქართულში გამარტივებულად უფრო იხმარება: შერწყმის შედეგად ერთი **ი** გვრჩება. ქსე და „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ **კიი** ფორმას უჭერენ მხარს, „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მიხედვით კი ძირითადად ვარიანტად, ეტყობა, „კი“ ითვლება.³

მრჩობლი ასოების ბუნების შესახებ 6 ათეული წლის წინ დაიბეჭდა ივანე

³ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა **მ. ჭაბაშვილმა**, 1989, გვ. 229.

იმნაიშვილის წერილი,⁴ რომელშიც, ძირითადად, საუბარია იმაზე, რა შემთხვევაში შეიძლება ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდეს ორი, ზოგჯერ კი სამი ერთნაირი ხმოვანი (და თანხმოვანიც). ამ თეორიული ხასიათის ნაშრომში არ არის დამოწმებული არცერთი საილუსტრაციო მაგალითი ჩვენი მწერლობისა თუ პრესის ფურცლებიდან.

აღნიშნავენ, რომ „ხმოვნების გაორმაგება სიტყვებში ქართულისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. მას ადგილი აქვს როგორც სახელებში, ასევე ზმნებში. ორივე შემთხვევაში მას, ძირითადად, მორფოლოგიური მოვლენები იწვევს. სახელებში, ბრუნებასთან დაკავშირებით, მას მხოლოდ ორ ბრუნვაში ვხვდებით: ნათესაობითსა და მოქმედებითში, თუ მხოლოდობითი რიცხვია, ხოლო მრავლობით რიცხვში, ზოგიერთ შემთხვევაში, ყველა ბრუნვაში. ზმნებში მას უმეტეს შემთხვევაში ზმნისწინები და ქცევის ნიშნები იწვევენ. ასევე აქტიურ როლს თამაშობს ამ საქმეში ვნებითის ნიშნებიც (ი, ე)“.⁵

დღეს მიხდა წესიდან გადახვევის, დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევები განვიხილო. მოპოვებული მასალები, ცხადია, არ არის ამომწურავი, ბუნებრივია, ბევრი ჩემი ყურადღების მიღმაც დარჩა, ამიტომ მხოლოდ მას დავჯერდეთ, რაც ხელთ მომხვდა.

A. ჯერ ა ხმოვანს შევეხოთ.

მჩრობლი ა რომ ერთს კარგავდეს, ასეთი შემთხვევა ძალზე იშვიათია. ორიოდ ნიშნებს მივაკვლიე, როცა ორი ხმოვნის შერწყმა მომხდარა (თუკი მას, სერთოდ, კორექტურულ შეცდომად არ ჩავთვლით).

„რა აქვს საძრახი ანდა **საუგო**“ (ნ. ჯალალონია, პასუხი ლექსად ზოგიერთ ჩემს თანამოკალმეს: „კომუნისტი“, №69, 1981).

ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ აქ მარცვალთა რაოდენობამ იქონია გავლენა: **სააუგო** რომ დაეწერა, ტაეპში ერთით მეტი მარცვალი გამოუვიდოდაო ავტორს, რასაც მე ვერ დავეთანხმები: პოეტს შეეძლო მარტივად დაეძლია ეს დაბრკოლება: „ანდა საუგოს“ ნაცვლად შეეძლო დაეწერა „ან სააუგო“. მეორე მაგალითში კორექტურულ შეცდომაზე ვერ ვილაპარაკებთ, რადგან მცდარი ფორმა მეორდება:

მიმომხილველები შევჩენკოსგან **არამქვეყნიურ** გოლებს ელოდნენ, მაგრამ **არამქვეყნიური** გოლები დროებას გააქვს („სპორტი“, №222, 2006, გვ. 7).

უნდა აღინიშნოს, რომ ა ხმოვნის დაკარგვა, როგორც წესი, ისეთ შემთხვევებში ხდება, როდესაც ერთად შეყრილი სამი ა-დან ერთი იკარგება. ვნახოთ საამისო ნიმუშები:

1) სწორედ ამ დიდმა გრძნობამ **დაახლოვა** იგი სულიერად დიდებულ ინგლისელ ლორდთან (აპ. ჟორდანი, ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ზოგი საკითხის გაგებისათვის: „საბჭოთა ხელოვნება“, №7, 1968, გვ. 68);

⁴ ი. იმნაიშვილი, მჩრობლი ასოების ბუნებისა და მართლწერისათვის ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, კრებ. II, 1949, გვ. 17.

⁵ იქვე, გვ. 17.

- 2) ომმა უფრო **დაახლოვა** ცია და ცისანა (გრ. ჩიქოვანი, რწმენა: „მნათობი“, №8, 1980, გვ. 84);
- 3) ბიჭებს ისევ მოუბრუნდათ გული ერთმანეთზე, საერთო უბედურებამ **დაახლოვა** (6. გელაშვილი, მივემგზავრებით მადრიდს: „ცისკარი“, №10, 1982, გვ. 74);
- 4) რათა სცადოს „**დაახლოვოს**“ მხარეების პოზიციები (სამმხრივი მოლაპარაკება; „კომუნისტი“, №262, 1981);
- 5) პოეტიკის მკვლევარმა... შემდეგნაირად **გაანალიზა** რამდენიმე სტროფი გ.ტაბიძის ლექსისა „ხალხური მოტივებიდან“ (ა. გაწერელია, რითმისა და მეტაფორის სწორი გაგებისთვის: „განთიადი“, №6, 1976, გვ. 104);
- 6) უჩვენეს და **გაანალიზეს** თითო-თითო პარტია საკუთარი შემოქმედებიდან (დ. ჯუშითელი, საბუღრის გახსენება („ახალგაზრდა კომუნისტი“, №146, 1982);
- 7) განუკურნებელი სენით **დაავადებს** მოსახლეობას (გ.ფანჯიკიძე, ადამიანი, ენერგია, ატომი: „კომუნისტი“, №263, 1980, გვ. 5);
- 8) თუ ცხოველს დროდადრო **დაავადებენ** ტრიანოზომოზით და შემდეგ განკურნავენ... (გ. კურბატოვა, სალათას ძილი მარცხდება: „კომუნისტი“, №112, 1973);
- 9) 1892 წელს ა.სტროუდჯერმა **დაარსა** ფირმა, რომელიც ავტომატური ტელეფონის სადგურებს ამზადებდა (ა. ცირეკიძე, უცნაური გამოგონებელი: „სოფლის ცხოვრება“, №55, 1981);
- 10) პირველი დასახლებანი (ფოლკლენდის კუნძულებზე) **დაარსეს** ფრანგებმა 1764 წელს („ფოლკლენდის კუნძულები“ – ცნობა: „კომუნისტი“, №81, 1982);
- 11) მოგვიანებით საზოგადოებრივი ორგანიზაციაც **დაარსეთ** („ქრონიკა“, №35, 2004, გვ. 7);
- 12) მოძველებულ ზავერდს **გაახლებთ**, თუ ქსოვილს ჯერ სველ ღრუბელს წაუსვამთ („სასარგებლოა იცოდეთ“: „სოფლის ცხოვრება“, №133, 1977). ყურადღება მიაქციეთ: „**გაახლებთ**“ სულ სხვა შინაარსის მატარებელია;
- 13) ისინი თვლიდნენ, რომ ხლათის დაპყრობა სხვა მხარეთა დაპყრობასაც **გაადვილებდა** (თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, თამარის ფიცის წიგნის შესახებ: „ლიტერატურული საქართველო“, №4, 1982, გვ. 13);
- 14) პროპაკისტანურმა პარტიამ ...უკანასკნელ დღეებში **გააქტიურა** ძირ-გამომთხრელი საქმიანობა ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატში („წამქეზებლური მოწოდებანი“: „საბჭოთა აჭარა“, №153, 1980).
- 15) ამასობაში იოსელიანმა **გააქტიურა** ფიგურები (ე. მელიქსეთ-ბეგი, ანგარიში გათანაბრდა: „კომუნისტი“, №223, 1980);
- 16) ამერიკის პოლიტიკის ნამდვილი მიზანია **გააქტიურონ** შინაური რეაქცია აფრიკის ქვეყნებში (მხარს უჭერენ სსრ კავშირის ინიციატივებს: „კომუნისტი“, №13, 1981);

17) ენდერსის გადაყენება საბოლოოდ გაუხსნის ხელ-ფეხს პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის იმ მოღვაწეებს, რომლებიც ცდილობენ მკვეთრად **გააქტიურონ** ამერიკის შეერთებული შტატების როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ჩარევა ამ რეგიონის სახელმწიფოთა საქმეებში (გადაადგილებანი ადმინისტრაციაში: „კომუნისტი“, №128, 1983);

სამი ა-დან ერთი დაიკარგა. რომელი? პირველი ზმნისწინის ნაწილია, მეორე – ქცევის ნიშანი, მესამე – სახელის თავკიდური ხმოვანი. **გა** ზმნისწინი რომ სადმე მარტოოდენ თანხმოვნის ამარა დარჩენილიყოს, ასეთი შემთხვევა არ მაგონდება. საფიქრებელია, ქცევის ნიშანი დაიკარგა: შეადარეთ **გააგზავნას** და **გაგზავნას** მსგავსი მაგალითები. ძირეულ სახელს ვერ ჩამოაშორებ საწყის ხმოვანს, რადგან შეიძლება სიტყვის მნიშვნელობა შეიცვალოს. მარტოოდენ **გ** კი ზმნისწინი არ არის, რაღა დავკრჩა? – ქცევის ნიშანი.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ზმნისწინისეულ **ა** ხმოვანს მოსდევს მეორე **ა**, რომელიც ამ შემთხვევაში ერთდროულად არის საარვისო ქცევის ნიშანიც და ახალი სიტყვის საწყისი ბგერაც. ჩანს, ზმნის ფორმამ ვერ აიტანა ერთად შეერილი სამი ერთნაირი ხმოვანი და მოხდა მათი შერწყმა. ასეთი რამ არაა უცხო ბევრი ენისთვის. ქართულიც არ არის გამონაკლისი.

მაგრამ ყოველთვის ასე როდია. გვხვდება შემთხვევები, რომლებშიც სამივე **ა** შენარჩუნებულია:

1) საბავშვო ბაღის გახსნის საქმემ **დააახლოვა** ისინი (კ. დევდარიანი, სიცოცხლე და უკვდავება, 1969, გვ. 95);

2) იქ ვერაფერმა **გააანკაროს** სახლების წყება, რისხვით ალაგი (გ. ტაბიძე, უეცარი ქალაქი: „ლექსები“, 1927, გვ. 384);

3) გენომ თამაზს ისევ გადაავლო თვალი, ერთგან მთელი წინადადება წაშალა, სიტყვები **გადაადგილა**, ახალიც ჩაწერა და ფურცელი გადაღო (ო. იოსელიანი, იყო ერთი ქალი: „ცისკარი“, №5, 1967, გვ. 354);

4) ახალმა შეხვედრებმა და მთელ საქართველოში ერთობლივმა მოგზაურობებმა კიდევ უფრო **დააახლოვა** იგი (ზაბოლოცკი) ქართველ მეგობრებს (ნ. ტაბიძე, ტიცინი და მისი მეგობრები: „მნათობი“, №10, 1975, გვ. 188).

კიდევ ერთი შენიშვნა მრჩობლ **ა**-სთან დაკავშირებით. საქართველოს ტოპონიმშიკაში არაა იშვიათი ხმოვნების შეწყვეილება, რაც ყველაზე მეტად **ა** ხმოვანს ეხება. ეს უფრო აფხაზეთისა და კახეთის ტერიტორიებზე მდებარე პუნქტებზე ითქმის. ააცი, აბააჟვახუ, აბააქითი, აბაახუდა, აბუაფთრა... პატარა სოფლების სახელებია აფხაზეთში... კახეთში შედარებით უფრო მსხვილი დასახლებული პუნქტების სახელებშია მრჩობლი **ა**: გურჯაანი, მირზაანი, მაჩხაანი, ტიბაანი, მელაანი, ჭიკაანი... ძველად ჩვენ გვეკუთვნოდა, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა **არტაანი**... ამ სახელებში ორივე **ა** არის შენარჩუნებული. ვფიქრობ, არც მათი შერწყმისკენ მიდის ჯერჯერობით საქმე. მაგრამ გვაქვს გვარი **მაჩხანელი**, რომელიც **მაჩხანელიდან** მოდის. მართალია, არსებობს **მაჩხანის** ეკლესიაც (IX ს.) სოფ. წოდორეთის მახლობლად, მაგრამ ქართველი მწერალი და პუბლიცისტი დიმიტრი მაჩხანელი (რომლის ნამდვილი გვარი

ნადირაძე) სოფ. ქვემო მაჩხაანში არის დაბადებული, ასე რომ, მის ფსევდონიმში ერთი ა მრჩობლიდან მოდის. უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვებში ორი ა, ძირითადად, დაცულია: ვილჰელმ რააბე, მდინარე აარე, საარის მხარე, ალმა-ატა და სხვ.

ბ. განვიხილოთ ე ხმოვნის გაორმაგება:

ძველი ქართული ენის ძეგლებში ე ფუძიანი სიტყვები ებ-იან მრავლობითში გვხვდება როგორც ორი ე-თი, ისე ცალით. ერთმანეთის გვერდით დადასტურებულია **სამარეები** და **სამარები**, **ჰუნეები** და **ჰუნები**, **ველმწიფეები** და **ველმწიფები**, **სამოთხეები** და **სამოთხები**...⁶

XVII საუკუნეში (1643 წ.) ფრანჩესკო-მარია მაჯოს ქართული ენის გრამატიკაში, როგორც პროფ. თ. უთურგაიძე აღნიშნავს, ე-ფუძიან სიტყვებს მრავლობითში ორი ე-ს ნაცვლად ერთი აქვს,⁷ მსგავსი ვითარება ჩანს უცნობი იტალიელი მისიონერის მიერ შედგენილ იტალიურ-ქართულ ლექსიკონში, რომელიც 1724 წელს უნდა იყოს შექმნილი. როგორც ფიქრობენ, იტალიელი გრამატიკოსი ასახავს ქართლური მეტყველების ფაქტს – ორი ე ან მათ ადგილზე ერთი გრძელი ხმოვანი მკაფიოდ არ ისმოდა.⁸

ეს ფაქტი თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც სათანადოდ აისახა. დღესაც გვხვდება ორი ე-ს ნაცვლად ერთი:

1) შესძრეს მიდამო მშვიდი ბუკის ხმით ისევ **მონადირებმა** (მიკოლა ბაჟანი, ცხოველმყოფელი წყარო თბილისის, თარგმანი კ. კალაძისა: „კომუნისტი“, №235, 1972);

2) დამშრალ **ბულებში** დარჩენილან მარტო ქვიშანი (ი. მოსაშვილი, ლექსები, 1954, გვ. 55);

3) შეშლილი ქალი საბრალო ხან **ორლობებში** იმღერებს (რ. გვეტაძე, „ღამე სოფელში!“);

4) მე აღარ შემწვევს მეტი ურჩობა, სისხლით აივსო თვალის **უპები** (კ. ნადირაძე, ჩემს ბავშვებს, 109).

5) ძველ პოეზიას კადნიერად ვახურავთ ჩალმას, მაგრამ სავსეა სიყვარულით თვალის **უპები** (ტ. ტაბიძე);

6) გარდასულთა ძელებით ნაგებს სისხლად გადაევლო **ბაგებს** მზე წითელი (ე. კვიციანიშვილი, ხე ცხოვრებისა, 1976, გვ. 10).

ამ მაგალითებში ხმოვნის დაკარგვის თუ შერწყმის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ავტორს სალექსო ტაქაში ერთი მარცვალი ზედმეტი გამოსდიოდა და იგი იძულებული იყო, მარცვალთა რაოდენობა რამენაირად შეემცირებინა. ყველაზე მარტივ საშუალებად მან, ეტყობა, ე-ს შერწყმა ჩათვალა. არა მგონია,

⁶ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 89–95.

⁷ თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, 1999, გვ. 50.

⁸ იქვე, გვ. 70.

პროზაში ამ ავტორებს ზემოთ დასახელებული ფორმები ეხმარათ. მოყვანილ მაგალითებში ხმოვნების შერწყმა ტაეპში მარცვალთა რაოდენობას დავაბრალთ (თუმცა ეს არაა გასამართლებელი საბუთი), პროზაში მარცვლებს არავინ ითვლის. აქ კი უფრო მეტი დარღვევა აღმოჩნდა:

ყველაზე ხშირად ე იკარგება ე-ფუძიანი სიტყვების მრავლობითი რიცხვის ფორმებში:

7) **სათვალებიანმა** მკითხა (ბ. გულუა, მატარებელში: „ნიანგი“, №15, 1968, გვ. 3);

8) **სათვალებიანი** იტალიელი დაკვირვებით უყურებს მათ ლამაზ სახეს (ა. სამსონია, პროვინციული ჩანახატები: „ლიტერატურული საქართველო“, №41, 1967);

9) უყურებს **სათვალებიანი** იტალიელი ამ ორ „ჯორჯიენს“: (ა. სამსონია, პროვინციული ჩანახატები: „ლიტერატურული საქართველო“, №41, 1967);

10) მერხიდან ცქვიტად წამოდგა სუფთად ჩაცმული **სათვალებიანი** ბიჭი (ა. კურლიანდსკი, ა. ხაიტი, აქსიომა: „სახალხო განათლება“, №93, 1969);

11) შუახნის **სათვალებიანმა** ოსტატმა ... გადმომხედა (ზ. გემაზაშვილი, შავები იწყებენ და შავად მისდით საქმე: „ნიანგი“, №20-21, 1967, გვ. 5);

12) ბოლოს რეპეტიცია ვიღაც **სათვალებიანმა** ახალგაზრდამ ჩაატარა სტუდიაში (ბ. ჭოხონელიძე, ტელედიქტორის ქმარი: „მნათობი“, №8, 1970, გვ. 28);

13) ბოლოს **სათვალებიანმა** ხმა მოუწონა (ბ. ჭოხონელიძე, ტელედიქტორის ქმარი: „მნათობი“, №8, 1970, გვ. 28);

14) **სათვალებიანმა** მამაკაცმა ჯერ სათვალე წაიდრო (კ. ესაკია, აბა ჰე, აბა ჰო!: „ახალი კოლხეთი“, №74, 1971);

15) დიდი შავი **სათვალებით** ვაჟებსაც ასევე აშკარად ეტყობოდათ უცხოელობა (გ. ჩხარტიშვილი, უცხოელები: „ნიანგი“, №6, 1970, გვ. 3);

16) თავისებური ეჭვი ტრიალებს ავსტრალიის მკვიდრ „საყურებიან“ მუქ-ლურჯ ხონბებსა და... ოქროსფერ ხონბებს შორის (ლ. ტატიშვილი, მეგობრები: „კომუნისტი“, №5, 1970);

17) პლატონმა გადაარა ეზო, გავიდა ჭიშკარში და მალე, **ორღობებში** მიმავალი, გზას აქეთ-იქით მიმყოლ ხეებში მიიძალა (დ. კლდიაშვილი, მოთხრობები და ჰიესები, 1947, გვ. 59). მოგვიანო ხანის გამოცემებში, ჩანს, გამოცემლებს ეუხერხულათ **ორღობებში**, ამიტომ ჩამოაშორეს ბოლო ბ და მხოლო-ობითად გადააკეთეს (**ორღობეში**);

18) ჰაიტში საკმაოდ დიდხანს ბატონობდა **დიუვალიების** დიქტატურა („ვერსია“, №16, 2004, გვ. 10). დიქტატორის გვარია დიუვალიე /Duvalier/. ეს გვარი მხოლოობითის ფორმით ნახსენებია იქვე: „მამა დოკი“ – ასე ეძახდნენ **დიუვალიეს**“;

19-20) უნდა დაელაპარაკო ყაბარდოელებს, **ადილებს**, ჩერქეზებს (ყურნ. „სარკე“, №33, 2004, გვ. 7); იყვნენ ყაბარდოელები და **ადილებიც** (იქვე). ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, **ადილები** არის **ადილელების**,

ჩერქეზებისა და ყაბარდოელების საერთო სახელწოდება (ქსე, ტ. I, 1975, გვ. 93). ასე რომ, აქ ორმაგი შეცდომაა: უნდა ეწეროს არა **ადილები**, არამედ **ადილელები**, თანაც – ორი ე-თი.

განხილულ მაგალითებში ორი ე ე-ფუძიან სიტყვებზე მრავლობითობის ებ სუფიქსის დართვის შედეგად მოხდა ერთმანეთის გვერდით. ზოგჯერ შესაძლებელია თვითონ სიტყვის ფუძეშიც მოხდეს ორი ე-ს შერწყმა, სადაც მათ არავითარი მორფოლოგიური დანიშნულება არა აქვთ.

21) ავი კაცის ხელმა ეს **ვებერთელა** ნაზარდი რომ წააქცია, ნეტავ ამ უბედურს რა ეშველება? (შ. გოცირიძე, მტრედი და ფუტკარი: „დროშა“, №9, 1982, გვ. 23). მოვიგონოთ ზემოთ ნახსენები ბეთჰოვენი და ზელანდია. ბუნებრივია, უფრო ხშირად მართებული ფორმები გვხვდება, რომლებშიც ორივე ე დაცულია. ეს ჩვეულებრივი მაგალითებია, ენაში, ასე თუ ისე, ფენმოკიდებული:

22) **სათვალეებიანი** სექციონერი (გ. ჭეიშვილი, ახალი ვარსკვლავი: „მნათობი“, №10, 1967, გვ. 98);

23) მთის ფერდობი წითლად **აეელვარებინა** შავხალიან ყაყჩოებს (კ. დევდარიანი, სიცოცხლე და უკვდავება, 1969, გვ. 56);

24) ყველანი ერთად **„კავენით“** ვიყავით დაკავებული (ჟურნ. „თბილისელები“, №31, 2004, გვ. 16). იქვე: ზოგი **„კავენშიკად“** დარჩა (<რუს.);

25) **დიჯეებს** მეტსახელები აქვთ ხოლმე (ჟურნ. „თბილისელები“, №31, 2004, გვ. 17).

ახლა ვნახოთ მეტად იშვიათი შემთხვევა, როდესაც სამი ე ხმოვანი იყო თავმოყრილი, ოღონდ არა სახელში, არამედ ზმნაში და მოხდა ერთის დაკარგვა თუ სხვასთან შერწყმა:

26) „23 მაისს კი შეეცადა ნიკოლოზ საფჩენკო კაბელი უმაღლესი ძაბვის ელექტროსახთან **შეერთებინა**“ (ბ. ჩიჩოვი, ა. ესაკია, საბედისწერო დღე: „ახალი კოლხეთი“, №68, 1971). შდრ. „ცის გუმბათზე ატყორცნილ ცისარტყელას ცა და დედამიწა **შეერთებინა**“ (კ. დევდარიანი, სიცოცხლე და უკვდავება, 1969, გვ. 44).

С. ახლა **ო** ხმოვანს მივმართოთ:

ორი **ო** ქართულში მაშინ იყრის თავს, როცა **ო-ფუძიან** სიტყვას **უ-ო** და **სა-ო** კონფიქსები ერთვის ანდა **ობა** სუფიქსი მოსდევს: **უდროო**, **უპალტოო**, **საბოლოო**, **საუცხოო**, **მარტოობა**, **უცხოობა**, **უფროობითი** ხარისხი...

ამათ გვერდით არაა იშვიათი **ო-მოკვეცილი** თუ შერწყმული ფორმები.

1) **უსასოდ** დავრჩი, თქვენ მრავალგზის ხართ ბედნიერი (ნ. ნეკერიშვილი, ლექსები: „ლიტერატურული საქართველო“, №52, 1981, გვ. 9); შენ განმიქარვე **უსასობის** გრძნობა საზარი (გოეთე, ფაუსტი, თარგმნა კ. ჯორჯანელმა: „მნათობი“, №5, 1974, გვ. 130);

შდრ. **უსასოდ** ჩაკეცილს დედამ კაბა კალთაში ჩამიგლო (რ. გვეტაძე); **უსასობა**: „**უსასობა**, სიკვდილი ნადგურდება და იხრწნება“ (გ. ტაბიძე, I, გვ. 97); წინ არის მხოლოდ **უსასობა** (TV პროგრამა, №51, 2003, გვ. 9); ფილმი გვიჩვენებს **უსასოთა** სამყაროს (TV პროგრამა, №10, 2005, გვ. 9).

2) **უგზობა**, უფარეზობა (გ. ტაბიძე, VI, გვ. 268); **უგზობით**, ქვიდან ქვაზე რომ დავხტივართ, ის არის, აბა, კარგი? (რ. დვალიშვილი, ბენდიერი მრავალუმიერი: „კომუნისტი“, №43, 1983). შდრ. **უგზობას...** შეეწუხებიანა (გ. ტაბიძე, XII, გვ. 588); **უგზობა** (კვირის პალიტრა, №6, 2004, გვ. 11);

3) ბევრს ქისტს მოაჭრა მარჯვენა, **უდროდ** საფლავში ჩალალა (ვაჟა-ფშაველა, „რჩეული“, 1953, გვ. 147);

4) უსუსური ღელე დაახრჩობს... თავის სამშობლოში **უსამშობლოდ** ქცეულს (კ. გამსახურდია, დიდოსტატის მარჯვენა, 1984, გვ. 124);

5) ხატავს... **უბოლო** მრავალფერობასა (გ. ტაბიძე, XII, გვ. 576). შდრ. იმავე ავტორთან: **უბოლო** ტირილი (გ. ტაბიძე, XII, გვ. 97);

6) ქუთაისში აგვისტო **აგვისტობდა** (რ. მიშველაძე, კუნაპეტი ღამე დასწოლოდა უღელტეხილს: „ახალი ქართული გაზეთი“, №3, 2009, გვ. 4). შდრ.: ვერა და ვერ დაიძინა. „**მარტოობის** ასი წელი“ იკითხა ერთხანს (რ. მიშველაძე, სიზმარს აყოლილნი, 1988, გვ. 70); ზედსართავი სახელის **უფროობითი** ხარისხი; გრამატიკულ ლიტერატურაში დამკვიდრდა „**მხოლობითი** რიცხვი“, ნაცვლად **მხოლობითისა**, თუმცა ეს უკანასკნელი სავსებით ვერ გამოდევნა...

ო-ს ხმარება გვერდიგვერდ, კაცმა რომ თქვას, არ უნდა იყოს ძნელი მოსაწესრიგებელი. გრამატიკის ყველა სახელმძღვანელოში ხომ საგანგებოდაა აღნიშნული, **ო**-ზე დამთავრებული სიტყვები არ იკვეცენ ბოლოკიდურ ხმოვანსო (ერთი გამონაკლისი მოჰყავთ: **ღვინო** – **ღვინის**, მე მეორესაც დაუემატებდი: **ლობიო**>**სალობიე** და **ლობიანი** /განსხვავებით ლობიოიანისგან: მაგ. **ლობიოიანი** თეფში/). ამდენად, **ო**-ზე დამთავრებული სიტყვა, თუ მას **უ-ო** ან **სა-ო** კონფიქსი ერთვის, ორი **ო**-თი უნდა ბოლოვდებოდეს. მაგრამ ხშირად ასეთ სიტყვებს მყარი წესი მართლწერისა არა აქვს, იხმარება როგორც **უსასო**, ასევე **უსასოო**. ზოგი ბოლოში ორ **ო**-ს წერს, სხვა კი – მხოლოდ ერთს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკონები **უსამშობლოს** გვთავაზობენ, საკმაოდ გავრცელებულია ორი **ო**-ს შემცველი ვარიანტიც: მაგალითად: უსამშობლო (გ. ტაბიძე, „რჩეული“, 1977, გვ. 620; ნ. ჯალაღონია, რჯულგამოცვლილი კაცის გოდება: „ცისკარი“, №2, 1982, გვ. 12; მისივე, ამაღლება, „ცისკარი“, №8, 1980; ა. გეწაძე, პატარა კუნძული: „ცისკარი“, №X, 1966, გვ. 35 /ორჯერ/); ბ. ვაჯჭაბზაძე /ლ. ერადის თარგმანი/ „კომუნისტი“, №219, 1970).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ქართული თუ უცხოური წარმოშობის დაახლოებით 250 **ო**-ფუძიანი სიტყვაა დაფიქსირებული. მათგან მხოლოდ 15-ოდეს აქვს **უ-ო** კონფიქსით ნაწარმოები ახალი ფორმები, რომელთაგან ერთ ნაწილს ფუძის ბოლოკიდური **ო** შენარჩუნებული აქვს **ო** სუფიქსის წინ და, ამდენად, წარმოქმნილი სიტყვის ბოლოს ორი **ო** იყრის თავს (უდროო, უპალტოო...), სხვებს კი ფუძისეული **ო** ეკვეცებათ და სიტყვის ბოლოში ერთი **ო** რჩება (უღვინო, უსათუო...). ორთოგრაფიულ ლექსიკონში გაკვირვებას იწვევს ერთმანეთის გვერდით არსებობა ისეთი ფორმებისა, როგორებიც არის **უბოლო** და **უთავბოლო**. განა შეიძლება ერთის დაწერილობაც სწორი იყოს და მეორისაც? ერთში შენარჩუნებულია ორივე **ო**, მეორეში კი ერთი მოკვეცილია.

როდესაც ასეთ სოლიდურ გამოცემებში ამგვარი მერყეობაა, სხვას რაღა უნდა მოვთხოვოთ?

„განმარტებით ლექსიკონში“ დაფიქსირებულია **უსასოც** და **უსასოც**, თუმცა, როგორც ჩანს, შემდგენლები უპირატესობას **უსასოოს** ანიჭებენ. ზემოთ ნაჩვენები მაგალითებიდან აშკარაა, რომ **ო-ფუძიანი** სიტყვებიდან უქონლობის გამოხატველი **უ-ო** კონფიქსით ნაწარმოები სიტყვების მართლწერის წესი მყარი არ არის.

ამჟამად როგორ მოვიქცეთ, რომელ ფორმებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი!

ამ შემთხვევაზეც არის საგანგებო წერილი გამოქვეყნებული, და ამიტომ აქ აღარ გავაგრძელებ მასზე საუბარს, მხოლოდ რეკომენდაციას დავესხები: მიუხედავად იმისა, რომ ენა გამარტივებისკენ მიისწრაფვის, უმჯობესი იქნება, თუ განსახილველ სიტყვებში ორ **ო-ს** შევინარჩუნებთ. ამით იმ წესსაც გავამყარებთ, რომ **ო** ხმოვანი კვეცას არ ექვემდებარება. ეს ხომ სადავო არაა!⁹

D. მრჩობლი ი:

მრჩობლი **ი** ზმნებში გვაქვს მაშინ, თუ **მი** ზმნისწინს მოსდევს ქცევის ან ვნებითი გვარის **ი** ნიშანი (მიიტანა, მიიპარება). ამ ტიპის ზმნებში წესიდან გადახრა, ჩვეულებრივ, არ ხდება და ორი **ი** ყოველთვის შენარჩუნებულია..

მეორე ვარიანტი გვექნება მაშინ, თუ **ი** ქცევის ნიშანს **ი** ბგერით დაწყებული ძირი მოსდევს. ასეთი მაგალითები არაა ხშირი, ამიტომ რამდენიმეს შემოგთავაზებთ:

1) ერთი ჭიქა შამპანური შესვა, **გაიიოლა**, თხოვნა აღარ დასჭირვებია (ო. დემეტრაშვილი, ელისო: „საქართველოს ქალი“, №2, 1984, გვ. 1);

2) **გაიიოლებს** (გ. აბაშიძე, ყორნალი: „მნათობი“, №12, 1967, გვ. 34);

3) პოეტი თითქოს თავს **იიმედებს** (ა. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1965, გვ. 310);

4) ხომალდს მიყვება თოვლის მადონა და ყვავილები **გიაიდონა** (გ. ტაბიძე, „ლექსები“, 1927, გვ. 136);

5) **დაიიმედა** ბოლოს თავი (ა. თაყაიშვილი, სიტყვა ეკუთვნის დისერტანტს: „ცისკარი“, №1, 1968, გვ. 147).

ზოგჯერ შეიძლება ორი **ი-დან** ერთიღა შემოგვრჩეს: ადრე უფრო **გვიოლდებოდა** ეგ საქმე (ე. ნიჟარაძე, თ. ჩალაური, ის, რაც უხუცესს აწუხებდა, ახლა ჩვენ გვტკივა: „ცისკრის ბიბლიოთეკა“. IV, 1976, გვ. 49)

სახელებში მრჩობლი **ი** გვაქვს მაშინ, როცა **ია** ან **იე** დაბოლოებიანი სიტყვა ნათესაობით ან მოქმედებით ბრუნვებში ღვას. ჯერ **იე** დაბოლოებიანი ქართული სიტყვები ვნახოთ. მათი რაოდენობა ორ ათეულსაც ვერ აღწევს. ამგვარ სახელებს დასახელებულ ბრუნვებში ორი **ი** ექნებათ და მათ ყოველთვის ინარჩუნებენ (საჩაიის, მეპაიით...). **იე** დაბოლოებიანი სიტყვების ერთი ნაწილი

⁹ **გ. გოგოლაშვილი, ვ. იმნაიშვილი**, უქონლობის სახელების მართლწერისათვის, „საენათმეცნიერო ძიებანი“, №18, 2005.

უცხოურიდანაა შემოსული ქართულში, მათი რაოდენობა განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ერთ ათეულსაც ვერ აღწევს, მაგრამ დღეისთვის მათი რაოდენობა, ბუნებრივია, გაიზარდა. ყველა მათგანს, ორთოგრაფიული ლექსიკონის რეკომენდაციით, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბოლოკიდური ე შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს და, ბუნებრივია, მრჩობლი ი მათთან არ გვექნება (ატელიე – ატელიეს, ატელიეთი). მაგრამ ეს წესი ყოველთვის არ არის დაცული და ზოგჯერ ირღვევა. შეიძლება, მაგალითად, შეგვხვდეს „ატელიის“ და მისთანანი. ეს მაინც იშვიათობაა. სამაგიეროდ, მსგავსი ვითარება მართლაც ძალზე ხშირად გვხვდება ია დაბოლოებიან სიტყვებში, რომლებიც გაცილებით მრავალრიცხოვანია (ქართულიც და, განსაკუთრებით – უცხოური).

წესის მიხედვით, ამ რიგის სიტყვებს ორი ი შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ (კალია – კალიის, კალიით), მაგრამ არის ერთი განსაკუთრებული შემთხვევა: როცა ია დაბოლოებიან სიტყვებს დაერთვის სიტყვათმაწარმოებელი იან სუფიქსი, დიდი სიჭრელეა: გვხვდება როგორც არშიანი, ისე არშიანი, როგორც სერიანი, ისე სერიანი. ამ სიჭრელის მოსაგვარებლად ამ საკითხზე არსებობს საგანგებო გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც მოცემულია რეკომენდაცია: უმჯობესია ორი ი შევინარჩუნოთ.¹⁰ ამიტომ ამ საკითხს აქ არ შევეხები.

მრჩობლი ი-ს ერთი განსაკუთრებული შემთხვევა გვაქვს უცხოური ლექსიკიდან:

საყოველთაოდაა გავრცელებული მალაის არქიპელაგი, ბისკაის ყურე, ჰავაის შტატი. ამ მაგალითებში მრჩობლი ი თითქმის არსად გვხვდება (მხოლოდ ქსე წერს მართებულ ბისკაიის ყურეს. შდრ. ბისკაის ყურე: „გეოგრაფიის ენციკლოპედია და მსოფლიო ატლასი“, 2005, გვ. 344). ერთი ი უმართებულოდ არის ჩამოკლებული, რადგან ამ ცნობილი გეოგრაფიული სახელების ორიგინალისეული დაწერილობა არის მალაია (Malaya), ბისკაია (Golfo de Vizcaya) და ჰავაიი (Hawaii), რის გამოც ნათესაობით ბრუნვაში ერთმანეთის გვერდით ორი ი ხვდება: მალაიის, ბისკაიის, ჰავაიის. ადრე საუდის არაბეთის დედაქალაქს ერიიადად მოიხსენიებდნენ, ახლა კი ერ-რიადს (ან: ელ-რიადს) წერენ.

Е. დაბოლოს, მრჩობლი უ-ს შესახებ.

ორი უ გვხვდება ისეთ სახელებში, რომლებშიც უარყოფითობის მაჩვენებელი უ- -ო კონფიქსი უ-თი დაწყებულ სიტყვას ერთვის: უუნარო, უუფლებო... მეორე შესაძლებელი შეხვედრა ორი უ-სი ზმნურ ფორმებში ხდება, როცა სასხვისო ქცევის უ ნიშანს მოსდევს უ ბგერით დაწყებული ფუძე: გაუუქმა, დაუუთოვა, გაუუშჯობესა... სადმე იშვიათი მაგალითი თუ არ გამოერია, ამგვარ შემთხვევებში, როგორც წესი, გადახრა არ შეიმჩნევა და მრჩობლი უ მუდამ შენარჩუნებულია. ორივე სახეობა დადგენილ წესს ექვემდებარება.

¹⁰ ი. იმნაიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები. V. ორ-სერიანი თუ ორსერიანი? – „ცისკარი“, №1, 1971.

კიდევ ერთი შემთხვევა: **ურარტუს** ენას რა დავარქვათ: **ურარტუული** ენა თუ **ურარტული**? ორთოგრაფიული ლექსიკონის რეკომენდაციით უკანასკნელია სწორი. რატომ? აკი გრამატიკის ყველა სახელმძღვანელო ღალადებს, **უ** ხმოვანი არ იკვეცება! მაშასადამე, მართებულია **ურარტუული**. ქსე-ში ასეთი ტერმინებია გამოყენებული: „ურარტელები“, „ურარტოლოგია“, „ურარტული“. **უ**-ს მოკვეცა, წესით, არასწორია. პირველ ორზე ამჯერად არ შეგჩერდები, რაც შეეხება მესამეს, რომელშიც ორი **უ**-ს შეხვედრა იყო მოსალოდნელი, კითხვა მიჩნდება: რის საფუძველზე ამოვარდა ერთი **უ**? განა **ურარტუული** უფრო მართებული არ იქნებოდა? ვნახოთ, რა ხდება ანალოგიურ შემთხვევებში: პერუ – პერუელი, პერუული. განა **პერუს** მცხოვრები **პერელია**? ნეპალის დედაქალაქის, **კატმანდუს**, მცხოვრებს **კატმანდელი** უნდა ვუწოდოთ? რა თქმა უნდა, არა! ამ და მსგავს შემთხვევებში (გვინეა-ბისაუ, მაპუტუ, ჰონსიუ, კიუსიუ, სიკოკუ...) დერივაციული სუფიქსებს წინ **უ** უნდა შენარჩუნდეს.

დასასრულ, მინდა ერთ დამახასიათებელ შემთხვევას შევხვო: ხანდახან იმის შიშით, წყვილის ცალი არ გამოძრჩესო, ზოგიერთ ავტორს, პირიქით, ზედმეტი მოსდის და ორი ერთნაირი ასოს ნაცვლად სამს წერს ან, სადაც ერთი ხმოვანია საჭირო, სწორედ ამ მიზეზით „თავს იზღვევს“ და ერთ ზედმეტ ცალს ამატებს სახელურსა თუ ზმნურ ფორმაში (გავიხსენოთ საკმაოდ გავრცელებული **გავვოცდი** /ა. სულაკაური, ძველი ამბავი: „ცისკარი“, №8, გვ. 28; დ. კვიციანიძე, გაზაფხული: „ლიტერატურული გაზეთი“, №37, 1962/ და მისთანანი). ვნახოთ ამგვარი მაგალითები:

1) „ამისი საიმედო **გარანტიააა** როგორც ტრადიცია და ნორმა, ისე მოლაპარაკეთა ენობრივი შეგნება (გ. წიბახაშვილი, თარგმანის ხელოვნება: „ლიტერატურული საქართველო“, №5, 1982, გვ. 6);

2) კოლუმბიის **მეზღაურებებს** ასე გაუჩნდათ თამბაქოს წვევის ჟინი (თამბაქოს წვევის ისტორია: „ცნობის ფურცელი“, №12, 1985, გვ. 11);

3) ჟორჟ დიურუას სრულებითაც არ ეხამუშებოდა ეს **მეძავეები** (მ. ჯავახიშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. V, 1962, გვ. 429 (თარგმანი გი დე მოპასანის „ლამაზი მეგობრისა“);

4) მიყვარდა, მეყვარება შემოდგომის დღეები, მოწყენით ნეტარება და ოცნების **ფრთეები**...

რის დღეები! გადიან თვეები და **წლები** (მ. ლებანიძე, ახალი წიგნიდან: „ლიტერატურული საქართველო“, №6, 1986). ამ შემთხვევაში **ფრთეები** და **წლები** ნახმარია **დღეები**-ს შესართომავად. მართალია, ძველ ქართულში იხმარება ფრთე (=კალთა, კუდი, ფრთა, კუთხე, კიდე, სამოსელი), მაგრამ არა მგონია, რომ, როცა ავტორი აქ **ფრთეს** წერდა, იმ მომენტში ძველ ქართულზე ფიქრობდა;

5) არდადეგების დროს ზოგჯერ **კვირებით** დაშორება უწევდათ (გ. გელაშვილი, გვიფარავს მრავალი ჭერი, „ცისკარი!“, №10, 1973, გვ. 21);

6) მომდევნო **კვირებში** (უ. მანჩესტერი, პრეზიდენტ კენედის მკვლელობა, 1974, გვ. 324 /თარგმანი ე. კეჭალმაძისა/);

7) კვირები (ვ. ბეთანელი, განცდილი და გადატანილი: „მნათობი“, №8, 1988, გვ. 152).

აქვე შევნიშნავ: ერთმანეთის გვერდით ხშირად შემხვედრია დაახლოებით ასეთი ფრაზა: გადიოდა დღეები, კვირები, თვეები, წლები. რაკი **დღესა** და **თვის** მრავლობითში ორი ე უნდა ჰქონდეს, ანალოგიის ფაქტორი მოქმედებს და ზოგი ავტორი კვირასა და წელსაც მრავლობითში სრულიად უსაფუძვლოდ ორი ე-თი წერს, ამას შეუგნებლად, ინსტინქტურად აკეთებს.

მეტად გავრცელებულია ვიღაცა და რაღაცა ნაცვალსახელების მრჩობლი ე-ს შემცველი ფორმები:

8) ვიღაც-ვიღაცებს (ზ. კალანდია, ზვარაკი, „ცისკარი“, №2, 1985, გვ. 89); მეც შემიძლია, რომ ვიღაცებს რაღაცეები შევპირდე („ალია“, №24, 2004, გვ. 12); რაღაცების ლაპარაკი არ შემეძლო (ქრონიკა, №6, 2004, გვ. 8); შენს თავში რაღაცებს ვერ აგვარებ („ქრონიკა“, №9, 2004, გვ. 17); შდრ.: ისეთი რაღაცები მითხრა („ქრონიკა“, №9, 2004, გვ. 18); რაღაცების გახსენება არ არის მომგებიანი („კვირის პალიტრა“, №7, 2004, გვ. 6).

ზოგჯერ მართებული და არასწორი ფორმები გვერდიგვერდაც კი გვხვდება: ასეთი რაღაცეები რომ მახსენდება... („ელიტარული ქრონიკა“, №1, 2005, გვ. 5). შდრ.: რაღაცებს რომ ვაბარებდით (იმავე გვერდზე); რაღაცეები მეც მქონდა („ელიტარული ქრონიკა“, №1, 2005, გვ. 6); შდრ.: ასეთ რაღაცებს ვბლოკავ (იმავე გვერდზე!)

ახლა ზმნური ფორმა ვნახოთ: „თანამგზავრიც უნდა დაეეიმედებინა“ (ო. ჩხეიძე, ბორიაცი, „ცისკარი“, №3, 1974, გვ. 73). ცხადია, ავტორს სურდა დაეწერა დაეეიმედებინა, მაგრამ ვერ გაერკვა, იფიქრა, არ დავაკლო ხმოვანიო, და უადგილო ადგილას დააწყვილა ე ხმოვანი.

მოყვანილ მაგალითებში მრჩობლი ხმოვნების ხმარება ყოველად გაუმართლებელია, ავტორებს ზედმეტი მცდელობის გამო მოსდით შეცდომა და უსაფუძვლოდ უმატებენ მეორე, იდენტურ ხმოვანს, რასაც ვერ ვიტყვით შემდეგ განსაკუთრებულ შემთხვევაზე: ენაში მომრავლდა წესის დარღვევით ნაწარმოები, ერთგვარი ხელოვნური ფორმები უფროობითი ხარისხის ფორმებისა, რომლებშიც ერთი უ თავსართის ნაცვლად ორი უ არის შეყრილი. არ გეგონოთ, რომ ასეთი შემთხვევა თითო-ოროლაა, არა! მათი რაოდენობა არითმეტიკული პროგრესიის წესით იზრდება: შენი სამშობლო შენი ღმერთია, უწმინდესი და უუმართლესი (გ. კლდიაშვილი, ჩვენი სიცოცხლე: „ცისკარი“, №11, 1972, გვ. 84); დამბაჩით ხელში წინ დაუდგა ის უზნეობას უუმაღლესი სიყვარულის გადასარჩენად (რ. ამაშუკელი, ხოლო პოეტი იდიმბოდა მეფურ ღირსებით: „ლიტერატურული საქართველო“, №7, 1987, გვ. 6); „მისი ცხოვრება გარდამავალი უუნაზესი არის პოემა (გ. ტაბიძე, პორტრეტი: „რჩეული“, 1977, გვ. 223)... ამ მაგალითებში ზემოთ განხილულთაგან განსხვავებით უ-ს გაორმაგება მიზანმიმართულად ხდება – ავტორებს სურთ, ამ ხერხით ზედსართავის ხარისხი კიდევ უფრო გაზარდონ, უფროობითზე მეტი, ზეაღმატებული ხარისხი გამოხატონ.

დაბოლოს, წამატებული ო-ს შესახებ: „სუ, ნუნუ, სუ შე **სულელი**ო (ი. ტალიაშვილი, ნუნუ: „ცისკარი“, №12, 1982, გვ. 75). ამ მაგალითში, ერთი ო ზედმეტია, მაგრამ ზოგჯერ აქვს გამართლება სამი ო-ს თავმოყრას: „იმ გოგოს ვიღაც ბიჭი გადაჰკიდებია, უნდა გითხოო და უნდა **გითხოო** (ა. გეწაძე, სასაცილო ტრაგედია“, „ლიტერატურული გაზეთი“, №5, 1962, გვ. 4). აქ, რა თქმა უნდა, სწორი ფორმა იქნებოდა „გითხოვო“. თუმცა მსგავს პოზიციაში **ვ** ხშირად იკარგება და ერთმანეთის გვერდით მართლაც მოხვდება სამი ო. მაგრამ ერთი ნიმუში მაინც მომხვდა ხელთ, რომელშიც სამი ო ყოველგვარი წესის დაცვით არის შენარჩუნებული: „რა ქალაქებსა და ქვეყნებს არ შეხვდებით მის ლექსებში: პარიზო, ვენეციო... ვატერლოო,... გრენლანდიო“ (გ. ფანჯვიძე, რეპლიკა – “Перевод с аджарского”: „ლიტერატურული საქართველო“, №37, 1969).

აქ სამი ო დიანაც საჭიროა!

ლიტერატურა

- გ. გოგოლაშვილი, ვ. იმნაიშვილი**, უქონლობის სახელების მართლწერისათვის, „საენათმეცნიერო ძიებანი“, №18, თბილისი 2005.
- ვ. თოფურია**, ფონეტიკური დაკვირვებები ქართველურ ენებში. I, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: „მომომხილველი“, ტფილისი 1926.
- ი. იმნაიშვილი**, მრჩობლი ასოების ბუნებისა და მართლწერისათვის ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, კრებ. II, თბილისი 1949.
- ი. იმნაიშვილი**, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები. V. ორსერიანი თუ ორსერიანი? – „ცისკარი“, №1, თბილისი 1971.
- ა. კობახიძე**, როგორ ვიცავთ ქართული ენის ნორმებს, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XI, თბილისი 1998.
- თ. უთურგაძე**, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბილისი 1999.
- ი. ყიფშიძე**, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტუმ, №1, ტფილისი 1919-1920.
- უცხო სიტყვათა ლესიკონი, შეადგინა **მ. ჭაბაშვილმა**, თბილისი 1989.

Some Questions Linked with the Spelling of Double Vowels

Summary

The paper deals with the peculiarities linked with two or three adjacent identical vowels in nouns and verbs. In words introduced from foreign languages double vowels are mostly preserved, but they have no morphological function. When two or three identical vowels are found adjacent to one another in Georgian words, each vowel has its function and, according to the rule, none of them must be lost or merged. However, in spite of this, there are cases in the literary language when this rule is violated (დაახლოვა, სათვალეობით, შეერთებინა, უბოლო, მრავალსერიანი, ურარტელი...).

In contrast, there are also cases when unjustified, groundless doubling of vowels occurs in words (გარანტიაა, ვილაცეები, უუმალესი, სულელო...). This must have a psychological background.

გურამ კარტოზია

ნატვრითის წარმოება ემბრულში

ნ ფონემა მეგრული სიტყვის (პირის ნაცვალსახელის, პირის სახელის, ზმნის) აბსოლუტურ ბოლოში იკარგება.. შდრ. **თქვა** (< *თქვან) „თქვენ“, **ხე** (< *ხენ) „ზის“, **ხენა** (< *ხენან) „სხედან“, **ლევა** (< ლევან): „დადია ლევა გგმორბევილქ“ (ცაგ. 65, III₃, შენ, 3) „გამარჯვებულმა ლევან დადიანმა“.

გამონაკლისს წარმოადგენს ზმნის კავშირებითის ფორმები, სადაც ბოლო-კიდური **ნ** თანხმოვანი ან **ი** ხმოვნით არის გავრცობილი, ანდა პალატალური ფონემის სახით არის წარმოდგენილი: **ქოხედან(ი)** „ისხდენ!“, **თასან(ი)** „თესონ!“.

ფორმანტიკულ **ნ**-ზე დართული **ი**, რომლის დაკარგვა პალატალიზებულად აქცევს ამ **ნ**-ს, მავრცობი (ემფატიკური) ხმოვანია და არა თანხმოვნური ელემენტის დაკარგვით გამარტივებული ენკლიტიკური **ნი** „რომ“ კავშირი, როგორც ფიქრობდა ი. ყიფშიძე (Кипшидзе 1914:083). **ოკოდან(ი)** „უნდოდეთ“ ზმნის **ოკოდან-ნი** ფორმიდან მიღებას თუ დავუშვებთ, ძნელად ასახსნელი რჩება, თუ რატომ არ მოხდა მახვილის გადაწევა ერთი მარცვლით სიტყვის ბოლოსკენ: **ოკოდან** + **ნი**-ს უნდა მოეცა **ოკოდანი**, თუმცა მახვილი კვლავაც **ო**-ზე რჩება! ასევე **თასან(ი)** „თესონ“ **თბ-სან** + **ნი**-დან რომ იყოს მიღებული, **თასანი** უნდა გექნოდა.

ი. ყიფშიძეს S₃ -**ნ** მიაჩნდა დაცულად ნატვრითშიც, რომელსაც მომავლის ნატვრითს უწოდებდა (Кипшидзе 1914:083): **დოფროუნი** „დამძალა“, **დორჩო-უნი** „დაგძალა“, **დოჩოუნი** „დამძალა [ის]“, **დოფროუნანი** „დაგგძალა“, **დორ-ჩოუნანი** „დაგძალათ“, **დოჩოუნანი** „დამძალა [ისინი]“. მოვიყვან მაგალითებს გაბმული ტექსტებიდან:

ახა-ვაი! ცოდა გური, უდარდლო **ქობოუნი** (ყიფ. 129_გ) „ვაი, საცოდავო გულო, უდარდელად მყო!“

ჩქიმი შემაწუხებელი შური დო ხორციტ **დოჭოუნი** (ყიფ. 129_დ) „ჩქიმი შემაწუხებელი სულით და ხორციტ დაწვა!“

მათი ვა მაცოცხლასი დო უჩა დიხას **დოფროუნი** (ყიფ. 129_ე) „მეც არ მაცოცხლოს და შავ მიწაში დამძალა!“

ართი სუმი კაკალი კი **გომოზვატაფუნია**, ართი ოლონტყეს **ქუმოლონტყაფუნია**, სქანი ცვილუა მარდი რენია (ხუბ. 170₂₃₋₂₄) „ერთი სამი ცალი რკო გამაკენეტიანო, ერთი წუმპეში მაგორავაო, შენი მოკვლა მადლი არისო“

ართი ორკოლი ღვინი **ქოფრუნი**, ართი პაპაში ძღაბიშა **ქუმოჯუდაფუნი**, სქანი ცვილუა მარდი რენია (ხუბ. 1713-5) „ერთი ღოქი ღვინო დამალეგინა, ერთი მღვდლის გოგოსათვის მაკონინა, შენი მოკვლა მაღლიაო“

სუმ ბერწული დო სუმი კორწოხული, თითო ჭირქა ღვინი ჩქიმი პიჯის ქოტო-ხუნი (ხუბ. 211₁₁) „სამი ბროწეული, სამი კოწახური, ერთი („თითო“) ჭიქა ღვინო ჩემს პირს დაავახა!“

ნიტე ევერ **ქომურუნი**, მუთუნი დამაფასინელას (გულ. 308₁₉) „ნეტავ იმისთანა მომცა, რამის დაფასება შემემლოს“

ართ გიტარა **ქომურუნი**, სოფელ **დომოლინუნი**, სკან დო ჩქიმი გურიშ ჭუა ლექსო **ქომობირუნი** (გულ. 152₁₅₋₁₈) „ერთი გიტარა მომცა, სოფელი დამატარებინა, შენი და ჩემი გულისტკივილი ლექსად მამღერა!“

ოჭოფუნ დო **ქომურუნი** ცუდეს მულაკილერო (გულ. 47₁₀) „დაიჭირა და მომცა სახლში გამოკეტილად!“

ჭახანს **ქუმოჯინუნი!** (გულ. 38₁₉) „ცოტა ხანს მაყურებინა!“¹

მეგრულ ნატვრითს ქართულის აორისტის ფორმა შეესაბამება, რომელშიც გრამატიკული სუბიექტის გაგება დაკარგულია: **მომკლა** მე (მან), **მომცა** მე ის (მან). ასევე დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ სუბიექტის გაგება მეგრულის ნატვრითშიც: **დობილუნ(ი)** მა (თიქ), **ქომურუნ(ი)** მა თინა (თიქ).

ახალი ქართულის ნატვრითის -ა სუფიქსი ფუნქციურად ძველ ქართულში მოქმედი II ბრძანებითის S₃ -ნ-ის შესატყვისია. ფუძის ბოლოკიდური ხშულის მომდევნოდ დართულ S₃ -ნ-ს თანხმოვანთგამყარი ი ხმოვანი უძღვის, რომელიც, არნ. ჩიქობავას აზრით, ხოლმეობითის ი-ს ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი (ჩიქობავა 1940:27).

1956-ში თსუ-ს სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სხდომაზე წაკითხულ ერთ მოხსენებაში მეგრულის **დობილუნ**, **ქომურუნ** ძველი ქართულის II ბრძანებითის ფარდ ოდენობად მივიჩნიე და S₃ -ნ-ის წინა უ ხმოვანი თანხმოვანთგამყარად მივიჩნიე და მისი გაჩენა მეც ხოლმეობითის -უ-ს გავლენით ავხსენი, ვითვალისწინებდი რა ზანურში ხოლმეობითის ფორმანტად -უ-ს ვარაუდს (მაჭავარიანი 1952:58-59). სხდომაზე გ. მაჭავარიანმა აღნიშნა: უ აქ შეიძლე-

¹ ნატვრითზე **ნი** „რომ“ კავშირის ზედმეტად (უმართებულად) დართვის ნიმუში გვაქვს ტექსტის ამ მონაკვეთში: „ქარწყექ, მუჭო დოვღურინი, ნეტე ღურელი **ქოპუ-ნინი**“ (გულ. 167₉). „ნეტავი“ და „რომ“ ძნელად შესაუღლებელი ლექსებია, ამიტომ ფრაზის თარგმანში „რომ“ კავშირი კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული, როგორც აზრობრივად შეუსაბამო: „ხედავ, რომ მოვკვდი, ნეტავი [რომ] მკვდარი მყო!“

ბოდა ხოლმეობითის უ-ს ანალოგიით გაჩენილად კი არა, თავად ჩაგვეთვალა ხოლმეობითის სუფიქსადო.

გ. მაჭავარიანის „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის“ ლექციების კურსში, რომელიც მისი ყოფილი სტუდენტების (ჩემზე ხუთი კურსით მომდევნოთა) ჩანაწერების მიხედვით გამოსცა ზ. სარჯველაძემ (მაჭავარიანი 2002), ხოლმეობითის ნიშნად ზანურში -უ-ს ვარაუდზე არაფერი წერია, -უ სუფიქსი კი ქართულის -ავ სუფიქსის შესაბამისად არის ჩათვლილი სტატიკურ აწმყოსა და I თურმეობითში.

დოპილუნ(ი), ქომურუნ(ი) ნატვრითებს მეგრულისას თანამედროვე ქართულის **მომკლა, მომცა** შეესაბამება, რომლებშიც გრამატიკული სუბიექტის გაგება დაკარგულია: მომკლა მე (მან), მომცა მე ის (მან). ასევე დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ გრამატიკული სუბიექტის გაგება მეგრულის ნატვრითებშიც: დოპილუნ(ი) მა (თიქ), ქომურუნ(ი) მა თინა (თიქ) ვფიქრობ, ძველი ***დომცვილნ** > ***დომცვილნ**, ***ქომომჩნ** > ***ქომომჩინ** და გვიანდელი **დოპილუ, ქომურუ**-ს კონტამინაციით უნდა ჩამოყალიბებულიყო თანამედროვე ფორმები.

ლიტერატურა

მაჭავარიანი 1952: გ. მაჭავარიანი, განგრძობითი ასპექტის წარმოებისათვის ქართველურ ენებში: ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, VI (თეზისები), თბილისი.

მაჭავარიანი 2002: გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ლექციების კურსი), თბილისი.

ჩიქობავა 1940: არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი.

Кипшидзе 1914: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб.

შემოკლებები

გუდ. – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ, თბილისი 1975.

ყიფ. – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб 1914.

ცაგ. – Ал. Цагарели, Мингрельские этюды, вып. I. Мингрельские тексты с переводом и объяснениями, СПб 1880.

ხუბ. – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი 1937.

The Formation of the Optative Mood in Megrelian

Summary

The Phoneme *n* is lost at the very end of Megrelian words (personal pronouns, proper names, verbs) with the exception of the subjunctive forms of the verb where the final consonant *n* is extended either by the vowel *i* or in the form of the palatal phoneme. *i* added to the formant *n* is the emphatic vowel and not the enclitic conjunction *ni* "if" simplified by the loss of the consonant element, as I. Kipshidze thought. He considered that *n* was preserved in optative mood as well. Megrelian optative *dołilun(i)*, *qomučun(i)* are equivalent to modern Georgian *momkla* "He killed me", *momca* "He gave it to me", where the grammatical subject is lost as well. It is clear that modern forms have evolved by the contamination of earlier **dom'viln* > **dom'vilin*, **qomomčn* > **qomomčin* and later *dołilu*, *qomuču* forms.

მანა ლომია

**სახელთა ბრუნების პარადიგმაში ი ხმოვნის გაჩენის
საკითხისათვის მებრუნული**

მებრუნულში თანხმოდანფუძიან სახელთა ბრუნების პარადიგმაში თავს იჩენს ი ხმოვანი. სახელები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთნი ყოველთვის ჩაირთავენ ი ხმოვანს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის (მაგ., ბორჯ-ი-ქ „დრომ“, ბორჯ-ი-ს „დროს“; ბოშ-ი-ქ „ბიჭმა“, ბოშ-ი-ს „ბიჭს“), მეორენი ხან დაირთავენ ფუძეზე ი ხმოვანს, ხან არა (კორჩ-ქ || კორჩ-ი-ქ „კაცმა“; კორჩ-ს || კორჩ-ი-ს „კაცს“). ერთი და იმავე ფუძის პარალელურ ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთადაც მოიხსენიებენ: ი შეხორცებული და ი შეუხორცებული ფუძეები.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებულ ინტერესს სძენს როგორც ერთი და იმავე ფუძის პარალელური ფორმების არსებობა (კორჩქ || კორჩიქ), ასევე, სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულთან ერთი და იმავე თანხმოდანთკომპლექსების წარმოდგენა ი-თი და ი-ს გარეშე (მაგ., დუთქ „თავმა“, მაგრამ კით-ი-ქ „თითმა“).

თანხმოდანფუძიან სახელთა ბრუნების პარადიგმაში ი ხმოვნის გაჩენა ცალკეული საკითხების გარკვევას ითხოვს; ესენია:

- ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ი ხმოვნის გაჩენის შემაპირობებელი ფაქტორი;
- ი-ს რაობა და დისტრიბუცია;
- რელატიური ქრონოლოგია, ანუ ი შეხორცებული და ი შეუხორცებული ფუძეების უწინარეობა და შემდგომობა.

ჩამოთვლილ საკითხთა ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებანი შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს: თანხმოდანფუძიან სახელებთან მოთხრობითსა და მიცემითში ი ხმოვნის გაჩენის ფონეტიკურ საფუძველზე ამასვილებენ ყურადღებას ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ე. გვიბერია, ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, გ. კლიმოვი,¹ კ. დანელია, თანამედროვე მკვლევრებიდან – ც. ჯანჯღავა და მ. მალუაშვილი. ი ხმოვნის ფუძესთან შეხორცების ხელისშემწყობად ფონეტიკური გარემოს არსებობა პირველ რიგში გულისხმობს არაკანონიკური თანხმოდანთკომპლექსების დაძლევას, რისთვისაც სხვა საშუალებებიც არსებობს:

- დქ > თქ (დუდქ > დუთქ), ჯქ > ჩქ (ხოჯქ > ხოჩქ)

„მებრუნულში მოქმედი რეგრესული ასიმილაციის წესი“ (ყიფშიძე 1914:022-023); „კომპლექსთა გარდაქმნა ჰომოგენურობის თვალსაზრისით“; ასიმილაცია (გუდავა, გამყრელიძე 1981:211).

¹ გ. კლიმოვი, ფონეტიკური გარემოს პარალელურად, ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშნების (-იშ, -იშე, -იშა, -იშოთ, -ით) ანალოგიასაც ვარაუდობს, თუმცა ანალოგია, მიხედვით სიტყვებით, „ნაკლებ დასაშვებია“ (კლიმოვი 1962:114).

- არაკანონიკური თანხმომავანთკომპლექსის გამარტივება ფუძისეული თანხმომავანის დაკარგვით:² **ლუდს**→**ლუ-ს**, **ხოჯს**→**ხო-ს**;

„ფუძისეული დ თ ტ ჯ ჩ > 0 (იკარგება) -ს მიცემითი ბრუნვის ნიშნის წინ“ (ყოფშიძე 1914:022-023);

„გამარტივება წინამავალი წვერის ჩაგდებით მიცემით ბრუნვაში“ (გუდავა, გამყრელიძე 1981:211). შდრ.: არაკანონიკური თანხმომავანთმდევრობის გამარტივება **ქართული ენის დიალექტებში** ფუძისეული თანხმომავანის (სახლს > სახს, ძაღლს > ძაღს) დაკარგვის შედეგად (ჯორბენაძე 1989).

- ფონემის პოზიციური ცვლა, კერძოდ, ფუძისეული ლ-ს გადასვლა რ-ში ქ-სა და ს-ს წინ: ლქ > რქ-ში, ლს > რს-ში (ყოფშიძე 1914:022, გუდავა, გამყრელიძე 1914:212);
- ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ი ხმოვნის გაჩენა (ეს აღნიშნული აქვს ყველა მეცნიერს, დაწყებული ყოფშიძიდან).

არაკანონიკური თანხმომავანთკომპლექსების დაძლევა (სუპერაცია) პარადიგმაში ი ხმოვნის გაჩენით მხოლოდ მეგრულში არ ხდება. ამგვარი ტენდენცია იმერულ დიალექტში, კერძოდ, ვანურ თქმაში: ყიდულობს **სახლის**, ჭამს **კიტრის**, გატეხავს **ბლუდის**. უხუთის მეტყველებაში: **კაცის**, **ბოფშის**, **ქალის**... (ძოწინიძე 1948; 1973; კუბლაშვილი 1985).

ამრიგად, ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ი-ს ჩართვა განპირობებულია არაკანონიკური კომპლექსების დაძლევის (სუპერაციის) აუცილებლობით.

ი-ს რაობა და დისტრიბუცია. რაკი ფონეტიკური გარემოა ი-ს გაჩენის შემაპირობებელი ფაქტორი, გარკვეულია ი-ს რაობის საკითხიც: ის არის **თანხმომავანთგამყარი**. მაშინ ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ი-ს გაჩენა, როგორც თანხმომავანთგამყარისა, მოსალოდნელია იქ, სადაც არაკანონიკური თანხმომავანთკომპლექსების გაჩენის ალბათობაა, ანუ მოთხრობითსა და მიცემითში (ამ საკითხზე დამაჯერებელი მსჯელობა იხ. ე. გიგიბერიასა და კ. დანელიას ნაშრომებში).

მეცნიერთა უმრავლესობა ი-ს გაჩენის ფონეტიკურ გარემოზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ მათ მიერ წარმოდგენილ პარადიგმებში, მიუხედავად განსხვავებული მორფოლოგიური სეგმენტაციისა, მკვეთრად არ არის გამოიხატული ი შეხორცებული და ი შეუხორცებული ფუძეები. იხ. ი. ყიფშიძის (გვ. 028-029), არნ. ჩიქობავას (გვ. 44), ა. ლომთაძისა (გვ. 127) და ალ. ონიანის (გვ. 83) მიერ წარმოდგენილი პარადიგმები.

ი ხმოვნის ფუძესთან შეზრდის დისტრიბუციაზე ბევრი დაიწერა (გ. კლიმოვი, ა. ლომთაძე), დადგინდა სიგრძე ორწევრა, სამწევრა და ოთხწევრა თანხმომავანთკომპლექსებისა, რომლის თანახმად, მეგრული აუსლაუტში გაურბის

² სხვათა შორის, თუ მეტყველი პირი თანხმომავანთკომპლექსების დაძლევის I წესს იყენებს მოთხრობითი ბრუნვისთვის, როგორც წესი, მიცემითში უნდა მიმართოს II წესს, თუმცა შეიძლება დაფიქსირდეს შერეული პარადიგმაც (კოჩ-ქ მოთხრობითისთვის, კოჩი-ს მიცემითისთვის) როგორც გამოცემულ ტექსტებში, ისე ზეპირმეტყველებაში.

თანხმოვნების თავმოყრას (გუდავა, გამყრელიძე 1981); ასევე, ცალ-ცალკე იქნა შესწავლილი ფუძის დამაბოლოებელ თითოეულ თანხმოვანთან -ქ და -ს სუფიქსების შეხამების საკითხი, რომლის მიხედვით წარმოიქმნება კანონიკური (სონორი+ქ/ს), მერყევი (ფქ, ცქ, თქ, ჩქ) და არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსები. ივარაუდება, რომ რღვევა სწორედ მერყევ თანხმოვანთკომპლექსებთან დაიწყო (დანელია 1986).

რელატიური ქრონოლოგიის საკითხისათვის. ტენდენცია. თანამედროვე ვითარება. ქრონოლოგიურად, როგორც ჩანს, არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების სუპერაციის სხვა საშუალებები (ასიმილაცია, გარდაქმნა, გამარტივება) წინ უსწრებდა ი-ს ჩართვას, ანუ ი თანხმოვანთგამყარის გაჩენა გვიანდელი, მეორეული პროცესისა.³ ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ცალკეული ლექსიკური ერთეულების პარალელური ფორმების (კოჩქიკოჩიქ „კაცმა“) და აუსლაუტში ერთი და იმავე თანხმოვანთკომპლექსების განსხვავებული დაწერილობის მაგალითზე (დუთქ „თავმა“, ღართიქ „ჩონხამ“), რაც „სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ფაქტების აღრევის შედეგია“ (დაწვრ. მსჯელობა იხ. გუდავა, გამყრელიძე, გვ. 211; დანელია, 1986). ფორმათა სიჭრელეს იწვევს ადრე და გვიან ნასესხები ლექსიკაც:⁴ ჩაქუჩიქ „ჩაქუჩმა“, ხარჯიქ „ხარჯმა“, დარაჯიქ „დარაჯმა“, მაგრამ არწივექ „არწივმა“, ფლავექ „ფლავმა“ და სხვა.

პარალელური ფორმები უხვად დასტურდება როგორც გამოცემულ მეგრულ ტექსტებში, ასევე თანამედროვე მეგრული მეტყველების ნიმუშებში: დუდის „თავს“ (ხუბ. 20930), ჯინჯის „ძირას“ (ხუბ. 20826), ხოჯის „ხარს“ (28329), ქომონჯის „ქმარს“ (ხუბ. 22710), მაგრამ ქომონს „ქმარს“ (ხუბ. 4833), სიმინდიქ (ხუბ. 484), მაგრამ იქვე: სიმინქ (ხუბ. 4731), მაჭირხოლიქ (ხუბ. 24115), მაგრამ მაჭირხოლქ (ხუბ. 24120); მაგალითები საექსპედიციო ჩანაწერებიდან: კოჩქიკოჩიქ, სიმინს || სიმინდის, ღორონს || ღორონთის, ობუც || ობუჯის (სოფელი წალენჯიხის რაიონში, სახ-ში ობუჯი). მიუხედავად პარალელური ფორმების არსებობისა, ენის განვითარების შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე, უნიფიკაციის თუ პარადიგმატული გასწორების ტენდენცია შეინიშნება.

ლექსიკური ერთეულები არაკანონიკური დაბოლოებით. რაც შეეხება არაკანონიკური დაბოლოების ფორმებს – ბოშქ (იხ. ი. ყიფშიძის პარადიგმა, გვ. 029, ტექსტში არ დასტურდება), ტორონჯქ (ყიფ. 8617) „მტრედმა“, ღეჯქ (ყიფ. 1075) „ღორმა“, დუდქუ (ყიფ. 5725) „თავმა“, დუდს (ყიფ. 8614) „თავს“, ბორც [ბორჯის] „დროს“, ბორცუთი [ბორჯისითი] „დროით“ (ქაჯაია 2000, ტ. I:254) – არ არის ბუნებრივი მეგრული მეტყველებისთვის. ამიტომაც, თითოეული მათგანი მხოლოდ რამდენჯერმეა გამოყენებული, რაც შეიძლება ჟანრული (მაგ., ბორც „დროს“ ლექსის ენაში) თავისებურებით ან ინფორმატორის მიერ, ქვეცნობიერად, გრამატიკული წესის ერთგულებითაც აიხნას.

³ განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. კლიმოვი 1962:17, 115; ლომთაძე 1986:135.

⁴ ფორმათა სესხებისას ქრონოლოგიის უგულვებელყოფამ შეიძლება მცდარ შედეგამდე მიიყვანოს მკვლევარი: იხ. მსჯელობა მეგრულში ვქ მიმდევრობის კანონიკურობის შესახებ: გიგობერია 1958:473, შდრ.: ლაკვიქ „ლეკვა“)

თანხმოვანთგამყარ „ი“-სთან დაკავშირებული საკითხები. თანხმოვანთგამყარ ი-ს უკავშირდება ორი საკითხი, რომლებიც განხილულია ბოლო პერიოდის ნაშრომებში:⁵ სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების დასაძლევად გაჩენილი ი-ს ფარდად არის მიჩნეული: 1. **გ** ნეიტრალური ხმოვანი, იმავე პოზიციაში; 2. **ი, უ, გ** ხმოვნები, დართული მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმებს. პირველ საკითხზე მსჯელობისას ორივე ავტორი იმოწმებს ი. ყიფშიძის მაგალითს – ბალგქ, ბალგს „ბალმა“, „ბალს“. ც. ჯანჯღავა ამატებს გალგქ, გალგს, კირცხგქ, კირცხგს ფორმებს. ისმის კითხვა, რამდენად ბუნებრივია და გავრცელებული ეს ფორმები მეგრულში. გალი, კირცხი გეოგრაფიული სახელებია. აქედან გამომდინარე, გაბმულ მეტყველებაში, თხრობაში მათი გამოყენების სიხშირე დაბალია, მით უფრო, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმებით. დაახლოებით 10-მდე ინფორმატორთან (ოჩამჩირიდან, წალენჯიხიდან, ჩხოროწყუდან) გადავამოწმეთ ეს და ყველამ ბუნებრივად მიიჩნია **გალქ, კირცხიქ**.

რაც შეეხება ბალგქ, ბალგს ფორმებს, ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** დიალექტების მიხედვით სუსტდება „ნახევარხმოვან“ **გ**-დ. მაგალითად მოჰყავს ბალი „сашъ“ > ბალგ (გვ. 018, შენიშვ. 2); იმავე ფორმულირებას იმეორებს ბრუნვათა პარადიგმის წარმოდგენისასაც (გვ. 28). „ბალი“ ლექსემას უმატებს ღალი || ღალღ „ღელე“ ფორმებს და დასძენს, რომ ნახევარხმოვანი **გ**, როგორც შემცველი ხმოვანი ი-სა, ჩნდება სხვა ბრუნვებშიც: ღალ+გ-ში, ღალ+გ-მა და ა.შ. ი. ყიფშიძის ეს თვალსაზრისი, ვფიქრობთ, დაზუსტებასა და ახსნას საჭიროებს. კერძოდ, მეგრულში, თანხმოვანფუძიან სახელებთან, სახელობითი ბრუნვის ნიშანი არის **ი** და ის, როგორც წესი, არ სუსტდება, არ გადადის **გ**-ში. მაშინ რით იხსნება ბალგ და ღალღ ფორმების არსებობა? მეგრულში არსებობს შემდეგი ომოფორმები: ზმნური ერთეული **ბალუ** – „საკმარისია“ და არსებითი სახელი **ბალუ** – „ბედელი“ (ქაჯაია 2000, ტ. I:227), რომელთა ბოლოკიდური **უ**-ს დასუსტება ჩვეულებრივი პროცესია: **უ** > **გ**-ში: ბალუ || ბალღ (ყიფშიძე 1914). ჩემი აზრით, **ბალღ** ფორმა, ბალის მნიშვნელობით, წინამავალი ომოფორმების წარმოთქმის ანალოგიის შედეგია. რაც შეეხება **ღალი** „ღელე“ ფორმას, მოეპოვება იმავე მნიშვნელობის პარალელური **ღალუ** (იხ. დასახ. ლექსიკონი, ტ. III:164). როგორც ჩანს, ღალღ ფორმა **უ** ხმოვნის დასუსტებითაა მიღებული და არა **ი** ხმოვნისა. ამრიგად, ბოლოკიდური ი-ს დასუსტების ერთადერთი მაგალითი (ბალი || ბალღ) დასტურდება მეგრულში, გამონაკლისის სახით.⁶

⁵ იხ. ც. ჯანჯღავა 1999; მ. მალუაშვილი 2008.

⁶ მეგრულში სახელობითი ბრუნვის ნიშნად **გ**-ს ასახელებს ე. გიგიბერიაც (გვ. 471) და მაგალითად მოჰყავს **ჭკიდღ** „მჭადი“, მაგრამ ამგვარი ფორმა არც ტექსტებში დასტურდება და არც ზეპირმეტყველებაში (იხ. ლექსიკონში: **ჭკიდი** || **ჭკკდი**, ტ. III, გვ. 482); **ჭკკღ** „მჭადს“ გამარტივების შედეგადაა მიღებული: **ჭკკღს** > **ჭკკღს**, **გ** აქ ფუძისეული ი-ს დავიწროების შედეგია.

მართალია, არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების დასაძლევად გაჩენილი ი უფუნქციოა მორფოლოგიურად, მაგრამ მისი დასუსტება არ ხდება; თანხმოვანთგამყარი არის სრული ი. ამ თვალსაზრისს ამყარებს ორი ენობრივი მოვლენა:

1. ქ-ზე ან ს-ზე დაბოლოებულ ფორმებსა (სახელი ან ზმნა) და სხვათა სიტყვის -ა ნაწილაკს (ქართული -ო-ს ფარდი) შორის ჩართული ი არასოდეს არ გადადის ნეიტრალურში, მაგალითად, კოჩქ-ი-ა „კაცმაო“, კოს-ი-ა „კაცსაო“, ვჭარუნქ-ი-ა „ვეწერო“ და ა. შ.

2. მეგრულში -ხ „მდე“ თანდებულს მოეპოვება პარალელური ფორმები: -ხი || -ხე (ყიფშიძე 1914:396); მაგალითად, თეიშახი||ხე||ხ. თანდებულთან ფორმაზე სხვათა სიტყვის -ა ნაწილაკის დართვისას მხოლოდ -ხი გამოიყენება (თეიშახია „იქამდეო“, ცუდეშახია „სახლამდეო“ და სხვა).⁷

ჩემი აზრით, სწორედ ამგვარი შეზღუდვა ვრცელდება სახელთა ბრუნების პარადიგმაში გაჩენილ თანხმოვანთგამყარ ი ხმოვანზეც.⁸

ასევე, ჩვენი მსჯელობის საგანია მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმათა მომდევნოდ ი, უ, გ-ს დართვის საკითხი. ბოშიქი, ბოშიქუ, ბოშიქე ტიპის ფორმებში ბოლოკიდური ხმოვნები მიჩნეულია სუპერაციის ერთ-ერთ საშუალებად (ჯანჯღავა 1999:39, 40, 59; მადუაშვილი 2008:108). დასახელებული ხმოვნები მოცემულ პოზიციაში კვალიფიცირდება ემფატიკურად (ყიფშიძე 1914: 012, 024; ჩიქობავა 1936:56; კლიძოვი 1962:75; ლომთაძე 1986:109-117; კარტოზია 2005:32).

ვფიქრობთ, ტრადიციული შეხედულება გასაზიარებელია, რადგან:

- ა. თითოეული მათგანი რეგულარულად არ დაერთვის სახელის ფორმას: კოჩქი || კოჩქუ || კოჩქე || კოჩქ „კაცმა“ პარალელური ფორმებია;
- ბ. დაერთვის ისეთ ფორმებს, რომლებთანაც სუპერაციის საკითხი არ დგას: მარჭინოლქე (ქხს, ტ. II, 266) „მერცხალმა“, ჩილქე (ყიფ. 9327) „ცოლმა“, ჩხომქე (ყიფ. 9327) „თევზმა“ და არ დაერთვის არაკანონიკური დაბოლოების ფორმას: ტორონჯქ (ყიფ. 8612; 8617; 8623);
- გ. სუპერაცია მომხდარია და მაინც დაერთვის: ქომონსე „ქმარს“ (ყიფ. 246); კოცე „კაცს“ (ყიფ. 1517); ღორონსი „ღმერთს“ ... ;
- დ. ჩნდება ხმოვანფუძიანი სახელების მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფორმებთან: ოროქე „ჩრდილმა“, კატუსე „კატას“ , სადაც არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების სუპერაციის საკითხი არ დგას.

⁷ ორივე ეს ფაქტი შენიშნული აქვს თავად ც. ჯანჯღავას (იხ. დისერტაცია, გვ. 57).

⁸ აღსანიშნავია, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან გაჩენილი ბოლოკიდური ი არ ვიწროვდება გ-დ. კოჩიში „კაცისა“ ტიპის ფორმებში -იში ერთადერთი დაბოლოებაა (ბოლოკიდური ი გენეტურად სახელობითი ბრუნვის ნიშანს უკავშირდება) და „არ შეიძლება გავუტოლოთ სხვა ირიბ ბრუნვებში დართულ ი-ს (დაწვრ. იხ. კარტოზია 2005: 63-64, 66, 72);

ლიტერატურა

- გივიბერია 1958:** ე. გივიბერია, გალის რაიონის მეგრული, თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბილისი.
- გულავა 1979:** ტ. გულავა, ბაგისმიერი თანხმონები ჩქამიერთა წინ მეგრულში, საენათმეცნიერო კრებული (ედღვება გივი მაჭავარიანის ხსოვნას), თბილისი.
- გულავა, გამყრელიძე 1981:** ტ. გულავა, თ. გამყრელიძე, თანხმონანთკომპლექსები მეგრულში, თსუ-ის კრებული „აკაკი შანიძეს“, თბილისი.
- დანელია 1986:** კ. დანელია, სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის ფუქსთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში, თსუ-ის შრომები, ტ. 267, თბილისი.
- კარტოზია 2005:** გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი.
- კლიმოვი 1962:** Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва.
- კუბლაშვილი 1985:** კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი.
- ლომთაძე 1986:** ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბილისი.
- მაღუაშვილი 2008:** მ. მაღუაშვილი, მიცემითი ბრუნვა მორფოლოგიური ასპექტით, ენათმეცნიერების საკითხები, I, თბილისი.
- ონიანი 1989:** ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები (სახელთა მორფოლოგია), თბილისი.
- ჟღენტა 1960:** ს. ჟღენტა, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I, მარცვლის ავებულების პრობლემა, თბილისი.
- ქაჯაია 2000:** თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.
- ქაჯაია 2002:** თ. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.
- ყიფშიძე 1914:** И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб.
- ჩიქობავა 1936:** არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.
- ძოწენიძე 1948:** ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, თბილისი.
- ძოწენიძე 1973:** ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი.
- ჯანჯღავა 1999:** ც. ჯანჯღავა, სახელის მორფონოლოგიური ანალიზი მეგრულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.
- ჯორბენაძე 1989:** ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

შემოკლებანი

- ქსს, ტ. II – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბილისი 1991;
- ყიფ. – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб 1914.
- ხუბ. – მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი 1937.
- დაუმოწმებელი მაგალითები 2007-2008 წლების საექსპედიციო ჩანაწერების მასალებიდანაა აღებული.

About the Emergence of *i* Vowel in the Paradigm of Noun Declension

Summary

In Megrelian, in the paradigm of the declension of nouns with consonant stems emerges the vowel *i*, which has been known to the scientists for a long time. Nouns can be classified into two groups: the first group always adds *i* vowel between the stem and the case ending (e.g. *borž-i-k* “time” {erg.}, *borž-i-s* “to the time”{dat.}); the other group sometimes adds *i* vowel to the stem, at other times they don't add it (*k'oč-k* || *k'oč-i-k*, *k'o-s* || *k'oč-i-s* “to the man”). The issue is given a great importance by both the existence of the parallel forms of one and the same stem (*k'oč-k* || *k'oč-i-k*), and the representation of one and the same consonant clusters with the lexical items with *i* and without *i* (E.g. *duťk* “head”{erg.}, but *k'it-i-k* “finger” {erg.}). I. Kipshidze, A. Chikobava, E. Gigiberia, T. Gudava, T. Gamkrelidze, G. Klimov, K. Danelia, Ts. Janjghava and M. Maduashvili emphasize the phonetic basis of the emergence of the vowel *i* in the ergative and dative cases of the nouns with consonant stems. The conducive factor to the merging of the vowel *i* with the stem means overcoming the non-canonical consonant clusters by different means, such as: assimilation, the simplification of the cluster, including the insertion of the vowel *i* between the stem and the case ending; Compare the similar phenomenon in Georgian dialects. Thus, *I* is the divisor of the consonants in two cases-ergative and dative; as there is no other phonetic reason to insert *i* in other cases (E. Gigiberia, K. Danelia); paradigms with different segmentation (I. Kipshidze; A. Chikobava; A. Lomtadze; A. Oniani). The vowels added to the forms of ergative and dative cases are considered one of the other *k'očki||u||ə* “man” {erg.} (Ts. Janjghava, M. Maduashvili). We maintain the traditional view that the final vowels of this type are emphatic (I. Kipshidze, A. Chikobava, G. Klimov, A. Lomtadze, G. Kartozia).*I*-the divisor of the consonants, in spite of the fact that it doesn't have morphological function and is the phonetic insertion, never narrows. For a different point of view see Ts. Janjghava, M. Maduashvili. Much has been written on the distribution of the merging of the vowel *i* with the stem (A. Lomtadze, G. Klimov), the length of the two-part, three-part and four-part consonant clusters has been established, according to which, Mingrelian in auslaut avoids the clustering of consonants in (T. Gudava, T. Gamkrelidze); in addition, the combining of the *-k* and *-s* suffixes with each of the consonants ending the stem has been thoroughly studied. As a result, canonical (sonorant+ *k/s*), weak (*pk, ck, tk, čk*) and non-canonical consonant clusters emerge. It is assumed that the breaking started with the weak consonant clusters (K. Danelia).

ქეთევან მარგიანი-სუბარი

**რეზულტატიურობა-პირობითობის გამოხატვისათვის
სვანურ გარდამავალ ზმნებში**

(ზემოსვანური მონაცემების მიხედვით)¹

სვანურ ენაში რელატიურ-გარდამავალ და ბრუნვაცვალებადსუბიექტიან აბსოლუტურ ზმნებს (ავტოაქტივებს, resp. მელიოაქტივებს) მოეპოვება ინვერსიული ფორმები, რომელთა ზუსტი შესატყვისობა მწკრივის სახით ქართულში არ არის. ამიტომაც, საჭიროების შემთხვევაში, ქართულად I თურმეობითად (**ხემი** „უჭამია მას ის“) ან აღწერითი კონსტრუქციით („ნაჭამი ექნება ალბათ“) თარგმნიან; ამავე ფორმებს -**რლ** (ბზ.), -**იჟ** (ბქ.) აფიქსით კი II თურმეობითს შეუსატყვისებენ ხოლმე: **ხემრლ** (ბზ.), **ხემიჟ** (ბქ.) „ეჭამა მას ის“ ან „ნაჭამი ექნებოდა ალბათ“ (შდრ. თურმ. I – **ხომა**, თურმ. II – ბზ.: **ხომჟნ**, ბქ.: **ხომა/ან**), რაც მათს რეალურ სემანტიკას არ შეესაბამება.

ვ. თოფურიას „სვანურ ზმნაში“, რომელიც თითოეული ჩვენგანის სამაგიდო წიგნია და რომელიც, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს (ჭუმბურიძე 2008), „დღემდე რჩება მიუწვდომელ მწვერვალად სვანური ენის კვლევის სფეროში“, ეს ფორმები მსგავსი სემანტიკით არ ჩანს, რაც, ალბათ, იმით აიხსნება, რომ 30-იან წლებში, როდესაც წიგნი იქმნებოდა, გამოყენებულ მასალაში ვერ მოხვდებოდა და ვერ იქნებოდა ფიქსირებული ყველა ნიუანსის მქონე ლექსემა.

აღნიშნული მონაცემები აქტიური ზმნებია, სინთეზური წარმოებისაა და პერფექტულია: **ხედგარი** „ალბათ რმოუკლავს მას ის“, **ხედგარრლ** (ბზ.), **ხედგარიჟ** (ბქ.) – „ალბათ რმოეკლა მას ის“. ისინი გადმოგვცემენ წარსული დროის სავარაუდო, დაუზუსტებელ მოქმედებას დინამიკაში, სტატიკური შედეგით – პირველ შემთხვევაში (**ხედგარი**) აწმყო-მყოფადში, მეორე შემთხვევაში (**ხედგარრლ**, **ხედგარიჟ**) – წარსულშივე.

როგორც ცნობილია, ქართველოლოგთა ერთი ნაწილი (ნ. ნათაძე, დ. მელიქიშვილი, ა. არაბული, მ. ბერიძე...) III სერიის მწკრივებს ისტორიულად სტატიკურ ზმნებს უკავშირებს. დ. მელიქიშვილის აზრით, „I რეზულტატივი, II რეზულტატივი და III კავშირებითი წარმოშობით სტატიკური ზმნების აწმყოს, წყვეტილისა და II კავშირებითის ინვერსიაქმნილი ფორმებია, რომლებიც დღეს დინამიკური გარდამავალი ზმნების პარადიგმის გაგრძელებაა. ამ ფორმებს ერთ ჯგუფში აერთიანებს წარმოების წესი და ინვერსიული კონსტრუქცია“ (მელიქიშვილი 2001, 48). სვანურ მასალაზე ეს ასე აისახება:

¹ წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზურაბ სარჯველაძის დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე 2009 წლის 17 მარტს.

სტატიკური	დინამიკური გარდამავალი
აწმყო ხოხტაჟა „უხატია ის მას“	I თურმ. ხოხტაჟა „უხატავს მას ის“
წყვეტ. ხოხტაჟუნ „უხატა ის მას“	II თურმ. ხოხტაჟუნ „უხატა მას ის“
II კავშ. ხოხტაჟუნს „უხატოს ის მას“	III კავშ. ხოხტაჟუნს „უხატოს მას ის“

სტატიკურთა რომელი მწკრივების ინვერსიით შეიძლებოდა მიგველო საანალიზო ფორმები? შევაკსოთ პარადიგმა:

სტატიკური

მყოფადუსრული **ხეხტაჟი** — „უხატება ის მას“
 პირობითუსრ. **ხეხტაჟოლ/ხეხტაჟიჟ** (ბზ., ბქ.) — „უხატებოდა ის მას“

დინამიკური გარდამავალი

საანალიზო ფორმა **ხეხტაჟი** — „ალბათ უხატია მას ის“
 საანალიზო ფორმა **ხეხტაჟოლ/ხეხტაჟიჟ** (ბზ., ბქ.) — „ალბათ უხატა მას ის“

როგორც გამოირკვა, ჩვენ მიერ წარმოდგენილი პირველი ფორმა (**ხეხტაჟი**) შესაბამისი სტატიკური ზმნის მყოფადუსრულის მოდელს იმეორებს, მეორე (ბზ.: **ხეხტაჟოლ**, ბქ.: **ხეხტაჟიჟ**) კი პირობითუსრულისას. გარდა ამისა, ეს რეზულტატიური ფორმები სემანტიკურადაც სრულ ჰარმონიაშია აღნიშნულ მწკრივებთან: ერთი გულისხმობს წარსულის სავარაუდო მოქმედების პირობით შედეგს აწმყო-მყოფადში, მეორე კი ასევე პირობით რეზულტატს წარსულშივე:

ბზ. **ხეხტაჟი** („ალბათ უღვრია“): **ალას მახტაჟე ქიმ ხეხტაჟი მიჩა გეზლან ბელჟი**;

„ამას რამდენი ცრემლი უღვრია ალბათ თავისი შვილის გამო“;

შდრ. **ქიმ ხოხტაჟი** — „ცრემლი უღვრია“ — კონტექსტის მიხედვით ნახული ან უნახავი, მაგრამ არა სავარაუდო!

ბზ. **ხეხტაჟი** („ალბათ უჭამია“): **ლაშეღდღულ ეჯლა ხაბუას ნიშეჟეჟეჟე სეჭირო, ერე „ეჩაბუნსდ ესერ ქა ლეჭუღღლი ხნარ, ეშუღღ დღარ ხეხტაჟი“** (სვ. პრ. I, 1939:8:31);

„ქელეხი იმიტომ მიაჩნიათ ჩვენში საჭიროდ, რომ „საიქიოში ჩამოსარი-გებელი აქვსო, ვისი პურიც კი ალბათ უჭამია ამქვეყნად“;

ბზ. **ხეხტაჟი** („ალბათ იქნებ გაუგია“): **ამეჟლიბ დინას როქჟ ხეხტაჟი მი ი ეჩი მუთჟერი მაწგხ, ჰუნს მა ხეხტაჟი ეჯ დინაშ** (იქვე 146, 18:19);

„ამნაირ გოგოს ვეძებო მე და იმისი მასწავლებელი მჭირდება, თუ ვინმეს რამე იქნებ გაუგია იმ გოგოსი“;

ბზ. **ხეხტაჟი** („ალბათ მოეკლა“): **ტარიელს აშირთეჟი ღუაშ ჩუ ხეხტაჟი**;

„ტარიელს ასამდე ჯიხვი ალბათ მოეკლა“;

ბქ. ხეცხუბიჲ („ალბათ რმოეტაცებინა“): არზომან გურჩიანს ერჲემდ სიმაქ ეჯღჲ ხეცხუბიჲ, ქა მეკჲჲე ლჲსჲ;

„არზომან გურჩიანს ოცი ასული მინც მოეტაცებინა ალბათ, განთქმული იყო“.

ხეშხიჲ („თუ ეკერა“): ამის შომაღე ოსჲრ ხეშხიჲ, ეჯის დემეგ ონჲჲინდ!

„ამას როღისმე ჩონა თუ რშეეკერა, ამას („იმას“) არ მოველოდი!“

აღნიშნულ ფორმებს ასევე თავისუფლად აწარმოებენ ავტოაქტივები (resp. მეღოაქტივები):

ბზ. ხებგრგიღლი („უჭიდავია ალბათ“): მანობჲი ალ მჲრა ხჲჲჲ ხებგრგიღლი;

„ახალგაზრდობაში ამ კაცს ბევრი უჭიდავია ალბათ“;

ბქ. ხეზელჲლიჲ („ეველო ალბათ“): ბანჩას მიჩა დრეჲჲი თანღიჲრქა მასჲრდ ხეზელჲლიჲ!

„ბანჩას თავის დროზე უღელტეხიღებზე ბევრი ეველო ალბათ.“

შეენიშნავთ, რომ საანალიზო ზმნები ფორმით ღინამიკურ ე-პრეფიქსიანთა იღენტურიცაა, რადგანაც თავად სტატიკურ და ღინამიკურ ზმნათა ფორმები ეთხვევა სხვადასხვა მწკრივში ერთმანეთს;

შდრ. ღინამიკური აწმყო: ხეხტჲჲი „ეხატება ის მას“ – სტატიკური მყოფადი: ხეხტჲჲი „ეხატება ის მას, მისთვის იქნება დახატული მომავალში“; ღინამიკ. უწყვეტელი: ხეხტაჲჲრლ||ხეხტაჲჲრლდა (ბზ.), ხეხტჲჲიჲ (ბქ.) – „ეხატებოდა ის მას“ – სტატიკ. პირობით უსრული: ხეხტაჲჲრლ (ბზ.), ხეხტჲჲიჲ (ბქ.) – „ეხატებოდა ის მას, მისთვის იქნებოდა დახატული“. ამგვარი ფორმობრივი თანხვედრები ქართულშიც არაერთია ცნობილი: დაუნატავს ის მას (მყოფადი) – დაუნატავს მას ის (I თურმეობითი); დამაღლოს ის მას (II კავშირებითი) – დამაღლოს მას ის (III კავშირებითი); უკიღია ის მას (სტატიკური აწმყო) – რდაუკიღია მას ის (ღინამიკური I თურმეობითი...). სემანტიკით კი ეს ზმნები, როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ სტატიკურ ზმნათა აღნიშნულ მწკრივებს (მყოფადი, პირობითი) ენათესავებიან.

საანალიზო ზმნებს პრევერბიანი ფორმები არა აქვთ; სწორედ ამიტომ ისინი დიურატიულობას გამოხატავენ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ბუნების მოვლენების აღნიშვნელ ზმნათა ფორმები: შღჲჲჲე „თოვს“ – ხეშღჲჲჲე „უთოვია ალბათ“; ხეშღჲჲრლ (ბზ.), ხეშღჲჲიჲ (ბქ.) „უთოვა ალბათ“. მსგავსი სემანტიკის ზმნებში უფრო გამოკვეთილია მოქმედების დიურატიულობა და გამორიცხულია მომენტობრიობა. ცნობილია, რომ „დიურატიული ასპექტის ზოგ ნაკვთს მრავალგზისი მოქმედების გამოხატვაც შეუძლია“ (მაჭავარიანი 1974: 129); თუმცა ითვლება, რომ ხოღმეობითი, როგორც გრამატიკული კატეგორია, დღევანდელ სვანურში აღარ გვაქვს (სწორედ I ხოღმეობითის ბაღალ მწკრივს უწოდა ვ. თოფურიამ პირობითი), საანალიზო ფორმებში ნიუნსურად სწორედ პირობითობა-ხოღმეობითობის სინთეზია, თანაც, ბოღოს და ბოღოს, ხოღმეობი-

თის -ი ხომ დიურატიული ასპექტის უძველეს მაწარმოებლადაა მიჩნეული ქართველურ ენებში, მაგრამ ეს სხვა საკითხია.

საანალიზო ფორმათა შინაარსიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მათს შემცველ წინადადებებში ნათქვამის მიმართება სინამდვილისადმი ვარაუდის, შესაძლებლობის, დაუზუსტებლობის გამომხატველია. ქართულში მსგავს ვითარებაში მოღალური სიტყვები მოიშველიება, სვანურში კი აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სემანტიკა სინთეზურ ფორმებშია ჩადებული. მათი აღწერითი ფორმები თავად სვანურში უდრის I და II თურმეობითი + ნაწილაკი „მგრჲს“ (ბზ.), **მაჟშჟლი** (ბქ.) „ალბათ“:

ხედგჳრი = ხოდგარა მგრჲს – „მო“უკლავს ალბათ [ხოლმე]“; **ხეტმჟრი = ხოტმჟრა მგრჲს** „უტყავებია ალბათ [ხოლმე]“, თუმცა გადმოქართულებისას, რაგვარობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგჯერ სხვა მოღალურ ლექსემებსაც („იქნებ“, „ეგებ“, „ნეტავ“...) მოირგებს:

ალას ლჳდი მამგჟემ ხემი (ბზ.);

„ამას დღეს არაფერი უჭამია, ალბათ“,

შდრ. **ალას ლჳდი მამგჟემ ხემია?** – „ამას დღეს არაფერი უჭამია, ნეტავ?“

ალ ლეზიას მაზუ ხეფუი, ანჯაბიჟმოშ? (ბქ.)

„ამ ლობიოს რამდენი უდუღია, ნეტავ, მოიხარშებოდა?“ – შეკითხვა რიტორიკულია; სიზუსტის (და არა პირობითობის) შემთხვევაში კი ნამყოსრული შეცვლის მას:

ალ ლეზიას მაზუ ხოფუა? – „ამ ლობიოს რამდენი უდუღია (||რამდენი იდუღა?)“

მაშასადამე, ზმნათა აღნიშნულ ფორმებს გამოკვეთილი სემანტიკა და საკუთარი წარმოება აქვთ, რაც განაპირობებს მათ სათანადო მწკრივებად გამოყოფის აუცილებლობას. რაც შეეხება მწკრივთა დასახელებას, მხედველობაში მისაღებად მიგვანჩნია შემდეგი ფაქტორები: ა) საანალიზო ფორმათა პირველი რიგი – **ხემჳრი** „უმზადებია ალბათ“ – პერფექტულობაში გათვალისწინებულ დროთა მიხედვით (ნამყო – აწმყო) I შედეგობითს ეკედლება, მეორე რიგი კი – **ხემჳროლ**, **ხემჳრიჟ** (ბზ., ბქ.) „ეგებ ემზადებინა“ (ნამყო – ნამყო) – II შედეგობითს; ბ) სემანტიკურ განსხვავებას I და II შედეგობითსა და აღნიშნულ ფორმათა შორის პირობითობა ქმნის; 3) საანალიზო მონაცემებში აქტის ნიუანსი გათვალისწინებული არ არის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სახელდებისას პირობითობასთან ერთად უმჯობესია, შედეგობითობა ფიგურირებდეს (ნაცვლად თურმეობითისა,) და მათ პირობით-შედეგობითი I და პირობით-შედეგობითი II ეწოდოთ.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, სვანურში III სერიაში ხუთი პერფექტული დრო გამოიყოფა: თურმეობითი (შედეგობითი) I, პირობით-შედეგობითი I, თურმეობითი (შედეგობითი) II, პირობით-შედეგობითი II და კავშირებითი III. პარადიგმა კი ასეთ სახეს მიიღებს:

თურმეობითი (შედეგობითი) I

ხომჳრა – „უმზადებია მას ის“

ხოშდრჳლა – „უთამაშია მას [ის]“

პირობით-შედევობითი I

ხემწარი – „ემზადებია ალბათ“ ხემდრწლი – „ეთამაშია ალბათ“

თურმეობითი (შედევობითი) II

ხომარწწ – „ემზადებინა მას ის“ ხა/ოშდრწწწ – „ეთამაშა მას [ის]“

პირობით-შედევობითი II

ხემარწლ – „ემზადებინა მას ის ალბათ“ ხემდრწლწლ – „ეთამაშა მას [ის] ალბათ“

კავშირებითი III

ხომარწწწ – „ემზადებინოს მას ის“ ხოშდრწლწწწ – „ეთამაშოს მას [ის]“

ლიტერატურა

არაბული 1984: ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბილისი.

ბერიძე 1998: მ. ბერიძე, სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფისა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოების საკითხისათვის, საენეთმეცნიერო ძიებანი, VII, თბილისი.

თოფურია 1967: ვ. თოფურია, შრომები, I, თბილისი.

მაჭავარიანი 1974: გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი.

მელიქიშვილი 2001: დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.

ნათაძე 1955: ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VII, თბილისი.

სვ. პრ. ტ. 1939: სვანური პროზაული ტექსტები, I, თბილისი.

ჭუმბურიძე 2008: ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენა, თბილისი.

Ketevan Margiani-Subari

**On the Expression of Resultativeness-Conventinality
in Svan Transitive Verbs
(On the Basis of Upper Svan Evidence)**

Summary

In Svan have been attested some verb forms which are not recorded among the screeves known hitherto in the conjugation system.

These are active verbs of synthetic formation and perfective: they convey the static (as well as conventional) result of an **apparent, unspecified, conventional** action having taken place in the past, either in the present-future (xēmi "he has probably have eaten it", xegi "he has probably built it") or in the past (xēmōl – Upper

Bal(UB) , xemiw – Lower Bal (LB). "he must have eaten it", xegol – UB., xegiw – LB. "he may have built it");

These verbs repeat the model of future imperfective (I form) and conventional imperfective (II form) of stative verbs and, in our view, are their inverted forms.

The verbs under discussion have no forms with a preverb; therefore, they express durativeness. This view is supported by the forms denoting natural phenomena: šdu[w]e "it is snowing" – xešu[w]i "it has probably snowed"; xeš-duōl (UB.), xešduiw (LB.) "it may have snowed". In verbs of the similar semantics the durativeness of the action is accentuated to a greater extent and momentariness is ruled out. As is known, "some features of the durative aspect may also denote a repeated action" (G.Machavariani). It is regarded that Conditional, as a grammatical category, is no longer found in modern Svan (V.Topuria called Conventional exactly the screeve corresponding to the First Conditional of Georgian), but in the analyzed forms there is exactly a synthesis of conventionality-conditionality **as to nuances**.

Thus, the above-mentioned forms of verbs have a well-marked semantics (perfectiveness-conventionality) and their own formation, which, in our view, leads to the necessity of their division into relevant screeves in the third series.

So, a) the first row of the forms under discussion (xemäri "he must have prepared") according to the tenses envisaged in perfectiveness (past – present) belongs to the First Evidential (Resultant), and the second row (xemārol UB., xemäriw LB., "he may have prepared", past – past) - to the Second Evidential (Resultant); b) a semantic difference between them is conventionality; c) in the analyzed material the act nuance is not considered.

Proceeding from the above, we consider that at the time of naming it is better to use resultantness (rather than evidentiality; this does not have decisive importance, though) and to refer to the screeves **Conventional-Resultative I** and **Conventional-Resultative II**.

ღამანა მელიქიშვილი

**ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული
კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპები**

(მეთოდოლოგიური იმანენტიზმის შუქზე)

II. გვარისა და ღიათეზის კატეგორიების ურთიერთმიმართებისათვის ქართულში¹

1928 წელს არნოლდ ჩიქობავამ თავის სადოქტორო დისერტაციაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, დასვა პრინციპული საკითხი ენათმეცნიერებაში „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ შესახებ, რაც გულისხმობს (და მოითხოვს) იმას, რომ გრამატიკული მოვლენების აღწერითი ანალიზისას ამ მოვლენების კლასიფიკაცია-კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს შესასწავლი ობიექტიდან, კონკრეტული ენის ბუნებიდან, მასალიდან ამოსვლით (უნდა ითქვას, რომ ეს მოთხოვნა არა მხოლოდ გრამატიკულ, არამედ ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებას უნდა ედოს საფუძვლად).

ამ მეთოდოლოგიური საკითხის წამოწევა საჭირო გახდა იმის გამო, რომ აღწერითი გრამატიკების „სხვადასხვა მიმდინარეობა სტრუქტურულ ცნებათა ჩამოყალიბებისას ემყარება ფუნქციის ნიშან-თვისებებს. ამ მიმართულებებში (იგულისხმება ლოგიკიზმი, ფსიქოლოგიზმი) ანგარიში არ ეწევა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითად დასკვნას: ერთი და იგივე აღსანიშნო სხვადასხვა ენაში (ერთსა და იმავე ენაშიც მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში) შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვაგვარად: ფუნქციის ერთგვარობა სტრუქტურის ერთგვარობას ვერ განსაზღვრავს. ერთი სიტყვით, ვერ გამართლდა რაციონალური გრამატიკის (*resp.* ფილოსოფიური გრამატიკის) ძირითადი დებულება, თითქოს ლოგიკურ კატეგორიათა ერთიანობა შესაძლებელს ხდიდეს „უნივერსალურ“ („ზოგად“) გრამატიკას: „უნივერსალურად“ („ზოგადად“) ეს გრამატიკა მიაჩნდათ იმიტომ, რომ იგი „რაციონალური“ იყო, ლოგიკურ კატეგორიებს ემყარებოდა“ (ჩიქობავა 1928:09).

მას მერე გავიდა ათეული წლები და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი საკითხის შესწავლას ეს სრულიად სამართლიანი მეთოდოლოგიური მოთხოვნა უდევს საფუძვლად, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „ლოგიკის ექსპანსიის“ პრობლემა დაძლეული არ არის და იგი ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს, განსაკუთრებით კი ქართული ზმნის პირის ნიშნების კვალიფიკაციისა და უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისას.

¹„ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპისათვის, I. პირის ნიშანთა გამოხატვის სისტემა ქართულში“ იხ. ენათმეცნიერების საკითხები, I, 2008:123-128.

ჯერ კიდევ არ არის დაძლეული დიონისე თრაკიელიდან გამოსული ევროპული გრამატიკული ლიტერატურის გავლენა: ქართულისათვის დამახასიათებელი ბევრი სპეციფიკური ენობრივი მოვლენა ამ, აღწერითი გრამატიკების თვალთახედვითაა გააზრებული და კვალიფიცირებული (ეს განსაკუთრებით ზმნასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება).

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, გავისხენოთ არნ. ჩიქობავას რამდენიმე პრინციპული დებულება მისი ფუძემდებლური ნაშრომის II გამოცემის წინასიტყვაობიდან (ჩიქობავა 1968):

1. „*უნივერსალური გრამატიკა*“ შეუძლებელია იმიტომ, რომ არ არსებობს უნივერსალური გრამატიკული სტრუქტურა (თუმცა სხვადასხვა ენების სტრუქტურაში გამოირჩეული არაა გვერდის ცალკეული საერთო სტრუქტურული ნიშნები).
2. ენის მეცნიერული შესწავლა... გულისხმობს როგორც **სტრუქტურის**, ისე **ფუნქციის** შესწავლას, მაგრამ შეუძლებელი ხდება სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) **აღწერით** ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და პირუკუ.
3. **სტრუქტურული** ცნებები **სტრუქტურული** ნიშნების მიხედვით უნდა ჩამოყავალიბოთ, **ფუნქციონალურიც**, შესაბამისად – **ფუნქციონალური** ნიშნების მიხედვით: მანძილი არ გაიზომება წონის ერთეულებში (კილოგრამებით).
4. ენის აღწერისას ჩვენთვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს **ჰომოგენურობის პრინციპი**, როგორც საფუძველი „მეთოდოლოგიური იმანენტიზმისა“: ცნება უნდა შეიცავდეს ნიშნებს, რომლებიც იმანენტურია აღსაწერი ობიექტისათვის, შესასწავლი ობიექტისათვის შინაგანად დამახასიათებელი ერთი ენის გრამატიკა ვერ იქნება მეორე ენის გრამატიკის „თარგმანი“: ერთი ქალაქის გვემის მიხედვით ვერ დავათვალიერებთ (ვერ ვავეცნობით) მეორეს (იქვე, გვ. 010).

არნ. ჩიქობავა პრინციპულად იცავდა თავის დებულებებს ლოგიციზმის წინააღმდეგ გრამატიკაში (რაც დიონისე თრაკიელის Τεχνη γραμματικῆ-დან მოყოლებული, დანერგილი იყო აღწერითს გრამატიკებში), რადგანაც ეს პოზიცია მეცნიერულად სწორად მიაჩნდა. ეს, თითქოს სრულიად ნათელი, გასაგები, მტკიცედ არგუმენტირებული და უცილობელი პრინციპები დავას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ისინი ქართული ზმნის კატეგორიების განსაზღვრისას და კვალიფიკაციისას, ასევე, ზმნური ფორმების ანალიზისა და კლასიფიკაციისას ხშირადაა დარღვეული, რასაც ბევრი აუხსნელი შეუსაბამობა და ენობრივი ფაქტების მცდარი შეფასება მოსდევს.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ეს შეცდომები, მიზეზები ამ შეცდომებისა და „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ პრინციპიდან გამომდინარე, მოვანდინოთ ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაცია, რაც, თავის მხრივ, ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიების სწორი კვალიფიკაციის საშუალებას მოგვცემს.

ჩვენი კვლევა ემყარება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთელი ზმნური ბაზის (9000-ზე მეტი ზმნური ფუძის) მორფო-სინტაქსურ ანალიზს, რის შედეგადაც გამოვლენილია ქართული ზმნის უღლების ძირითადი, ლოგიკურად გამართული სისტემის სურათი სინქრონიამი, ხოლო დიაქრონიამი ამ სისტემის რგოლებში ცვლილებების ტენდენციები და დინამიკა.

პირველ რიგში პასუხი უნდა გავცეთ კითხვას: **რა არის გრამატიკის შესწავლის საგანი** და შესაბამისად, ამ საგნიდან გამომდინარე, ვიპოვოთ შესასწავლი ობიექტის – სიტყვის (იქნება ეს სახელი, თუ ზმნა) სწორი საკლასიფიკაციო კრიტერიუმი, ნიშანი.

გრამატიკის საგანია: 1. მორფოლოგიისა: სიტყვის ფორმის ანუ სტრუქტურისა და 2. სინტაქსის: შესიტყვების, სინტაგმის წევრების (ანუ ერთი სიტყვის მეორესთან ურთიერთობის) სტრუქტურა-მექანიზმის შესწავლა.

თუ ეს ასეა, და ამაში შეთანხმებულნი ვართ, მაშინ ზმნის უღლებადი ფორმების შესწავლისას ამ ფორმათა **საკლასიფიკაციო ნიშნად უნდა ავიღოთ ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია.**


ასე მოიქცა ქართული გრამატიკული აზრის სისტემატიზატორი, აკაკი შანიძე, როდესაც მან გადაუხვია იმ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ევროპული ენების გრამატიკებში ზმნის დრო-კილოთა ფორმების საკლასიფიკაციო ნიშნად, ანუ გვარობით ცნებად კილოს კატეგორიაა მიღებული, დროის ფორმები კი თითოეული კილოს შიგნით სახეობით ქვეჯგუფებადაა წარმოდგენილი. მან ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემატიზაციისას საკლასიფიკაციო ნიშნად (კრიტერიუმად) ზმნის ფუძის სტრუქტურა მიიღო, რასაც სინტაქსური კონსტრუქციაც უჭერს მხარს: I სერიაში ერთიანდება რთულთემიანი (ე.წ. თემისნიშნისანი) და ფუძედრეკადი ზმნები ე გახმოვანებით, გარდამავალი ზმნებისათვის ნომინატიური კონსტრუქციით, რომლებიც უპირისპირდებიან ამავე ზმნების II სერიაში გაერთიანებულ მარტივთემიან და ფუძედრეკადთა ფორმებს ი გახმოვანებით და გარდამავალ ზმნებს ერგატიული კონსტრუქციით. III სერია გვიანდელი ჩამოყალიბებულია და აერთიანებს I და II სერიის სტრუქტურის გარდამავალი ზმნების დატიური (ინვერსიული) კონსტრუქციის ფორმებს: სამი სერიის გამოყოფა ისტორიული თვალსაზრისითაც გამართლებულია: ასეთი კლასიფიკაცია ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმირების, დიაქრონიული განვითარების სურათს ემთხვევა და ადეკვატურად წარმოაჩენს.²

² უფრო ადრე ნიკო მარმა ძველი ქართული ენის გრამატიკისათვის გაკეთებულ „ძირითად ტაბულაებში“ ზმნები ამავე – დრო-კილოთა გაერთიანებული ფორმების პრინციპით დალაგა, ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ფორმათა ომონიმურობის გამო, მაგრამ მას სერიებად არ დაუჯგუფებია ისინი: იხ. Н. Я. Марр Основные таблицы к грамматике древнелитературного грузинского языка, С-Пб 1912.

№1. სერიების სქემა

<p>I სერია სტრუქტურა: R-th.-0, R/ე/; კონსტრუქცია ნომინატიური</p>	
<p>აწმყოს წრე აწმყო უწვევებელი აწმყოს კავშირებითი</p>	<p>მყოფადის წრე მყოფადი პირობით-ხოლმეობითი მყოფადის კავშირებითი</p>
<p>II სერია სტრუქტურა მარტივი, კონსტრუქცია ერგატიული</p>	
<p>წვევტილი</p>	<p>II კავშირებითი</p>
<p>III სერია სტრუქტურა ნარევი, კონსტრუქცია ღატიური</p>	
<p>I რეზულტატივი</p>	<p>II რეზულტატივი III კავშირებითი</p>

№2. სერიების ისტორიული ურთიერთმიმართების ტაბულა



მაგრამ ქართული ზმნის უღლების ტიპებად კლასიფიკაციისას აკაკი შანიძე გაჰყვა ევროპული გრამატიკების კვალს: კლასიფიკაციის პრინციპად მან აიღო გვარის კატეგორია – გამოყო სამი ტიპი უღლებისა: I. ტიპი – მოქმედებითი გვარის ზმნათა (აქტივის) უღლება, II ტიპი – ვნებითი გვარის ზმნათა (პასივის) უღლება, III ტიპი – საშუალო გვარის ზმნათა (მედიუმის) უღლება (2 ქვეტიპით: მედიაქტივი და მედიოპასივი). თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ უღალატია ძირითადი პრინციპისათვის: კლასიფიკაციას გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) საფუძველი მოუძებნა: **მოქმედებით** გვარში გააერთიანა აწმყოს **R-0** სტრუქტურის ერგატიული კონსტრუქციის ზმნები, ხოლო აწმყოს **R-ებ-ი** სტრუქტურის მქონე ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები მიიჩნია **აქტივის** (მოქმედებითის) კონვერსიული **პასივის (ვნებითის)** ფორმებად. ანუ პასივის მახასიათებლად გამოყო ფორმალური, გრამატიკული ნიშანი. რაც შეეხება ე.წ. მედიუმს (საშუალო გვარს), მასში გამოყო ორი ქვეჯგუფი: **ერგატიული კონსტრუქციის მედიაქტივთა** (რომელთაც ნაკლული ფორმები, მისი აზრით, აქტივისაგან აქვთ ნასესხები) და **ნომინატიური კონსტრუქციის მედიოპასივებისა** (რომელთაც ნაკლული მწკრივები თითქოსდა „პასივის“ ფორმებით ევსებათ). ამასთან, ეს უკანასკნელი ახლა უკვე სხვადასხვა თვალსაზრისით კიდევ ორ ქვეჯგუფად აქვს დაყოფილი, რის გამოც დარღვეულია კლასიფიკაციის პრინციპი

(ფორმალური პრინციპი იცვლება სემანტიკურით), რაც ცნების დაყოფის ლოგიკურ წესს ეწინააღმდეგება და კლასიფიკაციის ნაკლზე მიუთითებს.


მართალია, აკაკი შანიძემ ამ კლასიფიკაციას საფუძვლად დაუდო გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) პრინციპი, მაგრამ გვარი (კერძოდ, „ვნებითი გვარი“) მიიჩნია გრამატიკულად მარკირებულ (აწმყოს **R-th.suf.+ი** სტრუქტურით) ოპოზიციურ ცალად და, ამგვარად, ქართული ზმნის უღლების ტიპები ფაქტიურად ევროპული ენების გრამატიკების კვალდაკვალ გვარის კატეგორიის მიხედვით დააჯგუფა. ამიტომ ეს კლასიფიკაცია ბევრ აუხსნელ კითხვას ბადებს, რომელთაგან მთავარია:

არის თუ არა გვარი ზოგადგვარეობითი გრამატიკული კატეგორია, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ქართული ზმნის უღლების ტიპებად კლასიფიკაციას, თუ იგი სახეობითი ჯგუფია უფრო ზოგადი გრამატიკული კატეგორიისა?

წარმოდგენილი სქემის მიხედვით განვიხილოთ ა. შანიძის კლასიფიკაციის სქემის ის რგოლები, რომლებიც გარკვეულ კითხვებს იწვევენ და აპორიებს ქმნიან:

№3. ა. შანიძის სქემა

გ ვ ა რ ი



I ვნებითი გვარი

1. თუ დავტოვებთ საყოველთაოდ მიღებულ უნივერსალურ სემანტიკურ დეფინიციას – „აქტიური გვარისაა ზმნა, თუ მისი სუბიექტი მოქმედია და ეს მოქმედება გადადის პირდაპირ ობიექტზე“, ხოლო „პასიურია, თუ მისი სუბიექტი განიცდის მოქმედებას“, ასეთ შემთხვევაში არის თუ არა ქართულ ენაში მოქმედებითი გვარის ზმნათა კონვენსიული ებ-ი სტრუქტურის ფორმები (დაიმალა მან ის/იმაღლავს ის მას – დაიმალა ის/იმაღლება ის) პასიური შინაარსისა, ან ყოველთვის ასეთი შინაარსისა? ანუ: შეიძლება თუ არა ეს მახასიათებელი მივიღოთ პასივის და მხოლოდ პასივის ნიშნად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონვენსია ამ ფორმით ყოველთვის იძლევა თუ არა პასივის შინაარსს და შეიძლება თუ არა ამ სტრუქტურის ზმნათა უღლებას დაერქვას პასიური, ვნებითი გვარის უღლების ტიპი? უფრო რომ დავაზუსტოთ, არის თუ არა პასივის ფორმალურ მახასიათებლად მიჩნეული ებ-ი სტრუქტურის ფორმები ერთმანეთთან ტრადიციული გაგებით „გვარის“ თვალსაზრისით დაპირისპირებული? თუ ეს სტრუქტურა საზიაროა მოქმედებითისთვისაც, ვნებითისთვისაც და კიდევ რეფლექსივისთვისაც, ხოლო საკუთრივ (და მხოლოდ და მხოლოდ) ვნებითის ფორმა, რითიც ის მოქმედებითთან ოპოზიციას ქმნის, აღწერითი წარმოებაა (ჩანთა დაიმალა მის მიერ კი არა, არამედ – „ჩანთა დამალულ იქნა მის მიერ“)? აქ კი საქმე გვაქვს არა გვარის კატეგორიასთან (მისი ტრადიციული გაგებით), არამედ რაღაც სხვა, უფრო ფართო გრამატიკულ კატეგორიასთან, რომლის სემანტიკური სახესხვაობებია გვარი და ვერსია?

ასეთ შემთხვევაში -ი/-ე პრეფიქსებს შეიძლება თუ არა, მიეცეს ვნებითი გვარის მორფოლოგიური ნიშნის კვალიფიკაცია? ხომ არ არის -ი პრეფიქსი რეფლექსივის (სუბიექტისკენ მიმართული თვითმოქმედების) გამომხატველი, ხოლო -ე პრეფიქსი – პირთა საკორელაციო ნიშანი (ისევე, როგორც -უ და -ა)?

2. „თბება“ ტიპის ზმნები – ე.წ. „უნიშნო ვნებითები“ და -დ სუფიქსიანი ზმნები („თეთრდება“, „ქვავდება“) ვნებითის შინაარსისაა, თუ რეფლექსივებია? (მათი შესატყვისი ზმნები სვანურსა და მეგრულში -ი პრეფიქსიანებია). რა ფუნქციას გამოხატავს -დ სუფიქსი? ვნებითის შინაარსის მატარებელია, თუ იგი სახელისაგან ზმნის მაწარმოებელი, მოქმედების ინტენსივობის გამომხატველი სუფიქსია?

II საშუალი გვარი

1. ე.წ. „მედლიოაქტივის“ მყოფად-წყვეტილის -ი პრეფიქსიანი ფორმები, აქტივის „სათავისო ქცევის“ ფორმებისაგანაა ნასესხები, თუ ეს რეფლექსივის -ი პრეფიქსია, რომელიც ძველ ქართულში და თანამედროვე ქართულის ზოგ პარადიგმაში ისევე, როგორც მეგრულსა და სვანურში აწმყოს ფორმებშიცაა სისტემურად დადასტურებული? (თუ ასეა, ეს საკუთარი ფორმებია და არა ნასესხები. ასეთ შემთხვევაში კი საფუძველი ეცლება „მედლიოაქტივის“ გამოყოფას).

2. „მედლიოპასივის“ – გრძნობა-აღქმის („მიყვარს“ ტიპის) გამომხატველი ზმნები ძირითადად სულიერი მდგომარეობის (სტატიკური) დეფექტური ზმნებია.

შეიძლება თუ არა მათ გაგრძელებად ჩაითვალოს „შემიყვარდა“ დინამიკური ფორმა, რომელიც სინამდვილეში „მიყვარდება“ ზმნის პარადიგმას ეკუთვნის? თუ ასეა, მაშინ საფუძველი ეცლება „მედიოპასივის“ გამოყოფას).

3. მედიოპასივის II ქვეჯგუფში ა. შანიძეს ფორმალური კრიტერიუმის ნაცვლად სემანტიკური კრიტერიუმით შემოაქვს და ამის მიხედვით ანაწილებს ყველა სხვა ზმნას, რომელიც ვერც ერთ „კალათაში“ ვერ მოთავსდა, ძირითადად ანომალიურია და სინამდვილეში სისტემის გარეთაა დარჩენილი.

განვიხილოთ დასმული კითხვები:

I ვნებითი გვარი

რამდენად სწორია **R-ი** სტრუქტურა მივიღოთ პასივის მახასიათებლად, ხოლო **ი-/-ე-** პრეფიქსები და **-დ** სუფიქსი ვნებითის მორფოლოგიურ ნიშნებად (მარკერად)? რა არის საკუთრივ ვნებითის ფორმა, რომლითაც იგი მოქმედებითს უპირისპირდება და მასთან ოპოზიციას ქმნის?

საზოგადოდ, გვარის კვალიფიკაცია ეძლევა ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან სემანტიკისა და სინტაქსის ერთეულებს შორის შესატყვისობის შებრუნების შემთხვევაში: კერძოდ, სუბიექტ-ობიექტისა და ქვემდებარე-დამატების ურთიერთშენაცვლების (კონვერსიის) შემთხვევაში: აქტივად კვალიფიცირებულია ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტიც მოქმედია, აგენსია (რეალურად ქვემდებარის შესატყვისია) პასივად კი სახელდებულია ფორმა, რომლის სუბიექტიც მოქმედების განმცდელია, პაციენსია (რეალურად დამატების შესატყვისია). ამრიგად, „გვარის“ ფორმები ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ დამოკიდებულებაში არიან, ანუ ერთის სუბიექტი შეესატყვისება მეორის პირდაპირ ობიექტს (*მხატვარი ხატავს სურათს > სურათი იხატება მხატვრის მიერ*). მაგრამ ქართულში ეს წესი ყოველთვის (და, შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში) არ მუშაობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სუბიექტი სულიერია:

1. აქტივის **R-0** სტრუქტურის ოპოზიციური **ი/ე-R-th.suf.-ი** (იმალება), **R-ებ-ი** (თეთრდება), **R-ი** (თბები) ფორმებიდან მხოლოდ I ტიპი („ი/ემალება“) არის მიღებული კონვერსიის გზით. ამასთან, თუ კონვერსიული ფორმის სუბიექტი სულიერია, და მით უფრო – ადამიანი (პერსონა), იგი ყველა შემთხვევაში აქტიური სუბიექტის მქონეა: მაგ. *დედამ ბავშვი და(ი)მალა > ბავშვი დაიმალა* (თვითონ). *დედა ბავშვს (ი)მალავენ > ბავშვი იმალება; დედამ ბავშვი დაუმალა მეზობელს > ბავშვი (თვითონ) დაემალა (ე-მალება) მეზობელს*. კონვერსიული ფორმის სუბიექტი აქტიურია, თვითონ მოქმედებს, **ი-** პრეფიქსიანი ზმნა უკუქცევითი შინაარსისაა, მისი ორპირიანი **ე-** პრეფიქსიანი ფორმა კი მოქმედი, აქტიური სუბიექტის შემცველია: **R-ი** სტრუქტურის **ე-** პრეფიქსიანი რელატიური ზმნების უმრავლესობა, მაგ. „მეტყველება“ წრის ყველა ზმნა (*ელაპარაკება, ეუბნება, ესაუბრება, ეწურწურება, ებუტბუტება, ეხმაურება, ედუდუნება, ებუზღუნება, ეწუწუნება, ელაქლაქება, ეკამათება და სხვ.*) ასევე, *ევაჭრება, ეჩხუბება, ეჯავჯვურება, ებლლარძუნება, ედავება, ემუქრება, ემტერება, ეხუტება, ეაღერსება,*

ესივეარულება ეამხანაგება... და სხვა (მელიქიშვილი 2001, პარადიგმა №11(45), რომელშიც ასეთი 500-ზე მეტი ზმნაა)³, თუ ამათ რიცხვს ი- პრეფიქსიან ე.წ. დეპონენსებს დავამატებთ (როგორებიცაა ილანძლება, ილოცება, იგრიხება და სხვა, რომელთა რაოდენობა 100-მდე აღწევს) ასევე, ახტება, აცხრება (თავს) (და)ადგება და სხვა ასეთები, ამათ ემატება ასევე, **R-ებ-ი** სტრუქტურის ი-ე- პრეფიქსიანი (**იმალება/ემალება** ტიპის) ზმნების დიდი რაოდენობა, რომელთა სუბიექტი აქტიურია. ასე რომ, ამ ტიპის ზმნათა უმრავლესობა აქტიურსუბიექტიანია, ე.ი. არ არის ვნებითი შინაარსისა და, აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ ი-ე- პრეფიქსები ვნებითი გვარის ნიშნებია: ი- პრეფიქსი რეფლექსივის, მოქმედების სუბიექტისკენ უკუქცევის, სასუბიექტო მიმართების, ვერსიის ნიშანია, ხოლო ე- პრეფიქსი კი საობიექტო მიმართებისა.

2. II და III ტიპი, ანუ **-დ** სუფიქსიანი და უნიშნო დინამიკური ზმნების ფორმები არ არის **R-0** სტრუქტურის კონვერსიული: პირიქით, „თბება“ ტიპის ფუძე თვითონაა ამოსავალი აქტიურსუბიექტიანი **ა-თბ-ობ** ტიპის კაუზატიური წარმოებისათვის. ამასთან, ამ ტიპის ზმნები შინაარსით რეფლექსივებია, მათი სუბიექტი თვითმოქმედია, „ავტოაქტიურია“ (მოხუცი მზეზე/ლუმელთან თბება). ამ ტიპის ზმნების ფუძიდან მხოლოდ **მ-** პრეფიქსიანი მიმღეობა იწარმოება, რომელიც სუბიექტს მიემართება, სასუბიექტო შინაარსისაა (**თბება-დან > გა-მ-თბ-არ-ი** არის ის, რაც **გათბა** თვითონ. **ათბობს > გათბობ-ილ-ი** – რაც გაათბეს, ანუ **გათბობილ იქნა** სხვის მიერ). ქეთევან ლომთათიძემ საგანგებო სტატია მიუძღვნა ამ ზმნებს (ე.წ. III ტიპის ვნებითებს) და სწორედ იმის საფუძველზე, რომ მათი ფუძიდან ნაწარმოები მიმღეობა კონვერსიის გზით მიღებული ზმნებისაგან განსხვავებული წარმოებისაა (რადგანაც ეს უკანასკნელნი იყენებენ შესაბამისი აქტივის საობიექტო მიმღეობის ფორმებს: **მალავს > დამალ-ულ-ი ახმობს > გაახმობ-ილ-ი**). არნ. ჩიქობავა ამ ტიპის ზმნებს **ისტორიულად უგვარო დინამიკურ** ზმნებად მიიჩნევს, თუმცა კი თანამედროვე ქართული ენის სისტემაში მათ ვნებითი გვარის ზმნათა რიგში ათავსებს, რადგანაც **R-ი** სტრუქტურა მასაც ვნებითის მახასიათებლად მიაჩნია.

ასევე, კონვერსიის შედეგად არ არის მიღებული **-დ** სუფიქსიანი დინამიკური ზმნები. მათი სუბიექტი, ისევე, როგორც „თბება“ ტიპის ზმნებისა, თვით-მოქმედია (ანუ მისი მოქმედება თავისი თავისკენაა მიმართული). ისინი ძირითადად სახელისგანაა ნაწარმოები **-დ** სუფიქსის დართვით, რომელსაც მაღინამი-

³ აღსანიშნავია, რომ ამ **R-ი** სტრუქტურის ორპირიან ე- პრეფიქსიან ფორმებს, როგორც წესი, შეესატყვისება **R-0** სტრუქტურის ერთპირიანი რეფლექსივები (**ელაპარაკება – ლაპარაკობს, ესაუბრება – საუბრობს, ეჯაჯგურება – ჯაჯგურობს, ეამხანაგება – ამხანაგობს, ედაება – დავობს..**), რაც კიდევ ერთი არგუმენტია ერთი მხრივ იმის სასარგებლოდ, რომ ეს ე- პრეფიქსი პირთა რელაციის ისეთივე ნიშანია, როგორც უ- და ი- პრეფიქსები, ხოლო მეორე მხრივ, **R-0** სტრუქტურის ერთპირიანი (**ლაპარაკობს, კანკალებს..**) ფორმები ისტორიულად ი- პრეფიქსიანი რეფლექსივებია: **ელაპარაკები** ისე შეეფარდება **ლაპარაკობ** ფორმას, როგორც **ე-მალები – ი-მალები** ფორმას (მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ).

კურებელი, მაინტენსივებული, პროცესის, მოქმედების დაწყებითობის ფუნქციის გამოხატვა აკისრია, ანუ სახელისაგან მოქმედების, პროცესის აღმნიშვნელი სიტყვის წარმოქმნა შეუძლია (მელიქიშვილი 2001: პარადიგმა №10 (44)), ისეთივე ფუნქცია აქვს, როგორც **-ობ** სუფიქსს ერგატიული კონსტრუქციის ნასახელარი რეფლექსივების, ავტოაქტიების (*მეფე>მეფობს* ტიპის) წარმოებისას და **-ებ** კონფიქსს ნასახელარი (*თეთრი > ა-თეთრ-ებ-ს*) აქტივების წარმოებისას. შემთხვევითი არ არის, რომ იგივე **-დ** სუფიქსი აწარმოებს აწმყოსაგან „უწყვეტლისა“ და „მყოფადის ხოლმეობითის“ ფორმებს, რომელნიც აშკარად ინტენსიურ მოქმედებას, პროცესს გამოხატავენ.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია და აღსანიშნავი ის, რომ თანამედროვე ქართულში **-დ** სუფიქსიანი წარმოება ახასიათებს მთელ რიგს ზმნებისა, რომლებიც ძველ ქართულში **-ი** პრეფიქსით იწარმოებოდა (იხ. ლ. ნოზაძე 2008, გვ. 6. მაგ.: *რადთა დაიძარილოს, შეიერთნეს ძმანი, შეიზავების ქრისტეს მიერ, დაიმეგობრნეს ურთიერთას..*), რაც დამატებითი საბუთია იმისა, რომ ეს **-დ** სუფიქსი უკუქცევითობის შინაარსითაა დატვირთული.

რომ ე.წ. „დონიანი“ და „უნიშნო“ „ვნებითები“ მართლაც აქტიურსუბიექტიანი რეფლექსივები, ანუ „ავტოაქტივებია“, ამას მხარს უჭერს და ადასტურებს სვანური და მეგრული მასალაც, სადაც ამ ტიპის ზმნებს **-ი** პრეფიქსიანი ფორმები შეესატყვისება (დანელია 2006, ასევე, ნ. ფუტკარაძისა⁴ და თ. ბიკაშვილის⁵ სამაგისტრო ნაშრომები). **მეგრული:** *იჭითარებუ* „წითლდება“, *იბრაგებუ* „აბრაგდება“, *იანთასებუ* „ათასდება“, *ისირისტებუ* „ნესტიანდება“, *იჯანყებუ* „ჯანყდება“, *იჯვეშებუ* „ძველდება“; *ირტუაფუ* „ლბება“, *იგეშუანებუ* „ტკებება“, *იტბუაფუ* „გათბება“; **სვანური:** *იბგი* „მაგრდება (ჯიუტდება)“, *იკერიძიხ* „ნათესავდებიან, მოყვრდებიან“, *ილეღდი* „ფასდება“, *იმბჟი* „ოცდება“, *იმჩი* „ბერდება“, *იფშირი* „მრავლდება“, *ისყი* „კეთდება“, *იხრინი* „ბრაზდება“, *იჭრელი* „ჭრელდება“, *იწრანი* „წითლდება“, *იბზი* „ძრება“, *ივნი* „დგება“, *ინყი* „ცხვება“, *იტბიდი* „თბება“, *იჭენი* „ჭკნება“ და სხვ.

ამგვარად, თუ **-ი/-ე-** პრეფიქსიანი ფორმებს მივუმატებთ **-დ** სუფიქსიანი და უნიშნო დინამიკურ ზმნათა დიდ რაოდენობას, რომელთა სუბიექტი ასევე აქტიურია და არა პასიური, აღმოჩნდება, რომ აწმყოს **R-ი** სტრუქტურა არ ყოფილა (ან ყველაზე ნაკლებად ყოფილა) ვნებითის მახასიათებელი. ამ სტრუქტურას იყენებენ ავტოაქტივებიც და აქტივებიც, ხოლო პასიურ შინაარსს იგი ყველაზე იშვიათად გადმოსცემს.

ძველ ქართულში ვნებითის შინარსის გამოხატვის საჭიროება ბერძნული-სათვის დამახასიათებელი პასიური კონსტრუქციების ადეკვატურად გადმოცემის მოთხოვნილებამ გამოიწვია. მაგრამ პირდაპირობიექტიანი სასუბიექტო ვერსიის

⁴ ნ. ფუტკარაძე, I და II დიათეზის ავტოაქტივების შესატყვისი ზმნები მეგრულში, სამაგისტრო შრომა, 2009.

⁵ თ. ბიკაშვილი, I და II დიათეზის ავტოაქტივების შესატყვისი ზმნები სვანურში სამაგისტრო შრომა, 2009.

ზმნებისა და მათი კონვერსიული ფორმები აორისტში ემთხვევა ერთმანეთს (ომონიმურია) და ამიტომ კონვერსიული ფორმა ყოველთვის ვერ გადმოსცემდა ვნებითის შინაარსს და კონტექსტს რთულად გასაგებს ხდიდა (მაგ.: *აღმოიყვანა მან იგი, მაგრამ: აღმოიყვანა იგი* (=ამოყვანილ იქნა იგი): *იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ*, (=ამოყვანილ იქნა), *დავივიწყე მე*, ვითარცა მკუდარი ფსალ. 30,12 (=დავიწყებულ ვიქენი), *დაიყო პირი*, რომელი იტყოდა სიცრუევსა: ფსალ. 62,12; *უფლისა მიერ იქოს სული ჩემი ფსალ. 33,1*; *საღმრთო პური ცხორებისა საშოსა შენსა შეიცხო და დაიცვა* (=გამოცხვა, დაცულ იქნა) *უვნებელად*, უბიწო (ლოცვ. ვალობა, 59); „*შეიწირე*, ვითარცა ცხოვარი (=შეწირულ იქენი)(ლოცვა, 52); *წიგნსა შენსა ყოველნივე შთაიწერნეს* (=ჩაწერილ იქნენ); *რამეთუ ფრიად ვსცოდე და შევივინე* (=შევივინებულ ვიქენი). ამიტომ ძველსავე ქართულში უკვე ჩნდება აღწერითი კონსტრუქციის კონვერსიული ფორმა მიმღობა+იქნა მეშველი ზმნა: *რადთა არა განგდებულ ვიქმნნეთ უღებებითა*, არამედ *რადთა მღკბარედ ვიპოვნეთ*, *აღღვომილნი საქმითა კეთილითა*; (ბას. ღიდის ლოცვა, 14), რომელიც საკუთრივ პასივის გამომხატველია და დღეს სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს (განსაკუთრებით სამეცნიერო და პრესის ენაში). ბერძნულიდან თარგმნის პროცესში ქართულმა ენამ გამოავლინა თავისი პოტენცია და ჩამოაყალიბა ახალი, მეშველზმნიანი ფორმები საჭირო შინაარსის გადმოსაცემად. ეს გასაგებია, რადგანაც ბევრი ზმნა საერთოდ ვერ გადმოსცემს ვნებითის შინაარსს ორგანული **R-ი** ფორმით. ასე რომ, საკუთრივ ვნებითის ფუნქციას ჯერ კიდევ ძველსავე ქართულში აორისტის (წყვეტილის) და მყოფადის ჯგუფში „**იქმნა – იქ(მ)ნება**“ მეშველზმნიანი აღწერითი წარმოების ფორმები კისრულობენ, ხოლო აწმყოს ჯგუფში კი ორგანულ ფორმებს ვნებითის ფუნქციით საჭიროების შემთხვევაში შეიძლება არს მეშველზმნიანი კონსტრუქცია შეენაცვლოს.

ამგვარად, აღმოჩნდა, რომ **R-ი** სტრუქტურა არ არის მხოლოდ პასიური სემანტიკის მატარებელი, უფრო **ზშირად** იგი გადმოსცემს როგორც ავტოაქტივის, ისე აქტივის შინაარსსაც, მაშასადამე მას, ისევე, როგორც მის თანმხლებ **ი-ე-პრეფიქსებს** და **-დ** სუფიქსს ვერ ჩავთვლით ვნებითი გვარის ნიშნებად. მათ, როგორც ვნახეთ, სხვა დანიშნულება, სხვა ფუნქციები აქვთ.

მაშ, სადაა ამ სტრუქტურის ადგილი, როგორც გრამატიკული კატეგორიისა? ანუ, სად უნდა მოთავსდეს ეს სტრუქტურა, როგორც გრამატიკული კატეგორიის ფორმა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომელ გრამატიკულ კატეგორიას განეკუთვნება იგი?

II საშუალო გვარი

ახლა შევეხთ მედიუმის, „საშუალო გვარის“ საკითხს ამ სქემაში.

როგორც ვხედავთ, აკაკი შანიძე „საშუალო გვარში“ ორ ქვეჯგუფს გამოყოფს: I ქვეჯგუფი, ე.წ. მედიოაქტივი, სტრუქტურის მხრივ (**R-0**) არ განსხვავდება აქტივისაგან. კონსტრუქციის თვალსაზრისითაც იგი აქტივის მსგავსია (კონსტრუქცია ამათაც ერგატიული აქვთ), განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ

ამათ არა აქვთ პირდაპირი ობიექტი, მაგრამ შეიძლება გაუჩნდეთ, და მაშინ ისინი აქტივთა ჯგუფში გადადიან (*სწავლობს გიგლა ტიტიანა – სწავლობს გიგლა ვაკევილას; გოვონა თამაშობს – გოვონა სახლობანას თამაშობს; ბიჭი კარვად ცეკვავს – ბიჭი „განდაგანას“ ცეკვავს; წუხს ის – წუხს ის მას: ტირის ის – ტირის ის მას და სხვ.*). ეს ზმნები მყოფად-წყვეტილის ფორმებში ი- პრეფიქსს დაირთავენ: *სწავლობს – ი-სწავლის – ი-სწავლა; თამაშობს – ი-თამაშებს – ი-თამაშა, წუხს – ი-წუხებს – ი-წუხა, ტირის – ი-ტირებს – ი-ტირა, კანკალებს – ი-კანკალებს – ი-კანკალა...*). ა. შანიძის აზრით, ამ ზმნებს მყოფად-წყვეტილის „ნაკლული“ ფორმები შეესებულებოდა აქვთ შესაბამისი აქტივის „სათავისო ქცევისგან“, ე.ი. ი- პრეფიქსი ნასესხები აქვთ მოქმედებითი გვარის „სათავისო ქცევისგან“ (ამიტომაც იგი მათ „საშუალ-მოქმედებითებს“, ანუ „მედიო-აქტივებს“ უწოდებს). მაგრამ ძველ ქართულ ტექსტებში (მათ შორის უძველეს, „ხანმეტ“ ტექსტებშიც) მოიპოვება დიდი რაოდენობა მაგალითებისა, სადაც ამ ტიპის ზმნებს აწმყოს ჯგუფშიც აქვთ ეს პრეფიქსი (*ხიტყვ, ხიტყვან, ხიხარებს, ხიტყებს, ხიმარხავს, ხიმოთხვს, ხიტყოდა, ხიღკებდა, ხილოცვიდა, ვილოცვდით, ისწავებს, იბრძლენს იბრძლენდა ისიძავს, ისიძვიდა, იმრუშებდენ, იტყებდა, „ვეფხისტყაოსანშიც“: ილოცავს, იტყვის...*). თანამედროვე ქართულშიც ორი პარადიგმაა (მელიქიშვილი 2001: №3 პარადიგმის ნაწილი და №10 მთლიანად, 50-მდე ზმნა: *იბანაკებს, იბოლიშებს, იბუღებს, იგვიანებს, იძინებს, იღვიძებს, ივაკებს, ითენებს, იზამთრებს, იმორცხვებს* და სხვა). ხოლო, თუ ამ მაგალითებს დავუმატებთ მეგრულ-ჭანურისა და სვანურის მასალას, სადაც ამ ტიპის ზმნების დიდ ნაწილს აწმყომი, როგორც წესი, ი- პრეფიქსი დღესაც შენარჩუნებული აქვს (ამის დამადასტურებელი უხვი მასალა აქვს მოხმობილი თავის სპეციალურ ნაშრომებში ლ. ნოზაძეს, ასევე, იხ. ნ. ფუტკარაძისა და თ. ბიკაშვილის სამაგისტრო ნაშრომები: მაგ. **სვანური:** *იკლი „კოჭლობს“; იმზირ „ლოცულობს“; ივანი „ტირის“; იღმსახვარ „მსახურობს“; ითამად „თამადობს“ იღჭვმი „მარხულობს“; მეგრული:* *იპიჩვანს „მარხულობს“; იხვამანს „ლოცულობს“; იბურთანს „ბურთაობს“; ინვარს „ტირის“; ივანს „ქრის“; იგურუანს „სწავლობს“; ჭანური:* *ინჩვირს „ცურავს“; ინვორს „გორავს“; იბურბალს „ბრუნავს“; ივ ზალს „მე ზავრობს“; იპიჩვამს „მარხულობს“ იბირს „მღერის“).* ვფიქრობ, ეჭვი აღარ უნდა დარჩეს იმის თაობაზე, რომ ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს ისტორიულად აწმყოს ი- პრეფიქსიანი ფორმების პირველადობაზე და იმაზე, რომ ისინი ამოსავალი ფორმებია ამ ტიპის ზმნებისათვის. აქედან კი მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ეს პრეფიქსი ნასესხები კი არ არის, არამედ ამ ზმნების საკუთარი, ორგანული პრეფიქსია, რომელიც მყოფადის ჩამოყალიბების პროცესში აწმყოს ფორმებმა დაკარგეს. ეს კი უნდა მომხდარიყო გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე დინამიკურ ზმნათა მყოფადის ზმნისწინიანი ფორმები ჩამოყალიბდებოდა: უზმნისწინო ფორმები აწმყომი დარჩა, ხოლო ზმნისწინიანმა ფორმებმა მომავლის შინაარსი შეიძინეს და მყოფადში გადაირიცხნენ; აქაც ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე ერთი განსხვავებით: უპრეფიქსო და ი- პრეფიქსიანი ფორმებიდან პრეფიქსიანი ფორმებს

უსრულასპექტიანი მყოფადის გამოხატვა დაეკისრათ. სხვათა შორის, ი- პრეფიქსის დაკარგვის ტენდენცია დღესაც ძლიერია იმ პარადიგმაში, სადაც ეს პრეფიქსი აწმყოში ჯერ კიდევ ცოცხლობს (პარადიგმა №3: *ი-ძღერის > ძღერის, ი-ნატრის – ნატრულობს, ი-კვეხის – კვეხულობს, ი-ნაღვლის – ნაღვლობს, ი-ჩქარის – ჩქარობს, ი-ხარის – ხარობს*), იგი ამ სტრუქტურის ზმნებშიც ისევე, როგორც **R-ი** სტრუქტურის ზმნებში რეფლექსივის ნიშანია. ყოველივე ზემოთქმულს მხარს უჭერს არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აორისტიის მარტივი ფორმები ამოსავალია აწმყო-მყოფადის რთული ფუძისათვის. ასე რომ ი- პრეფიქსიანი ფორმები ამ ტიპის ზმნებისათვის წყვეტილის ჯგუფში აქტივის სასუბიექტო ვერსიისაგან ნასესხები ნაკლული ფორმების შემავსებელი კი არ არის, არამედ რეფლექსივის საკუთარი ფორმებია.

და, თუკი ეს ასეა, და ი- პრეფიქსიანი ფორმები არ არის ნასესხები აქტივის „სათავისო ქცევის“ ფორმებისაგან, საფუძველი ეცლება „მედლიოაქტივის“, როგორც ასეთის, გამოყოფას.

მაშ, რომელ გრამატიკულ კატეგორიას მიეკუთვნება ზმნების ეს დიდი ჯგუფი?

II ქვეჯგუფი „მედლიოპასივებია“. ეს მცირე რაოდენობის ჯგუფი დეფექტური ზმნებისაგან შედგება, რომლებსაც ა. შანიძე სხვადასხვა კრიტერიუმებით აერთიანებს. იგი მათ კიდევ ორ პატარა, მიკროჯგუფად ყოფს, რომელთაგან პირველში ათავსებს მდგომარეობის სემანტიკის ზმნებს, რომელთაც აქვთ აწმყოს ფორმები, მაგრამ აკლიათ უწყვეტელი და I კავშირებითი, II მიკროჯგუფში კი თავს უყრის ერთ გარკვეულ ჯგუფს, გრძნობა-აღქმის გამოძხატველ, ე.წ. „აფექტურ“ ზმნებს, რომელთაც აშკარად განსხვავებული კონსტრუქცია აქვთ (მათი ლოგიკური სუბიექტი მიცემითშია) ამავე მიკროჯგუფში გაერთიანებული სხვადასხვა სემანტიკის დეფექტური (ირეგულარული) ზმნებისაგან, რომელნიც ფაქტიურად უღლების სისტემის გარეთ არიან დარჩენილნი და ამ მხრივ გამო-ნაკლისებს წარმოადგენენ. ამ ზმნების გამაერთიანებელ ნიშნად მიღებულია ის, რომ მათ აქვთ აწმყოს ფორმები და აკლიათ II სერიის ფორმები. ამასთან, მყოფადის ნაკლულ მწკრივებს ივსებენ „ენიანი ვნებითის“ ფორმებით, ხოლო წყვეტილისას „დონიანით“. მაგრამ, გარდა იმისა, რომ აქ დარღვეულია კლასიფიკაციის პრინციპი, ზემოთ ვაჩვენეთ, ე- პრეფიქსი და დ- სუფიქსი არ არის პასივის გამოძხატველი და, მაშასადამე, შესაბამისად, „მედლიოპასივის,, გამოყოფაც საფუძველს მოკლებულია.

უღლების რომელ ტიპს და რომელ გრამატიკულ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ეს ორი „მიკროჯგუფი“, სად არის მათი ადგილი? და საერთოდ, არის კი გვარი გრამატიკული კატეგორია, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფას?

სანამ ზემოთ დასმულ კითხვებს ვუპასუხებდეთ, ორიოდ სიტყვით შევეხოთ გვარის გრამატიკული კატეგორიის თეორიის პრობლემებს:

გვარის კატეგორია ზოგადთეორიული გრამატიკის ურთულეს აღსაწერ და შესასწავლ ობიექტს წარმოადგენს. როგორც უნივერსალური კატეგორია, იგი

ძირითადად სემანტიკური ნიშნით განისაზღვრება, რასაც კონვერსიის მოვლენა უდევს საფუძვლად. ზოგადენათმეცნიერულ თუ კერძო ენათა გრამატიკულ ლიტერატურაში გვარის ცნების ერთიანი გაგება არ არის გამოუმუშავებული. დიდი სირთულეები ახლავს გვარის განსაზღვრასა და აქტივ-პასივის, მედიუმ-რეფლექსივის, როგორც გვარის საოპოზიციო ცალკების გამოყოფის ფორმალური თუ სემანტიკური კრიტერიუმების დადგენას⁶.

კონკრეტულ ენებში გვარის განსაზღვრისას თითქოს დაძებნილია გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმები (ფუძის განსხვავებული მოდელეები, განსხვავებული პირის ნიშნები, პირდაპირი დამატების ქონა-არქონა). მაგრამ ირკვევა, რომ ენათა ერთ წყებაში (რომელსაც ქართული ენაც მიეკუთვნება), ზმნური ფუძის ესა თუ ის მოდელი სრულიადაც არ არის დაკავშირებული ერთ რომელიმე გვართან და საზიაროა მეორესთან; ენათა მეორე წყებაში (რომელსაც ბერძნული და რუსული ენები მიეკუთვნება) პირის ნიშნები საზიაროა სხვადასხვა გვარისათვის; ასეთ შემთხვევაში ეს საზიარო მოდელები თუ ფორმანტები რამდენად შეიძლება ჩაითვალოს რომელიმე ერთი გვარის მახასიათებლად? გვარის განსაზღვრების არც ერთი კრიტერიუმი (არც სემანტიკური და არც გრამატიკული) არ იძლევა საფუძველს საშუალო გვარის გამოყოფისა. ამის გამო სვამენ გვარის სტატუსის საკითხს სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ ერთნაირი ფორმის მქონე ზმნათა მიმართ. მაგ., რუსული ენის გრამატიკის აკადემიურ გამოცემაში შემოაქვთ ძირითადად სემანტიკურად და არა გრამატიკულად (მორფოლოგიური ნიშნით) განსხვავებული სხვადასხვა სახეობის „გვარი“ (залог), რეციპროკი, რეფლექსივი (встречается/встречаются, ругается /ругаются, вертится, крутится).

ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ლენინგრადის ენათმეცნიერულ სკოლაში დაიწყო დიათეზისა და გვარის უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის დამუშავება, რასაც არაერთი კოლექტიური თუ ინდივიდუალური შრომა და კრებული მიემდგინა. მუშაობაში მოსკოვისა და სსრკ-ს სხვა ქალაქების, საზღვარგარეთის ლინგვისტებიც ჩაებნენ, მაგრამ პრობლემა მოუგვარებელი დარჩა, რასაც თვით ამ კონცეფციის მონაწილენიც აღიარებდნენ. ვფიქრობთ, რომ ამ გაურკვევლობის და ბუნდოვანების მიზეზი კლასიფიკაციის პრინციპების დარღვევა და კრიტერიუმების აღრევაა: აღნიშნული კონცეფციის მიხედვით გვარი განსაზღვრულია (გაგებულია), როგორც „ზმნაში გრამატიკულად მარკირებული დიათეზა“. ხოლო დიათეზის გაგება კი ეფუძნება სემანტიკური (სუბიექტ-ობიექტის) პლანისა და სინტაქსური (ქვემდებარე-დამატების) პლანის ურთიერთშესაბამისობას. მაგ. ა. ხოლოდოვიჩის განსაზღვრებით, **დიათეზა** – ეს არის სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესა-

⁶ გვარის კატეგორიის ასეთი ბუნდოვანი ინტერპრეტაცია უნდა მომდინარეობდეს დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებიდან“, სადაც დარღვეულია ცნების დაყოფის წესი და მორფოლოგიურ-სემანტიკური კრიტერიუმით სამი დიათეზისა გამოყოფილი: აქტივის, პასივის და მედიუმისა. ასეთი დაყოფა დამკვიდრდა ევროპული ენების აღწერით სემანტიკებში.

ბამისობის სქემა, ხოლო გვარი – გრამატიკულად მარკირებული კატეგორია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ გვარი ყოველთვის არ არის გრამატიკულად მარკირებული, ანუ ერთი და იმავე მარკერით შეიძლება იყოს გამოხატული სხვადასხვა გვარის სემანტიკა. მაშასადამე, გამოდის, რომ გვარი არის დიათეზის ქვეკატეგორია სემანტიკური ნიშნით დიფერენცირებული, და არა გრამატიკული ნიშნით. მისი გრამატიკულ კატეგორიად ფორმირება (აქტივისა და პასივის ფორმალური დაპირისპირება) სხვადასხვა ენაში სხვადასხვა დროს, უფრო მოგვიანებით ხდება, როგორც, მაგ ქართულში, ვნებითი გვარის გრამატიკული ფორმირება, ანუ მოქმედებითის გრამატიკულ საოპოზიციო ცალად აღწერითი კონსტრუქციის ჩამოყალიბება (მიძლეობა + მეშველი ზმნა = *დაძალულ იქნა, აშენებულ იქნა, გამხმარ იქნა* – და არა კონვერსიული ფორმები: – *დაიძალა/დაემალა*, რომლებიც, როგორც ვნახეთ, უფრო ხშირად აქტიურ ან ავტოაქტიურ სუბიექტს გვიჩვენებენ).

როგორც ვნახეთ, აკაკი შანიძემ სცადა კლასიფიკაციისათვის სემანტიკურთან ერთად ვნებითისათვის მორფოლოგიური კრიტერიუმიც გამოეძებნა: ვნებითის მოდელად მიიჩნია **R-th.suf+ი**, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მოდელის ზმნურ ფორმათა უმრავლესობაში სუბიექტი აქტიურია და, მაშასადამე, ამ კლასიფიკაციაში პასივის დეფინიციასა და ფორმას შორის შესაბამისობა დარღვეულია. რა თქმა უნდა, ეს დაბრკოლებები და შეუსაბამობანი შემჩნეული და აღნიშნულიცაა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში: მაგ. თვითონ ა. შანიძეც აღნიშნავს, რომ ე-პრეფიქსი „სასხვისო ქცევას“ გამოხატავს ისევე, როგორც უ-პრეფიქსი, მაგრამ მას მაინც ვნებითი გვარის ნიშნად მიიჩნევს, რადგანაც უ- „მოქმედებითი გვარის“ ზმნებსაც ერთვის, ე- კი მხოლოდ **R-ი** სტრუქტურაში გვხვდება, რომელსაც იგი „ვნებითი“ გვარისად მიიჩნევს (*ერიცხება ის მას – ურიგებს ის მას მათ – ურიგდება ის მათ*); იმასაც აღნიშნავენ, რომ ე-პრეფიქსიან „ვნებითებს“ „ზოგჯერ“ აქტიური სუბიექტიც შეეწყობა (ჯორბენაძე 1980, 1983; სუხიშვილი 1980 და სხვ.), რომ „მედიააქტივებში“ ი-პრეფიქსი ნასესხები არ არის (ნოზაძე 2008) და სხვ. არნ. ჩიქობავა საერთოდ არ ცნობს „საშუალ გვარის“ არსებობას და ამ ტიპში გაერთიანებულ ზმნებს „უგვარო სტატიკურ“ ზმნებს უწოდებს, ხოლო „თბება“ ტიპის ზმნებს – ისტორიულად „უგვარო დინამიკურებს“. მაგრამ ასეთი ცალკეული მოსაზრებები პრობლემებს არ ხსნის, რადგანაც ყველა ავტორი ამ კლასიფიკაციას ცნობს და მის ფარგლებში ტრიალებს. პრობლემებს კი, როგორც ვნახეთ, სწორედ ეს, ზემოთ განხილული კლასიფიკაცია ქმნის. ამიტომ, ბუნებრივია, მის ფარგლებში ამ პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია.

ჩვენ ვეცადეთ, ქართული ზმნის მაგალითზე გვეჩვენებინა ამ პრობლემების გადაჭრის გზა და გვეპოვნა გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს **სტატისტიკურ მონაცემებზე** დაყრდნობით ლოგიკურად გამართული კლასიფიკაციის პირობებში სათანადო ადგილი მივუჩინოთ „გვარის“ ფორმებს.

№4 დიათეზის სქემა

I დიათეზა (ერგატიული)	
<p>სტატიკური (რელატიური სტატიკა)</p> <p>გვარი: ავტოაქტივი//რეფლექსივი</p> <p>სტრუქტურა: R - Ø; ი-/უ-R [ე/ი]- Ø; prev.-R- ა-/ი-/უ-R-th.-Ø</p> <p>კონსტრუქცია არასრული: [ის – მან; ის მას – მან მას]</p>	<p>დინამიკური</p> <p>გვარი: აქტივი</p> <p>სტრუქტურა: ა-/ი-/უ-R-Ø; ა-/ი-/უ-R [ე/ი]-Ø; ა-/ი-/უ-R-th suf.-Ø</p> <p>კონსტრუქცია სრული: [ის მას – მან ის; ის მას მას – მან მას ის]</p>
II დიათეზა (ნომინატიური)	
<p>სტატიკური (აბსოლუტური სტატიკა) უგვარო</p> <p>სტრუქტურა: Ø-/ი-/უ-R-ი</p> <p>კონსტრუქცია არასრული: [ის – ის]</p>	<p>დინამიკური</p> <p>გვარი: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი</p> <p>სტრუქტურა: Ø-/უ-R-ებ-ი; Ø-/უ-R-დ-ებ-ი; ა-R-ებ-ი; ე-R-ებ-ი; ი-/ე-R-ებ-ი</p> <p>კონსტრუქცია სრული: [ის –ის; ის მას – ის მას]</p>
III დიათეზა (დატიური)	
<p>სტატიკური (განმცდელი სუბ.)</p> <p>სტრუქტურა ძირეული: ი-/უ-R-Ø ი-/უ- R-ი</p> <p>კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]</p>	<p>სტატიკური, დინამიკური. (განმცდელი სუბ.)</p> <p>სტრუქტურა წარმოქმნილი: ა-R-ებ-Ø ე-R-ებ-ი</p> <p>კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]</p>

საკლასიფიკაციო პრინციპად აღებულია მორფოლოგიური და სინტაქსური კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც გამოიყოფა დიათეზის გრამატიკული კატეგორია.

დიათეზა არის ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით.

სქემიდან ჩანს, რომ „დიათეზა“ წარმოადგენს მორფო-სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესაბამისობის სურათს. გვარი – დიათეზის ქვესახეა, რომელსაც სემანტიკური დატვირთვა აქვს და გრამატიკულად არ არის მარკირებული: ავტოაქტივისა და აქტივის ახასიათებს როგორც **R-0**, ისე **R-ი** სტრუქტურა და როგორც ერგატიული, ისე ნომინატიური კონსტრუქცია: პასივისათვის აქედან საზიაროა **R-ი** სტრუქტურა და ნომინატიური კონსტრუქცია.

გამოიყოფა დიათეზის სამი ტიპი, რომელთაგან თითოეულს აერთიანებს მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთგვარობა.

როგორც სქემიდან ჩანს, ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას ჩვენ ვეყრდნობით გრამატიკულ (მორფოსინტაქსურ) კრიტერიუმებს, კერძოდ: მორფოლოგიურ სტრუქტურას (აგებულებას) და სინტაქსურ კონსტრუქციას (ვრცლად ამ საკითხის შესახებ იხ. მელიქიშვილი 2001, 2008).

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ:

დიათეზა არის გრამატიკულად მარკირებული, სტრუქტურითა და კონსტრუქციის ერთიანობით განსაზღვრული კატეგორია, რომლის სემანტიკური ნიშნით განსაზღვრული ქვესახე არის გვარი. გვარი ვერ ჩაითვლება ქართული ზმნის გრამატიკულად მარკირებულ კატეგორიად, რადგანაც დიათეზის ფარგლებში შემავალი სამი სემანტიკურად მარკირებული გვარის – ავტოაქტივის (რეფლექსივის), (პირდაპირობიექტიანი და ირიბობიექტიანი) აქტივისა და პასივის **გრამატიკული მახასიათებლები საზიაროა:** კერძოდ, ერგატიული კონსტრუქციის ავტოაქტივის (რეფლექსივის) და აქტივის სტრუქტურა (**R-0**) ერთნაირია. ნომინატიური კონსტრუქციის პასივის, ირიბობიექტიანი აქტივის და ავტოაქტივის (**R-ი**) სტრუქტურაც ერთნაირია. კონვერსიით მიღებული ორგანული ფორმა ყოველთვის (და ზშირად) არ იძლევა პასიურ შინაარსს. ამიტომ პოლისემიის დასაძლევად საკუთრივ პასივის ფუნქციის გამოსახატავად ქართულში თანდათან ჩამოყალიბდა ავტოაქტივისა და აქტივისაგან განსხვავებული საკუთარი ფორმა: აღწერითი კონსტრუქცია (ნამყო დრ. მიმდ. +იქნა მეშვ. ზმნა), რომელიც ისტორიულად მეორეულია და ტიპოლოგიურად არ ჯდება ქართველური ზმნის ამოსავალი სისტემის – დიათეზის ფარგლებში.

დიათეზა საერთო ქართველური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციისათვის ამოსავალი სქემაა, რომელმაც ქართველური ენების განვითარების გზაზე გარკვეული ცვლილებები განიცადა (რაც ვრცელი თემაა და ცალკე განხილვას მოითხოვს).

დაბოლოს, თუ შევადარებთ „სერიების“ და „დიათეზების“ სქემებს, აღმოვაჩინებთ საინტერესო კანონზომიერებას, რაც შემთხვევითი არ არის და ორივე კლასიფიკაციის მართებულობაზე მიუთითებს: ორივე კლასიფიკაციას ერთი, **გრამატიკული** კრიტერიუმი უდევს საფუძვლად: თითოეული სერია და დიათეზა მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით ხასიათდება; ამასთან, III სერია, ისევე, როგორც III დიათეზა, დატიური კონსტრუქციისა და ნარევი სტრუქტურისაა, კერძოდ, III სერიის ფორმები I და II სერიის თემას ეყრდნობა და გვიანდელი ჩამოყალიბებულია უგვარო სტატიკური (მ-ი-გდ-ი-ე, მ-ი-წერ-ი-ე) ზმნების ინვერსიის შედეგად, III დიათეზის II ქვეჯგუფის ზმნებიც ნარევი სტრუქტურის (*მ-ა-კანკალ-ებ-ს, მ-ა-ხველ-ებ-ს, მ-ე-ძინ-ებ-ა, მ-ე-ხველ-ებ-ა*) ზმნების ინვერსიული გააზრებითაა მიღებული.

ლიტერატურა

- დანელია 2006.** კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, წიგნში: კოლხური ენა, შემდგენლები: ნ. დანელია, რ. ნიშნიანიძე, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი.
- მელიქიშვილი 2001.** დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი.
- მელიქიშვილი 2008.** დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპისათვის, I. პირის ნიშანთა გამოსატვის სისტემა ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, I, 2008, თბილისი.
- ნოზაძე 2008.** ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი.
- სუხიშვილი 1980.** მ. სუხიშვილი, მოქმედებითი და ვნებითი გვარის წარმოებისა და სემანტიკის ზოგიერთი საკითხი ქართულში, კრებ. ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბილისი.
- შანიძე 1973.** ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
- ჩიქობავა 1928.** არნ. ჩიქობავა, „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, სადოქტორო დისერტაცია, ტფილისი.
- ჩიქობავა 1968.** არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი.
- ჯორბენაძე 1980.** ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზომიერებისა და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი.
- ჯორბენაძე 1983.** ბ. ჯორბენაძე, ზმნის ზმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი.
- Март Н. Я.,** Основные таблицы к грамматике древнелитературного грузинского языка С-Пб, 1912.

On the Grammatical Principle of Classification of Inflective Forms of the Georgian Verb

Summary

In 1928 Arnold Chikobava in his doctoral thesis *The Problem of Simple Sentence in Georgian* posed a question of "methodological immanentism" in linguistics (grammar), which requires proceeding from the object under study, the nature of a particular language, the evidence of that language.

The scholarly study of a language naturally implies the study of the structure as well as the function, but a structure cannot be described according to functional categories. Structural concepts must be formulated on the basis of structural features, and functional – according to functional features. A.Chikobava in principle defended his theses – those against logicism and psychologism in Grammar, as he regarded these theses to be scholarly correct.

The object of grammar is the study of the word structure – form and the relationship with another word, the structure – mechanism of word-combination. Proceeding from this, the classification feature of inflective forms of the verb must be the verb structure and construction.

In the classification of inflective forms of the Georgian verb A.Chikobava, like Akaki Shanidze, followed the model of Thracian (hence, European grammars). However, as is known, A.Chikobava had a totally different opinion concerning the Medium and verbs of the *Tbeba* type, because he could see that they failed to fit into the established frame of the grammatical category of voice.

In the paper the weak sides of the classification of verb forms on the basis of the category of voice are shown, the morphological-syntactic criterion is offered and according to it three diatheses are singled out. The basis of the identification of each is the verb structure and construction (similarly as that of united groups of tenses and mood – series).

Thus, diathesis is a grammatical category of the Georgian verb, as well as series and screeves singled out by A.Shanidze according to the verb structure and construction. The classification according to diathesis answers the questions and overcomes the obstacles the explanation of which is impossible within the generally accepted definition of voice.

ორივე გელიქიზვილი

/ჟ/ ფონემის რეკონსტრუქცია და საერთო-ქართველური სიბილანტური შესატყვისობები

საერთო-ქართველური კონსონანტიზმის ყველაზე რთულ სფეროს სიბილანტურ ნაპრალოვანთა და აფრიკატთა სისტემა შეადგენს. თანხმოვანთა დიფერენციაციას ქართველურ ენებს შორის ძირითადად ფონემათა სწორედ ამ კლასში ჰქონდა ადგილი. შემოთავაზებულია რამდენიმე ჰიპოთეზა საერთო-ქართველური სიბილანტური სისტემის შედგენილობის რეკონსტრუქციისა და მემკვიდრე ენებში ამ სისტემის ტრანსფორმაციათა თანმიმდევრობის შესახებ.

დიდი ხნის განმავლობაში ქართველოლოგიისათვის საერთო-ქართველურ სიბილანტურ შესატყვისობათა მხოლოდ ორი რიგი იყო ცნობილი: 1. ქართული **სისინა**: მეგრულ-ლაზური და სვანური **შიშინა** სიბილანტები და 2. ქართული **შიშინა**: მეგრულ-ლაზური კომპლექსები **სიბილანტი+ველარი** (იხ. მაგ. ჩიქობავა 1938; ჟღერტი 1949:130-33; როგავა 1953:42-43; თოფურია 1960:150 და ბერი სხვა ნაშრომი).

გ. მაჭავარიანისა და კ. ჰ. შმიდტის მიერ თითქმის ერთდროულად მოხდა შესატყვისობათა მესამე რიგის გამოვლენა: მათ უტყუარი საბუთიანობით აჩვენეს, რომ ბგერათფარდობა: ქართული **სისინა**: მეგრულ-ლაზური **სისინა**: სვანური **სისინა** ბგერათშესატყვისობას წარმოადგენს და შეუძლებელია მისი დაყვანა შესატყვისობათა სხვა რიგებზე კომბინატორული ცვლილებების თუ სესხებისა და ადაპტაციის პროცესების მეშვეობით (მაჭავარიანი 1960; 1965; შმიდტი 1962). გ. მაჭავარიანის ძირითადი არგუმენტაცია ასეთია: ქართული ენის **სისინა** თანხმოვნებს მეგრულ-ლაზურსა და სვანურში **სისინა** და **შიშინა** თანხმოვნები ერთსა და იმავე ფონეტიკურ გარემოცვაში შეესატყვისება (მაჭავარიანი 1965:47-48). ამასთან, ფარდობა **სისინა**: **სისინა** გვაქვს ფლექსიურ მორფემებში: მესამე სუბიექტური პირის ნიშანსა და მიცემითი ბრუნვის ნიშანში; ენათა კონტაქტების თეორია კი ნათლად მოწმობს, რომ გამორიცხულია სესხება ისეთი ფუნდამენტური ფლექსიური ელემენტებისა, როგორებიცაა ბრუნვისა და პირის ნიშნები. ამასთან, **სისინა**: **სისინა** რიგის შემცველ ლექსიკურ შეხვედრებში ხმოვანთა შესატყვისობას აქვს ადგილი, რაც დიფერენციაციის უტყუარ მოწმობას შეადგენს (მაჭავარიანი 1965:46-51).

გივი მაჭავარიანი სიბილანტურ შესატყვისობათა სამი რიგისათვის გვთავაზობს სამი სიბილანტური რიგის რეკონსტრუქციას საერთო-ქართველურში. მათ ფონემურ სახეს იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს: 1) წინასიბილანტური (სისინა), 2) შუასიბილანტური (სისინ-შიშინა) 3) უკანასიბილანტური (შიშინა). იგი წერს: „დასაშვებია აღნიშნული სამი რიგის რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაცია: 1) სისინა, 2) შიშინა, 3) შიშინა რაღაც დამატებითი ნიშნით (ლაბიო-ველარული? ძლიერი?). რამდენადაც არ არსებობს გადამწყვეტი არგუ-

მენტები არც ერთი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ, ამდენად ერთ-ერთი მათგანის არჩევა ერთგვარად მაინც პირობითი ხასიათის ოპერაციას წარმოადგენს. საქმეს ართულებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ არ არის გამორიცხული სხვაგვარ ინტერპრეტაციათა შესაძლებლობაც. ამიტომ ჩვენ მიერ მიღებული ფონოლოგიური ინტერპრეტაცია სამი საერთო-ქართველური სიბილანტური რიგისა განხილული უნდა იქნეს როგორც პრობლემის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) შესაძლო გადაწყვეტა...“ (მაჭავარიანი 1965:45-46).

კარლ ჰორსტ შმიდტი შესატყვისობათა სამი რიგისათვის აღადგენს ორ სიბილანტურ რიგს: პირველისათვის სისინას და მეორესათვის შიშინას, ხოლო მესამესთვის – სიბილანტი+ველარი ტიპის კომპლექსებს (შმიდტი 1962).

შესატყვისობათა სამი რიგის განსხვავებული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა გიორგი წერეთელმა. მისი ინტერპრეტაცია ახლოს დგას კ. ჰ. შმიდტის ინტერპრეტაციასთან: ემთხვევა მას შესატყვისობათა I და II რიგების ინტერპრეტაციაში, ხოლო III რიგისათვის აღადგენს მესამე სიბილანტურ რიგს – შიშინა [ლაბიო]ველარიზებულ ფონემებს (წერეთელი 1965:7). კ. ჰ. შმიდტის მიერ აღდგენილ ბგერათკომპლექსს სიბილანტი+ველარული ხშული – აქ ერთი ფონემა შეეფარდება – ბგერათკომპლექსის მეორე წევრს შეესაბამება სიბილანტური ფონემის დამატებითი დიფერენციალური ნიშანი.

საინტერესოა კ. ფოგტის მოკლე შენიშვნაც ქართველური სიბილანტების შესახებ. იგი არ ეხება მთელ სისტემას, მსჯელობს მხოლოდ ქართული შიშინა: ზანურ-სვანური სიბილანტი+ველარი შესატყვისობის შესახებ. იგი ფიქრობს, რომ ამ შესატყვისობას საფუძვლად უნდა ედოს **ლაბიალიზებული სიბილანტები**, რომლებმაც ქართულში მოგვცეს შიშინა ფონემები, ხოლო სხვა ქართველურ ენებში – კონსონანტური ჯგუფები (ფოგტი 1961, გადაბეჭდილია კ. ფოგტის შრომების კრებულში, 1988:472). ამრიგად, სიბილანტურ შესატყვისობათა მესამე რიგის ფოგტისეული ინტერპრეტაცია ახლოს დგას გიორგი წერეთლის მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციასთან.

ტაბულის სახით წარმოვადგინოთ ქართველურ ენათა შესატყვისი სიბილანტური რიგების რეკონსტრუქციის ცდები საერთო-ქართველურ დონეზე:

	მაჭავარიანი	ფოგტი	წერეთელი	შმიდტი
ქ. ს: ზ-სვ. ს	სისინა		სისინა	სისინა
ქ. ს: ზ-სვ. შ	სისინ-შიშინა		შიშინა	შიშინა
ქ. შ: ზ-სვ. შქ/სქ	შიშინა	ლაბიალიზებული სიბილანტი	შიშინა ლაბიო-ველარიზებული	სქ/შქ ტიპის კომპლექსები

ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ენათმეცნიერება საკმაო შესაძლებლობებს ფლობს იმისათვის, რომ ბგერათშესატყვისობების საფუძველზე საერთო ენის ფონემური სისტემის რეკონსტრუქციას აღარ მოვეკიდოთ „აღგებრულად“, როგორც შესატყვისობათა შემოკლებულ ფორმულებს (ა. მეიე), არამედ ფონო-

ლოგური თეორიისა და ტიპოლოგიის საფუძველზე გვაძლევს შესაძლებლობას, საკმაოდ დიდი სანდობით ვიმსჯელოთ აღდგენილი ერთეულების ფონეტიკური ბუნების შესახებ. ტიპოლოგიის ღირებულება აღდგენილი სისტემების ვერიფიკაციისათვის მკაფიო მეთოდოლოგიური პრინციპის სახით პირველად წარმოადგინა რომან იაკობსონმა (იაკობსონი 1958). ტიპოლოგიის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია განვსაზღვროთ, რომელი ფონემების თანაარსებობა არის დასაშვები ერთი სისტემის ფარგლებში და რომლებისა – არა და როგორი კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს გარკვეული ფუნქციონალური მახასიათებლების მქონე ფონემებს.

ამას გარდა, გარკვეული წინსვლა არსებობს წინარე ენათა მიმართებების კვლევაში, იქნება ეს ფუძე-ენათა უძველესი კონტაქტები, თუ ენათა მაკროოჯახებად გაერთიანების ცდები. ამ რიგის კვლევების შედეგებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ წინარე ენათა რეკონსტრუქციის პრობლემების გასააზრებლად.

ამ მეთოდოლოგიურ საფუძველებზე დამყარებით ჩვენ მხარს ვუჭერთ საერთო-ქართველური სიბილანტური სისტემის კ. ჰ. შმიდტის მიერ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას (მელიქიშვილი 1980, 2001). ამჟამად შევეცდებით გავაიზროთ საერთო-ქართველურ დონეზე /ჟ/ ფონემის რეკონსტრუქციის საკითხი სიბილანტური რიგების ტიპოლოგიის თვალსაზრისით.

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ სიბილანტურ შესატყვისობათა **მესამე რიგი** ხარვეზიანია, არ ჩანს შესატყვისი მასალა ფარდობისათვის ქართ. **ჟ**: ზან/სვან. **ზგ/ჟგ**. უკანასკნელ დროს ვაჟა შენგელიამ სცადა ერთი ასეთი შესატყვისობის დადგენა: ქართ. *ჟლეტ*-ა: მეგრ. *ჟგარტ-უა/ჟგართ-უა* „მაგრად ცემა, დაბეგვა“ *ლოჟგარტ/ლოჟგართ* „მაგრად სცემა, დაბეგვა“. ვ. შენგელია შესაძლებლად მიიჩნევს ამ ფორმებთან დააკავშიროს სვანური **ჟგგ**- *ლი-ჟგგ-ნე* „გამარგვლა, სარეველებისაგან გაწმენდა“ (შენგელია 2006:23-24).

მეგრული ფორმა აშკარად ხმაბაძვითი ხასიათისაა. მას ქართულში ბგერწერითი კორელატების მთელი წყება შეიძლება შევუთანადოთ, რომლებიც „ცემის“ სემანტიკას გამოხატავენ და /ჟ/ ფონემას შეიცავენ: თუშური *ჟეკვა* „ცემა, ტყეა“, რაჭული *ჟეა* „ძლიერი ცემა“, გურ. *ჟღვართუნი* „წნელის რაიმეზე ცემა“, *ჟეჟა* „ცემა, ბეჟა“, იმერ. *ჟვერტვა* „ღონივრად რისამე დანარცხება“; შესაძლებელია ქართულში მას ბევრი სხვა მსგავსი ბგერწერითი კორელატიც დაეძებნოს: მაგ. *ზღართანი*, *ჯგლეთა*. /ჟ/ ფონემას და მის შემცველ კომპლექსებს /ჟღ-ს, ჟგ-ს/ აქ „ძლიერი დარტყმის“ სემანტიკა აქვთ.

ამგვარად, ნათელია, რომ შესატყვისობის – ქართ. **ჟ**: ზან/სვან. **ზგ/ჟგ** – შესაბამისი მასალა საერთო-ქართველურში ან საერთოდ არ იყო, ან იმდენად მცირე იყო, რომ მან ჩვენამდე თითქმის ვერ მოაღწია.

საერთო-ქართველური სიბილანტური სისტემის განსხვავებულ ინტერპრეტაციებში ეს ხარვეზი სხვადასხვა შეფასებას იღებს: გივი მაჭავარიანის მიერ შემოთავაზებულ სისტემაში ეს იქნება ხარვეზი შიშინა ფონემათა რიგში და სისტემას ასეთი სახე ექნება:

ზ	ს	ძ	ც	წ
ზ'	ს'	ძ'	ც'	წ'
–	შ	ჯ	ჩ	ჭ

როგორც ვხედავთ, ასეთი სისტემა სრული იქნებოდა **სისინ-შიშინა** რიგში და ხარვეზიანი – **შიშინა** რიგში. ასეთი ვითარება ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია. ყველგან, სადაც გვაქვს სისინ-შიშინა ფონემები, ისინი პერიფერიულ მდგომარეობას იკავებენ სიბილანტურ სისტემაში. **არ არსებობს ენა, რომელშიც შიშინა ნაპრალოვნების რიგში გვექნებოდა ხარვეზი, ხოლო სისინ-შიშინა ნაპრალოვნების რიგი კი უხარვეზო იქნებოდა. ამ ტიპის სიბილანტურ სისტემაში ხარვეზი პირველ რიგში მოსალოდნელია სისინ-შიშინა რიგში.** გვი მაჭავარიანისეული სისტემა კი უხარვეზოა სწორედ **სისინ-შიშინა** რიგში, ხოლო ხარვეზიანია შიშინა რიგში.

ხოლო თუ შესატყვისობისათვის ქართ. **შიშინა**: ზანურ-სვანური **სიბილანტი+ველარი** ტიპის კომპლექსი საერთო-ქართველურში კომპლექსებს აღვადგენთ, მივიღებთ სრულიად კანონზომიერ ვითარებას ფონოლოგიური ტიპოლოგიისა და ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის თვალსაზრისით: ხარვეზი გვექნება ***ზგ/ჟგ** კომპლექსთა ადგილას. ეს კომპლექსები დღესაც ძალზე შეზღუდულია ქართველურ ენებში. ქართულში **/ზგ/** კომპლექსისათვის ერთადერთი მერყეული ფორმა დასტურდება: მზგავსი (<მსგავსი<მას ჰგავს-ი), რომელიც **სგ>ზგ** ასიმილაციური გადასვლით არის მიღებული. **/ჟგ/** კომპლექსი კი ქართულ ენაში საერთოდ არ დასტურდება. მეგრულსა და სვანურში ეს კომპლექსები დასტურდება, თუმცა არც ისე ხშირია: იხ. მეგრული *ზგვინჭუა/ზგვინჯუა* „გაქცევა (მოწყვეტით)“, *ზგილატა* „სხლტომა, სხლეტა, აცურება“, *ზგინჯალი* „მაყი, ამპარტავანი“ *ზგირტე* „მოლიპული, სრიალა“, *ზგუმონჯუა* „მაგრად შეკვრა, გასკვნა“; *ჟგართალი* „დიდი სხეულის უშნოდ რხევა“, *ჟგართაფი* „ზღართანი“, *ჟგერთინი* „ძლიერი ფართხალი, ჟღერთა“, *ჟგერთუა* „მაგრად ცემა, ჟეჟვა“, *ჟგერთონი* „ხმაურით სიარული“ (მასალა ამოღებულია ო. ქაჯაიას „მეგრული ლექსიკონიდან“. ტ. II, 2002). ყველა ეს ფორმა ბერწერით ხასიათს ატარებს. სვანურში: მაგ., *ლიზგე* „სახლობა, დასახლება“, *ლიზგე* „ტკივილი“, *ლიზგრე* „დამთავრება, დასრულება“; *ლიჟგენე* „მარგვლა“; სვანურში ასეთი კომპლექსები ნაკლებია, რამდენადაც სიბილანტი+ველარი შეერთებისათვის **/სგ/** და **/შგ/** კომპლექსებს აქვთ დომინანტური მდგომარეობა.

უნდა ითქვას, რომ ტიპოლოგიური თვალსაზრისით გ. წერეთლისა და კ. ფოგტის რეკონსტრუქციებიც დამაკმაყოფილებელია, რადგან ამ რეკონსტრუქციებში ხარვეზი გვექნება რთული (ლაბიო-ველარიზებული) ფონემის ადგილას. ხარვეზის ვარაუდი მაქსიმალურად მარკირებულ ფონემათა რიგში იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი რიგების სისრულის პირობებში სავსებით დასაშვებია.

ამრიგად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საერთო-ქართველურში ***ზგ** და ***ჟგ** კომპლექსები ან არ იყო, ან უაღრესად მცირე სიხშირით იყო წარმოდ-

გენილი. შესაბამისად წარმოიშვა ხარვეზი შესატყვისობათა სისტემაში ქართ. **ჟ**: ზან.სვან. **ზგ/ჟგ** ფარდობის ადგილას.

საერთო-ქართველური სისტემის ტრანსფორმაციის შედეგად უძველეს ქართულში (ბგერათგადაწვევის შემდეგ) სავარაუდოა ეტაპი, როდესაც სისტემაში არა გვექონდა ან ძალზე იშვიათი იყო **/ჟ/** ფონემა:

საერთო-ქართველური		ქართული
*ზ	>	ზ
*ჟ	>	ზ
*ს	>	ს
*შ	>	ს
[*ზგ/*ჟგ]	>	[ჟ]
*სქ/შქ	>	შ

ასეთი სიბილანტური სისტემა – სრული სისინა რიგითა და ხარვეზით მჟღერი შიშინა ნაპრალოვანის ადგილას – სრულიად დასაშვებია ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

ქართულ ენაში **/ჟ/** დღესაც ყველაზე იშვიათად ხმარებული ფონემაა. მის მეორეულ სასიათს გიორგი ახვლედიანმა ჯერ კიდევ 1923 წელს მიაქცია ყურადღება. სტატიაში „შენიშვნა ‘გჟარები, ჟარეს’ შესახებ“ იგი მიუთითებს **ღ>ჟ** გადასვლაზე, როგორც **/ჟ/** ფონემის წყაროზე ქართული ენისათვის. იგი წერს: „რადგანაც **ჟ**-ბგერიანი სიტყვები სალიტერატურო ქართულში შედარებით ცოტაა, ამიტომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ იგი (**ჟ** ბგერა) არ იყო იმ კილოს კუთვნილება, რომელიც საფუძვლად დაედო სალიტერატურო ქართულს“ (ახვლედიანი 1923:80).

შემდგომში **/ჟ/** ფონემის წარმოშობის წყაროებით დაინტერესდა თ. გონი-აშვილი. იგი მიუთითებს იმ ბგერწერით ფონოსემანტიკურ ჯგუფებზე, რომლებშიც ვლინდება ეს ფონემა. პირველ ყოვლისა ეს არის **სისველის, სითხით გაჟღენთვის** ამსახველი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები: *ჟონვა, ჟური, ნაჟური, ჟუჟლა//ზუზლა* „ჩირქი“, გურ. *ლეჟერი* „ჭყაპი ტყეში“, *ლიჟრიანი* „სველი, ცვარიანი“, *ჟღენტა; ჟვინტი //ჟღვინტი, ჟღვინტლი, ჟღინტი* საბა: „წვეთი“, *ჟუჟური* „წვრილი წვიმა“, ჟანტი „სინესტე“;

ამ მასალას ჩვენის მხრივ შეიძლება დავუმატოთ: *ჟინჟღლა* „წვრილი წვიმა“, *ღუჟი*, ქართლ. *ჟვანი* „ნაჟური, ნაჟონი“, *ჟღინტლი* „წყლის წვეთი“; იმერ. *ჟვაპი* „დიდი და ხანგრძლივი წვიმა“, *ჟღენტხი* „ჭუჭყიანი, წყლიანი თოვლი“, *ჟვებრი* „ქაფი“, გურ. *ჟვანქი* „ცვარი, წვეთი“, გურ. *ჟინჟღლი* „ცოტა ოფლი“, ჯავახ. *ჟინჟო* „წუნწუნი“, აჭარ. *ჟიჟინა* „სურდო“, *ჟური* „მკვახე ყურძნის წვენი“; ქიზიყ. *ჟღინტი* „წვეთი“, *ჟუღი* „ღუჟი“, *ჟუჟლო* „წყლოლის ნადენი, ჩირქი“, ლეჩხ. *ჟღერი*, ხევს. *ჟანტი*, „ნედლი, სველი ძნა“ (მასალა ამოღებულია ალ. ლლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონიდან“, II, 1974). საყურადღებოა, რომ სისველის, სითხის, სითხით გაჯერების აღმნიშვნელ

ლექსიკაში /ჟ/ გვხვდება ყველა დიალექტურ წრეში და აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დიალექტებში ისევე ხშირად, როგორც დასავლურ დიალექტებში. ამიტომ ვერ ვიფიქრებთ, რომ ეს მეგრულის გავლენით წარმოქმნილი დასავლური მოვლენაა.

/ჟ/ ფონემის შემცველი მეორე სემანტიკური წრე, რომელზედაც თ. გონიაშვილი მიუთითებს, არის **ჟღერადობის, ბგეროვნების** აღნიშვნა. ამ ხმაბადვით ელემენტს იგი ასე ახასიათებს: "она указывает на звук, как раз менее речевого характера, с большим процентом естественного звучания" (Гониашвили, 1937:116). მას მოჰყავს შემდეგი ხმაბადვითი ერთეულები: *ჟღერა*, ფშ. *ჟერნება*, *ჟღერება* „რამდენიმე კაცის ხმამაღალი სიმღერა“, ხევს. *ჟერა*, *ჟერება* id. *ჟღრიალი* (შდრ. ბგერწერითი დუბლეტები: ჭყრიალი, წყრიალი), *ჟღარუნი*, *ჟღაკილი*, *ჟღივილი*, *ჟრიაძული*, *ჟეჟანი* (ამ ფორმასთან დაკავშირებით თ. გონიაშვილი მიუთითებს ყალიბზე: *ერქვანი*, *ებანი* და თვლის, რომ ძირი აქ უნდა იყოს **ჟვარ-*). *ჟღრიალი*, *ჟღურტული*; *ჟაპა-ჟუბი* „ცემა რბილ საგანზე“ (შდრ. დუბლეტი *ზაპა-ზუბი*, *ზაპუნი*). აქ დარტყმის ხმა ვრცელდება მოქმედების აღნიშვნაზე. საინტერესოა სიტყვა *გამჟღავნება*-ს გააზრება, რომელსაც თ. გონიაშვილი გვთავაზობს: "слово *гამჟღავნება* означает *проявлять, обнаруживать, разглашать*, оглашать; очевидно, это все тот же корень *ჟღავ-/ჟღივ-*, первично попросту означающий *оглашать*" (Гониашвили 1937: 147); *ჟიჟინა*, *კიჟინა*.

ჩვენის მხრივ დიალექტური მასალებიდან შეიძლება დავუმატოთ *ჟიჟივი*, ფშავ. *ჟანჟარი* „ჟრიაძული“, ქიზიყ. ჟრიკჟრიკი „ჟღურტული, მერცხლის ჭიკჭიკი“, მოხ. *ჟღავჟღავი* „ჟრიაძული, ჟივილ-ხივილი“, თუშ. *ჟოჟინი* „ხმაური, აურ-ზაური“, ლეჩხ. *ჟრიტინი* „მომაბეზრებელი, უთავბოლო, დაუსრულებელი ლაპარაკი“. აგრეთვე სინესთეზიის საფუძველზე ბგერისა და მოძრაობის ერთდროულად აღმნიშვნელი იმერ. *ჟერჟღვა* „ცემა, დარტყმა“, ქართლ. რაჭ. *ჟეპა* „ძლიერი დარტყმა,, იმერ. *ჟვარუნი* „რტყმევა, ცემა“, *ჟეჟვა*.

მხედველობითი ეფექტების ამსახველი ბგერწერიდან საინტერესოა /ჟ/ ფონემით **სუსტი, ბნელთან შერეული ნათების** აღნიშვნა. აქედან ვიღებთ **შავთეთრი ნარევის, ნაცრისფერის** აღნიშვნას. პირველ ყოვლისა, ეს არის *რიჟრაჟი* (შდრ. სვან. *რეჰი* „განთიადი“, ძვ. ქართ. *შერიჟუება*). მას შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ *ბჟუტვა*, გურ. *ჟირჟილი* „ლამპრის ნათება“, ლეჩხ. *ჟინჟილი* „ჩირადდანი“, რაჭ. *ჟღმორე* „ცოტათი სინათლე“, ზ. იმერ. *ჟღური ლობიო* „ჭრელი ლობიო“, იმერ. *ჟღალი* „მომტრედისფრო, რუხი“, ოკრიბ. *ჟროჟანი* „ფრინველის ფერი: შავი და თეთრი, შავი და ნაცრისფერი, თეთრი და ყავისფერი“. ამავე რიგისაა *ჟღალი* „შავმოწითალო, შავ-თეთრი, ნაცრისფერი, რუხი; ჭალარა“ – ნათელი ფერის მუქთან შერევის ბგერი ნიუანსის გამომხატველი.

ყურადღებას აიყრობს /ჟ/-ს შემცველ ბგერწერით ლექსიკაში /რ/ და /ლ/ ფონემების ხშირი გამოვლენა, რომლებიც, ისევე როგორც /ჟ/, კინემიკურად (არტიკულაციური მიბადვით) **ვიბრაციას** ასახავენ. ლექსემებში *ჟრჟოლა*, *ჟრჟანტელი*, *ჟიჟინი* ამ კინემიკური შინაარსის უშუალო გადმოცემა შეიძლება დავინახოთ.

თ. გონიაშვილი მიუთითებს, რომ მეგრულ-ლაზურსა და სვანურში /ჟ/ ფონემას მსგავსი ფონოსემანტიკური ღირებულებები აქვს. მას მოჰყავს შემდეგი მასალა ამის საილუსტრაციოდ: სვან. *ლიჟრე* „სინესტე, სისველე“, *მეჟირ* „სველი, ჭაობი“; მეგრ. *ჟვერი* „ნამიანი ბალახი“, *ლიჟინი*, *ღვეჟელი* „ყვირილი“; შესაძლებელია ბევრი სხვა ერთეულის დამატება: მეგრ. *ჟუჟი ჭვიმა* „ჟუჟუნა წვიმა“, *ჟვეპური* „ქაფი“, *ჟვეჟვი* „ღორბლი“, *ჟინჟი* „განთიადშემდგარი ცა“ და სხვა.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ იმ ენებში, სადაც არსებობს /ჟ/ ფონემა, მას ანალოგიური ფონოსემანტიკა ექნება. ე.ი. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ გამოყოფილი ფონოსემანტიკური მნიშვნელობები უნივერსალური ხასიათისაა. იმპლიკაციური უნივერსალის სახით რომ ჩამოვაცალიბოთ, გვექნება დებულება:

თუ ენაში არსებობს /ჟ/ ფონემა (სისინა და შიშინა სიბილანტების სფეროში ხარვეზი პირველ რიგში /ჟ/-ს ადგილას გვაქვს, ამიტომ ეს ფონემა შედარებით იშვიათია), მაშინ მის ფონოსემანტიკურ მნიშვნელობებს შორის იქნება: სისველის, სითხით გაჟღენთვის სემანტიკა, დაბალი ტონის ჟღერადობის სემანტიკა (დაბოლოს, შესაძლებელია, სუსტი, ბნელთან შერეული ნათების აღნიშვნაც).

საინტერესოა ამ თვალსაზრისით რუსული და ფრანგული ენების ანალოგიური მასალა, რომლებშიც ჩვენთვის საინტერესო ფონემა წარმოდგენილია. იხ. მაგ. რუს. Жижа, жидкий, жур "гуща, овсяный кисель"; жучить, журчать, жужжать; брезжится, забрезжилось „ირიჟრაჟებს, ინათებს“. ფრანგული: jabóter „ჟღურტული“, japper „ჭყავილი“, jaboteur, javotte „ყბელი“, jaspiner „ყბელობა“, jaillissement „შხეფები“;

ბგერწერასთან ერთად, /ჟ/-ს ძირითადი წყაროა სესხება. თ. გონიაშვილს მოჰყავს ნასესხები ფორმების ნუსხა: *ჟანგი*, *აგჟანდა*, *პატიჟი*, *ნიჟარა*, *ჟინი*, *ბაჟი*, *გიჟი...* (გონიშვილი 1937:120-126);).

მკვლევრები მიუთითებენ /ჟ/-ს სხვა წყაროებზეც: ფონეტიკურ გადასვლებზე **ღ>ჟ** (ახვლედიანი 1923; გონიშვილი 1937; ჭანურისათვის: იხ. ჩიქობავა 1936:28), **რ>ჟ**, **ჯ>ჟ**, **ჭ>ჟ**, **ზ>ჟ** (გონიშვილი 1937:126-131);

ამრიგად, /ჟ/ ფონემის შემცველი ლექსიკა ქართულში, თუკი ის ნასესხები არ არის, თითქმის მთლიანად ხმაბადებითი ხასიათისაა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სულ 103 ლექსემაა თავკიდური /ჟ/-თი. ამათგან 72 აშკარად ხმაბადებითი ხასიათისაა. /ჟ/ ქართული ენის თანხმოვნებს შორის ყველაზე დაბალი სიხშირისაა – მისი ტექსტობრივი სიხშირეა 0.04 (იხ. მაგ. გარჩილაძე, ელიაშვილი 1958; მელიქიშვილი 1976:73, 75).

შესაბამისად, შესაძლებელია გ. ახვლედიანთან და თ. გონიაშვილთან ერთად ვივარაუდოთ, რომ ქართული ენის წინაისტორიული განვითარების ხანაში იყო ისეთი ეტაპი, როდესაც ენის ფონემატურ სისტემაში არ იყო ფონემა /ჟ/. ამგვარი რეკონსტრუქცია სავსებით დასაშვებია ტიპოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა ვიმეორებთ, არც ის არის გამორიცხული, რომ /ჟ/ ფონემა არსებობდა, მაგრამ მისი სიხშირე უაღრესად დაბალი იყო.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სიბილანტურ შესატყვისობათა მეორე რიგისათვის საერთო-ქართველურში შიშინა ფონემათა აღდგენის შემთხვევაში საერთო-ქართველურში ***/ჟ/** ფონემის აღვილას ხარვეზი არ გვექნება. ხარვეზს ან უაღრესად დაბალ სიხშირეს აღვადგენთ ***ჟგ** კომპლექსის აღვილას, რაც სრულიად მისაღებია ფონოლოგიური თეორიისა და ტიპოლოგიის თვალსაზრისით. ქართულში განხორციელებული გადასვლების შედეგად: ***ჟ > ზ** და ***სიბილანტი+ველარი (*ჟგ/*ზგ) > ჟ** – გადაწვევის შემდგომ ეტაპზე ქართულში უნდა მიგველო სისტემა, რომელშიც ან არ იყო ფონემა **/ჟ/**, ან მისი სიხშირე უაღრესად დაბალი იყო. ფაქტობრივად, ეს ვითარება გრძელდება დღემდე: თუმცა სესხებისა და ბგერწერის ნიადაგზე **/ჟ/** ფონემის შემცველი ლექსიკის რაოდენობა იზრდება, ეს ფონემა დღესაც ყველაზე დაბალი სიხშირისაა ქართულ ენაში.

ლიტერატურა

ახვლედიანი 1923: გ. ახვლედიანი, შენიშვნა „ვჟარები, ჟარეს“ შესახებ, ჩვენი მეცნიერება, 6-7.

გაჩეჩილაძე, ელიაშვილი 1958: თ. გაჩეჩილაძე ა. ელიაშვილი, თანამედროვე ქართული ენის ასოთა სტატისტიკა, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 20, 5.

გონიაშვილი 1937: Гониашвили Т., К истории одного звука в грузинском языке, ენიმკის მოამბე, II-1.

თოფურია 1960: ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე, XII, თბილისი.

იაკობსონი 1958: Jakobson R., Typological Studies and their Contribution to Historical Comparative Linguistics, Proceedings of the Eighth International Congress of Linguists, Oslo, 17-26.

მაჭავარიანი 1960: Мачавариани Г. И., О трех рядах сибилантных спирантов и аффрикат в картвельских языках, Международный конгресс востоковедов, Москва.

მაჭავარიანი 1965: გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

მელიქიშვილი 1980: ი. მელიქიშვილი, საერთო-ქართველური სიბილანტთა სისტემა ფუნქციონალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბილისი.

მელიქიშვილი 2001: ი. მელიქიშვილი, სიბილანტურ შესატყვისობათა მესამე რიგი და პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელთა სისტემა ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, 3.

ჟღენტა 1949: ს. ჟღენტა, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი.

როგავა 1953: როგავა გ. ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე, IV.

ფოგტი 1961 (1988): Vogt H., Armenien et Georgien, Handes Amsorya. Zeitschrift für armenische Philologie, Vienne, 10-12, გადაბეჭდილია ჰანს ფოგტის შრომების კრებულში: Vogt H., Linguistique caucasienne et arménienne, Studia Caucasologica, II, Norwegian University Press, 1988.

ქაჯაია 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I-IV, თბილისი.

ღლონტი 1974: აღ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, II, თბილისი.
შენგელია 2006: ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.
შმიდტი 1962: Schmidt K. H., Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden.
წერეთელი 1965: გ. წერეთელი, წინასიტყვაობა თ. გამყრელისა და გ. მაჭავარიანის მონოგრაფიისა „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, თბილისი.
ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

Irine Melikishvili

The Reconstruction of the Phoneme /ჟ/ and Common-Kartvelian Sibilant Correspondences

Summary

The present paper discusses the question of the reconstruction of the phoneme /ჟ/ on the Common-Kartvelian level. In the system of sibilant correspondences between the Kartvelian languages, there is a gap at the place of the correspondence Geo. ჟ: Zan/Swan ზგ/ჟგ.

This gap is evaluated in different ways in various interpretations of the Common-Kartvelian sibilant system: in the system offered by Givi Machavariani this is the gap in the row of hushing phonemes and the reconstructed system has the following shape:

ზ	ს	ძ	ც	წ
ზ'	ს'	ძ'	ც'	წ'
–	შ	ჯ	ჩ	ჭ

That is, the system is complete in the hissing-hushing row and defective - in the hushing row. Such a situation is impossible from the typological viewpoint. Wherever there are hissing -hushing phonemes, they occupy a peripheral position in the sibilant system. There are no languages in which a gap would be found in the row of hushing fricatives, whereas the row of hissing-hushing fricatives would be complete.

In case of the reconstruction of hushing phonemes for the second row of sibilant correspondences in Common-Kartvelian (K.H.Schmidt), there would not be a defect at the place of the phoneme */ჟ/ in common-Kartvelian. A gap or very low frequency would be at the place of the cluster *ჟგ. This is quite acceptable from the viewpoint of the phonological theory and typology. The changes which took

place in Georgian – *ჟ > ზ and *sibilant+velar (*ჟღ/*ზღ) > ჟ – at a certain prehistoric stage must have resulted in Georgian in a system in which the phoneme /ჟ/ was absent or its frequency was extremely low. In fact, this situation continues to the present day: although on account of borrowing and sound symbolism the number of words containing the phoneme /ჟ/ increases, this phoneme up to now has the lowest frequency in the phonemic system of the Georgian language.

The problem of the reconstruction of the phoneme /ჟ/ is one more argument in favour of the reconstruction of hushing phonemes for the second row of sibilant correspondences, and of phoneme clusters - for the third row.

კანონი ვერნიხი

ზოგიერთი ქართველური ლექსიკური ერთეულისათვის

***ბი-**

ქართული ხის სახელწოდება ნე-კერჩხ-ალ-ი გ. კლიმოვმა დაუკავშირა მეგრულ სახელწოდებას ლა-კინჩხ-ა „ნეკერჩხალი“ და აღადგინა ქართულ-ზანური პრაფორმა *ნეკერჩხა- (კლიმოვი 1985:20). ვ. თოფურას და მ. ქალდა-ნის მიერ შედგენილი სვანური ლექსიკონის გამოცემის შემდეგ (თოფურია, ქალდანი 2000:153) ამ მასალას დაემატა სვან. ბი-კენჩხ-ალ „ნეკერჩხალი“ (ფეინრიხი 2000:27).

ზემოთ მოყვანილი ფორმებიდან ჩანს, რომ ისინი დართულია სხვადასხვა პრეფიქსებით: ქართულ-ზანურში გვაქვს *ნე-, სვანურში ბი-. პრეფიქსი ბი- სვანურში იშვიათად გვხვდება. გამორიცხული არაა, რომ იგივე პრეფიქსი მოცემულია სვანურ სიტყვებში ბი-ყრონჩ-აჲ „ვეებერთელა“ და ბი-ყურენჩ „კორძე-ბიანი ჯირკი“.

პრეფიქსი ბი- მეგრულშიც დასტურდება, შდრ. ბი-რკ-ულ-ი „რიკული, მოაჯირი“ (ქაჯაია 2001:244), რომელიც ბირკვილ-ი/ბირკილ-ის სახით დასავლეთქართულ დიალექტებშია (იმერულსა და გურულში) ნასესხები (ლლონტი 1974:75). მეგრული სიტყვის რეგულარული ქართული შესატყვისია რიკ-ულ-ი (ქეგლ 1960:435), რომელშიც ქართული ძირეული მორფემა *რიკ- სრულხმოვნიან საფეხურზეა წარმოდგენილი.

პრეფიქსი ბი- სხვა მეგრულ სიტყვაშიც ჩანს: ბი-ციკ-ე „ციკანი“ (ქაჯაია 2000: 246), რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს ქართულ ციკ-ან ფუძეს. ორივე ფუძე შეიცავს *ციკ- ძირს.

ვერ გამოვრიცხავთ, რომ ბი- პრეფიქსი ქართულშიც არის შემონახული. ამის მაგალითი შეიძლება სიტყვა ბირთვი იყოს, რომელსაც საერთოდ ბურთ-ფორმას უკავშირებენ, თუმცა მათი გაერთიანება პრობლემურია. ქართ. ბირთვი (ძვ. ქართ. ბირთვი) (სარჯველაძე, ფენრიხი 2005:103) შეიძლება იყოს ნაწარმოები *რთუ- ზმნური ძირისაგან. იგივე პრეფიქსი ბი- თითქოს სხვა ქართულ სიტყვებში (ბი-ჩვერ-ი, ბი-ლიკ-ი/ბი-ლიგ-ი) ჩანს.

***-ილ**

ქართ. -ილ სუფიქსი (წერ-ილ-ი, კბ-ილ-ი, ფქვ-ილ-ი, ღუმ-ილ-ი), მეგრ. -ირ სუფიქსი (კიბ-ირ-ი „კბილი“, მქ-ირ-ი „ფქვილი“) და ლაზ. -ირ სუფიქსი (კიბ-ირ-ი „კბილი“, კითხ-ირ-ი „კითხვა“) ერთმანეთს დაუკავშირებს გ. დეეტერსმა და გ. კლიმოვმა (დეეტერსი 1930:217; კლიმოვი 1964:101). ამ მასალის საფუძველზე გ. კლიმოვმა აღადგინა ქართულ-ზანური პრაფორმა *-ილ, რომე-

ლიც ახასიათებს მიმღებებს და საწყისებს. ვფიქრობთ, რომ ქართულ-ზანურ სუფიქსს ემატება სვანური -ილ სუფიქსიც, შდრ. ბექთ-ილ, პოხ-ილ „საპოხი, (ლორის) ქონი“, ჯგმილ „ძმა“, შტამ-ილ „კვირისტავი“, ფირლ-ილ „ძრწოლა, ცახცახი, კანკალი“, პირპ-ილ „სატყუარა“ და ა.შ., ასე რომ, *-ილ სუფიქსი შეიძლება აღვადგინოთ ქართველური ფუძე-ენის ღონეზე.

***თურ-**

ქართ. სიტყვა თრთვილ-ი გაორკეცებული ფორმაა: *თვირ-თვირ > თვირ-თვილ- (მეორე ნაწილის დისიმილაციით) > თრ-თვილ-. თვირ-თვილ-ი დადასტურებულია ჩრდილოაღმოსავლურ კილოებში: ფშაურში, ხევსურულში, თუშურსა და მთიულურში (ღლონტი 1974:248). ქართული თვირ- ძირი შეიძლება გაუმლაუტებული იყოს: *თურ- >თვირ. ასეთ ვარაუდს გვაძულებს სვან. ფორმა თჷირ/თჷნრ/თჷრ „ორთქლი, ოხშივარი“, რომელიც, მართალია, სემანტიკურად შესამჩნევად შორდება ქართული სიტყვის მნიშვნელობისაგან, მაგრამ ენათა ოჯახებშიც გვხვდება ასეთი სახის სემანტიკური გადასვლა.

***ფირ-**

ქართ. ფერფლ-ი ფორმაც შეიძლება მივიჩნიოთ გაორკეცებულ ფორმად: *ფირ-ფირ- > *ფირ-ფილ- (მეორე ნაწილის დისიმილაციით) > ფირ-ფლ- (ხმოვნის დაკარგვით) > ფერ-ფლ-. სვან. ფილ „ფერფლი“ (< *ფირ-, შდრ. ქართ. პირ-ი: სვან. პილ „ტუჩი“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:14)) ქართული ძირის ზუსტი შესატყვისია (ჩუხუა 2000-2003:227).

***შებ-**

გურულ კილოში დასტურდება გა-შპ-ობ-ა ზმნა, რომელსაც „მოსხლეტით უცებ გაქცევის“ მნიშვნელობა აქვს (ღლონტი 1974:143). ვფიქრობთ, რომ გურული შპ- ძირი შეიძლება დაუკავშიროთ სვანურ შგებ-/შგბ- ძირს [ლი-შგებ „მოვარდნა, მიხლომა, თავდასხმა“, ხ-ო-შგბ-ენ-ი „გამოუვარდება“ (თოფურია, ქალდანი 2000:458, 659)]. გურულში შპ- < *შპ- (ასიმილაციით) *შებ- (ხმოვნის დაკარგვით), ფონემათშესატყვისობები რეგულარულ ხასიათს ატარებს.

***შობ-**

მსგავსი ძირი გურულშივეა მოცემული: შპ- (და-შპ-ობ-ა „დაძრობა ტყავისა“ (ღლონტი 1974:195)). ამ შემთხვევაშიც სვანური ენა გვაძლევს შესადარებელ მასალას: შგებ-/შგბ- [ლი-შგბ-ე „ამოდრავება, ამოგლეჯა“, ა-ხ-შგებ „ამოაძრო, ამოაგლიჯა“ (თოფურია, ქალდანი 2000:123, 457)], რომლის საფუძველზე აღდგება ქართველური ძირეული მორფემა *შობ-.

***ჭუჭკ-**

ქართული ჭუჭკ- ძირი გვხვდება ფშაურ, გურულ და აჭარულ დიალექტებში: ფშავ. ჭუჭკ-კ-ა „გათბობის ან დამალვა-დაფარვის მიზნით ტანზე ჩასაცმელის მტკიცედ შემოხვევა, შემოკეცვა“, გურ., აჭარ. ჭუჭკ-კ-ა „ლამაზად, ერთი

მეორეზე მოყოლებით წყობა“ (დღონტი 1074:349). ქართულ ძირს რეგულარულად ესატყვისება მეგრ. ჭკუჭკა-ა „ხშირი, ახლო-ახლო, მიჯრილი“ (ქაჯაია 2002:485). აღდგება *ჭუჭკ- ძირი ქართულ-ზანურ დონეზე.

***ხოლ-**

„სახლის“ მნიშვნელობის ქართულ-ზანური ლექსიკა ა. ჩიქობავამ გააერთიანა: ქართ. ხელ-/ხლ- (სა-ხელ-ი/სა-ხლ-ი), მეგრ. ხორ- (ო-ხორ-ი „სახლი“, დო-ხორ-ე „სასახლე, სამოსახლო ადგილი, სახლი“), ლაზ. ხორ- [ო-ხორ-ი „სახლი“ (ჩიქობავა 1938:150-151)]. ამ ლექსიკას ემატება სვან. ხორ- (ნა-მ-ხორ/ნა-მ-ხუერ „ნანგრევები“ (ფენრიხი 2002:45)), რითაც ქართველურ ფუძენაში შეიძლება აღვადგინოთ *ხოლ- ძირი (ფენრიხი 2007:689-690). ქართულ მასალას შეიძლება დავემატოთ სიტყვა ხელ-ი „სახლის, ნიშის, სალოცავის“ მნიშვნელობით, რომელიც ხევსურეთში იხმარება. ხელია ის ნიში ხანმატის ჯვარში, სადაც მის დობილებს აშეკალს, მზეკალსა და სამძივარს თაყვანს სცემდნენ (მაკალათია 1935:243).

***ტარ-**

ქართულ კილოებში დასტურდება წარ- ძირი რაღაც უარყოფითის მნიშვნელობით. მესხურში გვაქვს წარ-ა-წურ-ა „სუსტი და მიკნავლებული; უუნარო, დასუსტებული ადამიანი“, ქიზიყურში წარ-ულ-ა „უხეირო, მაწანწალა, უსუფთაო“ (დღონტი 1975:312-313). სვანური ჰარ-ი „ცარიელი“ (თოფურია, ქალდანი 2000:893-4) რეგულარულად შეესატყვისება ქართულ ძირს.

***ტუწი-** (კლიმოვი 1985:20)

მეგრული ჭუჭ- (ჭუჭ-უტ-უ-ა „მუჭში მოხელა და დაგუნდავება, ჭმუჭნა [ცომისა, ტალახისა]) (ქაჯაია 2002:494) ზუსტად შეესატყვისება სვან ჰუიჭ-/ჰიჭუ- ძირს (ლი-ჰუიჭ-ი/ლი-ჰიჭუ-ი „ხელა, მოცომვა“) (თოფურია, ქალდანი 2000:488; ფენრიხი 2007:14, 20, 40-41, 247-248, 401, 580-581, 658-659, 705-706, 720-727).

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000: ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

მაკალათია 1935: ს. მაკალათია: ხევსურეთი, ტფილისი.

ქაჯაია 2001, 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 2001; ტ. III, 2002.

ქეგელ 1960: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბილისი.

დღონტი 1974: ა. დღონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. I, თბილისი.

- ჩიქობავა 1938:** ა. ჩიქობავა, ჳანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი.
- ჩუხუა 2000-2003:** მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.
- დეეტერსი 1930:** Deeters G., Das kharthwelische Verbum, Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen, Leipzig.
- კლიმოვი 1964:** Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, Москва.
- კლიმოვი 1985:** Климов Г. А., Дополнения к этимологическому словарю картвельских языков, III (Этимология 1985).
- სარჯველაძე, ფენრიხი 2005:** Sardshweladse S., Fähnrich H., Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch, unter Mitwirkung von I. Melikishvili und S. Sardshweladse, Leiden/Boston.
- ფენრიხი 1999:** Fähnrich H., Lexikon Georgische Mytologie, Wiesbaden.
- ფენრიხი 2000:** Fähnrich H., Kartwelischer Wortschatz, Jena.
- ფენრიხი 2002:** Fähnrich H., Kartwelische Wortschatzstudien, Jena.
- ფენრიხი 2007:** Fähnrich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, Leiden/Boston.

ტარიელ ფუტყარაძე

-ისა, -იზა; -იში, -იშენ; -ისად, ისდა, -იზა, -იზან, -იში...

ფორმამაწარმოებელი ფორმანტების ისტორიული

მიმართებისათვის

(საერთო-ქართველურისა და ქართველური ქვესისტემების მიხედვით)¹

წარმოდგენილ სტატიაში ჩვენი მიზანია ქართველურ ენობრივ სისტემაში არსებული ვითარებისა და მიმართულება-დანიშნულების გამომხატავი ბრუნვის ნიშანთა ალომორფების შეპირისპირებითი ანალიზი. მსჯელობა აიგება შემდეგი ორი ზოგადი დებულების გათვალისწინებით:

➤ **ბრუნვა** არის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა გრამათა საშუალებით ასახავს სინტაქსურ (გრამატიკულ) ან სემანტიკურ (პოსესიურ, ლოკალურ) მიმართებებს. კონკრეტული ბრუნვა (გრამემა) არის სახელის მყარი ფორმწარმოებითი ყალიბი (ფუძე+ბრუნვის ნიშანი), რომელსაც ერთი ლექსიკური ერთეულის ფარგლებში აქვს სინტაქსურ და სემანტიკურ ფუნქციათა საკუთარი სპექტრი (მსჯელობისათვის ვრცლად იხ., ფუტყარაძე 1997).

➤ **მორფემა** არის მნიშვნელობის მქონე ისეთი უმცირესი მორფოლოგიური ელემენტი (ერთეული), რომლის შემდგომი დანაწევრებით ძირეულად შეიცვლება (დაიშლება) მისი მნიშვნელობა. ფორმის მიხედვით მორფემა არის მარტივი (-მა, -ს...) და რთული თუ შედგენილი; გრამატიკულ მნიშვნელობასაც თუ გავითვალისწინებთ, სასურველია გაირჩეს შედგენილი მორფემა და რთული მორფემა: **შედგენილია მორფემა**,² თუკი მისი ელემენტები ავტონომიურად ინარჩუნებენ საკუთარ სემებს, მაგრამ მათი ერთიანობა ქმნის თვისობრივად ახალ გრამატიკულ მნიშვნელობას: -ის-თვის, -ის-გან... -ისას, -ისა/-იშა... **რთულია მორფემა**, თუკი მის ელემენტთაგან ერთ-ერთს დაკარგული აქვს სემანტიკა და ძირითული მომდევნო სემენტზე (და არა – ფუძეზე): -ნარ-, -ვეინ-, -ებინ-... (ფუტყარაძე 1986:32; ფუტყარაძე 1997). მოცემული ენობრივი ერთეულის (ენის, კილოთა ჯგუფის, კილოს, კილოკავის...) ფარგლებში ერთი მორფემის ალომორფებად უნდა მივიჩნიოთ ის მორფები, რომლებიც ერთნაირია მნიშვნელობისა თუ ფუნ-

¹ პროფ. ზურაბ სარჯველადისა და პროფ. ბაქარ გიგინეიშვილის მიერ 1978 წელს გამოქვეყნებული სტატია – „ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძვ. ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში“ – იყო ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი (პროფ. ბესარიონ ჯორბენაძისა და პროფ. თედო უთურგაძის ნაშრომებთან ერთად), რომელმაც სტუდენტობის დროს სხვაგვარად დამანახა სკოლაში მიღებული ცოდნის „სიმწვობრე“ და სტიმიული მომცა, კრიტიკულად შექმნედა გაბატონებული კვალიფიკაციებისათვის. **დიდი მადლობა მათ ამისათვის.**

² შდრ.: **ფორმანტი – რთული სუფიქსი**, რომელიც მიღებულია დერევაციული და სამიმართებო (ფლექსიური) აფიქსების შერწყმით (ბ. ჯორბენაძე).

ქციის თვალსაზრისით და ვლინდებიან იდენტურ ან ურთიერთგამომრიცხველ პოზიციებში. მოცემული ბრუნვის ნიშნის ალომორფებად მიიჩნევა როგორც ფონოლოგიურად, ასევე მორფოლოგიურად შეპირობებული ალტერნატიები (ტერმინ „ალომორფს“ ვიყენებთ ი. ნაიდას მიხედვით).

თანამედროვე ქართველურ იდიომებში (ქვესისტემებში, სახესხვაობებში, კილოებში) დადასტურებული სეგმენტების: **-ისა**, -სა, -იშა, -შა, **-იშე**, -იშენ, **-ისად**, -ისდა, -იზდა, -იზა, -იზან, -ზა (ჩემ-ზა), -იზე, -იმ-დ, -ამდ, -მდ, **-იშედ** (სვან. **დევ-იშ-ჟ-დ**)... შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. კვლევის ამ ეტაპზე საკამათო არ არის წარმოდგენილი ფორმანტების პირველი კომპონენტის წარმომავლობა და ფუნქცია: **-ის/-იშ** – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელსაც სადერივაციო ფუნქციაც აქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში **დისკუსიის თემა** მეორე კომპონენტთა წარმომავლობა და ფუნქცია, **-ისა** ფორმანტის ფორმირების დრო (არსებობდა საერთო-ქართველურში? ე.წ. ზანურ-ქართული ერთიანობის პერიოდში?), ალომორფთა იდენტიფიკაციის საკითხი და სხვ.

ქვემოთ მსჯელობას წარვმართავთ 5 ძირითადი კითხვის მიხედვით, კერძოდ:

- რა წარმომავლობისაა მეორე კომპონენტი?
- ძირითადი მორფემები: **-ის-ა**, **-ის-ად** მხოლოდ არქაული ქართულის მონაცემებია, ე.წ. ზანურ-ქართული ერთიანობის ხანისაა თუ საერთო-ქართველურია?
- სინქრონულ დონეზე, -ის სეგმენტი ფუძეში შედის, დამოუკიდებელი სუფიქსია თუ მომდევნო კომპონენტთან ერთად **ერთიან მორფემას** ქმნის?
- მეგრულ-ჭანური **-იშ-ე** ფორმანტში **-ე -იშა** სუფიქსის **ა-ს** ტრანსფორმაციაა თუ **-დე** თანდებულის ნაშთი?
- რამდენადაც საერთო-ქართველურსა და ქართველურ ქვესისტემებში (სახესხვაობებში) პარალელურად არსებული სეგმენტები (**-ისა**, -სა, -იშა, -შა, **-იშე**, -იშენ, **-ისად**, -ისდა, -იზდა, -იზა, -იზან, -ზა (ჩემ-ზა), -იზე, -იმ-დ, -ამდ, -მდ, -იშედ... -ისთვის, -ისთვინ, -ითვინ, -თვინ, -ად...) ფუნქციებს ინაწილებენ ან უფუნქციობის გამო პასიურად რჩებიან, ერთი ენობრივი სისტემის ფარგლებში ისინი რამდენ მორფემად შეიძლება განვიხილოთ?
რა წარმომავლობისაა **-ა**, **-დ**, **-ად**, **-და** კომპონენტები?

საკითხის ისტორია ვრცლად არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში (გივინიეშვილი, სარჯველაძე 1978; ლომთაძე 1987:65-102; დანელია 1998:501-514), ამიტომ აქ კრიტიკულად აღარ განვიხილავთ განსხვავებულ მოსაზრებებს.

-ა.

მკვლევართა ერთი ნაწილი (ა. შანიძე, ც. ქურციკიძე, ა. ჭინჭარაული...) თვლის, რომ **-ისა/-იშა** ფორმანტი სეულის **-ა** ემფატიკური ხმოვნია; შდრ., ემფატიკური **-ა** უცხოა ზანური კილოებისთვის (არნ. ჩიქობავა).

სტ. ჩხენკელის, ვ. თოფურიას, ჰ. ფოგტის, ი. იმნაიშვილის, ა. მარტიროსოვის, ა. კიზირიას, ა. ონიანის, კ. დანელიას... აზრით (მასალისა და საკითხის მიმოხილვისათვის იხ.: იმნაიშვილი 1957:380; დანელია 1998:509-512), **-ა** არის **-ად** ბრუნვის ნიშნის გამარტივებული სახე: **-ის-ად > -ისა**.³ ა. ლომთაძის მიხედვით (1987:77), **-ა** მიღებულია **-ად-ა** სეგმენტის გამარტივებით: **-ისადა > ისდა > ისა**.

ჩვენი აზრით, უფრო არგუმენტირებულია არნ. ჩიქობავას, თ. შარაძენიძის, ბ. გიგინეიშვილის, ზ. სარჯველაძის, ბ. ჯორბენაძის... მსჯელობანი, რომლის მიხედვითაც **-ა** სეგმენტი არის **მიმართულებითი ბრუნვის** უძველესი ნიშანი, რომელიც დაცულია არქაულ სამწიგნობრო ენაში: საბერძნეთ-ა, თომეთ-ა, კუხეთ-ა... სალოცველ-ა, სადიდებელ-ა...

არქაულ ქართულში მიმართულებითი ბრუნვის ნიშნის **-ა** ალომორფი რეალიზდება **-ის, -ის, -თ, -ეთ**⁴, **-ელ** სეგმენტთა მომდევნოდ.

ვფიქრობთ: არქაულ სამწიგნობრო ქართულში **მიმართულებითისა და გარდაქცევით-ვითარებითის ფუნქციით** ჯერ კიდევ იყო საერთო-ქართველურისთვის დამახასიათებელი მარტივი **-ა** ალომორფი (სადიდებელ-ა), რომელმაც ადრევე დაკარგა ფორმამაწარმოებლის ფუნქცია; თუმცა, შემოგვრჩა **-ისა/-იშა** ფორმანტის შემადგენელ ელემენტად არქაულ სამწიგნობრო ენაში, დასავლურ შიშინა კილოებსა (მეგრულ-ლაზურსა) და ფხოურ კილოებში (მოხეურ-ხევსურულ-ფშაურ-თუშურში); შდრ.: სხვაგვარი ისტორიისა და ფუნქციისა დასავლურ ქართველურ სისინა კილოებში გამოვლენილი **-იზ-ა** ფორმანტის **-ა: ისდა > იზა: გულისდა > გულიზა; კაცისდა > კაციზა...** ანალოგიით: **ჩემ-ზა, შენ-ზა...**

გასაზიარებელი ჩანს ნ. მარისა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებაც, რომ ისტორიულად **-ა** შედიოდა მიცემითი ბრუნვის ნიშნის შემადგენლობაშიც: „ძირ-ა-ს, ნაპირ-ა-ს“...

³ შდრ.: ი. იმნაიშვილის აზრით, საბერძნეთ-ა ტიპის ფორმებში **-ა** არის სხვა დიალექტური წრის არქაული ნიშანი (ვითარებითი ბრუნვისა), რომელიც **-დ-ს** პარალელურად რეალიზდება გარკვეული ტიპის სახელებში (იქვე, გვ. 408-411).

⁴ ჰ. ფოგტს მიაჩნია (1968:274-275), რომ თუშ-ეთ-ა ტიპის სახელებში **-ეთ-** არის ეგრის- ტიპის ფორმების **-ის-** ტოლფარდი: ნათესაობითის **-ის**, ინსტრუმენტალისის **-თ** და ვითარებითის **-ად** სუფიქსები სინამდვილეში არიან დერივატიული სუფიქსები. ისინი ქმნიან ახალ ფუძეებს, რომლებიც, თავის მხრივ, ისევ შეიძლება ვაბრუნოთ. ტოპონიმთა მაწარმოებელი **-ეთ-/-ათ** (თუშ-ეთი, კახ-ეთ-ი, გელ-ათ-ი, თეკლ-ათ-ი...) ზოგ შემთხვევაში კრებითობის ფუნქციის მქონე ჩანს, ზოგში – კუთვნილებითობისა; შდრ.: სომხ-ით-ი.

მიმართულებით-მიცემითის -ა⁵ შეიძლება იყოს შემორჩენილი ჩქარ-ა, ნელ-ა...⁶ ტიპის ზმნისართებსა და ქართული ენის ინგილოურ თუ სამხრეთ-დასავლურ (აჭარულში, მაჭახლურში, იმერხეულში...) კილოების სხვა ზმნისართებს: საზებნელად (საძებნელად), ერთად (/ერთად)... სალოცველ-ა-ა (=სალოცველად), უჩუმალ-ა-ა, (/უჩუმალად/ჩუმალად)... აქ ა პალატალიზებული დამართვის შედეგად უნდა იყოს განვითარებული; ამ ვარაუდს მხარს უჭერს ისეთი ზმნისართების არსებობა, რომლებიც სხვა კილოებში მიცემითის ფორმით გვხვდება:

ძვილად, გამთენიად („გამთენიას“; პარალელურად იხმარება „გამთენიოს“), გავლად (გავლას), ჩამოვლად (ჩამოვლას), ამ ჩამოსლად, გულგარად (გულგარად ლაპარაკოფს)...

შდრ., აგრეთვე, აჭარული სხვა მასალა: შეუსვენებლად/შუუსვენებლად, გუუჩერებლად, დუუკითხვად, უკითხვად, უდუნახვებლად, (/დუნახვებლად), დუუძახებლად... უჩუმალად, უცბად, (შდრ., უცფათ)... ადვილად, ფენაქცევად (ფენაქცევად დაწვეთ და დევეტევით), ტყვილად, კისრაკუნჭლად (კისრაკუნჭლად წამოვდა თავდადმართში), ერთგაყოლად (ნიშნავს „ცოტა ხანს“), ნახევარკვალად (ნახევარკვალად გააკეთა საქმე), ჩემთვინად/ჩემთათვინად (შენთვინად/მისთვინად...), მარტვად, ყველაფრად (ყველაფრად გეყოფა; „ყველაფრისთვის“, „ყველაფრად“), განგებად...

ასეთი მასალა გვაქვს გურულშიც: უჩუმალად (/უჩუმალე), უკითხვად, ტყულე (ტყულად), ძულე, ცალხელე, გულგარად, ძვილად, ძულე (შდრ., ძვილად), განგებად, მარტუად, დღის სინათლად (დღის სინათლად ჩასულიყო შინ), ძალითად (/ძალითე), განგებად (/განგებე)... (ფუტკარაძე 1986).

შდრ., ვითარებითის ა-თი (<ად?) წარმოქმნილი ზმნისართები, რომლებიც დ-ს არ დაირთავენ (სავარაუდოა, რომ ასეთი ფორმები მეორეული იყოს: ცოლიანად > ცოლიანა):

ა) სამწიგნობრო ქართულის ზმნისართები, რომლებიც წარმოადგენენ -იან სუფიქსით ნაწარმოები სახელის ვითარებით ბრუნვას: ცოლიანა, სახლიანა... მსგავსი მაგალითები უცხო არაა სხვა დიალექტებისთვისაც.

ბ) ზმნისართები, რომლებიც წარმოქმნილი არიან -ულ/-ურ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავებისაგან: კაცურა, ამხანაგურა, ძველებურა, მაშინდულა, გუშინდულა...

გ) ზედსართავისაგან წარმოქმნილი ზოგი სხვა ზმნისართი: კარქა, ცქვიტა; შდრ., კარქათ, ცქვიტათ; შდრ., ზმნისართთა დიდი ნაწილი არ დასტურდება

⁵ შდრ.: ვარაუდობენ, რომ სვანურ კილოებში მიცემითის ერთ-ერთი ალომორფია -ა; ვფიქრობ, უფრო დამაჯერებელია ა. ონიანის მსჯელობა, რომელსაც მიაჩნია, რომ სვანურში გამოვლენილი -ა არის ფუძისეული ე-ს ალოფონი (ონიანი 1985:159-163).

⁶ სხვა მოსაზრებით: ნელად > ნელა.

ვითარებითის თ-ს გარეშე: თეთრათ, წითლათ, შავათ, ყვითლათ... ლამაზათ, უშნოთ, ცუდათ... სამუშაოთ, სასმელათ...

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არქაული სამწიგნობრო ენა ეფუძნება წელთაღრიცხვათა მიჯნაზე არსებულ საერთო-ქართველურ ენას (მსჯელობისათვის იხ., ფუტყარაძე 2005), ულოგიკო იქნება, ზემოთ განხილულ მასალაში წარმოდგენილი **ქართველური -ა მორფემა** მივიჩნიოთ სხვადასხვა დროისა თუ წარმომავლობის სეგმენტად; ვფიქრობ, ლოგიკური ჩანს, ვარაუდი:

-ა+ს⁷, **-ა+დ**, -ი+ს, -ი+დ (> ით) ბრუნვის ნიშნები წარმოქმნილია საერთო-ქართველურ ენაში **-ა**, **-ი**⁸ და **-დ**, **-ს** ნიშნების კომბინაციებით; საერთო-ქართველურში თანაარსებობდა როგორც მარტივი მორფემები (-ა, -დ), ისე რთული მორფემები (-ად) და შედგენილი ფორმანტები (-ის-ა, -ის-დ...).

-დ.

საერთო-ქართველურის **-დ**⁹ ვითარებით-გარდაქცევითობის, მიმართულე-ბითისა და დანიშნულებითობის ფუნქციით შემონახულია სვანურ კილოებში; კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა **-დ** დაერთვის **-იმ**- სეგმენტს (ბეფშე-**იმ-დ**), გამოხატავს მიმართულებას, დანიშნულებას; ხოლო როდესაც **-დ** უშუალოდ დაერთვის ფუძეს, აღნიშნავს როგორც ვითარებასა და გარდაქცევითობას, ასევე, მიმართულებას, მიზანს, დანიშნულებას; სვანურში მარტივ ფუძეზე დართული **-დ**-ს მიერ დანიშნულების გამოხატვა არქაული ვითარება ჩანს (შდრ., ჩანტლაძე 1998:93-94).

-დ არქაულ სამწიგნობრო ქართულში გამოხატავს **მიმართულებას, მიზანს, ადგილს**: შემოვიდა ქართლ-**დ**; მოვიდეს იერუსალიმ-**დ**... არქაულ ქართულში **-დ** ვითარებითის ფუნქციით არ დასტურდება; საერთო-ქართველურში მას ეს ფუნქცია უნდა ჰქონოდა (რასაც ადასტურებს სვანურის მონაცემები). მოგვიანებით, სამწიგნობრო ენაში **-დ მორფემას** ყველა ფუნქციით ცვლის **-ად/-დ**.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სვანურ კილოებშიც კი **-დ** მიღებულია **-ად**-ისგან (ონიანი 1989:211, 217-218). ქართველურ ქვესისტემებში ორ თანხმოვანს შორის მოქცეული ხმოვნის რედუქცია ხდება მომდევნო სუფიქსისეული ხმოვნის გავლენით; კერძოდ, ბოლო მარცვალში

⁷ -ას შემონახულია არქაულ ქართულშიც, სვანურ და სხვა ქართველურ კილოებშიც; **ძირ-ას**, **ადგილ-ას**, **ბირ-ას**... მეგრ.; **სქვამ-ას**, **ძვირ-ას**, **შნირ-ას**... სვანური; ჯვედი-ას, **ვან-ას**, **ზაუ-ას**... მასალისათვის იხ.: თოფურია 1944:340-345; ბაბუნაშვილი 1956:393-402; ი. ჩანტლაძე 1998:23.

⁸ ჩანს, წინარექართველურში არსებობდა ე.წ. კუთვნილებითი -ი ბრუნვა, რომელსაც, ნაწილაკის ცვეთით მიღებული სახელობითის ი-სგან განსხვავებით, შეედლო ფუძისეული ხმოვნის რედუქცია (ამ უკანასკნელის ენკლიტიკური ბუნების შესახებ: ფოგტი 1968:17).

⁹ ასევე, არ გამოირიცხება ქართველური, ურარტული და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების **-დ** სუფიქსის საერთო წარმომავლობა (მსჯელობისთვის იხ.: ჩიქობავა 1956; ჯორბენაძე, 1988:15; ეს პერსპექტიული თემა დამატებით არგუმენტებს საჭიროებს).

წარმოუდგენელია **-ად > -დ** პროცესი.¹⁰ უფრო ლოგიკურია მოსაზრება **ბეთ-ლემ-დ** ტიპის სახელებში ცალთანხმოვნიანი არქაული სუფიქსის არსებობის შესახებ (ჩიქობავა 1956); შდრ., სხვა ცალთანხმოვნიანი სუფიქსები: **-ს**; **კაც-ს**; **-ლ-**; **თოვს - თოვ-ლ-ი**; **-რ-:** **წუხ-ს - მწუხ-რ-ი**, **მამა - მამ-რ-ი...**)¹¹.

-ად/-და.

-ად სუფიქსის ისტორიის შესახებ ორი ძირითადი მოსაზრებაა:

1. **-ად** მიღებულია **-ა** და **-დ** სუფიქსების შერწყმით;

2. **-ად** ერთიანი სუფიქსია, რომლის ცვეთითაა მიღებული **-ა**; მაგ., **პ.** ფოგტის ჰიპოთეზაზე დაყრდნობით, **კ.** დანელია ავითარებს მოსაზრებას, რომ უძველეს (V საუკუნის უწინარეს) ქართულში ორი დამოუკიდებელი ბრუნვა არსებობდა; ამ ბრუნვების ნიშნები **-დ** და **-ად (> ა)** მოგვიანებით ერთმანეთში აირია (დანელია 1998:502, 504-510).

ვფიქრობ, გასაზიარებელია პირველი მოსაზრება, ვინაიდან, ფაქტია, რომ ადრეულ პერიოდში მიმართულებითის ფუნქციით პარალელურად დასტურდებოდა **-ა** და **-დ** მორფემები; გარდა ამისა, იგივე **ა** სეგმენტი გვიდასტურდება **-ას**

¹⁰ არალოგიკურად მიგვაჩნია ***ბეფშე-ად > ბეფშე-დ** და ***მარემ-იშ-ად > მარემ-იშ-დ** პროცესების დაშვება.

¹¹ იგივე **-დ** ჩანს აჭარულ, მაჭახლურ, ლივანურ, იმერხეულ კილოებში დადასტურებულ **ძირთ** (<**ძირ-დ**) „ძირს“ ზმნისართში („ძირთ დევს“ = ძირს დევს); მოგვიანებით ფორმააწარმოებელი სუფიქსი (**-დ**) ფუძისეულადაა გააზრებული, ამიტომაც გვაქვს: **ძირთ-ულ-ი** (იატაკიდან, მიწიდან აღებული რაიმე ნივთის შესახებ იტყვიან); შდრ.: გამოთქმულია მოსაზრება, რომ **გუშინდელი**, **მაშინდელი...** ტიპის ფორმებში **დ** სეგმენტი მომდინარეობს **დღე** სიტყვისგან (ხვალინ-დღე-ელ-ი > ხვალინდელი; ა. შანიძე); აქაც ხომ არ არის შემორჩენილი მიმართულებითობის გამომხატველი საერთო-ქართველურის **-დ** სუფიქსი, რომელიც, სვანური ფორმების მსგავსად, დაერთვის **-ინ** სეგმენტს: **-ინ+დ** (მაშ-ინ – *მაშ-ინ+დ: მაშინდ-ულ-ი – **მაშინდულა**, **მაშინდ-ელ-ი**; გუშინ – გუშინ-დ: გუშინდული – გუშინდულად > გუშინდულა; წუხანდელი – **წუხანდულა...** ხვალინ-დელი; ანალოგიით: მერმინდელი, წინანდელი...)? ქართველური დიალექტური მასალაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ზმნისართები კომპოზიტებისგან არ უნდა მომდინარეობდეს; კერძოდ, ზმნისართში ჩანს საერთო-ქართველური თუ არქაული ბრუნვის ნიშნები (**-ან**, **-დ**, **-ინ**, **-ის**, **იშ...**), ხოლო დროის მიმანიშნებელი ზედსართავის მაწარმოებელი შეიძლება იყოს წარმომავლობის სუფიქსი: **-ელ/-არ/-ერ**; შდრ.: **ზანური – გოდან/გოლა „გუშინ“**; შდრ.: **ლაზ.: დომან**, არქაული სალიტ. ქართული: **ძოდან „გუშინწინ“**, ხევსურული: **ძოდან/ძოდანს „ამასწინათ, სამი-ოთხი დღის წინ“**; ახალი სალიტ. ქართული: **წადან > წელან...** და: **გოდან-ერ-ი**, **ძოდან-დ-ელი** (ხევს.), „გუშინდელი“. ამდღა „დღეს“ და ამდღ-არ-ი „დღევანდელი“; **ჭუმანი/ჭუმან/ჭუმე „ხვალ“** და **ჭუმანერი/ჭუმანერი „ხვალინდელი“**; **გელანი „ზეგ“** და **გელან-ერ-ი „ზეგინდელი“**; **წოხოლე „წინ“**, „ადრე“ და **წოხოლენი/წოხოლეიანი „წინანდელი“**... შდრ.: სვანური: **ლწთ „გუშინ“** და **ლათაშ „გუშინდელი“**; **ლადელ „დღე“**, **ლადი/ლადელი „დღეს“** და **ლად-იშ „დღევანდელი“**; **მეხნარ „ხვალ“** **მუხრ-იშ „ხვალინდელი“**; **მეხნარეჩხან** (< ***მეხნარ-ემ-ხან**) „ზეგ“ და **მუხნარეჩხან-იშ „ზეგინდელი“**... საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

ფორმამაწარმოებელ სუფიქსში (შდრ.: ძლივს, ძლივ-ას და ძვილ-ა-დ); შდრ., აგრეთვე, მხოლოდ -ა სუფიქსით გამოხატული მიმართულებითობა აჭარულში დადასტურებულ და მიცემითის ფარდ ფორმაში: გამთენიაი (/გამთენი-ას)= გამთენიისას.

ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები არსებობს -და-ს (ჩემ-და) შესახებ.

-და რეალიზდება მხოლოდ ნანათესაობითარ ფორმასთან. მისი წარმომავლობის შესახებ ორი ძირითადი მოსაზრებაა:

ნ. მარი: -და არის თანდებული (მსჯელობისათვის იხ.: შანიძე 1980:70-71, 601-602: „ამის-და კვალად“); შდრ., ასევე, ჯორბენაძე 1988:100, „-და – თანდებულ-მორფემოიდი, გამოხატავს განკუთვნებას, დანიშნულებას“ (ჩემ-და, შენდა... კაცისდა > კაციზდა > კაციზა)...

არნ. ჩიქობავა: -და სუფიქსში -დ- არქაული მიმართულებითის ნიშანია, ხოლო -ა ემფატიკური ხმოვანია (ჩიქობავა 1956:20-21). შდრ., ასევე: ა. მარტიროსოვი 1959:119-122: „ჩემ-და ფორმაში -და არის ვითარებითის ნიშანი“; ა. ლომთაძე 1987:69-70: დინამიკური მახვილის მოქმედებით -და ჩამოყალიბდა ზანურ-ქართულის ერთიანობის ხანაში -ადა სეგმენტისგან: კაცის-ად-ა > კაცისდა; მისი აზრით (გვ. 77), -და > -ა: კოჩიშ-და > კოჩიშ-ა.

წარმოდგენილი ამ ორი მოსაზრებიდან უფრო მეტი არგუმენტი ეძებება **არნ. ჩიქობავას** მოსაზრებას; კერძოდ, ბ. გიგინეიშვილისა და ზ. სარჯველაძის აზრით, **შენ-და-მდე** ტიპის ფორმებში გვერდიგვერდ ორ თანდებულს ვერ დავუშვებთ: „ქართულ ენაში ორი თანდებული ერთმანეთის მომდევნოდ არ დასტურდება“ (გიგინეიშვილი, სარჯველაძე 1978:133). გარდა ამისა, ქართველური ენა-კილოების თანდებულთა წარმომავლობა გამჭვირვალეა; ისინი მომდინარეობენ დამოუკიდებელი სიტყვებისგან. დამოუკიდებელი მახვილისა და ლექსიკური მნიშვნელობის მქონე მორფემის **აფიქსებად (თუ ე. წ. თანდებულებად)** ტრანსფორმირების საფეხურები ნათლადაა წარმოდგენილი სამწიგნობრო ენის ისტორიაშიც. -და მორფემის ანალოგიური ისტორია არ ჩანს; გარდა ამისა, ეს მორფოლოგიური ერთეული ამავე ფორმითა და ფუნქციით აღდგება საერთო-ქართველურშიც (იხ., ქვემოთ). მეტიც: კუთვნილებისა (-ის) და მიმართულების გამომხატველი სუფიქსების (-დ/-ად/-და) კომბინაციები: *-ისდ (>/-იშდ), -ისად, -ისდა, **ნული+და** ერთიან სუფიქსადაა გააზრებული საერთო-ქართველურშივე. ეს ფორმანტი სხვადასხვა ვარიანტით დასტურდება არქაულ სამწიგნობრო ენაშიც და ქართველურ კილოებშიც; არაიშვიათად მას ცვლის -ისთვის/-ისთვის შედგენილი მორფემაც:

მაგ., შდრ., სახარების რედაქციები:

მათე, 17,4: „მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთ მოსწსა და ერთი ელიაჲსაჲ“ (ახალი აღთქუმაჲ; წმიდაჲ ოთხთავი, თბ., 2003).

მარკოზი, 9,5: „და მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: რაბი, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად; ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდად, ერთ მოსწსად,

ერთი ელიაძესადე“ (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერ-
დული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945).

მარკოზი, 9,5: „და მიუგო პეტრე და ჰრქუა იესუს: რაბი, კეთილ არს
ჩუენდა აქა ყოფად; ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენთჳს, ერთ მოსმსთჳს და
ერთი ელიაძესთჳს“ (ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979;
მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1986).

ძველ ქართულ ტექსტებსა თუ თანამედროვე დიალექტებში -დ/-ად/-და
ალომორფი ძირითადად რეალიზდება კუთვნილობითობის სემანტიკის მქონე
პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელურ ფუძეებთან (ამ შემთხვევებში ფუძის
სემანტიკით ხდება -ის- დერივატის კომპენსაცია) და მიმართულებას ან
დანიშნულებას გამოხატავს¹²: ჩემ-და „ჩემთვის“, შენ-და, თქვენ-და, მის-და...¹³
შდრ.: მეგრული: ჩქიმ-და „ჩემკენ“, სკან-და „შენკენ“ (შდრ.: კოჩიშა „კაცისკენ“);
ეს -და უნდა იყოს შემონახული სვანური -თე-ს სახით¹⁴: მიშგუა-თე „ჩემკენ“,
ისგუა-თე „შენკენ“, ეჩიშ-თე „მისკენ“; შდრ., აგრეთვე, სვანური: მიშგუ „ჩემი“
და მიშგოუ-დ „ჩემთვის“, ისგუ „შენი“ და ისგოუ-დ¹⁵ „შენთვის“, ეჩიშ „მისი“
და ეჩიშ-დ „მისკენ“ (< ეჯაიშ < ეჯა/ეგა) „მისთვის“... გურულ-იმერულ-
აჭარული: ჩემდა, ჩემზა (კაციზა ფორმის ანალოგიით) ფორმათა პარალელურ-
რად ქართულში ზეპირ მეტყველებაში ამჟამადაც ჩანს ჩემ-ად, შენ-ად ტიპის
მასალა: „ეს ჩემად (=ჩემთვის) მინდა“... (ვიმოწმებთ აჭარული კილოს მი-
ხედვით).¹⁶

კუთვნილებითობის სემანტიკის მქონე ფუძეებთან -და ალომორფის დამ-
კვიდრება ახსნილი აქვს კ. დანელიას (1998:503)¹⁷: „I და II პირის ნაცვალ-
სახელთა საყრდენ ნაგენტივარ უაფიქსო ფუძეზე დართული -და თანდებული

¹² არქაულ -დ/-და და -ად სუფიქსებს შეეძლოთ როგორც მიმართულების, ასევე დანიშ-
ნულების გამოხატვა (თ. შარაძენიძე 1956:425-426; ი. იმნაიშვილი 1957:493-495; ა.
მარტიროსოვი 1968: 114-119). მოგვიანებით, -თვის, -კენ „თანდებულიანი“ ბრუნვის ფო-
რმები იყოფენ ამ სემანტიკებს; არქაულ ქართულსა და სვანურ კილოებს შემონახული
აქვს ძველი ვითარება (მასალისათვის იხ., ზემოთ).

¹³ შდრ.: მის+და, მა-თ+და... ჰავლე-ს+და... (ლომთაძე 1987:71).

¹⁴ -თე ალომორფის (-და > -დე > -თე პროცესის) შესახებ მსჯელობა იხ., ქ. ლომთა-
თიძისადმი მიძღვნილ კრებულში (იბეჭდება სოხუმის უნივერსიტეტის გადაწყვეტი-
ლებით).

¹⁵ მიშგოუ-დ - ფორმაში გასარკვევია უ სეგმენტის საკითხი; ვფიქრობთ, იგი
ანალოგიითაა გადმოსული ე.წ. უ-ფუძიანი ბრუნების ვითარებითი ბრუნვიდან: სახ. ჭაშ,
მიც. ჭაშუ, ვით. ჭაშუდ; შდრ., ანალოგიით უ ჩნდება -იშ სეგმენტის მომდევნოდაც:
დეე-იშ-უ-დ (შდრ.: ჩანტლაძე 1998:95).

¹⁶ მეგრული: ჩქიმ-ოთ „ჩემთვის“ გვაფიქრებინებს, რომ ჩემ-ად საერთო-ქართვე-
ლურისგან მომდინარე ფორმა უფროა, ვიდრე საზღვრულის ჩავარდნის შედეგი (ჩემ
სახლად > ჩემად).

¹⁷ ოლონდ, მისთვის -და არის თანდებული; მეტიც, კ. დანელიას აზრით, მიმართულებითი
ბრუნვა არათუ საერთო-ქართველურში, არამედ ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზეც
ძნელი დასაშვებია 1998:513-514.

არ შეიძლება გამარტივებულიყო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით *ჩემა, შენ-ა, *ჩუნა, თქუნა ფორმებს, რომლებშიც მიმართულებითობის (ან დანიშნულებითობის) ამოცნობა შეუძლებელი იქნებოდა“.

მსჯელობის ლოგიკა მართალია, ოღონდ, ჩვენი აზრით, ამ ტიპის ნაცვალსახელებთან მიმართულებ-დანიშნულებითობის გამომხატველი -დ(ა) ფორმააწარმოებელი სუფიქსია (-დ ბრუნვის ნიშანს მირთულია -ა ემფატიკური ხმოვანი) და არა - თანდებული.

გ. კლიმოვის, ბ. გივინეიშვილისა და ზ. სარჯველაძის აზრით, **ზანურ-ქართული ერთიანობის** ხანაშია შესაძლებელი -ის-ა, -ის-ად მორფემული ჯგუფების რეკონსტრუქცია (ბ. გივინეიშვილი, ზ. სარჯველაძე 1978:134). ვფიქრობთ, უფრო არგუმენტირებულია მსჯელობა, რომ საერთო-ქართველური ენის ველში ჯერ წარმოიქმნა ზანურ-სვანური დიალექტური წრე, რომელმაც შემდგომ მოგვცა ზანური და სვანური კილოები; შესაბამისად, ნაკლებ-სავარაუდოა ე. წ. ზანურ-ქართული ერთობის ხანის არსებობა (გრცლად იხ., ფუტკარაძე, 2005:259-297). ქართველური ქვესისტემების მონაცემთა ანალიზი საფუძველს გვაძლევს, ფუძე+ის+ა, ფუძე+ის+ად, ფუძე+ის+დ(ა) **პარალელური ყალიბების არსებობა ვივარაუდოთ** საერთო-ქართველურშივე¹⁸.

ძველ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი -ისად, -ისა, -ისდა სეგმენტები და მათი დიალექტური ვარიანტები სინქრონულ დონეზე სამგვარად შეგვიძლია განვიხილოთ:

- -ის სეგმენტი ბრუნვის ნიშანია, რომელსაც დაერთვის მეორე ბრუნვის ნიშანი;¹⁹
- -ის სეგმენტი ახალ ფუძეს აწარმოებს, ხოლო -დ/-ად/-და ბრუნვის ნიშანი დაერთვის ნაწარმოებ ფუძეს;²⁰
- -ის სუფიქსი და მომდევნო კომპონენტი ახალ, ერთიან მორფემას ქმნიან.

რანგების თეორიის მიხედვით, სიტყვაში ძირეულ მორფემასთან მიმართებით მკაცრადაა განსაზღვრული სხვა მორფემათა განლაგება (არანფირება); ერთ სიტყვაში არ შეიძლება იყო წარმოდგენილი ერთი რანგის ორი მორფემა (ქართული მასალის მიხედვით მსჯელობისათვის გრცლად იხ. ონიანი 1989:50-51).

სიტყვა-ფორმაში ერთი რანგის მორფემების პოზიტივების შემთხვევაში განსახილველია სამი ვარიანტი: ერთ-ერთი (ფუძესთან ახლოს მყოფი) კარგავს ფუნქციას და ფუძეს ერწყმის (1); ფუნქციადაკარგული აფიქსი ერწყმის ახალ სუფიქსს (2); ერთი რანგის ორივე აფიქსი ინარჩუნებს თავის სემანტიკას,

¹⁸ შდრ., კ. დანელია თვლის, რომ სამსავე ქართველურ ენაში -ისად, -ისა დამოუკიდებლადაა ჩამოყალიბებული: ამ ენობრივ ფაქტებს არაფერი აქვთ საერთო (გვ. 513).

¹⁹ ე.წ. ორმაგ ბრუნვებად კვალიფიკაცია ახალი არ არის (იხ., მაგ., შანიძე 1976); **კაც-ის-ად** ტიპის ფორმებში ორმაგი ბრუნების შესახებ იხ. ჩანტლაძე 1998:120-121.

²⁰ წარმოდგენილ მასალას ამგვარად განიხილავს ალ. ონიანი (1989:142-144).

მაგრამ მათი შერწყმით მიიღება თვისობრივად ახალი მორფემა (როგორც ფორმით, ასევე, სემანტიკით).

თ. უთურგაიძის აზრით, ფუნქციადაკარგული სუფიქსი ფუძეში გადაირიცხება (უთურგაიძე 1983:1-8); ჩვენი აზრით, როგორც წესი, ფუნქციადაკარგული სუფიქსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერწყმის მისივე მსგავს ახალ სუფიქსს (ფუტკარაძე 1986:138); ამ მოსაზრებას ამყარებს ანალოგიის ფაქტები: მაგ., გურულში -ნებ (დანები, ძმანები...) ანალოგიით გადადის ნასესხებ სიტყვებშიც: ბადიშ-ნებ-ი, ანგელოზ-ნებ-ი; ასევეა, მეგრული -ლეფ: ჯიმა – ჯიმალეფი, შდრ., ინდოევროპული ნასესხობა: ნოსა – ნოსა-ლეფ-ი... გარდა ამისა, -ნ ფუძეში რომ იყოს შესული, ის მხოლოდითშიც იქნებოდა წარმოდგენილი. ასევეა კაუზატივის ნიშნებიც და სხვ. ფუძესთან მირთულად უნდა განვიხილოთ, ძირითადად, სადერივაციო აფიქსების როლში მოვლენილი სევემენტები (გულ-ად-ი, ხ-ის...), ან ძველი, ფუნქციადაკარგული აფიქსები (მამა – მამ-რ-ი).

-ისად/-იშოთ, -ისა/-იშა ტიპის მორფემული ჯგუფის წევრები ინარჩუნებენ თავიანთ სემანტიკას, მაგრამ მათი გახლეჩა შეუძლებელია. არქაულ ქართულში, ზანურ თუ ფხოურ კილოებში დანიშნულებას თუ მიმართულებას დამოუკიდებლად ვერ გამოხატავს ვერც კუთვნილობითობის გამომხატავი -ის და ვერც მხოლოდ -ა/-ად სევემენტები (მხედველობაში არ მიიღება რთული მორფემის ცვეთით მიღებული ალომორფი²¹). ვფიქრობ, უფრო ლოგიკურია მათი განხილვა ერთიან **შედგენილ მორფემად**; შესაბამისად, ბრუნვათა ძირითადი ფორმები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ფუძე-ისა²², ფუძე-ისად.

²¹ მაგ., სვანურში ნანათესაობითარი ვითარებითის რთული იშ-დ ფორმანტი, სხვა ბრუნვის ნიშნების მსგავსად, შეიძლება გამარტივდეს; იკარგება -დ: ბქ: ჰიმლ-აშ < ჰიმლ-აშ-დ „ძმისთვის“; ლშხ.: ზარულ-იშ (< ზარულ-იშდ) „მზარეულისთვის“; ღერთ-აშ < ღერთ-აშ-დ „ღვთისთვის“ (ვიმოწმებთ ვ. თოფურას მასალას); შდრ. ჩანტლაძე 1998:93.

²² არქაულ სამწიგნობრო ქართულში მიმართულებითი ბრუნვა მოეპოვება მხოლოდ ადამიანის, უფლისა და ანგელოზის აღმნიშვნელ სიტყვებს. ამის მიუხედავად, ზოგ ავტორს ის, როგორც მეორეული ბრუნვა, საერთოდ არ შეაქვს ბრუნვათა პარადიგმაში (სარჯველაძე 1997:25-35), ზოგს კი საკუთარ სახელთა ბრუნვებში შეაქვს, საზოგადო სახელებისაში კი – არა (რ. სალინაძე 2008:54, 55). მიმართულებითი საერთო-ქართველური ბრუნვა; შესაბამისად, ის წარმოდგენილი უნდა იყოს ქართველური ბრუნვების ყალიბთა რიგში. მეგრულ-ჭანურის ვითარება აჩვენებს, რომ არქაულ სამწიგნობრო ენაში **ფუძე-ისა** ყალიბის პოენიერება უფლისა და ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებთან გარდამავალი ვითარების ამსახველია: საერთო-ქართველურში **ფუძე-ისა** რეალიზდებოდა ყველა ტიპის სახელთან; არქაულ სამწიგნობრო ენაში – ადამიანისა და უფლის აღმნიშვნელთან, შემდეგ კი სულ იკარგება. შდრ.: ნათესაობის (კუთვნილობის) ფორმასთან მსგავსი დინამიკა ჩანს სხვა შემთხვევებშიც; მაგ.: **ზედა, შინა** თანდებულები თავდაპირველად მხოლოდ ნათესაობითთან ვლინდებოდა; არქაულ სამწიგნობრო ენაში – ნათესაობითთან მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელი სახელებია წარმოდგენილი; ბოლოს კი ნათესაობითიანი ვარიანტი სულ დაიკარგა (იხ., აგრეთვე: ტ. ფუტკარაძე 1986:108-109).

ბ. გიგინეიშვილისა და ზ. სარჯველაძის დასკვნით (1978:134), „გრამატიკულ მნიშვნელობათა ის მრავალფეროვნება და მჭიდრო გადახლართვა, რომელიც -ად/-ა/-და აფიქსებთანაა დაკავშირებული ქართველურ ენებში, აგრეთვე შეუძლებლობა იმგვარი განაწილებისა, რომ თითოეულ მათგანს მხოლოდ ერთი ფუნქცია მიეწეროს, გვაგვარაუდებინებს, რომ **მიმართულებითობის, დანიშნულებითობის და გარდაქცევითობის მნიშვნელობანი ერთი ბრუნვის ნიუანსებს წარმოადგენს**. ნიუანსების გამოვლენა დამოკიდებულია ვითარებითი ბრუნვის ამა თუ იმ ალომორფის წარმოდგენაზე სხვადასხვა მორფემულ კონსტრუქციაში. სვანურმა არჩია ნათესაობითის ფორმაზე ვითარებითის -დ ალომორფის დართვა, რითაც შეინარჩუნა მხოლოდ ერთი ფუნქცია – დანიშნულებითისა. ქართულმა და ზანურმა სხვა ალომორფებიც გამოიყენეს და ქართულ-ზანურ ქრონოლოგიურ დონეზე ივარაუდება მიმართულებითისა და დანიშნულებითის დამოუკიდებელი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბება, მაგრამ ქართულ-ზანური ერთიანობის დაშლის პერიოდისთვის შეიმჩნევა ტენდენცია ნანათესაობითარი მიმართულებითის ორგვარი ფუნქციით გამოყენებისა“.

ამ ვრცელ ამონარიდში დაუსაბუთებელია ე.წ. „ქართულ-ზანური ქრონოლოგიური დონის“ ჰიპოთეზა, მაგრამ ფასეულია მოსაზრება, რომ მიმართულებითობის, დანიშნულებითობის და გარდაქცევითობის მნიშვნელობანი ერთი ბრუნვის ნიუანსებს წარმოადგენს; მართლაც, ლოგიკური ჩანს ვივარაუდოთ, რომ საერთო-ქართველურის ადრეულ პერიოდში **ფუძე-ისად** (მეფ-ისად, ჩემ-ად) და **ფუძე-ისა** (მეფ-ისა, ჩემდ[ა]) პარალელური ყალიბები იყო, რომელთაც ფუნქციები მოგვიანებით გაინაწილეს.

შდრ., აგრეთვე: თ. შარაძენიძის დასკვნით, ადგილის გამოხატვა და მიმართულების ფუნქცია ერთმანეთს უკავშირდება: „მიმართულებითობა მომდინარეობს ადგილის გამოხატვიდან; თავის მხრივ, **მიმართულებითობისგანაა განვითარებული: მიღწეულობა, გარდაქცევა, დანიშნულება, მიზანი...**“ (შარაძენიძე 1956: 432-433)²³.

²³ შდრ.: ნ. მარი და ი. ყიფშიძე მეგრულ-ჭანურის ე. წ. მიმართულებით და დანიშნულებით ბრუნვებს მიცემითი ბრუნვის ვარიანტებად თვლიან: მიმართულებითის მიცემით (მიმართულებით) I-ს, ანუ წმინდა მიცემითს უწოდებენ და მის ნიშნად -შა სუფიქსს გამოყოფენ (კოჩ-ი-შ), მეორეს მიცემით (მიმართულებით) II-ს უწოდებენ და ნიშნად -შო(თ) სუფიქსს გამოყოფენ (კოჩ-ი-შო(თ)). დაშორებით ბრუნვას ნათესაობითისაგან მომდინარედ მიიჩნევენ, ნიშნად -ში სუფიქსისა გამოყოფილი. განხილული ფორმები სხვაგვარად არის დახასიათებული არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას გამოკვლევებში. მკვლევართა მტკიცებით, აღნიშნული ბრუნვები ნათესაობითი ბრუნვის დიფერენციაციის შედეგად არის წარმოქმნილი (ჩიქობავა 1936:43-56; თოფურია 1937:179-182). არნ. ჩიქობავამ მიცემით (მიმართულებით) I-ს მიმართულებითი უწოდა, მიცემით (მიმართულებით) II-ს – დანიშნულებითი, ხოლო ნათესაობითს – დაშორებითი და ძირითადი ბრუნვების რიგში განიხილა. ვ. თოფურიამ დიაქრონული თვალსაზრისით ისინი, როგორც ნაწარმოებნი, მეორადნი, ბრუნვებად არ ჩათვალა.

შდრ., ასევე: ა. ლომთაძე თვლის (1987:86), რომ ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმამ (*ფუძე-ის-ადა) დიფერენციაციით მოგვცა ორი ბრუნვა: მიმართულებითი (ფუძე-ისა/-იშა) და დანიშნულებითი (ფუძე-ისად/-იშოთ).

საერთო-ქართველურში ნაგარაუდვეი რთულფორმანტიანი ბრუნვების სხვადასხვა ვარიანტთაგან ზოგი აქტიურად აღარ გამოიყენება, ზოგი კი გაბატონდა რომელიმე ქართველურ ქვესისტემაში; კერძოდ:

არქაულ სამწიგნობრო ქართულში, თუშურში, ფშაურში, ხევსურულსა და ზანურში **დანიშნულებითი ბრუნვის ფუნქციით** დამკვიდრდა **-ისად** (-იშოთ) ფორმანტი²⁴; სვანურში – **-იშ-დ**²⁵; გურულში, იმერულში, ქვემოაჭარულში, ლეჩხუმურში (და ზოგ სხვა დასავლურ კილოში) **-იზა** (< **ისდა**); თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და სხვა კილოებში **-ისთვის/-ისთვის**²⁶.

შდრ.: **მიმართულებითის გამოსახატავად**: არქაულ სამწიგნობრო ქართულში, თუშურში, ფშაურში, ხევსურულსა და ზანურში გვაქვს: **-ისა** (**-იშა**)²⁷; სვანურში - **-თე** (< **დე/და/დ?**)²⁸; ხოლო თანამედროვე ქართულსა და სხვა კილოებში - **-ისკენ**.

შდრ.: არქაულ ქართულში **-ისა/-სა** ფორმანტი დანიშნულებასაც გადმოსცემს: „წარვედით სავაჭროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა (ზეთი)“ (მათე, 25,9)...

შდრ., ასევე: **მიმართულებითი ბრუნვა** მეგრულში აღნიშნავს: მიმართულებას, მდებარეობას, მიზანს, დროს, მრავალგზისობას (სუმიშა ქოთქუ [ხუბ. 32, 24])... დაწვრილებით იხ. ა. ლომთაძე 1987:78-84.

ფორმობრივი ანალიზის თვალსაზრისით სამსჯელოა საერთო-ქართველური *-ისა და *-ისად ფორმანტების ზანური რეფლექსების სხვადასხვაობის საკით-

²⁴ მეგრულის დანიშნულებითის ფორმა ზუსტი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ეკვივალენტია ხევსურული დიალექტის დანიშნულებითი ბრუნვის ფორმებისა: კაც-ის-ად, ძმ-ის-ად, ამხანაგ-ის-ად (ჩიქობავა 1936:52).

²⁵ სვანურში -იშ-დ დაბოლოებით წარმოებული ნანათესაობითარი ვითარებითი, ჩვეულებრივ, გადმოსცემს დანიშნულებითის მნიშვნელობას (მუ-ეშ-დ „მამისთვის“, ლადლ-იშ-დ „დღისთვის“, ქალაქ-იშ-დ „ქალაქისთვის“, გუმ-იშ-დ „გულისთვის“ (თოფურია 1937: 180-181).

²⁶ არქაულ ქართულში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებთან ძირითადია **ჩემ-და** ტიპის ფორმები; ანალოგიით ჩანს წარმოქმნილი **შენდად**: „და ვქმნეთ საძი ტალავარი: ერთი შენდად, ერთი მოსმსად, ერთი ელიამსად“ მრკ. 9,5.

²⁷ სადაც **-ა** ვითარებით-მაცემითის არქაული ნიშანია; შდრ.: ა. ჭინჭარაულის აზრით, მთის დიალექტთა უთანდებულო ფორმები: **მთებისა, გზისა**, რომლებიც ლოკატიური ფუნქციითაა ნახმარი, ფონეტიკურად, მორფოლოგიურად და სემანტიკურად ტოლფასია მეგრ.-ჭანური **-შა/-იშა** სუფიქსიანი სახელებისა. ყველა ამგვარ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან, ბოლოკიდური ა მხოლოდ და მხოლოდ ემფატიკური ხმოვანი შეიძლება იყოს (ჭინჭარაული 1960:15).

²⁸ შდრ., არნ. ჩიქობავა (1956:22), -თე არის მიმართულებითის მაწარმოებელი სუფიქსი.

ნიც. ბ. გიგინიეშვილისა და ზ. სარჯველაძის აზრით, ერთი და იმავე წარმომავლობის *ა ორგვარ რეფლექსს იძლევა: არაბოლოკიდურ პოზიციაში საერთო-ქართველური *ა > ო, აუსლაუტში კი *ა უცვლელი რჩება (1978, 134)²⁹. შევნიშნავთ, რომ ბოლოკიდურ პოზიციაში საერთო-ქართველური *ა ო-ს გვაძლევს; შდრ.: ცხრა > ჩხორო, დაწერა > დოჭარუ... ჩვენი აზრით, საერთო-ქართველური *-ა ზანურში უცვლელი რჩება იმ შემთხვევაში, როცა -ა ალომორფის პარალელურად ჩანს თანხმონიანი ვარიანტიც; შდრ.: მამა – მუმა და მამალი – მუმული; დედა – დიდა და დედალი – დაღული... ვვარაუდობთ, რომ აქ -ა არის -ან/-ალ/-არ სუფიქსების ვარიანტი (შდრ. ფუტკარაძე 2005: 284-285); შესაბამისად, -ის-ად/-ის-ა ვარიანტებიდან ზანურში -ის-ად იძლევა -იშ-ოდ/იშ-ოთ-ს (*ა > ო დახურულ მარცვალში), -ის-ა თავდაპირველი ალომორფის -ა კი უცვლელი რჩება.

აქვე საინტერესოა მეგრული კილოს მიმართულებითი ბრუნვის ნიშნისა (-იშა-/შა) და დაშორებითი (დაწყებითი) ბრუნვის ნიშნის (-იშე/-შე) ფორმანტების მიმართების საკითხი; წინასწარვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, -ე დაბოლოება -ა-ს ფონეტიკური ვარიანტია. ეს ორი ბრუნვა ერთი ფორმიდან მომდინარეობს: ამოსავლია ფუძე-ისა; ასევე: ფუნქციები განაწილებული აქვს ნაცვალსახელური ყალიბის (ჩემ-[ა]დ[ა]) სამ ვარიანტს: ჩქიმდა „ჩემკენ“ – ჩქიმღე „ჩემგან“ და ჩქიმოთ „ჩემთვის“.

შდრ.:

„ლაზურ კილოს ვიწურ-არქაბული კილოკავის არქაბულ თქმაში და ნაწილობრივ ათინურში“ არ ჩანს; მის ნაცვლად დაშორებითი იხმარება (კოჩ-იშე)... ეს უფრო იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ „ჭანურის წიაღში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ამ ორი ბრუნვის დიფერენციაცია“ (ჩიქობავა 1936:48, 61); აქვე (გვ. 74) მკვლევარი ჩქიმ-და ფორმას მიმართულებით ბრუნვად თვლის, ხოლო – ჩქიმ-ღე ყალიბს კი დაშორებით ბრუნვად; არნ. ჩიქობავას -დ(ა) სეგმენტი ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -დ/-ად-ის ალომორფად მიაჩნია (იხ. ზემოთ); -და-ს სახავს ამოსავლად -ღე/-ე სეგმენტებისათვის, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „საკითხი მოგვარებულად ვერ მიიჩნევა“ (ჩიქობავა 1936: 55).

ვ. თოფურიას აზრით, მეგრულ-ჭანური მიმართულებითი (-ისა), დაწყებითი (-იშე) და დანიშნულებითი (-იშოთ) ბრუნვები მეორეულნი არიან და მომდინარეობენ ნათესაობითისგან -და -ღე ნაწილაკებისა და -ოთ (-ად) ბრუნვის ნიშნის დართვით (თოფურია 2002 [1937]:141-144); 5 წლის შემდეგ დაწერილ სტატიაში ვ. თოფურიამ განავითარა არნ. ჩიქობავას მოსაზრება ჩქიმ-და ფორმის -და-ს ვითარებითის დ-სგან მომდინარეობის შესახებ (თოფურია 2002[1942]:461-

²⁹ ავტორები ეყრდნობიან გ. მაჭავარიანისა და გ. კლიმოვის მოსაზრებას.

468). უფრო ადრე გამოითქვა მოსაზრება, რომ -და და -დე თანდებულები არიან (ნ. მარი, ა. შანიძე). ამავე პოზიციას იზიარებდა ი. იმნაიშვილიც, რომელიც თვლიდა, რომ **ჩემ-და-მდე** სახის ფორმაში -და ფუძესთან შეზრდილი თანდებულია, ხოლო **-მდე** უშუალოდ ფუძეს მიერთვის.

საგანგებოდ შეენიშნავთ, რომ, როგორც წესი, ქართულში თანდებული ფუძეს უშუალოდ არ დაერთვის და არც სხვა თანდებულს; შდრ., ა. მარტიროსოვი საგანგებოდ მსჯელობს **ჩემ-და-მდე** ტიპის ფორმების სუფიქსების წარმომავლობის შესახებ და ასკვნის; „ქართული ენის ისტორიამ არ იცის იმის მსგავსი შემთხვევაც კი, რომ რომელსამე თანდებულს სავსებით დაჰკარგოდა მნიშვნელობა, სახელის ფუძეს შეხორცებოდა და მას კვლავ ახალი თანდებული დართოდა“ (მარტიროსოვი 1959:124-128).

ბუნებრივია, თანდებულად ვერ განვიხილავთ ვერც **-დე** სეგმენტს (ჩქიმდე); მით უმეტეს, ვერც **კოჩ-შ+ე** ფორმის **-ე-ს**.

ამირან ლომთაძე საინტერესო მასალას ადასტურებს მეგრულში; მისი ცნობით, ჭანურის მსგავსად, მეგრულშიც დაშორებითის ფორმა გადმოსცემს ორივე ფუნქციას: მიმართულებასაც და დაშორებასაც; მაგ.:

დაშორება: ასე ქუმორთ თე კოჩქ ვანაშე (ხუბ. 259, 90) „ახლა მოვიდა ეს კაცი ყანიდან“; ჭუკიქ გაშერულ ხვირიტეშე (ხუბ. 104, 21) „თავგმა ამოირბინა ხერელიდან“...

მიმართულება: სათურქოშე პიჯი ურთ ნია (ხუბ. 215, 26) „თურქეთისკენ აქვს პირი მიბრუნებულიო“; მარძგვანი განიშე ქურს გამოვო ოთა (ხუბ. 51, 10) „მარჯვენა მხარე (მხრისაკენ) ქუსლს მოვაგდებ“... მეგრულში დაშორებითი ბრუნვა სხვა ფუნქციითაც (შედარება, არჩევითობა, ვითარება...) დასტურდება (ვრცლად იხ. ლომთაძე 1987:94-98); მკვლევარი თვლის, რომ დაშორებითი ბრუნვა ადრე მიმართულებასაც აღნიშნავდა, ამიტომაც ათინურ-არქაბულში გვაქვს „მცირე მასშტაბის ანომალია“ (გვ. 90): დაიკარგა მიმართულებითი ბრუნვა (-იშა). აქვე ა. ლომთაძე მეგრულ-ჭანურის **-და-ს** -ად ბრუნვის ნიშნის ალომორფად განიხილავს, ხოლო **-დე-ს** თანდებულად; ა. ლომთაძეს ამ უკანასკნელის ნაშთად წარმოუდგენია -იშე ფორმანტის **-ე**. ამავე -დე მორფემას ის აიგივებს სვანურ -თე „კენ“ სეგმენტთან (გვ. 91-92).

ჩვენი აზრით, უფრო ლოგიკური იქნება თუ ერთმანეთის არ დავაშორებთ **-იშა**, **-იშე** და **-და**, **-დე** მორფემებს.

ვფიქრობთ, **ჩქიმდა** ისეთივე მიმართებაშია **ჩქიმდე**-სთან, როგორც **კოჩიშა** **კოჩიშე** ფორმასთან; ორივე შემთხვევაში სავარაუდოა, რომ ფონეტიკურმა ვარიანტებმა ამოსავალი ფორმის სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსები გაინაწილეს (დაიშვილდნენ). ზანური ფაქტები იზოლირებული დიალექტური მოვლენა არ არის; შდრ.: „სიო სარკმლით მონაბერი“ და კითხვა: „საით მიდისარ?“; **-ით**

ბრუნვის ნიშანი გამოხატავს როგორც მიმართულებას, ასევე – გამოსვლითობას. ერთი ენობრივი ქვესისტემის/სისტემის ფარგლებში ერთი მორფემის ალომორფებისგან (ფონეტიკური ვარიანტებისგან) დამოუკიდებელი მორფემების წარმოქმნა ყველა ენობრივ სისტემას ახასიათებს.

-იშა > -იშე და -და > -დე ფონეტიკური პროცესების დაშვების შემთხვევაში ასახსნელია ბოლოკიდური ა-ს ე-დ ტრანსფორმაციის მიზეზი.

კვლევის ამ ეტაპზე მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ქართველურ კილოებში (იმერულში, ლეჩხუმურში, თუშურში...) ჩვეულებრივია ბოლოკიდური -ა სეგმენტის ე-დ ქცევა; შდრ.: ემფატიკური -ა > -ე; ძირსა – ძირსე, კაცისკენა > კაცისკენე; სუფიქსისეული -ა > -ე; *ძირა > ძირე; ნაცვალსახელისეული -ა > -ე; შენა > შენე, ჩენა > ჩენე (უცფათა/უცფათე ტიპის მრავალრიცხოვანი მასალისათვის იხ., აგრეთვე, ტ. ფუტკარაძე 1986)... **უფრო ნიშანდობლივია** ის, რომ ქვემოიმერულში არსებობს **-იზე** ალოფონი: **კაციზე** „კაცისთვის“ (ჯორბენაძე, კობაძე, ბერიძე 1988:113-114, 226).

კიდევ ერთი არსებითი კითხვა:

თანამედროვე ქართველურ ქვესისტემებში (სახესახეობებში) საერთო-ქართველური **-ისა, -ისად** ფორმანტებს 10-ზე მეტი ალომორფი თუ მეორეული ვარიანტი უდასტურდება: **-ისა, -სა, -იშა, -შა, -იშე, -იშენ, -ისად, -ისდა, -იზდა, -იზა, -იზან, -ზა (ჩემ-ზა), -იზე, -იმ-დ, -ამდ, -შდ, -იმედ...** -ისთვის, -ითვინ, -თვინ, -ად... ერთი ენობრივი სისტემის თუ მოცემული ქვესისტემის ფარგლებში რამდენ მორფემად შეიძლება განვიხილოთ ისინი?

როგორც წესი, ორი თუ მეტი მორფოლოგიური ელემენტი ერთი მორფემის ალომორფებად მიიჩნევა, თუკი ეს ელემენტები ერთგვარად მიემართებიან შინაარსის სტრუქტურის ერთსა და იმავე წერტილს (მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე 1997:164); შესაბამისად, ქართველური დიალექტების მიხედვით სხვადასხვაგვარად რეალიზებული ალომორფები სინქრონიულ დონეზე ოთხი ბრუნვის ნიშნად (მორფემად) გვევლინებიან; მათგან სამი არის საერთო-ქართველური მოვლენა (ვითარებითი, დანიშნულებითი და მიმართულებითი), ერთი კი დამახასიათებელია ზანური კილოებისათვის³⁰. კერძოდ, სხვა ბრუნვებთან ერთად, საერთო-ქართველურ ენაში აღდგება **ვითარებითი** (ფუძე+დ/ად), **დანიშნულებითი** (ფუძე+ისად/-იშოთ) და **მიმართულებითი** (ფუძე+ა: ფუძე+დ: ფუძე+ისა/-იშა) ბრუნვები; ასევე, ზანურ კილოებში ცალკე ბრუნვად ჩამოყალიბდა **-იშე** ფორმანტით ნაწარმოები **დაშორებითი** (ფუძე+იშე) ბრუნვა.

³⁰ შდრ., ვ. თოფურია, 2002:143-144: „მიმართულებითი, დაწყებითი (დაშორებითი) და დანიშნულებითი სპეციფიკური ბრუნვებია მეგრულ-ჭანურისა. ამიტომ ისინი, როგორც ბრუნვები, ქართულსა და სვანურში არ გვხვდება და ვერც წინარეპართულში ვივარაუდებთ მათ“.

ვითარების, მიმართულებისა და დანიშნულების გამომხატავ ბრუნვის ნიშანთა პარადიგმა ასე გამოიყურება (მასალას წარმოვადგენთ საერთო-ქართველურისა და რამდენიმე თანამედროვე ქართველური ქვესისტემის მიხედვით):

ქართველური იდიომი	ვითარებითი	დანიშნულებითი	მიმართულებითი
საერთო-ქართველური ენა	-დ, -ად/-ათ	-ისად	-ა, -დ, -ისა
არქაული სამწიგ. ქართული	-ად/-ათ ³¹	-ისად	-ა, -დ, -ისა
სვანური	-დ	-იმდ	-თე
მეგრული	-ოთ	-იმოთ	-იმა -იმე
ხევსურული	-ად/-ათ	-ისად	-ისა
თუშური	-ად/-ათ	-ისად	-ისა
ფშაური	-ად/-ათ	-ისად	-ისა
გურული	-ად/-ათ	-იზა	-ისკე, ისკენ
ქართლური	-ად/-ათ	-ისთვინ	-ისკე, ისკენ
თანამედროვე სამწიგ. ქართული	-ად	-ისთვის	-ისკენ

ლიტერატურა

გივინეიშვილი, სარჯველაძე 1978: ბ. გივინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძვ. ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში: მრავალთავი, VI, თბილისი.

თოფურია 1937: ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში: შრომები, ტ. II, თბილისი 2002[1937].

თოფურია 1942: ვ. თოფურია, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში: შრომები, ტ. II, თბილისი 2002[1942].

³¹ ვითარებითის ფორმაში -ათ/-თ იმდენად ხშირად რეალიზდებოდა, რომ ცნობილი ენათმეცნიერი ს. ზუნდაძე მის ნორმად დამკვიდრებას ითხოვდა; ამგვარი მოსაზრების ლოგიკური დასაბუთება შესაძლებელია (მსჯელობისათვის იხ. სალინაძე 1996:33-34).

- იმნაიშვილი 1957:** ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.
- იმნაიშვილი 1971:** ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი.
- კლიმოვი 1962:** Г. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва.
- კლიმოვი 1964:** Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.
- ლომთაძე 1987:** ა. ლომთაძე, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის მეგრულში, თბილისი.
- მარი 1910:** Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, С.-Пб.
- მარი 1925:** Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка.
- მარტიროსოვი 1959:** ა. მარტიროსოვი, ჩემდა, შენდა... ტიპის ნაცვალსახელთა წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, იკე, ტ. XI.
- ონიანი 1989:** ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბილისი.
- სარჯველაძე 1975:** ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი.
- სარჯველაძე 1997:** ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.
- საღინაძე 1996:** რ. საღინაძე, სილოვან ზუნდაძე და სალიტერატურო ქართული, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, ქუთაისი.
- საღინაძე 2008:** რ. საღინაძე, ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები), თბილისი.
- უთურგაიძე 1983:** უთურგაიძე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში; საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი.
- ფუტყარაძე 1986:** ტ. ფუტყარაძე, სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლეთ დიალექტებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
- ყიფშიძე 1914:** И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.П.
- შანიძე 1973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
- შანიძე 1976:** ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.
- შარაძენიძე 1956:** თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი.
- ჩანტლაძე 1998:** ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.
- ჩიქობავა 1936:** არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.
- ჩიქობავა 1956:** არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის ძველ ქართულში; სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი.
- ჭინჭარაული 1960:** ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბილისი.
- ჯორბენაძე 1998:** ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბილისი.

On the Historical Relation of Form-Building Formants

-ისა, -იშა; -იშე, -იშენ; -ისად, ისდა, -იზა, -იზან, -იზე...

(According to Common-Kartvelian and Kartvelian Subsystems)

Summary

The affixes **-დ/-ად, -ისა, -ისად** existing in common-Kartvelian are confirmed in modern Kartvelian dialects by more than ten variants. At the synchronic level they appear as markers of four cases (morpheme); in particular, three of them derive from common-Kartvelian (Adverbial, Intentional and Directional), and one is characteristic of the Zan dialects.

The paradigm of the markers of the Adverbial, Directional and Intentional cases is the following (the material is presented according to common-Kartvelian and several modern Kartvelian subsystems):

Kartvelian Idiom	Adverbial	Intentional	Directional
The Common- Kartvelian Language	-დ, -ად	-ისად	-ა, -დ, -ისა
Archaic Literary Georgian	-ად	-ისად	-ა, -დ, -ისა
Svan	-დ	-იშდ	-თე
Megrel	-ოთ	-იშოთ	-იშა -იშე
Khevsur	-ად/-ათ	-ისად	-ისა
Tush	-ად/-ათ	-ისად	-ისა
Pshavian	-ად/-ათ	-ისად	-ისა
Gurian	-ად/-ათ	-იზა	-ისკე, ისკენ
Kartlian	-ად/-ათ	-ისთვინ	-ისკე, ისკენ
Modern Literary Georgian	-ად	-ისთვის	-ისკენ

III პირის ნაცვალსახელები მებრულში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მებრულში მესამე პირის ნაცვალსახელია **მუ** (<**მუნ**) „ის“ (ქართული **მან** პირის ნაცვალსახელის მორფოლოგიურ-ფონეტიკური შესატყვისი). იქვე მიუთითებენ, რომ **ათენა**, **თენა**, **ეთინა**, **თინა** ჩვენებითი ნაცვალსახელებიც, **მუ-სთან ერთად, ხშირად გამოიყენება III პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობით** (ყოფშიძე 1914:040; ქაჯაია 2001:43; დანელია 2006:121). მეორე მხრივ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ **მუ** (<**მუნ**) ნაცვალსახელი „თითქმის გამოადევა ჩვენებითმა ნაცვალსახელმა, რომელმაც თავად იკისრა III პირის გამოხატვა, რამაც ხელი შეუწყო **მუ** ნაცვალსახელის მნიშვნელობის დავიწროებას და **უკუქცევითობის** სემანტიკით შემოფარგვლას“ (ეზუგბაია 2009). **მუ** ნაცვალსახელის უკუქცევითობა თვალში საცემია შერწყმულ და რთულ წინადადებებში. როცა ეს ნაცვალსახელი შემასმენლების მომდევნოდ ან წინადადების ბოლოში დგას, მაშინვე სუბიექტი [მან] იძენს აქტივობის ნიშანს – სუბიექტის აქტიურობა გულისხმობს, რომ **ის მოქმედებს თვითონ**. პირველი ზმნით გამოხატული მოქმედება გადადის სხვაზე, მეორე მოქმედება კი ორიენტირებულია თავად სუბიექტზე; ხოლო მარტივ კონსტრუქციებში, სადაც წინადადების თავში დგას **მუ/მუქ** ნაცვალსახელი, უკუქცევითობის სემანტიკა დაჩრდილულია და **მუქ** ნაცვალსახელის პირიელობაა წინ წამოწეული (ეზუგბაია 2009).

ი. ყოფშიძე აღნიშნავს, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციით მებრულში დასტურდება **ღუდი** „თავი“ ფორმა (ყოფშიძე 1914:98): **ღუსგ** ვავოძირანქ „თავს არ ვანახებ“, **ღუსგ** ვადირანქ „თავს არ ანახებ“, **ღუსგ** ვადირანს „თავს არ ანახებს“.... *ქართული თავი-ს შესაფერისი უკუქცევითი ნაცვალსახელი სხვა ქართველური ენებისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი არ არის*. ზოგან იგი სპორადულად გვხვდება, მაგრამ ახლად ჩასახული ჩანს ქართულის უშუალო გავლენით და ჯერ კიდევ განვითარების შესაფერისი დონისთვის ვერ მიუღწევია. შდრ.: ქართულშიც **თავი** უკუქცევითი ნაცვალსახელი შედარებით ახალი წარმონაქმნია (მარტიროსოვი 1964:109, 126). მებრულში ქართულის **თავი** ნაცვალსახელის ანალოგიით გაჩენილი **ღუდი** სამივე პირისთვის გამოხატავს უკუქცევითობის სემანტიკას, მაგრამ იშვიათად გამოიყენება. ამასთანავე, მას ხშირად ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელები,¹ რომლებიც ერთგვარად ხელს უწყობ-

¹ ქართულშიც **თავი** ნაცვალსახელს ხშირად ახლავს კუთვნილებითი ნაცვალსახელები (მეტწილად **თავისი**, იშვიათად – **ჩემი**, **შენი**, **ჩვენი**, **თქვენი** და **მათი**), რომლებიც ერთგვარად ხელს უწყობენ ნაცვალსახელის ფუნქციის შესრულებაში და, ამავე დროს, სხვადასხვა პირსა თუ ბრუნებაში მისი გამოყენების მეტ შესაძლებლობას ქმნიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ **თავი** ნაცვალსახელი ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული (მარტიროსოვი 1964:106).

ბენ უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციის შესრულებაში (მარტიროსოვი 1964: 108-109): **ჩქიმ ღუს** მა ქობირგნქე, **სი სკანი ღუსგ** მიკულე „ჩემს თავს მე მივხედავ, შენ შენს თავს მოუარე“; **მუმ ღუსგ** კოჩი ღოლანსგნი, ინა ტერს ვა ალოლენია (ყიფშიძე 1914:046) „კაცი თავის თავს რომ უზამს, იმას მტერი ვერ უზამსო“.

უკუქცევითობის გამოსახატავად მეგრული იშვიათად მიმართავს ქართულიდან შეთვისებულ **თითონ//თვითონ** განსაზღვრებით ნაცვალსახელსაც: **მა თითონ** ქობირგნქე „**მე თვითონ** ვნახავ“; **სი თითონ** ქობირგნქე „**შენ თვითონ** ნახავ“; **მუ თითონ** ქობირგნსე „**ის თვითონ** ნახავს“... **თვითონ** ნაცვალსახელის შემთხვევაში ტერმინი **უკუქცევითი** რამდენადმე პირობითია: შდრ.: უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავი** აღნიშნავს, რომ *პიროვნება მოქმედებს საკუთარ თავზე, მოქმედება მიმართულია თავად მოქმედისკენ*, ხოლო **თვითონ** მიუთითებს, რომ *„პიროვნება მოქმედებს ან მოქმედებას განიცდის უშუალოდ, დამოუკიდებლად, სხვისი დახმარებისა თუ მონაწილეობის გარეშე“* (მარტიროსოვი 1964:77). **თითონ//თვითონ** ნაცვალსახელი მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, სამივე პირისთვის გამოხატავს უკუქცევითობის სემანტიკას, მაგრამ იშვიათად გამოიყენება, ამასთანავე, ძირითადად პირველი და მეორე პირის მიმართ. მესამე პირის უკუქცევითობას, ჩვეულებრივ, **მუ** ნაცვალსახელი აღნიშნავს. ტერმინი **უკუქცევითი** პირობითია **მუ** ნაცვალსახელის შემთხვევაშიც, გამოხატავს, რომ პირი მოქმედებდა სხვაზე, ახლა კი თავად განიცდის მოქმედებას, ან მას ეხება ამ მოქმედების შედეგი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, მესამე პირის ნაცვალსახელთა რეფლექსური ფუნქციით გამოყენება დამახასიათებელია სვანურისა და ლაზურისთვისაც: „ქართული **თვით**, **თვითონ** ტიპის ნაცვალსახელი სხვა ქართველურ ენებში არ მოიპოვება. განსაზღვრებითი ნაცვალსახელის რეფლექსური ფუნქციით ამ ენებში გამოიყენება მესამე პირის ნაცვალსახელი“ (მარტიროსოვი 1964:221). სვანურში უკუქცევითობას გადმოსცემს **ჯი (ჯა, ჯე)**, რომელიც ჩვენებით ნაცვალსახელ **ეჯა**-ს უკავშირდება. იგი სამივე პირს მიმართება და მნიშვნელობით ქართულ **თვითონ**-ს უდრის (მარტიროსოვი 1964:221)²; ჭანურში რეფლექსური ფუნქცია დაკისრებული აქვს III პირის ნაცვალსახელს **მუქ** (რომელიც ამ ფორმით სახელობითშიც იხმარება). იგი თავისი მნიშვნელობით ქართულ **თვითონ**-ს უტოლდება (ჩიქობავა 1936:74, 76). რაც შეეხება მეგრულს, არ. მარტიროსოვის მოსაზრებით, მეგრულში **მუ** პირის ნაცვალსახელის *მოთხრობითი ბრუნვის ფორმა (მუქ) ჩვეულებრივ გამოიყენება რეფლექსური დანიშნულებით: მუქ გეგნოღირთუ ტახტიშე „თვითონ გადადგა ტახტიდან“* (მარტიროსოვი 1964:222).

² **თვითონ**-ის მნიშვნელობით სვანურში გამოიყენება აგრეთვე **მინ**. ამავე დროს, ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე ქართულიდან შემოსული **თვით** და **თვითონ** ნაცვალსახელები (მარტიროსოვი 1964:221).

ვფიქრობთ, დღესდღეობით მეგრულში **მუ** ნაცვალსახელის როგორც მოთხრობითი, ისე სხვა ბრუნვის ფორმებიც მხოლოდ და მხოლოდ რეფლექსური დანიშნულებით გამოიყენება:

სახ. ბრ.: მუაჩქიმი ამსერი ხომ ქიღინჯირუდგ, ფთხილანდით. დუდიში ოცვილარს ირფელს ფჩუანდით. ინა ვარ, **მუ** მიკინწყგნდგ ბარგისგნი, თის ხოლო ფჩუანდით (ნ. ხაზალია) „მამაჩქიმი ამაღამ ხომ დავწებოდა, ვდარაჯობდით. თავის მოსაკლავს ყველაფერს ვმაღავდით. ის კი არა, **თვითონ** რომ გაიხდიდა ტანსაცმელს, იმასაც კი ვმაღავდით“; უკული ათაურე, ჩქინ მხარეშე, გიღვორეთ ჩქი შარასგნი, იშო, **მუნეფი** სოურე გიღვარენანი, თი მხარეშე გეგგნომცუნეს თენემქ (მ. ანთია) „მერე აქეთ, ჩვენს მხარეს, რომ ვდგავართ ჩვენ გზაზე, იქით, **თვითონ** სადაც დგანან, იმ მხარეს გადაგვიყვანეს ამათ“...

მოთხრობ. ბრ.: მის უჩქედ, თესგ ფარა ენუბუღუნე, მარა უკული **მუქ** გამხილგ თექ (ნ. შენგელია) „ვინ იცოდა, ამას ფული რომ ეღო, მაგრამ მერე **თვითონ** გაამხილა ამან“; ჭიჭე მაშნაქე მოღვართგ დო თენეფი ალბათგ პარტიზანებო მიოჩქედეს თენენსგ [აფხაზენს], აახალო, ათაქ წოხლე ქაწომრინუესგ ჩქი დო **მუნემქ** უკახლე ქუმკომღირთესგ ჩქი (მ. ანთია) „პატარა მანქანა წამოვიდა და ესენი ალბათ პარტიზანები ეგონათ ამათ [აფხაზებს], ჰოდა, აქ წინ დავგაყენეს ჩვენ და **თვითონ** უკან მოგვიდგნენ ჩვენ“...

მიც. ბრ.: მეტი ოქრო ვაიღუნიაო, უწუუ თურმე, ნოტე **მუსგ** ინუსორგუღუკო ლაგვანსგნი, თეში (დ. ჩიქოვანი) „მეტი ოქრო არა გაქვსო, ჰკითხა თურმე, თითქოს **თვითონ** ბევრი ეყარა ქვევრში“; ქიგემორინეს აფხაზემქე შარას. გიღვორეთგ თაქგ. მოღურსგ მაშნანი, **მუნემს** ხოლო ოშკურგნა თე მაშნაშა, მარა მუნეფიში მაშნა რე ქომირგნანი, მუთუნი ვარ (მ. ანთია) „დაგვაყენეს აფხაზებმა გზაზე. ვდგავართ გზაზე. რომ წამოვა მანქანა, **თვითონაც** ემინიათ ამ მანქანის, მაგრამ, რომ ნახავენ, თავიანთი მანქანაა, არაფერი“...

როგორც ვხედავთ, მოყვანილი მაგალითების მიხედვით, **მუ** სემანტიკურად ახლოს დგას ქართულის **თვითონ** განსაზღვრებით ნაცვალსახელთან (შდრ.: რუს. **сам**, ინგლ. **self**); **მუ** არის არა უბრალოდ III პირის ნაცვალსახელი, არამედ III პირის უკუქცევითი ნაცვალსახელი, არა „ის“, არამედ „**თვითონ**, **თვითონ ის**“; მაგრამ ეს ძირითადად ეხება **მუ** ნაცვალსახელის **სახელობით**, **მოთხრობით** და **მიცემით** ბრუნვებს (**მუ** „თვითონ ის“, **მუნეფი**-ი „თვითონ ისინი“; **მუ**-ქ „თვითონ მან“, **მუნემ**-ქ „თვითონ მათ“; **მუ**-ს „თვითონ მას“, **მუნემ**-ს „თვითონ მათ“), ანუ როდესაც **მუ**-ს თანდებული არ დაერთვის და, ამასთანავე, აღნიშნავს ზმნასთან შეწყობილ პირს, ჩვეულებრივ, სუბიექტს ან ირიბ ობიექტს. ასეთ შემთხვევებში მეგრულის **მუ** და **თინა** (ეთინა//ინა, ათენა//თენა//ენა) ნაცვალსახელებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც ქართულის **თვითონ** და **ის** (ეს//ეგ//იგი) ნაცვალსახელებს შორის: **მუ** ჭუმე მოურს „**თვითონ** ზვალ მოდის“; შდრ.: **თინა** ჭუმე მოურს „**ის** ზვალ მოდის“. **მუ**-ს, ისევე როგორც **თვითონ** ნაცვალსახელს, მეტი განსაზღვრულობა აქვს. ის ხაზს უსვამს, რომ მოქმედების განმცდელი თავად მოქმედია, ხოლო **თინა** მიგვითითებს, რომ მოქმედებს ან

მოქმედების განმცდელია არა ის თვითონ, არამედ ის სხვა, ვიღაც სხვა. მაგ.: ოჯიშის გემორღვაფილი გაფუდა, პატენეფი ლახალას სი ქილოიტენსგ, მუშენდა მუსგ ვეცილასგნი, მუს ვეცილას მუში ნამუდერქენი (ნ. ხაზალია) „ზურგზე გამონაყარი თუ გაქვს, ბატონები ავადმყოფობას შენ დაგიტოვებს, რომ თვითონ მას (თვითონვე) არ ავნოს, თვითონ არ ავნოს თავისმა ნაქმნარმა“; შდრ.: ოჯიშის გემორღვაფილი გაფუდა, პატენეფი ლახალას სი ქილოიტენსგ, მუშენდა ეთის (//თის//ის, ათეს//თეს//ეს) ვეცილასგნი... „ზურგზე გამონაყარი თუ გაქვს, ბატონები ავადმყოფობას შენ დაგიტოვებს, რომ იმას(//მას//ამას) არ ავნოს... ე. ი. პირველი წინადადების მიხედვით, თუკი ბატონები ავადმყოფობას არ დაგიტოვებს, თვითონვე დაზიანდება, ხოლო მეორე წინადადების მიხედვით – სხვა.

რაც შეეხება დანარჩენ ბრუნვებს, მუ დასტურდება ნათესაობითსა (ოლონდ, მხოლოდ ამა თუ იმ თანდებულთ) და მასზე დაყრდნობით შექმნილ სპეციფიკურ ბრუნვებში, კერძოდ, დანიშნულებითში, მიმართულებითსა და დაშორებითში. აქ მუ მეტ სემანტიკურ სიახლოვეს ავლენს ქართულის თავი (რუს. **цель**) პირის უკუქცევით ნაცვალსახელთან: მუწკმა ქვდანჯირუ „თავისთან დააწვინა“ (შდრ.: თიწკმა ქვდანჯირუ „იმასთან დააწვინა“); მუჯგურას გორგენს „თავისნაირს ეძებს“ (შდრ.: თიჯგურას გორგენს „იმისნაირს ეძებს“); მუშით გიმირინუანს „თავისთვის გამოიყენებს“ (შდრ.: თიშით გიმირინუანს „იმისთვის გამოიყენებს“); მუშა იჭანუანს „თავისთან იხმობს“ (შდრ.: თიშა იჭანუანს „იმასთან იხმობს“); მუშე ქიდიჭყ გინოთვალუა „თავისგან დაიწყო გადათვლა“ (შდრ.: თიშე ქიდიჭყ გინოთვალუა „იმისგან დაიწყო გადათვლა“)... მოქმედებითი ბრუნვის ფორმა მუ ნაცვალსახელს არა აქვს, მაგრამ ამ ფუნქციას ნანათესაობითარი მუშით ფორმა ასრულებს³ და ისიც ავლენს გარკვეულ სემანტიკურ სიახლოვეს თავი ნაცვალსახელთან: მუშით ქიმეხვადგ „თვითონ, თავისით მიხვდა“, მუშით იგურუანს „თვითონ, თავისით ისწავლის“.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა მუ ნაცვალსახელისგან ნაწარმოები კუთვნილებითი ნაცვალსახელიც: მუში „თავისი“ (<მუ ნაცვალსახელის ნათ. ბრუნვის ფორმისგან); შდრ.: ათენა//თენა//ენა, ეთინა//თინა//ინა ნაცვალსახელთაგან ნაწარმოები კუთვნილებითი ნაცვალსახელები – ათეში//თეში//ეში, ეთიში//თიში//იში „ამისი, იმისი, მისი“.

ქართულის თავისი (<თავი) კუთვნილებით ნაცვალსახელს რეფლექსური მნიშვნელობა აქვს. მისი მორფოლოგიურ-ფონეტიკური შესატყვისი მეგრულმა არ იცის. ამ ფუნქციით იხმარება მუში (მრ. მუნეფიში) (მარტიროსოვი 1964:124). მუში და თეში (ათეში//ეში; ეთიში//თიში//იში) ნაცვალსახელთა შორის განსხვავებაა: ორივე აღნიშნავს საგნის მიკუთვნებას მფლობელისადმი, მაგრამ პირველში (მუში) მეტყველი, როგორც საორიენტაციო პუნქტი, არა ჩანს, მეტყველება მფლობელის თვალსაზრისით აშუქებს სინამდვილეს, ხოლო მეორეში (თეში, თი-

³ მუ ნაცვალსახელის ვითარებითი ან ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმები ჩვენ მიერ შესწავლილი მასალის მიხედვით არ დასტურდება.

ში...) საორიენტაციო პუნქტი მეტყველია. ამ პუნქტიდან მფლობელი აღინიშნება მესამე პირის ნაცვალსახელით (**თენა**); საგნის მიკუთვნება ამ თვალსაზრისით ხდება (მარტიროსოვი 1964:125):

ბადიდიქ მოლევონ **მუში** სქუა (ყოფშიძე 1914:10) „ბერიკაცმა წამოიყვანა **თავისი** შვილი“; მეწამალებქ **მუში** ჩილი მეჩხომეს ქიმეჩგ (იქვე, 11) „მეწამლემ **თავისი** ცოლი მეთევზეს მისცა“; ჩქიმ მუმა რდგ მანგარი ძლიერი კოჩი დო ძლიერი კოჩი ბოლოშა მიცონანს **მუში** ცხოვრებას (დ. ჩიქოვანი) „ჩემი მამა იყო ძლიერი კაცი და ძლიერი კაცი ბოლომდე მიიყვანს **თავის** ცხოვრებას“; ჩქინწყკ-მა წესი თენერი რენია, ძლაბიქე ოკო აცილასია **მუში** საქომონჯოვა (მ. ანთია) „ჩვენთან წესი ასეთი არისო, გოგომ უნდა გააცილოს **თავისი** საქმროო“. ჩქიმ ჯიმას **მუში** ოსურქე ენუნწყუუ ბარგი დო **მუში** ძრაბიქე (ა. ტუფური) „ჩემს ძმას **თავისმა** ცოლმა ჩაულაგა ტანსაცმელი და **თავისმა** შვილმა“; ჭიჭე ხანიში უკული **მუში** თიშა გუუტუ (ყოფშიძე 1914:7) „ცოტა ხნის შემდეგ **თავის** სახლში გაუმვა“; მიდართე **მუში** შარაშა (იქვე, 10) „წავიდა **თავის** გზაზე“; მუჟამს **მუნეფიში** სოფელი დუულარიბებუნანი, უკული შხვადო დუუჭყაფუნა ხირუა (იქვე, 12) „როცა **თავიანთი** სოფელი გაულარიბებიათ, მერე სხვაგან დაუწყიათ მოპარვა“; ბიძისკუალეფი რენი, ბაბუში გამნარყი რენო თენა, უძრავლესობას **მუნეფიში** სასაფლაო ულუ (მ. ანთია) „ბიძაშვილები რომ არიან, ბაბუის შთამომავლობა, უძრავლესობას **თავიანთი** სასაფლაო აქვს; ჯვეშო არძას ცუდეს ნოღე **მუშუში** სასაფლაო დო **მუშუში** სამზარეულო (მ. ანთია) „ძველად ყველას სახლში ჰქონია **თავ-თავისი** სასაფლაო და **თავ-თავისი** სამზარეულო“; ჩხუპიმ დროს თამ ვაჭირდგ, ქობალი ორდგ ტალონით, ირფელი **მუშუში** დროსგ, ფცხოვრენდით კანონით (ბ. ჯალაღონია) „ომის დროს ასე არ ჭირდა, პური იყო ტალონით, ყველაფერი [გვქონდა] **თავ-თავის** დროს, ვცხოვრობდით კანონით“; ირკოჩქე ქიდიტუ **მუშიანქენი** დო ქინოსკიდგ უჩინებუ კათაწყკმანი, ბაბუქ ქემნასხაპუ ცხენს დო თენენს ქეითხოზ (დ. ჩიქოვანი) „ყველამ რომ დატოვა **თავისიანმა** და რომ დარჩა უცნობ ხალხთან, ბაბუა შემოახტა ცხენს და ამათ გამოეკიდა“...

შდრ.: ოცვილარს ცვილენანი, ეთიში ტყეებისგ გოფაჩენა დო ბოჭოკეფს თისგ ქიმშაკირანა დო სტოლიში თულო მუთოდვანა (ნ. ხაზალია) „საკლავს რომ დაკლავენ, **იმის** ტყავს გაშლიან და ფეხებს შიგ გაახვევენ და მაგიდის ქვეშ დადებენ“; **თიში** წამალი ქიქანას მუთუნი ვეცუაფუ (იქვე, 6) „**მისი** წამალი ქვეყნად არაფერი იქნება“; ხენწიფეს ქემეულეს **ათეში** ნარაგადი სიტყვა (იქვე, 6) „ხელმწიფეს მიუტანეს **ამისი** ნათქვამი სიტყვა“⁴...

მაშასადამე, როდესაც **მუ** ნაცვალსახელი **სახელობით**, **მოთხრობით** და **მიცემით** ბრუნვებში დვას, ანუ უთანდებულოა და ზმნასთან შეწყობილ პირს აღ-

⁴ უიშვიათესია **მუში** „თავისი“ და **თიში//თეში** „მისი“, „ამისი“ ნაცვალსახელთა აღრევის შემთხვევები: ორჯვინესგ ნდისგ დო **მუში** მაქალეფცგ (ყოფშიძე 1914:17) „აჯობეს დევსა და თავის მეგობრებს“, უნდა იყოს **თიში** მაქალეფცგ „მის მეგობრებს“. ამგვარი აღრევა დამახასიათებელია ქართული მეტყველებისთვისაც.

ნიშნავს, თვითონ განსაზღვრებით ნაცვალსახელთან ავლენს სემანტიკურ სიახლოვეს, ხოლო ნათესაობითა და დანიშნულებით, მიმართულებით, დაშორებით ბრუნვებში ნაწილობრივ ფარავს თავი ნაცვალსახელის სემანტიკას; სრულად კი ამ ფუნქციას თავი ნაცვალსახელის ანალოგიით გაჩენილი დუდი ფორმა ასრულებს. მიუხედავად ამისა, თავისი უკუქცევითი კუთვნილებითი ნაცვალსახელის სემანტიკის გადმოსაცემად ენამ მუ (და არა დუდი) ნაცვალსახელს მიმართა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის (მუ-ს) რეფლექსურ ბუნებაზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მუ არასდროს აღნიშნავს უსულო საგანს, ყოველთვის სულიერი საგნის აღმნიშვნელია (როგორც ეს უკუქცევით ნაცვალსახელებს ახასიათებს ზოგადად. შდრ.: ქართ. უკუქცევითი თავი, განსაზღვრებითი თვითონ). უსულო საგანთა გასულიერების, გაპიროვნების შემთხვევები, თავისთავად ცხადია, არ ეწინააღმდეგება გამოთქმულ მოსაზრებას. შდრ.: ეთინა//თინა//ინა, ათენა//თენა//ენა თანაბრად აღნიშნავენ როგორც სულიერ, ისე უსულო საგნებს:

მუქ ათენა ქოთქუ ღო უძირაფუო გორთე (ყიფშიძე 1914:11) „თვითონ ეს თქვა და უნახავად (უჩინარად) გადაიქცა“; მუაჩქიმი მილაჯანე ცალკე კარესე, გეუდგე თაურე ბოსელი ღო მილაჯანე მუ ცალკე (დ. ჩიქოვანი) „მამაჩემი წვეს ცალკე კარავში, ბოსელი აქეთ უდგას და თვითონ ცალკე წვეს“. ვაგაიგონებუნო, კოჩი მუში დუდის, ცოცხალი რენი თეში, მუ ინგარსენი? (ნ. ხაზალია) „არ გსმენია, რომ კაცი თავის თავს, ცოცხალი რომ არის ისე, თვითონ ტირის?“... შდრ.: ათენა ზალასე ოკო დგედასე, თე სტოლი (ნ. ხაზალია) „ეს დარბაზში უნდა იდგეს, ეს მაგიდა“; თენა მაფუ მა გენაგონა (მ. ანთია) „ეს მაქვს მე მოსმენილი“; თინა გოხოლე ჭენიშე ფაცხა (ი. აკობია) „ის გახლავთ წნელის ფაცხა“... ვაქიმინესე ენა თენენქე (მ. ანთია) „არ ქნეს ეს ამათ“...

მუ ნაცვალსახელის უკუქცევითობა თვალსაჩინოა არა მხოლოდ შერწყმულ და რთულ, არამედ მარტივ წინადადებაშიც. როდესაც მუ მარტივი წინადადების წვევია (და ასეთი შემთხვევა იშვიათია), უშუალოდ წინა წინადადებით ან მთელი კონტექსტით იგულისხმება, რომ ამ ნაცვალსახელით აღნიშნული პირის მოქმედება გადადიოდა სხვაზე, ამჯერად კი თავად არის მოქმედების განმცდელი, ან თვითონ მას ეხება ამ მოქმედების შედეგი.

დაბოლოს, ქართულის თავი, თვითონ და მეგრულის დუდი ნაცვალსახელებისგან განსხვავებით, მუ მხოლოდ მესამე პირს მიემართება: მუ მუს ორთე? „თვითონ ის რას შვრება?“, მუქ ძირე „თვითონ მან ნახა“, მუს ოკო „თვითონ მას უნდა“, რაც განპირობებულია იმით, რომ მუ წარმომავლობით მესამე პირის ნაცვალსახელია („მან“) და უკუქცევითობის სემანტიკა მისთვის მეორეულია (შდრ. ქართ.: თავი < არს. სახ. თავი; თვითონ < თვითვან < თვით (თავი სიტყვის მოქმ. ბრ.) + მან, შანიძე 1953:43).

რაც შეეხება ათენა//თენა, ეთინა//თინა ფორმებს, მათ ვრცლად განიხილავენ როგორც ჩვენებით ნაცვალსახელებს, მათი ბრუნების პარადიგმაც, როგორც წესი, მოჰყავთ ჩვენებით ნაცვალსახელებთან და განასხვავებენ შემთხვევებს, როდესაც ჩვენებითი ნაცვალსახელი გამოიყენება დამოუკიდებლად და განსა-

ზღვრებად: „**თინა, ინა, თენა, ენა** გამოიყენებიან დამოუკიდებლად III პირის ნაცვალსახელთა ფუნქციით და იბრუნვიან საერთო წესის მიხედვით, ხოლო **თე, ე** ფორმები გამოიყენება როგორც განსაზღვრებები. ისინი ყოველთვის უსწრებენ საზღვრულს, ამიტომაც არ იცვლებიან არც ბრუნვისა და არც რიცხვის მიხედვით. ამავე მნიშვნელობით გამოიყენება **თი, ი** ფორმებიც“ (ყიფშიძე 1914:042). „ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნვის საერთო სქემის მიხედვით, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც, გამოიყენება დამოუკიდებლად, ამასთანავე, მხოლოდ ბითი რიცხვის ირიბი ბრუნვები იწარმოება როგორც სრული, ისე ბოლომოკვეცილი ფორმებისგან – **თენა-ქ, ენა-ქ თე-ქ, ე-ქ, თინა-ქ, ინა-ქ, თი-ქ, იქ** (იქვე, 043). „**თე, ე და თი, ი** მეგრულში უფრო იხმარება განსაზღვრებად (ზედსართავის სახელში): **თე (ე) ოსური „ეს ქალი“, თი (ი) ოსური „ის ქალი“**. ხოლო **თინა/ინა და თენა/ენა** დამოუკიდებლად იხმარება III პირის ნაცვალსახელების როლში: **თინა რაგადანს, ჭარუნს „ის ლაპარაკობს, წერს“** (დანელია 2006:122). მაშასადამე, დამოწმებული წყაროების მიხედვით, **ათენა//თენა, ეთინა//თინა** ჩვენებითი ნაცვალსახელებია, რომლებიც პირის ნაცვალსახელთა ფუნქციასაც ასრულებენ, მათ გასარჩევად კონტექსტს უნდა მივმართოთ: როცა გამოიყენებიან დამოუკიდებლად, ანუ სინტაქსურ წყვილს ქმნიან ზმნასთან, პირის ნაცვალსახელებია (**თენა** მოურს „ეს მოდის“), ხოლო, როდესაც სინტაქსურ წყვილს ქმნიან სახელთან, – ჩვენებითი (**თე** კოჩი მოურს „ეს კაცი მოდის“).

ათენა//თენა, ეთინა//თინა ნაცვალსახელები დასტურდება ორგვარი – როგორც სრული, ისე ფონეტიკურად სახეცვლილი – ფორმით: ა) სრული: **თენა** („ეს, ეგ“), **თინა** („იგი“); ბ) მარტივი (მოკვეცილი): **ენა/თე/ე** (<თენა); **ინა/თი/ი** (<თინა) (დანელია 2006:122). „კვეცა ზდება ხან სიტყვის თავში (**ენა, ინა**), ხან კი ბოლოში (**ათე, თე, ეთი, თი**), ხან ორივეგან ერთდროულად (**ე, ი**)“ (ყიფშიძე 1914:042).

ენამ მოცემულ ნაცვალსახელთა სრულ და ფონეტიკურად სახეცვლილ ვარიანტებს თავ-თავიანთი, მკვეთრად გამიჯნული ფუნქცია მიანიჭა. სრული **ათენა //თენა, ეთინა//თინა**, აგრეთვე მოკვეცილი **ენა** და **ინა** ფორმები არსად გვხვდება ჩვენებით ნაცვალსახელის ფუნქციით. ისინი **ყოველთვის პირის ნაცვალსახელებია:**

ათენა რე ჩქიმი სქუა (ყიფშიძე 1914:10) „ეს არის ჩემი შვილი“; მუჭოთი ქიგეგონეს **თენა** სქუალენქ ნი... (იქვე, 7) „როგორც კი გაიგეს **ეს** შვილებმა...“; **ენა** ქოგმუუცხადეს ჟირხოლო აფხანაკებს (იქვე, 5) „**ეს** გამოუცხადეს ორივე ამხანაგებს“; კოჩი მა ვარი, **თინა** რე... (იქვე, 15) „კაცი მე კი არა, ის არის“; **ინა** თეში გაკვირვებული რდგ, ნამუდა ოჭკომალქგ ვა აჭკომუ (იქვე, 22) „ის ისე გაკვირვებული იყო, რომ საჭმელი ვერ ჭამა“...

მეორე მხრივ, **ათე, თე, ეთი, თი, ე და ი** ვარიანტები არსად დასტურდება როგორც პირის ნაცვალსახელები. ისინი **ყოველთვის ჩვენებითი ნაცვალსახელებია:**

ათე ართი აფხანაკიქი მაჟირა აფხანაკის უწუუ (ყიფშიძე 1914:3) „ამ ერთმა ამხანაგმა მეორე ამხანაგს უთხრა...“; მუში თიმა ქემორთ **თე** კორქგ (იქვე,

12) „თავის სახლში მოვიდა ეს კაცი“; მეჩხომეს შეეცოდე ე ჩხომქ (იქვე, 11) „მეთევზეს შეეცოდა ეს თევზი“; თი წაგებული აფხანაკიქ ხოლო ღორონს შევერდუ (იქვე, 5) „ის წაგებული ამხანავი ისევ ღმერთს შევევლრა“; ი კონქჯ გვალას გეშაჩოლუ გუდა (იქვე, 21) „იმ კაცმა მთლიანად ამოცალა გუდა“...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღესდღეობით III პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა გარჩევა შესაძლებელია კონტექსტის გარეშე. სინქრონიულ დონეზე, ფორმის თვალსაზრისით, დამთხვევა არ ხდება არა მხოლოდ სახელობით ბრუნვაში, სადაც პირის ნაცვალსახელები სრული (ფონეტიკურად უცვლელი) სახით დასტურდება, არამედ ირიბ (მოთხრობითსა და მომდევნო) ბრუნვებშიც, სადაც პარალელურად გვხვდება III პირის ნაცვალსახელთა როგორც სრული, ისე ფონეტიკურად შეცვლილი ფორმები: ათენაქ//ათექ, თენაქ//თექ, ეთინაქ//ეთიქ, თინაქ//თიქ, ენაქ//ექ, ინაქ//იქ (მეგრულში უფრო გავრცელებულია გამარტივებული ფორმები). ირიბ ბრუნვებში პირის ნაცვალსახელები დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს (თე-ქ, თე-ს; ე-ქ, ე-ს; თი-ქ, თი-ს; ი-ქ, ი-ს), ხოლო ჩვენებითი ნაცვალსახელები (თე/ე, თი/ი) არასოდეს გვხვდება დამოუკიდებლად. ისინი გამოიყენებიან როგორც მსაზღვრელები, ყოველთვის უსწრებენ საზღვრულს და არ იცვლებიან არც ბრუნვის და არც რიცხვის მიხედვით (თე კონი „ეს კაცი“, თე კონქ „ამ კაცმა“... თე კონეფი „ეს კაცები“, თე კონეფქ „ამ კაცებმა“).

აქედან გამომდინარე, სინქრონიულ დონეზე ათე//თე/ე, ეთი//თი/ი უნდა განვიხილოთ როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელები, ხოლო ათენა//თენა//ენა (მრ.რ. ათენეფი//თენეფი//ენეფი) და ეთინა//თინა//ინა (მრ.რ. ეთინეფი//თინეფი//ინეფი) როგორც პირის ნაცვალსახელები (რომლებიც წარმომავლობით ჩვენებითი ნაცვალსახელებია) და არა ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში პირის ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებენ.

ბრუნების პარადიგმა:

პირის ნაცვალსახელები:

მს. რ.:

ათენა//თენა//ენა; ეთინა//თინა//ინა

სახ.	ათენა	თენა	ენა	აი ეს, ეს
მოთხ.	ათენა-ქ//ათე-ქ	თენა-ქ//თე-ქ	ენა-ქ//ე-ქ	აი ამან, ამან
მიც.	ათენა-ს//ათე-ს	თენა-ს//თე-ს	ენა-ს//ე-ს	აი ამას, ამას
ნათ.	ათენა-ში//ათე-ში	თენა-ში//თე-ში	ენა-ში//ე-ში	აი ამის, ამის
მოქმ.	ათენა-თი//ათე-თი	თენა-თი//თე-თი	ენა-თი//ე-თი	აი ამით, ამით
ვით.	ათენა-თ//ათე-თ	თენა-თ//თე-თ	ენა-თ//ე-თ	აი ამაღ, ამაღ
აღხემართა: აღმართება (1) ქრისტ. V,15: 16rb,15; **აღხესროვლა:** აღსრულება (3) ლუკ. 4,21: 40rb,15; იაკ.პირვ. XIII,1: 83vb,5; კვპრ.იუსტ. III,6: 103rb,12; **აღხესროვლების:** აღსრულება (1) კვპრ.იუსტ. III,6: 100va,19; **აღხესროვლენს:** აღსრულება (1) I ესდრ. 1,53 (56): 87Bra,17; **აღხესროვლოს:** აღსრულება (1) I ესდრ. 2,1: 82vb,4;* ***გამოხეცხადა:** გამოცხადება (1) იაკ.პირვ. XIV,2: 86rb,10;* ***განხელო:** განღება (1) იაკ.პირვ. IX,2: 36vb,19; **განხეშოვრა:** განშოვრება (1) ლუკ. 4,13: 46ra,5; **გოვლს-ხეტყოდა:** გულის-სიტყუა (1) კვპრ.იუსტ. I,12: 99ra,1; ***დახემარხნეს:** დამარხვა (2) ლუკ. 2,19: 8rb,13;* 51: 45ra,1; **დახემორჩილებოდეს:** დამორჩილება (1) კვპრ.იუსტ. III,1: 99va,8;* **დახემორჩილენს:** დამორჩილება (1) კვპრ.იუსტ. III,5: 98va,6;* **დახემტვიცოს:** დამტვიცება (2) II შჯ. 19,15: 60r,3; 10; **დახესროვლების:** დასრულება (1) მარკ. 9,48: 27vb,12;* **დახეშწნა:** დაშწნება (1) მსაჯ. 1,33: 78rb,8; **დახეშწნეთ:** დაშწნება (1) [ბრძან.] II შჯ. 19,1: 56av,10; **დახეცა:** დაცემა (1) ქრისტ. III,10: A139r,11; **თანა-შეხემალენს:** თანაშემღება* (1) I ესდრ. 9,14: 57ra,6; ***მიხეახლა:** მიახლება (1) კვპრ.იუსტ. III,4: 93vb,5; **მიხერეს:** მირევა* (1) ქრისტ. V,15: 16vb,14; **მიხერდა:** მირძოლა (1) კვპრ.იუსტ. III,5: 98rb,7;* **მიხეცა:** მიცემა (1) კვპრ.იუსტ. I,12: 102va,11;* ***მიხეცემის:** მიცემა (1) მათ. 26,45: 44vb,4; **მო-ვინმე-ხეგებოდა:** მოგებება (1) ლუკ. 8,27: 32vb,17; **მოხელოდა:** მოლოდება (1) ქრისტ. II,5: A140v,14; **მოხეცა:** მოცემა (1) კვპრ.იუსტ. III,6: 103vb,4; **მოხეცენა:** მოცენება (1) იაკ.პირვ. X,1: 36rb,12;* **შეხემოსა:** შემოსა (1) ლუკ. 8,27: 39va,4; **შეხერთოს:** შერთვა (1) მარკ. 10,12: 33vb,20; **შეხესმა:** შესმენა (1) ქრისტ. V,15: 9vb,10; **შეხეყენით:** შეყოფა (1) [ბრძან.] II შჯ. 13,5 (4): 74r,11; **შეხეყოს:** შეყოფა (1) მარკ. 10,7: 33va,15; ***შეხეშინა:** შეშინება (5) ლუკ. 8,25: 39rb,2; იაკ.პირვ. IX,3: 35va,4;* XII,3: 83rb,14; XIV,1: 86ra,16; კვპრ.იუსტ. III,3: 93ra,10; **შეხეშინის:** შეშინება (1) ქრისტ. II,7: 70va,10;* **შეხეწია:** შეწევნა (1) ქრისტ. II,6: 21ra,8; ***შეხეწიე:** შეწევნა (1) [ბრძან.] ქრისტ. IV,12: 30vb,20;* **შეხეხების:** შეხება (1) ლუკ. 7,39: 42rb,18;* ***შეხეხო:** შეხება (1) კვპრ.იუსტ. III,4: 93va,12; **წარხემატებოდა:** წარმატება (1) ლუკ. 2,52: 45ra,6; ***ხეგონა:** გონება (1) ქრისტ. II,7: 63vb,22; ***ხეგოვლებოდა:** გულება (2) კვპრ.იუსტ. III,6: 103ra,2; ქრისტ. I,1: 25ra,5; **ხედგა:** დგომა (1) ქრისტ. VI,16: 16rb,20; **ხესავს:** ესავ-ს (1) ქრისტ. I,1: 25va,6;* **ხესვენ:** ესავ-ს (1) მარკ. 10,24: 34rb,12; **ხევედრა:** ვედრება (1) კვპრ.იუსტ. III,6: 103ra,10; **ხევედრებიდ:** ვედრება (1) ქრისტ. I,1: 31vb,22; ***ხევედრებოდა:** ვედრება (3) მარკ. 10,17: 37ra,3; ლუკ. 7,36: 43rb,8; კვპრ.იუსტ. I,12: 101rb,13; **ხენება:** ნება (1) ქრისტ. II,6: 21va,5;* **ხეოვფლა:** უფლება (1) კვპრ.იუსტ. III,4: 94rb,15; **ხერიდოს:** რიდება (1) II შჯ. 19,21: 60v,14; ***ხერქოვა:** რქემა (9) კვპრ.იუსტ. III,1: 95vb,21;* 5: 105va,15; 6: 100va,15; 103va,9;* ქრისტ. I,1: 25ra,1; 8; III,11: A137r,20; 26ra,1; VIII,20: 10rb,1; **ხერჩიან:** რჩოლა (1) ლუკ. 8,25: 39rb,9; ***ხეტყოდა:** სიტყუა (3) მარკ. 10,17: 37ra,4; ქრისტ. III,9: 19ra,14; 11: A136v,1; ***ხეტყოდეს:** სიტყუა (1) ლუკ. 8,24: 39ra,5;* ***ხესმა:** სმენა (12) ლუკ. 7,37: 43va,2; იაკ.პირვ. XI,2: 68va,7; XII,2: 83ra,5; 16; კვპრ.იუსტ. III,1: 104rb,15; 4: 93ra,12;

93va,6; 6: 100vb,22; ქრისტ. III,11: A138v,15; VII,17: 18va,3; 19: 23rb,22; VIII,20: 10rb,10; ***ხესმეს:** სმენა (2) II შჯ. 19,20: 60v,10; ქრისტ. III,12: 30va,19; **ხესოვა:** სუმბა (1) ქრისტ. I,1: 31va,17; ***ხესხნეს:** სხმა (2) I ესდრ. 9,18: 57rb,16; * კვპრ.იუსტ. III,6: 100vb,19; **ხეტრფიალა:** ტრფიალება (1) კვპრ.იუსტ. III,1: 95vb,22; **ხექმნა:** ქმნა (1) კვპრ.იუსტ. I,12: 101ra,22; * **ხექმნენ:** ქმნა (1) ქრისტ. VIII,20: 10vb,6; ***ხექმნნეს:** ქმნა (1) კვპრ.იუსტ. I,12: 99ra,7; ***ხეშინოდა:** შინება (1) მარკ. 10,32: 28arb,11; **ხეშინოდის:** შინება (2) II შჯ. 19,20: 60v,11; ქრისტ. II,7: 21vb,11; **ხემევე:** შობა (1) ქრისტ. II,7: 70ra,12; * **ხეწოდა:** წოდება (1) ლუკ. 2,21: 8va,17; * ***ხეწოდოს:** წოდება (1) იაკ.პირვ. XI,3: 68vb,2; ***ველ-ხეწიფების:** ველ-წიფება (2) მარკ. 10,26: 28ra,10; ქრისტ. VIII,20: 15ra,18; * **ჯოვარს-ხეცოვა:** ჯუარს-ცუმა (1) ქრისტ. II,6: 21ra,7.

იგივე, ოღონდ ამჯერად 1 სუბიექტური პირის ნიშნით:

ხოვევედრებოდე: ვედრება (1) ქრისტ. VI,16: 24va,15; **ხოვესავ:** ესავ-ს (3) ქრისტ. VII,17: 18rb,3; 23vb,15; * VIII,21: 14vb,22; **ხოვესევედ:** ესავ-ს (1) ქრისტ. II,7: 64vb,13; * **ხოვემონე:** მონება (1) კვპრ.იუსტ. I,12: 101va,17.

ვ) ვნებითი გვარი, სასხვისი ქცევა:

განხოკვრდებოდა: განკვრევა (1) მარკ. 10,26: 28ra,5; ***დახოკვრდა:** დაკვრევა (1) ლუკ. 8,25: 39rb,3; **დახოკვრდებოდა:** დაკვრევა (2) მარკ. 10,24: 37vb,4; 32: 28vb,8.

3. ხ-პრეფიქსიანი ფორმები პირდაპირი ობიექტის მე-3 პირის აღნიშვნის ფუნქციით.

საზოგადოდ ცნობილია, რომ პირდაპირი ობიექტის მე-3 პირის ხ-პრეფიქსით გამოხატვა აწმყოში **ჰყოფს**²⁸ ტიპის ზმნებით შემოიფარგლება. ამ ტიპის ზმნებთან ხანმეტი პერიოდის შემდეგაც, კონკრეტული ბგერათა დაჯგუფებიდან გამომდინარე, გვხვდება შესაბამისი პრეფიქსი (ჰ-ყოფს, შე-ს-წირავს vs. აორ. ყო, შე-წირა)²⁹ პირის აღნიშვნა სავარაუდოდ შეესაბამება პირდაპირი ობიექტის მიცემითის გამოყენებას პირველ სერიის ფორმებში, თუმცა ყოველთვის როდია შესაძლებელი პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფორმალური განსხვავება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც აორისტის ფორმები ხანმეტურ ტექსტებში არ მოგვეპოვება. ზურაბ სარჯველაძის ნუსხაში მოცემული 59 ასეთი ზმნური ფორმიდან³⁰ 13 Codex Vindobonensis-შია დაცული. აქედან 6 იაკობის პირველსახარებიდანაა. ვენური პალიმფსესტი საერთო ჯამში 45 ამგვარ ფორმას შეიცავს, რომლებიც 59 მაგალითით დასტურდება. სავარაუდოდ, აქ მოტანილი ყველა შემთხვევა ხ-პრეფიქსით პირდაპირ ობიექტს უნდა აღნიშნავდეს. ყველა ფორმა განიხილება, როგორც მოქმედებითი. მე-2 სუბიექტური პირის აღსანიშნი ხ-იანი ფორმები ზემოთ 1-შია აღნუსხული.

²⁸ იხ. Gippert, Sarճvelaze)11020. №

²⁹ შდრ. ნუსხა შანიძესთან (1981: 181-195).

³⁰ სარჯველაძე (1971: 114-115).

ა) ქცევის ნიშნის გარეშე:

განზრახვიდა: განზრახვა (1) ქრისტ. VIII,20: 15vb,12; **გამოხცილდეს:** გამოცდა (1) მარკ. 10,2: 29vb,8; **დახწერდა:** დაწერა (1) კვპრ.იუსტ. III,5: 98vb,8; ***მიმოდახხედიდა:** მიმოდახედვა (1) იაკ.პირვ. XI,1: 68rb,7;* **ხგოვემდეს:** გუემა (1) ქრისტ. IV,13: 26vb,12; **ხყოფდა:** ყოფა (1) კვპრ.იუსტ. III,1: 104vb,15; **ხყოვარობს:** ყუარობა (1) ქრისტ. I,1: 25va,5;* **ხცველ:** ცვა (1) ლუკ. 8,29: 32rb,12;* **ხცვიდა:** ცვა (1) იაკ.პირვ. XIV,2: 86va,5; ***ხხედავენ:** ხედვა (1) ქრისტ. I,2: 31ra,18; **ხხედიდა:** ხედვა (2) ქრისტ. II,5: A134v,1; IV,12: 26rb,12;* ***ხხედიდეს:** ხედვა (1) ლუკ. 4,20: 46vb,11.

იგივე, ოღონდ ამჯერად 1 სუბიექტური პირის ნიშნით:

ხოვხედავ: ხედვა (2) იაკ.პირვ. XVII,2: 13vb,21;* 12va,3.*

ბ) სათავისო ქცევა (-ი-):

განზიზრახავნ: განზრახვა (1) ქრისტ. I,2: 31ra,20;* ***განზიზრახვიდა:** განზრახვა (1) იაკ.პირვ. XI,2: 68va,8;* **განზისოვენება:** განსუენება (1) ქრისტ. II,5: A140v,23; **მიხითრეველს:** მიხითრევა (1) ქრისტ. IV,12: 30vb,16;* **მიმოდახიხედიდა:** მიმოდახედვა (1) ქრისტ. III,9: 22va,9;* **მოხიყვანნეს:** მოყვანება (1) I ესდრ. 9,17: 57rb,7;* **სოვლთ-ხითქოვამნ:** სულთ-თქუმა (1) ქრისტ. I,2: 31ra,22;* **შეხიტყობდა:** შეტყობა (1) მარკ. 10,16: 38vb,9; **შეხიტყოვის:** შეტყუვილ-ი (1) კვპრ.იუსტ. III,2: 96va,21; **ხითხოველს:** თხოვა (1) ქრისტ. I,1: 31vb,20;* ***ხილოციდა:** ლოცვა (9) მათ. 26,39: 44ra,6; 42: 41vb,12; 44: 44va,10; იაკ.პირვ. IX,1: 35ra,2; ქრისტ. II,8: 64ra,13;* V,15: 9ra,2; 9va,1; VII,18: 23ra,12;* 19: 23rb,23; **ხიტყებს:** ტყება (1) იაკ.პირვ. XVII,2: 12va,5; ***ხიტყოდა:** სიტყუა (22) მათ. 26,39: 44ra,6; 44: 41ra,13; ლუკ. 7,39: 43vb,10;* 8,28: 32ra,14; II შჯ. 13,6 (5): 74r,15;* 18,21: 56ar,15;* 22: 56av,2; 3; იაკ.პირვ. XIII,1: 83va,11; 3: 86ra,6; XV,2: 69rb,1; კვპრ.იუსტ. III,2: 96ra,19; 4: 94va,21; ქრისტ. II,5: A141r,3; 6: 20vb,22;* 21va,2; 7: 70ra,4; 8: 64ra,14; 19va,21; III,12: 26rb,1;* V,15: 9vb,4; VII,18: 23rb,12; **ხიტყოდა-ღა:** სიტყუა (1) მათ. 26,47: 44vb,10; ***ხიტყოდეს:** სიტყუა (3) მარკ. 10,26: 28ra,8; ლუკ. 8,25: 39rb,4; ქრისტ. IV,12: 30vb,19; **ხიტყოლის:** სიტყუა (4) II შჯ. 18,19: 56ar,3; 20: 56ar,8; 10; 22: 56ar,16; ***ხიტყვს:** სიტყუა (3) ლუკ. 3,4: 41ra,19; I ესდრ. 2,2 (3): 82vb,18; ქრისტ. II,7: 71va,2;* **ხიხარებს:** ხარება (1) იაკ.პირვ. XVII,2: 12va,6; **ხიხარეკება:** ხარეკება (1) კვპრ.იუსტ. III,2: 91vb,10; **ხიხედავენ:** ხედვა (1) ქრისტ. I,2: 31ra,16.

იგივე, ოღონდ ამჯერად პირველი სუბიექტური პირის ნიშნით:

თავს-ხვლებდი: თავს-დება (1) ქრისტ. VIII,21: 11va,4; **ხვლოციდე:** ლოცვა (1) იაკ.პირვ. XIII,1: 83va,16.

გ) საარვისო ქცევა (-ა-):

განხანათლებდა: განათლება (1) კვპრ.იუსტ. I,12: 99rb,5;* **განხაშოვრებნ:** განშოვრება (1) მარკ. 10,9: 38rb,4; **მიხავლინება:** მივლინება (1) კვპრ.იუსტ. III,1: 92va,6;* **მოხაქცევა:** მოქცევა (1) კვპრ.იუსტ. III,1: 104vb,22;* **მოხაქცევენ:** მოქცევა (1) კვპრ.იუსტ. III,2: 96va,23; **შეხაშფოთებს:** შემფოთება (1) კვპრ.იუსტ. III,1: 99vb,2; **ხაბირებს:** ბირება (1) კვპრ.იუსტ. III,1: 99vb,5; **ხაგრძნობდა:** გრძნობა (1) კვპრ.იუსტ. III,4: 93va,5;* ***ხადიდებდა:** დიდება (3) იაკ.პირვ. XIV,2: 86va,1;* XVI,3: 12ra,4; ქრისტ. III,9: 22va,4;* ***ხადიდებდეს:** დიდება (1) კვპრ.იუსტ. III,4: 94rb,23;

***ხაიძოვლებს:** ძულემა (1) იაკ.პირვ. XVII,2: 13vb,15;* **ხაკოვრობედა:** კურთხევა (2) მარკ. 10,16: 33rb,13; კვპრ.იუსტ. III,2: 91vb,1; ***ხასწავებდა:** სწავება (2) მარკ. 10,1: 27ra,18; ლუკ. 4,15: 40va,19; **ხაქცევდა:** ქცევა (1) ქრისტ. VIII,21: 11vb,10; ***ხაყენებდეს:** ყენება (1) მარკ. 10,13: 38va,7; **ხაშწნებდინ:** შწნება (1) I ესდრ. 2,3 (5): 82ra,19.

4. ხ-პრეფიქსი აბსოლუტურ ვნებითებში.

ხანმეტი პერიოდის ზმნური ფორმების აგებისას ხ-პრეფიქსის მე-4 ფუნქციად ზოგადად მიიჩნევა ინიანი ვნებითების წარმოქმნა. ამ ფორმებში ხ-პრეფიქსი პირის სამივე ფორმაში გვევლინება და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მისი რომელიმე კონკრეტულ გრამატიკულ პირზე მიკუთვნება.³¹ ზურაბ სარჯველაძის მიერ დადასტურებული 53 ასეთი ფორმიდან³² 19 მიეკუთვნება Codex Vindobonensis-ს და 10 მათგანი დასტურდება იაკობის პირველსახარებაში. ვენური პალიმფსესტი საერთო ჯამში 65 ასეთ ფორმას 179 მაგალითით ადასტურებს. ამასთან, წმინდა ქრისტინას ლეგენდაში გვხვდება აქამდე უცნობი ზმნის ფორმა ხისხორდეს (ქრისტ. III,10: A137v,22), რომელიც სემანტიკურად „ცვლილების“ შინაარსს უნდა უკავშირდებოდეს, ისევე, როგორც ლეგენდის გვიანდელი ქართული რედაქციის ეკვივალენტი „იცვალებოდეს“ და ლათინურ ვერსიაში არსებული შესაბამისობა: *mutati sunt, mutatis da mutavit*³³. მოცემული ზმნური ძირი (სხორ) სავარაუდოდ ვენური პალიმფსესტის ხანმეტი პერიოდის შემდეგი ფრაგმენტების დადასტურებული ზმნიზედის ფორმას მსხორით უნდა შეესაბამებოდეს, სადაც ტექსტის შესაბამის ადგილზე (I ნემტ. 26,16-18: 6ra 5; 12)³⁴ „ცვლადად, მწყობრში“ – ცნებები შეიძლება მოვიაზროთ.

ამის გარდა, ვენურ კოდექსში გვხვდება ხანიანი ვნებითის ორი ფორმა ინის გარეშე: **დახშრტების** (დაშრტომა: მარკ. 9,48: 27vb,14) და **დახცხრების** (დაცხრომა: კვპრ.იუსტ. III,1: 99vb,11). ბოლო ფორმასთან და ლუკას სახარების გვიანდელი რედაქციებიდან მის შესაბამისობებთან „დახცხრეს“, „დახცხრა“ და „დაჰსცხრა“ სავარაუდოდ უნდა განიხილებოდეს ნაწილობრივ ამოკითხვადი ფორმა: **დახცხრეს**, (ლუკ. 8,24: 32va,15). გამომდინარე იქიდან, რომ ხანიანი უხმოვნო (-ი-) ვნებითი სხვაგან უცნობია და დაუდასტურებელი ჩანს, ამ შემთხვევის ასსნა იმ შიდა ლოკალური მიმართებით უნდა მოხდეს, სადაც ხ-პრეფიქსი ირიბ ობიექტს მიემართება.

ინიანი ვნებითების რიგში შემდეგი ფორმები აღინუსხება:

აღხივსებოდა: აღვსება (2) ლუკ. 8,23: 39ra,1;* იაკ.პირვ. XII,3: 83rb,13;* ***აღხივსო:** აღვსება (5) კვპრ.იუსტ. III,1: 104rb,16; 2: 91va,10;* 3: 97ra,17;* 4: 93rb,5;*

³¹ იხ. Gippert, Sarčvelaze (1998: 86).

³² სარჯველაძე (1971:118-119). გაორმაგებული მოხიქცეს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს მიხიქცეს.

³³ იხ. Gippert, Sarčvelaze, Kažaiia (2007:6-58).

³⁴ იხ. Gippert, Sarčvelaze, Kažaiia (2007:8-24 და 8-42 Fn. 42).

ქრისტ. IV,13: 26vb,7; **აღმოხივსოს**: აღმოვსება (1) ლუკ. 3,5: 45vb,9; **აღბიცივვა**:
 აღტყუება (1) იაკ.პირვ. X,1: 67va,17; **გამოხიხადოდეს**: გამოხიხადა (1) ქრისტ. II,7:
 21vb,10; **განხიდევნა**: განდევნა (1) კვპრ.იუსტ. III,4: 93rb,12; * **განხიპო**: განპება (1)
 კვპრ.იუსტ. III,4: 94rb,19; **გარდამოხიყარა**: გარდამოყრა (1) კვპრ.იუსტ. III,4:
 94rb,21; ***დახიმარილოს**: დამარილება (2) მარკ. 9,49: 27vb,17; 50: 29va,2;
 ***დახიყერა**: დაწერა (1) კვპრ.იუსტ. III,5: 98va,3; **მიხიქვა**: მიქცევა (3) ლუკ. 4,14:
 46ra,9; ქრისტ. III,9: 22va,1; VII,18: 23rb,13; ***მიხიქეს**: მიქცევა (2) ლუკ. 2,20: 8rb,18;
 ისო ნ. 19,27: 80va,4; **მიხიწია**: მიწევნა (1) კვპრ.იუსტ. III,5: 98va,5; **მიხიწინენ**:
 მიწევნა (1) ისო ნ. 19,22: 80ra,23; ***მიხიწინეს**: მიწევნა (2) იაკ.პირვ. XVII,2: 12rb,7; *
 3: 12va,8; **მიხიწიოს**: მიწევნა (1) ისო ნ. 19,27: 80va,7; ***მოხიქვა**: მოქცევა (2)
 იაკ.პირვ. XVII,2: 12rb,10; ქრისტ. II,8: 64rb,19; ***მოხიწია**: მოწევნა (4) მათ. 26,46:
 44vb,8; იაკ.პირვ. XIV,1: 86rb,7; * ქრისტ. III,11: A136v,11; VIII,20: 15ra,12;
 ***მოხიწიოს**: მოწევნა (2) იაკ.პირვ. IX,2: 35va,2; * ქრისტ. VII,17: 18rb,7; * **მო-ხოლო-**
ხიწია: მოწევნა (1) ქრისტ. II,5: A141r,4; * **ხიგინებოდა**: გინება (1) ქრისტ. III,10:
 A139r,4; **ხიდევენბინ**: დევნა (1) ლუკ. 8,29: 32rb,15; * **ხიდიდების**: დიდება (1)
 კვპრ.იუსტ. III,2: 91va,7; * **ხიდიდებოდა**: დიდება (1) ლუკ. 4,15: 46rb,2; **ხიდიდოს**:
 დიდება (2) ქრისტ. II,7: 21vb,9; 8: 70vb,4; **ხიკლას**: კლვა (1) II შჯ. 22,8: 73v,4; *
 ***ხიკოვრთხა**: კურთხევა (1) იაკ.პირვ. XV,4: 69va,5; * **ხიპოვა**: პოვნა (1) იაკ.პირვ.
 XVI,2: 66rb,13; **ხიპოვენეს**: პოვნა (1) ქრისტ. III,10: A138r,16; **ხიპოვენეს**: პოვნა (1) I
 ესდრ. 9,18: 57rb,14; * **ხისხა-ღა**: სხმა (1) I ესდრ. 9,16: 57ra,18; * **ხისხორდეს**:
 სხორება* (1) ქრისტ. III,10: A137v,22; **ხიტანჯონ**: ტანჯვა (1) კვპრ.იუსტ. III,5:
 98vb,5; **ხიოვრვოდა**: ურვა (1) ქრისტ. III,10: A139r,1; **ხიოვრვოდეს**: ურვა (1) ლუკ.
 8,23: 39ra,2; * **ხიქმნა**: ქმნა (7) I ესდრ. 9,17: 57rb,4; * იაკ.პირვ. XII,2: 67rb,23;
 კვპრ.იუსტ. I,12: 101vb,22; III,3: 97rb,17; 4: 93rb,10; * 94vb,14; * 6: 103vb,6; **ხიქმნე**:
 ქმნა (1) II შჯ. 18,20: 56ar,7; **ხიქმნეს**: ქმნა (1) I ესდრ. 1,47 (49): 87Bvb,12; **ხიქმს**:
 ქმნა (1) ქრისტ. VII,17: 23vb,21; * **ხიყავნ**: ყოფა (2) მათ. 26,42: 44va,1; * I ესდრ. 2,3 (5):
 82ra,12; ***ხიყვენეს**: ყოფა (2) მარკ. 10,32: 28vb,3; მსაჯ. 1,33: 78rb,14; ***ხიყო**: ყოფა (47)
 მარკ. 10,1: 27ra,18; 10: 38rb,7; ლუკ. 3,2: 41avb,19; 4,16: 46rb,7; 9; 17: 46va,3; 7,37:
 42vb,17; 43va,1; 39: 42rb,13; 8,24: 32va,15; * ისო ნ. 19,29: 80vb,4; მსაჯ. 1,28: 78vb,18;
 30: 78ra,7; 9; 31: 78ra,14; * 33: 78rb,10; 3,3: 75vb,15; * 4: 75vb,19; 10: 75rb,20; იაკ.პირვ.
 X,1: 36ra,20; * 36rb,16; XI,1: 68rb,1; 11; * XII,1: 67rb,18; კვპრ.იუსტ. I,12: 102vb,7;
 101rb,17; III,6: 100va,14; 16; 103rb,2; 9; ქრისტ. I,1: 100rb,22; 25ra,3; 6; 10: 31va,13; 15;
 19; 31vb,17; II,5: A140v,16; 7: 20ra,15; * 8: 22ra,1; IV,12: 26rb,5; * V,15: 9rb,6; 9vb,8;
 VI,16: 16rb,23; VIII,20: 10va,2; 15rb,18; ***ხიყოს**: ყოფა (7) მარკ. 9,50: 29va,1; ლუკ. 3,5:
 41ar,14; II შჯ. 11,29: 79v,16; ისო ნ. 19,22: 80rb,4; * I ესდრ. 2,3 (5): 82ra,11; იაკ.პირვ.
 XVII,1: 12ra,10; ქრისტ. II,7: 71vb,9; **ხიყოვენ**: ყოფა (3) მარკ. 10,8: 33va,17; 31:
 28ara,16; კვპრ.იუსტ. I,12: 102vb,10; ***ხიყოვენეს**: ყოფა (6) მათ. 26,43: 44va,5; ლუკ.
 8,27: 39va,1; ისო ნ. 19,18: 80ra,12; * 33: 80vb,19; * კვპრ.იუსტ. III,1: 104rb,22; 4:
 94va,15; **ხიყოფოდა**: ყოფა (1) ლუკ. 8,27: 39va,7; ***ხიშოვეს**: შობა (1) იაკ.პირვ. XI,3:
 68vb,1; **ხიციმდა**: ცემა (1) კვპრ.იუსტ. III,5: 98va,11; * **ხიწოდების**: წოდება (1)
 კვპრ.იუსტ. III,6: 100ra,16; **ხიხიქმნებთან** [sic!]: ქმნა (1) კვპრ.იუსტ. III,6: 100ra,22;
ხიხოვეტებოდა: ხუეტა (1) კვპრ.იუსტ. III,2: 91vb,8.

იგივე, პირველი სუბიექტური პირის ნიშნით:

***აღბოვიწერო:** აღწერა (1) იაკ.პირვ. XVII,1: 13va,13; **მიხვლტოდე:** მილტოლვა (1) კვპრ.იუსტ. III,2: 91rb,6; ***ღირს-ხვქმენ:** ღირს-ქმნა* (2) კვპრ.იუსტ. III,2: 96vb,18; ქრისტ. IV,13: 30rb,23; **ხოვიელტოდით:** ვლტოლვა (1) ქრისტ. I,4: A141v,10; ***ზვპოვო:** პოვნა (1) იაკ.პირვ. XIV,1: 86rb,1; ***ხვწრაფი:** სწრაფა (1) კვპრ.იუსტ. III,2: 96rb,23; ***ხვქმნე:** ქმნა (2) იაკ.პირვ. IX,2: 35rb,9; კვპრ.იუსტ. I,12: 102rb,7; **ხვყავ:** ყოფა (2) კვპრ.იუსტ. III,1: 92rb,6; 10; **ხვყავ:** ყოფა (1) ქრისტ. V,15: 9rb,2 (2).

5. ზმნურ ფორმათა გარდა ხანმეტობა გვხვდება ხოვფრო(ღს-) ტიპის შედარებითი ხარისხის ფორმებშიც, რომლის საწყისი კომპონენტი ხოვ- სავარაუდოდ მე-3 ირიბობიექტური პირის ნიშნისა და სასხვისო ქცევის აღმნიშვნელი ხმოვნის იგივე შერწყმას უნდა წარმოადგენდეს, რაც ხოვბრძანა (იხ. 2.ბ)³⁵ ტიპის ზმნურ ფორმებშია მოცემული. ვენურ კოდექსში ამგვარი ფორმებიც მრავალრიცხოვნადაა წარმოდგენილი (13 ფორმა 16 მაგალითით), მაშინ როცა ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ხოვნათლღს, ხოვპირადღს და ხოვტკბილღს პირველად დასტურდება:

ხოვადვილღს: უადვილღს- (1) მარკ. 10,25: 34rb,15; **ხოვდიდღსითა:** უდიდღს- (1) კვპრ.იუსტ. III,3: 90ra,9; **ხოვკეთესად:** უკეთეს- (1) კვპრ.იუსტ. III,5: 98vb,4; **ხოვმეტესად:** უმეტეს- (1) მარკ. 10,26: 28ra,5; **ხოვმეტესი:** უმეტეს- (1) კვპრ.იუსტ. I,12: 102vb,6; **ხოვმრწემღსისამან:** უმრწემღს- (1) მსაჯ. 3,9: 75rb,17; **ხოვმჯობღს:** უმჯობღს- (3) მარკ. 9,45: 29ra,10; 47: 29rb,3; კვპრ.იუსტ. III,1: 95va,17; **ხოვნათლღსითა:** უნათლღს- (1) ქრისტ. VII,18: 23ra,20; ***ხოვპირადღს:** უპირადღს (1) კვპრ.იუსტ. III,6: 103rb,6; ***ხოვტკბილღს:** უტკბილღს- (1) ქრისტ. II,8: 22ra,1; **ხოვფროს:** უფროს (2) I ედრ. 1,47 (49): 87Bvb,13; ქრისტ. II,8: 22ra,2; **ხოვფროსნი:** უფროს- (1) ქრისტ. VIII,21: 14vb,19; **ხოვფროს-ღა:** უფროს- (1) კვპრ.იუსტ. III,3: 90ra,5.

6. ჯერ კიდევ 1922 წელს აღნიშნავდა აკაკი შანიძე, რომ ტოპონიმში ხერთვისი ზმნური ხანმეტი ფორმის ანარეკლი უნდა ყოფილიყო შემორჩენილი, რამეთუ ეს ფორმა სავარაუდოდ მიმართებითი ვნებითის დაუდასტურებელი ფორმიდან ხერთვის (> ერთვის) „იგი (მდინარე) უერთდება სხვას (მდინარეს)“ არის ნაწარმოები. აქედან უნდა მომხდარიყო ძველ ქართულში აპელატივის ხერთვისი წარმოქმნა,³⁶ რომელიც ნიშნავს კუნძულს, ჭალაკს ანდა ნახევარ-კუნძულს. საქმე ეხება სიტყვაწარმოების შემდეგ პროცესს: ფინიტური ზმნის ფორმა პირის რეფერენტთან ერთად სახელური ბრუნვის ნიშნის უბრალო დართვის გზით ყალიბდება სახელად. თუკი ასეთი ანალიზი სწორია, მაშინ სიტყვაწარმოების ეს

³⁵ იხ. შანიძე (1981:402-409); Gippert, Sarčvelaže (1998: 7) და დაწვრილებით Gippert (2000: 37-45).

³⁶ შანიძე (1922-23:262-275).

ტიპი გერპარდ დეეტერსის მიერ ქართველური ენებისათვის გამოვლენილი წესების მიხედვით უჩვეულო არ არის³⁷. კენურ პალიმფსესტში დასტურდება სავარაუდოდ მსგავსი სიტყვაწარმოების ერთი მაგალითი. საუბარია მეორე სჯულის ფრაგმენტში დადასტურებულ სიტყვაზე ხიქცევისი (II მჯ. 22,12:73v,15), რომელსაც მოსეს ხუთწიგნულის გვიან რედაქციაში იქცევისი შეესაბამება.³⁸ თუ ეს სახელი ინიან ვნების ხიქცევის-ს ირეკლავს, მაშინ *ხიქცევისი ფორმის ჩამოყალიბება ხანმეტი პერიოდის ყველა წესის დაცვით უნდა მომხდარიყო. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ პალიმფსესტის შესაბამისი ფურცელი ისეა გადაჭრილი, რომ სახელის ორი საწყისი ასო შენარჩუნებული არ არის, რაც აქ მოტანილი რესტიტუციის საფუძველს ასუსტებს.

7. დასკვნა.

კენური კოდექსის გამოცემაში შესული ხანმეტი ფორმების დიდი რიცხვის მიუხედავად შორსა ვართ ხანმეტობის ფენომენის სრულყოფილი სურათისაგან. პალიმფსესტების ქვეშ დაფარული უამრავი ხანმეტური ტექსტის ფრაგმენტი მომავალშიაც ელოდება თავის აღმოჩენს. თანამედროვე ტექნოლოგიის იმგვარი გამოყენება, რომელიც Codex Vindobonensis-ისა და წმინდა ეკატერინეს მონასტრის კავკასიის ალბანური პალიმფსესტების³⁹ გამოკვლევის დროს განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა, გადამწყვეტ როლს ითამაშებს მომავალშიც.⁴⁰ ამ შეხედულების ილუსტრაცია ადვილად ხერხდება ორმაგგვერდიანი ხანმეტი პალიმფსესტის S-3902 მაგალითზე (3-6 გვერდები), რომელიც 2007 წელს თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტში მულტისპექტრალური სისტემის MuSIS⁴¹ დახმარებით გაიმიფრა.⁴² ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ამ ხელნაწერის ახლებური წაკითხვა (ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიფცია) და მისი შეპირისპირება აკაკი შანიძისეულ წაკითხვასთან⁴³ და ტექსტის ძველ-ბერძნულ ვერსიასთან.⁴⁴

ჩვენი ვაღია, კვლევის პირობების სირთულისდა მიუხედავად, კვლავაც გავაგრძელოთ ხანმეტი ძეგლების შემდგომი კვლევა ზურაბ სარჯველაძის ღვაწლის საპატივისცემოდ და მის მიერ დაწყებული შრომის დაფასებისათვის.

³⁷ Deeters (1930: 240-241).

³⁸ იხ. Gippert, Saržvelaze, Kažaia (2007: 2-18).

³⁹ იხ. Gippert, Schulze, Aleksizze, Mahe (2008).

⁴⁰ ამ საკითხთან დაკავშირებული საერთაშორისო პროექტი, რომლის დაწყებაც 2009 წლის ზაფხულშია გათვალისწინებული, დასაფინანსებლად არის წარდგენილი Volkswa-genstiftung-ის ფონდში.

⁴¹ შდრ. ამასთან Gippert (2007: 168-179) და Gippert, Saržvelaze, Kažaia (2007: xxxii-xxxiv).

⁴² მონაწილეობდნენ ი. გიპერტი, ლ. ქაჯაია, დ. თვალთვაძე და ს. სარჯველაძე.

⁴³ შანიძე (1927: 136).

⁴⁴ საქმე ეხება იოანე ოქროპირის ქდაგებას In illud: Exeunt Pharisei („ფარისევლები შურისათვის“) (ბერძნული ტექსტი Migne-სთან, Patrologia Graeca, ტ. 61, გვ. 705).

S-3902, დვ. 3ra-6va

ბრაილი	ტრანსლიტერაცია	შანიძე 1927	ბერძნული ტექსტი
1 სნთ-ბცღ.წისწაჟიკი	სიმბდღოსა [გვრე]	სიმბდღოსა	და (?) μετρεῖ ἡτοιμασται
2 თ-ისწი-ბცღ.წისწა	(თ)(ი)(სა)[გვ] [ტ](ბ)[ლო](ს)აჰ [.]		აα τρεπεζα,
3 სნთ-ბწი-ბწისწი-ბი	სისმინ(თ) , (რ<ომე>ლსა) [ც](რთი)	სს	ენα
4 უღი-ბწი-ბწისწი-ბი	პოვრ(ი ზ<ე>დ)ა (ბეს) [' რ<ომე>ლი]-		ἀργον ἔχουσα ἐπ' αὐτῆς·
5 ჟი-ბწი-ბწი-ბი-ბი	-(ი)[ბი] [არ](ა ვჰბილოვია)[ფ]		οὐχ ὄν ὁ μῦθος
6 ბცღი-ბწი-ბი-ბი	(დ)[ახივ](ჰ)ა : არცა		არცა ἐλέπτυνε, καὶ
7 ჟი-ბი-ბი-ბი-ბი-ბი	[ვლ](ი)თა (შე)[ჰმე](ს) [.] (და)	ვ ა ს	χεῖρες ἐμάλαξαν
8 ბი-ბი-ბი-ბი-ბი-ბი	არცა ცეცხლ(ით)[ბან ვა]-	არცა ცეცხლი	καὶ πῦρ
9 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	ბო[ც]ვა [:] <რამე>ლ [რ<ომე>ლი]-	ბო ვა ად	ἐτελείωσεν, ἀλλ'
10 ჟი-ბი-ბი-ბი-ბი-ბი	-იგ(ი) თენიერ(თ)[ცხლ](ისა)	იგ	ὅν
11 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	ქალწოლ(ი)სა[ბან ხიშ]-	ქალწულსა	παρθένος
12 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	ვა ' და აღობნდა	ვა და აღობნდა	ἀρουρα ἀνευ ἀρότρου καὶ σπέρματος ἦνθησε,
13 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	და (ჯ<ს>ე<ა>)რითა ჩ<ს>ე<ე>ნ (გვკნნა)	და ჯ' რითა	καὶ σταυρὸς ὠρμάσσε,
14 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	და მამან (ს)რო-	და მამან სრო	καὶ Πατὴρ ἐτελείωσε,
15 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	ვლ-ვო (,) და ბო(ცი)-	ვლ ვო	καὶ
16 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	ქველავან ათი[' რ']-	ქვევანას	δύσδεκα
17 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	(ბეტთა) (ბ)ო(დ)[ო]რთა	ბ	κἀφῖνοι τῶν ἀποστόλων
18 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	ბო[ს]ი[ს]ი[ბ]ო-(ბც)[ა :]	ბ	ἐτρῶγσαν.
19 ჟი-ბი-ბი-ბი-ბი-ბი	ესე პოვი ქალწოლ-	ესე	Τούτων τὸν ἀργον Μαρία μὲν
20 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	მან შვა , და (ცხლ)-	მა	ἐγέννησεν, ἡ Ἐκκλησία
21 სი-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	სიამან შეწყნარა	სი	δὲ ὑπεδέξατο,
22 ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ	და დღითი-დღედ მას	და დ	καὶ κατ' ἐκείνην ἡμέραν

S-3902, გვ. 3ra-6va

ბწკარი	ტრანსლიტერაცია	შანიძე 1927	ბერძნული ტექსტი
1	ჩჩ'ი-ტ-ტ-ო-შ-ტ'ი-ღ-ღ	ჩ<ოვე>ნ ვჭამთ და იგი ღ[ა]-	ჩ'ნ ვჭამთ და იგი და ἐγὼ ἤμαῖν ἐσθίεται, καὶ ἀδελφότητος
2	ღ-ყ-ს-ღ-ყ-ბ'ი-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	ოვსროვლებელ არს ,	უხრულებელ არს μένει.
3	შ-ტ-ტ-ტ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	მ(რ)ადლ(ს) [::] ამას	შ ამას Τοῦτον ἵμην
4	შ-ღ-ყ-ს-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	პოურს ჩემ-ვლასა-	ვლასაჲ τὸν ἄρτον ἐπὶ τῆς μετρίας μου
5	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	კისა ტაბლასა ზ<ედ>ა ღ(ა)-	სა ზ'ა და τραπέζης ἐπιθίξας,
6	ღ-ღ-ღ-ღ-ღ	გოგბ: __	გბ' : __
7	შ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	მინდა რ<ათ>ამცა ვლო[გმ]-	შ მცა ღ ἠβουλόμην
8	შ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	(მ)ნ და ღვმილით	და ღვმილით τῆ σιωπῆ
9	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	[ემის](ა ღვადგ)ერ'	ბო τὸ τῆς γλώττης μου ἔβρανον περιωφρῖξαι'
10	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	[ა](<რამ>ედ მ)[ა](თ) [ღ]<მრ>თის-მო-	მო ἀλλ' ἢ τὸν θεομάχων
11	შ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	[შ](ოვრე)თათვის პოვ-	'Ιουδαίων
12	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	(რათა) [] (<რამ>ელ)[ი] ხოკლ-	κατὰ τοῦ Σιωπῆρος ἡμῶν ὄρατομένη
13	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	[რეს] [მც](ხო)[ვარსა და]	ἐπιβουλος ἐνέδρα
14	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	[ჭა](თავა) [შ](ი)ბოვ-	καὶ τοὺς λίθους
15	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	[ღღ](ბს) ხიტყოვად : __	λαλεῖν ἀναγκάζει.
16	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	(ღ)[ა რ<ამ>ელღი]-იგი ვოვემბა	Τι γὰρ ἠκούομεν
17	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	სახარებისგან (')	ἀγρίως ἀναγινωσκόμενον?
18	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	(ღ<ითარმ>ელ) გან(ვოღღ)ეს უარი-	Καὶ ἐξελθόντες, φησὶν, οἱ Φαρισαῖοι,
19	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	ხვევლი და (შეი)ზ-	συμβούλιον ελαβον
20	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	ჩახნეს ი<ენო>უისთვის რ<ათ>ი>ა-	κατὰ τοῦ Ἰησοῦ, ὅτι
21	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	მცა წარწყმილეს იგ[ი]	αὐτὸν ἀπολέουσι.
22	ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ	რად არს იგი მიზეზი	Καὶ τὴς ἡ αἰτία,

წყაროები

- ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973.
- BIRDSALL N. B., A Georgian Palimpsest in Vienna. *Oriens Christianus* 53, 1969, 108-112.
- BIRDSALL N. B., Khanmeti Fragments of the Synoptic Gospels from Ms. Vind. Georg. 2. *Oriens Christianus* 55, 1971, 62-89.
- BIRDSALL N. B., Palimpsest Fragments of a Khanmeti Georgian Version of I. Esdras. *Le Muséon* 85, 1972, 97-105.
- BIRDSALL N. B., A Second Georgian Recension of the Protoevangelium Jacobi. *Le Muséon* 83, 1970, 49-72.
- BIRDSALL N. B., Ms. Vindob. Georg. 2: a Progress Report. *Oriens Christianus* 58, 1974, 39-44.
- BLAKE R.P., Khanmeti Palimpsest Fragments of the Old Georgian Version of Jeremiah. *Harvard Theological Review* 25, 1932, 225-276.
- Deeters G. D., Das Kharthwelische Verbum. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930.
- GIPPERT J., Iranica Armeno-Iberica. Studien zu den iranischen Lehnwörtern im Armenischen und Georgischen, Wien (Veröffentlichungen der Kommission für Iranistik, 26 / Sitzungsberichte der phil.-hist. Klasse der Österreichischen Akademie der Wissenschaften, 606), 1993.
- GIPPERT J., The Formation of Comparatives in the History of Georgian. Part I: The Prehistory of the Synthetic Comparatives, *Enatmecnierebis sak'itxebi* 1/2000, 37-45.
- GIPPERT J., Die georgische Palimpsesthandschrift Codex Vindobonensis georgicus 2. *Biblos. Beiträge zu Buch, Bibliothek und Schrift* 1-2, 2003, 31-46.
- GIPPERT J., The Application of Multispectral Imaging in the Study of Caucasian Palimpsests. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences / Sakartvelos mecnierebata erovnuli ak'ademiis moambe* 175/1 (2007), 168-179.
- GIPPERT J., SARŽVELZE Z., Für den sprachwissenschaftlichen Status der Chanmeti Texte. *Caucasica* 2, 1998, 86-92.
- GIPPERT J., SARŽVELAZE Z., KAŽAIA L., The Old Georgian Palimpsest Codex Vindobonensis georgicus 2, ed. by J. G. in cooperation with Z. S. and L. K., Turnhout: Brepols (Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series Ibero-Caucasica), 2007.
- GIPPERT J., SCHULZE W., ALEKSIZE Z., MAHÉ J.-P., The Caucasian Albanian Palimpsests of Mt. Sinai, edited by J. G., W. Sch., Z. A. and J.-P. M. Turnhout: Brepols (Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series Ibero-Caucasica), 2008.
- ი. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II. თბილისი, 1966.
- ლ. ქავიაა, პუნქტუაცია V-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში. თბილისი, 1969.
- ლ. ქავიაა, Ханметные палимпсесты, *Проблемы палеографии и кодикологии в СССР*, Москва 1974, 409-427.
- ლ. ქავიაა, ხანმეტი ტექსტები. ნაკვეთი I. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1984.
- ლ. ქავიაა, წმინდა ქრისტინას წამების ხანმეტი ტექსტი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი / *Journal of Gelati Academy of Sciences* 3/2006, 34-59.
- MOLITOR J., Monumenta Iberica Antiquiora. Textus Chanmeti et Haemeti ex inscriptionibus, S. Bibliis et patribus collegit et in linguam latinam convertit... J. M. Louvain: Corpus Scriptorum Christianorum Orientalium (Subsidia, 10), 1956.

- ზ. სარჯველაძე, ხანმეტ და ჰამეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებელი, თბილისი, 1971.
- ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1995.
- ა. შანიძე, ნაშთები მესამე ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ზმოვნების წინ ქართულ ზმნებში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე /*Bulletin de l'Université de Tiflis* 2, 1922-23, 262-281.
- ა. შანიძე, ხანმეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე /*Bulletin de l'Université de Tiflis* 3, 1923, 354-388.
- ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე /*Bulletin de l'Université de Tiflis* 7, 1927, 98-159.
- ა. შანიძე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები. ენიკის მოამბე, 11, 1937.
- ა. შანიძე, ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპური რეპროდუქცია (ძველი ქართული ენის ძეგლები, 1), თბილისი, 1944.
- ა. შანიძე, იაკობის პირველსახარების ხანმეტი ნაწყვეტები. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, 1977, 2-35.
- ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II), თბილისი, 1981.
- ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშების დართვით), ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე /*Bulletin de l'Université de Tiflis* 2, 1922-23, 313-391.

Jost Gippert

News from the Khanmetoba

Summary

The article summarises the new linguistic material of the Khanmeti period that has come to light in the edition of the Old Georgian palimpsest Cod. Vind. georg. 2 of the Austrian National Library, Vienna. On the basis of the analysis provided by Zurab Sarjveladze in 1971, the newly found Khanmeti forms are listed according to their different grammatical functions (second person subject, third person indirect object, third person direct object, third person subject of passive forms, comparative formations, other nominal formations). In an appendix, two pages of the Khanmeti palimpsest S-3902 are edited on the basis of multispectral images made in 2007.

ჰველი ქართული ფილოლოგიის ისტორიიდან

(ანტიოქიის სამეფოს როლი XI-XIII საუკუნეების პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში)

ძველი ქართული ფილოლოგია შუა საუკუნეების ფილოლოგიური დისციპლინის მეტად საინტერესო ნაწილია. მისი სისტემად ჩამოყალიბება, ანუ შემთხვევითი, სპონტანური, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული საქმიანობის ქცევა ნორმირებულ დისციპლინად, როგორც ცნობილია, ეფრემ მცირისა და, საერთოდ, შავი მთის მთარგმნელობით სკოლას, ანუ ანტიოქიას უკავშირდება.

ქართულმა მთარგმნელობითმა და, ზოგადად, ქართულმა ფილოლოგიურმა ტრადიციამ საკმაოდ გრძელი გზა განვლო, ვიდრე ტექსტის თარგმნა, კომენტირება, განმარტება, მისი აღჭურვა სათანადო ფილოლოგიური აპარატით სისტემატიკის კანონებზე დამყარებულ ფილოლოგიურ საქმიანობად იქცეოდა. სამართლიანად მიუთითებს ა. ხარანაული, რომ I ეტაპზე შესრულებული თარგმანები სპონტანური და ინტუიციური უნდა ყოფილიყო. შდრ. „როდესაც ჩვენ წმინდა წერილის პირველი თარგმანის მეთოდზე ვლაპარაკობთ, სრულიადაც არ იგულისხმება, რომ მთარგმნელს ჰქონდა გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებული თარგმანის მეთოდი. ჩვენ მხოლოდ იმ პრინციპებზე ვლაპარაკობთ, რომელთაც თავადვე გამოვყოფთ ტექსტში. თარგმანის I ეტაპზე მთარგმნელის ამოცანა ცხადი და მარტივი იყო: ზუსტად ეთარგმნა ღვთის სიტყვა. რაში უნდა გამოხატულიყო ეს სიზუსტე და რა ხარისხისა უნდა ყოფილიყო იგი, ეს საგანგებო თეორიული განსჯის საგანი, ალბათ, არც ყოფილა. მთარგმნელები ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის ინტუიციურად ირჩევდნენ თარგმანის პრინციპს. ამგვარი ხასიათის გამო პირველ თარგმანებს შეიძლება სპონტანური ან ინტუიციური ვუწოდოთ... შემდგომში, როცა ინტუიციური ჭვრეტა ანალიტიკურმა აზროვნებამ შეცვალა და ბიბლიის ტექსტი პოლემიკის იარაღი გახდა, თარგმანის დედანთან სიახლოვე უკვე ისეთ პრინციპად იქცა, რომელიც კონკრეტულ დეტალებში გამოინახა“ (ხარანაული 2005:36).

უცხო გარემოში ფილოლოგიური საქმიანობის ნორმალიზაციისა და სისტემატიზაციის ამგვარი პროცესი, როგორც წესი, სერიოზული კულტურული ურთიერთობების ფონზე მიმდინარეობს ხოლმე. ამის გათვალისწინებით ანტიოქიაში მდებარე ქართული კულტურის კერებთან დაკავშირებით ბუნებრივად დაისმის კითხვა: იყო თუ არა ანტიოქიასთან ურთიერთობა ოდენ რელიგიურ-საგანმანათლებლო ხასიათისა და, შესაბამისად, მას წარმართავდნენ მხოლოდ ბერ-მონაზვნები, თუ სხვა, სერიოზული ისტორიულ-პოლიტიკური საფუძველი და წინაპირობებიც ჰქონდა, როგორც ეს ათონის სამონასტრო კომპლექსის ან

სხვა ცენტრების შემთხვევაში?¹ წინამდებარე სტატია სწორედ ამ საკითხებს ეხება; ევროპელ მეცნიერთა კვლევებსა და ანტიოქიაში შექმნილ ლათინურენოვან წყაროებზე დაყრდნობით შევეცდები ვაჩვენო, რომ XI-XIII საუკუნეებში ანტიოქიაში ქართული მთარგმნელობით-ფილოლოგიური საქმიანობის სისტემატიზაციას საკმაოდ სერიოზული ისტორიული და პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, რომელიც ჩვენში ნაკლებად არის შესწავლილი. ვგულისხმობ ანტიოქიის სამეფოს როლს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამ როლის ასახვას შუა საუკუნეების უცხოენოვან წყაროებში. კონკრეტულად კი მხედველობაში მაქვს ორი უაღრესად საინტერესო ლათინურენოვანი ქრონიკა. მათგან ერთის ავტორია კილონელი სქოლასტი ოლივერი, რომელიც მეხუთე ჯვაროსნული ომის შემდეგ, 1222 წელს, ანტიოქიაში გაჩერდა, გაიცნო იქ მყოფი ქართველი ბერები და თავის ქრონიკაში დაწვრილებით აღწერა მათი საქმიანობა.² მეორე წყაროს (Bella Antiochena) ავტორია ანტიოქიის მთავრის, როჯერ ანტიოქელის კანცლერი ვალტერიუსი.³ ორივე მათგანი მოგვითხრობს ანტიოქიის სამეფოს სამედიატორო როლის შესახებ ქართველი მეფეების დასაკავშირებლად ევროპის სახელმწიფოების უმაღლეს საერო და სასულიერო პირებთან.

ამ წყაროების დეტალურ ანალიზს გვთავაზობს გერმანელი ისტორიკოსი, პეტერ ჰალფტერი (Halfter 2008:403-437), თავის ნაშრომში, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში: "Le Muséon". წინამდებარე სტატია სწორედ პეტერ ჰალფტერისა და კაკკასიის ისტორიის ამსახველი უცხოენოვანი წყაროების (ლათინური, სპარსული, არაბული) შემსწავლელ ევროპელ მეცნიერთა კვლევის შედეგებს ეყრდნობა.

მე ისტორიკოსი არ ვარ და, ცხადია, არ ვაპირებ საისტორიო მეცნიერების თვალთახედვით განვიხილო ეს ქრონიკები; მე მაინტერესებს ისინი, როგორც წყარო იმ კონტექსტის, წინაპირობების შესასწავლად, რომელშიც ქართული ფილოლოგიური აზროვნების სისტემატიზაციის პროცესი მიმდინარეობდა. ქვემოთ მოკლედ შეგახსენებთ ძველი ქართული ფილოლოგიის მიმართულებებს, რომელთა ჩამოყალიბება უშუალოდ უკავშირდება ანტიოქიას:

¹ ვ. ბოდერმა (Boeder 1983:85-95; მისივე 1998:68-81) და ე. მეტრეველმა (მეტრეველი 1996; მისივე 2007:7-127) ლინგვისტური და ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევებით დამაჯერებლად აჩვენეს, რომ ათონზე ქართველების სამონასტრო-საგანმანათლებლო საქმიანობა დიდი პოლიტიკური კონტექსტის ნაწილი იყო. ქართველი ბერების მოღვაწეობა ერთმნიშვნელოვნად სცდება სამონასტრო ცხოვრების ფარგლებს და ათონზე ქართველთა მოღვაწეობის, ქართული ენის კულტურული და პოლიტიკური ლეგიტიმაციის, ენათა ფუნქციური საურთიერთო ველის: **ბერძნული – ქართული** განმტკიცებისა და შენარჩუნების მეტად საინტერესო საფეხურს წარმოადგენს. ენის ლეგიტიმაციის საფეხურების შესახებ (დობორჯვინიძე 2009ა:13-29).

² ოლივერის ქრონიკის ლათინური ტექსტი იხ. Hoogeweg 1894. ციტატები ამ ქრონიკიდან დამოწმებული იქნება პ. ჰალფტერის (Halfter 2008) პუბლიკაციის მიხედვით.

³ ამ ქრონიკის ლათინური ტექსტი იხ. Hagenmeyer 1896.

ა) ძველი ქართული პრაქტიკული, ჰერმენევტიკული გრამატიკის საფუძვლები. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ არა ამ დისციპლინის ნიშნების ან ცალკეული კომენტარების გაჩენას, ამა თუ იმ გრამატიკული საკითხის განმარტებას, რაც ქართულად ნათარგმნი ან ორიგინალური წყაროების მიხედვით გაცილებით ადრინდელია, არამედ მის ქცევას საგანგებოდ შემუშავებულ წესებზე დაფუძნებულ საქმიანობად; შავ მთაზე მოღვაწე ქართველ მთარგმნელთა ლინგვისტური ხასიათის თეორიული ნააზრევი ეყრდნობოდა ტექსტის ინტერპრეტაციის, კომენტირების, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის ბერძნულ-ლათინურ და სირიულ ტრადიციებს, შესაბამისად, ალექსანდრიულ გრამატიკებს და ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში შემუშავებული ტექსტის „ტეხნეს“ მიხედვით ხსნიდა, განმარტავდა ქართული ენის პრაქტიკული, ჰერმენევტიკული გრამატიკის მნიშვნელოვან საკითხებს. ძველ ქართულ მთარგმნელობით კომენტარებში დასმული ენობრივი პრობლემების კვლევას არაერთი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა;⁴ შესწავლილ იქნა ალექსანდრიული გრამატიკების რეცეფციის პროცესი XI-XIII საუკუნეების ქართულ ეგზეგეტიკურ კომენტარებში: როგორ ჩამოყალიბდა ტექსტის კომენტირების მოდელი და სწორედ სისტემატიკის დონეზე როგორ აისახა მასში არისტარხესა და განსაკუთრებით დიონისე თრაკიელის Τέχνη γραμματική-ს ექვსივე შემადგენელი ნაწილი (დობორჯგინიძე 1998). ასევე მონოგრაფიულად დამუშავდა თრაკიელის გრამატიკის გავლენა XVII-XVIII საუკუნეების ქართულ საეთმეცნიერო აზროვნებაზე (ქაროსანიძე 1998).

ბ) ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური მიმართულება. ძველ ქართულ თარგმანებზე დართული ლინგვისტური კომენტარები პრაქტიკული, ჰერმენევტიკული ხასიათისაა და თავდაპირველი ტექსტის (Codex archetypus) დადგენისა და, საერთოდ, ტექსტის კვლევასა და კრიტიკული აპარატის მომზადებას ისახავს მიზნად. ამ საქმიანობის სისტემატიზაციაც, როგორც ცნობილია, შავი მთის მთარგმნელობით-საგანმანათლებლო სკოლას, შესაბამისად, ეფრემ მცირის სახელს უკავშირდება.⁵ ქართული ფილოლოგიური ტრადიციის პრობლემატიკა შუა საუკუნეების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური დისციპლინის განვითარების კონტექსტში, ქართული ტრადიციის მიმართება როგორც ბერძნულ-ლათინურ, ასევე სირიულ ტრადიციასთან საგანგებოდ დამუშავდა საერთაშორისო სამეცნიერო

⁴ მრავალრიცხოვანი ლიტერატურიდან, რომელშიც ძველი ქართული ფილოლოგიის ცალკეული საკითხებია განხილული, დავასახელებ მხოლოდ იმას, რომლებიც უშუალოდ ეხება ძველი ქართული მთარგმნელობით-ტექსტოლოგიური აპარატის კვლევას: ბეზარაშვილი 2004; დანელია 1983:296-386; Doborjginidze 2003b:119-140; თვალთვაძე 1997; კეჭალაძე, რაფავა 1983; დ. მელიქიშვილი 1993 (1):6-24; (2):5-25; მისივე 1999; ოთხმეზური 2005; რაფავა 1981:128-137; სარჯველაძე 1984; Shanidze 1984:53-68; შანიძე 1990; ხარანაული 2005.

⁵ ეფრემ მცირის მთარგმნელობითი პრინციპებისა და ფილოლოგიური მეთოდების შესახებ იხ. ბეზარაშვილი 2004; Doborjginidze 2009b; თვალთვაძე 1997; კეჭალაძე 1956:183-197; კეჭალაძე, რაფავა 1983; დ. მელიქიშვილი 1999; ნ. მელიქიშვილი 1987: 119-129; ოთხმეზური 2005.

პროექტის ფარგლებში. კვლევის საბოლოო შედეგები 2009 წელს დაიბეჭდა მონოგრაფიის სახით,⁶ რომელშიც ნაჩვენებია, რომ თარგმანის და საზოგადოდ, ხელნაწერი ტექსტის მომზადების, კრიტიკული აპარატის, შესავლის, ანდერძის, კომენტარების დართვის, ვარიანტების აღნუსხვის, იკითხვისეხვის შერჩევის ეფრემისეული პრინციპები არის კრიტიკული ტექსტის დადგენის ის სისტემა, რომელიც საყოველთაოდ ბატონობდა ფილოლოგიაში ალექსანდრიული სკოლიდან მოყოლებული კარლ ლახმანის ჩათვლით, ანუ XIX საუკუნის ახალი ფილოლოგიის დასაწყისამდე. როგორც ირკვევა, ქართული ტრადიცია შუა საუკუნეების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ დისციპლინას არაერთი მნიშვნელოვანი სიახლით ამდიდრებს.

გ) რიტორიკა, სიტყვის ხელოვნება, და, შესაბამისად, პოეზიის განვითარება, რომლის მწვერვალი იყო „ვეფხისტყაოსანი“. ბერძნულ-ლათინური, ასევე აღმოსავლური წყაროების მიხედვით ცხადი ხდება, რომ სწორედ ანტიოქიას უკავშირდება ქართველების, სომხებისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ხალხთა პირველი ურთიერთობები, ერთი მხრივ, ლათინურენოვან ქრისტიანულ და, მეორე მხრივ, არაბულენოვან (მათ შორის არაქრისტიანულ) კულტურასთან.⁷ ქართული მასალის მიხედვით რიტორიკის საკითხების მონოგრაფიულმა შესწავლამ აჩვენა, რომ ჩვენს ფილოლოგიურ ტრადიციაში სწორედ შავი მთის მოღვაწეთა, კერძოდ, ეფრემ მცირის თეორიულ კომენტარებში დამუშავდა სისტემურად შუა საუკუნეების ლიტერატურის თეორიისა და რიტორიკის ფუნდამენტური საკითხები, ცნებები (კომპოზიცია, იმპროვიზაცია, ჟანრი, ბაძვის თეორია, მშვენიერება) და რომ ეფრემის კომენტარები ბიზანტიის, საზოგადოდ ქრისტიანული აღმოსავლეთის თეორიული აზროვნების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს (ბეზარაშვილი 2004).

ანტიოქიის სამწერლობო-საგანმანათლებლო ცენტრების კომპლექსური კვლევის მიზნით ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში შეიკრიბა მეცნიერთა ჯგუ-

⁶ 2000-2001, 2005-2006 წლებში ჰუმბოლდტის სამეცნიერო გრანტის ფარგლებში პროფესორების, ვ. ბოდერისა (ოლდენბურგი) და ე. მიულენბერგის (გიოტინგენი) ხელმძღვანელობით ვმუშაობდი ძველი ქართული თარგმანების ბერძნული ორიგინალების დადგენის, ქართული ენის ისტორიული სოციოლინგვისტიკისა და ძველი ქართული ფილოლოგიის ცალკეულ საკითხებზე. მინდა უდიდესი მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ წლების განმავლობაში თანადგომისა და სასარგებლო რჩევებისთვის; საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ბატონი ვინფრიდ ბოდერის განსაკუთრებული დახმარება ძველი ქართული ტექსტების გერმანულად თარგმნასა და ზოგადად, მონოგრაფიის როგორც ენობრივ, ასევე შინაარსობრივ გადამუშავებაში. კვლევის შედეგები იხ. Doborjginidze 2000:169-184; Doborjginidze 2003a:149-170; Doborjginidze 2003b:119-140; Doborjginidze 2009b.

⁷ ევროპელი ისტორიკოსები დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ დასავლეთი და აღმოსავლეთი ქრისტიანული სამყაროს უშუალო კავშირებს ჯვაროსნულ ომებამდე. უკანასკნელი პერიოდის კვლევებმა ლათინურენოვანი წყაროების მონაცემებით დაადასტურეს ეს კავშირები. შდრ. Halfter 2008:1-34. ამ ურთიერთობების ამსახველი უცხოენოვანი წყაროები შეიცავს ჩვენი ისტორიისთვის უმნიშვნელოვანეს ცნობებს; ისინი საგანგებო კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ფი,⁸ ადამიანები, რომელთაც საგანგებოდ უმუშავიათ ამ პრობლემის ცალკეულ საკითხებზე. მომდევნო სამი წლის განმავლობაში ეს ჯგუფი რუსთაველის ფონდის სამეცნიერო გრანტის ფარგლებში იმუშავებს თემაზე: „შუა საუკუნეების ქართული საგანმანათლებლო საქმიანობის რეკონსტრუქცია ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით“. პროექტში აქტიურად არიან ჩართულები გერმანიასა და ბელგიაში მოღვაწე ცნობილი ორიენტალისტები; დაგეგმილია ოთხი მონოგრაფიის მომზადება, უცხოელი კოლეგების მონაწილეობით სამუშაო სემინარების ჩატარება, საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწყობა.

ანტიოქიური კოლოფონების პროექტზე მუშაობისას ერთ-ერთ პირველ საკითხად გამოიკვეთა ამ საგანმანათლებლო-მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიული წინაპირობების თუ კონტექსტის შესწავლა. როგორც ზემოთ ვთქვი, ამ კონტექსტის ამსახველი მასალა ჩვენთან ნაკლებადაა შესწავლილი. მომავალი კვლევისთვის, ასევე სათარგმნელად, შერჩეულ იქნა უცხოენოვანი, განსაკუთრებით, ლათინური საისტორიო ქრონიკები. XI-XIII საუკუნეების საქართველოს და ზოგადად კავკასიის ისტორიის ამსახველ უცხოენოვან წყაროებზე, საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობის პრობლემებზე შუა საუკუნეებში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ევროპელი მეცნიერები – პ. პეეტერსი, ბ. ლიმპერი, პ. ჰალფტერი, მ. ვ. ესბროკი, კ. თოდტი. ეს უკანასკნელი ანტიოქიის საპატრიარქოს შესახებ დაწერილ თავის სადისერტაციო ნაშრომში დაწვრილებით ეხება ანტიოქიისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებს (Todt 2005; მისივე 2006:33-80). 1980 წელს დაიბეჭდა ბ. ლიმპერის მონოგრაფია, რომელშიც გაანალიზებულია კავკასიის ხალხთა ისტორიის ამსახველი ლათინური, სპარსული და არაბული წყაროები (Limper 1980). რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ წყაროების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით ლათინურენოვანი, ჩვენში საერთოდ არ არის ცნობილი.

ზემოთ დასახელებული ლათინურენოვანი წყაროების მიხედვით იკვეთება ჩვენი ისტორიისათვის ახალი, უაღრესად საინტერესო პერსპექტივა: ანტიოქია, როგორც მედიატორი, შუამავალი საქართველო-დასავლეთის ურთიერთობაში.⁹

ვალტერიუსის ზემოთ დასახელებული ლათინური ქრონიკა პირდაპირ ამბობს, რომ იერუსალიმის მეფე ბოლდვინ პირველმა და დავით აღმაშენებელმა არა მარტო იცოდნენ ერთმანეთის მოქმედებების შესახებ, არამედ უშუალო კონტაქტებიც ჰქონდათ სწორედ ანტიოქიის სამთავროს, უფრო კონკრეტულად, ანტიოქიის ქართულ სამწიგნობრო კერებში მყოფი ქართველი სასულიერო პირების გზით.¹⁰ ქრონიკა დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ იღებდა მონაწილეობას

⁸ ქ. ბეზარაშვილი, თ. ოთხმეზური, დ. თვალთვაძე, ლ. ხევსურიანი, მ. მაჭავარიანი, ნ. გაბრიჩიძე, თ. სუხიშვილი, ნ. დობორჯგინიძე.

⁹ ეს პერსპექტივა პირველად პ. ჰალფტერის მიერ გაანალიზებულ წყაროებში გამოიკვეთა; ლათინურენოვან წყაროთა მონაცემებს ამჯერად მისი ნაშრომების მიხედვით დავიმოწმებ. იხ. Halfter 2005:109-141; Halfter 2008:1-34.

¹⁰ ეს ქრონიკა ჩვენი ისტორიისთვის უაღრესად საინტერესო, უნიკალურ მასალას შეიცავს. მასში გადმოცემულია დავითის ეპოქის ამსახველი ზოგიერთი აქამდე უცნობი ეპი-

დიდგორის ომში დავით აღმაშენებლის მხარეს ორასი მეომარი ფრანგი ჯვაროსანთა საერთო ლაშქრიდან. ეს დახმარება ჯვაროსანთა მხრიდან იყო მადლიერების გამოხატვა დავითის მიმართ, რომელმაც მათი საერთო მტერი, სელჯუკთა სულთანნი დაამარცხა სამშვილდის ბრძოლაში და ამით როგორც სირიის ჩრდილოეთით მდებარე ანტიოქიის სამთავროს, ასევე ლათინთა იერუსალიმურ სამეფოსაც ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. ქრონიკის ავტორი აქებს ქართველების საბრძოლო გამოცდილებას და დავითისა და მისი დასავლელი მოკავშირეების შეთანხმებულ ქმედებებს. ქრონიკის ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დიდგორის გამარჯვების შემდეგ დავითმა სირიის და ჩრდილოეთ ერაყის მუსულმან სუვერენებს მოსთხოვა იმ ფრანგი ტყვეების გათავისუფლება, რომლებიც ილაშხნა ჩაუვარდნენ ხელში ანტიოქიასთან ბრძოლაში და მიაღწია კიდეც ამას.

ევროპულ სახელმწიფოებთან პოლიტიკური მაკავშირების როლს თამაშობს ანტიოქია ლაშა გიორგის დროსაც. ცნობილია, რომ ლაშა გიორგის იერუსალიმზე გალაშქრება ჰქონდა გამიზნული წმინდა ქალაქის გასათავისუფლებლად. ამასთან დაკავშირებით პაპმა ინოკენტი III-მ სპეციალური გამამხნეველი წერილიც დაწერა ლაშა გიორგისთვის, მაგრამ უშუალოდ ლაშას კი არ სწერს, იგი მიმართავს ანტიოქიის მთავარს და ამ წერილს ოთხ სხვა წერილთან ერთად აგზავნის ანტიოქიის სამთავროში, როგორც მაკავშირებელთან. როგორც ირკვევა, ეს წერილები ანტიოქიაში მყოფი ქართველი ბერების მეშვეობით აღწევდა ადრესატამდე (Halfter 2008:18-34).

პ. ჰალფტერის ამავე კვლევამ დაადასტურა, რომ ლაშა-გიორგის განზრახვის შესახებ ყველა იყო ინფორმირებული: პაპმა ჰონორის მესამემ მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს (1217-22 წ.) ფრანგი და გერმანელი ეპისკოპოსები გააფრთხილა, რომ კარდინალი პელაგიუსი ელჩებს აგზავნიდა საქართველოში, რათა ამ მეომარ ხალხს სისრულეში მოეყვანა კეთილი განზრახვა, დახმარებოდნენ ჯვაროსნებს. აქვე პ. ჰალფტერი იმოწმებს დაახლოებით ერთსა და იმავე პერიოდში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაწერილ ორ ლათინურ წყაროს, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ეს ელჩები მართლაც ანტიოქიის სამთავროს უშუალო დახმარებით ჩამოსულან საქართველოში და ლაშასგან პირობა მიუღიათ. ქართველების ეს გეგმა ვერ განხორციელდა და პაპმა ჰონორის მესამემ ამის მიზეზი გეგმის ჩავარდნიდან ორი წლის თავზე შეიტყო მეფე რუსუდანიის წერილიდან, რომელიც ბოდიშს იხდიდა, მონღოლები გამოჩნდნენ და იძულებული ვიყავით მათ შეებრძოლებოდითო. რუსუდანიის წერილები ჰონორის მესამესთან ისევ ანტიოქიის გზით ჩასულა.

ის, რომ ჯვაროსნული ომების დროს ქართველებსა და ევროპელებს შორის ურთიერთობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა შესაძლებელი იყო, დადასტურებულია არაერთი ლათინურენოვანი წყაროს მიხედვით. ანტიოქია ამ ურთიერთობებისთვის ყველაზე მოსახერხებელი ადგილი ჩანს. ოლივერის ზემოთ დასახელებული

ზოდი. ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ზემოთ დასახელებული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში დაიბეჭდება ამ წყაროს ქართული თარგმანი და მის შესახებ გამოკვლევა.

ბული ლათინური წყარო უშუალოდ ადასტურებს, რომ ანტიოქიაში შესაძლებელია ქართველებთან კონტაქტი პირდაპირ ან მთარგმნელის მეშვეობით. მისთვის მოულოდნელი ყოფილა იმის აღმოჩენა, რომ ქართველები ბერძნულ დამწერლობას კი არ იყენებენ, საკუთარი ანბანური დამწერლობა და მდიდარი ლიტერატურა აქვთ.¹¹ სამართლიანად მიაჩნია პ. ჰალფტერს ამგვარი კონტაქტები დიდი ისტორიული კონტექსტის ნაწილად, რომლის კონცეპტუალურ საკითხებს თუ კონკრეტულ დეტალებს მხოლოდ ამ წყაროთა გამოწვლილვით შესწავლა წარმოაჩენს (Halfter 2008:10-12).

როგორც ზემოთ ვთქვი, დაგვეგმილია ამ და სხვა უცხოენოვანი ქრონიკების მოძიება და ქართულად თარგმნა, ევროპელი მეცნიერების, პირველ რიგში, პ. ჰალფტერის უშუალო მონაწილეობით ანტიოქიის კოლოფონების პროექტის გაფართოება სწორედ ამ ტიპის ურთიერთობების ამსახველი ბერძნულ-ლათინური წყაროების კვლევისა და ქართულად თარგმნის მიზნით.

უდიდესი გულისტკივილით მიხდება დღეს იმის თქმა, რომ საისტორიო მიმართულებით ამ პროექტის გაფართოება დაგვეგმილი იყო შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსის, ლელა პატარიძის აქტიური მონაწილეობით. 2006-2007 წლებში, როცა ამ პროექტის საკვლევი პრობლემატიკა გამოიკვეთა და ლათინურენოვანი წყაროები მოვიძიეთ, ლელა ჯერ არ იყო ჩვენი თანამშრომელი, თუმცა აქტიურად იყო ჩართული საისტორიო მიმართულების სემინარებში. სწორედ ლელას ხელმძღვანელობით იგეგმებოდა უცხოენოვანი წყაროების კვლევა და თარგმნა. ჩვენ მივწერეთ კიდევ ამ საკითხებზე მომუშავე გერმანელ და ბელგიელ ისტორიკოსებს და გვქონდა თანხმობა, რომ აქტიურად ითანამშრომლებდნენ ამ პროექტში. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლო იყო ლელა პატარიძესთან, ქართული პირველწყაროების შესანიშნავ მკოდნესთან და მკვლევართან, ურთიერთობა.

წარმოდგენილ სტატიაში ამ წყაროების ასე ზოგადად მიმოხილვას ერთი მიზანი ჰქონდა: მოკლედ, ფრაგმენტულად მაინც მეჩვენებინა, რომ ანტიოქიის საგანმანათლებლო ცენტრებში ქართული ფილოლოგიური აზროვნების სისტემატიზაციას დიდი ისტორიული საფუძველი ჰქონდა; როგორც ჩანს, ანტიოქია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ცხოვრებაში. ვფიქრობ, ანტიოქიური სამწერლობო კერების, ასევე ანტიოქიის შესახებ არსებული უცხოენოვანი წყაროების კომპლექსური შესწავლა ჩვენი ისტორიული, კულტურული და რელიგიური ცხოვრების არაერთ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს. როგორც ვთქვი, დაგვეგმილი კვლევა კონცენტრირებულია ფილოლოგიური მეცნიერების

¹¹ შდრ."Georgiani et Greci per omnia concordant in officiis divinis, sed Georgiani litteram habent propriam, quorum codices in monte sancte Symeonis in columpna, ubi propriam habent ecclesiam, diligenter inspicientes per interpretem intelleximus, eos eundem ordinem ewangeliorum habere, quem habent Latini, canones etiam ewangeliorum per columpnellas arcuatas sicut et nos. Epistolarum Pauli idem prosus apud eos est ordo cum nostro, omnibus aliis epistolam Pauli ad Romanos premittunt“ (ციტატა დამოწმებულია პ. ჰალფტერის პუბლიკაციის მიხედვით, გვ. 6).

სისტემატიზაციის ისტორიაზე, მაგრამ ეს ისტორია იზოლირებულად არ არსებობს და მისი გამოწვევით შესწავლა არაერთ მნიშვნელოვან კითხვას დასვამს, აქამდე უცნობ წყაროს გამოავლენს.

ლიტერატურა

- ბეზარაშვილი 2004:** ქ. ბეზარაშვილი, რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ლვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით, თბილისი.
- Boeder 1983:** Boeder W., Die georgischen Mönche auf dem Berge Athos und die Geschichte der georgischen Schriftsprache, in *Bedi Kartlisa*. Revue de Kartvélogie 41, Paris.
- Boeder W.**, Sprache und Identität in der Geschichte der Georgier, in: B. Schrader - Th. Ahbe (edd.), *Georgien im Spiegel seiner Kultur und Geschichte*. Zweites Deutsch-Georgisches Symposium: Vortragstexte. Berlin 1998, pp 68-81.
- დანელია 1983:** კ. დანელია, პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციები. ეფრემ მცირის რედაქცია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი.
- ნ. დობორჯინიძე**, ფსალბუნთა გამოკრებული თარგმანება და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების საკითხები, სადისერტაციო ნაშრომი.
- Doborjginidze N.**, Die identitätsbildende Funktion der Sprache und Übersetzungsprobleme bei den altgeorgischen Exegeten”, in: U.-Chr. Sander –F. Paul (edd.), *Muster und Funktionen kultureller Selbst- und Fremdwahrnehmung*. Beiträge zur internationalen Geschichte der sprachlichen und literarischen Emanzipation. Göttingen, S. 169-184.
- Doborjginidze 2003a:** Nino Doborjginidze, Einige Fragestellungen der Volkssprachenemanzipation im östlichen Christentum des Mittelalters, *Oriens Christianus*. Hefte für die Kunde des christlichen Orients, Bd. 87.
- Doborjginidze 2003b:** Nino Doborjginidze, Die Argumente gegen die Bibelübersetzung in die Volkssprache und ihre Nachwirkung auf die Entwicklung des Georgischen in den 10.-12. Jh., in: Winfried Boeder (ed.): *Kaukasische Sprachprobleme*. Beiträge zu den Kaukasistentagungen in Oldenburg 1995-2001 (= Caucasia Oldenburgensia 1). Oldenburg: Bibliotheks- und Informationssystem der Universität Oldenburg.
- Doborjginidze N., *Die georgische Sprache im Mittelalter*. Reichert-Verlag, Wiesbaden.
- Van Esbroeck M.**, Une Liste des Apôtres dans le Codex géorgien 42 d’Ivion, in *Analecta Bollandiana*, 86(1968), p. 139-150.
- თვალთვაძე 1997:** დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირე – ბიზანტიური მწერლობის კომენტატორი, სადისერტაციო ნაშრომი.
- კეკელიძე 1956:** კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში. *ეტიუდები*, I, თბილისი
- კეჭალაძე, რაფაეა 1983:** ნ. კეჭალაძე, მ. რაფაეა, ამონიოს ერმისის თხზულებები ძველ ქართულ მწერლობაში, თბილისი.
- Limper 1980:** Bernhard Limper, *Die Mongoler und die christlichen Völker des Kaukasus*, Köln.
- მელიქიშვილი 1993:** დ. მელიქიშვილი, გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა. ძირითადი მიმართულება და სააზროვნო-ლიტერატურული ინტერესები. ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე 1; 2.
- მელიქიშვილი 1999:** დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილისოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბილისი.

მელიქიშვილი 1987: ნ. მელიქიშვილი, რამდენიმე დაკვირვება ეფრემ მცირისა და ექვთიმე ათონელის მთარგმნელობით მეთოდზე, *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია (1987), 4, თბილისი.

მეტრეველი 1996: ე. მეტრეველი, ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი.

მეტრეველი 2007: ე. მეტრეველი, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძეგანი*, რედ. თ. ოთხმეზური, თ. ცერაძე, თბილისი.

ოთხმეზური 2005: თ. ოთხმეზური: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, სადისერტაციო ნაშრომი.

Peeters P., La première traduction latine de "Barlaam et Joasaph" et son original grec, in: *Analecta Bollandiana*, 49 (1931), p. 276-312.

ქაროსანიძე 1998: ლ. ქაროსანიძე, დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება“ და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება, თბილისი.

სარჯველაძე 1984: ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.

Shanidze M., An Old Georgian Grammatical Treatise in a Collection of Homilies Attributed to John Chrysostom, *Bedi Kartlisa*. *Revue de Kartvélogie* 42: 53-68.

Todt 2005: Todt K.P., *Region und griechischorthodoxes Patriarchat von Antiochia in mittelbyzantinischer Zeit und im Zeitalter der Kreuzzüge (969-1204)*, Wiesbaden.

Todt 2006: Todt K.P., Griechisch-orthodoxe (Melkitische) Christen im zentralen und südlichen Syrien. Die Periode von der arabischen Eroberung bis zur Verlegung der Patriarchenresidenz nach Damaskus (635-1365); in: *Le Muséon Revue. D' Études Orientales*, Tome 119 (2006).

შანიძე 1990: მ. შანიძე, სიტყვა ართონთათჳს – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბილისი.

ზარანაული 2005: ა. ზარანაული, ძველი აღთქმის ხანმეტი ფრაგმენტები და ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიის საკითხები. დისერტაციის ავტორეფერატი.

Hagemeyer H., *Galterii Cancelarii Bella Antiochena*, Innsbruck 1986.

Halfter 2005: Halfter P., Das Papsttum und das Königreich Georgien in der ersten Hälfte des 13. Jahrhunderts. Die Bemühungen um eine Koordination der Kreuzzugsaktivitäten und die Aufforderung zur Kirchenunion im Lichte der lateinischen Quellen, in *Le Muséon, Revue D' Études Orientales*. Tome 118 (2005), p. 109-141

Halfter 2008: Halfter P., Von den Kreuzfahrerstaaten in das Königreich Georgien, in: *Le Muséon. Revue D' Études Orientales*. Tome 121 – Fasc. 3-4, Louvain-La-Neuve.

Hoogeweg H., *Schriften des Kölner Domscholasters, späteren Bischofs von Paderborn und Kardinalbischofs von S. Sabina Oliverus*, hg. von H. Hoogeweg, Tübingen 1894.

From the History of Old Georgian Philology
(The Role of the Kingdom of Antioch in the
Political and Cultural-Educational Processes of XI-XII cc.)

Summary

The article deals with the political and cultural preconditions preceding the systematization of philological activity in the Antioch Georgian translation school. It also discusses Medieval Latin chronicles connected with Antioch. It turned out that the relationship with Antioch was not only of religious-educational nature but also of great historical-political importance. On the basis of researches made by the European scholars and the Latin sources created in Antioch, it is shown that in XI-XII centuries Antioch played the mediating role between Georgia and Europe. The article discusses Latin sources reflecting these relations:

1. The chronicle by Oliver, a scholastic from Keln, written after the Fifth Crusade.
2. The chronicle under the name of *Bella Antiochena* by Valterius, a Chancellor of Roger from Antioch, a ruler of Antioch.

The article analyses the process of systematization of Old Georgian philological activity on the basis of research results achieved by P. Halfter, K.P. Todt and foreign language (Latin, Persian, Arabic) sources describing the history of the Caucasus.

**სინონიმური პარალელიზმი ქართული ოთხთავის
ორ კვლ და ორ ბოლო რელაქციაზე**

სინონიმია ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ერთი და იმავე შინაარსის სხვადასხვა ნიშნით გამოხატვას გულისხმობს და მისი არსი მნიშვნელობათა სრულ ან ნაწილობრივ დამთხვევაში მდგომარეობს (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990:446). სინონიმთა წარმოქმნის სხვადასხვა მექანიზმთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიტყვათა სესხებას. „უცხოური სიტყვისა და მისი „დამხვდური“ ეკვივალენტის ერთობლიობა ქმნის სინონიმებს“ (ძიძიგური 1982:51). უმრავლეს შემთხვევაში ამგვარი სინონიმური წყვილები ერთი წინადადების ფარგლებში იხმარება, რაც ლინგვისტიკაში „სინონიმური პარალელიზმის“ სახელით არის ცნობილი (ძიძიგური 1941:57). ერთ გარკვეულ კონტექსტში ერთმანეთის გვერდი-გვერდ ნახმარი სინონიმურ წყვილთა ცალები ხშირ შემთხვევაში დამაზუსტებელ როლს ასრულებენ და მრავალმხრივ ახასიათებენ ცნებას (დანელია 1998:472; გამყრელიძე 1979:367). ამიტომ, მათი გამოყენება ტექსტში უმეტესწილად მხატვრული მიზნით არის განპირობებული, რაც გადმოსაცემი შინაარსის გაძლიერებას და ემოციურ გამოხატვას ემსახურება (დანელია 1998:473).

სახარების ტექსტში სინონიმურ წყვილებში უმეტესწილად ნასესხები ლექსემები შეინიშნება და მათი ფარდი ქართული ეკვივალენტები ერთგვარი განმარტებლის როლში გამოდიან, რაც უცხოური სიტყვის დანერგვის ერთგვარ საშუალებად მიიჩნევა (ძიძიგური 1941:57).

სინონიმური პარალელიზმის ხმარების რამდენიმე შემთხვევა გამოიყოფა. კერძოდ: ა) სინონიმურ წყვილთაგან ერთი წევრი უცხოური წარმომავლობისაა, ხოლო მეორე საკუთარი ენის ფონდის კუთვნილებას წარმოადგენს, ბ) სინონიმური წყვილის ორივე წევრი ნასესხებია, გ) სინონიმური წყვილის ორივე წევრი საკუთრივ ქართული წარმოშობისაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, განვიხილავთ სინონიმურ წყვილთა ხმარების შემთხვევებს ქართული ოთხთავის ორი ძველი და ორი ბოლო რედაქციების მასალის მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია DEC და GHIK რედაქციებით (შანიძე 1945:9).

ა) სინონიმურ წყვილთა შორის ერთი წევრი ნასესხებია, მეორე კი საკუთარი ენის ლექსიკური ფონდიდან არის.

სანთელი – ლამპარი:

მოვიდა მუნ *სანთლებითა*, *ლამპრებითა* და საჭურველითა,
ლ. 8, 16 DECFGHIK.

იხ. აგრეთვე: ი. 18, 3.

სა-ნთ-ელ-ი ქართველური *ნათ- ძირიდან მომდინარეობს. ქართულ ნათ- ძირს შესატყვისება მეგრ. *ნთ-* და ლაზ. *ნთ-*. შესატყვისობები ვლინდება

აღნიშნული ძირების სემანტიკაშიც (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). სანთელი განიმარტება, როგორც „აღსანთებელი“ (საბა 1993); „პატრუქზედ ჩამოსხმული ცვილი ან ქონი ასანთებად, СВЕТИЛЬНИК, СВЕЧА“ (ჩუბინაშვილი 1961); „ლამპარი, კანდელი“ (აბულაძე 1973).

ლამპარი ბერძნული λαμπάς, λαμπάδιος-იდან არის ნასესხები, რომელიც განიმარტება, როგორც „ჩირაღდანი, სანთელი; მანათობელი...“ (დვორეცკი I 1958); „სანათი, გინა ფანარი“ (საბა 1991); „ასანთებელი კანდელი, СВЕТИЛЬНИК“ (ჩუბინაშვილი 1961); „სანთელი, ან კანდელი“ (აბულაძე, 1973). ლამპარი ბერძნულში პოლისემიური ლექსემაა, ხოლო ოთხთავში იგი მხოლოდ „სანთლის“ მნიშვნელობით არის შემოსული.

ლამპარი//სანთელი ოთხთავის ორ ძველ რედაქციაში მხოლოდ აღნიშნულ მაგალითებში გვაქვს (ლ. 8, 16; ი. 18, 3) სინონიმური პარალელიზმის სახით, რომელსაც ბერძნულში ერთი ლექსემა λάμπας გადმოსცემს.

ბრწყინვალე – სპეტაკი:

სამოსელი მისი იქმნა *მბრწყინვალე* და *სპეტაკ* ვითარცა თოვლი, მრ. 9, 3 DE;

სამოსელი მისი იქმნა *ბრწყინვალე*, *სპეტაკ* ფრიად, C.

ბრწყინვალე ქართველური *ბერწყ-/ბრწყ- ძირიდან მომდინარეობს და განიმარტება, როგორც „საჩინო, გინა თეთრი ელვარე, გინა თეთრი საჩინო“ (საბა 1991); „ელვარე, ბზინვარე, ანუ ნათლის ფერი, СВЕТЛЫЙ“ (ჩუბინაშვილი 1961); „ნათელი“ (აბულაძე 1973).

სპეტაკი ფალაური spēt/spētak სიტყვიდან არის ნასესხები (ანდრონიკაშვილი 1966:372-373) და ნიშნავს „თეთრს“ (საბა 1991; აბულაძე 1973; იმნაიშვილი 1986). ბერძნულში სპეტაკს გადმოსცემს ლექსემა λευκί, λευκά „თეთრი“ (დვორეცკი 1958). ე. დოჩანაშვილის განმარტებით, მოხმარების თვალსაზრისით სპეტაკსა და თეთრს შორის ნიუანსობრივი განსხვავება იჩენს თავს: „სპეტაკს ხმარობენ ძალიან ნათელისათვის, ელვარისათვის“ (დოჩანაშვილი 1955:188).

ბრწყინვალე და სპეტაკი სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება მრ. 9, 3-ში, რომლებსაც ბერძნულში ერთი ლექსემა λευκί „თეთრი,“ (დვორეცკი 1958) გადმოსცემს. ბრწყინვალე, როგორც აღინიშნა, „ნათლის ფერს, ნათელს“ ეწოდება, ხოლო მისი მომდევნო ლექსემა სპეტაკი ასევე „ძალიან ნათელს“ გულისხმობს, რაც თვისების ყველაზე მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

რაბი – მოძღუარი:

პრქეუს მას: *რაბი*, რომელ ითარგმანების: *მოძღუარ*, სადა იყოფი, ი. 1, 38 DECFGHIK.

რაბი//რაბბუნი: (ებრ. რაბ, სირ. რაბი, ბერძნ. ῥαββί, სომხ. რაბბი). ეს სიტყვა ბერძნულის გზით არის შემოსული ქართულში „დიდის ბატონის და შემდგომ მოძღვარ-მასწავლებლის მნიშვნელობით“ (დანელია 1998:140). კ. დანელია აღნიშნავს, რომ რაბი ფორმაში „ე ქართული სახელობითის ნიშანი კი არ არის, არამედ ებრაული, სირიული კუთვნილებითი ნაცვალსახელი „ჩემი“ ე.ი. რაბ-ი =

„მოდღარი ჩემი“. ადრე მას საპატიო მწიგნობართ ეძახდნენ, შემდგომ ახალ აღ-
თქმაში იოანე ნათლისმცემლისა და ქრისტეს მიმართ იხმარება“ (დანელია
1998:140). მაშასადამე, რაბი „ებრაული სიტყვაა, = მასწავლებელს“ (იმნა-
იშვილი 1986).

მო-ძღუ-არი საერთო-ქართველური *ძელ-/ძლ- ძირიდან მომდინარეობს.
ქართულ ძელუ-/ძლუ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. ჯლ-/ნჯლუ-
ლაზ. ნჯლ- და სვან. ჟლ-/ჟლლ-, რომელთა სემანტიკა არის „გაგზავნა; გაძლოლა;
გასწრება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). **მოდღარის** ამოსავალი მნიშვნე-
ლობაც „გასწრებას“ უკავშირდება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). **მოდღარი**
განიმარტება, როგორც „ოსტატი“ (საბა 1993); „მასწავლებელი, დამრიგებელი,
მწუროთნელი, учитель, наставник. //ალსარებისა ან განდობის მამა, ДУХОВНИК,
ОТЕЦ ДУХОВНЫЙ“ (ჩუბინაშვილი 1961; იმნაიშვილი 1986). **მოდღარი** მოხმობილ
მაგალითში (ი. 1, 38), როგორც მისი ებრაული ეკვივალენტი (რაბი),
„მასწავლებელს, დამრიგებელს“ ნიშნავს.

აბბა/აბა – მამა:

აბა, (აბბა, C) *მამაო* ჩემო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ, მრ. 14,
36.

აბბა/აბა: (ებრ. ab, სირ. abā, ბერძნ. ἄββᾶ). ეს სიტყვა სემიტური ძირის
მქონეა, რომლის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა უცნობია. საზოგადოდ აღნიშნავს
მამას, წმინდა და სულიერ მამას; ტომის, ხალხის მამამთავარს (აბულაძე, 1973;
იმნაიშვილი 1986; დვორეცკი 1958). მოგვიანებით კი პატივისცემის გამოძხატ-
ველ ეპითეტად იქცა. ებრაულიდან ბერძნულში შემოსული ἄββᾶ ახალი აღთქმის
წიგნებში სინონიმადაა ნახმარი πᾶτῆρ-ისა და ორივე გვერდი-გვერდ გამოიყენება,
როგორც სინონიმური წყვილი (დანელია 1998:144).

მამა საერთო-ქართველური *მამ- ძირიდან მომდინარეობს (ფენრიხი, სარ-
ჯველაძე 2000) და პოლისემიური ლექსემაა. „მამა არს ღმერთი დამბადებლო-
ბითა, მამა არს შემქმნელი; მამად ითქმნიან მოძღვარი, მღ(ვრ)დელი, აღმზრდე-
ლი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი“ (საბა 1991; ჩუბინაშვილი 1961). დასახელე-
ბულ მაგალითში (მრ. 14, 36) **მამა** „მოდღარს, მასწავლებელს“ გულისხმობს.

ბრძენი – მეცნიერი:

დაჰფარე ესე *ბრძენთაგან* და *მეცნიერთა* და გამოუცხადე ესე ჩჩვლთა, მ.
11, 25 DEC.

იხ. აგრეთვე: ლ. 10, 21.

ბრძენი მომდინარეობს საშ. სპარსული სიტყვიდან *frāzānak* „ბრძენი,
მეცნიერი“ (ანდრონიკაშვილი 1966:296). **ბრძენი** განიმარტება, როგორც „დიდად
ჭკვიანი“ (საბა 1991); „ფრიად გონიერი, ანუ მეცნიერი, мудрый, премудрый“
(ჩუბინაშვილი 1961; აბულაძე, 1973). **ბრძენს** ბერძნულში შეესატყვისება
ლექსემა φρόσιμος „გონიერი, ბრძენი, ჭკვიანი“ (დვორეცკი 1958).

მე-ცნ-იერი ქართველური *ცან-/ცნ- ძირის შემცველია (ფენრიხი, სარჯვე-
ლაძე 2000), რაც ნიშნავს „მცნობელს“ (საბა 1991). „სწავლულს, გამოცდილს
სწავლათა შინა, учёный // ნაცნობს, знакомый“ (ჩუბინაშვილი 1961). ჩვენ

მასალის მიხედვით მცნეიერი „მცოდნეს, სწავლულს“ ნიშნავს. მ. 11, 25 მაგალითში სინონიმური პარალელიზმის ფორმით წარმოდგენილი წყვილი ბრძენი//მცნეიერი ბერძნულში გადმოიცემა ერთი ლექსემით φρόνιμος „გონიერი, ბრძენი, ჭკვიანი“ (დვორეცკი 1958).

ბ) სინონიმურ წყვილთა წევრები საკუთრივ ქართული წარმომავლობისაა **მცნება – სწავლა – მოძღურება – ქადაგება**

მცნება – მოძღურება – სწავლა:

დაგიტევებიეს მცნებაი ღმრთისა და გიპყრიეს მოძღურებაი კაცთაი, მრ. 7, 8 DE;

დაგიტევებიეს მცნებაი ღმრთისა და გიპყრიეს სწავლაი კაცთაი, C.

იხ. აგრეთვე: მრ. 7, 9;

მცნება ქართველური *მცენ-/მცნ- ძირის შემცველი ლექსემაა, რომლის ამოსავალი სემანტიკა არის „დაბარება; შეტყობინება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). მცნება რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს: 1. „მცნება, საკუთრად: ათნი საუფლონი მცნებანი, ღვთისა მიერ მიცემულნი მოსესადმი, десять заповедей“; 2. „ბრძანება, აკრძალვა“; 3. „ნიშანი“... მცნება დასახელებულ კონტექსტებში (მრ. 7, 8; 7, 9) უფლის მიერ დანაბარებ „ათ მცნებას“ აღნიშნავს, რომელსაც ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა επιτολή „მცნება, ათი მცნება, ბრძანება; შეტყობინება“ (დვორეცკი I 1958).

სწავლა ქართველური *წავ ძირიდან მომდინარეობს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000) და რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს: სწავლა 1. „არს რაი(ც) არა იცოდეს, უთხრას და სწვართოს“; 2. „სწავლა არს ქადაგება“; 3. „ხოლო სხვა სწავლა არს საკანონოდ შოლტის მიღება, ვითარცა წერილ არს 2, 12 ფსალმ., 23, 16-22 ლუკა: „ესწავლო ეგე და განუტეო“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ჩუბინაშვილი 1961; აბულაძე, 1973; იმნაიშვილი 1986). სწავლას ბერძნულში გადმოსცემს ლექსემა διδάχη „სწავლა; დარიგება, ჭკუის სწავლება; ქადაგება“ (დვორეცკი I 1958).

მოძღურება, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთოქართველური *ძელუ-/ძლ- ძირიდან მომდინარეობს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). მოძღური ნიშნავს „დამრიგებელს, მასწავლებელს“, ხოლო აბსტრაქტული სახელი მოძღურება კი განიმარტება, როგორც „სწავლება, დარიგება, учение, наставление, предание (ჩუბინაშვილი 1961), რომელსაც ბერძნულში ეფარდება διδασκα, διδαχή „სწავლა, დარიგება, ქადაგება, მოძღვრება; სწავლება, რჩევა-დარიგება“ (დვორეცკი 1958). მცნება//მოძღურება//სწავლა მოხმობილ კონტექსტებში ერთი წინადადების ფარგლებში იხმარებიან, რომლებიც განირჩევიან შემდეგი მნიშვნელობათა ნიუანსებით. თუ მცნება ღვთის მიერ დანაბარებ ათ მცნებას აღნიშნავს, მოძღურება და სწავლა ადამიანის – მოძღვრის, მასწავლებლის „დარიგებას, სწავლებას“ გულისხმობს.

სწავლა – ქადაგება:

რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა თვსთა, წარვიდა მიერ ქადაგებაი და სწავლაი ქალაქებსა მისსა, მ. 11, 1 DEC.

ქდაგება: 1. „მაღლის ხმით სწავლება“; 2. „განთქმა, ხმის დაგდება“ (საბა 1993; ჩუბინაშვილი 1961). **ქდაგება** მოხმობილ კონტექსტში პირველ მნიშვნელობას „სწავლას“ შეიცავს. მ. II, 1 მაგალითში ლექსემები **ქდაგება//სწავლა** სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება, სადაც **ქდაგება** მეტი ექსპრესიული შინაარსის შემცველია ანუ იგი **მაღალი ხმით** „სწავლებას, მოძღვრებას“ გულისხმობს.

ბორკილი – საკრველი – ჯაჭუ:

მრავალ გზის **ჯაჭუთა** და **ბორკილითა** შეკრულ იყო იგი, მრ. 5, 4 DE;

შებორკილიან იგი **ჯაჭუთა** და **საკრველითა**, C.

იხ. აგრეთვე: ლ. 8, 29.

ჯაჭუ ქართული ***ჯაჭუ**- ძირიდან მომდინარეობს. „ქართული **ჯაჭუ**- ძირის მეგრული ეკვივალენტია **ძეწკვ**- (***ძოწკვ**- უმლაუტის შედეგად)“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). ზოგიერთი მკვლევარი ამ სიტყვას მეგრულ-ჭანურიდან ნასესხებად მიიჩნევდა (ჩიქობავა 1942:129-130; როგავა 1951:96-97; კლიმოვი 1964:237), მაგრამ ბ. გიგინეიშვილის მტკიცებით, ამ სიტყვის ზანიზმად მიჩნევა გამართლებული არ არის და იგი ქართული წარმომავლობისაა (გიგინეიშვილი 1967:741).

ჯაჭუ რამდენიმე მნიშვნელობას შეიცავს. იგი არის „რკინისა და სხვათა მეტალლოთაგან შექმნილი თვალი ან რგოლი ერთიმეორეში გაყრილნი აბჯართა და ჯავშანთანი, броня. // შესაბორკილებელი ამგვარადვე შექმნილი, цепь, верига. // ცანდა, ქვაბთ საკიდარი. // ძეწკვი, ანუ შიბა თვალმარგალითით ასხმული გულზედ და მხარზედ ჩამოსავლები, რომელსა ეწოდების მანიაკი და ფარღული, цепь, цепочка“ (ჩუბინაშვილი 1961). მოხმობილ კონტექსტებში **ჯაჭუ** ნიშნავს „ბორკილს“ (აბულაძე 1973).

ბორკილი-ი ქართველური ***ბარკ**- ძირიდან მომდინარეობს „მეგრული ***ბორკ**- კანონზომიერად შეესატყვისება **ბარკ**- ფორმას. მეგრული **ბორკილი**-ი „ფეხი“... ბორკილ ფუძე, რომელიც უძველეს წერილობით ძეგლებშია დადასტურებული, მეგრულიდან და ლაზურიდან არის ნასესხები (გონიაშვილი 1940: 594). ძველ ქართულში **ბარკაღ**- ფუძე „**ფეხსაც**“ აღნიშნავდა: იგი კელობდა ბარკლითა, შესაქ. 32, 33. მისი ძირითადი მნიშვნელობა **ბარკაღი** ძველსა და ახალ ქართულში მეორეული ჩანს. აღსანიშნავია, რომ „ძველ ქართულში **ბორკილი**- სიტყვის სინონიმია **საკრველი**“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). **ბორკილი** განიმარტება შემდეგნაირად: „ფერხთ შესაკრავი“ (საბა 1991); „ფეხთ შესაკრავი ჯაჭვი რკინისა“ (ჩუბინაშვილი 1961).

საკრველი-ი იწარმოება „საერთო-ქართველური ***კარ**-/**კრ**- ზმნური ძირიდან“, რომლის სემანტიკაც „შეკვრას“ უკავშირდება. „შეკვრის“ მნიშვნელობით ეფარდება მას ქართველურ ენათა ძირები მეგრ. **კირ**-, ლაზ. **კორ**-/**კირ**- (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). **საკრველი** განიმარტება, როგორც „შესაკრავი“ (საბა 1993); „რაიც რამ შესაკრავია, узы, оковы“ (ჩუბინაშვილი 1961); „ბორკილი“ (აბულაძე 1973).

მაშასადამე, სინონიმური მიმართებები საკუთრივ ქართული წარმომავლობის ლექსემებს შორის გვაქვს. ჩვენი მასალის მიხედვით წყვილის პირველი წევრი **ჯაჭუ** აღნიშნავს რკინის რგოლებისაგან დამზადებულ ადამიანის ფიზიკური მოძრაობის შემზღუდავ საგანს, ხოლო მომდევნო ლექსემები ბორკილი/საკრველი აკონკრეტებენ, რომ ეს საგანი გამოიყენება ფეხების შესაკრავად. დასახელებულ წყვილებს ბერძნულში ეფარდება მხოლოდ ერთი ლექსემა διάνσσιον „ჯაჭვი“ (დვორეცკი 1958).

გ) სინონიმურ წყვილთაგან ორივე წევრი ნასესხებია

პარაფსიდი – პინაკი:

განსწმედ გარეშესა სასუმელისა და *პარაფსიდისა* და *პინაკისა*, მ. 23, 25

K.

პარაფსიდი//პარაფსიტი ნასესხებია ბერძნული παροψίν ფორმიდან და განიმარტება, როგორც „ლანგარი, სინი ან თასი, ფიალა, ჯამი“ (დვორეცკი II 1958); „საკმეველის ჭურჭელი“ (საბა 1991); „პინაკი, ბაღია ან სინი, ნიუდი“ (ჩუბინაშვილი 1961); „თეფში, ჭურჭელი“ (იმნაიშვილი 1986).

პინაკი ფარდია ბერძნული სიტყვისა πίναξ, რაც განიმარტება შემდგენაირად: „დაფა, ფიცარი, ფოდნოსი, ან ლანგარი“ (დვორეცკი, II 1958); „დიდი ჯამი ან თეფში ხისა, ნიუდი“ (ჩუბინაშვილი 1961); „თეფში“ (აბულაძე 1973).

ბერძნულიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულები **პარაფსიდი** და **პინაკი** სინონიმური პარალელიზმის სახით დასტურდება ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქციის ნუსხაში, რომელთაც ბერძნულში ეფარდება მხოლოდ ერთი ლექსემა παροψίν. ისინი ორივე „ლანგარს, ჯამს აღნიშნავენ“, ოღონდ **პინაკი** ხისგან დამზადებულ „დიდ ჯამს“ აღნიშნავს. ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით, ოთხთავის ამ ადგილას ჯერ ერთ-ერთი ამათგანი იყო, შემდეგ მოუნდომებიათ მისი შეცვლა მეორე სინონიმური ცალით, იგი მიუწერიათ გვერდით, მაგრამ პირველის წაშლა და ამოღება დავიწყებიათ და გადამწერს ორივე ფორმა გადაუწერია უპრეტენზიოდ (იმნაიშვილი 1979:359).

კინსონი – ხარკი:

მიჩუენეთ მე კინსონისაჲ ხარკისაჲ, მ. 22 19.

კინსონი ლათინური census ფორმიდან მომდინარეობს (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990). ბერძნულში მისი შესატყვისია κῆπος „ხარკი“ (დვორეცკი II 1958) ფორმა. ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით, „ეფთვიმეს, როგორც ჩანს, თავის რედაქციაში ჯერ **კინსონი** შეუტანია უთარგმნელად, შემდეგ იქვე მიუწერია მისი თარგმანი – ხარკისაჲ, ხოლო ბერძნული **კინსონისა**-ს ამოშლა დავიწყებია, ან κῆπος უბრალოდ მიუწერია გვერდით იმის საჩვენებლად, რომ ამის თარგმანია „ხარკისაჲ“-ო და ღარჩა მერმე წაუშლელი“ (იმნაიშვილი 1979:87).

შესაძლოა, ლექსემა **კინსონი** ლათინურში თავდაპირველად ფულის, მონეტის სახეობას წარმოადგენდა, როგორც ასარი, კოდრატი და სხვ. სავარაუდოა, რომ ხარკის გადახდა ამგვარი მონეტის (census) სახით ხდებოდა, ხოლო შემდგომ მას უნდა შესძენოდა ზოგადად ხარკის, „გადასახადის“ მნიშვნელობა.

ხარკი განიმარტება, როგორც „სამეუფო ხარჯი, დებულება, ასაღები (საბა 1993; ჩუბინაშვილი 1961); „გადასახადი, გადასახდელი“ (იმნაიშვილი 1986). **ხარკი** არაქართული წარმოშობის მქონე სიტყვაა. მაშასადამე, იგი რომელიმე უცხო ენიდან უნდა იყოს შეთვისებული ქართულში.

ზმნური სინონიმების პარალელურად ხმარებისას წყვილის ერთ-ერთი წევრი, უმეტესწილად მეორე, უფრო მეტი გამომხატველობითი და ესპრესიული შინაარსის შემცველია. **ტირილის სემანტიკის** შემცველ სინონიმურ ზმნებში დომინანტი წევრია **ტირილი**, ხოლო მწკრივის მომდევნო წევრები ექსპრესიული ნიშნის მატებით ემიჯნებიან მას.

ტირილი – გოდება – ტყება – გლოვა

ტირილი – გოდება – ტყება:

მისდევდა მას სიმრავლე ერისად მის და დედებისად რომელნი *ტიროდეს* და *ეტყებდეს* მას, ლ. 23, 27 C;

შეუდგა მას სიმრავს ერისად და დედათმ, რომელნი *ეტყებდეს* და *ჰგოდებდეს*, DE.

რამეთუ *ჰსტიროდეთ* და *ჰგოდებდეთ* თქუნენ, ხოლო სოფელსა უხაროდის, ი. 16, 20 DEC.

სტიროდეს მას ყოველნი და *ეტყებდეს*, ლ. 8, 52 DEC.

ტირილი – გლოვა:

ვად თქუნდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ *იგლოვდეთ* და *ჰსტიროდით*, ლ. 6, 25 DEC.

იხ. აგრეთვე: მრ. 16, 10.

ტირილი-ი: „ტირილიცა ესრეთ განიყოფებიან: რამეთუ ცრემლი არს უკმოდენ ცრემლის დენა; ვაება არს ავაჯითა და კეთილის სიტყვითა სატირალს რასმე იტყოდეს და ცრემლოდეს; გოდება არს მაკეთილობით ზრუნ-შეწყობით გულის სატკივართა სიტყვათა მგონობა...“ (საბა 1993); „მწუნხარება, გამოჩენილი ცრემლის დენითა..., ПЛЯМ“ (ჩუბინაშვილი 1961); „ცრემლვა, მოთქმა“ (იმნაიშვილი 1986). **ტირილს** ბერძნულში შეესატყვისება ლექსემა *κλαίω* „ტირილი“ (დვორეცკი 1958).

გოდება-ა განიმარტება, როგორც „შეკმობით ტირილი“ (საბა 1991); „მოთქმით ტირილი“ (ჩუბინაშვილი 1961). **გოდებას** ეფარდება ბერძნულში ზმნა *θρᾶναι* „სამგლოვიარო სიმღერა; მოთქმით ტირილი“ (დვორეცკი 1958).

ტყება-ა არის „მოთქმა თავში ცემით; გლოვა“ (აბულაძე 1973); „ტირილი პირის ხოკითა და თავში ხელის შემოკვრით“ (იმნაიშვილი 1986). **ტყებას** ბერძნულში შეესატყვისება ლექსემა *κρίπτω* „დარტყმა, ცემა; მწარედ ატირება“ (დვორეცკი 1958).

გლოვა-ა ქართველური ***გლ-** ძირიდან მომდინარეობს. „ქართულ გლ- ძირს შეესატყვისება მეგრ. რგ-“ შეესატყვისობები ვლინდება აღნიშნული ძირების სემანტიკაშიც (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). **გლოვა** „ესე არს სამწუნხაროსა საქმესა ზედა ვაებით, ტირილით და მწუნხებით ყოფ(ნ)ა“ (საბა 1993); „ვაება, ტირილი, плакать, сетовать“ (ჩუბინაშვილი 1961); „დატირება, მგლოვარება“

(აბულაძე 1973). გლოვას ეფარდება ბერძნულში ლექსემა πειθῶ „დატირება, სევდიანობა, დარდი“ (დვორეცკი II 1958).

ამდენად, სინონიმური რიგის მთავარი წევრია ტირილი, ხოლო მისი მეწყვილე ზმნები გოდება//ტყება//გლოვა ერთი კონტექსტის ფარგლებში მიემართებიან მას სინონიმური პარალელიზმის სახით, რომელთაგან ტირილი ექსპრესიული და ემოციური ნიშნით ნეიტრალური ლექსემაა, რომელსაც წინადადებაში პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო მისი სინონიმური მეწყვილეები მოსდევნ მას და უფრო აძლიერებენ, ექსპრესიული ძალით წარმოაჩენენ „მწუხარების“ მნიშვნელობას. გოდება „მოთქმით“, მაღალი ხმით ტირილს აღნიშნავს; ტყება „პირის ხოკითა და თავში ხელის შემოკვრით“ ტირილს გამოხატავს; გლოვა რაიმე სამწუხარო ამბის გამო „ვაებით“ ტირილს გულისხმობს.

სინონიმების პარალელურად ხმარების შემთხვევები დასტურდება აგრეთვე შემდეგ წყვილებში: სნეულება // უძღურება (მ. 10, 1); სნეულება // არაძღურება (მ. 4, 23); სნეულება // სალობა (ლ. 7, 21); სიხარული // მხიარულება (ლ. 1, 14; 1, 28); სიხარული // შუება (ლ. 15, 32); სიხარული // განცხრომა (ლ. 15, 25); სახიობა // პართ მღერა (ლ. 15, 25); მოფარდული // მსყიდელი (მ. 21, 12); მსხუერპლი // შესაწირავი (მრ. 12, 39); მსხუერპლი // მრგულიად დასაწყველი (მრ. 12, 39); პასქა // ვნება// უცდომება (ლ. 22, 7; ლ. 22, 1). ბრძენი // მეცნიერი // მწიგნობარი (მ. 11, 25; ლ. 10, 21; მ. 23, 34); კეთილი // სახიერი (ლ. 8, 15; 19, 17); ტილო // არდაგი (ლ. 24, 12; ი. 19, 40; 20, 6; 7); მისლვა // მიახლება (ლ. 24, 15); მოსლვა // მოახლება (ლ. 15, 25); მოყვანება // წარმოდგინება...

ცხადია, წარმოდგენილი მასალით არ ამოიწურება ოთხთავის ტექსტში არსებული ლექსიკური სინონიმები. ზემოგანხილული ერთეულები წარმოადგენენ მხოლოდ ნაწილს იმ სინონიმური ლექსიკისა, რომელიც სახარებაში დასტურდება. როგორც აღინიშნა, ტექსტში ყველაზე მეტი რაოდენობით სინონიმური ზმნები მოიპოვება, რომლებიც სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებში ერთიანდებიან.

ლიტერატურა

აბულაძე 1973. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966. მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თსუ, თბილისი.

გამყრელიძე 2003. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.

გივინიევილი 1967. ბ. გივინიევილი, ჯაჭვისა და ძეწყვის ურთიერთმიმართებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXXVIII, №3, თბილისი.

გონიაშვილი 1940. თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩხურსა და ქართველურ ენებთან: ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი.

დანელია 1998. კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი.

ღვორეცაი 1958: Дворецкий И. Х., Древнегреческо-русский словарь, тт. I-II, Москва.

ღოჩანაშვილი 1955: ე. ღოჩანაშვილი, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32, თბილისი.

იმნაიშვილი 1979: ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ძვ. ქართ. ენის კათ. შრომები, 22, თბილისი.

იმნაიშვილი 1986: ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი.

კლიმოვი 1964: Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, Москва.

მარი 1912: Марр Н., К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, Материалы по яфетическому языкознанию, V, С-Пб.

ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990: Лингвистический энциклопедический словарь."Советская энциклопедия", Москва.

როგავა 1951: გ. როგავა, ჯაჭვ ფუძის შედგენილობისთვის, აფხაზეთის ენ. ლიტ. და ისტ. შრომები, XXIV, სოხუმი.

საბა 1991: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ), წ. I, „მერანი“, თბილისი.

საბა 1993: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული (ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ), წ. II, „მერანი“, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი; მეორე შევსებული და გადაამუშავებული გამოცემა, თსპუ, თბილისი.

შანიძე 1945: ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი.

ჩიქობავა 1942: არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1961: ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, „საბჭოთა საქართველო, თბილისი.

ძიძიგური 1941: შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელიზმისა: სმამ., ტ. II, №7, თბილისი.

ძიძიგური 1975: შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, „ნაკადული“, თბილისი.

H KAINH DIAΘHKH, Second edition, The British and foreign bible society, London.

**Synonymic Parallelism in the Two Old and Two Final Editions
of the Georgian Four Gospels**

Summary

In the text of the Gospel the following cases of synonymic parallelism are recorded: one of the members of the pair is borrowed, and the other is of Georgian origin: კისლონი (Greek - κῆρυκος) // ხარკი // სახარკო ("tribute // related to tribute"); ლამპარი (Greek - λαμπάδος) // სანთელი ("lamp, candle"); სპეტაკი (Pahlavi - spēt/spētak) // ბრწყინვალე ("brilliant, shining"). Both members of the synonymic pair are borrowed: პარაფსიდი (Greek - παροψίδος) // პინაკი (Greek - πίνακός) ("platter, dish"). The members of the pair are of Georgian origin: ბორკილი // საკრველი // ჯაჭუ... ("fetters, shackle, chains"). In synonymous verbs used in parallel the first member is characterized by the neutrality of its emotional or expressive feature, whereas the other is more expressive. In particular: in the forms ტირილი // გოდება // ტყება // გლოვა ("weeping, lamentation, mourning"), ტირილი ("weeping") the expressive feature is emotionally neutral, while in its synonyms the expressive feature increases. In the verbs შეშინება // შეძრწუნება // დამედგრება ("to be frightened, to be startled, to turn timorous"), შეშინება does not have an emotional connotation, whereas შეძრწუნება means "to shake with fear", and დამედგრება means "to turn timorous", etc.

Thus, parallel forms in the text of the Gospel are mostly used with the artistic purpose, which serves the intensification and emotional expressiveness of the content to be conveyed.

ΚΑΤΑ წინდებულის ეკვივალენტები *ფსალმუნთა წიგნის* კველ ქართულ რეცენზიებში

თარგმანის პროცესი საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, როცა არ არსებობს თარგმანის პრინციპები და მთარგმნელებს სპონტანურად უწევთ მათი შემუშავება, ეკვივალენტების მოძიება და შემდეგ მათგან ერთ-ერთის არჩევა. კიდევ უფრო რთულია იმ ელემენტების გადმოტანა, რომლებიც მიმღები ენისთვის უცხოა. ამ დროს ხდება ენაში დაუნჯებული პოტენციის ამოქმედება. შედეგი სხვადასხვაგვარია: ზოგჯერ უცხო ენის მოდელის მიხედვით შექმნილი ელემენტები მიმღები ენის „ნებად ბუნებითად“ იქცევა, ზოგჯერ კი ამგვარი ენობრივი ფორმები რომელიმე კონკრეტული ტექსტის ფარგლებს არ სცილდება.

ენის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანდებულთა სისტემის ჩამოყალიბებას. ამ პროცესზე თარგმანში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამ დებულების მართებულობა **ΚΑΤΑ** წინდებულის მაგალითზე შევამოწმოთ. ჩვენი არჩევანი განაპირობა იმან, რომ ეს წინდებულის პოლისემანტურია, ძალზე პროდუქტიულია ბერძნულში, მისი გადმოტანა თარგმანში სემანტიკურ და ფორმალურ ძიებებთანაა დაკავშირებული. ძიება დღესაც არ დასრულებულა – ამ წინდებულის ზოგიერთი მნიშვნელობის შესატყვისი ერთეული ქართულში ახლაც არ გვაქვს.

ΚΑΤΑ წინდებულის გადმოცემა შევისწავლეთ *ფსალმუნის* ქართული თარგმანის მცხეთური, სინური და გიორგისეული რეცენზიების მთელი ტექსტის მიხედვით. დავადგინეთ ჩვენთვის საინტერესო წინდებულის შესატყვისები და ბერძნული დედნის გათვალისწინებით განვსაზღვრეთ მათი მნიშვნელობები. გარდა ამისა, წინდებულის გადმოტანაზე დაკვირვებით შევეცადეთ, განგვესაზღვრა გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი.

ფსალმუნთა წიგნში **ΚΑΤΑ** წინდებულის საკმაოდ პროდუქტიულია, იხმარება აკუზატივთან (უფრო ხშირად) და გენეტივთან (იშვიათია). იგი ქმნის ფრაზეოლოგიზმებსაც (ცხრილი № 1 და 2).

ფსალმუნთა წიგნის ქართულ რეცენზიებში დადასტურებული **ΚΑΤΑ** წინდებულის მნიშვნელობები და ეკვივალენტებია (ცხრილი № 3)¹:

1) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება (16), ყველაზე ხშირად გადმოიცემა *-თჳს* თანდებულთა, გამოიყენება აგრეთვე *ზედა* და *-დაძო* (*//დაძი*) თანდებულები, სამჯერ მთარგმნელ-რეცენზენტები მიმართავენ თავისუ-

¹ მნიშვნელობების გამოყოფისას და დალაგებისას ვისარგებლეთ შემდეგი ლექსიკონებით: Lampe G.W.H., A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961 და Liddell H.G. and Scott R., Greek-English Lexicon, Oxford, 1996.

ფალ თარგმანსაც, თანდებულის შინაარსი კი კომპენსირებულია ზმნის სემანტიკით, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სწორედ ზმნის სემანტიკა განაპირობებს თანდებულის გამოტოვებას (იხ. მე-4, მე-5 და მე-6 მაგალითები). მაგ., 1) 108.2 *ἐλάλησαν κατ' ἑμὸν γλῶσση δολίᾳ*] იტყოდეს *ჩემთვის* ბავითა (ენითა Ἦ) ზაკულითა Ἦ; 2) 40.9 *λόγον παράνομον κατέθεντο κατ' ἑμὸν*] სიტყუაჲ უს(შ)ჯულოებისაჲ დამდევს *ჩემ ზედა* Ἦ; 3) 40.8 *κατ' ἑμὸν ἐλογίζοντο κακά μοι*] და (> Ἦ) *ჩემდამო (ჩემთვის Ἦ)* ზრახვიდეს ბოროტსა Ἦ; 4) 108.20 *καὶ τῶν λαλοῦντων πονηρὰ κατὰ τῆς ψυχῆς μου*] და რომელნი იტყოდეს ძვრსა *სულისა ჩემისასა* Ἦ; 5) 108.5 *καὶ ἔθεντο κατ' ἑμὸν κακὰ ἀντὶ ἀγαθῶν*] მომაგეს მე ბოროტი კეთილისა წილ Ἦ; 6) 31.5 *ἐξαγορεύσω κατ' ἑμὸν τὴν ἀνομίαν μου τῷ κυρίῳ*] *უთხრა (აღუვარო Ἦ)* ბრალი *ჩემი* უფალსა Ἦ.

2) ფიცის დადება ვინმეს მიმართ, ამის მხოლოდ ერთი მაგალითი გვხვდება და *κατὰ* წინდებულს -*დამო(//დამი)* თანდებული შეესაბამება: 1) 101.9 *καὶ οἱ ἐπαينوῦντές με κατ' ἑμὸν ἄμυσον*] და მატებელნი ჩემნი *ჩემდამო* ფუცვიდეს Ἦ;

3) *κατὰ* წინდებული ხშირადაა გამოყენებული დროსთან დაკავშირებულ კონსტრუქციებში და გამოხატავს: ა) მოქმედების დროს (მაგ., 138.9 *ἂν ἀναλάβοιμι τὰς πέρσυχάς μου κατ' ὄρθρον*] ალ-თუ-ვიპყრნე ველნი (ფრთენი Ἦ) ჩემნი *ვანთიად* Ἦ.) ან ბ) დროს, როცა მოქმედება დაიწყო (მაგ., 118.152 *κατ' ἀρχὰς ἔγνων ἐκ τῶν μαρτυρίων σου*] დასაბამითვან ვიცნოდე მე წამებანნი შენნი Ἦ; დასაბამითვან ვცან მე წამებათვან შენთა Ἦ.), გ) გამოყოფს დროის თანაბარ პერიოდებს (მაგ., 67.20 *εὐλογητὸς κύριος ἡμέραν καθ' ἡμέραν*] კურთხეულ არს დღერთი დღითი-დღედ (დღითი-დღე Ἦ) Ἦ) და ა.შ.

4) აღნიშნავს მოქმედების დაწყების ადგილს (მაგ., 67. 34 *τῷ ἐπιβεβηκότι ἐπὶ τὸν οὐρανὸν τοῦ οὐρανοῦ κατὰ ἀνατολάς*] რომელ-იგი (რომელი-იგი Ἦ) ამაღლდა ცასა ცათასა *აღმოსავალით* Ἦ).

5) მოქმედების მიზეზს (მაგ., 9.25 *κατὰ τὸ πλήθος τῆς ὀργῆς αὐτῶν οὐκ ἐκζητήσει*] მრავლითა გულისწყრომითა მისითა არა გამოიძია (გამოიძოის Ἦ) იგი Ἦ).

6) *κατὰ* წინდებული კარგ მასალას იძლევა დაკვირვებისთვის, როცა გამოხატავს შესაბამისად შინაარსს. უჩა ცინდელიანმა მეფეთა წიგნების ქართული თარგმანების მაგალითზე გაარკვია, რომ ამ წინდებულის თარგმნის პროცესში სამი ქრონოლოგიურ-სტილისტური ეტაპი გამოიყოფა:

1) **Ø**, ვითარცა, -ითა; იშვიათად: **ეგრე, ეგრეთვე, ეგევითარი.**

2) **მსგავსად.**

3) **-ებრ.**

ამ სამი ჯგუფიდან მეფეთა III და IV წიგნებში შეიძლება ითქვას, მხოლოდ II და III გვაქვს (I ძალიან იშვიათია და ნაშთის სახით ვლინდება, ძირითადად კონტამინირებულ მაგალითებში). უჩა ცინდელიანის სტატიაში ნაჩვენებია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სტილისტური კრიტერიუმის გამოყენება ბიბლიის თარგმნა-რეცენზირებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას. მეფე-

თა III და IV წიგნებში გამოიყო არა მხოლოდ ორი სტილისტურად განსხვავებული ტექსტი (პირობითად, „**მსგავსად სტილი**“ და „**-ებრ სტილი**“), არამედ დადგინდა, რომ სხვადასხვა სტილისტური ჯგუფი სხვადასხვა უცხოენოვან წყაროსთანაა დაკავშირებული და სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპს გვიჩვენებს: „**მსგავსად სტილის**“ ტექსტი უფრო არქაულია, ვიდრე „**-ებრ სტილისა**“, **ჰეგზაპლური** ტრადიციის ტექსტს შეიცავს და **სომხურთანაა** ახლოს, ხოლო **-ებრ სტილისტური** ფენა **ლუკიანური** რეცენზიის ტექსტია და აშკარად **ბერძუნულს** უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ **მსგავსად** ეკვივალენტი უფრო მყარია, ხოლო **ებრ სტილისტური** ფენა მეტ სიჭრელეს გვიჩვენებს, არა მხოლოდ მეფეთა III და IV წიგნებში, არამედ სახარების ტექსტშიც. I ჯგუფის ეკვივალენტები თარგმნა-რეცენზირების იმ საფეხურს უნდა ასახავდეს, როცა ენა ებებს **κατα** წინდებულის ოპტიმალურ შესატყვისს და ეკვივალენტთა სიჭრელეც ამითაა განპირობებული. ეს სტილისტური ფენა უფრო არქაულია **მსგავსად** და **-ებრ** სტილისტურ ფენებთან შედარებით (უჩა ცინდელიანი 1967:171-183).

ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ **κατα** წინდებულის ეკვივალენტები *ფსალმუნთა წიგნის* ძველ ქართულ ვერსიებში. როგორც ცნობილია, *ფსალმუნთა წიგნის* მცხეთური და სინური რეცენზიები უფრო ძველია, ყველაზე ბოლოს კი *ფსალმუნის* ტექსტი გიორგი მთაწმინდელმა ჩაასწორა. ამ რეცენზიათა მიხედვით ეკვივალენტები ასე განაწილდა:

LXX	ქართული ეკვივალენტები	ⴌ (მცხეთური)	ⴑ (სინური)	ⴒ (გიორგი)	სულ
κατα	ზედა	1	1	1	47
	-გან (ნათ.-თან)	1	1	0	
	-თქს	0	0	1	
	-ებრ	4	4	24	
	-ითა	33	34	17	
	მსგავს	1	1	1	
	∅	3	3	0	
	რავდენ (რაოდენ)	2	2	2	
	ვითარცა	1	1	1	

როგორც ვხედავთ, *ფსალმუნის* ტექსტი ორ სტილისტურ-ქრონოლოგიურ ჯგუფად დაიყო. I ჯგუფს (ყველაზე არქაულს) განეკუთვნება სინური და მცხეთური, ხოლო II-ს (ყველაზე გვიანდელ „**-ებრ სტილის**“ ფენას) – გიორგისეული. **მსგავსად სტილისტური** ეტაპი *ფსალმუნებში* არ გვაქვს. I ეტაპზე **κατα** წინდებულის ძირითადი ეკვივალენტი არის მოქმედებითი ბრუნვა. თარგმნა-რეცენზირების ამავე ეტაპზე გამოყენებულია **მსგავსად** და **-ებრ** ეკვივალენტებიც, რაც მიუთითებს მათი, როგორც ენობრივი მოვლენის, არქაულობაზე, რომელიმე მათგანის დომინირება კი გვიჩვენებს არა სამწერლობო ენაში მომხდარ ცვლილებას,

არამედ მთარგმნელ-რეცენზენტის სტილს. **κατά** წინდებულის გადმოტანის მაგალითზე ქართული თარგმანის ტექნიკაში მომხდარი ცვლილებაც ჩანს: დედანი აისახოს არა მხოლოდ აზრობრივად, არამედ ფორმალურადაც, ამიტომ გვიანდელი ხანის მოღვაწენი მოქმედებითი ბრუნვის ფორმას, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან მყარი და ზუსტი ეკვივალენტია, თანდებულიანი კონსტრუქციებით ანაცვლებენ.

საყურადღებოა **κατά** წინდებულთ შექმნილი **ფრაზეოლოგიზმებიც**:

ა) **κατά πρόσωπον** – ებრაიზმია, აღნიშნავს წინაშეობას, *ფსალმუნთა წიგნში* სულ ოთხჯერ გვხვდება. ეს ფრაზეოლოგიური წინდებული შედგება თანდებულისა და სრულმნიშვნელობიანი სიტყვისაგან – **პირი**, ებრაულში ამ სიტყვას დაკარგული აქვს ამოსავალი მნიშვნელობა და შესაბამის ფრაზეოლოგიურ წინდებულში ის ცალკე ელემენტად არ აღიქმება. რაც შეეხება ბერძნულსა და ქართულს, ამ ენებში ეს შესიტყვება მაინც არ არის სემანტიკურად დაუშლელი, მისი ბუნებრივი ეკვივალენტი მარტივი თანდებული იქნებოდა, მაგრამ ლიტერატურული თარგმანის პრინციპიდან გამომდინარე მაინც ახდენენ მის სეგმენტაციას თარგმნისას (მაგ., 82.14 *ἀνὰ κατὰ πρόσωπον ἀνέμου*] ვითარცა ლერწამნი **წინაშე ქარსა** 7.; ვითარცა ლერწამი **წინაშე პირსა ქარისასა** 7.), თუმცა გიორგი მთაწმინდელი ამ შემთხვევაშიც უფრო თანმიმდევრულად (მაგრამ არა ყოველთვის) ახორციელებს ლიტერატურული თარგმანის პრინციპს, ზოლო ძველი რეცენზიები „თავისუფლად“ თარგმნიან (ცხრილი № 1b, 2b, 3a).

ბ) **κατά μόνας** – *განმარტოებულს, განმხოლოებულს, ერთადერთს* აღნიშნავს, *ფსალმუნთა წიგნში* გვხვდება სამჯერ. ქართულში გადმოღის ერთი შესატყვისით – **მხოლოდ** სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (მაგ., 4.9 *ὅτι σὺ κύριε κατά μόνας ἐπ’ ἐπίδω κατὰκισὰς με]* რამეთუ შენ უფალმან **მხოლომან** (**მხოლოდ** 7) *სასოებით დამამკედრე მე* 7.7.).

გ) **καθ’ ἑκάστην** – **მარად, ყოველთვის, ყოველ (დღე)**, *ფსალმუნთა წიგნში* გამოყენებულია 5-ჯერ, ქართულში შეესაბამება **მარად, მარადის, ყოველსა** ეკვივალენტები (მაგ., 41.4 *ἐν τῇ λέγεισθαί μοι καθ’ ἑκάστην ἡμέραν ποῦ ἐστιν ὁ θεός σου]* ივინილა მეტყოდეს მე **მარადღე** (< **მარად დღე**): *სადა არს ღმერთი იგი შენი?* 7.; *რამეთუ მეტყვედ მე მარადღე* (< **მარად დღე**): *სადა არს ღმერთი იგი შენი?* 7).

κατά წინდებულის ეკვივალენტები რეცენზიათა მიხედვით იხილეთ ცხრილში № 3.

κατά წინდებულების მნიშვნელობებისა და შესატყვისების დადგენის პროცესში უფრო ზუსტად განისაზღვრა ზოგიერთი ქართული თანდებულისა თუ ბრუნვის მნიშვნელობა *ფსალმუნის ტექსტში*.

მაგალითები:

1) - ი თ ა (- ი თ) :

ა) **თანახმად, მსგავსად, შესაფერისად**: მაგ., 50.3 *ἐλέησόν με ὁ θεός κατά τὸ μέγα ἔλεός σου καὶ κατά τὸ πλήθος τῶν οἰκτιρημάτων σου ἐξάλειψον τὸ ἀνόμημά*

μου] მიწყალებე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა ავოცე უსჯულოებაი ჩემი **℣℣ℒ**.

ბ) გამო, მიზეზით: მაგ., 9.25 *κατὰ τὸ πλήθος τῆς ὀργῆς αὐτοῦ οὐκ ἐκζητήσεται*] მრავლითა გულის წყრობითა მისითა არა გამოიძის (გამოიძიოს **ℒ**) იგი (>**ℒ**) **℣℣ℒ**.

გ) მოქმედების დაწყების ადგილი (= -იდან): მაგ., 67. 34 *τῷ ἐπιβεβηκότι ἐπὶ τὸν οὐρανὸν τὸν οὐρανὸν κατὰ ἀνατολάς*] რომელ-იგი (რომელი-იგი **ℒ**) ამალდა ცასა ცათასა აღმოსავალით **℣℣ℒ**.

2) - დ ა მ ო / - დ ა მ ი :

ა) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება: მაგ., 40.8; *ἐπὶ τὸ αὐτὸ κατ' ἔμου ἐψιθύριζον πάντες οἱ ἐχθροὶ μου κατ' ἔμου ἐλογίζοντο κακά μοι*] ჩემთვის ცუნდრუკებდეს ყოველნი მტერნი ჩემნი და ჩემდამო (მდრ. ჩემთვის **ℒ**) ზრახვიდეს ბოროტსა **℣ℒ**.

ბ) ფიცის დადება ვინმეს მიმართ: მაგ., 101.9 *καὶ οἱ ἐπαινοῦντές με κατ' ἔμου ἄμυσον*] და მაქებელნი ჩემნი ჩემდამო ფუცვიდეს **℣℣ℒ**.

3) ზ ე დ ა :

ა) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება: მაგ., 40.9 *λόγον παράνομον κατέθεντο κατ' ἔμου*] სიტყუაი უსჯულოებისაი დამდევს ჩემ ზელა **℣℣ℒ**.

ბ) თანახმად, მსგავსად, შესაფერისად: მაგ., 109.4 *σὺ εἶ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδεκ*] შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე წესსა მას ზელა ძელქიზ(ს **ℒ**) ედევისსა **℣℣ℒ**.

4) - გ ა ნ :

ა) თანახმად, მსგავსად, შესაფერისად: მაგ., 118.132 *καὶ ἐλέησόν με κατὰ τὸ κρίμα τῶν ἀγαπώντων τὸ ὄνομά σου*] და შემოწყალებე მე სამართალთაგან (მდრ. სამართალთათვის **ℒ**) მოყუარეთა სახელისა შენისათა **℣ℒ**.

ბ) მოქმედების დაწყების დრო: მაგ., 118.152 *κατ' ἀρχὰς ἔγων ἐκ τῶν μαρτυρίων σου*] დასაბამითგან ვიცნოდე მე წამებანნი შენნი **℣ℒ**; დასაბამითგან ვცან მე წამებთაგან შენთა **ℒ**.

გ) გამო, მიზეზით: მაგ., 93.19 *κατὰ τὸ πλήθος τῶν ὀδυνῶν μου ἐν τῇ καρδίᾳ μου*] მრავალთაგან საღმობათა გულისა ჩემისათა **ℒ**.

5) - ე ბ რ :

ა) თანახმად, მსგავსად, შესაფერისად: მაგ., 102.10 *οὐ κατὰ τὰς ἀμαρτίας ἡμῶν ἐποίησεν ἡμῖν οὐδὲ κατὰ τὰς ἀνομίας ἡμῶν ἀνταπέδωκεν ἡμῖν*] არა ცოდვათა ჩუენთაებრ ძიგოს (ძიგო **ℒ**) ჩუენ უფალმან (> **ℒ**), არცა ურჩულოებათა ჩუენთაებრ ძომავოს (ძომავო **ℒ**) ჩუენ **℣℣ℒ**.

ბ) გამო, მიზეზით: მაგ., 93.19 *κατὰ τὸ πλήθος τῶν ὀδυνῶν μου ἐν τῇ καρδίᾳ μου*] მრავალთაებრ საღმობათა ჩემთა გულსა შინა ჩემსა **ℒ**.

6) - თ ვ ი ს :

ა) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება: მაგ., 40.8; *ἐπὶ τὸ αὐτὸ κατ' ἔμου ἐψιθύριζον πάντες οἱ ἐχθροὶ μου κατ' ἔμου ἐλογίζοντο κακά*

μου] **ჩემთვის** ცუნდრუკებდეს ყოველნი მტერნი ჩემნი, **ჩემთვის** ზრახვიდეს ბოროტსა ო.

ბ) **თანახმად, მსგავსად, შესაფერისად:** მაგ., 118.132 *καὶ ἔλέησόν με κατὰ τὸ κρίμα τῶν ἀγαπῶντων τὸ ὄνομά σου*] და შემიწყალე მე **სამართალთათვის** მოყუარეთა სახელისა შენისათა ო.

გ) **გამო, მიზეზით:** მაგ., 93.19 *κατὰ τὸ πλήθος τῶν ὀδυσῶν μου ἐν τῇ καρδίᾳ μου*] **ძრავალთათვის** საღმობათა გულისა ჩემისათა.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა ვთქვათ გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის თაობაზე. ანდერძში, რომელიც *ფსალმუნთა წიგნს* ერთვის, იგი ამბობს, რომ მან *ფსალმუნნი* ახლად თარგმნა, დღევანდელი კრიტიკიუმებით მისი ნამუშევარი ახალი თარგმანი არ არის. მისი საქმიანობა შეიძლება დავასასიათოთ, როგორც რეცენზენტისა. ახალი რეცენზიის შექმნა გულისხმობს თხზულების სწორებას რაიმე გააზრებული პრინციპის მიხედვით, როცა ამ სწორებას სისტემური ხასიათი აქვს. თანდებულთა მაგალითზე დავინახეთ, რომ გიორგი მთაწმინდელი ცდილობს, შეძლებისდაგვარად დაიცვას ეკვივალენტების სიმყარე და მუდმივობა, ზუსტად ასახოს დედნის არა მხოლოდ შინაარსობრივი, არამედ ფორმალური მხარეც.

ცხრილი № 1a. **κατὰ** წინდებულის მნიშვნელობები ბერძნულში

	gen.	Acc.
κατὰ	1. მოძრაობა ზემოდან ქვემოთ: ა) ზედაპირისაკენ ბ) სიღრმისაკენ გ) რაიმეს გავლით დ) რაიმე წერტილის მიმართულებით	1. ა) მოძრაობა ქვევით ბ) მოძრაობა ადგილიდან გ) პირისპირ, საწინააღმდეგო მხარეს დ) მოძრაობა რაიმე მიზნისკენ ან წერტილისკენ
	2. ა) ფიცის დადება ან აღთქმის მიცემა ვინმეს მიერ ბ) ფიცის დადება ვინმეს მიმართ	2. ა) მთელის დაყოფა ნაწილებად (სიტყვა სიტყვის მიყოლებით) ბ) დროის დაყოფა: დღითიდღე, ყოველდღიურად... გ) რიცხვებთან (ერთხელ, ორჯერ, მრავალჯერ...)
	3. წინააღმდეგ, პირისპირ	3. ა) განმავლობაში ბ) მიახლოებით ამ დროს
	4. მიახლოებითი დრო	4. შესაბამისად
	5. მიზეზი (-თვის)	5. ინსტრუმენტალისი ა) ღვთის წყალობით ბ) მეშვეობით

ცხრილი № 1b. **κατά** წინდებულის მონაწილეობით შექმნილი იდიომები

κατά πρόσωπον	წინაშე (ეს ფრაზეოლოგიური წინდებული ებრაიზმია, ებრაული დენიდან შესული ჯერ სეპტუაგინტაში, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელიდან შესრულებულ სხვა თარგმანებში, მათ შორის ქართულში)
κατά μόνας	განმარტობებული, განმხოლოებული, მხოლოდ, ერთადერთი
καθ' ἑκάστην	ყოველთვის, მუდამ

ცხრილი № 2a. *ფსალმუნთა წიგნის* ქართულ რეცენზიებში დადასტურებული **κατά** წინდებულის მნიშვნელობები და ეკვივალენტები

	მნიშვნელობები	ეკვივალენტები
κατά + c. gen (16) /+ c. acc (70)	1) ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება (16)	ა) -თვის (C9 / P10 / L11), -დამო (/ -დამი) (C91 / L0), ზედა (C 3 / P L 2) თანდებულები; ბ) ∅ (C P L 2); გ) ნათესაობითი ბრუნვა (C P L 1).
	2) ფიცის დადება ვინმეს მიმართ (1)	-დამო(/-დამი) (C P L 1) თანდებული
	3) თანახმად, მსგავსად, შესაფერისად (47)	ა) ზედა (C P L 1); -გან (C P 1 / L 0); -თვის (C P 0 / L 1) -ებრ (C P 4 / L 24) თანდებულები; ბ) მოქმედებითი ბრუნვა (C 33 / P 34 / L 17); გ) ∅ (C P 3 / L 0); დ) მსგავს (C P L 1) ე) რავდენ (რაოდენ) (C P L 2); ვ) ვითარცა (C P L 1);
	4) მოქმედების დრო(1)	∅ (C P L 1)
	5) მოქმედების დაწყების დრო (2)	ა) -გან თანდებულიანი მოქმედებითი (C P L 1) ბ) უთანდებულო მიცემითი (C P L 1)
	6) დროის თანაბარი მონაკვეთები, რომლებშიც განმეორებადი მოქმედება ხდება (2)	გადმოიცემა სემანტიკურად სიტყვის რედუბლიკაციით (ასევეა ბერძნულშიც) (C P L 2)
	7) გამო, მიზეზით (4)	ა) -თვის (C 1 / P L 0); -გან (C L 0 / P 1); -ებრ (C P 0 / L 2) თანდებულები ბ) -ითა (C P 3 / L 2);
	8) მოქმედების დაწყების ადგილი (-იდან) (1)	უთანდებულო მოქმედებითი (C P L 1)

ცხრილი № 2b. ფსალმუნთა წიგნის ქართულ რეცენზიებში დადასტურებული **κατά** წინდებულის მონაწილეობით შექმნილი იდიომების მნიშვნელობები და ეკვივალენტები

κατά + c. gen (16) / + c. acc (70)	მყარი შესიტყვებები	
	მნიშვნელობები	ეკვივალენტები
	ა) κατά πρίσωπον (4) – წინ, წინაშე	წინაშე (C 4 / L 1) წინაშე პირსა (L 3)
	ბ) κατά μέρος (3) – 1. განმარტოებული 2. მხოლოდ, ერთადერთი 3. ერთად	მხოლოდ (შესაბამის ბრუნვებში) (C 4 L 3)
	გ) καθ' ἐκάστην – მარად, ყოველთვის (5)	„მარად“ (C 3 / 4 L 4), „მარადის“ (C 1 / 4 L 0), „ყოველსა“ (C 4 L 1)

ცხრილი № 3a. **κατά** წინდებულის მონაწილეობით შექმნილ იდიომათა ეკვივალენტების სტატისტიკური ცხრილი რეცენზიათა მიხედვით

LXX	ქართ. ეკვ.	С	Գ	Լ	სულ
მნიშვნელობები	წინაშე				
κατά πρίσωπον	წინაშე	4	4	1	4
	წინაშე პირსა	0	0	3	
მნიშვნელობები	განმარტოებული, მხოლოდ, ერთადერთი				
κατά μέρος	მხოლოდ	3	3	3	3
მნიშვნელობები	ყოველთვის, მუდამ				
καθ' ἐκάστην	მარად	3	4	4	5
	მარადის	1	0	0	
	ყოველსა	1	1	1	

ცხრილი № 3b. **κατά** წინდებულის ეკვივალენტთა
სტატისტიკური ცხრილი რეცენზიათა მიხედვით

LXX	ქართ. ეკვ.	┌	┐	┘	სულ
მნიშვნელობები	ვინმეს წინააღმდეგ, საზიანოდ რაიმეს თქმა ან გაკეთება				
κατά	-თჯს	9	10	11	16
	-დამო/-დამი	1	1	0	
	უთანდ. ნათ.	1	1	1	
	ზედა	3	2	2	
	∅	2	2	2	
მნიშვნელობები	ფიცის დადება ვინმეს მიმართ				
κατά	-დამო/-დამი	1	1	1	1
მნიშვნელობები	თანახმად, მსგავსად, შესაფერისად				
κατά	ზედა	1	1	1	47
	-გან (ნათ.-თან)	1	1	0	
	-თჯს	0	0	1	
	-ებრ	4	4	24	
	-ითა	33	34	17	
	მსგავს	1	1	1	
	∅	3	3	0	
	რავდენ (რაოდენ)	2	2	2	
	ვითარცა	1	1	1	
მნიშვნელობები	მოქმედების დრო				
κατά	∅	1	1	1	1
მნიშვნელობები	მოქმედების დაწყების დრო				
κατά	-ით-გან	1	1	1	2
	∅	1	1	1	
მნიშვნელობები	დროის თანაბარ მონაკვეთები, რომლებშიც განმეორებადი მოქმედება ხდება				
κατά	დღითი-დღე[დ]	1	1	1	2
	ღამედ-ღამედ	0	0	1	
	ღამე	1	1	0	
მნიშვნელობები	გამო, მიზეზით				
κατά	-თჯს	1	0	0	4
	-გან	0	1	0	
	-ებრ	0	0	2	
	-ით	3	3	2	
მნიშვნელობები	მოქმედების დაწყების ადგილი (-იდან)				
κατά	-ით	1	1	1	1

ლიტერატურა

- ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
- ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თსუ. თბილისი, 1957.
- ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იკე I, თბილისი, 1946.
- ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, „განათლება“, თბილისი, 1984.
- მ. შანიძე, ქართული ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X – XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, I, ტექსტი. ძველი ქართული ენის ძეგლები, II, თბილისი, 1960.
- უ. ცინდელიანი, ახალი მასალები გიორგი მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, IV, თბილისი, 1978.
- ცინდელიანი 1967:** უ. ცინდელიანი, *κατά* წინდებულის ეკვივალენტები მეფეთა წიგნების ქართულ თარგმანებში, „მრავალთავი“, IV, თბილისი.
- Johannessohn M.**, Der Gebrauch der Prapositionen in der Septuaginta, 1925.
- Lampe G.W.H.**, A Patristic Greek Lexicon, Oxford 1961.
- Liddell H.G.**, and **Scott R.**, Greek-English Lexicon, Oxford 1996.
- Rahlf A.**, Septuaginta, Vetus Testamentum Graecorum, Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, X, Psami cum Odis, Ed..

Natia Mirotadze

The Equivalents of the Preposition *kata*, in the Old Georgian Recensions of the Psalms

Summary

The article analyses the equivalents of the preposition *κατά* and their meanings in Georgian recensions of the Psalms. Also some stylistic peculiarities of transfer of this preposition into Georgian and the issues related to the technique of translation.

სოფიო სარჯველაძე

**ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ხანმეტი
პალიმფსესტური ფრაგმენტის შესახებ**

პროფ. ზურაბ სარჯველაძემ გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა ოთხთავის ქართული თარგმანის აკადემიური ტექსტის დამდგენი ჯგუფი, რომლის წევრებიც იყვნენ: გულნარა ნინუა, ელგუჯა გიუნაშვილი, მანანა მაჩხანელი და დარეჯან თვალთვაძე. 1997 წლიდან ამ ჯგუფს მეც შევეუერთდი. ჯგუფი შეისწავლის როგორც ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის შემცველ სრულ ხელნაწერებს, ისე მათ ფრაგმენტებს, ადგენს ამ ხელნაწერთა ტექსტების რედაქციულ ურთიერთმიმართებებს და ამზადებს გამოსაცემად ოთხთავის აკადემიურ ტექსტს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებსა და საქართველოს საზღვრებს გარეთ ბიბლიოთეკებში ოთხთავის წინარეათონური რედაქციის ტექსტების შემცველი მრავალი მეტად საყურადღებო ფრაგმენტია დაცული. მათი შესწავლის შედეგად რამდენიმე მათგანი სხვა უფრო სრულ ხელნაწერთან გაერთიანდა, ზოგიც – ვერა, რაც ადასტურებს, რომ წინარეათონური რედაქციის ტექსტის შემცველი მეტი სრული ნუსხა არსებობდა, ვიდრე დღეს ჩვენამდეა მოღწეული.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული ორი პალიმფსესტური ფრაგმენტის ხელახალი გამოვლენა და მათი ტექსტების პუბლიკაცია, რადგანაც ამ ფრაგმენტების ქვედა ფენა ხანმეტია. ესენია: სვანური პალიმფსესტი № 4 და H ფონდის № 1445 ხელნაწერის ერთი ფურცელი. ამ ფრაგმენტების ტექსტები დღემდე გამუქვეყნებელია და მათ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზედ მწირი ცნობებია. ორივე პალიმფსესტური ფრაგმენტის ქვედა ფენის ტექსტებს იცნობდა და განიხილავდა პავლე ინგოროყვა.

აქ ჩვენ თითოეულ ხელნაწერს ცალ-ცალკე შევეხებით. პავლე ინგოროყვა წიგნის „ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“ ერთ-ერთი თავის „თარგმნილი თეოლოგიური ლიტერატურა“ III შენიშვნაში (ოთხთავის ძველ-ქართული რედაქციები) უთითებს, რომ თავად ადიშის სახარების გარდა ადიშური რედაქციის სახარების ტექსტები წარმოდგენილია „სამ ხანმეტურ პალიმფსესტებში: ხანმეტი ოთხთავი – ხელნაწერი საქ. მუზეუმისა 999-ა/H; ხანმეტი ოთხთავი – ხელნაწერი საქ. მუზეუმისა 844-ბ/H; ხანმეტი ოთხთავი – ხელნაწერი სვანური (ახლად აღმოჩენილი)“ (ინგოროყვა 1978:341-2). პირველი ორი ხელნაწერი, რომელთაც პ. ინგოროყვა იმოწმებს, არის დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხანმეტი ოთხთავის ორი პალიმფსესტური ხელნაწერი, რომელთა ქვედა ფენა გამოაქვეყნეს ივ. ჯავახიშვილმა და ლ. ქაჯაიამ (ჯავახიშვილი 1949; ქაჯაია 1984). თუ სად არის დაცული მესამე ხელნაწერი ან


რა ნომერით, პ. ინგოროყვა არ აზუსტებს. ის მხოლოდ წერს – „ხელნაწერი სვანური (ახლად აღმოჩენილი)“.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში სვანეთიდან ჩამოტანილი მრავალი ხელნაწერია დაცული, ისინი, ძირითადად, ცენტრის H ფონდშია დაცული, მაგრამ არსებობს მცირე რაოდენობა ხელნაწერებისა, რომელიც ცალკე, ე.წ. „სვანურ ფონდში“ ინახება. აქ, №4 ერთეულის კონვერტში ხელნაწერის ერთ-ფურცლიან პალიმფსესტურ ფრაგმენტთან ერთად მივაკვლიე პ. ინგოროყვას ერთფურცლიან ხელნაწერს, სადაც მის მიერ ამოკითხული ამავე ფრაგმენტის ქვედა ფენის ტექსტია ორ სვეტად წარმოდგენილი. ჩემი აზრით, პ. ინგოროყვას მიერ მითითებული მესამე ხელნაწერი – „ხელნაწერი სვანური (ახლად აღმოჩენილი)“ – არის დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფრაგმენტი, რომელიც შეუერთდა სვანეთიდან ჩამოტანილ სხვა ხელნაწერებს და ე.წ. „სვანურ ფონდში“ ინახება ნომრით 4. სამწუხაროდ, პ. ინგოროყვას ფრაგმენტის ტექსტი არ გამოუქვეყნებია და არც ოთხთავის ტექსტების სხვა მკვლევრებს მიუქცევიათ მისთვის ყურადღება. ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მეტად მნიშვნელოვანი ფრაგმენტი არსად ფიგურირებს.

სვანური პალიმფსესტი №4-ის ქვედა ფენის ტექსტი მე ამოვიკითხე ულტრაიისფერი ნათურის დახმარებით და გავოცდი, თუ რა სიზუსტით ამოვიკითხა ის პავლე ინგოროყვამ „მეუიარაღებელი თვალით“.

სვანური პალიმფსესტი №4 ერთფურცლიანი ფრაგმენტია. მისი ქვედა ფენა დაწერილია მეტად მსხვილი ასომთავრულით და შეიცავს მათეს სახარების 19,20-21; 23-24; 26-28 მუხლებს. ეს არის ოთხთავის ქართული თარგმანის ადიშური რედაქციის ხანმეტი ტექსტი.

კონვერტში არსებულ ფურცელზე პ. ინგოროყვას ფრაგმენტის წაკითხვას განმარტებები არ ახლავს. სტრიქონებისათვის მინიჭებული ნომრების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ პ.ინგოროყვა ვარაუდობდა, რომ ხელნაწერის თითოეული გვერდი 18-სტრიქონიანი უნდა ყოფილიყო. მისი გამოთვლებით ხელნაწერის წინა მხარეს (r) 10 სტრიქონი უნდა ჰქვებოდა, ხოლო უკანა მხარეს (v) – 11. ხელნაწერის გვერდი დღეს არსებულთან შედარებით მინიმუმ ორჯერ დიდი ფორმატისა უნდა ყოფილიყო. ხელნაწერის მეორეული გამოყენებისათვის მისი გვერდი ორადაა გაჭრილი. როგორც ოთხთავის უმრავლეს ხელნაწერში, აქაც, სახარების ტექსტის სვეტებს ქვეშ, ფრაგმენტის ორივე გვერდზე წარმოდგენილია ამონიუსის სათანხმებლი.



სვანური პალიმფსესტი 4, ფრაგმენტი

წარმოვადგენ პავლე ინგოროყვას და ჩემს წაკითხვებს:

პავლე ინგოროყვას წაკითხვა:

8	[მა]
— — — — —	9 [რ]თლიად გეტყვ
მე:	10 [.....]
[]ქუა მას იუ: გ [ნე]	11 [.... სასოფე]
ბავს თოჯ რამცა	12 ველსა ცა[თასა]
სროულ ხიყავ მივედ	13 მერმე გეტყვ თქოვენ
გახ(?)ყიდე მონაგები	14 ხოჯადვილ[წს არს]
შენი და მიხეც გლა	15 ზომთ ს[აბელისაი]
[ხა]კთა და მოხილო	16 კოჯრელს[ა ნემსისასა]
[საფ]ას[წ] ცათა შინა	17 განსლვ[აი ვიდრე მდიდ]
და მოედ და შ	18 რისაი შეს[ლვად]

..... რჟე

[კ]ატა[გან]	9
[ესე ვერ შეს]ძლებელ	10 რასჟამს დაჯდეს
[არს წ ღ]გან ყო	11 ძ ^რ წ ^რ კაცისა საყდა[რ]
[ველი შეს]ძლებელ	12 თა ზედა დიდებისა
[ა]რს	13 მისისათა:
[მაშინ მი]ხოჯო	14 და ხსხდეთ თქოვენ
[პეტრე] და ხრქოჯა	15 ცა ათორმეტსა
[მას აჰ]ა ესერა ჩნ	16 საყდრებსა ზედა
[დახოჯტე]კეთ ყლი	17 და განხშვიდეთ ა
[და შეგ]იდგით	18 თორმეტთა ნათე

რჟე სომ

რჟზ

ჩემი წაკითხვა:

r

a

[მარ]

20. ... მე:

21. [ზრ]ქუა მას იწ: [გნე]

ბავს თოვ რამცა

სროვლ ხიყვ მივედ

განყიდე მონაგები

შენი და მიხეც გლა

[ხ]აკთა და მოხილო

[საფ]ას[ე] ცათა შინა

და მოედ და შ

b

23. თლიად [გეტყ თქუ]

ენ [რ მდილარი ძნად]

შევიდ[ეს სასუფე]

ველსა ცა[თასა]

24. მერმე გეტყვ თქოვენ

ხოჯადვილ[მს არს]

ზომთსა[ბლისად]

კოვრელს[ა ნემსისა]

სა განსლვა[ი ვიდრე მდიდ]

რისად შეს[ლვად]

რწჳ

v

a

26. [კ]აცთა[გან]

[ესე ვერშესადლ]ებელ

[არს წ ღ]გან ყო

[ველი შესა]ძლებელ

[ა]რს

27. [მაშინ მი]ხოვგო

[პეტრე დ]ა ზრქოვა

[მას აჰ]ა ესერა ჩნ

[დახოვტე]ვეთ ყოვე[ლი]

[და შეგ]იდევით

b

28. რასუამს დაჯდეს

ძმ კაცისად საყდ[არ]

თა ზედა დიდებისა

მისისათა:--.

დახსხდეთ თქოვენ

ცა ათორმეტსა

საყდრებსა ზედა

და განხშვიდეთ ა

თორმეტთა ნათე

რჳჳ სომ

რჳზ

ჩვენი ფრაგმენტის ტექსტი წარმოადგენს მათეს სახარების პასაჟს, სადაც საუბარია მდიდრის შესვლის შესახებ ზეციურ სასუფეველში. წარმოვადგინო ჩვენი ფრაგმენტისა და ადიშის ოთხთავის¹ მათეს სახარების 19,20-28 მუხლების ტექსტებს პარალელურ სვეტებში:

სვანური პალიმფსესტი
r

ადიშის ოთხთავი

20. ... მე
21. [ზრ]ქუა მას ი[~]ვ: [გნე]
ბავს თოვ რ[~]ამცა
სროულ ხიყავ მივედ
განყიდე მონაგები
შენი და მიხეც გლა
[ხ]აკთა და მოხილო
[საფ]ას[ე] ცათა შინა
და მოედ და შ

20. ჰრქუა მას ჭაბუკმან მან: ყოველი
ესე დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან;
მერმე

რაილა მაკლს მე?

21. ჰრქუა მას იესუ: გნე-
ბავს თუ, რადთამცა
სრულ იყავ, მივედ
და განყიდე მონაგები
შენი, და მიეც გლა-
ხაკთა და მოილო
საფასე ცათა შინა,
და მოედ და შემომიდეგ მე.

თვსთა: მართლიად
23. [მარ]თლიად [გეტყვ თქუ]
ენ [რ[~] მდიდარი ძნიად]
შევიდ[ეს სასუფე]
ველსა ცათასა.
24. მერმე გეტყვ თქუენ]
ხოჯადვილ[შს არს]
ზომთსა[ბლისაი]
კოკრელს[ა ნემსისა]
სა განსლვა[ი ვიდრე მდიდ]
რისაი შეს[ლვად]

23. ხოლო იესუ ჰრქუა მოწაფეთა

მართალსა გეტყვ თქუ-
ენ, რამეთუ მდიდარი ძნიად
შევიდეს სასუფე-
ველსა ცა[თასა]

24. მერმე გეტყვ თქუენ:
უადვილესა
ზომთსაბლისაი
კურელსა ნემსისასა
განსლვაი, ვიდრე მდიდ-
რისაი შესლვად სასუფეველ-
სა ღმრთისასა.

25. ვითარ ესმა ესე მოწაფეთა მისთა,
დაუკურდა ფრიად და ეტყოდეს: ვინმე
უკუე შეუძლოს ცხორებად?

v
26. ... [კ]აცთა[გან]
[ესე ვერშესაძლ]ებელ

26. მიხედა იესუ და ჰრქუა
მათ: კაცთაგან
ესე ვერშესაძლებელ

¹ ადიშის ოთხთავის ტექსტს ვიმოწმებთ წიგნიდან: ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ., 2003.

[არს წ ღი]გან ყო
[ველი შესა]ძლებელ
[ა]რს
27. [მაშინ მი]ხოვგო
[პეტრე დ]ა ზრქოვა
[მას აჰ]ა ესერა ჩნ
[დახოვტე]ვეთ ყოვე[ლი]
[და შეგ]იდევით ...

28. რასჟამს დაჯდეს
ძჳ კაცისა საყდ[არ]
თა ზედა ღიდებისა
მისისათა
დახსხდეთ თქოვ[ენ]
ცა ათორმეტსა
საყდრებსა ზედა
და განხშვიდეთ ა
თორმეტთა ნათე

არს, ხოლო ღმრთისაგან ყო-
ველი შესაძლებელ
არს.
27. მაშინ მიუგო
პეტრე და ჰრქუა
მას: აჰა, ესერა, ჩუენ
დაუტევეთ ყოველი
და შეგითქეთ შენ; რადმე
უკუე ყოფად არს ჩუენდა? 28. ხოლო
იესუ ჰრქუა მათ: მართლიად გეტყუ
თქუენ, რამეთუ რომელნი-ეგე შემომი-
დევით მე, მერმესა მას შობასა,
რაჟამს დაჯდეს
ძე კაცისად საყდარ-
თა ზედა ღიდებისა
მისისათა,
დახსდეთ თქუენ-
ცა, ათორმეტნი,
საყდართა ზედა
და გასვიდეთ
ათორმეტთა ნათესავთა
ისრაელისათა.

ფრაგმენტის ტექსტი მისდევს ადიშის ოთხთავში დაცულ ადიშური რედაქციის ტექსტს. ფრაგმენტის ტექსტში იკითხება 8 ხანმეტი ფორმა, აქედან 7 ზმნაა და ერთიც ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმა. ზმნებია: ხიყავ, მიხეც, მოხილო, [მი]ხუგო, ზრქუა, დახსხდეთ და განხშვიდეთ, ზედსართავი – ხუადვილ[ჴს]. აღვადგენთ კიდევ ორ ხანმეტ ზმნურ ფორმას [ზრ]ქუა (ფრაგმენტის დასაწყისში, მეორე სტრიქონზე) და [დახუტე]ვეთ (v, პირველი სვეტის 17-ე სტრიქონი).

სამწუხაროდ, ჩვენს ფრაგმენტზე მსჯელობა არ გვხვდება არსად, გარდა პ. ინგოროყვას დასახელებული ნაშრომისა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სვანური პალიმფსესტი 4-ის ქვედა ფენა ადიშური რედაქციისაა. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ფრაგმენტი ნაწილია ოთხთავის ვრცელი ხელნაწერისა, რომლის მინიმუმ მათეს სახარების ტექსტი ადიშური რედაქციის ხანმეტ ტექსტს შეიცავდა. როგორც ცნობილია, ხანმეტ ოთხთავშიც დასტურდება მათეს სახარების ადიშური რედაქციის ტექსტი (მ. 5,18-11,7 მუხლების ფრაგმენტები, იხ. ამ საკითხზე ფართო მსჯელობა და ლიტერატურა – ქაჯაია 1984:303-30).

ფრაგმენტის ქვედა ფენა შეიძლება დავათარილოთ არა უკვიანეს VII საუკუნისა. იგი ოთხთავის აკადემიური ტექსტის ჩენი ჯგუფის მომავალ პუბლიკა-

ციასა და ოთხთავის ტექსტის შემცველი ხელნაწერების კატალოგშიც სათანადო ადგილს დაიკავეს.

პაველ ინგოროყვა ჩვენ მიერ დასახელებული ნაშრომის – „ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა“ – იმავე შენიშვნაში მსჯელობს ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებზე და ცალკე გამოყოფს ლექციონარის ხანმეტ ფრაგმენტს, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში ინახება ნომრით 1445. მოვიყვანთ ციტატას: „მესამე ტექსტი – არქაული ლექციონარისა. დაცულია ხანმეტ პალიმფსესტში 1445/H (ხელნაწერი საქ. მუზეუმისა; წარმოადგენს ლექციონარს ოთხთავიდან). ტექსტი ამ მესამე რედაქციისა განსხვავდება სხვა ცნობილი რედაქციებიდან“ (ინგოროყვა 1978: 342). მხოლოდ აქ ვხვდებით ამ მეტად საინტერესო ლექციონარის ხანმეტ ფრაგმენტზე მითითებას. როგორც სვანური პალიმფსესტის შემთხვევაში, პ. ინგოროყვას არც ამ ფრაგმენტის ტექსტი გამოუქვეყნებია. მას რომ პალიმფსესტის ქვედა ფენის ტექსტი ამოკითხული ჰქონდა, ეს უდავოა, რადგან ის უთითებს, რომ ტექსტი ხანმეტია, განსხვავდება ოთხთავის სხვა ცნობილი რედაქციებისაგან და ფრაგმენტი ლექციონარის ნაწილს წარმოადგენს. ეს სამივე დაკვირვება მართებულია და ძლიერ მნიშვნელოვანი, რადგანაც საქმე გვაქვს ჩვენთვის აქამდე უცნობ მესამე ხანმეტ ლექციონართან, რომელიც, მიუხედავად დღეს შემორჩენილი მეტად მცირე ზომისა, გრაცსა და ვენაში დაცული ხანმეტი ლექციონარების გვერდით დგება.²

ხელნაწერთა ეროვნულ ფონდში დაცული H-1445 ერთეული XII საუკუნით დათარიღებულ ეტრატზე ნუსხურით ნაწერი ხელნაწერის 9-ფურცლიანი ფრაგმენტია, აქედან სამი ფურცელი პალიმფსესტურია (აღწერილობა H, 1948). ხელნაწერის ზედა ფენაში ფრაგმენტულადაა დაცული ლუკას სახარების გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ტექსტი. ჩვენთვის საინტერესო ხანმეტი პალიმფსესტური ფურცელია ხელნაწერის 3r-v. ამ ფურცლის ქვედა ფენა ნაწერია მეტად მსხვილი ასომთავრულით. პალიმფსესტის ქვედა ფენა უნდა დავათარილოთ არა უგვიანეს VII საუკუნისა. ტექსტი წარმოადგენს იოანეს სახარების მეოცე თავის 19-25 მუხლების საკითხავს. ტექსტი ხანმეტია. ეს საკითხავი იოანეს სახარებიდან დასტურდება ხანმეტ, ლატალის, კალის და სინის ლექციონარებში. საკითხავი აღვსების, ანუ აღდგომის დღესასწაულზე იკითხებოდა. სამწუხაროდ, ხელნაწერის ქვედა ფენის ტექსტი ძლიერ დაზიანებულია. ფრაგმენტის უკანა მხარის

² ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, ძველი ქართული ენის ძეგლები, I, თბ., 1944; B. Outtier, Un feuillet du lectionnaire géorgien *hanmeti* à Paris, Le Muséon 85, 1972:399-402, იგივე სტატია ქართულად: ბერნარ უტიე, ქართული ხანმეტი ლექციონარის ერთი ფურცელი პარიზში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1973:173-175; The Old Georgian Palimpsest, Codex Vindobonensis Georgicus 2 (Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series Ibero-Caucasica), Vol. 1, Edited by Jost Gippert in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia, Brepols, 2007.

ტექსტი თითქმის არ იკითხება, მხოლოდ რამდენიმე ასოს გარჩევა მოვახერხე. ამდენად, აქ წარმოვადგენ მხოლოდ ერთი გვერდის წაკითხვას.

[3ra]

19. და ხიყო მწოვს
რ დღესა მას ერ
თშაბათთასა
და ვ ე ბჭენი იგი
დაკსოვლდა ხი
ყვნეს სადა
ცა დამალოვლ
[ხიყვნეს მოწა
ფენი შიშისა]
თვს ჰოვრიად
თაღსა შევი
და ი ვ დადგა შო...

[3rb]

20. და ესე ვა თქ[ოვსა ხო]
ჯოვენა [ველ]
ნი მისნი [და გ]
ოვერნი მ[ისნი]
და განიხა[რეს]
მოწაფეთ[ა]
ვა ხესმა ივ [ისი]
21. მერმე ხქა
მშვდობად
თქნ თანა
ვ ა მომავლ[ინა]
მე მამამ[ან]
მეცა წარგ[ავ]
ლინნეთ [თქნ]
22. და ესე ვ ა თ[ქოვსა]
შთახბერა

ხელნაწერის პირველ სვეტში თავად საკითხავის ტექსტი იწყება მეხუთე სტრიქონიდან. პირველ სვეტში სტრიქონების რაოდენობა შეიძლება გამოვითვალოთ მეორე სვეტის მიხედვით. დღეს ცარიელ სტრიქონებზე უნდა ყოფილიყო სინგურით (წითელი მელნით, რომელიც ხელნაწერის მეორეული გამოყენებისათვის გადარეცხვისას ადვილად იშლებოდა) ნაწერი საკითხავის მითითება, ალბათ, დახლოებით იმგვარი, როგორსაც ვხვდებით ხანმეტი ლექციონარის 19v-20r გვერდებზე, საკითხავის ტექსტის წინ, ანუ: დღესა ახუსაბასა მწუხრი ნათელი. მხიარულია წართქუან. ხითქუას ფსალმუნი, რ მთსა სუგალობით. უფალი გალობითა. ახლითა ქებად მისი ეკლესიასა წმიდათასა. სახარებად იოჰანეს თავისაგანი (შანიძე, 1944), რის შემდეგაც იწყება თავად საკითხავის ტექსტი.

H-1445 პალიმფსესტის ჩემ მიერ ამოკითხულ ამ მონაკვეთში ხუთი ხანმეტი ზმნის ფორმა დასტურდება: ხიყო, ხიყვნეს, ხესმა, ხრქუა და შთახბერა. ხელნაწერის მეორედ გამოყენებისას ჩამოჭრილია მეორე სვეტის მარჯვენა ნაწილი, სადაც პირველ-მეორე სტრიქონებზე აღდგება კიდევ ერთი ხანმეტი ფორმა – ხუჩუენა. პირველი სვეტის დღეს არსებულ მე-8 სტრიქონზე აღვადგენთ ზმნას – ხიყვნეს.

რადგანაც ჩვენი ფრაგმენტის საკითხავის ტექსტი დასტურდება ხანმეტი ლექციონარშიც, შედარებისათვის წარმოვადგენთ ამ ორი ლექციონარის ტექსტებს გვერდი-გვერდ:

19. და ხიყო მწოვხ
რ დღესა მას ერ
თშაბათთასა
და ვ ე ბჭენი იგი
დავსოვლდა ხი
ყენეს სადა
ცა დამალოვლ
[ხიყენეს მოწა
ფენი შიშისა]
თვს ჰოვრიაი
თაღსა შევი
და ივ დადგა შო...
[3rb]

20. და ესე ვა თქ[ოვა ხო]
უჩო ენა [ველ]
ნი მისნი [და გ]
ოვერდნი მ[ისნი]
და განიხა[რეს]
მოწაფეთ[ა]
ვა ხესმა ივ[დის]
21. მერმე ხქა
მშვლობად
თქნ თანა
ვა მომავლ[ინა]
მე მამამ[ან]
მეცა წარგ[ავ]
ლინნეთ [თქნ]
22. და ესე ვა თ[ქოვა]
შთახბერა

19. და ხიყო მწუხრ
დღე იგი
ერთშაბათთად
და კარნი იგი
დავსულ ხიყენეს
სადა იგი ხიყენეს
მოწაფენი
დამალოვლ
შიშისათვის
ჰურიათადსა.
მოვიდა იესუ,
დადგა შოვრის

20. და ესე ვითარცა თქუა
ხუჩუენა მათ
ველნი და გუერდიცა
თვისი განიხარეს
მოწაფეთა,
იხილეს რად უფალი
21. ხრქუა მას მეორედ
იესუ მშვლობად
თქუენ თანა
ვითარცა მომავლინა
მე მამამან,
მეცა წარგავლინებ
თქუენ.
22. და ესე რად თქუა
შთახბერა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, H-1445-ის მესამე ფურცლის ქვედა ფენის ტექტი სიტყვასიტყვით არ ემთხვევა ჩვენთვის ცნობილი არც ერთი ოთხთავის რედაქციის წაკითხვას და არც ლექციონარებში წარმოდგენილი საკითხავებისას, თუმცა გარკვეულ სიახლოვეს მაინც იჩენს ზოგიერთი მათგანის ვარიანტებთან.

საკითხავის დასაწყისი სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი ჩვენს ფრაგ-მენტსა და დანარჩენ ლექციონარებში:

H-1445: და ხიყო მწუხრ დღესა მას ერთშაბათთასა.

ხანმეტი ლექციონარი: და ხიყო მწუხრ დღე იგი ერთშაბათთად.

ლატალის და სინის ლექციონარები: და ვითარცა დამწუხრდა დღც იგი ერთშაბათისად.

ამ ფრაზას ხელნაწერში მოსდევს:

H-1445: და ვიდრე ბჭენი იგი დაკსულდა ხიყვნეს, სადაცა დამალულ [ხიყვნეს მოწაფენი შიშისათვის ჰურიათათისა, შევიდა იესუ და დადგა შო...

ამ ადგილას H-1445-ში მონაკვეთი „ხიყვნეს მოწაფენი შიშისა“ ჩემი აღდგენილია. ხელნაწერში აქ ორი სტრიქონი ისეა ამოფხეკილი, რომ არც ერთი ასო აღარ იკითხება. ეს ვარიანტი ახლოს დგას ხანმეტი ოთხთავის წაკითხვასთან და სხვაობს ადიშის ოთხთავის (C) ვარიანტისაგან, სადაც „სადა-იგი შეკრებულ იყვნეს მოწაფენი შიშისათვის ჰურიათათისა“ გვაქვს:

ხანმეტი ლექციონარი: და კარნი იგი დაკსულ ხიყვნეს, სადა-იგი ხიყვნეს მოწაფენი, დამალულ შიშისათვის ჰურიათათისა, მოვიდა იესუ, დადგა შოვრის.

C: შევიდა იესუ ბჭეთა კშულთა, სადა-იგი შეკრებულ იყვნეს მოწაფენი შიშისათვის ჰურიათათისა.

მიუხედავად ამ ვარიანტის სიანლოვისა, H-1445-სა და ხანმეტ ლექციონარს შორის მრავალ სხვაობას ვხვდებით, მათ შორის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. აქ H-1445-ში დასტურდება „ბჭენი“ ხანმეტი ლექციონარის „კარნი“-ს საპირისპიროდ. „ბჭეთა“ გვხვდება ადიშის ოთხთავში, ხოლო ამავე მუხლში „კარნი“ დასტურდება ოთხთავის პროტოვულგატიისეული რედაქციების ხელნაწერებში:

პროტოვულგატიისეული რედაქციის ხელნაწერები: კარნი დაკშულ იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი დამალულ შიშისათვის ჰურიათათისა.

საკითხავის მომდევნო, 20-ე მუხლში H-1445-ში დაცული ვარიანტი გვხვდება მხოლოდ ადიშის ოთხთავში:

H-1445: და ესე ვითარცა თქ[უა, ხუ]ჩუენნა [კელ]ნი მისნი [და გუერდნი მ[ისნი] და განიხა[რეს] მოწაფეთ[ა], ვითარცა ხესმა იესუ[ისი].

C: ვითარცა ესე თქუა, უჩუენნა კელნი და გუერდნი, და განიხარეს მოწაფეთა მათ, ვითარცა იხილეს უფალი.

აქ დადასტურებულ ვარიანტში „ხუჩუენნა კელნი მისნი და გუერდნი მისნი“ ყურადღებას იპყრობს წაკითხვა „გუერდნი მისნი.“ ადიშის ოთხთავის გარდა ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებსა და ლექციონარებში დაცული ამ საკითხავის ტექსტებში აღდგომის შემდეგ იესო აჩვენებს მოწაფეებს მის ხელებზე არსებულ ჭრილობებს და მხოლოდ ერთ გვერდზე არსებულ იარას, რომელიც მას ჯვარზე გაკრულს შუბით მიაყენა რომაელმა ჯარისკაცმა. იესოს ორივე გვერდზე იარებს არ ვხვდებით არც ბერძნული დედნის არც ერთ რედაქციაში და არც თარგმანებში:

ο. 20,20 καὶ τοῦτο εἶπὼν ἔδειξεν τὰς χεῖρας καὶ τὴν πλευρὰν αὐτοῖς, ἐχάρησαν οὖν οἱ μαθηταὶ ἰδόντες τὸν κύριον.

არც ოთხთავის სომხურ თარგმანშია იესოს ორივე გვერდზე არსებულ იარაზე საუბარი:

ო. 20.20 ჩქრუი ცაჟა ააააგ, ხეიჟ ლგაა ცღნუ ზ ციქიან ჰქ: ზ ლნუაგჰი ააააქრუქნ ჩქრუი თნუჰი ციქ.

იოანეს სახარების კიდევ ერთ, 20,25 მუხლში, აღიშის ოთხთავში დასტურდება წაკითხვა, სადაც იესოს ორივე გვერდზე არსებულ იარებზეა საუბარი. მოწაფეები მოუთხრობენ თომას აღმდგარი უფლის ხილვის შესახებ. ის კი ეუბნება, რომ თუ არ ნახავს მის ხელებზე ლურსმნების ნაკვალევს და არ შეახებს ხელს მის გვერდებს, არ ირწმუნებს:

ო. 20,25 C: უთხრობდეს სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ უფალი. და მან პრქუა მათ: არა თუ ვიხილო კელთა მისთა სასწაული სამსჭუალთაჲ მათ და შთავკადო თითი ჩემი ადგილსა მას სამსჭუალთასა და შევახო კელი ჩემი გუერდთა მისთა, არა მრწმენეს.

H-1445-სა და აღიშის ოთხთავში დადასტურებული ვარიანტების შესახებ ი.20,20 და 20,25 მუხლებში საუბარი მქონდა 2009 წლის ოქტომბერში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ ჰოლანდიელ მეცნიერთან ბ-ნ ალბერტ თენ ქეითთან, რომელიც ძირითადად ეთიოპურ ტექსტებზე მუშაობს და დავინტერესდი, ხომ არ იცნობდა ამგვარ წაკითხვას ეთიოპურ თარგმანში. მისი ახსნა ი. 20,25 მუხლში იესოს ორივე გვერდზე არსებულ იარებთან დაკავშირებით ამგვარია: „ეს სომხური პრობლემა უნდა იყოს: სიტყვა "kol" უმეტესად მრავლობითის ფორმით გვხვდება, მაგრამ ერთ-ერთ ძველ სომხურ ხელნაწერში (M) ის მხოლოდითშია. სხვა ძველ სომხურ ხელნაწერში მრავლობითშია (ან მხოლოდითში დენომინატიური ბგერით). აქ აღიშის ოთხთავის ტექსტზე სომხურის გავლენის კვალს ვხედავთ“.³

ო. 20,25 ააქჰი გნა აჟ ააააქრუქნ, ზქ თნუაჟ ციქ: ზ აა` ააა გნუაა. ზქ იჟ თნუჰი ჰ ღნუ სირა ციჟან რნუაგნ, ზ აარქიჟ ციასთიანს ჰ ჰ თნუჰი რნუაგნ, ზ აქსეჰი ცღნუ ჰ ჰ ლიქ სირა, იჟ აააააააა:

შესაძლოა, გავიზიაროთ ბ-ნი თენ ქეითის მოსაზრება აღიშის ოთხთავში ი. 20,25 მუხლში სომხური თარგმანის კვალის შესახებ, რადგანაც ჯერჯერობით მხოლოდ აქ დასტურდება ჩვენთვის საინტერესო სიტყვა მრავლობითში, მაგრამ საინტერესოა ისიც, რომ ორი მუხლის შემდეგ (ი. 20,27), როცა იესო ეუბნება თომას, რომ მან შეახოს თითები, შეხედოს მის ხელებს და ხელით შეეხოს მის იარას გვერდზე, რომ ირწმუნოს, უკვე აღიშის ოთხთავშიც გვერდი მხოლოდით რიცხვშია:

ო. 20,27 C: მაშინ პრქუა თომას: მოყვენ თითნი შენნი და შემახე აქა და იხილენ კელნი ჩემნი და მოყავ კელი შენი და შთაკადე გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ.

ო. 20,20 მუხლში H-1445-ის ტექსტში ვხვდებით მეორე ვარიანტს, რომელიც არ დასტურდება ჩემთვის ცნობილ ოთხთავის არც ერთ ქართულ ხელნაწერში და არც ლექციონარში:

³ ბ-ნმა თენ ქეითმა თავისი დაკვირვება ელექტრონული ფოსტით მომაწოდა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებ, მაგრამ მის რაიმე ნაშრომს აქ ვერ მივუთითებ.

H-1445: და განიხა[რეს] მოწაფეთ[ა], ვითარცა ხესმა იესუ[ისი].

ამ ადგილას ხანმეტ ლექციონარსა და ოთხთავის ხელნაწერებში კკითხულობთ:

განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რად უფალი.

H-1445-ში დადასტურებული ვარიანტი „ხესმა“ და სხვა ხელნაწერებში არსებული „იხილეს“ თარგმანია ბერძნული ἰδόντες-ი. ἰδόντες არის მამრობითი სქესის აორისტის მოქმედებითი გვარის მიმღეობა მრავლობით რიცხვსა და სახელობით ბრუნვაში. მისი ამოსავალი ზმნის ფორმა ἰδόν, რომელიც იხმარება როგორც ἰδών-ს 2 აორისტი და ნიშნავს: დანახვას, შეხედვას, შემჩნევას, რაიმეს განცდას, რაიმეთი დაინტერესებას, გამოჩენას, (Danker-Bauer 2000:279-80; Lampe 2005:968; Mounce 1993:341). ბერძნული ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთ თანამედროვე გამოცემაში, რომელსაც ინგლისურენოვანი ბჭკარედიც ახლავს, თითოეულ სიტყვას თავზე ნომერი უზის (The Apostolic Bible Polyglot), რომელიც მიუთითებს ჯეიმს სთრონგის კონკორდანსის განსამარტ სიტყვაზე. ამ გამოცემაში ი. 20,20 მუხლის ἰδόντες-ს თავზე ნომერს მიყვავართ სტრონგის კონკორდანსის ლექსემასთან ἰδών, რაც აქვე განმარტებულია, როგორც ზმნა, რომელიც მხოლოდ წარსული დროის გარკვეულ მჭკრივებში გვხვდება და ნიშნავს: დანახვას (გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობით), ცოდნას, შეხედვას, რაიმეში დარწმუნებულობას, თქმას, გაგებას, სურვილს (Strong:1492). როგორც ვხედავთ, ἰδών-სათვის ჯ. სთრონგის ლექსიკონში მოცემულია ორი მნიშვნელობა: თქმა და გაგება, რომლითაც, შესაძლოა, ავხსნათ H-1445-ში დადასტურებული ხესმა ἰδόντες-ს ფარდად.

ი. 20,21 მუხლი H-1445-ში ასე იწყება:

H-1445: მერმე ხრქუა: მშუღლობად თქუენ თანა!

ხანმეტი ლექციონარი: ხრქუა მას მეორედ იესუ: მშუღლობად თქუენ თანა!

ლატალის ლექციონარი: და ჰრქუა მათ მეორედ: მშუიღლობად ჩემი თქუენ თანა!

ხანმეტი ლექციონარისა და ლატალის წაკითხვები ერთმანეთს უახლოვდება, მაგრამ სხვაობს H-1445-ში დაცული ვარიანტისაგან, რომელიც ახლოს დგას ადიშის ოთხთავის, ოთხთავის პროტოვულგატისეული რედაქციის ჯრუჭის, პარხლის, Sin-15, Sin-30-38, ურბნისული და პალესტინური ოთხთავების წაკითხვასთან:

პროტოვულგატა: ჰრქუა მათ იესუ მერმე: მშუღლობად თქუენ თანა!
(ურბნისული, პალესტინური: და მერმე ჰრქუა მათ)

C: ჰრქუა მათ მერმე: მშუღლობად თქუენ თანა!

რაც შეეხება მუხლის მეორე ნაწილს, აქ მხოლოდ ზმნა წარვლენაა განსხვავებული ფორმით წარმოდგენილი H-1445-ში:

H-1445: ვითარცა მომავლინა მე მამამან, და მეცა წარგავლინნეთ თქუენ.

სხვა დანარჩენ ლექციონარებსა და ოთხთავის ნუსხებში კკითხულობთ: ვითარცა მომავლინა მე მამამან, და მეცა წარგავლინებ თქუენ.

როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდანაც ჩანს, პავლე ინგოროყვას შეხედულება H-1445 პალიმფსესტური ლექციონარის ხანმეტი ფრაგმენტის ტექს-

ტის განსხვავებული რედაქციის შესახებ სრულიად მართებულია. ლექციონარის საკითხავის ეს ხანმეტი ტექსტი იოანეს სახარებიდან სიტყვასიტყვით არ მისდევს ოთხთავის ქართული თარგმანის არც ერთი რედაქციის ტექსტს და არც ლექციონარებში დაცულ საკითხავებს ემთხვევა, მაგრამ მისი ცალკეული ვარიანტები უახლოვდება ადიშის ოთხთავში დაცულ ოთხთავის ტექსტს.

ლიტერატურა

- ინგოროყვა 1978.** პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტ. IV, თბილისი.
- ქაჯაია 1984.** ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლ. ქაჯაიამ, თბილისი.
- შანიძე 1944.** ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ, ძველი ქართული ენის ძეგლები, I, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1949:** ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი.
- აღწერილობა H, 1948** – საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით. ტ. III, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ქრ. შარაშიძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბილისი.
- ხანმეტი ლექციონარის ელექტრონული ვერსია: **Manuscript: Gr.:** 2058/2, Textus Chanmetici Lectionarium Gracense, Codex Chanmeticus, On the basis of photographs of the original manuscript, preserved in Handschriftenabteilung, University Library, Graz / Austria, as part of the bequest of Hugo Schuchardt, and by collating the edition Xanmeti lektionari, pofoṭipiuru reprodukcia, gamosca da simponia daurto Aḡaḡi Šanizem, (zveli kartuli enis zeglebi, 1), Tbilisi 1944, edited by J. Gippert / V. Imnaishvili / Z. Sarjveladze, 1996-2000; colour photographs by courtesy Handschriftenabteilung, University Library, Graz; greyscale photographs of page 0 belonging to the Paris ms. géorgien 30, fol. 1 as edited by B. Outtier, Un feuillet du lectionnaire géorgien ḡanmeti à Paris, Le Muséon 85, 1972, 399-402 (Pl. I-II), TITUS version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 1.9.1999 / 1.6.2000 / 18.11.2001/1.7.2003/17.3.2007, <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/xanmeti/grlekt/grlek.htm>
- The Apostolic Bible Polyglot 2006:** The Apostolic Bible Polyglot, edited by Charles Van der Pool, The Apostolic Press.
- Danker-Bauer 2000:** A Greek-English Lexicon of the New Testament and other Early Christian Literature, revised and edited by Frederick William Danker based on Walter Bauer's Griechisch-deutsches Wörterbuch zu den Schriften des Neuen Testaments und der frühchristlichen Literatur, Chicago and London.
- Lampe 2005:** A Patristic Greek Lexicon, edited by G.W.H. Lampe, Oxford.
- Mounce:** The Analytical Lexicon to the Greek New Testament, William D. Mounce, Michigan.
- Strong:** Unified Strong's Dictionaries of Hebrew and Greek in XML (alpha release) (ელექტრონული ვერსია).
- Hovhannēs Zōhrapean, Astowacašownc' matean hin ew nor ktakaranac', Venetik 1805 (the so-called Zohrab-Bible), entered by H. Palanġian, J. Gippert, D. Čitunašvili, N. Čantlaze, TITUS version by J. Gippert, <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcs/arm/zohrab/armnt/ar>

Two Khanmeti Palimpsestic Fragments Kept in the National Centre of Manuscripts

Summary

The article discusses two khanmeti palimpsestic fragments (Svanuri palimpsesti 4 and 3rd folio of the ms H-1445) kept in the National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia). Both mss may be dated not later than VII c.

The text of the lower layer of the ms Svanuri palimpsesti 4 is the text of verses 19,20-21; 23-24 and 26-28 of Matthew's Gospel. The text is identical to the Adishi recension of Georgian version of the Gospels, kept in the ms Adishi Gospels (copied in 897) and a number of lectionary readings. There are 8 khanmeti forms in the text of the fragment, 7 of them are verbs and one – a superlative form of an adjective.

The lower layer of the 3rd folio of the ms H-1445 is a fragment of a lectionary. The text is identified as verses 20,19-25 of John's Gospel, presented in several other VII-X cc lectionaries: Khanmeti, Latali, Kala and Sinai lectionaries. There are 5 khanmeti verbs and one more maybe restored in the khanmeti fragment of the 3rd folio of the ms H-1445. The text of the reading is unlike the existing recensions of the Georgian version of the Gospels and the texts of the same lectionary reading of other Georgian lectionaries, while several variant readings of it are very close to the text of Adishi Gospels.

Both palimpsestic fragments are briefly discussed and identified by the Georgian scholar Pavle Ingorokva in the book "The Short Review of Old Georgian Literature" (P. Ingorokva, Collected Works, v. IV, Tbilisi, 1978, p. 341-2). In the envelope together with the ms Svanuri palimpsesti 4 is kept a handwritten copy of the text of the fragment by P. Ingorokva. Unfortunately, P. Ingorokva has never published the texts of these significant fragments, thus, they have never been discussed in the scholarly literature.

ბერნარ უტიმ

ზმნისწინები და ქართული ბიბლიის დედანი

უკვე ერთ საუკუნეზე მეტია, რაც მეცნიერები იკვლევენ საკითხს: რომელი ენიდან ითარგმნა ბიბლია ქართულად?

ამ საკითხზე სხვადასხვა პასუხი არსებობს. ჩვენთან, დასავლეთ ევროპაში, ძირითადად შემდეგი პასუხია გავრცელებული: ბიბლია ქართულად ითარგმნა სომხურიდან, ხოლო თვით სომხური ბიბლია თარგმნილი იყო სირიულიდან. და, რადგან ეს არ ჩანს აშკარად თვით ტექსტებში, ამ მოსაზრებას ჩვეულებრივ ემატება შემდეგი დაზუსტება: ქართულის სომხური დედანი დაკარგულია, დაკარგულია აგრეთვე სომხურის სირიული დედანი. ესე იგი ხდება ვარაუდის ვარაუდზე დაშენება. ხოლო თვით ვარაუდები, ცხადია, შეუმოწმებელია.

აშკარაა, რომ ამ პრობლემის კვლევა შესაძლებელია სხვადასხვა მხრიდან: ისტორიულად, ტექსტუალურ-რედაქციულად, ენათმეცნიერულად. ამ სტატიაში მე მინდა ამ პრობლემის კვლევა დავაფუძნო წმინდა ენათმეცნიერულ თვალსაზრისს, და ეს გავაკეთო ბატონი ზურაბ სარჯველაძის შრომების ნაკვალევზე.

ოთხთავის, და მისი უძველესი რედაქციის, ადიშურის შესახებ ზ. სარჯველაძე წერს: „უთუოდ ბერძნული დედნის ზეგავლენის შედეგია ადგილობითი ზმნისწინების შემცველი ფორმები“ (სარჯველაძე 2003:122-123), და მოაქვს რამდენიმე ნიმუში, როგორიცაა: *თანაწარმავალნი, გარემიიქცევ, ზელამიადგა, წინაწაჰოქრა* და სხვ.

ამას გარდა, უფრო ადრე კ. დანელიას ჰქონდა ერთი გამოკვლევა სწორედ ამ საკითხის თაობაზე (დანელია 1981:139-154). ხოლო კლასიკური გამოკვლევა ზმნისწინების შესახებ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, არის ი. ვეშაპიძის „ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში“ (ვეშაპიძე 1967:263-304). ავტორს არა აქვს გაკეთებული დასკვნები სპეციალურად ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის დედნის შესახებ.

ვფიქრობ, ალბათ საინტერესო და ახალი გზის მიმთითებელია ფრანგული ხალხური ანდაზა: „ვინ არის ერთ თურქზე უფრო ძლიერი?“ პასუხია: „ორი თურქი“.

რადგანაც არ არსებობს ზმნისწინი სირიულსა და სომხურში (ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის სავარაუდო დედნებში), ვფიქრობ, ლოგიკურია რომ ჩვენს საძიებელ საკითხთან დაკავშირებით არგუმენტაცია დავამყაროთ ზმნისწინების ხმარებას. ამის საფუძველზე შეიძლება ვიპოვოთ ძველი აღთქმის ქართული წიგნების ტექსტებში ბერძნულის ზეგავლენის საბუთიანობა. ვფიქრობ, კიდევ უფრო ძლიერი იქნება დასაბუთება, თუ ორმაგ ზმნისწინებს ვიპოვოთ ქართულსა და ბერძნულში.

რა თქმა უნდა, ამ მხრივ მთელი ძველი ქართული ბიბლია არ წამიკითხავს: ასე რომ, ჩემი სია სრული არ იქნება. მაინც იმედი მაქვს, რომ ეს წმინდა

ენათმეცნიერული არგუმენტი დამაჯერებელი იქნება, იმიტომ რომ საკმარისი მოწმობები მოგვეპოვება ამ მიმართულებით. მასალა სხვადასხვა სახით შეიძლება დავალაგოთ: ან ქართული ზმნისწინების მიხედვით, ან ბერძნული ზმნისწინების მიხედვით, ან ბიბლიის წიგნების მიხედვით, და მე ეს უკანასკნელი ვარჩიე. გვაინტერესებს დედანი, ესე იგი, შემთხვევები, როდესაც ბერძნულში არის ორმაგი ზმნისწინი. ვნახოთ ნიმუშები:

შესაქმე/დაბადება 6, 16: ზე-შე-კრებულად ჰყო (პარიზის ლექციონარის მიხედვით, აქ ნაკლულია ოშკის ხელნაწერი): ΕΠΙ-ΣΥΝ-ΑΥΑΝ. სირიულად ܠܥܘܝܘܢ (და სარკუმლნი ქმნა); სომხურში ორი ზმნა არის, ზმნისწინის გარეშე: քաղելով գործեսցես (შეკრებით ქმნა).

შესაქმე/დაბადება 19, 17: ნუუკე თანა-შე-იპყრა¹: ΣΥ-ΠΑΡΑ-ΛΗΜΦΘΙΣ. სირიულად თარგმნილი არ არის ზმნისწინები: ܘܠܗ ܠܘ (=რადთა არა მოკუდე), სომხურად თანა-წინდებულა, და არა ზმნისწინი: գուցէ ընդ նոսս ըմբռնիցիս (=ნუუკე მათ თანა იპყრა).

შესაქმე/დაბადება 50, 25: თანა-აღ-იხუენით ბუალნი ჩემნი: ΣΥ-ΑΥ-ΟΙΣΕΤΕ. სირიულად ܘܘܬܐܪܘܢ (=წარიტანეთ), სომხურად հանցիք (=წარიტანეთ).

ასე რომ, აშკარაა: სირიული თარგმნის ერთი ზმნით (უზმნისწინოდ) ან ზმნით და სახელით; სომხური ერთი ზმნით (უზმნისწინოდ) ან ორი ზმნით (ორივე უზმნისწინოდ), ან ერთი უზმნისწინო ზმნითა და წინდებულით. არასოდეს არ არის ზმნისწინიანი ზმნა, არც სირიულში და არც სომხურში – და არც შეიძლება იყოს.

მსავჯულთა 12, 5: წინაწარ-და-იპყრეს: ΠΡΟ-ΚΑΤ-ΕΛΑΒΕΤΟ.

3 მეფეთა 2, 19: ზე-აღ-დგა: ΕΞ-ΑΥ-ΕΣΤΗ.

ეზრა 8, 51: წინა-აღ-გუდგეს: ΕΥ-ΑΥΤΙ-ΟΣΜΕΝΟΥΣ.

ესთერ 7, 7: ზე-აღ-ემართა: ΕΞ-ΑΥ-ΕΣΤΗ.

ტობია 8, 7: თანა(დ)-და-ვბერდეთ: ΣΥ-ΚΑΤΑ-ΥΕΡΑΣΑΙ

ფსალმუნი 87, 15: გარე-მი-იქცევ: ΕΞ-ΗΠ-ΟΙΘΗΥ.

ფსალმუნი 93, 16: თანა-წარმო-მიდგეს: 93, 16: ΣΥ-ΠΑΡΑ-ΣΤΗΣΕΤΑΙ.

იგავნი 11, 29: თანა-შე-ეზავებოდის: 11, 29: ΣΥ-ΠΕΡΙ-ΦΕΡΟΜΕΝΟΣ.

სიბრძნე 2, 12: წინა-აღმი-დგების: 2, 12: ΕΥ-ΑΥΤΙ-ΟΥΤΑΙ.

ესაია 9, 18: თანად-შე-ჭამა: ΣΥ-ΚΑΤΑ-ΦΑΓΕΤΑΙ.

¹ ციტატებს ყოველთვის ვიმოწმებ უძველესი რედაქციის მიხედვით, აქ, ოშკის ბიბლიიდან, რადგან ქართული ბიბლია ბერძნულის მიხედვით მრავალჯერ არის შესწორებული პირველი თარგმანების შემდეგ)

ეზეკიელი 16, 55 (სამეზის) და 17, 23: კუალად-მო-ვენენ:

απο-κατα-σταθησεται.

ამბაკუმი 2, 10: თანა-გან-ხუედ: συν-επ-αρανας (არა ზუსტი განყოფა).

ლუკა 6, 38: ზე(და)-გარდა-თხეული: υπερ-εκ-χυσνομενος.

ლუკა 10, 31 და 32: თანა-წარ-ვლა: αντι-παρ-ηλθεν.

ლუკა 23, 51: თანა-შე-როთულ: συγ-κατα-τεθειμενος.

საქმე მოციქულთა 1, 26: თანა-შე-ერაცხა: συγ-κατ-εψηφισθη.

საქმე მოციქულთა 3, 18: წინაღსწარ-აღ-უთქვა: προ-κατ-ηγγειλεν.

საქმე მოციქულთა 12, 25: თანა-წარ-იყვანეს: συν-παρα-λαβοντες.

საქმე მოციქულთა 15, 37: თანა-წარ-იყვანა: συν-παρα-λαβειν.

რომაელთა 5, 20: უფროდსად-გარდა-ემატა: υπερ-ε-περι-σσευσεν.

რომაელთა 8, 26: თანა-შე-ეწვევის: υπερ-εν-τυχαι.

1 კორინთელთა 5, 9: თანა-აღ-ერევით: συν-ανα-μικυσσθαι.

2 კორინთელთა 7, 3: თანა-მო-სიკუდიდ: συν-απο-θανειν.

2 კორინთელთა 9, 5: წინაღსწარ-გან-გეკრძალნენ: προ-κατ-αρτισασιν.

2 კორინთელთა 12,18: თანა-მი-ვაყვანე: συν-απ-εστειλα.

ეფესელთა 2, 6: თანა-და-მსხნა: συν-ε-καθ-ισεν.

2 თესალონიკელთა 3, 14: თანა-აღ-ერევით: συν-ανα-μικυσσθαι.

2 ტიმოთეს 2, 25: წინა-აღ-მდგომთა: αντι-δια-τιθεμενους.

2 ტიმოთეს 4, 16: თანა-და-მიდგა: συν-παρ-εγενετο.

როგორც ჩანს, ცალკე უნდა განვიხილოთ მათე 23, 6: ზე-შთა-ჯდომად (ადიშის ხელნაწერში); ალბათ მთარგმნელმა აქ ორი ზმნისწინი დაინახა: πρωτο-καθ-εδριας, რადგან სხვაგან ზემთა-ს შესატყვისად გვაქვს υπερ. და საერთოდ, πρωτο-ს შესატყვისია პირველ, პირველი (ეზეკიელი 44, 30), პირველად (იერემია 4, 31) ან პირ-(პირმშობება πρωτοτοκιον: მეორე სჯულისა 21, 17; ებრაელთა 12, 16).

იმავე სტრუქტურით არის წარმოდგენილი ზოგჯერ კომპოზიტი, რომელიც ორმაგ ზმნისწინს არ წარმოადგენს; ამ სახით არის თარგმნილი:

ლუკა 11, 48: თანა-სათნო-ეყოფით: ლუკა 11, 48: συν-εσ-δοκειτε.

საქმე მოციქულთა 8, 1: თანა-ჯერის-მჩინებელ: συν-εσ-δοκων.

და ალბათ აგრეთვე:

იუდა 12: თანა-შე-გცხრებიან: συν-εσ-αχουμενοι.

რა თქმა უნდა, ორმაგი ზმნისწინი ძირითადად დამახასიათებელია კლასიკური ბერძნული ლიტერატურული სტილისათვის. ის ძალიან იშვიათია ბერძნულ ბიბლიაში, სადაც დედანი – ძველი აღთქმისათვის და ზეგავლენის წყარო – ახალი აღთქმის ბევრი წიგნისთვის – სემიტური ენაა, სადაც არ არსებობს ზმნისწინი. სხვათა შორის, ეს აშკარად ჩანს სახარებაშიც: თითქმის ყველა

ზმნისწინი ლუკას თავშია, რადგან ლუკა ცდილობს ლიტერატურული ენით წერას.

ასე რომ, ვფიქრობ, შეიძლება დავასკვნათ: არსებობს ენათმეცნიერული საბუთი, რომლის მიხედვითაც უცილობლად უნდა ვიფიქროთ, რომ ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის დედნის უდიდესი ნაწილი, თუ არა მთლიანად, ბერძნული იყო. ნეტავი ახლაც ჩვენთან იყოს გამოჩენილი მეცნიერი და არაჩვეულებრივი მეგობარი, ბ-ნი ზურაბ სარჯველაძე, რომ გაგვეგო მისი აზრი ამ პრობლემის შესახებ!

ლიტერატურა

დანელია 1981: კ. დანელია, ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2.

ვეშაპიძე 1967: ი. ვეშაპიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბილისი.

სარჯველაძე 2003: ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ზ. სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბილისი.

Bernard Outtier

The Preverbs and the Origin of the Georgian Bible

Summary

The analysis of functioning of double preverbs in the text of Georgian Bible (ზე-შე-, ზე-შთა-, ზე-ალ-, თანა-შე-/მო-/მი/და-/წარ-, თანად-შე, წინა-ალ/აღმი-, გარე-მი-, კუალად-მო, წინასწარ-ალ/გან) is in full accordance with the functioning of double preverbs in the text of Greek Bible. This gives evidence for the assumption that the text of Georgian Bible is translated from Greek, but not from Syrian or Armenian, where the preverbs of this type do not exist and the same meaning is expressed without preverbs.

მზმძალა შანიძე

ჰომილია „ფარისეველთა შურისათჳს“ ხანმეტ მრავალთავში

ხანმეტი ტექსტების გამოვლინება და შესწავლა, როგორც ცნობილია, მეოცე საუკუნის ოციან წლებში დაიწყო. სწორედ ამ დროს მიაკვლია აკაკი შანიძემ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნომერ 3902 ხელნაწერში (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწ. S-3902) ქვედა, გადარეცხილ ფენაში ტექსტს, რომელიც მან 1927 წელს „ხანმეტი მრავალთავის“ სახელწოდებით დაბეჭდა. ძველი ტექსტის ერთი, განსაკუთრებით დაზიანებული ნაწილი, იმდროინდელი პრაქტიკის შესაბამისად, ქიმიურად დამუშავებული და გაცხოველებული იყო (შანიძე 1927:100). მიუხედავად ამისა, გადარეცხილი ნაწერის მთლიანად ამოკითხვა ა. შანიძემ ვერ შეძლო, ამიტომ გამოქვეყნებულ ტექსტში, სადაც გვერდები დაბეჭდილია ისე, როგორც ხელნაწერშია (თითოეულ გვერდზე ორ-ორ სვეტად, სვეტში 22 სტრ.), ბევრგან ცარიელი ადგილები დარჩა. მაგალითად, ერთ-ერთ გვერდზე მოსალოდნელი 44 სტრიქონის ნაცვლად არის მხოლოდ 16, ამათგან ზოგიერთში მხოლოდ ორი ან სამი ასოა ამოკითხული. ა. შანიძე თვითონ აღნიშნავდა ამ პალიმფსესტზე მუშაობის სიძნელეს (შანიძე 1927:122). მაგრამ მან მაინც ამოიცნო ამ ფრაგმენტებში რვა თხზულება, რომელთაგან სათაური და დასაწყისი მხოლოდ ორს ჰქონდა.

ფრაგმენტების რაობის გასარკვევად გამოძიებულმა გამოიყენა იმ დროს ხელმისაწვდომი სხვა ხელნაწერები (ამჟამად ყველა მათგანი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ეკუთვნის): უდაბნოს (A-1109), სვანური (A-19) და პარხლის (A-95) მრავალთავები. ზოგიერთი შესაბამისი მონაკვეთი ამ ხელნაწერებიდან ა. შანიძემ აქვე დაბეჭდა. შედარებამ აჩვენა, რომ უფრო გვიანდელი (IX-X საუკუნეთა) ხელნაწერების ეს მონაკვეთები თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვეოდა ხანმეტი პალიმფსესტებისას, ამიტომ ზოგან ნაკლები თუ ძნელად ამოსაკითხავი ადგილების გასამართავად იყო გამოყენებული. ა. შანიძე მიუთითებდა, რომ „მერმინდელ მრავალთავებში დაცული ტექსტის განხილვა და ხანმეტთან შედარება გვარწმუნებს, რომ ისინი ყველანი ხანმეტი ტექსტიდან მომდინარეობენ“ (შანიძე 1927:107). მოგვიანებით, როდესაც სინური ხელნაწერების ფოტოპირები გახდა ხელმისაწვდომი, 864 წელს გადაწერილი სინური მრავალთავის შესწავლის შემდეგ აკაკი შანიძემ დააზუსტა ხანმეტ მრავალთავში ამოკითხული სამი ფრაგმენტის რაობა და ავტორობა (შანიძე 1957:189).

ხანმეტ მრავალთავში მეექვსე ნომრად დაბეჭდილია ტექსტი, რომლის სათაური თვითონ პალიმფსესტში არის დასახელებული. სათაურის მიხედვით, ეს არის იოანე ოქროპირის ჰომილია („სიტყუა“) „ფარისეველთა შურისათჳს“ (შანიძე 1927:135-141). ეს ფრაგმენტი, რომელიც სხვებთან შედარებით დიდია (ხანმეტი ტექსტის 13 სვეტი, ანუ ექვს-ნახევარი გვერდი) საკმაოდ ძნელი ამოსაკითხავი გამოდგა. მაგალითად, ერთ-ერთ სვეტში თითოეულ სტრიქონზე ამოკითხულია მხოლოდ თითო-ორი ასო სტრიქონთა დასაწყისებში: გამო...ვე...ნი...ყმ...ვე...სა... და ასე შემდეგ (შანიძე 1927:137a). გარდა ამისა, ტექსტის ბოლო ნაწილი (შანიძე 1927:139-141) დაწერილი ყოფილა შუაზე

გაკვიცილ ფურცელზე; ეს ორფურცელა მოგვიანებით, როცა ეტრადი ხელმეორედ გამოუყენებიათ საწერად, დაუპატარავებიათ – გარეშემო შემოუჭრიათ; ამის გამო სრულიად დაკარგულია ძველი გადარეცხილი ნაწერის ხუთი სტრიქონი (სვეტების თავსა და ბოლოში). დანარჩენი ნაწილი სტრიქონებისა ხელუხლებელი დარჩა მხოლოდ ყუის მხარეს ნაწერ სამ სვეტში, ამის მხარეს ნაწერ სამ სვეტში კი ტექსტი ჩამოჭრილია ისე, რომ თითოეულ სტრიქონზე დარჩენილია 3-4 ასო. ამ ბოლო ნაწილში გამომცემელმა ტექსტის აღდგენა-შეესება შეძლო უდაბნოს მრავალთავის მიხედვით, სადაც მოიძია იგივე თხზულება (გამომცემაში 139-142 გვერდებზე გამოხაზულია ჩამოჭრილი ფურცლების კონტურები). სამწუხაროდ, დანარჩენი დაკლებული ტექსტის აღდგენა უდაბნოს მრავალთავის მიხედვით შეუძლებელი იყო, რადგან მასში, ფურცელთა კლების გამო, ამ ჰომილიისა მხოლოდ ბოლო ნაწილია შემორჩენილი. უდაბნოს მრავალთავის დაბეჭდილ ტექსტში ამ თხზულებას – უსათაუროდ – ერთ გვერდზე ცოტა მეტი ადგილი უჭირავს (შანიძე, ჭუმბურიძე 1994:182-183). მ. ვან ესბროკი თავის კაპიტალურ ნაშრომში ქართული მრავალთავების შესახებ აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამ ტექსტის სათაური ქართულში არსად ჩანს, გარდა ხანმეტი მრავალთავისა (ვან ესბროკი 1975: 145). თხზულება არ არის არც სინურ მრავალთავში. საბედნიეროდ, სხვა, უფრო გვიანდელ ხელნაწერებში, სადაც მრავლად გვხვდება ჰომილეტიკური თხზულებანი, შესაძლებელი გახდა სათანადო მასალის მიკვლევა.

ქართული ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ეკუთვნის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკას იერუსალიმში (№ 4 რ. ბლეიკის კატალოგის მიხედვით, № 18 ნ. მარის კატალოგით), ხელის მიხედვით XIV-XV საუკუნისა არის (რ. ბლეიკი მას XIV საუკუნით ათარიღებს, ნ. მარს თარიღი არა აქვს აღნიშნული). თავნაკლული ხელნაწერი, რომელსაც თავში 10 რვეული აკლია, შეიცავს რამდენიმე ჰომილეტიკური ხასიათის „სიტყვას“. რ. ბლეიკს ხელნაწერის 65r-66v-ზე მითითებული აქვს იოანე ოქროპირის ავტორობით თხზულება, რომლის დასაწყისი („რავდენნი ხართ ელიადს მოწაფენი“) ხანმეტი მრავალთავისას ემთხვევა (ბლეიკი 1922-23). ნ. მარის კატალოგში ხელნაწერში ამავე ფურცლებზე მითითებულია Иоанна, константинопольского архиепископа, слово, сказанное в великую среду о ревности фарисеев, დასაწყისი სიტყვების გარეშე (მარი 1955:48). უნდა შეინიშნოს, რომ ხანმეტი მრავალთავის გამოქვეყნების დროს დაწვრილებითი ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ არ მოიპოვებოდა: ა. ცაგარლის კატალოგში ეს შეიძლება იყოს №129 ან №130 (თითოეული ორ სტრიქონშია ჩატეული) (ცაგარელი 1889:38). რ. ბლეიკის კატალოგი უფრო გვიან დაიბეჭდა, ხოლო 1902 წელში შედგენილი კატალოგი ნ. მარისა მხოლოდ 1955 წელს გამოქვეყნდა; იერუსალიმის ხელნაწერთა ფოტოპირები კი ხელმისაწვდომი ქართველ მეცნიერთათვის გახდა 1956 წელს.

იერუსალიმური ხელნაწერის შესწავლამ გამოავლინა შემდეგი: ზემოაღნიშნული ჰომილია ამ ხელნაწერში თავისი ტექსტით თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა როგორც ხანმეტი, ისე უდაბნოს მრავალთავებისას მათ შემორჩენილ ნაწილებში. ეს ხელნაწერი საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ის დაკლებული ადგილები ხანმეტ მრავალთავში, რომლებიც ა. შანიძის გამოცემაშია. როგორც ქვემოთ ჩანს, ტექსტი იერუსალიმურ ხელნაწერში ისე ახლო მისდევს ხანმეტისას, რომ ამ უკანასკნელის ცარიელ ადგილებში ზუსტად ჯდება თავის ადგილზე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა იქ, სადაც ცალკეულ სიტყვებში მხოლოდ თითო-ორი ასო იყო ამოკითხული.

რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა გადარეცხილი ტექსტის ამოკითხვა თანამედროვე მეთოდებით და სათანადო ტექნიკური აპარატურის გამოყენებით (რისი საშუალება ჩვენ ამჟამად არ გვაქვს). მაგრამ იერუსალიმურ ხელნაწერს მაინც აქვს ერთი უპირატესობა: მხოლოდ მასშია შემონახული ამ ჰომილიის მთლიანი ტექსტი: ხანმეტ მრავალთავში ნახევარზე ნაკლებია (დაახლოებით ორი მეხუთედი), უდაბნოს მრავალთავში კი მხოლოდ ერთი მეოთხედია ბოლოში დარჩენილი.

იერუსალიმური ხელნაწერის ტექსტის შედარება ბერძნულთან აგრეთვე ადასტურებს, რომ ეს ნუსხა ჰომილიის მთლიან ტექსტს შეიცავს (PG, 61, 705-710). მართალია, ა. შანიძე ადრევე გამოთქვამდა კვტვს, რომ ხანმეტ მრავალთავში შესული თხზულებები ბერძნულიდან არ უნდა ყოფილიყო ნათარგმნი: „ქართული თარგმანი ხანმეტი მრავალთავის შემადგენელი ნაწილებისა (ყველასი თუ არა, დიდი უმრავლესობისა მაინც) ბერძნულიდან უშუალოდ არ უნდა მომდინარეობდეს“. კონკრეტულად ამ ჰომილიისათვის კი იგი აღნიშნავს, რომ ეს თხზულება „თავში კარგად უდგება ბერძნულ ტექსტს, მაგრამ ბოლოში დიდი განსხვავებაა“ (შანიძე 1927:119). ეს სხვაობა ჩანს ჰომილიის შუა ნაწილშიც (PG, 31,705-710). მაგალითად, ქართულ ტექსტში სულ არ არის ბერძნულის ის ფრაზა, რომელშიც შური შედარებულია მწვანე ხელიკთან (η σαυρα χλωρα). ქართულს აკლია მომდევნო ფრაზაც, სადაც ნათქვამია, რომ შური ისევე ღრდნის და შრეტს მოშურნეთა გულს, როგორც მატლი ხრავს და ახმობს ხის გულს (PG, 708,24-28). ეს დანაკლისი შეიძლება გადამწერის უყურადღებობას მივაწეროთ, მაგრამ სხვაობები ორივე ტექსტისათვის საერთო ნაწილებშიც არის: მაგალითად, ბერძნულში ნათქვამია, რომ საულის გულიდან შური ვერ აღხოცა ხუთმა ქვამ (πεντε λιθοι) (ანუ ქვებმა, რომლებიც მან აკრიფა შურდულისათვის, გოლიათის დასამარცხებლად. შდრ. I მეფ. 17,40), ხოლო ქართულში ზოგადად ნახსენებია დავითის „ერთგულებით მსახურებანი“. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქართული თარგმანის წარმომავლობის კვლევა; ბერძნული ტექსტი ამჯერად ჩვენთვის სხვა მხრივ არის საინტერესო: მიუხედავად სხვაობისა, ორივე (ბერძნული და ქართული) ტექსტის ერთიანი შინაარსისა და თხრობის თანმიმდევრობის მსგავსება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ იერუსალიმურ ხელნაწერში ამ ჰომილიის ტექსტი მთლიანად არის დაცული (ფფ. 65,67,66; არც ერთ აღმწერს არ შეუნიშნავს, რომ ხელნაწერში ფურცლები არეულად არის აკინძული).

ჰომილია „ფარისეველთა შურისათუს“ იოანე ოქროპირს მიეწერება როგორც ხანმეტ მრავალთავში, ისე იერუსალიმურ ხელნაწერშიც. ბერძნული ტექსტი დაბეჭდილია საეკკლო ავტორობის თხზულებათა განყოფილებაში Spuria. მ. ვან ესბროკიცი მიუთითებს, რომ ეს ჰომილია ფსევდოქრიზოსტომეულია (ვან ესბროკი 1975:145). იმავეს ამბობს თხზულების ავტორობის შესახებ ნ. მელიქიშვილი (მელიქიშვილი 2000:102). ოღონდ ტექსტის შემცველად ასახელებს მხოლოდ ხანმეტ და უდაბნოს მრავალთავებს. ე. გაბიძაშვილის ბიბლიოგრაფიულ ცნობარში, ხანმეტ და უდაბნოს მრავალთავებში შესული ჰომილია და ის ტექსტი, რომელიც იერუსალიმურ ხელნაწერშია, შეცდომით ორ სხვადასხვა ნაწარმოებად არის მიჩნეული (№№ 1496 და 1497, მეორე ნომრით დასახელებული ტექსტი კი ხელახლა არის მითითებული, როგორც № 1728).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იერუსალიმურ ხელნაწერში ჰომილიის ტექსტი თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ხანმეტი მრავალთავისას ორივე-

სათვის საერთო ნაწილებში. ეს საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ დავასკვნათ: იერ. №4 ხელნაწერში დაცულია სრული სახით ხანმეტობის ეპოქაში ნათარგმნი თხზულება; ოღონდ ძნელი სათქმელია, უშუალოდ ხანმეტი დედნიდან არის გადაწერილი იგი თუ არა. ამის გასარკვევად საჭიროა მთლიანი ხელნაწერის შესწავლა როგორც შედგენილობის, ისე ენის მხრივ (საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ იერუსალიმურ ხელნაწერში შესული რამდენიმე თხზულება აგრეთვე მოიპოვება ძველი ტრადიციების მიმდევრო ხელნაწერებში).

უძველესი ქართული თარგმანების დიდი მნიშვნელობის გამო საჭიროდ მივიჩნით იოანე ოქროპირის სახელით ცნობილი ამ ჰომილიის ხელახლა დაბეჭდვა შევსებული სახით. ხანმეტ პალიმფსესტში შემონახული ტექსტი დაბეჭდილია სვეტებად – ისე, როგორც ხელნაწერის მიხედვით დაბეჭდა ა. შანიძემ, ხოლო შუა ნაწილი, რომელიც ხანმეტ პალიმფსესტს აკლია და მხოლოდ იერუსალიმურ ხელნაწერშია, – მიყოლებით. ა. შანიძის მიერ აღდგენილი ნაწილი ტექსტისა ჩასმულია (როგორც წინა გამოცემაში) მრგვალ ფრჩხილებში, ჩვენ მიერ აღდგენილი თუ შემატებული – კვადრატულში. ტექსტში თვალნათლივ ჩანს, რომ იერუსალიმური ხელნაწერის ტექსტი ზუსტად ავსებს ნაკლულ ადგილებს, ოღონდ ასოთა რაოდენობა თითოეულ სტრიქონში შესაძლოა ყველგან ზუსტად ისეთი არ იყოს, როგორც რეალურად იყო პალიმფსესტში: მასში ასოთა რაოდენობა სტრიქონებში ერთნაირი არ არის (უმეტესად არის 15-18 ასო სტრიქონში, მაგრამ ზოგან ასოთა რაოდენობა მერყეობს ხუთიდან ოცამდე). ამიტომ, თუ სტრიქონებში სიტყვებზე მინიშნება არ იყო თუნდაც თითო-ოროლა ასოს სახით, დანაწილება ვარაუდით გვიხდებოდა. ა. შანიძის მიერ ამოკითხულ ნაწილში შესწორებათა შეტანა მხოლოდ აქა-იქ გახდა საჭირო. იგი თვითონ ძალიან ფრთხილობდა და წერდა: „ყველა აქ მოცემული მასალა ერთნაირად სანდო არ არის“. განსაკუთრებულ სიმჩნევს, როგორც თვითონ წერს, სწორედ აქ განხილული ჰომილია წარმოადგენდა. ძალზე დაზიანებულია პალიმფსესტური გვერდები 12 და 13, ანუ გამოცემის გვ. 136-137 (შანიძე 1927:123). მაგრამ, როგორც გაირკვა, ის, რისი დანახვაც შეიძლებოდა მარტო თვალთ, ამ ფურცლებზეც თითქმის სრულიად უშეცდომოდ არის ამოკითხული.

დასასრულ, ხანმეტი ფორმების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ჰომილიის ბოლოს, სადაც ა. შანიძემ ნაკლული ტექსტი უდაბნოს მრავალთავის მიხედვით შეავსო, მან აღადგინა ხანმეტი ფორმებიც, რომლებიც უდაბნოს მრავალთავში, რა თქმა უნდა, არ არის. ასევე მოვიქცეთ ჩვენ ტექსტის შევსება-აღდგენისას, ოღონდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: ხანმეტი მრავალთავი გადაწერილია იმ დროს, როდესაც ხანმეტობა, როგორც გრამატიკული სისტემა, უკვე დარღვეულია და ხანმეტი ფორმები „უფრო მწიგნობრულ და ლიტერატურულ ტრადიციებზეა დაფუძნებული“ (შანიძე 1927: 116).

ა. შანიძის მიერ დასახელებულ მაგალითებშიც და სხვაგანაც ჩანს, რომ ტექსტში ფორმათა სიჭრელეა: ზოგჯერ ხანმეტობა არ გვხვდება იქ, სადაც იგი მოსალოდნელი იყო და არ არის იქ, სადაც ნორმის მიხედვით იგი საჭიროა. ამიტომ ჩვენ მიერ აღდგენილი ხანმეტი ფორმები (რომლებიც კარგად ცნობილ ნორმებს შეესაბამება) მეტ-ნაკლებად პირობითად უნდა ჩაითვალოს; სრული დაბეჭდვით ვერ ვიტყვით, რომ ხანმეტი მრავალთავის აწ ნაკლულ ადგილებში მაინცდამაინც ასეთივე ფორმები იყო.

ტექსტში გამოყენებულია შემდეგი დათქმული ნიშნები:

- A – ა. შანიძის მიერ დაბეჭდილი ხანმეტი ტექსტი;
U – უდაბნოს მრავალთავი (გამოცემული ტექსტი);
J – იერუსალიმის №4 ხელნაწერი.

სვეტებში მითითებულია ა. შანიძის გამოცემის გვერდები.

ლიტერატურა

შანიძე 1927 : ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, ტფილისი.

შანიძე 1957 : ა. შანიძე, ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ. თსუ შრომები, ტ. 67. თბილისი.

შანიძე, ჭუმბურიძე 1994 : უდაბნოს მრავალთავი, აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 28, თბილისი.

ვან ესბროკი 1975 : Les plus anciens homéliars géorgiens, par M. Van Esbroeck, Publications de l'Institut orientaliste de Louvain, 10, Louvain-la-neuve.

ბლეიკი 1922-23 : R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarchale grecque de Jérusalem, Revue de l'Orient Chrétien, t.23 (1922-1923), გვ. 345-413.

მარი 1955 : ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ. 1955.

ცაგარელი 1889 : А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, СПб.

მელიქიშვილი 2000 : ნ. მელიქიშვილი, ბასილი კესარიელის, გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე. თბილისი.

ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია. 3. ჰომილეტიკა, თბილისი.

ტექსტი

135a

A135b

- 1
- 2
- 3 [J65ra]
- 4 (სიტყუად) თქუ
- 5 მული იოჰანწსი ეპის
- 6 კოპოსისად ფარისე
- 7 ველთა მათ შურისათუს
- 8 (იწ)დისა ვა სახარე
- 9 ბად ხიტყუის ვდ გა
- 10 მოვიდეს გარე და
- 11 ზრახვა ყვეს მისთუს
- 12 რამცა წარწყმიდეს
- 13 იგი^{i*} და შემდგომი
- 14 ამისი
- 15 რაოდენნი ხართ
- 16 ელიადს მოწაფენი
- 17 რწ იგი ქურივისა
- 18 მის ტაბლად [J65rb]არა
- 19 შეურაცხ ყო გლა
- 20 ხაკისად რწ თანა
- 21 დახადგერით რწ
- 22 [რწ]იცა სიტყუად

^{i*} მათე12,14

A 135b 4 სიტყუად]დიდსა ოთხშაბათსა J. 5 იოჰანწსი ეპისკოპოსისად]წმიდისა
ინე მთავარეპისკოპოსისად კოსტანტინეპოვლეელისად J. 7 მათ] – J.
8 იუსთუს J. 9 იტყუს J. 11 მისთუს] – J. 14 ამისი] +გვაკურთხენ მამაო J.
15 რავდენნი J. 19 გლახაკისად] – J. 21 დაადგერით J. 22 რწ]იცა]რ(ლ)იცა A.

A136a

სიმდაბლისაჲ და
 [ესრეთისა]ი[ვე ტაბლ]
 ის[აჲ ისმინეთ]
 [რღნა ერთი]
 [პური ზნ ძეს]
 [რი-იგი] არცა
 [ფქვილთ]ა[გან დახიფქვა]
 არცა ცეცხლი[თა გა]
 მო[ხიცხვა] ან [რწ]
 იგ[ი თუნიერ თესლისა]
 ქალწულ[ი]სა[გან ხიშ]
 ვა და აღორძინდა
 და ჯრითა [გუკსნნა]
 და მამამან სრო
 ვლ ყო
 ქუეყანასა [და მოციქულ]
 მან განათორმეტა გოდორთა]
 მ[ოისთულა]
 ესე [პური ქალწულისაგან ხიშ]
 [ვა] [და ეკლე]
 სი[ამან შეიწყნარა]
 და დ[ღითი დღედ]

A136b

1 წნ ვჭამთ და იგი და
 2 უსრულებელ არს
 3 მ[არადის] ამას
 4 [პურსა ჩემ] გლახაკ
 5 [ისა ტაბლასა]წა და
 6 [გიგებ]
 7 მ[ინდა რწ]მცა [ვ]დ
 8 [უმენ] და დუმილით
 9 [მცა დახუადგრე]
 10 [ანდ მათ ღწის]მო
 11 [შურნეთა პურიათა]
 12 [რწლი იკადრეს მაცხო]
 13 [ვარისათუკ ქვათაცა]
 14 [იძულეებით აღძრავს]
 15 [სიტყუად]
 16 [აწ რწლი გუესმის]
 17 [სახარებისაგან ვდ]
 18 [განვიდეს ფარისე]
 19 [ველნი იგი და ზრ]
 20 ახ[ვა ყვეს მი]სთუკ რწ
 21 მცა წარწყმიდეს იგი
 22 რაჲ არს იგი მიზეხი

A136a 1 და – J, სიტყვა კითხვის ნიშნით არის A. 6 არცა]არა J. 7 ფქვილთაგან დახიფქვა]ქ.....ს A, დაიფქვა J. 8 ცეცხლთაგან გამოიცხვა J. 10 თესლისა]ცეცხლისა J, რაც გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. შდრ. *αψευ αριτρον και σπαρατος* PG. 11 ქალწულსა A. იშვა J. 12 აღორძინდა J. 14 სრულ ყვნა J. 16 ქუეყანასა J. 17 განათორმეტნა J. 19 ხიშვა]მა (სტრიქონის დასაწყისში) A, [ვა წინამდ. გამ.), იშვა J.

A136b. 1 წნ მას J. 4 გლახაკისა]ცოდვილისა J. 9 დავადგრე J. 11 პრიათაჲ J. 14 აღძრავს] – J. 19 ზრახვა ყვეს]შეიზრახნეს J. 20 მისთუკ] იგწსთს J. 22 მიზეხი იგი J.

[J65rb] [რომლისათვისცა წარწყმიდეს? ესე არს მიზეზი იგი მათი, რამეთუ შაბათსა შინა კაცი განკურნა და განკმეღი იგი ჳელი დღესა უქმსა განკურნა და საქმედ წარ[ხ]მართა.* † უგუნურნო, არა ჳერ-[ხ]იყოა განკმეღისა მის ჳელისა და ყოვლად უქმისაჲ, [J65va] რომლისათვის სასოებაჲ კურნებისაჲ და კუალად გებისაჲ წარ[ხ]ეწირა, რათამცა შემოქმედმან განკმეღი იგი კუალად მო[ხ]ავო? ამისთვის სამე მწუხარე [ხ]იყვენით და გშურდა, რამეთუ სარგებელი მისთვის კაცისა და ცხორებისათვის სულთაჲსა ყო ესე? და რეცა შაბათსა პატივ-[ხ]ცემენ და სასწაულთა თვისთა ვერ [ხ]ცნობენ! რადსათვის, ჰურიანო და ფარისევენო, მანასეს ზედა არა ესრეთ გან[ხ]რისხენით და შე[ხ]ითქუენით წინა-აღდგომად, ოდეს-იგი ესაია წინაწარმეტყუელსა გან[ხ]ხერხვიდა და იგივე ძეთა და ასულთა თქუენთა ეშმაკთა და[ხ]უკლვიდა და ტადარსა მას კერპითა შე[ხ]ავინებდა? ანუ ჰეროდეს ზედა რად არა გან[ხ]რისხენით, ოდეს-იგი ყრმათა თქუენთა მოსრვიდა^{2*} და დედანი თქუენნი უშვილო ქმნა? ოდეს-იგი [ხ]იყო ტირილი და გოდებაჲ მამათაჲ და დედათაჲ ქალაქსა შინა და უბანნი იგი ბეთლემისანი სავსე [ხ]იყვნეს სისხლითა, მაშინ მანასეს ზედა და ჰეროდეს არა გან[ხ]რისხენით, რომელნი-იგი უწყალოდ და[ხ]თხევდეს სისხლთა თქუენთა? ხოლო რომელი-იგი უბიწო არს და მართალ, მას [ხ]დევნით, რამეთუ [ხ]იტყვს სჯული, ვითარმედ: “მართალი და უბრალლო არა მოკვდა”.^{3*} რამეთუ [J65vb] წესი უწესოთა და სჯული უსჯულოთაჲ შეცთომილნი ეშმაკისაგან ᄆ ვითარ არს ესე სჯული? მისისხლეთა [ხ]აცხოვნებენ და მკუდართა აღმადგინებელსა წარ[ხ]წყმედენ! რომელი-იგი კაცის კლვისათვის შე[ხ]ეგდო საპყრობილესა, მას გამო[ხ]ითხოენ პილატესგან და რომელი-იგი ეშმაკისაგან დაცემულთა აღ[ხ]მართებს, მისთვის ჳუარ-ცუმასა [ხ]ევედრებიან!^{4*} და [ხ]იტყვს: “გამოვიდეს ფარისევენი და შე[ხ]იზრახნეს” † ზრახვაჲ უგუნური, სავსე ზაკუფითა, რამეთუ რომელთა-იგი წყალობაჲ არა აქუნდა, შურითა [ხ]იწყვდოდეს და ტკივილსა შეცუვეს. მშიერნი მათნი უღაბნოსა ზედა განძებოდეს მისგან, ხოლო ივინი გუაღვითა დაყმებოდეს. წყალსა ღვნოდ^{5*} გარდა[ხ]აქცევდა, და ივინი თვნიერ ღვნისა შურითა და[ხ]ითრევებოდეს. [ხ]ხედვიდეს ივინი განკურნებასა დედაკაცისასა

* მ. 12,13. ^{2*} მ. 2,16. ^{3*} გამ. 23,7. ^{4*} მ. 27,22. ^{5*} ი. 2,9.

3 წარჰმართა J. იყოა J. **5** წარეწირა J. **6** მოავო J. იყვენით J. **8** პატივ-სცემენ J. სცნობენ J. **9** განჰრისხენით J. შეითქუწნით J. **10** განჰხერხვიდა J. **11** დაუკლვიდა J. **12** შეავინებდა J. განჰრისხენით J. **13** მოსრვიდა J. **14** იყო J. **15** იყვნეს J. **16** განჰრისხენით J. დასთხევდეს J. **18** სდევნით J. იტყვს J. **21** აცხოვნებენ J. წარსწყმედენ J. **22** შეეგდო J. გამოითხოენ J. **23** აღჰმართებს J. **24** ევედრებიან J. იტყვს J. **25** შეიზრახნეს J. **26** იწყვდოდეს J. **28** წყალსა წყლი J. გარდააქცვდა J. **29** დაითრევებოდეს J. ხედვიდეს J.

და დაცხრომასა სისხლისა მის მდინარისასა შეხებითა ფეხსა მის სამოსლისა მისისადათა,^{1*} ხოლო მათ შურისა იგი სისხლი [ხ]დიოდავე. ეშმაკეულნი მათნი გან[ხ]იკურნებოდეს და გონიერ [ხ]იქმნებოდეს, და იგინი [ხ]უძვრეს ეშმაკეულისა [ხ]იქმნებოდეს. ბრმანი მათნი [ხ]ხედვიდეს,^{2*} და მხედველნი დაბრმებოდეს; ყრუნი მათნი [ხ]იკურნებოდეს, [J67ra] და გულნი მათნი უკეთურებად გარდა[ხ]იქცეოდეს. ზღუად ღელვათაგან^{3*} და[ხ]ცხრებოდა, რაითამცა უფალსა გან[ხ]უმზადა შესავალი, ხოლო მათთა გულთა ღელვანი იგი ზაკულებისაგან [ხ]უფროდს პირთაგან აღმო[ხ]ეცენებოდეს. ნიაჭპარნი და[ხ]ცხრებოდეს ბრძანებისა მისისაგან, ხოლო იგინი შურითა [ხ]უფროდსად აღ[ხ]ივსებოდეს და ჯუარცუმასა გან[ხ]იზრახვიდეს. ჰ შურო, მშობელო სიკუდილისაო ყოველად შეთხზულო, რომელიმცა სამსჭუალი [ხ]იპოვა [ხ]უმახვლეს შურისა, რომელი-იგი მათ [ხ]აქუს და [ხ]წერტს, რაითამცა საღმობამან პირისა იგი შეუნიერებად განრყუნა.... ვითარცა შურისაგან და სრული იგი სიყუარული განაქარვის. ცეცხლი წყალმან დაშრიტის, ხოლო ბევრეულთა წყაროთა ვერ დაშრიტონ შური. საღესველმან ერთმან გესლი რკინასა გარდა[ხ]კადის, ხოლო ყოველთა მათ ერთგულებით მსახურებათა დავითისთა საულისგან შური იგი ვერ გან[ხ]აშორეს. და რაოდენიცა რად მოვიცხენოთ შურისათვის, ძმანო, დასრულებად ვერ ძალ-გვც, ვერცაღა ყოველთა მოძღუართა შე[ხ]უძღონ. გარნა დასასრული სჯულისად სიყუარული არს და დასასრული აღთქემისაჲ[!] შური არს, რომელი შე[ხ]ამთხუევს სიკუდილსა. რამეთუ შურითა გუელმან ადამი[!] სამოთხით გამოცადა და შურითა კაენმან[!] ძმად თვისი მოკლა. და რაოდენი რად ვთქუათ [J67rb] და რაოდენი რად და[ხ]უაკლოთ? რომელი-იგი ნავი შურითა საგსე [ხ]იყო და ვერ შე[ხ]უძღლისო წყლით რღუნამან წარწყმედად, ესე იესუ ძალითა სულისა წმიდისადათა დააცხრვო წყაროთა მით ნათლისღებისადათა. [ხ]აქუნდა ნავსა მას სამსჭუალი რკინისად, რომლითა განმტკიცნის ნავი, არამედ სამსჭუალითა მით, რომლითა იესუ გან[ხ]იჭურიტა, ყოველი სამსჭუალი ნავისად მოსრა. [ხ]აქუნდა ნავსა მას ძელი აღმართებული აფრისად, არამედ ოდეს აღ[ხ]ემართა ძელი ჯუარისად, განტყდა ძელი აფრისად. [ხ]აქუნდა ნავსა

^{1*} მ. 9,20 ^{2*} მ.12,22. ^{3*} ლ 8,24.

2 სდიოდავე **J. 3** განიკურნებოდეს **J. 4** იქმნებოდეს **J. 4** უძვრეს **J. 5** იქმნებოდეს **J. 5** ხედვიდეს **J. 5** იკურნებოდეს **J. 6** გარდაიქცეოდეს **J. 6** დასცხრებოდა **J. 7** განუმზადა **J. 8** უფროდს **J. 9** აღმოეცენებოდეს **J. 9** დასცხრებოდეს **J. 9** უფროდსად **J. 10** აღივსებოდეს **J. 10** განიზრახვიდეს **J. 11** იპოვა **J. 12** უმახვლეს **J. 12** აქუს **J. 12** სწერტს **J. 13** შეუნიერებად **J. 13** განრყუნა] ამ სიტყვის შემდეგ ტექსტში რაღაც უნდა იყოს **J-ში** გამოტყუნილი. **16** გარდაკადის **J. 17** განაშორეს **J. 19** მოძღურებათა **J. 21** შეუძღონ **J. 21** შეამთხუევს **J. 22** გუელმან **J. 22** გამოცადა **J. 23** დავაკლოთ **J. 24** იყო **J. 24** შეუძღლისო **J. 25** იესუდს **J. 25** აქუნდა **J. 27** განიჭურიტა **J. 28** აქუნდა **J. 29** აღემართა **J. 29** აქუნდა **J.**

მას საბელიცა, არამედ მითვე საბლითა შიშოვილ-იბა იუდაცა. ამასვე ნავსა
 აღ[ხ]კვდეს პურიანი და და[ხ]ეცნეს ლოდსა მას და ურწმუნოებით და[ხ]ინთქნეს
 და მოაქამდე უფსკრულთა უგუნურებისათა სხენან. რაოდენნი მათგანნი
 [ხ]ცნობენ და გულისკმა [ხ]ყოფენ, ჭეშმარიტად ცხოვნდებიან უკუნისადმდე.
 5 ხოლო მათ, რომელნი-იგი და[ხ]ინთქნეს, ნეტარდამცა მისრულ [ხ]იყენეს
 იონადსა,^{1*} ოდეს დანთქმულ [ხ]იყო მუცელსა ვეშაპისასა და მისგან[მ]ცა
 [ხ]ეკითხა და [ხ]ესწავა; და ვითარცა-იგი ქადაგებითა მისითა ნინეველთა
 შეინანეს და ცხოვნდეს, ეგრეცა იგინიმცა არა წარწყმდეს. არამედ თუაღნი
 იგი გულთა მათთან დიწუხნეს [J67va] და არცა ბრწყინვადესა მას და
 10 ჭეშმარიტსა სარწმუნო[სა], რომელი შორის ქუეყანასა დგას, [ხ]ხედვიდეს და
 არცა ქადაგებად იონადსი და სინანული ნინეველთად შეიწყნარეს, რადთამცა
 მო[ხ]იქცეს და ცხოვნდეს. და [ხ]იტყვს: “გამოვიდეს ფარისეველნი იგი და
 შე[ხ]იზრახნეს” აწ ვინად გამოვიდეს სჯულისაგან რადმე და არა შურისაგან
 და თუმცა სჯულსა არა გარდასრულ [ხ]იყენეს, არამცა სჯულის მდებელი
 15 [ხ]იგინა. გამოვიდეს ფარისეველნი იგი ვინამე მცნებისაგან ღმრთისა,
 რომელი გან[ხ]ნათლებს თუაღთა გულისათა, რამეთუ “მცნებანი უფლისანი
 ბრწყინვალე არიან და გან[ხ]ნათლებენ თუაღთა.”² გამოვიდეს ფარისეველნი
 ვინად ცხორებისაგან, რამეთუ იგინი სხუასა სიკუდილსა [ხ]უზრახვიდეს და
 [ხ]უპირატეს ცხორებისა იგი ნათელი მათვე და[ხ]აკლდა. “გამოვიდეს
 20 ფარისეველნი და შე[ხ]იზრახნეს”. და არა თქუა წერილმან, თუ
 “შე[ხ]იზრახნესო”, არამედ “ზრახვა მოიდესო”. ამას ეგრე, რომელი
 დასაბამითგან კაცის მკლველი იგი ეშმაკი, [...] რადთამცა იესუ წარწყმიდეს.
 და [ხ]იტყოდეს: რომლითა-მე სახითა წარვწყმიდოთ: ქვისა-მე დაკრებითა ანუ
 მახვლითა ანუ ცეცხლითა ანუ წყლითა? ხოლო განმზრახველმან მათმან
 25 [J67vb] ეშმაკმან შთა[ხ]უგლო გულსა, ვითარმედ რომლითა-იგი ძელითა მოკლა
 ადამი[!], იგივე მოივსენა და განაზრახა, რადთამცა ძელსა ზედა ჯუარს-
 [ხ]აცუა იესუ. და მან ვერ ცნა, რამეთუ ძუელიცა იგი და პირველი მისი
 დაცემული აღ[ხ]მართოს და სოფელსა ცხორებად *[ვაგრძელება შემდეგ გვერდზე]*

^{1*} იონა 2,1. ^{2*} ფს. 18,9.

2 აღვდეს J. დაეცნეს J. დაინთქნეს J. 3 მოაქამდენ[ასეა] J. 4 სცნობენ J. პყოფენ
 J. 5 დაინთქნეს J. იყენეს J. 6 იყო J. 7 ეკითხა J. ესწავა J. 10 სარწმუნოდ
 ხედვიდეს J. 12 მოიქცეს J. იტყვს J. 13 შეიზრახნეს J. 14 იყენეს J. 15 იგინა J.
 16 განანათლებს J. 17 განანათლებენ J. 18 უზრახვიდეს J. 19 უპირატეს J.
 დააკლდა J. 20 შეიზრახნეს J. 21 შეიზრახნესო J. 22 [...] აქ თითქოს სიტყვა
 აკლია 23 იტყოდეს J. 25 შთაუგლო J. 26/27 ჯუარს აცუა J. 28 აღმართოს J.

A137a

[მო]ხანიჭოს
 გამო[ვიდეს ფარისე]
 ვე[ლნი რწმცა გა]
 ნი[ზრახეს და წარწ]
 ყმ[იდეს იწ]
 [რ უცხო და საკურ]
 ვე[ლ დიდებულებისა იგი]
 სა[ქმე მოვიდა]
 იწ [რწმცა მოხისრა]
 და [აცხოენა წარ]
 წყმ[ედული ნათესა]
 ვი კაცთა [ხ]
 ე[ს]ენ[ი მეძიებელსა]
 მას და [მაცხოვარ]
 სა [წარწყმედულ]
 თ[ასა ხეძიებდეს]
 წა[რწყმედად]
 [რისა ბრალისათვის]
 [გუთხართ წნ ჰუ]
 რი[ანო რადსათვის]
 [შეხიზრახენით]
 მი[ს ზედა]

A137b

1 [აწ მათ] ხრცხუენიან და
 2 [ვერ] გუთხოობენ წ
 3 [წნ ვოქუათ და კამო
 4 [ვაცხადოთ] მათი
 5 [იგი გესლი და ხიტ]
 6 [ყოდეს] ვდ რად[სა]
 7 [თვის]ო [სჯულისა მ]ათსა
 8 [მკე]ო[დარსა] აღხად
 9 [გინებო] და წყლ
 10 ო[სვლებათა განხ]კურ
 11 [ნებო ან]უ რა
 12 [დსათვის] სასწაულ
 13 [თა ხიტ]ო [და]ა ხას
 14 წავებ[ა] ესევერ
 15 [სა ბრადსა] დახკ
 16 [რებდეს წა იწ]
 17 [აწ ესევერისა ა]მისთვის
 18 [გუნებაეს] წნ რა
 19 [მცა წარწყმ]მიდეთო
 20 [ოდეს იგი ყრ]მანი
 21 ბაიად[თა მის]ეგებო
 22 [დეს და ხუვალ]ობდეს

A137a 1 მონიჭოს J. 6 უცხოდ J. საკურველი J. 8 საქმე J. 9 მოხსრა J. 13 ესენიენენ A. 16 ეძიებდეს J. 21 შეიზრახენით J.

A137b 1 ჰრცხუენიან J. 5 იტყოდეს 6 ვითარმედ – J. რადსათვის J. 7 სჯულისა J. მათსა – J. 8 აღადგინებო J. 10 განჰკურნებო J. 11 ანუ რაკურა A. 13 იქმ J. ასწავება J. 15 დაჰკრებდეს J. 21 მიეგებოდეს J. 22 და – J. უვალობდეს J.

A138a

და ხიტყოდეს ოსა
 ნა რი ხა(რ მა)აღაღ
 თა შინა კურთ
 ხეულ არს მომავეა
 ლი სახელითა ოძთა^{1*}
 მეუფჳ (იწ)ღნისაღ
 [J66ra]წ იგინი [მათსა]
 გაღობასა მას
 მჭუე[ვარ ხიქმნე]
 ბოდ[ეს] [და კბიღთა ხი]
 ღრჭენდეს რ ქე]
 [ბანი იგი] უშურ[ველი]
 [სანი [ისა[რ ხიქმნე]
 ბოდეს მოშურნე
 თა მათ[თუს]
 და მო[ხუკდეს იწს]
 და [ხრქუეს არა გეს]
 მისა[რასა [U182,4]ესე ხიტ]
 ყვან რ (ი)გინ(ი) სიტ
 ყუასა წინაწარ
 მეტყუელისასა
 აღხასრულებდეს

A138b

1 ვღ “პირითა ყრმათა
 2 ჩჩუღთა მწოვართაღ
 3 თა დახემტკიცოს
 4 ქებაღ^{2*}
 5 ოდეს იგი იეზაბელს
 6 ხეგულებოღა და
 7 პერობად ვენაჭი
 8 იგი ნაბუთჳსი^{3*}
 9 და წი იგი სიცრუვისაღ
 10 მიგიწერა ვრ ერთ
 11 გუღობით შეხიწენა
 12 რეთ წ ოდეს პი
 13 ლატე ჯუარსა მას
 14 წა დახწერს ჭეშმა
 15 რიტსა ფიცარსა მას
 16 მაშინ გული გიწყრე
 17 ბის და ხაყენებთ
 18 და (ხეტყვთ)
 19 ნუ დახწერ მეუფედ
 20 პურიათაღ^{4*} და
 21 ნუ გ(ამ)ოხაჩინებ
 22 ჭ(ე)შ(მ)ა(რიტ)სა ნუ

^{1*} მ.21,9. ^{2*} ფს. 8,2; მ. 21,16. ^{3*} III მეფ. 21,15. ^{4*} ი. 19,21.

A138a 1 იტყოდეს J. ოსანნა J. 7 მათსა მას გაღობასა J. 8 მას] *კითხვის ნიშნით* A. 9 მჭუე[ვარ]მჭუე A. მჭუე[ვარ ხიქმნებოდეს]ეთარცა ისრითა იწერტებოდეს J. 10 ბოდის (*სიტყვის ბოლოა*) A. 10/11 ღრჭენდეს J. 11/12 ქებანი იგი] ბადეს (?) A. 13 ისარ]ასა A იქმნებოდეს J. 14 მოშურნეთა მათთუს] მოშურნეთანი J. 16 მოუკდეს J. 17 პრქუეს J. 18 იტყვან J. 19 სიტყუასა მას SJ. 22 აღასრულებდეს SJ.

A138b 3 დაემტკიცოს SJ. 6 გუღებოღა U, ეგუღებოღა J. 8 ნაბოთესი J. 10 მიწერა J. ვრ]ვღ J. ერთგულებით U. 11 შეიწენარეთ SJ. 14 დახწერს SJ. ჭეშმარიტსა მას U. 15 ფიცარსა მას] – SJ. 17 და] – SJ. აყენებთ SJ. 18 ეტყვთ SJ. 19 დასწერ U, დასწეროთ J. 20 და] – SJ. 21 გამოაჩინებ U.

A139a

(გუამხილებ წნსა)
 (მას უშჯულოება)
 სა ნუცა ღთის კად
 რებასა
 ჰ უშჯულონო ჰუ
 რიანო და თუმ
 ცა ხაყენებლით მათ
 (რ)ლ(ნი) იგი უჯეროსა
 საქმესა შინა არიედ
 გინა თუმცა თუთცა
 (თუ)ს(თ)ა (თ)ა(ვთაშეხიკ)
 დიმეთ და ხოქუთ
 (ვ)დ რად ესე ვყავთ
 ად ესოდენ თუ რლ
 იგი დახწერს მართლ
 დიდებასა მას მე
 უფისასა რლნსა
 გან წნ ცად აღვალთ
 მას ხაყენებთ
 (დაღათუ ვინ უგუ)
 (ნურ ხიყოს ად სიღ)
 (ყუათავე ღთისათა)

A139b

1 (ხისწავებდეს ეგე)
 2 (ვრი იგი ხუფროდს)
 3 გონ(იერ არს)
 4 რ სარ(გებელ არიან ყლი)
 5 სათ(უს სწავლანი [J66rb] იგი)
 6 სადმ(როთონი და ჯერ)
 7 არს(მარადის წურ)
 8 თად (მათი და არა)
 9 საბ(რალაბელ არს)
 10 მისი ი(გი გონიერად)
 11 დაწ(ერად და ხიტყვთ)
 12 ნუ დ(ახწერ მეუფედ)
 13 რად ხ(იტყვთ ნუ დახწერ)
 14 და რ(ასა გავენებს)
 15 თქნ (წერილი იგი)
 16 ანუ (რლნსა ერთისა)
 17 თქნ(განისაჲ საც)
 18 ხოვ(რებელი მივილო)
 19 ჰემ(არიტისა მის)
 20 (დაწერამან და ხა)
 21 (ყენებდეს იგინი)
 22 (დაწერასა მას)

A139a 2 უსჯულოებასა J. 3 ღთისა J. კადრებასა|კადნრებასა J.. 5 უსჯულონო J. 6 თუცა J. 7 აყენებლით SJ. 8 უჯეროსა|უსჯულოსა SJ. 10 თუთცა] – U, თუთცამცა J. 11 შეიკდიმეთ U, შევიკდემთ J. 12 სოქუთ SJ. 14 ესოდენ J. რლი იგი U,-J. 15 დასწერს SJ. 18 ზეცად J. 19 აყენებთ SJ. 20 ვინმე SJ. 21 იყოს SJ.

A139b 1 ისწავებდეს SJ. 2 იგი] – J. უფროდს SJ. 4/5 ყოვლისავეთუს U. 7/8 წურთად მათი მარადის J. 11 იტყვთ SJ. 12 დასწერ U, დასწერთ J. მეუფედ ჰურიათა J. 13 იტყვთ SJ. დასწერთ J, დასწერ მეუფედ U. 14 და] – SJ. 16 ერთისა] – J. 17 საცხორებელი U, სამსახურებელი J. 20 აყენებდეს SJ.

A140a

(ნ იგი მათ ხეტყოდა)
 (რ დავეწერე დავწერე)^{1*}
 (ნ ესე სიტყუად ჩნდა
 (ცა სარგებელ არ)ს
 (ხუფროდს ნ მ(ცი)რედ
 (სწავლულთათ)ოვს
 (რ უკუეთუ ვინმე
 (ტყუვილით ხა)ცთუ
 (ნებდეს ესეწრი) სახ
 (ქ სიტყუად ჩქას) ვდ
 (რ იგი შენდამდე მ)ს კკ
 (ღესისაგან მ)ისწა
 (ვიეს მრწამს) დ
 (აღათუ განვა)გრძ
 (ვე სიტყუად ესე) ად
 (აღშენებისათ)ვსვე
 (ვევად)
 (ამიერიოვან მ)ასვე
 (სიტყუასა მ)ოვი
 (ღეთ და გამ)ოვი
 (ღეს ფარისეველნი)
 (იგი და ზრახვა)

A140b

1 (ყვეს რამ(ცა წარ)
 2 (წყმიდეს იგი)
 3 და ვრ ცნა ივ წარვი
 4 და მიერ^{2*} არა თუ
 5 ვისგან ხეთხრა ად
 6 (თუ)თ გულისხმა ყო
 7 რ იგი არს გულთა მეც
 8 ნიერი (რ სიტყვს ფხად)
 9 მუნი ვდ ონ იცნის
 10 ზრახვანი ბრძენ
 11 თანი ა(რი)ა(ნ) ა(მ)აო^{3*}
 12 (და) ვ(ა) სახარებად
 13 (სიტყვს) ვ(დ) არა
 14 (ხუტმდა მას კაც)
 15 (თაგან წამებად)
 16 (რ მან იცოდა რა)დ
 17 (ხიყო კაცისა მის თ)ანა^{4*}
 18 და (ვრ ცნა ივ მისრ)იდა
 19 [J66va] მიე(რ ადგილით)
 20 არა თუ შიშისაგან სიკუ
 21 (ღიღისა ად ვდს მო
 22 (ხიწიოს ჟამი მისი)

^{1*} ი. 19,22. ^{2*} მ. 12,14. ^{3*} ფს.93,11. ^{4*} ი. 2,25.

A140a **5** უფროდს **ს**. **8** აცთუნებდეს **ს**. **9/10** სახე სიტყვსად **ს**. **10** ჰრქუას **ს**. **11** შენდამდენ **ს**. მს – **ს**. **11/12** ეკლესიასა **ს**. **12** გვსწავიეს **ს**. **15** ად – **ს**. **16** აღშენებისათვსვე **ს**.

A140b **3** წარვიდა იგი **ს**. **5** ეთხრა **ს**. **6** გულისკმა ყო **ს**. **7** გულთმეცნიერი **ს**. **8** იტყვს **ს**. **9** ვდ – **ს**. იცნის[უწყნის] **ს**. **10** ბრძენთანი რამეთუ **ს**. **13** იტყვს **ს**. ვითარმედ[რამეთუ] **ს**. **14** უტმდა **ს**. **16** მან[რ] **ს**. **17** იყო **ს**. **18** მიპრიდა **ს**. **20** შიშისათვს **ს**. **21** მოიწიოს **ს**. **22** მისისა სიკუდილისად და **ს**.

A141a

(ჯუარცუმისად)
 (შეგვანდა მისა რ̃ა)
 პირველად მ(კ)უდარ
 ნი აღადგინნეს (და) სნე
 ულნი განკურნნეს
 (მშიერნი სიმართლითა)
 განაძღნეს(და სარ)
 წმუნ(ნოებითა განა)
 მ(ტკიცნეს და ამი)
 სა (შემდგომად მოსლ)
 ვ(ად პატიოსანსა)
 მას სიკუ(დილსა)
 და ჯ(ერ ხიყო რ̃ამცა)
 ჯუ(არს ხეცუა იწ)
 და მა(შინ რ̃ლნი ხი)
 (ყვნეს ჯოჯოხეთს)
 (რ̃ამცა მისლვითა)
 მი(სითა განარინნა)
 (რ̃ლნი სხდეს ბნელ)
 სა და აჩდილთა სი
 (კუდილისათა)*
 (და ვრ̃ ცნა იწ წარვი)

A141b

1 (და მიერ სადა ზა)
 2 (კუეა არა ხიპო)
 3 ვები(ნ მუნ ხიქცე)
 4 ვინ (და სადა შური არა)
 5 არნ(მუნ ხიხა)
 6 რეზნ (სადა უშურვე)
 7 ლი იგი (სიყუარული)
 8 აღხე(სრულებინ)
 9 და ხი(დიდებინ მმდ)
 10 და ძ(მ და სლ̃ი წდ)
 11 და აწ (და მარადის)
 12 და უ(კუნითი უკუ)
 13 (ნის)ა(მდგ აწ)

* ფს. 106,10.

A141a 2 შეგვანდა SJ. 4 და] – SJ. 9/10 მისსა J. 12 მას] – J. 13 იყო SJ. 14 ეცუა SJ. 15 იყვნეს SJ. 19 რომელნი-იგი J. 20 აჩრდილთა SJ.

A141b 1 მიერ]+მუნ J. 2 იპოვების U, იპოვებინ და J. 3 იქცევინ SJ. 4 და] – SJ. 5 იხარებნ U, იხარებენ J. 6 სადა-იგი U. 7 იგი] – SJ. 8 აღესრულებინ SJ. 9 იდიდებინ SJ. 10 და¹] – J. ძე J. 11 და] – SJ.

The Homily "On Jealousy" in the *Khanmeti* Homiliary

Summary

Uncial underwriting on palimpsest parchment folios of Ms.S-3902 (National Centre of Manuscripts, Tbilisi) was deciphered in 1927 by A. Shanidze. Large folios of the original manuscript - which had been cut and reshaped to fit the size of the new manuscript - were found to contain fragments of several homiletical works, copied, as indicated by the palaeographical and linguistic features of the text, in the first half of the eighth century.

Less than half of the homily "On Jealousy", ascribed in the manuscript to John Chrysostom, has survived on the mutilated folios, the rest is lost. The remaining text of the underwriting was well-nigh illegible; no other manuscript containing the complete text of the homily was accessible at that time, only in the Udabno Homiliary there was an acephalous fragment identical with the ending. Neither were there, eighty years ago, technical devices to help the reader's naked eye when trying to read the washed-out text. Because of this, the published text has several large gaps, and some sections are nearly blank, except for some words or letters here and there on the page.

In the present article the text of the Pseudo-Chrysostomian homily "On Jealousy" is complemented and reconstructed on the basis of the same text in a manuscript unavailable at the time of the first publication (Ms. No. 4 in the collection of the Georgian Mss. in the Library of the Greek Patriarchate in Jerusalem). In this manuscript, dated to the fourteenth century, the text of the homily is complete and follows the surviving *Khanmeti* fragments literally. The text in the Jerusalem manuscript fits neatly into the gaps of the palimpsest, supplying the correct reading for missing letters, words or even whole lines. This leads us to assume that the text of the homily in the Jerusalem manuscript is a faithful copy from an older manuscript. Therefore, it is possible to suggest, with considerable certainty, that the homily "On Jealousy" in the Jerusalem ms. has as its source a translation made very early, but the text itself, in all probability, was copied from a ms. of the type of the Sinai or any other Homiliary (*Mravaltavi*). The absence of *khanmeti* forms in Jer. 4, as a feature characteristic for the Homiliaries, could be an indication of this fact. The complete text of the homily "On Jealousy" is published here with a brief Introduction. The text of the palimpsest is presented in two columns (as in the manuscript). The text reconstructed by A. Shanidze is in parenthesis, (as in the edition of 1927), the readings following Jer.4 the present writer has put in square brackets.

Sigla: A - Publication by A. Shanidze; J - Ms. Jerusalem 4; U - Udabno Homiliary.

ნინო ცინიშვილი

-ა და -ე სუფიქსიანი II კავშირებითი საშუალო ქართულში

II კავშირებითი II სერიის ერთ-ერთი ძირითადი მწკრივია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. აღნიშნული მწკრივის მაწარმოებლობა **-ა**, **-ე**, **-ო** სუფიქსები (შანიძე 1976:98-99). ძველ ქართულში ამ ფუნქციით გამოიყენებოდა კიდევ **-ი** აფიქსი. იგი „ორიოდე ზმნაში თუ იხმარებოდა, ისიც არა ყოველთვის და არა ყოველგან (იმნაიშვილი, იმნაიშვილი 1996:188). ახალ ქართულში II კავშირებითის მაწარმოებლად მხოლოდ **-ა**, **-ე**, **-ო** სუფიქსები გვხვდება (შანიძე 1980). წინამდებარე ნაშრომში საუბარი გვექნება **-ა** და **-ე** სუფიქსიანი II კავშირებითის წარმოების შესახებ საშუალო ქართულში.

ძველ ქართულში საყრდენი მორფემის სტრუქტურა განაპირობებს **-ა** და **-ე** სუფიქსთა განაწილებას I და II ყალიბის (უნიშნო და **-ი** ელემენტის წყვეტილის მქონე) ზმნებთან. „II კავშირებითში **-ე** სუფიქსი გამოვლინდება იმ ზმნებში, რომელთა საყრდენი მორფემისეული **ე** ხმოვანია გაუჩინარებული; ყველა სხვა შემთხვევაში უნიშნო და **-ი** ელემენტის ნამყო ძირითადის მქონე ზმნებში ამ ნაკეთის მაწარმოებლად **-ა** სუფიქსი გვექნება“ (გოგოლაშვილი 1984: 88).

ახალ სალიტერატურო ქართულში ძველი ვითარება მხოლოდ უნიშნო და **-დ** სუფიქსიან ვნებითებში შენარჩუნდა.

მოქმედებითი გვარის ზმნებთან თანამედროვე ქართულში, საყრდენი მორფემის სტრუქტურის მიუხედავად, ყველგან **-ა** ბოლოსართი გაბატონდა (გარდა **მისცა** ზმნისა). აღნიშნული სუფიქსის უნიფიკაცია აქ უკვე დამთავრებულია.

პრეფიქსიან ვნებითებში პარალელიზმის შემთხვევებმა იჩინა თავი. **-ე** სუფიქსიან ფორმათა გვერდით **-ა** ბოლოსართიანი ზმნებიც გამოვლინდება და, პირიქით, **-ა** სუფიქსიან ზმნებს ზოგჯერ **-ე** ბოლოსართიანი ფორმებიც ახლავს. პრეფიქსიანი ვნებითებისა და მოქმედებითი გვარის ზმნათა შემთხვევაში „ახალი სისტემის ჩამოყალიბების პროცესთან და ზოგჯერ უკვე ჩამოყალიბებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე“ (გოგოლაშვილი 1983:85).

საშუალო ქართულში ხსენებული მწკრივის კვლევისას მნიშვნელოვანია განსხვავება, რაც ამ ნიშნით ძველსა და ახალ სალიტერატურო ენებს შორის გამოიკვეთა.

საშუალო ქართულის ძეგლებში II კავშირებითის **-ა** და **-ე** სუფიქსთა განაწილება ახალი ქართულის მსგავსად ხდება, ძველი წარმოების კვალი კი მხოლოდ აქა-იქ თუ შეინიშნება.

ეს განსაკუთრებით მოქმედებითი გვარის ზმნებთანაა საცნაური. მოქმედებითი გვარის ზმნები თითქმის მთლიანად ახალ წარმოებაზეა გადასული. თუ ძველ ქართულში მათთან **-ა** და **-ე** მაწარმოებელთა გამოვლენას საყრდენი მორფემის ხმოვანი განაპირობებდა, საშუალო ქართულის თითქმის ყველა ძეგლში II კავში-

რებითის ნიშნად -ა სუფიქსი გვხვდება განურჩევლად იმისა, საყრდენ მორფემაში რომელი ხმოვანია გაუჩინარებული. აღნიშნული გვარის ფორმებში -ა სუფიქსის უნიფიკაცია ჯერ კიდევ საშუალ ქართულში დამთავრებული ჩანს, -ე ბოლოსართი კი მხოლოდ ნაშთის სახით არის შემორჩენილი.

-ა სუფიქსია წარმოდგენილი იქ, სადაც საყრდენ მორფემაში -ა ხმოვანი მოიაზრება:

♦ მაგრა **გითხრა** პირველ ხვალზე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად (ვეფხ., 126, 4);

♦ რომელსაცა ქუეყანასა შემიჩინოთ, თავი ჩემი არა შევიწყალო, ანუ აღ-გისრულო საწადელი ანუ **მოვიკლა** თავი (ამ., 202, 5);

♦ ჭირნი რად **აღვძრა** საჩემოდ, საქმენი რად დავიმაშე? (თ. I, 116, 4);

♦ ასეთს საქმესა იქმს, შენვე თავსა **შემოიკრა** და აღარა გეშველოს რა (საბა, ს.ს., გვ. 27);

♦ ღმერთმან ნუ რომელი მიჯნური **დააპყრას** ესეთსა უნებელსა ყოფასა გულდამწუარი და დაუთმობელი (ვის., 279, 24);

♦ ათას წელ ვერსით შეუვალოთ, თუ ზედ **დაგვიხშან** კარია (ვეფხ., 1379, 4).

-ა სუფიქსია II კავშირებითის ნიშანი ზმნებში, რომელთა საყრდენ მორფემაშიც სხვა ხმოვანია რედუცირებული ანდა უმარცვლოა:

♦ **აღ-თუ-უთქუა** აღნათქუემი შენი უფალსა ღმერთსა შენსა, არა დააყენო აღსრულებად მისი (სამ. ძეგლ. I, 120);

♦ უკეთუ ძალად არა **შთავაცვათ** ხალათი ესე, იმკაცვრის ბერი ესე ქართველთაგან (ბატონიშ., II, გვ. 176);

♦ და მიუმცნო მანცა ეგრეთ, რათა პაემანსა შეკრბენ ერთად, და **დაამკუან** აბალა ყენი და დაიპყრან კელმწიფობა (ქ. ცხ., II, 258, 14);

♦ და სამღვრიოდ ღვწოდ ჟამსა სთულისასა შემსგავსებულად მოსულისა შინათ **მორართუან** მსახურთა მონასტრისათა ყოველთა ერთი საწყავი (ისტ. საბ., 56, 8);

♦ რომელ გიხუაიშნოთ მეფეთ-მეფისა წინაშე, და **გაგიშუას** მშუილობით (ამ., 143, 3).

♦ გული ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას,

ერთი რამე სალალობო ზედ ხუმრობა **წამოაბას** (არჩ., II, 17, 3);

ვით სითბოთ ვარდმან ყვავილი, სუნი გამოსცეს იამა,

დაბუკებულმან, ნაზამორმა მკარი **აღისხას** ჭიამა (დავითიანი, 55.200, 2).

ძველი ქართულისაგან განსხვავებით, II კავშირებითში -ა ბოლოსართი დასტურდება იმ ზმნებშიც, რომელთა საყრდენ მორფემაში -ე ხმოვანია გაუჩინარებული. მოქმედებითი გვარის ფორმათა II კავშირებითის ამგვარ წარმოებაზე გადასვლა საშუალ ქართულში უკვე დასრულებულად გამოიყურება. ამაზე მიგვანიშნებს აღნიშნული პერიოდის ადრეულ ძეგლებში -ა სუფიქსის გამოვლენა ყველგან, სადაც, ძველი ტრადიციისამებრ, -ე ბოლოსართი იყო მოსალოდნელი. ამის მაგალითები კი მრავლადაა:

♦ რომე **ღამხსნა** შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყრე (ვეფხ., 130, 2);

- ◆ და თავმან მეფობისა თქუენისამან, ერთი ტურფა ასეთი რამ **გიძლუნა**, რომე კაცისა თუალისაგან ეგეთი არა ნახულ იყოსო (ამ., 198, 9);
- ◆ ანუ მოვკვდე ანუ **შევიგნა** მიზეზი მწუხარებისა მისისა (თ. II, 140, 8);
- ◆ **განვრცხათ** სამოსელნი სულთა ჩვენთანნი ცრემლითა მღულარითა (საბა, სწავლ., 188, 582);
- ◆ ავი საქმე, ავი სიტყვა გულით აღარ გაიცადო, რა ესე **ჰქნა**, დახალასდე, ნაწველმან გამოიცა დო (არჩ., II, 1126, 4);
- ◆ დედამ რა **შეას** ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიკსენებსა (დავითიანი, 31, 31, 1);
- ◆ არამედ რომელმან არა **დაიცვას** საწოლი თვისი წმიდად, არა ჯერ არს მის თანა დათმენა (ქ. ცხ., II, 121, 10);
- ◆ ეს ყველამ შევიტყვევით, რომ ვინც ვის **მოუჭრას**, ერთი დიდი მტერობა ისიც არის (სამ. ძეგლ., I, 307);
- ◆ თქვა, „ნაქმარი ნუთუ **მიგძნან**, მარჯვე სიტყვა მოვიახლო (ბეს., 56. 66, 3);
- ◆ ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და, რომელი ამჯობინონ, იგი **დაასკვნან** (საბა, ს.ს., 45);
- ◆ ვიცი, რაგინდ კარგადა **გწვრთნა**, მაშინცა მძხერ ისევ მტერად (არჩ., I, 40. 171, 1);
- ◆ უკეთუ არა დაიშოთ თავი შენი და **განრყვნა** ფრთენი სულისა შენისანი (საბა, სწავლ., 149, 453).

ბოლო მაგალითში ზმნასთან ნარიან მრავლობითში პირდ. ობიექტია შეწყობილი, ნორმა -ე ბოლოსართს მოითხოვს კავშირებითის ნიშნად. გარდა ამისა, „რყვენ“ ძირეულ მორფემაში -ე ხმოვანია გაუჩინარებული და მაინც ახალი წარმოება გვხვდება. თუმცა „სწავლანში“, რელიგიური ჟანრის ნაწარმოებში, გამოძინარე თვით ძეგლის ხასიათიდან, მოსალოდნელი იყო, ძველ წარმოებას შევხვედროდით.

მსგავსი შემთხვევა არჩილთანაცაა. თუმცა პირდ. ობიექტის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნასთან მხ. რიცხვში მდგარი პირდ. ობიექტია შეწყობილი:

- ◆ დროა შევიდე საუნჯეს ძველად ხელ-მიუყოფელსა,

განვახვნა ლართა ზარდახშა, გაუყო ყოვლსა სოფელსა (არჩ., I, 142. 69, 2).

ეს ცხადყოფს იმას, რომ XVII საუკუნისთვის მოქმედებითი გვარის ზმნებთან II კავშირებითის -ა სუფიქსიანი წარმოების უნიფიკაცია უკვე დიდი ხნის დასრულებულია. აქა-იქ ნაშთის სახით შემონახულ -ე ბოლოსართიან ფორმებსაც ზოგჯერ თავისი საფუძველი აქვს.

ჩვენ მიერ შესწავლილ საშუალო ქართულის ძეგლებში მოქმედებითი გვარის -ე ბოლოსართიანი ათიოდე ფორმა დადასტურდა. მათი უმრავლესობა „ქმნე“ და „იკსნე“ ზმნებია და ისინი „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება.

ჯუანშერის ისტორიაში ასეთი 4 ზმნა მოვიპოვეთ:

- ◆ რომელ გინდა ჩემგან, მე **ვქმნე** აწ (ქ. ცხ., I. 184, 1).

ჯუანშერისავე თხზულების სხვადასხვა ხელნაწერში იგივე ზმნა ორივე სუფიქსითაა წარმოდგენილი. „ქმნეს“ ფორმა გვხვდება 1633-1646 წლის მარია-მისეულ ნუსხაში, რომელსაც XVIII საუკუნის დადიანისეულ ნუსხაში „ქმნას“ ენაცვლება:

♦ და უბრძანა, რათა გამონახოს კვესა მას შინა ადგილი სამონასტრე და ალაშენოს ეკლესია, და **ქმნეს** მონასტრად (ქ. ცხ., I. 178, 1).

აქვე, ანასეულ (XV ს.) და დადიანისეულ (XVIII ს.) ხელნაწერებში არის „გიკხსნეს“ ზმნა, რომელსაც რამდენიმე სხვა ხელნაწერში (ჭალაშვილისეული (XVI ს.-ის II ნახევარი), მარია-მისეული (1633-1646 წწ.), მაჩაბლისეული (1736 წ.), ჯანაშვილისეული (XVIII ს.-ის შუა წლები)) -ა სუფიქსიანი ფორმა ცვლის:

♦ მაშინ გიხილოს შენ ჭირსა შინა და **გიკხსნეს** ღმერთმან (ქ. ცხ., I, 162, 19).

ამავე ფუძის მქონე ზმნები -ე სუფიქსით დასტურდება ლეონტი მროველის ისტორიაში:

♦ და მადლობდა ღმერთსა და ევედრებოდა, რათა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცთომილსა და **იკხსნეს** ეშმაკისაგან (ქ. ცხ., I. 92, 16);

♦ მან გიხილოს ჭირსა შინა და **გიკხსნეს** შენ (ქ. ცხ., I. 105, 21).

„სამართლის ძეგლებშიც“, კერძოდ, მოსეს სამართალშიც ვნახეთ მოქმედებითი გვარის -ე სუფიქსიანი ფორმა:

♦ რომელმან **ქმნეს** ბოროტი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა და გარდაჰკდეს მცნებათა მისთა (სამ. ძეგლ., I. 109).

მოქმედებითი გვარის ფორმები II კავშირებითი -ე ბოლოსართით გვხვდება თეიმურაზ I-თან და თეიმურაზ II-სთან. თეიმურაზ I „მიჯნურთ ამბავში“ -ე სუფიქსს ლექსის საზომისათვის უნდა მიმართავდეს:

♦ მათ მისი ცხენი მიჰყვანდათ, ნეტარ მისთანა შესვა რა!

სხვა მსგავსი იოსებისა, ვეჭობ, დედამან **შვეს** არა! (თ. I, გვ. 65. 40, 4).

თეიმურაზ II-ის პოემაში „სარკე თქმულთა“ სახარებისეული თემატიკა უნდა განაპირობებდეს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი წარმოების გამოყენებას:

♦ შენ მუცლად ილო და **შვე** ძე, იესო ეწოდისაო (თ. II, 27. 216, 4).

სხვა ავტორებთან იგივე ზმნა მხოლოდ -ა ბოლოსართით გვხვდება. მაგალითად, დავით გურამიშვილი, როცა იესოს შობაზე გვიამბობს, აღნიშნულ ზმნასთან -ა სუფიქსს მოიხმარს:

♦ ოცდახუთს მარტს გაბრიელ ანგელოზმან ახარა,

ზეგარდმო მოკითხვა ჰრქვა: ყრმა **შვაო** ჰატარა (დავითიანი, 117).

სულხან-საბასთანაც -ა ბოლოსართით გვხვდება ეს ზმნა:

♦ მამამან შვილი **შვას** ესეთი და მზრდელმან აღზარდოს მსგავსი ამისო (საბა, ს.ს., 66).

არჩილიც მხოლოდ -ა სუფიქსიან წარმოებას მიმართავს:

♦ აჰა, მიუდგეს ქალწული, **შვას** ძეო-განკვირვებული (არჩ., II, 138, 2);

♦ სხვა ამ ბედითა ნულარ **შვას**, რით რაებადა მათ ვისი (არჩ., I, 173. 312, 2).

თუ გავიზიარებთ გამოთქმულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „ვიც“ ზმნაში **ე** საყრდენი მორფემისეულია, მაშინ კავშირებითის „ვიცე“ ფორმაში **ე** მაწარმოებლის არსებობა ლოგიკურია და რუსთაველი ამ შემთხვევაში ამგვარ წარმოებას მხოლოდ რითმის საჭიროებით არ მიმართავს:

- ◆ განაზე სულთან გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტკიცე:
აწ დაძენსენ, სიკვდილამდის ვიტურო და თავსა **ვიცე** (ვეფხ., 863, 3).
- ◆ არვის უთხრა სულიერსა, საფიცარი მომეც მტკიცე,
ფიცი ფიცა საშინელი: „თავიცაო კლდეთა **ვიცე!**“ (ვეფხ., 1141, 4).

საღექსო საზომით ვერ ავხსნით **ე** ბოლოსართის გამოყენებას სხვა ტაეპში:

- ◆ მოდი და გავხსნათ, **შევიგნო**, საჭურჭლე თუ რა ზომია (ვეფხ., 1352, 2).
„ვეფხისტყაოსანშივე“ იგივე ზმნა **-ა** მაწარმოებლით გვხვდება:
- ◆ რა შემოვიდენ ინდოეთს, **შევიგნა** მათი გვარობა,
ვუჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა (ვეფხ., 534, 2).
- ◆ მეფე ბრძანებს: „რა **შევიგნათ**, გული ჩვენი რათ იხსნების? (ვეფხ., 1171, 1).
„შევიგნა“ ფორმებია თეიმურაზ II-ის „თიმსარიანში“ და სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუეშიც“:

- ◆ ანუ მოვკვდე ანუ **შევიგნა** მიზეზი მწუხარებისა მისისა (თ., II, 140, 8).

◆ მე უგუნური ნუ გგონივართ, ვერა **შევიგნა** რა (საბა, სს. 130).
აღნიშნული ზმნა **ე** ბოლოსართით დასტურდება „ვისრამიანშიც“. როგორც ცნობილია, „ვისრამიანის“ ქართული ხელნაწერები გვიანდელი ხანისაა. თუმცა, აქაც აუხსნელია ჯერ კიდევ ამ პერიოდისათვის იშვიათი წარმოების ფორმათა გამოვლენა:

რაცა შემიძლია, მოვიჭირვებ, რომელ გულისა ჩემისა ნადები ვერ **შევიგნეს** (ვის., 132, 14).

ზემოთ განხილულ ფორმათაგან ყველას, როგორც ძველი ქართულისათვის იყო ჩვეულებრივი, საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანი აქვს გაუჩინარებული (-ქმენ-, -კსენ-, -ეც-, გენ-, -შევ-).

გაირკვა, რომ საშუალ ქართულში მოქმედებითი გვარის I და II ყალბის ზმნები II კავშირებითის ახალი ქართულის მსგავსად იწარმოებენ. თითქმის ყველა ძველში **-ა** სუფიქსი გვხვდება მაწარმოებლად. **ე** ბოლოსართი კი, რომელიც ძველ ქართულში ჩვეულებრივ გამოვლინდებოდა იქ, სადაც ძირეულ საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანი იყო გაუჩინარებული, ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალაში საკმაოდ იშვიათია. ამ იშვიათ ფორმათაგან ზოგიერთის გამოყენებას თუ ლექსთწყობის მიზეზით ან თავად ძველის თემატიკით ავხსნით, რამდენიმე მათგანის არსებობა ზოგჯერ ამგვარი მიზეზების მიღმა რჩება.

საყრდენი მორფემისეული ხმოვანი შეაპირობებდა **-ა** და **ე** II კავშირებითის სუფიქსთა განაწილებას პრეფიქსიან ვნებითებთან ძველ ქართულში. აქ მკაფიოდ იყო განსაზღვრული **-ა** და **ე** ბოლოსართთა გამოვლენის არეალი. კერძოდ, უნიშნო და **-ი** ელემენტებიანი წყვეტილის მქონე ზმნები, რომელთა ფუძისეულ საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანია გაუჩინარებული, II კავშირებითის **ე** ბოლო-

სართით იწარმოებდა; ხოლო ის უნიშნო და -ი ელემენტის წყვეტილის მქონე ზმნები, რომელთა ძირეულ მორფემაში ნულთან მონაცვლე ხმოვანი არ დასტურდებოდა, II კავშირებითში მწკრივის ნიშნად -ა სუფიქსს დაირთავდნენ. ახალ ქართულში ფორმათა პარალელიზმმა იჩინა თავი. „არის შემთხვევები, როცა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში II კავშირებითის -ე სუფიქსიანი ფორმებს უჩნდება პარალელური -ა სუფიქსიანი ფორმები და პირიქით, -ა სუფიქსიანი ფორმებს უჩნდება -ე სუფიქსიანი პარალელური ფორმები (გოგოლაშვილი 1984: 88-89).

საშუალ ქართულში ვითარება განსხვავებულია. საყრდენი მორფემისეული ხმოვანი თითქოს უკვე კარგავს ძველ ფუნქციას და მასზე მონიშნული სადემარკაციო ხაზიც ფერმკრთალდება. საშუალ ქართულში უკვე მოჩანს პარალელური ფორმები, თუმცა ამ ფორმობრივ პარალელიზმში -ა სუფიქსის უპირატესობაც იკვეთება, განსხვავებით ახალი ქართულისაგან, სადაც II კავშირებითის ეს ორი მაწარმოებელი თანაბრად გვევლინება პარალელურ აფიქსებად. საშუალი ქართულის ძეგლებში ვხვდებით ზმნებს, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან, ხოლო II კავშირებითის ტრადიციული -ე სუფიქსის გვერდით -ა მაწარმოებელიც არის. პირიქით კი არ ხდება: ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალაში ვერ დავადასტურეთ ვერც ერთი ფაქტი, როცა საყრდენ მორფემაში არ არის ნულთან მონაცვლე ე ხმოვანი, II კავშირებითის კი -ა სუფიქსის პარალელურად -ე ბოლოსართიც აწარმოებს. შეიძლება, ვიფიქროთ, საშუალი ქართული ენის განვითარების ის ეტაპია, როცა ამ ტიპის პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის მაწარმოებლად ჯერ მხოლოდ -ა ბოლოსართი გვევლინება.

საშუალი ქართულის ძეგლებში პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, საყრდენი მორფემისეული ხმოვნის მიხედვით იწარმოებს II კავშირებითს. ზმნები, რომელთა საყრდენ მორფემაში არ არის ნულთან მონაცვლე ე ხმოვანი, -ა სუფიქსს დაირთავს მწკრივის მაწარმოებლად. ყველა ძეგლში ანალოგიური ვითარება:

- ◆ სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე **მერტყას** ჩემი ხრმალია? (ვეფხ., 558, 4);
- ◆ რა იგი მათ შეებნეს, იგი ასი კაცი ზედა **გარდაესხას** (ამ., 185, 6);
- ◆ შენ რომ შემცდრობით **დაიწვა**, სისხლი რად ჩემსა ქელობით? (თ., I, 20. 45, 4);
- ◆ ყოველთავე სთვალავს და სწერს, რათა **მიერთვას** ქრისტესა (საბა, სწავლ., 126, 376).

◆ რაღას **შევესწრა**, ან თუ **დავესწრა**

სიჭაბუკესა ქვე დამდებარე? (არჩ., I, 238. 68, 7);

როცა **დაიფქვას**, როგორც გაგხვდეთ ფქვილი, ისე გაიყავით, რადგან გაკლიათ ფქვილი (ბატონიშ., I, 201);

◆ ვინიცობა არის, რომლისგან მარადის ღმერთმან დაგვიცვას სწორედ, ჩვენსავე ქვეყანაში ერთი-ერთმანერთისაგან შფოთი **აღიძრას** (სამ. ძეგლ., II, 434);

◆ თუ წარვიდე, უბრალო ერი **მოისრას** (ქ. ცხ., II, 290, 6);

◆ უკეთუ ენბოს მოკუდინება შენი, მე **მოვიკლა** და არა შენ (ქ. ცხ., II, 197, 16);

◆ სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა **ითქუას** დედაკაცი ესე (ქ. ცხ., I, 86, 12).

რაც შეეხება ზმნებს, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან, მხოლოდ მცირე ნაწილი დაირთავს II კავშირებითში -ე ბოლოსართს:

◆ მით ვისწავლებით **მოგვეცეს** შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა (ვეფხ., 781, 4);

◆ ნუთუ ანაზღად გატყდეს და შენვე **გეცეს** (ვის., 215, 15);

◆ პირისპირ ჭვრეტით განენათლეთ, **მივეცეთ** დიდსა შვებასა (თ., II, 119.. 16, 3);

◆ ნუ შემიყვანებ ღრმა ზღვათა, რომ არ **დავინთქო** (დავითიანი, 81. 384, 1);

◆ რა აღვიდეს დასასრულსა, კიბეთა ხარისხი შეიმუხროს და **ქვერამონგრეს** (საბა, სწავლ., 116, 340);

◆ ეკლესია ქვათა ოდესმე **დაირღუეს** და აღაშენიან მითვე ქვითა (ქ. ცხ., I, 164, 15).

ნაწილი ზმნებისა, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ნულთან მონაცვლე ე ხმოვანია, -ა სუფიქსით იწარმოებს II კავშირებითს. ამგვარი წარმოება შეინიშნება საშუალო ქართულის როგორც ადრეული, ისე მოგვიანო პერიოდის ყველა ჟანრის ძეგლში:

◆ შვიდ დღის შემდგომად **წარიღვნას** ცხოველი უშენ-შენობით (თ., II, 10. 71, 4);

◆ ერთს ჭაზედ რომ მოდილო სახლი ფეჩიანი **დაიდგას**, რომ ათი მაგისტანა მაშინა დაეტიოს, ათი თვალი წისქვილი იქნება (დავითიანი, 286).

სულხან-საბასთან -ა სუფიქსიანი წარმოება სხვადასხვა თემატიკის თხზულებაში დასტურდება. -ა ბოლოსართი გვხვდება არა მხოლოდ „სიბრძნე სიცრუეში“, სადაც ახალი ფორმები ჩვეულებრივია, ის დასტურდება „სწავლანშიც“, სადაც დიდაქტიკურ-მორალისტური თხრობა უმეტესად სასულიერო თემებს შეეხება, რაც, შესაბამისად, ძველ სამწერლობო ნორმებს გულისხმობს:

◆ ამით სცან, რომე ულვაშნი და წვერნი მისნი თან **აღმოიფხვრას** (საბა, ს.ს. გვ. 10);

◆ და ვითარცა მარგლასა შინა ფრთხილ იყოს კაცი, რათა ეკალთა წილ არა **აღმოიფხვრას** ჯეჯილი (საბა, სწავლ., 84, 225).

ამავე თხზულებაშია:

◆ მოიღე და დასთხიე მიწათა და რა **განიბნას**, არღარა იხილვებიან და უჩინარ (საბა, სწავლ., 332, 247).

ახალ წარმოებას უფრო ხშირად მიმართავს არჩილი:

◆ გიჯობს, **იწვრთნა**, დაიდუმო, გარედამეც ბაგე მიაღე (არჩ., I, 92. 80, 2);

◆ **გაიკრტნას**, ჩაჯდეს ვარდს შუა, მაშინ ჰკრავს რასტ-მულამებსა (არჩ., I, 139. 41, 3).

ამგვარი წარმოება ხშირია სამართლის ძეგლებშიც. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში, სახელდობრ, ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში დასტურდება ასეთი -ა ბოლოსართიანი ფორმები:

◆ უკეთუ ვინმე ქალწული ქალი, დაუნიშნავი ვისგანმე, **განიხრწნას**, ცოტას ხანს შეიჩვენოს კაცი იგი (სამ. ძეგლ., I, 152);

◆ უკეთუ თავის შუა ეზოში ხე ედგას ვისმე და იმისმა ფესუმა მეზობლის სახლის საძირკველს ავნოს რამე, ბრძანებითა მთავრისათა ძირითურთ **ადმოიფხურას** (სამ. ძეგლ., I, 189).

ასეთი ფორმების დამოწმება კიდევ შეიძლებოდა, თუმცა, ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალაში უფრო საინტერესოა ფორმობრივი პარალელიზმი, რომელიც დასტურდება ზმნებთან, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან. -ა და -ე ბოლოსართთა პარალელური გამოყენება ყველაზე ხშირი „ქმენ“ ზმნის II კავშირებითია. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ -ა ბოლოსართიანი წარმოება აშკარად სჭარბობს -ე სუფიქსიან ფორმებს. -ა ბოლოსართიანი წარმოების დამოწმება შესაძლებელია ჩვენ მიერ შესწავლილი ძეგლების უდიდეს ნაწილში, მხატვრულსა თუ არამხატვრულ ტექსტებში, პოეტურსა თუ გაულებქსავ თხზულებებში. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, „დავითიანში“, „სიბრძნე სიცრუეში“, „სამართლის ძეგლებში“ აღნიშნული ზმნის მხოლოდ -ა სუფიქსიანი ფორმები გვხვდება:

◆ მე წავალ და შენ დაგაგლებ, **იქმნას** შენი საქადელი! (ვეფხ., 880, 4);

◆ შეუნდობელი რისხვა მოვიდეს თქუენგან მას ზედა და აგრეცა **იქმნას** ნება და წადილი თქუენი (ვის., 33, 18);

◆ სჯობს, რომ ჩვენ ერთნი **შევიქნათ**, აგებ გვედირსოს ძილები (დავითიანი, 60. 240, 4);

◆ მათ ყველას **ექმნას** წყლის გამო დანთქმა,

მე შენთან ჩემი ვამკვიდრო აღთქმა! (დავითიანი, 253. 523, 1);

◆ უკეთუმცა ოდესმე აღდგნებულ **იქმნას** ახალი რადმე ქალაქი სამეფოსა შინა იმერეთისასა, ... ვისარგებლო მეცა რომელიმესა ნაწილითა მისგან შემოსვლისათა (სამ. ძეგლ., II, 562);

◆ რათა სრულ **იქმნას** წყალობა და წადილი პატრონისა ტკბილისა და სახიერისა ლაშქართა და სპათა მისთა ზედა (ქ. ცხ., II, 35, 11);

◆ და მივიდა ძისა თანა ლანგ-თემურისა, და ევედრებოდა, რათამცა თანა-შემწე **ექმნას** მამისა მისისა (ქ. ცხ., II, 467, 28);

◆ ამისთვის ჰყო საქმე იგი, რათა საცნაურ **იქმნას** ციხისა მყოფთა მიერ კადნიერება მათი (ქ. ცხ., II, 470, 25).

„ქმენ“ ზმნის II კავშირებითი პარალელური წარმოება დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“. კერძოდ, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა ფორმით ვნახეთ დასახელებული ზმნის II კავშირებითი. მაგალითად, -ა ბოლოსართიანი ფორმა ვნახეთ ლეონტი

მროველის თხზულების ერთ-ერთ ჩანართში, რომელიც XVIII საუკუნის I მეოთხედის თეიმურაზისეულ ხელნაწერშია და აგრეთვე ჯუანშერის ისტორიის ერთ-ერთ ჩანართში, რომელიც 1803 წლით თარიღდება:

♦ რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუყრა და შევეწვიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე **ექმნას** მათ (ქ. ცხ., I, 38, 13);

♦ და უკეთუ არა გზა **გექნას**, იყავ სახლად და სარწმუნოდ მნებებელად (ქ. ცხ., I, 211, 3).

-ე სუფიქსიან წარმოებას ვხვდებით ლეონტი მროველის თხზულებათა და „მატიანე ქართლისას“ სხვადასხვა ნუსხაში:

♦ ჩუენება ესე შენი **არს**, რამეთუ ადგილი ესე შენ მიერ **იქმნეს** სამოთხე (ქ. ცხ., I, 102, 4);

♦ უკეთუ უღონო **იქმნეს** ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ (ქ. ცხ., I, 249, 10).

საინტერესოა, რომ პარალელური ფორმები ერთსა და იმავე ნუსხაში აღმოჩნდა. მაგალითად, ლეონტი მროველის ჭალაშვილისეულ ხელნაწერში „იქმნე“ ზმნას ანასეული ხელნაწერის „ექმნა“ ფორმა ცვლის. ასევე ლეონტი მროველისავე ისტორიაში ანასეული ნუსხის „იქმნას“ ზმნა ენაცვლება მარიამისეული ხელნაწერის „იქმნეს“ ფორმას:

♦ რამეთუ შენვე გპყრენ და შენვე ყავ ესე ჩუენ ზედა, და უბრალო **იქმნე** სისხლისა ჩუენისაგან, ახოვანო (ქ. ცხ., I, 73, 9);

♦ ესრეთვე იყოს წარყვანება შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი **იქმნეს** ვარდის ფურცელ სულნელ (ქ. ცხ., I, 85, 2).

მაშინ როცა ჯუანშერის ისტორიის ანასეული ხელნაწერი „ექმნეს“ ფორმას ინახავს, ამ უკანასკნელს ბროსესეულ, ჭალაშვილისეულ, დადიანისეულ ვარიანტებში „ექმნას“ ზმნა ცვლის:

♦ და ევედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა, და მოურავ **ექმნეს** იგი სპარსთა მეფესა წინაშე (ქ. ცხ., I, 144, 16).

აქ ბროსესეულ, ჭალაშვილისეულ, დადიანისეულ ვარიანტებში „ექმნას“ ფორმა დამოწმებული.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ საუკეთესო მაგალითებია იმისა, როცა აღნიშნული ზმნის პარალელური ფორმები ერთი ავტორის ერთსა და იმავე თხზულებაშია. თუმცა, კონკრეტული საფუძველი -ე და -ა ბოლოსართიან ფორმათა გადანაწილებას არ მოეძებნება სულხან-საბას ნაწარმოებში, სადაც ხსენებული ზმნის II კავშირებითის ძველი (-ე სუფიქსიანი) ფორმები რაოდენობრივად ჩამორჩება -ა სუფიქსიან ფორმებს:

♦ უკეთუ არა ადასრულა საწადელი შენი, იხილე, თუ ვითარ გულკლებულ მისა **იქმნე** და კენესით ღმერთსა შეასძინო (საბა, სწავლ., 96, 268);

♦ და საშვებელნი სასუფევლისანი დაუსრულებელნი უკუნისამდე მაშინ იხილო შენ, უკეთუ სოფელსა ამას სძლიო და ეშმაკსა მრე **ექმნა** (საბა, სწავლ., 165, 507).

ასევე არ არის მოტივირებული **-ე** და **-ა** ბოლოსართთა განაწილება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“:

◆ ოდეს იქმნების დროდ, რათა წინამძღვარ **გვექმნა** საქართველოსა ზედა (ბატონიშ., II, 97);

◆ უკეთუ აწ ამას ზედა **გვექმნე** მორჩილ, მერმელა მაწვიო მე სჯული მამადისა (ბატონიშ., II, 104).

თანაბარი სიხშირით გვხვდება ისინი არჩილთანაც:

◆ მნათობთ შუქი არ მოაკლდეს, დუხჭირთ **ექმნას** ტურფადა ვით (არჩ., II, 51, 4);

◆ შემწყნარებელი ობოლთა მძლე **ექმნეს** თვისსა მძლეველსა (არჩ., I, 73, 6, 2).

შეიძლება ითქვას, რომ საშუალ ქართულში **-ე** ბოლოსართის ტრადიციულ ადგილს **-ა** სუფიქსი იკავებს. თქმულის საფუძველს ჩვენ მიერ მოძიებული პარალელური ფორმები გვაძლევს. მაგალითად, გესმას//გესმეს ზმნასთან **-ა** ბოლოსართიანი ფორმები დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, თეიმურაზ I-თან, არჩილთან, სულხან-საბას „სწავლანში“, სამართლის ძეგლებში:

◆ მართალ ხართ, მომკალთ, რა **გესმას** ამბავი გაკვირვებული (ვეფხ., 744, 2);

◆ წაედ, რომელ არა **გესმას** სიტყუა გულისა დამბნედელი (ვის., 248, 31);

◆ საყვირთა **ისმას** მაშინ ზმა, სამკვდრეთი აიყაროსა (თ., I, 129, 25, 2);

◆ რაცა გამსახურო, **მოგესმას**, მოწმად მყვეს თქვენი სადრია (არჩ., II, 429, 2).

-ე ბოლოსართი ამ ზმნასთან გვხვდება „სწავლანში“ და სამართლის ძეგლებში. თუმცა აქ აღნიშნული ბოლოსართის პარალელურად **-ა** სუფიქსის არსებობაც ფაქტია:

◆ ენუქი აღფრინდების შემთხვევად გაბრიელისა, რათა **ესმას** საიდუმლო დაფარული ანგელოზთაგან (საბა, სწავლ., გვ. 47, 103);

◆ იხილე და განეკრძალე, რათა მოგცეს ღმერთმან და არა **გესმეს** კმა იგი საზარელი (საბა, სწავლ., 71, 183);

◆ და **გვესმას** კმა საშინელი მათ ღრუბელთა განპობისა და უწოდოთ ქუხილად (სამ. ძეგლ., II, 349);

◆ და რათა **გვესმეს** სანატრელი იგი კმა (სამ. ძეგლ., II, 142).

პარალელური ფორმათწარმოება „კსენ“ ძირეული მორფემის მქონე ზმნათა II კავშირებითანაც გვხვდება. თუ სამართლის ძეგლებში ეს ზმნა **-ე** სუფიქსით არის წარმოდგენილი, „ვისრამიანში“, თეიმურაზ II-ის „თიმსარიანსა“ და არჩილის პოემებში იგი **-ა** ბოლოსართით გვხვდება.

1470 წლით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში **-ე** მაწარმოებელი იპრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნასთან არის:

◆ და რათა **ვიკსნე** საუკუნეთა სატანჯველთაგან და ღირს-მყოს ნაწილსა მართალთასა და ხილვად ნათლისა პირისა მისისასა ღმერთმან უტყუელმან (სამ. ძეგლ., II, 142).

„ვისრამიანში“ -ე პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნასთან რამდენჯერმე შეგვხვდა -ა სუფიქსი:

◆ ანუ დიდსა წყალსა თავსა ჩავიგდებ, რომელ **დავეკსნა** ჩემსა ყოფასა (ვის., 92, 32);

◆ რომელ **დავეკსნა** ჭირსა და შენისა საეჭუისაგან გამოვიდე (ვის., 196, 3);

◆ გული მივსცე ამა მზესა, **დავეკსნა** ვისის ჭირსა (ვის., 252, 22);

◆ ნუთუ ესრე დაება ერთხელ, რომელ ველარაით ღონითა **დაეკსნა** (ვის., 176, 27).

ე გახმოვანების ძირეული მორფემის მქონე (ვსენ) ზმნასთან II კავშირებითის მაწარმოებლად -ა სუფიქსი გვხვდება თეიმურაზ II-ის „თიმსარიანში“:

◆ რომ ასეთსა შეჭირვებასა და შიშსა **დავეხსნათო** (თ. II, 167, 17).

-ა სუფიქსიანი ფორმის გამოყენება არჩილის პოემებში რითმით ან რომელიმე სხვა სალექსო საზომით არ არის შეპირობებული:

◆ სჯობს, გამიტყდე, **ჩამომეხსნა**, თვარემ მოგგვრი თვალთა ნამას (არჩ., II, 74, 3);

◆ აგრე ყოფას დია გიჯობს, ლხინით სოფელს შეექცეო,

უმეცრებას **ჩამომეხსნა**, ჩემს მცნებაზედ მოექცეო (არჩ., I, 200. 542, 4);

◆ რაცა ეტლსა გაებეღოს, ვინ **დაეხსნას** ანუ სვესო? (არჩ., I, 165. 243, 2).

„შეკ“ ძირეული მორფემის მქონე პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა II კავშირებითში პარალელური ფორმები დავადასტურეთ რამდენიმე ძეგლში, კერძოდ, -ა სუფიქსიანი ფორმა ვნახეთ „დავითიანში“, არჩილის პოემებში, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში:

◆ ნუ გონებ, კიდევ ჰელახლა **ვიშვა** და მოგკვდეო,

ან მისებრ ჯოჯოხეთშიგან მელა მივიდეო (დავითიანი, 128. 52, 1);

◆ დაწერე და, ვირ არ ნახო, შენ არ მოჰკვდე, იყო ზეზე,

ქვაბსა **იშვას** ბეთლეემისას, სად მიუშვან ხარი ბზეზე (არჩ., II, 140, 3);

◆ აღმცხოცება ქვეყანა, სად შენებრ **იშვას** არჯალი (არჩ., I, 204. 583, 1);

◆ რა სხვა სხვას გვარსა მიუდგეს, მით **იშვას**, მით მოშენდება (არჩ., I, 281. 41, 2);

◆ უკეთუ დედის მუცლითგან ბრმა **იშვას** ვინმე ანუ სენთაგან დაბრძვდა, მან რომ ანდერძი ქმნას უწიგნოდ, ... დაიჯერება (სამ. ძეგლ., I, 160).

თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთაში“ და სულხან-საბას „სწავლანში“ კი აღნიშნული ზმნის II კავშირებითს -ე ბოლოსართი აწარმოებს:

◆ ქრისტე რომ **იშვეს** ღამითა, იყოს რა შენი ქმნილობა (თ., II, 29. 230, 2);

◆ ამისთვის ენება ყოველთა შვილიერ ყოფა, ნუ უკვე შვილისა მისგან **იშვეს** ქრისტე (საბა, სწავლ., 304, 162).

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში პრეფიქსიანი ვნებითი II კავშირებითში ფორმობრივი პარალელიზმი გამოვლინდა „ჭერ“ ძირეული მორფემის შემცველ ზმნასთან, რომელიც გაქცევის, ველად გაჭრის მნიშვნელობით იხმარება. -ე სუფიქსი გამოყენებულია „ვეფხისტყაოსანსა“ და ბესიკის „რძალ-დედამთილიანში“:

◆ ვა თუ **გავიჭრე**, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს სამ-ალი (ვეფხ., 699, 1);

◆ გული მინდორს არ **გაიჭრეს**, არ იირმოს, არცა ითხოს (ვეფხ., 658, 2);

◆ თუ მკვდარია, მეცა მოვკვდე, კლდეს **გარდვიჭრე** დაფარულად (ბეს., 57. 71, 3).

ამავე თხზულების ერთ-ერთ ხელნაწერში „კლდეს **გავიჭრა**“ ფრაზა ამოვიკითხეთ.

აღნიშნული ზმნის II კავშირებითის -ა ბოლოსართიანი ფორმები კი დასტურდება როგორც პოეტურ, ისე არაპოეტურ ტექსტში, სახელდობრ, „ამირან-დარეჯანიანის“ დამატებაში, თეიმურაზ I-ის „ლეილ-მაჯუნუნიანში“, „სიბრძნე სიცრუეში“, არჩილის გალექსილ „ვისრამიანში“:

◆ ესრეთ ვითა მარტორქა დედის მუცლით **გამოიჭრას**, ეგრე საგებლით ახლტის (ამ., 717, 8);

◆ იტყვის: „მომცა ბედმან ხელქმნა, აწ **გავიჭრა**, ნეტარ, მე სად?“ (თ., I, 29. 38, 4);

◆ დაღონდა: „ვირი არსად **გარდამეჭრას** და არ დავკარგოო (საბა, სს. 70);

◆ **გაიჭრას** ველად, გავარდეს, ცუდი ხელობა სწადედეღს (არჩ., I, 136. 16, 3).

იმავე ძირეული მორფემის (ჭერ) მქონე ზმნა სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება, სახელდობრ, ჭრის, კვეთის შინაარსის მატარებელი. პარალელური ფორმები II კავშირებითისა ამ ზმნასთანაც დასტურდება. მაგალითად, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვკითხულობთ:

◆ და მერე განაჩინა სულთანმან სიკვდილი ბიძინასი ესეგვართა სახითა, რათა თვითეული ასოღ სხეულისა მისისა **მოიჭრას** სახსართა შინა (ბატონიშ., II, 116).

-ა სუფიქსითგეა წარმოდგენილი ეს ზმნა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში:

◆ ხოლო უკეთუ არა შეეძლოს და არა ჰქონდეს რა, მარცხენა ხელი **მოეჭრას** (სამ. ძეგლ., I, 141).

თუმცა იქვე იმავე ძეგლში ეს ზმნა -ე სუფიქსით გვხვდება:

◆ ვინცავინ მჭედარი წავლენ ლაშქარსა, იქ რომ **დაიჭრეს** და გზაზე მოკუდეს, და იქ ქნა ანდერძი სამ კაცს წინაშე ანუ ორს კაცთანა,... დაიჯერება (სამ., ძეგლ., I, 160-161).

ერთი ავტორის ერთსა და იმავე ძეგლში არსებული ფორმობრივი პარალელისმის კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითია სულხან-საბას „სწავლანში“ გამოვლენილი შემთხვევა. „რყვენ“ ძირეული მორფემის შემცველ პრეფიქსიანი ვნებით გვარის ზმნას II კავშირებითის მაწარმოებლად ერთგან თუ -ე სუფიქსი მიერთვის, მეორეგან მას -ა ბოლოსართი მოუდის:

◆ იგი საქმე დაუტეოს და სხვასა რომელსამე საუბარსა იწყოს თქმად, თუცა საქმე იგი არა **განიწყენეს** (საბა, სწავლ., 27-28).

◆ ფრინველნიცა განჰყრიან, რა **განერყვნას** ფრთენი და დაუძწიკვლდეს თვისითა ნაკრტენითა (საბა, სწავლ., 159, 486).

როგორც მოკვლეულმა მასალამ ცხადყო, II კავშირებითში პარალელური ფორმები პრეფიქსიან ვნებითაგან ეწარმოება მხოლოდ იმ ზმნებს, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან. თუ ძველ ქართულში ამ ზმნებს II კავშირებითის მაწარმოებლად ყოველთვის -ე სუფიქსი მოუდის, საშუალ ქართულში -ე სუფიქსის გვერდით უკვე -ა ბოლოსართიც გვხვდება – უფრო მეტიც, ამ ტიპის (ე განხმოვანების) ზმნებში II კავშირებითის უმეტესად -ა სუფიქსი აწარმოებს. შევეცადეთ, პარალელიზმის ჩვენ მიერ მოძიებული ფაქტების მიხედვით მიახლოებით მაინც განგვესაზღვრა -ე ბოლოსართიან და -ა ბოლოსართიან ფორმათა თანაფარდობა. აღმოჩნდა, რომ ყველა შემთხვევაში -ა სუფიქსიან ზმნათა რიცხვი შესაბამისი ზმნის -ე ბოლოსართიან ფორმებს აღემატება. მაგალითად, გესმას//გესმეს ფორმათა შეპირისპირებისას გაირკვა, რომ -ა სუფიქსიანი ფორმები თითქმის ოთხჯერ სჭარბობს -ე ბოლოსართიან ფორმებს, ანდაც ვიშვა//იშვეს ზმნათა წყვილში -ა სუფიქსიანი ფორმები -ე სუფიქსიან ფორმებს თითქმის 10-ჯერ აღემატებიან. ამგვარ ზმნებთან -ე ბოლოსართის გვერდით -ა სუფიქსი გვხვდება ნებისმიერი ჟანრის ძეგლში, პოეტურსა და არაპოეტურ ტექსტში.

პარალელიზმის ფაქტები დასტურდება ამ პერიოდის როგორც ადრეული, ისე მოგვიანო ხანის ძეგლებში. ავტორის ენობრივი პოზიცია უნდა შეაპირობებდეს პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის არჩევანს. თუმცა ერთსა და იმავე თხზულებაში ერთსა და იმავე ზმნასთან დადასტურებული პარალელური ფორმათწარმოების შემთხვევებს უკვე ახალი ქართულის ფაქტებად მივიჩნევთ.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 1983. გ. გოგოლაშვილი, -ე და -ა სუფიქსიანი II კავშირებითის შესახებ ახალ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები V, თბილისი.

გოგოლაშვილი 1984. გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბილისი.

იმნაიშვილი... 1996. ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, I, მაინის ფრანკფურტი.

შანიძე 1976. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1980. ა. შანიძე, თხზულებანი III, თბილისი.

დამოწმებული წყაროები და შემოკლებათა განმარტებანი

ვეფხ. – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით, თბილისი 1966.

ვის. – ვისრამიანი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვანარამ და მ. თოდუამ, თბილისი 1962.

ამ. – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა, თბილისი 1967.

აბუს. ტბ. – აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე, 1233 წ. ტექსტი. გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბილისი 1941.

ქ. ცხ. I – ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი 1955.

ქ. ცხ. II – ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი 1959.

სამ. ძეგლ. I – ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი 1963.

სამ. ძეგლ. II – ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი 1965.

ისტ. საბ. – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი 1984.

ლაპიდ. წარწ. – ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბილისი 1980.

ექვთ. თაყ. – ექვთიმე თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხ. საქართველოში, თბილისი 1960.

თ. I – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი 1934.

თ. II – თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურას რედაქციით, ტფილისი 1932.

არჩ. I – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფილისი 1936.

არჩ. II – არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტფილისი 1937.

საბა, ს.ს. მოგზ. ევრ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი 1959.

საბა, სწავლ. – სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, სწავლანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი 1963.

ბეს. – ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურას რედაქციით, ტფილისი 1932.

დავითიანი – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით, თბილისი 1955.

ბატონიშ. I – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტფილისი 1936.

ბატონიშ. II – იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი 1948.

The Second Subjunctive with -ჲ and -ჟ Suffixes in Middle Georgian

Summary

The derivation with -ჲ and -ჟ suffixes is different in Old and New Georgian. In Old Georgian in verbs having Aorist without a marker and with -ა element (I and II patterns) the distribution of these formative markers of the screeve is determined by the structure of the basic morpheme. The factor of the category of voice is also introduced as a foundation of the distribution of affixes in New Georgian. In Middle Georgian the distribution of -ჲ and -ჟ suffixes with verbs of this type is mostly similar to that of New Georgian. However, in written monuments of this period the situation of Old Georgian is found as well. The demonstration of old and new forms depends on the themes of a written text. The choice of parallel forms (ვაიჭერას // ვაიჭერეს) in most cases has the stylistic basis.

ფსალმუნთა ქართული თარგმანის ლექსიკა¹

ქართული ენის ისტორიული გრამატიკა ჯერ კიდევ დასაწერია და ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი – შესადგენი. ერთსაც და მეორესაც ქართული წერილობითი წყაროების დაწვრილებითი ანალიზი უნდა ედოს საფუძვლად. ზურაბ სარჯველაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთი მიმართულება სწორედ ეს იყო: წყაროების, როგორც თავისი ეპოქის ენობრივი ნიშუშების ავთენტური გამოცემა, მათი ნიუ-ანსური და სტატისტიკური შესწავლა, ცოცხალი ენის ისტორიის შექმნა, ლექსიკის მის ბუნებრივ დისკურსში კვლევა. ზ. სარჯველაძე ძველ ქართულ სამწერლობო ენას, როგორც ცოცხალ მოვლენას, ისე უყურებდა და ახასიათებდა. ეს იყო მისი, როგორც ძველი ქართული ენის მკვლევარის საეტაპო ღვაწლი. ცოცხალი ენა ცოცხალ გარემოში არსებობს – ზ. სარჯველაძე წლების მანძილზე ნერგავდა ამ ენას უნივერსიტეტში, თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში. იგი ამ ქვეყნიდან მაშინ წავიდა, როდესაც მის საქმეს მისი მოწაფეებიც უნდა გაჰყოლოდნენ...

ქრისტიანობის შემოსვლამ საქართველოში მსოფლმხედველობრივ ცვლილებებთან ერთად სრულიად ახალი ცნებები, ახალი გამომხატველობითი სისტემა შემოიტანა ენაში და უბიძგა მას ნეოლოგიზმებისკენ, დერივაციული სისტემის განვითარებისკენ, ახალი სინტაქსური კონსტრუქციების შექმნისკენ. ქრისტიანობა საქართველოში შემოვიდა ბერძნული ენით, მისი ენობრივი თავისებურებებით და სიმდიდრით, მაგრამ იმ ბერძნულით, რომელიც უკვე თავად იყო გავრეებული ებრაული სააზროვნო სისტემით და მისი შესაბამისი გამომხატველობითი საშუალებებით (დანელია 1998). დღეს ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რამდენი და რამდენნაირი ამოცანის წინაშე იდგნენ წმიდა წერილის ქართველი პირველმთარგმნელები, როგორ ხდებოდა ქართული ენის ემანსიპაცია და ადაპტირება ახალ სააზროვნო სისტემასთან (Dobordžginidze 2003). ქართული სამწერლობო ენისა და მისი ისტორიის კვლევა სწორედ იმ ენობრივი ვითარების აღდგენას უკავშირდება, რომელიც ამ პირველმთარგმნელებს დახვდათ. ამისათვის კი, პირველ რიგში, ის წიგნები უნდა იქნეს შესწავლილი, რომლებიც, სავარაუდოდ, ქრისტიანობის შემოსვლისთანავე ითარგმნა ქართულად. ერთ-ერთი პირველი ამათგან ფსალმუნი უნდა ყოფილიყო.

ახალი რელიგიური აზროვნება, პირველ რიგში, ლექსიკურ ფონდს უნდა დასტყობოდა. ამდენად, წმიდა წერილის თარგმანების კვლევა ენის ლექსიკოგრა-

¹ სტატია ნაწილობრივ ეყრდნობა ადრე გამოქვეყნებულ მასალას (Ckaranauli 2000).

ფიული კუთხით შესწავლისათვის განსაკუთრებით არის საჭირო და გასათვალისწინებელი. საჭიროა, პირველ რიგში, ენის ისტორიის შესასწავლად: იმ ქართულის „აღსადგენად“, რომელიც ჯერ არ იყო შეხვედრილი ამა თუ იმ სათარგმნი თხზულებით შემოსულ ცნებით სისტემასთან და, მეორე მხრივ, იმ ქართულის შესასწავლად, რომელიც ამ სისტემას უკვე გაეცნო და მის ასათვისებლად სხვადასხვა ენობრივი საშუალება გამოიძუშავა. ასე რომ, თარგმანების ლექსიკოგრაფიული კუთხით შესწავლა მნიშვნელოვანია თავად წმიდა წერილის ენის შესასწავლადაც და მის საფუძველზე წარმოქმნილი ლიტერატურის ენის საკვლევადაც.²

ლექსიკური მნიშვნელობების დადგენა თარგმანის მიხედვით, ერთი მხრივ, უფრო ობიექტურია, ვიდრე ამ მნიშვნელობების დადგენა ორიგინალური მწერლობის საფუძველზე, რაც, ჩვეულებრივ, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ესმის ლექსიკოგრაფს კონტექსტი. თარგმანში მოცემული ლექსიკური ეკვივალენტების მნიშვნელობათა დადგენა ორიგინალის დახმარებით ხდება: ჩვენ იმ მნიშვნელობას ვანიჭებთ თარგმანში გამოყენებულ ეკვივალენტს, რაც აქვს მის შესატყვისს ორიგინალში (ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მნიშვნელობა დიდი და კარგად შესწავლილი მასალის საფუძველზეა დადგენილი). ეს მეთოდი განსაკუთრებით სარწმუნოა ისეთი სიტყვასიტყვითი თარგმანების შემთხვევაში, როგორც წმიდა წერილია. ასე რომ, ორიგინალის ლექსიკონი ერთგვარი საკონტროლო საშუალებაა თარგმანში გამოყენებული ლექსიკის მნიშვნელობების დასადგენად. მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ანგარიშგასაწევია, რომ თარგმანში გამოყენებულ, ენაში არსებულ სიტყვას შესაძლოა თარგმნის მომენტში არც ჰქონოდა ზუსტად ის მნიშვნელობა, რომელიც მის ორიგინალს აქვს და ეს მნიშვნელობა მან მხოლოდ მერე, სწორედ თარგმანის ზეგავლენით მიიღო. შესაბამისად, სიტყვაში უნდა გავარჩიოთ მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა სიტყვას თარგმანის ენაში და – მნიშვნელობა, რომელიც მას მიანიჭა მთარგმნელმა სათარგმნი ტექსტის ზეგავლენით. მაგრამ არც ამოსავალ სიტყვასთან მიმართებით შეგვიძლია ცალმხრივი საუბარი: სხვაა მნიშვნელობა, რომელიც აქვს სიტყვას ტექსტის ავტორისთვის (თუ მთარგმნელისთვის – წმ. წერილის ბერძნული თარგმანის შემთხვევაში) და სხვა – მნიშვნელობა, რომელიც მან მოგვიანებით, ტექსტის ინტერპრეტაციის თუ ეგზეგეზის საფუძველზე შეიძინა (Tov 1999:85-87). ამდენად, ამა თუ იმ ტექსტის ლექსიკოგრაფის საქმეა გაითვალისწინოს სიტყვის მნიშვნელობის განვითარების ყველა ეს ღონე.

ცნობილია, რომ სიტყვის მნიშვნელობის განმსაზღვრელი (განსაკუთრებით წმიდა წერილის შემთხვევაში) ამა თუ იმ მოლაპარაკე ენობრივი ჯგუფის დისკურსია (Dorival... 1988:251). ამდენად, და, განსაკუთრებით, წმინდა წერილის ლექსიკის შესწავლისას, გათვალისწინებული უნდა იყოს სოციოლინგვისტური

² ძველი აღთქმის ლექსიკის მრავალმხრივი ანალიზი მოცემულია ეზეკიელის წიგნის გამოცემისთვის დართულ თ. ცქიტიშვილის გამოკვლევაში (ცქიტიშვილი 1976:291 და შმდ.).

ფაქტორებიც, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ლექსიკური ერთეულის ზემოთ ნახსენებ სემანტიკურ დონეზე (ორიგინალის, მთარგმნელის, მისი თანადროული თუ მომდევნო ხანის, ბილინგვური თუ მხოლოდ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე მკითხველის დონეზე).

როდესაც ქართულ პირველმთარგმნელთა წინაშე მდგარ სირთულეებზე ვლაპარაკობდით, და, აქედან გამომდინარე მათ ღვაწლზე ქართული ენის ლექსიკური ფონდის სემანტიკურ თუ ფორმალურ გამდიდრებაში, ვკულისხმობდით, მაგალითად შემდეგ ვითარებას: სხვადასხვა ენას სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფისათვის სიტყვათა სხვადასხვა რაოდენობა აქვს. შესაბამისად, ენას შეუძლია ცნება ან დიფერენცირებულად გამოხატოს, ან ზოგადად. აქედან გამომდინარე, ორიგინალისა და თარგმანის შესატყვისობის ამა თუ იმ დონეზე მისაღწევად მთარგმნელი სხვადასხვა გადაწყვეტილების წინაშე დგას. გარდა ამისა, ლექსიკურ ეკვივალენტებს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სემანტიკური ველი აქვთ, ამდენად მათი ეკვივალენტურობა, ფაქტობრივად, კონტექსტზე დამოკიდებული (Dorival... 1988:245). იმის მიხედვით, თუ სიტყვასიტყვითობის რა ხარისხის მიღწევა უნდა მთარგმნელს, ხდება ენაში არსებული ვითარების – სიტყვის სემანტიკის – ცვლა. ამდენად, ძველი ქართული ენის ლექსიკური ფონდის შესწავლა წმიდა წერილის თარგმანის ტექნიკის შესწავლასთანაა დაკავშირებული. სტატიაში ჩვენც ამ კუთხით წარმოვადგენთ *ფსალმუნთა* წიგნის ლექსიკის სურათს.

უცხო სემანტიკის ტექსტის ლექსიკა, საზოგადოდ, სხვადასხვაგვარად გადმოდის თარგმანში (Tov 1999):

1. ტრანსლიტერაციით: ასეთია ებრაული და ბერძნული სიტყვები, რომლებიც ან საკუთარ სახელებს გადმოსცემენ, ან ტექნიკურ ტერმინებს, ან მთარგმნელისათვის გაუგებარ სიტყვებს, უმეტესად hapax legomenon-ებს.

2. ნასესხები სიტყვებით: სიტყვებით, რომლებიც მოცემული ტექსტის თარგმნამდეა ნასესხები და დამკვიდრებული ენაში. ეს სიტყვები შეიძლება მომდინარეობდეს, ან არ მომდინარეობდეს იმ ენიდან, საიდანაც ხდება მოცემული ტექსტის თარგმნა.

3. ჰომოფონური, მსგავსი ჟღერადობის სიტყვებით, რომლებსაც ზოგჯერ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს თარგმანისა და სათარგმნ ენაში.

4. თარგმანის ენის ლექსიკით, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება შეესაბამებოდეს დედანს: სემანტიკურად და ფორმალურად (დანელია 1998:58-75).

პირველი, სემანტიკური შესაბამისობა იშვიათად არის სრული, უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს სათარგმნი ან თარგმანის სიტყვის სემანტიკის შევიწროებას ან გაფართოებას. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული მნიშვნელობის მინიჭება სიტყვისთვის მხოლოდ კონტექსტით ხდება. ამგვარი შესატყვისობები სემანტიკური ნეოლოგიზმებიც შეიძლება იყოს. სემანტიკურ ნეოლოგიზმებს ხშირად ადგილი აქვს უცხო იდიომების სიტყვასიტყვით გადმოტანისას, ანდა მაშინ, როდესაც მთარგმნელი მყარად იცავს ლექსიკური ეკვივალენტურობის პრინციპს და

ერთხელ მოძებნილ ეკვივალენტს უჩვეულო თუ შეუფერებელ კონტექსტშიც ხმარობს.

მეორე შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სათარგმნი სიტყვის სემანტიკური კალკი და მის ყალიბზე შედგენილი თუ ნაწარმოები სიტყვები. ამ შემთხვევაში სრული სემანტიკური შესაბამისობის არსებობა უფრო მოსალოდნელია, რადგანაც საქმე, როგორც წესი, გვაქვს 1. ნეოლოგიზმებთან სათარგმნ ტექსტში, რომელსაც ის მნიშვნელობა უძკვიდრდება შემდგომში, რომელსაც მას მთარგმნელი ან მკითხველ-ინტერპრეტატორი აძლევს და 2. თარგმანში არსებულ ფორმალურ ნეოლოგიზმებთან, როდესაც მთარგმნელი ცდილობს ენაში არსებული ძირის აფიქსაციის გზით აწარმოოს ახალი სიტყვა. ამგვარი ნეოლოგიზმები ხან ძალიან გამჭვირვალეა და, ამდენად, გასაგებია კონტექსტის გარეშეც, ხან კი იმდენად უცვლის ძირს მნიშვნელობას, რომ ახალი სიტყვის შინაარსი კონკრეტულ კონტექსტზეა მიბმული.

ფსალმუნთა ქართულ თარგმანებში **ტრანსლიტერაციით** მხოლოდ საკუთარი სახელებია გადმოტანილი: ტოპონიმები (მაგ. სიონი, ბაბილონი). ანთროპონიმები (მაგ. დავითი, ასაფი) და თავად *ფსალმუნი* და მისგან ნაწარმოები სიტყვები. ამით სრულიად ცხადია მთარგმნელის ტენდენცია – ქართული ენის რესურსებით შეძლოს ტექსტის გადმოტანა. რაც შეეხება **ჰომოფონიას**, ეს მოვლენა ქართულ თარგმანებში გამოვლენილი და შესწავლილი არ არის. ერთი შეხედვით, *ფსალმუნთა* თარგმანს იგი არ ახასიათებს, თუმცა, მაგ., ἀλαλαγμός – *ღალღება*, χάρσι – *ხარება*, ἀγαλλία – *გალობა* შესატყვისობები ალბათ ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ. ასევე შესასწავლია **ნასესხობების** და, განსაკუთრებით, სომხური ნასესხობების და მათი ქრონოლოგიზაციის საკითხი *ფსალმუნის* ქართულ თარგმანებში, რადგანაც იგი თარგმანის წარმომავლობის კვლევასთან არის ხოლმე დაკავშირებული.

მაგრამ, სანამ *ფსალმუნთა* თარგმანის ლექსიკა ასე დიფერენცირებულად იქნება შესწავლილი, მე შევეცდები მის ზოგად დახასიათებას თარგმანის ტექნიკიდან ამოსვლით. რადგანაც თარგმანის ტექნიკა – მთარგმნელის დამოკიდებულება დედნისადმი და თარგმანის ადეკვატურობის მისეული გაგება – განაპირობებს ლექსიკური ეკვივალენტების სხვადასხვა საშუალებით ძიებას. პირობითად *ფსალმუნთა* თავდაპირველი თარგმანის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს შრედ იმ ტექსტს მივიჩნევ, რომელიც საერთო აქვთ გიორგი მთაწმიდელამდელი ტექსტის ერთმანეთისაგან განსხვავებულ წყაროებს – სინურ ხელნაწერებსა (Sin. 42, Sin. 22, Sin. 29, Graz, Georg. 2) და ე.წ. მცხეთურ ფსალმუნს (A 38) და ამ ტექსტს პირობითად Geo'-ით აღვნიშნავ.

ფსალმუნთა თარგმანის ერთ-ერთი მახასიათებელი ისაა, რომ მასში ეკვივალენტების შერჩევა ხშირ შემთხვევაში **კონტექსტიდან** ამოსვლით ხდება. ამასთან, კონტექსტი, რომელსაც მთარგმნელი ანგარიშს უწევს, ან ისაა, რომელშიც უშუალოდ იხმარება სათარგმნი სიტყვა, ან – მისი პარალელური პერიოდი (იხ. ქვემოთ, 935). კონტექსტზე დაყრდნობით ეკვივალენტების შერჩევისას მთარგმნელი ან სრულ ლექსიკურ შენაცვლებას ახდენს, ან აფართოებს (//ავიწროებს)

სათარგმნი სიტყვის სემანტიკას.³ ამგვარ ცვლილებას ზოგ შემთხვევაში ებრაულიდან ბერძნულში შესული გამოთქმების ქართულისათვის უფრო ბუნებრივი ფრაზებით შეცვლა მოჰყვება:

- 1₃ τὸν καρπὸν *ნაყოფი* Geo^G] *ხილი* Geo': ხე, რომელმან გამოსცეს ხილი;
8₄ ἔθμελίσσας *დაფუძნე* Geo^G] *დაჰბადე* (= ἔπλασας)⁵ Geo': *ცანი, ქმნულნი ხელთა შენთანი, მთოვარე და მსკულავები, რომელ შენ დაჰბადე;*
6₃ ἴσασι *კანმკურნე* Geo^G] *ძილხინე* Geo': *ძიწყალე მე, უფალო ..., ძილხინე მე;*
9₂₃ συλλαβῶνιστοι *შეპრობილ იქმნენ* Geo^G] *დაიყენენ* (დაეყენენ E) Geo': *დაიყენენ ივინი ზრახვათა მათთავან* (იხ. ამავე მუხლში 9₁₆ συσλήμῃθι] *შეიპყარ(ნ) ფერკი მათი* Geo);
9₂₄ ἐνευλοῦνται *იკურთხევიან* Geo^G] *იქადინ* (= καυχᾶται) Geo':⁶ *კულის-თქუძასა თავისა თვისისას უღმრთოდ იქადინ;*
9₃₅ ἔκαταλέλειπται *დაშთომილ არს* Geo^G] *დაიცვე* (= φύλασσε) Geo': *შენ დაიცვე გლახაკი და ობლისა შენ იყავ ძწე;*
10₅ ἀδικίαν] *ცოდვაჲ* (= ἄμαρτίαν) Geo', *სიცრუვე* (= ψεῦδος) Geo^G: *კის უყუარს ცოდვაჲ, მას ჰსძულს თავი თვისი.*

სექტუაგინტას იმ **ნეოლოგიზმის** თარგმნაც, რომლებიც ბერძნულში ვერ დამკვიდრდა, კონტექსტიდან ამოსვლით ხდება, მაგ. 18₆ παστὸν] *ეზოთ* Geo. παστὸς ამ შემთხვევაში საქორწინო სარეცელს ან ახალდაქორწინებულთა ოთახს უნდა ნიშნავდეს (Lust... 1992). თარგმანის ეკვივალენტი გაცილებით უფრო ფართო სემანტიკისაა, ვიდრე სათარგმნი სიტყვა, მისი დაკონკრეტება კონტექსტში ხდება (*ვითარცა სიძე რაჲ გამოვალნ ეზოთ თვისით*).

მთარგმნელის ტენდენცია, რომ ლექსიკური ეკვივალენტები კონტექსტიდან ამოსვლით შეარჩიოს, და, შესაბამისად, ეს ეკვივალენტები კონტექსტის შესაბამისად ცვალოს, არ გამორიცხავს საპირისპირო ტენდენციასაც, რაც გარკვეული ლექსიკური შესატყვისობების გამოყენების სიმყარეში გამოიხატება. განსაკუთრებით ეხება ეს იმ ტერმინების შესატყვისებს, რომელიც *ფსალმუნებში* ინტენსიურად გამოიყენება:⁷

³ მაგალითები პირველი ოცი ფსალმუნიდან არის მოყვანილი. Geo^G-თი აღვნიშნავთ მ. შანიძის მიერ გიორგი მთაწმიდელისეულად მიჩნეულ რეცენზიას.

⁴ მაგალითები ცხადყოფენ, რომ გიორგი მთაწმიდელის რეცენზიის ერთ-ერთი მიმართულება ამგვარი გამოთქმების დედანთან დაახლოებაა.

⁵ ფრჩხილებში ჩასმულია *ფსალმუნის* ქართული თარგმანისათვის დამახასიათებელი ქართული სიტყვის ჩვეული და ზუსტი ბერძნული შესატყვისობები. ზმნა *θμελίσσιν*) თარგმანში სხვადასხვაგვარად გადმოიტანება: *დაფუძნება* (232 479 865); *კანმტკიცება* (118152); *დამტკიცება* (776,9 1035,8 11890); *დამყარება* (8811 10126), არსებით სახელს (*τᾶ θμελίσια*, 17_{8,16} 81₅ 861) კი მისი ძირითადი მნიშვნელობის მქონე მყარი ეკვივალენტი შეესაბამება: *საფუძველნი*.

⁶ სხვა შემთხვევებში ორივე ბერძნული სიტყვის ეკვივალენტი მყარია.

⁷ ქვემოთ ჩამოთვლილია ტერმინთა ეკვივალენტები *ფსალმუნთა* მთელი ტექსტიდან.

ἀγαλλιᾶσθαι გახარება 34,⁸ მხიარულ ყოფა 1, გალობა 9 (6 εὐφραίνειν, 3 κοντέψῃς),⁹ შუება 6 (εὐφραίνειν), ἀγαλλιάσῃς სიხარული 10, მხიარულება 1 (εὐφραίνειν), გალობა 5 (1 εὐφροσύνη, 1 ἀλαλάζειν, 1 αἰνεῖν, 1 χαίρειν, 1 κοντέψῃς);

εὐφραίνειν ხარება 50, შუება 7 (ἀγαλλιᾶσθαι);

τέρπειν განცხრომა 2 (1 εὐφραίνειν, ἀγαλλιᾶσθαι), შუება (ἀγαλλιᾶσθαι), მხიარულება 1;

χαίρειν ხარება, χᾶρις დიდება, მაღლი.

სიხარული, მხიარულება, შეება, განცხრომა – სულიერი სიხარულის აღმნიშვნელი ტერმინებია. ამათგან გახარება ამ ცნებას, როგორცა ჩანს, ყველაზე ინტენსიურად გამოხატავს. ამ სიტყვის (ხარება) ძირისგან ნაწარმოები ფორმები ორი ბერძნული ლექსემის (εὐφραίνειν-ს და ἀγαλλιᾶσθαι) საკმაოდ მყარი ეკვივალენტებია. εὐφραίνειν-ს და ἀγαλλιᾶσθαι ბერძნულში, როგორცა ჩანს, ერთმანეთისაგან ინტენსივობის ხარისხით გაირჩევიან [ἀγαλλιᾶσθαι უფრო ძლიერ სიხარულს უნდა ნიშნავდეს (Liddell, Skott 1869). როდესაც ეს ორი ბერძნული სიტყვა ერთმანეთის მეზობლობაშია, ხან ერთს ეცვლება ეკვივალენტი და ხან მეორეს და, როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის შუება იხმარება (ერთადერთი გამოხატვისთვის ἀγαλλιᾶσθαι-სთვის, როდესაც კონტექსტს უფრო გალობა შეესაბამება: ამისთვის იხარებდეს გული ჩემი და გალობდეს უნაღ ჩემი).

ამდენად, სულიერი მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები ფსალმუნთა ქართულ თარგმანში საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი და მკაფიოდაა გარჩეული.

ღვთისადმი მიმართვის ფორმები კიდევ უფრო მრავალფეროვანი საშუალებებით გამოიხატება ფსალმუნთა წიგნში და ქართული ენისა და მთარგმნელის შესაძლებლობებზეც კარგად მეტყველებს:

ἔδινε გალობა 13, ქება 14, კურთხევა 2 (ψάλλειν);

αἰνεῖν ქება 44, გალობა 2 (ორივე შემთხვევაში ეკვივალენტის ცვლილება იმიტოა გამოწვეული, რომ ერთმანეთისგან განირჩეს αἰνεῖτε და ἔπαινεσθε), აღიარება 1;

ἀνέσχε ყოველთვის ქება ან ქებულება;

ἀλαλάζειν ყოველთვის ღაღადება, ἀλαλαγμὸς ღაღადება 11, გალობა 1, კურთხევა 1, ქება 1

δέησις ლოცვა 25, ვედრება 4 (προσευχή), თხოვა 1 (προσευχή);

ἔξιμολογεῖν აღიარება ἔξιμολογία აღსარება;

ἐσλογεῖν, ἐσλογία ყოველთვის კურთხევა;

⁸ რიცხვი მიუთითებს ეკვივალენტის გამოყენების რაოდენობას ფსალმუნში.

⁹ ფრჩხილებში ვუთითებ ეკვივალენტის ცვლილების მიზეზს. ეს მიზეზი არის ან ის, რომ ბერძნული ტექსტის მოცემულ კონტექსტში გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ლექსემის სინონიმი (ფრჩხილში ვუთითებ ამ სინონიმს და მისი გამოყენების რაოდენობას) ან ის, რომ ეკვივალენტის შერჩევა კონტექსტით არის განპირობებული.

ἐὐχέσθαι აღთქუმა 2, εὐχὴ აღნათქუემი, აღთქუმა 4, ლოცვა 3, προσευχὴ (-
 εσθαι)ლოცვა 24, ვედრება 2 (δέησις), თაყუანის-ცემა (= προσκύνησις) 1 (δέησις);
καλέιν მოწოდება 3, ἐπικαλέιν ხდა 27, ხადილი 1, თქუმა 1 (კონტექსტი)
κισθῆρα კურთხევა 8, გალობა 2, დუბლეტი 914;
κράζειν, κραυγὴ ლალადყოფა / ლალადება 32, კმა-ყოფა 9, ხადილი / ხდა /
 ხმობა 4, ლოცვა (17₇ cf. ἐπικαλέιν);
φανεῖν, φανή ყოველთვის კმა-ყოფა, კმა;
ψάλλειν გალობა 37, ქება 2 (ᾄδειν, ἀγαλλισθαι), მადლობა 1 (ᾄδειν), ψαλμός
 ფსალმუნი ψαλτήριον საფსალმუნე 5, ფსალმუნი 2, სავალობელი 2, საქებელი 1;
ᾠδή (იხმარება ძირითადად ზედაწერილებში) გალობა 32, კურთხევა 6.

ღვთისადმი ადამიანის მიმართვა სხვადასხვა ხასიათისა და ეკვივალენტების შერჩევაც დიფერენცირებულად ხდება:

ღვთისადმი თხოვნა – ლოცვა დეჰსიცი-ის და პროსეუჩი-ს ეკვივალენტია. როდესაც ორივე ბერძნული სიტყვა ერთსა და იმავე მუხლში გვხვდება (6₁₀ 16₁ 38₁₃ 54₂ 60₂ 85₆ 87₃ 101₁₈ 142₁ = 9-ჯერ), სამჯერ პროსეუჩი-ს ეკვივალენტი იცვლება (6₁₀ 38₁₃ 85₆), ხუთჯერ დეჰსიცი-ის; „სათადარიგო“ შესატყვისი ორივე ბერძნული სიტყვისთვის ვედრება. მათი გვერდიგვერდ ხმარების ორ შემთხვევაში (60₂ 63₂) ორივე სიტყვა ლოცვით არის გადმოტანილი. მთარგმნელი, ეტყობა, ზმნისწინანი (პროსეუჩი) და უზმნისწინო (εὐχὴ) ფორმების გარჩევასაც ცდილობს და თუ პირველს უმეტესად ლოცვით თარგმნის, მეორეს აღთქუმა / აღნათქუემიც შეესაბამება.

ხმაშალალი მიმართვა რამდენიმე ლექსიკური ერთეულით გამოიხატება: კმა-ყოფა (φανεῖν – ეტიმოლოგიური თარგმანი);

ხდა, ხმობა, ხადილი (ἐπικαλέιν);

ლალადება (ἀλαλάζειν, ἀλαλαγμός – ჰომოფონური თარგმანი(?), κράζειν, κραυγὴ), მოწოდება (καλέιν).

ღვთის დიდებით, ქებით მიმართვა რამდენიმე სიტყვით გამოიხატება:

გალობა, რომელიც რამდენიმე ბერძნულ სიტყვას შეესაბამება: ψάλλειν (37), ᾠδή (32), ᾄδειν (13), ἀγαλλισθαι /-σις (14) (ჰომოფონია. უკანასკნელ შესატყვისობას უფრო კონტექსტი განაპირობებს, ვიდრე ბერძნული სიტყვის მნიშვნელობა).

ქება შემდეგი ბერძნული სიტყვების ეკვივალენტია: αἶνεῖν (44), ᾄδειν (14). გალობა და ქება ერთმანეთს ერთსა და იმავე ფრაზაშიც ენაცვლებიან: ᾄσατε τῷ κυρίῳ (/αὐτῷ) ᾄσμα καινόν 32₃-ში თარგმნილია როგორც აქებლით უფალსა ქებითა ახლითა, ხოლო 95₁ 97₁ 149₁-ში, სხვა შესატყვისით: უვალობლით უფალსა გალობითა ახლითა. უნდა აღინიშნოს, რომ 32₃-ში გალობა ორჯერ ψάλλετε-ს ეკვივალენტადაა გამოყენებული, 149₁-ში კი αἶνεσις-ის ეკვივალენტია ქება.

ალსარება/ადიარება, რომელიც მყარი ეკვივალენტია ἔξομολογεῖν, ἔξομολογία-სი.

კურთხევა გამოხატავს ადამიანის მიერ ღვთისადმი აღვლენილ სოტბასაც. ასეთ შემთხვევაში იგი *εὐλογία*-ს შეესაბამება. ამავე შესატყვისობაში *კურთხევა* ღვთის სიტყვასაც ნიშნავს ადამიანის მიმართ.¹⁰

ღვთის ატრიბუტების ამსახველი ლექსიკაც უხვადაა წარმოდგენილი *ფსალმუნებში*. მთარგმნელი ცდილობს ღედანში ხშირად ნახმარ სიტყვებთან (σῶτήρ, βίηθός, καταφυγή) შეინარჩუნოს ეკვივალენტები და აქედან ამოსვლით გაანაწილოს ისინი.¹¹ ამასთან, იგი სრულიად სხვადასხვაგვარად არჩევს ეკვივალენტებს: ერთ შემთხვევაში (κραταίνω, ὑπερασπιστής) ძირის მნიშვნელობიდან ამოდის და ეტიმოლოგიურ თარგმანს აკეთებს, სხვაში (σῶτήρ, βίηθός, λυτρωτής) – ერთი ძირიდან ნაწარმოები ეკვივალენტების შენარჩუნებას ცდილობს:

σῶτήρ – ყოველთვის – *მაცხოვარი*;

βίηθός – ყოველთვის – (*შე*)*მწე*;

*καταφυγή*¹² – *შესავედრებელი (13), განმაძლიერებელი (2)*;

*ἀντιλήπτωρ*¹³ – (*შე*)*მწე (5), შესავედრებელი (2), შემწყნარებელი (2), ჯელის ამყრობელი (4), მფარველი (2)*;

*ὑπερασπιστής*¹⁴ – *მფარველი (10), შესავედრებელი (4), ნუგეშინის-მცემელი (1), მწე (1), შემწყნარებელი (2)*;

*κραταίνω*¹⁵ – *ძალ (3), განმაძლიერებელი (1)*;

*στερέωμα*¹⁶ – *დამამტკიცებელი, სიმტკიცე*;

*ῥύσθη*¹⁷ – *მჯსნელი*;

*λυτρωτής*¹⁸ – *მჯსნელი*;

ἔλεος, ἔλεημοσύνη – *წყალობა*.

¹⁰ *კურთხევა* მეორე მნიშვნელობით მუსიკალური ინსტრუმენტსაც (κithára) აღნიშნავს, რომელსაც გიორგი მთაწმიდელთან *პობღანი* ენაცვლება ხოლმე.

¹¹ იხ. მაგ. მუხლები, სადაც ღვთის ყველა ეს ატრიბუტი ერთად დგას: 17₃ κύριος στερέωμα μου και καταφυγή μου και ῥύσθη μου, ὁ θεός μου βίηθός μου και ἔπιω ἔπι ἄπτόν ὑπερασπιστής μου και κέρως σῶτηριάς μου ἀντιλήπτωρ μου] უფალო, დამამტკიცებელი ჩემო, შესავედრებელი ჩემო, შემწე ჩემო და მჯსნელი ჩემო; ღმერთი ჩემი მწე ჩემდა არს და მე ვესავ მას; მფარველი ჩემი, რქად ცხორებისა ჩემისა და ჯელისამყრობელი ჩემი. 143₂ ἔλεός μου και καταφυγή μου ἀντιλήπτωρ μου και ῥύσθη μου ὑπερασπιστής] წყალობა ჩემო და შესავედრებელი ჩემო, შემწე ჩემო და მჯსნელი ჩემო; ნუგეშინის-მცემელი ჩემი.

¹² φεύγω-დან (გაქცევა) ნაწარმოები ფორმა.

¹³ ἀντιλαμβάνω-დან (მონაწილეობის მიღება, დახმარება) ნაწარმოები სიტყვა.

¹⁴ სიტყვა ნაწარმოებია ἄσπας-დან (ფარი) და ნიშნავს *მფარველს (მას, ვინც ზემოდან აფარებს ფარს)*.

¹⁵ κρατός-დან (ძალა, ძლიერება) ნაწარმოები ფორმა.

¹⁶ მყარი, მტკიცე სხეული.

¹⁷ ῥύσσω-დან (დაცვა, დარაჯობა) მომდინარე სეპტუაგინტაში ნახმარი ფორმა.

¹⁸ λύσσω-დან მომდინარე ფორმა.

ზემოჩამოთვლილი სემანტიკური ჯგუფის სიტყვები, როგორც ვთქვით, *ფსალმუნთა წიგნისთვის* დამახასიათებელ ლექსიკას შეადგენს. ყველა მათგანი-სათვის ეკვივალენტის დაძებნა, სინონიმების გარჩევა და მათი დიფერენცირებული გამოხატვა, განსაკუთრებით კი, შესატყვისების განაწილება მათი კონტექსტში გვერდიგვერდ ხმარების შემთხვევაში იმაზე მეტყველებს, რომ ქართული ენის ლექსიკური ფონდიც, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ – მთარგმნელის ოსტატობაც უკვე მეტ-ნაკლებად შემძლეა ნიუანსურად გადმოსცეს დედანი და, საბოლოო ჯამში, შექმნას მეტაენა ქართველი ქრისტიანებისათვის. თუმცა ცხადია, „უფსკრულ ღრმა“ ბერძნული ენის სრული ლექსიკური ადეკვატურობისთვის – მთარგმნელთა ამ, საზოგადოდ, განუხორციელებელი მაქსიმისათვის – არც ამ თარგმანს მიუღწევია და ერთი ქართული სიტყვა, ჩვეულებრივ ორ ან რამდენიმე ბერძნულ ლექსემას შეესაბამება.

კომპოზიტები

ცნობილია, რომ ბერძნული ენა უაღრესად მდიდარია კომპოზიტებით და მათი სხვადასხვაგვარი წარმოებით.¹⁹ რამდენად საჭირო და აუცილებელი იყო ბერძნული კომპოზიტების სეგმენტირება თარგმნისას და რამდენად გააზრებული იყო ეს საჭიროება პირველმთარგმნელების მიერ, რამდენად იყო ქართული ენა მზად ამ კომპოზიტების ფორმალური ასახვისათვის და რა ხერხებს ფლობდა იგი ამისთვის? პირველი თარგმანების ანალიზმა, სხვა კითხვებთან ერთად, ამ კითხვებსაც უნდა უპასუხოს.

ფსალმუნთა თარგმანის პერიოდის ქართულში, როგორც ჩანს, ასეთი ნაირგვარობა კომპოზიციისა არ არსებობდა. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ბერძნული შედგენილი სიტყვების მარტივი, სემანტიკური ეკვივალენტებით გადმოცემა *ფსალმუნთა* უძველეს ფენაში, მეორე მხრივ კი – მათი მოუხეშაობა და ის, რომ ეს კომპოზიტები არ დამკვიდრებულა ენაში, მიუხედავად მათი ხმარების პროდუქტიულობისა ისეთ ხშირად კითხვად ტექსტში, როგორიც *ფსალმუნთა*. ამასვე ადასტურებს ქართული ენის განვითარების ტენდენციაც: ღროთა ვითარებაში, და, როგორცა ჩანს, ბერძნულიდან თარგმნის ინტენსიურობის კვალდაკვალ, ქართულში იზრდება სწრაფვაც კომპოზიციისაკენ.

ფსალმუნებში კომპოზიტები სხვადასხვა წესით გადმოდის: ან ფორმალურად – კომპოზიტის ორივე სეგმენტი გადმოტანილი, ან სემანტიკურად – ასეთ ღროს მთარგმნელი უმეტესად კომპოზიტის მეორე ნაწილს ეყრდნობა.

თითქმის ყოველთვისაა სეგმენტირებული $\mu\epsilon\chi\alpha$ -, $\mu\alpha\kappa\rho\iota$ -, $\pi\omicron\lambda\varsigma$ -თი შედგენილი კომპოზიტები და მოძებნილია მათი ფორმალური ეკვივალენტები, მაგ. 9³⁹ $\mu\epsilon\chi\alpha\lambda\alpha\sigma\theta\epsilon\iota\varsigma$ *მდიდრად სიტყუად*; 7¹² 8⁵ 10²⁸ $\mu\alpha\kappa\rho\iota\theta\mu\omicron\iota\varsigma$] სულგრძელ; 8^{5,15} 10²⁸ 144⁸ $\pi\omicron\lambda\varsigma\epsilon\lambda\epsilon\omicron\varsigma$ *დიდადმოწყალე*. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სეგმენტების

¹⁹ ბერძნულის გავლენით ძველ ქართულ თარგმანში აპრობირებული სიტყვაწარმოება დაწვრილებითაა განხილული (მელიქიშვილი 1975; დანელია 1998:76-93).

ეკვივალენტები მყარი არაა და მათი შერჩევა, უმეტესად, კონტექსტიდან ამოსვლით ხდება.

სხვადასხვაგვარადაა გადმოტანილი ეს- კომპოზიტებში: *ἐσφρασιν*-სა და *სხვა*, ამავე ძირებისაგან (*ἐσ-* და *εργ-*) შემდგარ კომპოზიტებში *ἐσ-*-ს ყოველთვის *კეთილი* შეესაბამება (მაგ. *კეთილის-ყოფა*, *კეთილის-მყოფელი*). მთარგმნელის მერყეობა და ენის ადაპტაციის შესაძლებლობები კარგად ჩანს *ἐκαιριν*-ს გადმოცემაში: 9₂₂, 10₃₂₇, 144₁₅-ში *ἐκαιριν*-ს (*კარგი*, *მოსახერხებელი*, *ზუსტი*, *საჭირო დრო*, *მომენტი*) ეკვივალენტად ქართულ ხელნაწერებში მარტივი ფორმა – *ჟამია* დადასტურებული. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მთარგმნელისეული ეკვივალენტი დედნის ფორმალური შესატყვისი – კომპოზიტი ყოფილიყო, როგორც ესაა 9₁₀-ში: *βιοθηδὲ ἔν ἐκαιριν* და *ἔν θλῖψει* *მწე* *კეთილჟამსა* *ოღენ ჭირისასა*. *კეთილჟამი*, ბერძნულის მიხედვით შედგენილი ნეოლოგიზმია და ისევე, როგორც *ἐκαιριν*, მთარგმნელისათვის „საჭირო მომენტს“ უნდა ნიშნავდეს. ამ ადგილას კომპოზიტის შენარჩუნება ხელნაწერებში იმით უნდა აიხსნას, რომ *კეთილი* გადამწერთა მიერ *მწე*-ს ატრიბუტად იქნა გაგებული.²⁰

ἐσ--ით ნაწარმოები ბერძნული კომპოზიტების გადმოტანისას მარტივი შესატყვისია ნახმარი *ἐπαρειν*-ს შემთხვევაშიც: 25₈ 49₂ 9₂₁-ში მას *შუენიერება* შეესაბამება, იმის მიუხედავად, რომ ქართულ ენაში შემდგომში დამკვიდრდა ბერძნულის მიხედვით ნახმარი კომპოზიტი *კეთილ-შუენიერება* და *ფსალმუნის* ტექსტშიც ვხვდებით ამავე ტიპის კომპოზიტს: *დიდად-შუენიერება*, რომელიც *μυαλοπαρειν*-ს შეესაბამება მაგ. 18₂ 20₆ 28₄-ში.

იმის მაგალითად, თუ როგორ ეძებს მთარგმნელი ბერძნულის შესაბამის ფორმალურ ეკვივალენტს *σποθηδ*, *-ἐν*-ის თარგმანი შეიძლება დავასახელოთ: 9₂₁-ში ამ კომპოზიტს შეესაბამება ფორმალურად და სემანტიკურად *ზუსტი* ეკვივალენტი *სჯულ-მდებელ* (*σῖμος* - *სჯული*, *τιθέναι* - *დება*). მაგრამ *σποθηδ*-ში მეორე სეგმენტი, ჩვეულებრივ, *ყოფა*-თი (*=ποιεῖν*) გადმოიცემა ხოლმე: *შჯულიერ-ყოფა* (24₈, 12 26₁₁ 118₃₃, 102).

დერივანტები

ენისა და მთარგმნელის დასახასიათებლად საინტერესო მასალას იძლევა დაკვირვება ნაწარმოები ლექსიკის გადმოცემაზეც: ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მათი პირველადი მნიშვნელობიდან ამოსვლით ითარგმნებიან. ამგვარი, ეტიმოლოგიური თარგმანის მაგალითია *ἐσαν*²¹-ის ისეთი ეკვივალენტები, როგორიცაა, მაგ. *ყურად იღე* (16₁ 38₁₃ 54₂ 83₉ 85₆), *ყური მოყავ* (53₄ 142₁). მაგრამ, ამავე *ἐσαν*-ის სემანტიკური თარგმანიც არაა იშვიათი: 5₂ 139₇ *ისმინე*; 134₁₇ *ესმის*; 48₂ მერჩლით.

კონკრეტული ეკვივალენტის შერჩევის სხვადასხვა არგუმენტი შეიძლება არსებობდეს: მაგ., *πλατσ*-ს გადმოტანისას მთარგმნელი ხან კონტექსტს ან

²⁰ როგორცა ჩანს, ასე ესმის ეს სიტყვა ფსალმუნის გამომცემელს, მ. შანიძესაც.

²¹ იწვ-დან (*ყური*) ნაწარმოები სიტყვა.

პარალელურ ადგილს (34₂₁, 80₁₁) ეყრდნობა, ხან ძირის (πλατύς) ამოსავალ მნიშვნელობას (*ფართო, ვრცელი*):

4₂ ἐν θλίψει ἐπλάτυνάς μοι] *ჭირსა ჩემსა მიღებნე* Geo⁶, *განმავრცე* Geo^G;²²

17₃₇ ἐπλάτυνας τὰ διαβήματα] *ფართო ჰყვენ სლვანი* Geo;

118₃₂ ἐπλάτυνας τὴν καρδίαν μου] *განავრცე გული ჩემი* Geo;

34₂₁ ἐπλάτυναν ἐπ' ἐμὲ τὸ στόμα] *აღაღეს (განავრცეს Geo^G) ჩემ ზელა პირი*: ex 21₁₄ 38₁₀ 118₁₃₁ = 2 Kor. 6₁₁;

80₁₁ πλάτυνον τὸ στόμα σου] *აღაღე (განავრცე Geo^G) პირი შენი*: ex 21₁₄ 38₁₀ 118₁₃₁ = 2 Kor. 6₁₁

ერთი ძირიდან ნაწარმოები ბერძნული სიტყვების გადმოსატანად მთარგმნელი ასევე ერთი ძირის დერივაციულ მოდელებს ქმნის:

βῆθηεν – (*შე*)წევნა (ერთი, პარალელური ადგილიდან მომდინარე გამონაკლისით Geo^{CG}: 106₁₂ *მკსნელ* (ῥύσμενος): cf. 7₃ 49₂₂ 70₁₁), βῆθηα – (*შე*)წევნა (ერთი გამონაკლისით 21₂₀: *წყალობასა* (τον οικτιρισμον): ex 39₁₂, βῆθηός – (*შე*)მწე;

ἐλεῖν, ἔλεος, ἐλεημοσύνη – *წყალობა, მოწყალე, მოწყალება*;

καταφύγειν (მხოლოდ 14₂₉-ში) – *შესავედრებელ გიყავ, καταφυγή – შესავედრებელი* (ორი გამონაკლისით: 70₃ და 93₂₂ (ex 17₁₉)-ში – *განმაძლიერებელი*, რაც სხვაგან κρατάμα-ს თარგმანია).

λυτροῦν, λύτρωσις, λυτρωτής – (*გამო*)ხსნა, *მხსნელი* (ერთი²³ გამონაკლისით: 68₁₉ *განარინე*, რადგანაც კონტექსტში გვხვდება ῥύσσι).

ῥύσθαι – *კსნა* და, ზოგიერთ შემთხვევაში, *განარინება*: 68₁₅ 123₇ 143₇ 143₁₁, ῥύσθης – *მკსნელი*

σωτήρ – *მაცხოვარი, σωτηρία – ცხორება, მაცხოვარება* (ორი გამონაკლისით 32₁₇ *განარინებად*, 34₃ *მკსნელი*), σωτηριος – *ცხორება, მაცხოვარება* (ერთი გამონაკლისით: 118₁₆₆ *სასიება* (= ἔλπις)). რაც შეეხება ზმნურ ფორმას *σώζειν*, იგი სხვადასხვა ეკვივალენტით გადმოიცემა: *ცხორება*-თი, უმეტესად მაშინ, როდესაც მარადიული ცხოვრების მოპოვებაზეა საუბარი და, აგრეთვე, *კსნა* და *განარინება*-თი.

ფსალმუნთა და *საერთოდ*, ბიბლიის ძვ. ქართულ თარგმანებში, სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფების (მაგ. ცოდვის, სათნოების, სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის, ღვთისმსაურებისა და მისი ატრიბუტების...), სხვადასხვა ტიპით ნაწარმოები ლექსიკის სხვადასხვა კუთხით (ეტიმოლოგიური, თარგმანის ტექნი-

²² IX ს-ის ხელნაწერების ფსალმუნთა ციტატებში πλατύσει-ს შეესაბამება: *ფართო მიყავ (შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II)*. დაჩის მიერ სომხურიდან თარგმნილ თეოლორიტე კვირელის ფსალმუნთა განმარტებაში პლატუსეის შესატყვისად, ასევე, სხვადასხვა ეკვივალენტი აქვს გამოყენებული (*მატბერდის კრებული*): *მიღებნე (377.30)*; *ვრცელ-ყავ (377.38)*; *ლხინებად და ვრცელ-ყოფად ჩემდა (405.30)*.

²³ მ. შანიძის გამოცემაში 33₂₃-ის შესატყვისად ნახმარი *იკვნეს*-ის ნაცვლად უნდა იყოს *იკსნეს*-ს, როგორცაა გიორგი მთაწმიდელის თარგმანშიც.

კის), სინქრონული (წმ. წერილის ერთი წიგნის ფარგლებში) და დიაქრონიული (წმ. წერილის სხვადასხვა წიგნში, რაც თავად ბიბლიის, როგორც კრებულის თარგმნის თანამიმდევრობისთვისაც შეიძლება იყოს საინტერესო) შესწავლა, ვფიქრობ, რომ საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიულია როგორც თავად ნათარგმნი თხზულებების საკვლევად, ისე ქართული ლექსიკოგრაფიისათვის. ჩემი მიზანი იყო სტატიის ფარგლებში ბიძგი მიმეცა ამგვარი კვლევებისათვის.

ლიტერატურა

დანელია 1998 : კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

მელიქიშვილი 1975 : დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, განათლება, თბილისი.

შანიძე 1979 : მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბილისი.

ცქიტიშვილი 1976 : თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა, თბილისი.

Charanauli 2000 : Charanauli A., *Einführung in die georgische Psalterübersetzung*, Der Septuaginta-Psalter und seine Tochterübersetzungen, Herausgegeben von Anneli Aejmelaesus und Udo Quast, MSU XXIV, Vandenhoeck&Ruprecht in Göttingen, 248-308.

Dobordžginidze 2003 : Dobordžginidze N., Das Problem der Bibeldübersetzung und seine Bedeutung fuer die Entwicklung der georgischen Sprache im christlichen Mittelalter, კრებულში: Boeder W., Kaukasische Sprachprobleme, Oldenburg.

Dorival... 1988 : Dorival J., Harl M., Munnich O., La Bible Greque des Septante, Serf.

Tov 1999 : Tov E., Three Dimensions of Words in the Septuagint, კრებულში: Tov E., The Greek and Hebrew Bible, 85-87.

გამოცემები

– მ. შანიძე, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, თბილისი 1960.

– Septuaginta, Vetus Testamentum Graecorum, Auctoritate Academiae Scientiarum Gottingensis editum, X, Psami cum Odis, Ed. A. Rahlfs.

– შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II. ანბანურ-ანონიმური პატერიკი, გამ. მანანა დვალი, თბილისი 1974.

– შატბერდის კრებული, გამ. ბ. გვიგინიშვილი და ელ. გუნაშვილი, თბილისი 1979.

ლექსიკონები

Hatch, Redpath 1897 : A Concordance to the Septuagint, by E. Hatch and H.A. Redpath, Oxford.

Liddel, Skott 1869 : Greek-English Lexicon, compiled by H.G. Liddell and R. Skott, Oxford.

Lust... 1992 : A Geek-English Lexicon of the Septuagint, compiled by J. Lust, E. Eynikel, K. Hauspie, Stuttgart.

The Vocabulary of the Georgian Translation of Psalms

Summary

On the example of rendering the vocabulary of the Georgian translation of Psalms (derivatives, compounds, words of a certain semantic group characteristic of the *Book of Psalms*) it has been demonstrated that the vocabulary of the Georgian language, on the one hand, and the translator's mastery, on the other, to a greater or lesser extent are already able to express the Christian system of notions from the semantic, as well as formal (word-formation) viewpoints.

ლია აბულაძე, ანდრეას ლუდენი

**გასაღები-სიტყვები და მემორიზის სიტყვათმცნობი
ქართულში**

„ლექსიკონი არის ხალხის კულტურის ძალზე მგრძობიარე მაჩვენებელი“ – ეს სიტყვები ელჰარდ სეპირს ეკუთვნის. ჩვენ შეგვიძლია ხალხის ხასიათი და კულტურა უკეთ გავიგოთ, თუ მისი ენის ლექსიკასა და ცალკეულ სიტყვებს, ამ სიტყვების მნიშვნელობებსა და ხმარებას საფუძვლიანად და დაწვრილებით გამოვიკვლიებთ.

სიტყვებს, რომლებიც გარკვეული ენობრივი საზოგადოებისა და მისი კულტურისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და არსებითი, გასაღები-სიტყვებს (key-words) უწოდებენ. დღესდღეობით გახშირდა კულტურის გარკვეული პრობლემების ენისა და მისი გასაღები-სიტყვების მეშვეობით კვლევის ცდები.

რომელი სიტყვებია უფრო მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ერის კულტურისათვის, როგორ უნდა მოხდეს საკვლევად ასეთი სიტყვების შერჩევა – ამის დადგენის ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი სიტყვათა სიხშირეების მაჩვენებლებს მიმართავს, ზოგიერთი – საკუთარ ინტუიციას.

Keyword ანუ გასაღები-სიტყვა, როგორც ტერმინი, ჯერჯერობით საყოველთაოდ არ იხმარება, მხოლოდ იშვიათად ვხვდებით მას ლინგვისტურ ლექსიკონებში, მაგ., მეთიუს ლექსიკონში:¹

Key word – A word or concept characteristic of the thought of a particular community in a particular period.

„გასაღები-სიტყვა – სიტყვა ან ცნება, დამახასიათებელი გარკვეულ პერიოდში გარკვეული საზოგადოების აზროვნებისათვის“. ჰარტმანისა და ჯეიმსის ლექსიკოგრაფიულ ლექსიკონში² ეს სიტყვა შემდეგნაირადაა განმარტებული:

keyword

1. A word or phrase which has become representative of a field, movement or lifestyle, e.g. communicative, green, postmodern.

„გასაღები-სიტყვა – სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც გარკვეული სფეროს, მოძრაობის ან ცხოვრების სტილის წარმომადგენელი ხდება, მაგ., კომუნიკაციური, მწვანე, პოსტმოდერნისტული“.

¹ P. H. Matthews (1997): Oxford Concise Dictionary of Linguistics. Oxford University Press., Oxford, New York.

² R. R. K. Hartmann and G. James (1998): Dictionary of Lexicography. Routledge. London and New York.

ამავე ლექსიკონში ლიტერატურულ წყარობად გასაღები-სიტყვების განმარტებისას დასახელებულია ორი ავტორი: რაიმონდ ვილიამსი და რონალდ კარტერი.³

რაიმონდ ვილიამსი თავისი წიგნის შესავალში აღნიშნავს, რომ როდესაც ის II მსოფლიო ომის შემდეგ დაუბრუნდა სტუდენტურ ცხოვრებას ოთხი წლის შესვენების შემდეგ, მან შეამჩნია, რომ სტუდენტთა ახალი თაობა სხვა ენაზე მეტყველებდა. ზოგი, საზოგადოებისთვის არსებითად მნიშვნელოვანი სიტყვა სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. მან ხელი მიჰყო ასეთი სიტყვების კვლევას და დაარქვა მათ გასაღები-სიტყვები, რადგან ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გარკვეულ საქმიანობაში. ამავე დროს ეს სიტყვები წარმოადგენენ აქტიური ლექსიკონის ელემენტებს. ბევრ პრობლემას, კულტურისას და საზოგადოებისას, ვერ გავიგებთ, თუ არ განვიხილავთ გასაღებ-სიტყვებს, როგორც ამ პრობლემის ელემენტებსო.

ვილიამსის წიგნში შემდეგი სიტყვებია განხილული (ჩამოთვლით მხოლოდ ნაწილს): კარიერა, ცივილიზაცია, კრიტიციზმი, კომუნიზმი, დემოკრატია, დიალექტიკა, ევოლუცია, ელიტა, ფორმალიზმი, ჰუმანურობა, ინტერესი, მითი, მონოპოლია, ნაციონალიზმი, პროგრესი და სხვ.

კარტერის წიგნში ძირითადად ლინგვისტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებებია განხილული, სულ 76 სიტყვა, მათ შორის: ბილინგვიზმი, კონტექსტი, კულტურა, დიალექტი, დისკურსი, ინტონაცია, ლინგვისტიკა, ლიტერატურა, მეტაენა, პურიზმი, რეგისტრი, სტილისტიკა, ტექსტი... ავტორი განიხილავს ამ სიტყვათა ხმარებას ჟურნალისტიკის, პოლიტიკოსების, ლინგვისტიკის მიერ.

საინტერესოა საკითხის ისტორიის თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ ბონში 1959 წელს გამოიცა ორი მცირე ზომის კრებული სათაურით: კულტურის გასაღები-სიტყვების შედარებითი კვლევები.⁴ კრებულების მთავარი გამომცემელია – ბონის საენათმეცნიერო კოლოკვიუმი გერჰარდ დეეტერსის, ლეო ვაისგერბერის, ფრიც შალკის, ვერნერ ბეტცის, მარგარეტ ვოლტნერისა და ვოლფგანგ შმიდტჰიდინგის შემადგენლობით. აღსანიშნავია, რომ გამოცემულ კრებულებს აწერია II და III. პირველი კრებული, როგორც ჩანს, არ გამოსულა. II და III კრებულების თავში დეეტერსის ხელმოწერით მოყვანილია ცნობა იმის შესახებ, რომ იუნესკო და გერმანიის კვლევითი საზოგადოება აფუძნებენ გრანტს კულტურის გასაღები-სიტყვების შედარებითი კვლევების გასაგრძელებლად და რომ ბუკლეტები იბეჭდება ამ ორი ორგანიზაციის დახმარებით, რისთვისაც მათ ბონის საენათმეცნიერო კოლოკვიუმის მონაწილეები მადლობას უხდებიან. შესავალში აღნიშნულია, რომ კრებულების გამოცემის ძირითადი მიზან-

³ Reymond Williams (1985): Keywords: A Vocabulary of Culture and Society, New York, (პირველი გამოცემა 1976); და Ronald Carter (1995): Keywords in Language and Literacy, London & New York.

⁴ Comparative Studies in Key-words of Culture, Bonn 1959.

ნია დიდი ენების იმ გასაღები-სიტყვების შედარება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო დისკუსიებში. სიტყვები და ცნებები, რომლებიც იწვევენ გაუგებრობას, იქნებაო ახსნილი მათი კულტურული საფუძვლების წარმოჩენით და მათი დღევანდელი ხმარებების შედარების გზით. შესავლიდანვე ნათელი ხდება, რომ პირველად სწორედ მესამე კრებული დაბეჭდილია, რადგან მისი ავტორი იუწყება, რომ სრული კვლევები დაიბეჭდება I და II კრებულებში. მოყვანილია I კრებულის სათაური: „ხუმრობა და იუმორი ინგლისსა და გერმანიაში“ (არ გამოსულა). ასევე მოყვანილია II კრებულის სათაურიც: კულტურა და ცივილიზაცია საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკასა და გერმანიაში (გამოვიდა იმავე, 1959 წელს). მასში დაბეჭდილია ჰანელორე შელის გამოკვლევა: „კულტურა და ცივილიზაცია“ – ენათა შედარებითი კვლევის დასაწყისი.⁵ ავტორი იხილავს ამ სიტყვებს – კულტურასა და ცივილიზაციას – ფრანგულში, ინგლისურსა (ამერიკული ცალკეა გამოყოფილი) და გერმანულში. III კრებულში დაბეჭდილია მცირე სტატიები შემდეგი სიტყვების განხილვით: მორალი, ენთუზიაზმი, ჰუმანიზმი, დებატები, დისკუსია, ინტერვიუ.⁶

ამ სტატიებში ყურადღება გამახვილებულია უფრო ისტორიულ, ვიდრე შედარებით ასპექტზე. ამასვე აღნიშნავს შესავალ წერილში ვოლფგანგ შმიდტპიდინგი, რომელიც მიიჩნევს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ წინასწარი საფეხურია მიღწეული კულტურის გასაღები-სიტყვების კვლევაში. ყოველ ეპოქას აქვს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა. ყველა ენას და ყოველ დროს აქვს საკუთარი სიტყვები, რომლებიც ადამიანთა სულებში გვახედებს.

თანამედროვე ქართული ენა უცხო ენიდან შემოჭრილი ლექსიკის სიუხვით ხასიათდება. ისინი შეიძლება ჩვენი დროის გასაღებ-სიტყვებად მივიჩნიოთ. გუნა კვარაცხელიას პიესის – „ჩვენ, ძილში გაპარულები“ პერსონაჟები – ფიორა და ვიოლეტა – ერთმანეთს არ აცლიან თანამედროვე ქართული პრესისათვის დამახასიათებელი სიტყვების ჩამოთვლას – მასმედია, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ინვესტიცია, ომბუდსმენი, დიჯეი, თინეიჯერი... ეს სიტყვები შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი დროის გასაღებ-სიტყვებად, რომელთაც შეცვალეს წინა, საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი ლექსიკა – კომპარტია, მსოფლიო პროლეტარიატი, კომკავშირელი, პიონერი, იმპერიალიზმის აგენტი და ა.შ.

მაგრამ არსებობს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც თაობებიდან თაობებს გადაეცემიან და ერთგვარ მაჩვენებლებს წარმოადგენენ ხალხის კულტურისა და მსოფლხედვის კვლევაში.

სწორედ ასეთ სიტყვებს იკვლევს ანა ვერჟიცკა. იგი ცდილობს გამოავლინოს ისეთი სიტყვები, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის კულტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და შეიძლება გასაღებსაც წარმოადგენდნენ ამ ხალ-

⁵ Hannelore Schell: Kultur und Zivilization – Anfang einer sprachvergleichenden Studie.

⁶ Moral (Friedrich Wilhelm Gester), Gentle - Genteel (Heribert Rasbach), Enthusiasm (Peter Spoo), "Humanism" and the "Humanities" in the 20th Century America (Otto Hesse), Debate – Discussion – Interview – Words and Practices (Alfons J. W. Hilgers).

ხის ეროვნული ხასიათის გამოსავლენად. ვერუბიცკას მონაცემებით, მაგალითად, რუსული ენისა და კულტურის გასაღები-სიტყვებია: *судьба, душа, тоска*.⁷

ვერუბიცკა სვამს კითხვას, რა შინაარსით ხასიათდებიან უნივერსალური ცნებები, არიან თუ არა ისინი კულტურულად სპეციფიკური, ანუ რა შინაარსს უკავშირებენ ამ ცნებებს სხვადასხვა ენები. უნივერსალურია თუ არა სხვადასხვა ენებში ამ ცნებების შინაარსები. ის იკვლევს, მაგალითად, ისეთ ზოგად ცნებას, როგორცაა მეგობრობის ცნება.⁸

მეგობრობა არის ადამიანთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ურთიერთობა, რომელიც ყველა კულტურისათვის არის დამახასიათებელი. ადამიანებს შორის ურთიერთმიმართების ეს სახე კარგადაა ცნობილი სხვადასხვა საზოგადოებებში. განსაკუთრებით განვითარდა ის ანტიკურ პერიოდში საბერძნეთსა და რომში. შუა საუკუნეების ლიტერატურაში ძირითადი მახვილი ადამიანებს შორის რელიგიურ მიმართებებზე გადადის. რენესანსის დროს კი მეგობრობა კვლავ ყურადღების ცენტრში ექცევა.

ვერუბიცკა ზემოთ დასახელებულ წიგნში იკვლევს მეგობრობის ცნებას, განსაკუთრებით სიტყვა „მეგობრის“ და მის ლექსიკურ ველში შემავალი სიტყვების შინაარსს ინგლისურ, რუსულ, ავსტრალიურ ინგლისურსა და პოლონურ ენებში.⁹ პრინციპში თავის ძირითად დებულებას – რომ მეგობრობის ცნება არ არის უნივერსალური, ის ასაბუთებს მსჯელობით იმის შესახებ, რომ ინგლისურ სიტყვას *friend* „მეგობარი“ არა აქვს ზუსტი ეკვივალენტები სხვა ენებში.

აღსანიშნავია, რომ ამით ვერუბიცკას ახალი არაფერი უთქვამს. სიტყვებს რომ ზუსტი ეკვივალენტები სხვა ენაზე თარგმნისას ძალზე იშვიათად დაეძებნება, ადრეც ყოფილა შენიშნული, მაგ., ეს შენიშნული აქვს გერმანელ მეცნიერს კარლ აბელს და თანაც იმავე მეგობარი სიტყვის ფრანგულიდან გერმანულად თარგმნასთან დაკავშირებით. აბელი დაწვრილებით იხილავს ფრანგული სიტყვის *ami* და მისი გერმანული შესატყვისის *Freund*-ის შინაარსებს და მათ ხმარებას.¹⁰

ახალი ვერუბიცკასთან ის არის, რომ მას სიტყვების შინაარსი საკუთარ მეტაენაზე ანუ ე.წ. ბუნებრივ სემანტიკურ მეტაენაზე აქვს წარმოდგენილი. სიტყვების შინაარსის ამგვარი წარმოდგენა კი, ჩვენის აზრით, მხოლოდ აბუნდოვნებს ამ სიტყვათა მნიშვნელობებს. გვინდა ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ფლორენსკის სიტყვები იმის შესახებ, რომ ვერავითარი ახსნა-განმარტება ვერ

⁷ Wierzbicka, A., (1992): *Semantics, Culture, and Cognition: Universal Human Concepts in Culture-specific Configurations*. Oxford University Press, Oxford, New York.

⁸ Wierzbicka, A. (1997): *Understanding Cultures through their Key Words (English, Russian, Polish, German, and Japanese)*. Oxford University Press, Oxford, New York.

⁹ *Ibid*, 32-125: *Lexicon as a Key to Ethno-Sociology and Cultural Psychology (Patterns of "Friendship" across Cultures)*.

¹⁰ Carl Abel (1885): *Über Sprache als Ausdruck nationaler Denkweise. Vorlesung gehalten in der Royal Literary Society zu London*, in: *Sprachwissenschaftliche Abhandlungen*. Friedrich. Leipzig. (1-31).

გადმოსცემს სიტყვის შინაარსს უკეთესად, ვიდრე თვითონ სიტყვა (ფლორენსკი 1989, 126).¹¹ ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, იმას, რომ ჩვენ საერთოდ სიტყვის განმარტების, მისი მნიშვნელობის ექსპლიკაციის წინააღმდეგი ვიყოთ, უბრალოდ, ვერუბიცკას სემანტიკური პრიმიტივების მეშვეობით სიტყვის შინაარსის გადმოცემა ჩვენი დაკვირვებით მხოლოდ აბუნდოვნებს სიტყვის აზრს. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ვერუბიცკა ბუნებრივ სემანტიკურ მეტაენაზე სიტყვის მნიშვნელობის წარმოდგენამდე ძალზე დაწვრილებით განიხილავს სიტყვის მნიშვნელობასა და მის ხმარებას მეტყველებაში, ასე რომ, ვფიქრობთ, შემდეგ აღარც არის საჭირო დამატებით ამ სიტყვის მნიშვნელობის ექსპლიკაცია პრიმიტივების მეშვეობით.

ყოველ შემთხვევაში ძირითადად აბელისა და ვერუბიცკას შრომებმა გვიბიძგა იმისაკენ, რომ გამოგვეკვლია, რა მნიშვნელობითაა დატვირთული სიტყვა **მეგობარი** ქართულ ენაში, როგორ არის წარმოდგენილი ამ სიტყვის ლექსიკური ველი ძველსა და თანამედროვე ქართულში.

„ქართველი ხალხის ცხოვრებასა და კულტურაში მეგობრობას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს“, – წერს გურამ ასათიანი და აგრძელებს: „ჩვენ იმ შედარებით მცირერიცხოვან ხალხთა რიგს ვეკუთვინით, რომელთა სულიერ ყოფიერებაში მეგობრობას – არა პრაქტიკული მოსაზრებებით შეამხანაგებას, შეთქმას, შეთანხმებას, არამედ სწორედ მეგობრობას, ამ სიტყვის მაღალი, ყოველივე უტილიტარულისგან დაცლილი, წმინდა სულიერი მნიშვნელობით (როგორც სულთა, პიროვნებათა ურთიერთლტოლვას) უპირატესი ადგილი უჭირავს ზნეობრივ ღირებულებათა იერარქიაში. სწორედ ასეთი მეგობრობის თანდაყოლილი წყურვილია ის მთავარი ზღუდე, რომელიც ქართველ კაცს მართლობას უკრძალავს“.¹²

ქართველი კაცისთვის მართლობა გაუსაძლისია. მას მუდამ სჭირდება ვიღაც, ვისაც ის თავის ფიქრებსა და გრძნობებს გაუზიარებს. „მართო კაცი ჭამამიაც ბრალიაო“, – ამბობს ერთი ქართული ანდაზა.

„როცა არავის არ ვუყვები, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს არაფერიც არ მომხდარა“, – ეს სიტყვები ერთ ცნობილ ქართველ მსახიობს ეკუთვნის.

გურამ ასათიანს შენიშნული აქვს, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში აღწერილი მართოსული მოწამეები სხვა, არაქართული ეროვნების წარმომადგენლები არიან. შუშანიკი სომეხია, ევსტათი მცხეთელი – სპარსი, აბო თბილელი – არაბი. „ხოლო ყველაზე სრულყოფილი ნიმუში ნეტართა ცხოვრების საკუთრივ ქართული ვარიანტისა – გრიგოლ ხანძთელი წარმოსახავს არა

¹¹ "...самое слово, оно одно и никакое другое не возьмет его смысла глубже и полно охотнее, нежели выражает оно само себя" (Florenskij P. (1989): Termin. VQ, 6.

¹² გურამ ასათიანი (1982), სათავეებთან. რამდენიმე ცდა ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად, ტ. 2, გვ. 64.

განცალკევებულ ერთეულთა თავგადასავალს, არამედ მონოლითურად შეკრული ჯგუფის ერთსულოვანი საქმიანობის ამბავს“ (ასათიანი: 62).

გურამ ასათიანი ქართული ხასიათის მთავარ თვისებად მეგობრობას მიიჩნევს, განდობის, თანაზიარობის წყურვილს. ქართველ კაცს მუდამ სჭირდება გულშემატკივარი. **გულშემატკივარი** – ეს სიტყვა ჩვენ ქართული კულტურის ერთ-ერთ გასაღებ-სიტყვად მიგვაჩნია.

საერთოდ სიტყვა გული ძალიან მნიშვნელოვანია ქართული კულტურის წვდომის თვალსაზრისით. აქ საკმარისია გავიხსენოთ ა. ფრანგიშვილის სტატია, რომელშიაც ავტორი შენიშნავს, რომ გული ქართულ ენაში წარმოდგენილია როგორც აზროვნებისა და გრძნობების ცენტრი. აღქმის ორგანოებით აღვიქვამთ ჩვენ გარე სამყაროს, ხოლო შინაგან სამყაროს, გრძნობების, ემოციების, განწყობებისა და შეხედულებების სამყაროს ჩვენ მხოლოდ გულის მეშვეობით ვწვდებით.¹³

გულშემატკივარი – ეს სიტყვა აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც სხვისთვის შესტკივა გული. „ჩვენ გვიყვარს ჩვენი ტკივილის სხვისთვის გაზიარება... ქართველებს საერთოდ გვიყვარს ჭირის გამხელა, თანაგრძნობის აღძვრა, ზოგჯერ გაზვიადებაც კი საკუთარი ტკივილისა. ...ქართული სული თანაგრძნობის მაძიებელი სულია, იმ თანაგრძნობისა, რომლის უფლებაც მას ფსიქოლოგიურად მოპოვებული აქვს, ვინაიდან თავის მხრივ ყოველთვის მზად არის (ან ყოველ შემთხვევაში, ვალდებულად თვლის თავის თავს) მოწყალების მაქსიმუმი გაიღოს სხვათა მიმართ“ (ასათიანი: 66).

სამწუხაროდ, ამ სიტყვამ ამჟამად იცვალა მნიშვნელობა და მიიღო ინგლისური "fan"-ის მნიშვნელობა (მაგ., ფეხბურთის გულშემატკივრები); ადრე კი ის მეგობრობის სიტყვათველს განეკუთვნებოდა (გავიხსენოთ ილია: „ნუთუ თვის დღეში არა გყოლია მოკეთე, გულის შემატკივარი?“).

ადამიანთა შორის არანათესაობრივი მიმართებების გამომხატველი სიტყვებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სიტყვა **მეგობარი**, რომელიც ძველ ქართულ ტექსტებშიაც გვხვდება, მაგ. ახალი და ძველი აღქმის თარგმანებში. ამ სიტყვის გვერდით ძველ ქართულში გვაქვს აგრეთვე: მიყუასი, მოყუასი და მოყუარე; მაგალითები: „მეგობარი სიძისაი//მიყუასი სიძისაი მის“ (ი. 29), ან: „მოყუარენი ჩემნი და მეგობარნი ჩემნი ჩემ წინაშე მომეახლნეს“ (ფს. 37, 12).¹⁴

ძველ ქართულში გვაქვს აგრეთვე აბსტრაქტული სახელი – მეგობრობა: „უკუეთუ გნებავს მეგობრობაი ღმრთისაი, ნუ ეძიებ მეგობრობასა კაცთასა“ (მ. სწ. 157, 9).

¹³ იხ. ა. ფრანგიშვილი, გულ – სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა სემანტიკასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ. ფსიქოლოგია, ტ. III, თბილისი 1944.

¹⁴ მაგალითები მოყვანილია ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“, თბილისი 1973.

შუშანიკის წამებაში ადამიანთა შორის გარკვეული მიმართების გამომხატველ სიტყვათაგან გვხვდება **საკუთარი**: „და ჰრქვა ვინმე ჰიტიაზშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ: ამათ წმიდათა მარხვათა ნურას ეტყვი მას“. კონტექსტიდან არ ჩანს, ვინ არის ეს საკუთარი, ნათესავი თუ მეგობარი. ერთი ცხადია, რომ ის ვარსკენთან დაახლოებული პირია, ახლა ვიტყვოდით – ახლობელი ან მახლობელი.

ილ. აბულაძის ძვ. ქართ. ენის ლექსიკონში **საკუთარი** განმარტებულია, როგორც კერძო, თავისი, დაახლოებული: „დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივცემულ“ (ი.ე. 50, 12.)

ახლობელი და **მახლობელი** ქეგლ-ში ასეა განმარტებული: ნათესავი ან მეგობრული ურთიერთობით დაკავშირებული, სულიერად ახლო მყოფი.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ გრიგოლმა „პოვნა მოყვასნი კეთილნი შეწვენითა ქრისტეს მაღლისაითა“, ანუ იპოვა თანამზრახველები, მეგობრები. თეოდორე და ქრისტეფორე შემდგომშიც გრიგოლის მოყვასებად მოიხსენიებიან: „ხოლო პირველითგან მოყვასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისთა, თევდორეს და ქრისტეფორეს, აქნდა გულსა მათსა საღმრთოი შური მონასტრისა შენებისა“. მონასტრის წევრები, როგორც ეს საერთოდ მიღებულია ქრისტიანულ სამყაროში, ძმებად მოიხსენიებიან. „გრიგოლმა აღაშენა საყუდელი თვისი და თითო სენაკები ძმათა მათთვის მცირე“.

ამრიგად ძველ ქართულში მეგობრობის ლექსიკური ველის კუთვნილებად შემდეგი სიტყვები შეიძლება მივიჩნიოთ: **მეგობარი**, **მიყუასი/მოყუასი/მოყუარე**, **საკუთარი**, **ძმა**.

რა სურათი გვაქვს ვეფხისტყაოსანში?

„საქართველოში ყოველთვის მაღლა იდგა მეგობრობისა და ძმადნაფიცობის კულტი... ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ხალხის წიაღში იშვა ისეთი ეპოსი, რომელიც არა მხოლოდ სიყვარულს, არამედ მეგობრობასაც უძღერის“, – წერს რუთ ნოიკომი „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანის ბოლოსიტყვაობაში. და აგრეთვე: „რუსთაველთან მეგობრობას სიყვარულის ტოლი მაინც, თუ მასზე უფრო მეტი მნიშვნელობა არ ენიჭება“.¹⁵

საინტერესოა, რომ ვეფხისტყაოსანში სიტყვა მეგობარი საერთოდ არ გვხვდება. სამაგიეროდ ხშირია: **მოყვარე**. ეს სიტყვა მხოლოდ ვეფხისტყაოსნის პროლოგში ოთხჯერ არის ნახმარი და ოთხივეჯერ სატრფოს, საყვარლის მნიშვნელობით:

(25): რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში.

(28): დათმოს წყრომა მოყვრისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა

(29): ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,

არ ბედიად ჰაის ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,

არსით აჩნდეს მიჯნურობა.....,

¹⁵ Schota Rustaveli, Der Mann im Pantherfell, Übertragung aus dem Georgischen und Nachwort von Ruth Neukomm, s. 466-67. Manesse-Verl., Zürich 1991.

(30): მას უშმაგო ვინ მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩივნოს? და იქვე:
რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატკივნოს.

მოყვარე ნიშნავს მეგობარსაც (კერძოდ, მეგობარ ქალსაც), როგორც ეს შემდეგი სტროფიდან ჩანს (ასმათი ეუბნება ავთანდილს):

(252): აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი.

მეგობარი ქალი ვეფხისტყაოსანში უპირატესად დად მოიხსენიება, მაგ., ავთანდილი ასმათს დას უწოდებს:

(868): დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო.

ავთანდილი ასმათს ტარიელის დობილს უწოდებს:

(907): პირველ, გლახ, მისი ნაჭკვეტი, თვით მერმე შენი დობილი.

თინათინს და ნესტანს რუსთაველი დობილებს ან დად-ფიცთ უწოდებს:

(1576): ერთმანეთისა გაყრილნი ქალნი ორნივე დობილნი,

ერთმანეთისა დად-ფიცნი, სიტყვისა გამოდნობილნი.

ამრიგად, კაცისთვის მეგობარი ქალი ვეფხისტყაოსანში არის მისი და, ან დობილი, ან

მოყვარე. ქალი მეგობრები ერთმანეთისთვის დები, დად-ფიცნი ან დობილნი არიან. ტარიელი თავის თავს ხან ფრიდონის **ამხანაგს**, ხან კი მოყვარეს ანუ მეგობარს უწოდებს:

(637): აწ ვიამბობ, რადგან თავი გინდა ჩემად ამხანაგად.

გერმანულ თარგმანში ამხანაგის შესატყვისად Freund გვაქვს, რაც საესე-ბით გამართლებულია.

(641) : არ ავი გესვა მოყვარე, ჟამი თუ მომხვედეს ჟამისად.

რუსთაველი ავთანდილს და ტარიელს ხან მოყვარეებს უწოდებს, ხან – ამხანაგებს. მაგალითად:

(673): ამაზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულ-სადაგნი, და იქვე:

მას ღამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი.

ამხანაგი თანამედროვე მნიშვნელობით (როგორც რაიმე საქმიანობაში თანამონაწილე) ნახმარია შემდეგ სტროფებში:

(1061): ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გაჰმარჯვებოდეს,

ამხანაგათვის ეჯობნოს, ვინცა მას თანა ჰხლებოდეს.

(261): ეგრე უთხრა: ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცადე.

ავთანდილი ტარიელს მოყვარეს უწოდებს:

(871): მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყლულა,

იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა,

მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ღხინი გასრდასრულა,

სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაკიცხულა, გაბასრულა.

ასმათი ტარიელს ავთანდილის ძმობილს უწოდებს:

(858) შენ უმართლე ხარ, ემდურვი, შენ გაყვარე ძმობილსა.

ავთანდილი თავის თავს ტარიელის ძმად-ფიცს უწოდებს:

(993): ვარ უცხო ვინმე ღარიბი, საყოფთა მოშორებულნი,

ძმად-ფიცი ტარიელისა, თქვენს წინა მომგზავრებული.

ავთანდილი თავის თავს ფრიდონის ძმად-ნაფიცარს უწოდებს:
(1326): უბრძანა: „წადით, წაიღეთ, გზა წავლეთ მისვე არისა,
ფრიდონს მიართვით უსტარი ჩემგან, ძმად-ნაფიცარისა“.

რუსთაველი ავთანდილს ტარიელის ძმად-შეფიცებულად მოიხსენიებს:
(1391): ახლოს დაისვამს ავთანდილს, მისსა ძმად-შეფიცებულსა.

ტარიელი და ავთანდილი ვეფხისტყაოსანში ძმებადაც მოიხსენიებიან:
(879): ველარ ასმინა, გარდიჭრა, ძმა გამოაჩენს ძმობასა!

ტარიელი ავთანდილისთვის მოყვარე და ძმაზე უმტკიცესი ძმაა:
(798): მე რად გავწირო მოყვარე, ძმა, უმტკიცესი ძმობისა.

მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ავთანდილი ზოგჯერ სრულიად უცხო ხალხსაც ძმებს უწოდებს. უცხო მენავეებს იგი ასე მიმართავს:

(981): ყმამან უთხრა: „ძმანო ჩემნო, კარგთა კაცთა გარდგეკიდე,
მე მეფესა თქვენსა ვეძებ, მასწავლეთ თუ სად წავიდე.

ასევე მიმართავს ის ვაჭრებსაც:
(1064): ჰე, ძმანო, წელანცა მოვისმენია,

ღმერთსა შეესმა ნაკადი, რაც თქვენთა თვალთა გდენია.

მაგრამ ორივე ამ ბოლო შემთხვევაში უბრალოდ მიმართვის ფორმასთან გვაქვს საქმე (როგორც ეს თანამედროვე ქართულშიაც შეიმჩნევა), და არა ჭეშმარიტ ძმობასთან.

ამრიგად, მეგობრობის სიტყვათველში ვეფხისტყაოსნის მიხედვით შემდეგი სიტყვები შედის: მოყვარე, ძმობილი, დობილი, დად-ფიცი, და, ძმა, ძმად-ნაფიცარი/ძმად-ფიცი/ძმად-შეფიცებული, ამხანაგი.

რა თვისებები უნდა ახასიათებდეს მოყვარეს, მეგობარს? მეგობარმა მეგობრისთვის არაფერი არ უნდა დაინანოს, თვით სიცოცხლეც კი.

ავთანდილი:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად.

გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ტარიელი:

...ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,

ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს.

მეგობარი ყველა ადამიანს სჭირდება:

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

მეგობრობის ამგვარი გაგება, მისთვის თავის არდაზოგვა და გაჭირვების დროს დახმარება საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნეს ქართველებმა. მეგობარი ადამიანის სულიერი ძმაა. ძმაზე ახლობელი კი ქართველისთვის წარმოუდგენელია. ძმობილი ძმად მიჩნეულს, ძმის მავიერს ნიშნავს. ძმობილი შეიძლება იყოს ან ძმადნაფიცი ანუ ძმადშეფიცული, ან ძუძუს მოზიარე ანუ ძუძუსმტე, ძიძი-შვილი. სულიერი ძმა ანუ მეგობარი ძმობილზე ახლობელიც კი შეიძლება იყოს, თუმცა ქართულ და საერთოდ კავკასიის ხალხთა კულტურაში ძუძუსმტე იგივე ძმაა, თითქმის სისხლითა და ხორციით ნათესავია და ამ ძმობის დამრღვევი საყოველთაო გაკიცხვის ღირსია.

გავიხსენოთ აკაკის „გამზრდელი“:

„შენ ეგ საქმე მე მომანდე, მე ვიზამ შენს მაგივრობას:

ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს შევწირავ შენს მეგობრობას.“

– ეუბნება ბათუ თავის ძუძუმტეს.

ძმა და მეგობარი აკაკისთანაც სინონიმებია:

„მაპაატია შეცოდება როგორც ძმამ და მეგობარმა,“

– ამბობს საფარ-ბეგი ბათუზე.

საერთოდ მე-19 საუკუნის ლიტერატურაში მრავლად დაიძებნება თავდადებული მეგობრობის მაგალითები (განსაკუთრებით ალ. ყაზბეგის მოთხრობებში).

დღევანდელ ქართულში არანათესაობრივი მიმართებების აღმნიშვნელ სიტყვათველში შემდეგი სიტყვები შედის: ნაცნობი, ამხანაგი, [ასევე (თანა)კლასელი და (თანა)კურსელი] ახლობელი, მეგობარი, ძმაკაცი, დაქალი, აგრეთვე ძმა და და.

ძმაკაცი ნიშნავს (ქეგლის მიხედვით) კარგ ამხანაგს, მეგობარს, ამ სიტყვამ ამჟამად შეცვალა XIX საუკუნეში ხშირად ხმარებული ძმადნაფიცი (ყაზბეგი), ძმობილი (ბარნოვი, გოგებაშვილი).

დაქალი ქეგლ-ში არც არის წარმოდგენილი, იმდენად ახალია ეს სიტყვა, ნაწარმოები ძმაკაცის ანალოგიით. სალიტერატურო ენაში მისი ხმარება ჩვენ არ შეგვხვედრია. თავდაპირველად იგი უცხოდ ხვდებოდა ყურს, მას სოციალური ჟარგონის იერი დაჰკრავდა, რადგან მისი ხმარება უფრო პროვინციულ მეტყველებებში იყო გავრცელებული.

ამჟამად ეს სიტყვა აღნიშნავს ქალ მეგობარს, როგორც ქალისას, ისევე კაცისასაც. ფაქტიურად მისი ხმარება ჩაენაცვლა დობილის ხმარებას, რომელიც საკმაოდ ხშირი იყო 50-იან, 60-იან წლებში.

შეიძლება იმიტომ, რომ ქართველი ადამიანის შემეცნებასა და კულტურაში მეგობრული ურთიერთობა ვაჟსა და ქალს შორის ყოველთვის დაძმურ ურთიერთობასთან იყო გატოლებული, დღეს ასე თავისუფლად იხმარება ეს ორი, თავის ფუძეში ძმისა და დის შემცველი სიტყვა მეგობრის სანაცვლოდ. არ არის გამორიცხული აგრეთვე უცხო ენების გავლენა: girlfriend, boyfriend ინგლისურში და Freund, Freundin გერმანულში არ ნიშნავს მეგობარს ჩვენი გაგებით. აქ ერთი შემთხვევა გვინდა გავიხსენოთ: ერთხელ ერთ ქართველ ახალგაზრდასთან გერმანელი სტუმარი იყო ჩამოსული. საღამოს მასპინძელმა სტუმარი რუსთაველის პროსპექტზე სასეინროდ გაიყვანა. აქ მას ჯერ ერთი მეგობარი გოგონა შეხვდა, გადაკოცნა და სტუმარს როგორც Freundin-ი წარუდგინა, შემდეგ მეორე მეგობარი შეხვდა, მერე მესამე და ა.შ. ბოლოს გაკვირვებულმა გერმანელმა ჰკითხა, შენ რა ჰარემი ხომ არ გყავსო.

მეგობარი Freund-ისა და Freundin-ის პირდაპირი თარგმანია და პირუკუ, მაგრამ ეს სიტყვები განსხვავებული აზრით იხმარებიან, ჩვენ კი გვჭირდება იმის გახაზვა, რომ გოგო, მაგალითად, სწორედ მეგობარია და არა შეყვარებული.

ამიტომ იხმარება ალბათ დღეს ასე ხშირად მეგობრის ნაცვლად დაქალი და ძმაცატი, რადგან ამ სიტყვებში ექსპლიციტურადაა მოცემული ის დამოკიდებულება ადამიანისადმი (ანუ დამპყრი ურთიერთობა), რასაც ადრე სიტყვა მეგობარი გამოხატავდა. ამჟამად თანდათან ქართულშიაც (ყოველ შემთხვევაში საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მეტყველებაში) სიტყვა მეგობარი – უკვე მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ სულიერ მეგობარს.

შეიძლება ითქვას, რომ არც-ერთ სხვა საზოგადოებაში არ არის ისე გავრცელებული მეგობრული ურთიერთობა (წმინდა მეგობრული) ქალსა და ვაჟს შორის, როგორც ეს საქართველოშია (ან, თუ გნებავთ, საქართველოში იყო 60-იან წლებში). ალბათ ამიტომ გაჩნდა სწორედ ქართულ სინამდვილეში ამგვარი (დამპყრი) ურთიერთობის ზუსტად გამომხატველი სიტყვების აუცილებლობა, ანუ ამ ურთიერთობის კატეგორიზაციის აუცილებლობა.

დაბოლოს, ზოგადად თუ არანათესაობრივი ურთიერთობის გამომხატველ სიტყვათველებს შევადარებთ ძველსა და ახალ ქართულში, შემდეგ სურათს მივიღებთ: ძველ ქართულში, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსანში, მოყვარეს უჭირავს ცენტრალური ადგილი, თანამედროვე ლიტერატურაში კი მეგობარს.

საბჭოთა პერიოდის სიტყვათხმარებაში ხშირია – ამხანაგი, რომელიც შეიძლება ამ პერიოდის (განსაკუთრებით 20-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე) გასაღებ-სიტყვადაც ჩაითვალოს. ამჟამად კი მეგობარს ძმაცატი და დაქალი ენაცვლება, განსაკუთრებით ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში. ძმადნაფიცი, ძუძუმტე და ძიძიშვილი საერთოდ გამოვიდა სიტყვათხმარებიდან, რადგან სათანადო ინსტიტუტი აღარ არსებობს. იკლო ძმობილისა და დობილის ხმარების სიხშირემაც. სამაგიეროდ ყველა ამ სიტყვის ნაცვლად ჭარბად იხმარება ძმაცატი და დაქალი, რაც ალბათ იმის უფლებას გვაძლევს, რომ ისინი ჩვენი დროის ე.წ. გასაღებ-სიტყვებად ჩავთვალოთ იმ სიტყვების გვერდით, რომლებიც ზემოთ უკვე იყო მოყვანილი ქართული მედიის მონაცემების გათვალისწინებით.

Lia Abuladze, Andreas Ludden

Die Schlüsselwörter und das Wortfeld "Freundschaft" im Georgisch

Zusammenfassung

Die Wörter, die besonders wichtig für die Sprachgesellschaft und ihre Kultur sind, nennt man Key words. Heutzutage versuchen die Wissenschaftler verschiedene Probleme der Kultur anhand der Sprache und ihrer Schlüsselwörter zu erforschen. Jede Epoche hat eine für sie charakteristische Lexik. Es gibt jedoch auch solche Wörter, die, von Generation zu Generation überliefert, uns Hinweise auf bestimmte Erscheinungen der Kultur und Weltanschauung eines Volkes geben können. Zu solchen Wörter gehört das Wort Freund.

"Freundschaft" ist eine der wichtigsten menschlichen Beziehungen, die in keiner Kultur fehlt. Im georgischen Leben und Kultur nimmt die Freundschaft eine äußerst wichtige Rolle ein.

Guram Asatiani schreibt: "Wir gehören zu den einigen wenigen Völkern, in deren seelischer Existenz die Freundschaft, nicht mit praktischem Zweck gehemmte Verbindung, sondern gerade Freundschaft in höchster, rein geistlicher Bedeutung, (als ein seelisches persönliches Streben zueinander) in der Hierarchie der ethischen Werten auf der Spitze steht. "

In unserem Artikel beschäftigen wir uns mit dem Wortfeld "Freundschaft" im Alt- und Neugeorgisch. Einige von ihnen kann man die Key-words zur heutigen Zeit nennen.

ქეთევან მირზიკაშვილი

**მეტყველების აღნიშვნელი ონომატოპოეტური
სიტყვები ქართულსა და ფრანგულში**

ჩვენი თავდაპირველი მიზანი იყო მეტყველებისა და სმენითი აღქმის აღმნიშვნელი ქართულ-ფრანგული ონომატოპოეტური ლექსიკის შედარება. სმენითი აღქმის აღმნიშვნელი სიტყვები საერთოდაც მცირერიცხოვანია, ონომატოპოეტური სტრუქტურისა კი არ აღმოჩნდა არც ერთ ენაში. ეს მოსალოდნელიც იყო შინაარსობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე. ამჯერად შევაპირისპირეთ მეტყველების აღმნიშვნელი ონომატოპოეტური სიტყვები, რაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან ამ შემთხვევაში უდიდესი და ხშირად რადიკალურად შემცვლელი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს. მაგრამ ასევე საინტერესოა ცალკე განზოგადებული მნიშვნელობით რამდენად ჩანს ამა თუ იმ ცნებაში მეტყველების გამორჩეული მახასიათებელი, რის გამოც ჩვენ მათ გამოვყოფთ. ამჟამად მხოლოდ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული ფორმებით შემოვიფარგლებით.

ქართულ ენაში ავარჩიეთ სიტყვები, რომლებიც აუცილებლად სამეტყველო ხმიანობის მნიშვნელობას გამოხატავენ და არა – მხოლოდ ხმაბაძვითობას, სხვა შემთხვევაში გაცილებით მეტი სიტყვა მოგროვდებოდა. ესენია: „ბოლიალი“ (სისულელის, ჩვენთვის მიუღებელის ლაპარაკი და არა ავადმყოფის უაზრო ბოღვა. სიტუაციის გათვალისწინებით გადატანითი მნიშვნელობით გვხვდება ხოლმე); „ქაქანი“, „დაღღანი“, „ჭიჭყინი“, „ტიტინი“, „ტიკტიკი“, „ტატანი“ (დაუტატანა), „ჯიჯღინი, ჯაჯღანი“, „ყაყანი“, „ჩიჩინი“, „ჩიფჩიფი“, „ჩლიფინი“, „როზროზი“, „ჭარტალი“ (ენის), „ცაცხანი“ (დაუცაცხანა). ამ სიტყვებს სხვადასხვა დონით ახასიათებთ ხმაბაძვითობა.

ფრანგულში მსგავსი ემოციით დატვირთული სიტყვები, რასაკვირველია, არსებობს, მაგრამ ზუსტი თანხედრა ქართულ-ფრანგულ თარგმნით ლექსიკონებში დაცული არ არის. ეს სიტყვებია: bavarder (le bavardage); le verbiage; coqueter (le coquetage; le caquet); jaser (la jaserie); babiller (le babilage); jacasser; le babil; le babillement; le ramage; balbutier; murmurer; gazouiller (le gazouillement); le grognement (la grognerie); le bougonnement; le ronchonnement (ფამ.).

რამდენიმე ქართული ცნება თარგმნით ლექსიკონში ერთი სიტყვით ვერ გამოისახება და აღწერითი ფორმებია გამოყენებული, რაც მოსალოდნელიცაა, ხმაბაძვითობის ელემენტი აქაც არის, მაგრამ ქართულში უფრო ჭარბობს. ქართულ-ფრანგულ ლექსიკონში შესაბამისი ქართული ფორმა რამდენიმე სიტყვითაა განმარტებული, მაგრამ აქ ერთადაა თავმოყრილი დაახლოებით მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები და სულაც არ არის გათვალისწინებული ის სპეციფიკური მნიშვნელობები, რომლებითაც ეს სიტყვებია ღირებული და რის დასადგენადაც ისინი ჩვენ ცალკე ჯგუფად გამოვყავით. ერთი რამ უდავოა, აღნიშნული მნიშვნელობის ონომატოპოეტური სიტყვები ქართულში უფრო მრავალრიცხო-

ვანია და მრავალფეროვანი (შინაარსის გადმოცემა ყველა ენაშია შესაძლებელი და ეს, რა თქმა უნდა, გადამწყვეტია, მაგრამ აქ ჩვენ იმ რიგების შესახებ ვსაუბრობთ, რომელთა მსგავსიც ფრანგულში არ შეგვხვდებოდა: ტატანი – ტიტინი – ტუტუნი, ჭაჭყანი – ჭიჭყინი – ჭუჭყუნი და ა.შ.). ჩვენ ქართული ფორმების მცირე განხილვას შემოგთავაზებთ ისტორიის გათვალისწინებით, თან ქართულ-ფრანგულ თარგმნით ლექსიკონში არსებულ შესაბამისობებზე გავამახვილებთ ყურადღებას (რისი მოძიებაც შესაძლებელი აღმოჩნდა).

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში *ბოდ- ძირს ორი მნიშვნელობა უკავშირდება, როგორც დღევანდელ ქართულში, მოიპოვება შესატყვისობები მეგრულსა და ლაზურში: მეგრ. ბორდ-, ბორდ-იში „ბოდვა“; ლაზ. ბოდ-, ო-ბოდ-უ „ბოდვა“; არეგ-დარევა; კრუხის მოუსვენრობა“. სვანური ეკვივალენტი ჯერ უცნობია, საბასთან ეს სიტყვა საერთოდ არ არის განმარტებული, ხოლო თანამედროვე გაგება ქართველურ ენებში დადასტურებულ უძველეს ვითარებას ემთხვევა. ასე რომ, ეს სიტყვა დღემდე მყარად ინარჩუნებს სემანტიკურ მნიშვნელობას.

ქაქანი, ჭიჭყინი, ჯიჯლინი-ჯაჯლანი-ჯუჯლუნი, ყაყანი, ჩიჩინი, ჩიფჩიფი, როზროზი, ჭარტალი, ცაცხანი – ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ შეგვხვდა. სულხან-საბა ნათქვამის ნაირფეროვნების ჩამოთვლა-კლასიფიკაციისას ისეთ სიტყვებსაც იხსენიებს, რომლებიც დღეს ცალკე აღებული არ გულისხმობენ მნიშვნელობის მქონე ხმიანობას, ასეთია, მაგალითად: ალერსი – „კაცთა მომადლებისა და ტბილთა შესაქცეველად“ (საბა); დღეს ასევე ცოტა განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია *ცუნდრუკი*, რაც განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით უგვანოდ ხტომას ან მჩატედ ქცევას, ქარაფშუტობას ნიშნავს; ხოლო საბასთან იგი ისეა განმარტებული, როგორც საუბრის ერთ-ერთი სახეობა: „ყურთა შინა სიტყვისა თქმასა – ცუნდრუკი, რომელ არს ჩურჩნა“; ე. ი. საბა ჩურჩულს დაბალ ხმაზე ლაპარაკს ეძახის – „ჩუმსა და დაბალსა სიტყვისა თქმასა – ჩურჩული“, სადაც თანამოსაუბრე შეიძლება იგულისხმებოდეს და შეიძლება – არა, თუმცა ცალკე გამოტანილი *ჩურჩული* ყურში თქმდა აქვს განმარტებული; ცუნდრუკი უფრო დაკონკრეტებული მნიშვნელობის მქონეა და ისეთ საუბარს გულისხმობს, რომელიც არავის ესმის, რადგან თანამოსაუბრისთვის ყურშია ნათქვამი. ეს ორი სიტყვა იმიტომ გავმიჯნეთ, რომ საბა მათ სინონიმებად არ მიიჩნევს; დღეს *ცუნდრუკი* საკმაოდ უარყოფით კონტექსტში იხმარება ხოლმე და იმაზე იტყვიან, ვინც უადგილოდ, შეუფერებლად იქცევა საზოგადოებაში, ამ სიტყვას ჩურჩულთან ნამდვილად ანათესავებს გამოყენების შეფასება, რადგან არც ჩურჩული ითვლება საზოგადოებაში კარგ ტონად. მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ჩურჩული თავის ძირძველ მნიშვნელობასაც ინარჩუნებს (დაბალ ხმაზე ლაპარაკს) და თავისი მეორე მნიშვნელობაც არ დაუკარგავს (ყურში თქმა), პირიქით, უფრო მეტი ინტენსივობით იხმარება; ხოლო ცუნდრუკმა სრულიად დაკარგა მეტყველების გამომხატველი სიტყვის ფუნქცია და ქცევის აღმნიშვნელად იქცა. საინტერესოა სიტყვა *ჩურჩნა*, რაც *ჩურჩულის* შემდეგაა ლექსიკონში და „მცირე ჩურჩულს“ ნიშნავს. ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულში აღარ არსებობს ამ მნიშვნელობით და სრულიად სხვა ძირს

დაემთხვა. ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ჩურჩულის გაგებით წარმოდგენილია *ფურჩ- ძირი, რომელიც მხოლოდ ქართულსა და მეგრულში რეალიზდება: ქართულში – ფურჩ-ულ-ი (იმერულსა და გურულ დიალექტებში), ხოლო მეგრულში – ფურცქ-ინ-ი/ფურცქ-ინ-ი. ვერ ვიტყვით, რატომ დაიკარგა ეს ძირი ქართულში და რატომ იტვირთა „ჩურჩულის“ მნიშვნელობა სხვა ძირმა, რომლის შესატყვისობებიც სხვა ქართველურ ენებში არ დასტურდება.

ქეგლ-ში *ქაქანი* განმარტებულია შემდეგნაირად – 1. აჩქარებულად, ხმაურით პირღია სუნთქვა (დაღლილობისაგან, სიცხისაგან...) 2. გაუთავებელი, გაბმული, ხმამაღალი ლაპარაკი. როგორც აღვნიშნეთ, ეს სიტყვა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში არ არის; საბასთან კი მხოლოდ პირველი მნიშვნელობა აქვს, რაც ჩვენ ამჟამად არ გვაინტერესებს. როგორც ჩანს, საუბრის მნიშვნელობა გვიან შეიძინა და თავდაპირველად აჩქარებულ სუნთქვას ნიშნავდა.

ჭიჭყინი ასევე არ მოიძებნა არც ეტიმოლოგიურ და არც საბას ლექსიკონში, დღევანდელ განმარტებით ლექსიკონში კი ნათქვამია: *ჭიჭყინი* – უსიამოვნო, წვრილი ხმა, ჭირვეული ლაპარაკი ან ტირილი (*ჭიჭყინა* = ზურნა). როგორც ვხედავთ, ეს სიტყვაც გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება ვიხმართ: სხვა ხმიანობასაც ნიშნავს და ადამიანზეც შეიძლება გადავიტანოთ. *ჭიჭყინი* ფრანგულად განმარტებულია – *le grognement (la grognerie); le bougonnement; le ronchonnement* (ფამ.); თითოეულის განვითარების ისტორიასთან ერთად, დავინტერესდით, როგორ არის განმარტებული უკვე ფრანგული სიტყვები ქართულად ფრანგულ-ქართულ თარგმნით ლექსიკონში: *grogner (le grognement, la grognerie)* – 1. ღრუტუნის (ღორის); ღრიალი, ბრღღვინვა (დათვის); 2. ბუზღუნის (უფრო პროტესტის ნიშნად); ეს სიტყვა ფრანგულ ენაში 1180 წელს დადასტურდა „ბუზღუნის, ჩურჩულის“ მნიშვნელობით, იყო ასევე ღორის ხმიანობის აღმნიშვნელი და 1190 წელს სიმღერის აღმნიშვნელადაც გვხვდება; ამავე ძირიდან მოდის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა, რომელმაც ოდნავ სხვაგვარი განვითარება პოვა (იგი ქართულ-ფრანგულ ლექსიკონში არ შეგვხვედრია): *gronder* – ამის შესაბამისი ფორმა 1120 წელს აღინიშნა მსგავსი მნიშვნელობით. დღეს ზემოაღნიშნულ ორ სიტყვას შორის ხმარების სიხშირეშია განსხვავება, პირველი უფრო ინტენსიურად გამოიყენება ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით, ხოლო ეს უკანასკნელი უფრო *ღრენის*, გადატანითი მნიშვნელობით *ქუხილის* აღმნიშვნელად გვხვდება, მისთვის „ბუზღუნის“ და სათქმელის „კბილებში გამოცრა“ უკვე მოძველებულია. ამ ზმნას სხვა, რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს: „ბავშვის დატუქსვის, საყვედურის თქმის“. *ჭიჭყინის* მეორე და მესამე შესაბამისობას ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში ვერ მივაგენით: *le bougonnement (bougonner)* – ბუზღუნის, ჯუჯღუნის, სიტყვის კბილებში გამოცრა; მესამე შესაბამისობაც იდენტურად განმარტება: *le ronchonnement* (ფამ.) – ბუზღუნის, ჯაჯღანის, ბურტყუნის; აქ მოცემული სამივე სიტყვა მსგავსი მნიშვნელობისაა, მაგრამ არც ერთი არაა განმარტებული *ჭიჭყინად*, რის ეკვივალენტადაც თავდაპირველად ზემოთ მოყვანილ სიტყვებს მივაგენით.

ჯაჯღანი – ეს სიტყვა არ არის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, საბასთან მხოლოდ ერთი მათგანია განმარტებული ორ ადგილას, ოღონდ ოდნავ განსხვავებული აგებულებით: „ღიაცთა ყაყანსა ძ ი ძ გ ი ნ ი და ჯ ი ჯ გ ი ნ ი“; „ჯიჯგინი – უშვერი ლაპარაკი, ძიძგინი“. პრინციპი კარგადაა დაცული, აღნიშნული სიტყვა ჩამონათვალში აქვს ნახსენები და შემდეგ ცალკეცაა გამოტანილი, თანაც აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობით. თუმცა დღევანდელ ქართულში ფეხმოკიდებულია მსგავსი აგებულების აშკარა ონომატოპოეტურობით გამორჩეული სამი სიტყვა: *ჯაჯღანი-ჯიჯღინი-ჯუჯღლანი*, რომლებიც განსხვავებული ელფერით გამოირჩევიან და რამდენადმე თავისებურ მეტყველებას გამოხატავენ. ქველში ასეა განმარტებული: *ჯაჯღანი* – ხმამაღლა, უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკი, – ბუზღლანი; *ჯიჯღინი* – 1. უკმაყოფილო ლაპარაკი, – ბუზღლანი; *ჯიჯჯიჯი* – უღაზთო, გაურკვეველი ლაპარაკი, – ჯიღჯიღი; *ჯუჯღლანი* – 1. ცხვირში ლაპარაკი, – დუღღლანი 2. იგივეა, რაც ბუზღლანი. ამ სიტყვებს შორის ძალიან მცირეა სხვაობა, მაგრამ მაინც არის. *ჯაჯღანი* და *ჯიჯღინი* – ორივე უკმაყოფილებას გამოხატავენ ერთგვარი ბუზღლანით, მაგრამ *ჯაჯღანი* ხმამაღლობის ფაქტორსაც შეიცავს, განსხვავებით *ჯიჯღინისგან*, რომელიც უფრო დაბალ ტონს გულისხმობს. *ჯუჯღლანის* მეორე, ჩვენი აზრით, გვიანი მნიშვნელობა ასევე ბუზღლანია, მაგრამ პირველი მნიშვნელობა გაურკვეველი ლაპარაკია, რასაც გვიან უნდა მიმატებოდა ბუზღლანის მნიშვნელობა, რადგან მისი წარმოთქმა ძალიან ჰგავს ამ მნიშვნელობის მქონე წინა ორ სიტყვას (ეტიმოლოგიურ ლექსიკონში გვხვდება აშკარად ონომატოპოეტური აგებულების ღიჯღიჯ-ებ-ს (*ღიჯ- ძირიდან), რაც უთავბოლოს ლაპარაკსა და სიცილს ნიშნავს, მეგრული შესატყვისია ი-ღინჯგ-ინ-ან-ს „იცინის, იღრიჭება“. როგორც ჩანს, ამ ფორმამ მოგვიანებით დაკარგა მეტყველების გაგება და სიცილის, ღრეჯის მნიშვნელობა შეიძინა).

„ყაყანი – მრავალთ ლაპარაკი, ღაღადება“; – საბას განმარტება ზუსტად ემთხვევა *ყაყანის* დღევანდელ გაგებას, ე.ი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას საერთოდ არ შეუცვლია მნიშვნელობა. განმარტებით ლექსიკონში მსგავსადაა განმარტებული (*ყაყანი* – ხმამაღლა და უთავბოლოდ ლაპარაკი ბევრისა), ოღონდ რატომღაც დაკარგულია ბევრი ადამიანის ხმიანობის გაგება, რადგან მოცემული განმარტება ბევრ ლაპარაკს უფრო ნიშნავს, ვიდრე ბევრი ადამიანის ერთობლივ ყაყანს. განმარტებით ლექსიკონშივეა გამოტანილი სიტყვა *ყარყარი* – 1. ყაყანი, ხმაურობა; 2. იგივეა, რაც ყაშყაში (არწივის, ორბის და მისთანათა ხმაური, ყვილი); სალიტერატურო ენაში ნაკლებაა გავრცელებული და უფრო მეორე მნიშვნელობით იხმარება, თუმცა დიალექტურმა მასალამ შეიძლება სულ სხვა სურათი გვიჩვენოს. ქართულ-ფრანგულ ლექსიკონში *ყაყანის* შესატყვისი აღმოჩნდა – *vociférer* (გამხცეცებული ადამიანის ღრიალი), *faire du boucan* (ხმაურის ატეხვა); პირველი მნიშვნელობა მხოლოდ ხმის სიმაღლით შეესაბამება ყაყანს, არც ინტენსივობა და არც ადამიანთა სიმრავლის ხმიანობა აქ გათვალისწინებული არ არის, მეორე მნიშვნელობა უფრო შეესაბამება აზრობრივად, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი ერთი სიტყვით არ გადმოიცემა.

„ჩინინი – მარადის იდუმალ საქმეს ურჩევდეს და არა საანმჯემოდ (საჯაროდ)“; როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა საბას მეტად სახასიათოდა აქვს განმარტებული, დღეს ჩინინს იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რატომღაც გაფერმკრთალდა არასაჯაროობის ელემენტი, ამას განმარტებითი ლექსიკონიც ადასტურებს: ჩინინი – ერთისა და იმავეს დაჟინებით ლაპარაკი (რაიმეს ჩაგონების მიზნით); ასევე არ შესცვლია მნიშვნელობა ჩიფჩიფს – ფლაფნით ლაპარაკი, ფლაფნა, უკბილოს საუბარი; იდენტურია თანამედროვე განმარტებაც: ჩიფჩიფი – უკბილო ადამიანის გაურკვეველი ლაპარაკი; ამ შემთხვევაში საბასეულ და თანამედროვე ლექსიკონის განმარტებას შორის სხვაობა ხელშესახებია, ფლაფნის განმარტება ჩვენ მოვიძიეთ ცალკე, ხოლო საბასეული მიდგომა საინტერესოა, რადგან სულაც არ გულისხმობს მხოლოდ „უკბილოს საუბარს“, არამედ – „უკბილოსავით საუბარსაც“, განსხვავებით დღევანდელი ლექსიკონისაგან. ჩვენს თემას პირდაპირ არ ეხება და სრულიად განსხვავებულ პრობლემად გვეჩვენება დეფექტური მეტყველების აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ მაინც მოგვყავს ისინი, თუმცა კლასიფიკაციისა და ცალკე გამოყოფის გარეშე. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა ჩლიფინი, რომელიც მხოლოდ განმარტებით ლექსიკონში მოვიძიეთ და მეტყველების (წარმოთქმის) ნაკლია, როდესაც ს-ს მაგივრად შ-ს წარმოთქვამენ. ამ სიტყვას ზოგადად ენამოჩლექილობის აღსანიშნავად ხმარობენ და ჩვენი აზრითა და გამოკითხვით სულაც არ არის აუცილებელი მეტყველებაში მხოლოდ ს-ს შ-დ შეცვლა, რათა ჩლიფინი ვუწოდოთ. ქართულ-ფრანგულ ლექსიკონში ჩიფჩიფის შესაბამისია – marmotteur, euse; რაც ზმნა marmotter-დანაა ნაწარმოები და ჩიფჩიფს, ბურტყუნს ნიშნავს, ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მისი შესაბამისი ვერ ვიპოვეთ.

როზროზი – უშნო, ბოზი ხმით ხმამაღლა ლაპარაკია. თუმცა ძველ ლექსიკონებში ვერ მოვიძიეთ და, შესაბამისად, მძაფრი ხმაბაძეითობის გათვალისწინებით გვიან უნდა იყოს შემოსული რაზრაზის გავლენით.

საბას აღნიშვნით, ჭარტალი/ჭარდალი სომხურია, „მრავალმეტყველს კაცსა ჰქვიან“. ხოლო განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ – ჭარტალი იგივეა, რაც ენის ჭარტალი – გაუთავებლად და უადგილოდ ლაპარაკი, ტარტარი. დღეს ეს სიტყვა კონტექსტის გარეშე საერთოდ არ გამოიყენება (ენის ჭარტალი). ქართულ-ფრანგულ ლექსიკონშიც ენასთან კონტექსტში მოიპოვება, მისი შესაბამისი სიტყვებია – le bavardage, le verbiage, le caquet, jaser (la jaserie), l'babillage, le babil (ბავშვის); le bavardage (bavarder). თარგმნით ფრანგულ-ქართულ ლექსიკონში კი ლაყობას, „ლაქლაქს, ყბელობას“ ნიშნავს, აქვს წამოროშვისა და წამოცდენის მნიშვნელობაც. იგი XIV საუკუნეში შემოვიდა ფრანგულ ენაში ხალხური ლათინურიდან, მისი პირველადი ფორმა იყო baver და „ლაყობას“ აღნიშნავდა, დღევანდელი ფორმის მიღებამდე მრავალფეროვანი სახე ჰქონდა. le verbiage – ფუჭმეტყველებას, ლაყობას ნიშნავს, საინტერესოა მისი ძირი verbe, რომელიც ლათინური ფორმა verbum-დან მივიღეთ ფრანგულში; თავდაპირველად ნიშნავდა „სიტყვას“, შემდეგ – წარმოთქმულ სიტყვებს, ე.ი.

„მეტყველებას“; 1220 წელს ოდნავ შეცვლილი ფორმით გვხვდება (verble) და მეტყველების პარალელურად „გაგებინებასაც“ გამოხატავს. ამავე წელს გვხვდება „ხამამალაღი ლაპარაკის, კამათის“ მნიშვნელობით. დღეს ეს სიტყვა (le verbe), უპირველეს ყოვლისა, გრამატიკული მნიშვნელობით გამოიყენება ხოლმე და „ზმნას“ აღნიშნავს (ეს გაგება მას ენათმეცნიერების განვითარებასთან ერთად უნდა მიეღო და, როგორც ყველა ტერმინი, ისიც ხელოვნურია), ხოლო ჩვეულებრივ მეტყველებაში ნიშნავს „სიტყვას, საუბარს“. *le caquet* ნიშნავს *ლაყბობას*, кудаханье, клоуханье наседки. ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ვერ მივაგენით *jaser* (la jaserie)-ს, რაც *ყბელობას* ნიშნავს, მისი მეორე მნიშვნელობაა *წამოცდენა, წამოყრანტალეობა*. 3. *ძვირის თქმა* ვინმეზე, ვინმეს *გაკილევა*. 4. *ჩხაკილი* (ჩხიკვის). ეს ზმნა იმითაა საინტერესო, რომ ყველა ხმაბაძვითი სიტყვისგან განსხვავდება სემანტიკური გადასვლით, როგორც წესი, დანარჩენებისთვის პირველადი მნიშვნელობა რამის ხმიანობაა (ცხოველის, ფრინველის და ა.შ.), ხოლო უკვე შემდეგ ასოციაციით უნდა მიგველო ადამიანის ამა თუ იმ განწყობის აღმნიშვნელი, რამისთვის მიმსგავსებული ხმიანობა. ასეთ სიტყვებს თავდაპირველი მნიშვნელობა პირველ ადგილზე აქვთ შენარჩუნებული და მხოლოდ ამის მერე გადატანითი გაგებით გამოხატავენ ადამიანის მეტყველებას, რის აღსანიშნავად სიზშირის მიხედვით საზოგადოებაში უფრო აქტიურად გამოიყენებიან. ამ შემთხვევაში რატომღაც პირიქით მომხდარა, რაც იმას გვიჩვენებს, რომ სემანტიკური თვალსაზრისით საწინააღმდეგო მოვლენაც ბუნებრივია, შეიძლება ადამიანის მეტყველება გამოვიყენოთ ჩხიკვის ხმიანობის აღსანიშნავად. *la babillage, babiller, le babil* (ბავშვის) – ბავშვის სასიამოვნო ხმიანობა არაერთ ენაში უკავშირება ბაგისმიერ თანხმოვნებს. აღნიშნული სიტყვა ჯერ ყბელობას ნიშნავს, ხოლო მეორეულ მნიშვნელობად ბავშვის ტიტინი აქვს. ამ შემთხვევაში ქართულში ბაგისმიერ თანხმოვნებს სწორედ ეს ენაცვლება. ასევე შეიძლება ნიშნავდეს ჩიტების ჟურჯურტულსაც. იგი 1160 წელს ჩნდება ფრანგულში, თავიდანვე ონომატოპოეტურობით გამოირჩევა, რადგან *bab-* ძირი ტურების მოძრაობაზე მიუთითებს, თავიდან იგი *ბორძიკით ლაპარაკს, ენაბლეობას* ნიშნავდა, ხოლო *ყბელობის* გაგება XIII საუკუნიდან იტვირთა.

ცაცხანი – „გაწყრომით შეძახება“. ეს სიტყვა მხოლოდ თანამედროვე ლექსიკონშია და უფრო ხშირად პირიანი ფორმით თუ გვხვდება, საწყისში – თითქმის არა. ფრანგულენოვან თარგმნით ლექსიკონში მისი შესატყვისობა რატომღაც აღმოჩნდა – *crier* (ყვირილი), *crier après qn* (ვინმესთვის ყვირილი). ეს, რა თქმა უნდა, *ცაცხანის* ნიუანსობრივ მახასიათებლებს ვერ გადმოსცემს, მაგრამ ფრანგულში მისი შესატყვისი სხვა არ არის.

ჭუკჭუკებს – 1. ჭუკჭუკს გამოსცემენ ფრინველები. 2. ჭუკჭუკით ლაპარაკობს, საუბრობს; მოხუცები ტკბილად ჭუკჭუკებდნენ. საბასთან ჭუკჭუკი მწყერთ ნელი ხმიანობაა. აქაც იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, რადგან მეტყველება ამ სიტყვაშიც გვიან გამოიხატა და ფრინველთა ხმიანობიდან გადავიდა ანალოგიით, რასაც, ჩვენი აზრით, კვლავ ასოციაციური ახსნა უნდა ჰქონდეს.

ტატანი-ტიტინი-ტუტუნი;

საინტერესოა, რომ *ტატანი* საბასთანაც და თანამედროვე განმარტებით ლექსიკონშიც ჯერ ცის ტატნობს ნიშნავს და მერე უკვე დატატანების მნიშვნელობას იძენს: *ტატანი* – 1. ტატნობი, მზის შარავანდელი; 2. (დაუტატანა) – გაწყრომით, გაჯავრებით ლაპარაკი; ხმამაღლა დატუქსვა, ცაცხანი;

ტიტინის მნიშვნელობამ გადაიწია, რადგან საბასთან ცუდი საუბარი, ცუდი დიაცური უბნობაა; ხოლო თანამედროვე ქართულში უფრო ახლად ენაამოდგმული ბავშვის ლაპარაკს ნიშნავს და ტიკტიკის სინონიმია. მისი მხოლოდ მეორე მნიშვნელობაა უთავბოლო ლაპარაკი, ყბედობა, რისი გაგებითაც დღეს თითქმის აღარ ხმარობენ. ტიკტიკი – (gazuiller (le gazuillement); babiller (le babilage); le babillement; le ramage; balbutier; murmurer).

სიტყვა *ტუტუნი* მხოლოდ საბასთან შეგვხვდა და ნიშნავს ჩუმ დრტვინვას, ტუტუნობას – ცუნდრუკს;

ტატყანი-ტიტყინი;

ტატყანი – ხმამაღლა, უშნოდ ლაპარაკი; *ტიტყინი* – უთავბოლო ლაპარაკი, – ყბედობა; როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ ხმის ტონალობაშია განსხვავება, სხვა შემთხვევაში ორივე სიტყვა უშნო, უთავბოლო ლაპარაკს გამოხატავს, ოღონდ *ტატყანი* უფრო ხმამაღალია, ეს ა ხმოვნის პრეროგატივა უნდა იყოს, რაც სხვა მსგავსი აგებულების სიტყვებშიც გასათვალისწინებელია.

ტარტარი-ტურტური;

„ენა-დაუყენებელისა მრავალ სიტყვასა ჰქვია ტარტარი“; სწორედ საბას იდენტურადაა განმარტებული ეს სიტყვა დღევანდელ ქართულში.

ტარტარის წყვილი სიტყვა საბასთან საერთოდაც არ არის განმარტებული, ხოლო ქეგლ-ში – 1. ჩურჩულს, ბუტბუტს ნიშნავს 2. რისამე უშნოდ ქნევა, მოღერება (ხელის, ჯოხის). სალიტერატურო ენაში ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა თითქმის უცნობია, პირველი მნიშვნელობის მიხედვით კი ა და უ ხმოვნების დაპირისპირება კვლავ დადასტურდა. საინტერესოა, რომ ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით *ტურტურ-(ი) „ტურებს, პირს“ ნიშნავდა ქართულში, ხოლო იგივე ძირი გარკვეული სახესხვაობით – ტინტვირ-(ი) (ქართულში ი ვარიანტი საერთოდ არ გვაქვს) – ლაზურში ასევე „ტურებს“ ნიშნავს. დღეს სიტყვა ტურტური ლენხუმურ დიალექტშია მოქმედი. ეტიმოლოგიური მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ამ ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა მეტყველებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო განმარტებით ლექსიკონში დადასტურებული მეორე მნიშვნელობა გვიანდელი შენაძენი უნდა იყოს.

ლულული არამკაფიო, გაურკვეველი ლაპარაკია. საბასთან მისი მნიშვნელობა იდენტურადაა განმარტებული, ოღონდ უფრო სპეციფიკური, მისახვედრი და ქართული ენის უკეთ ჩაწვდომაზე ორიენტირებული ახსნით: „სნეულთაგან უკაფიოდ, ძნელად ამოუბნობა“. მნიშვნელობით კი განსხვავდება, მაგრამ ძირის მსგავსების თვალსაზრისით აქვე გვინდა აღვნიშნოთ *ლულ- ძირი, რასაც ქართულსა და სვანურ ენებში ეძებნება შესატყვისობა, ქართული ენის გურულ

დიალექტში ღურღული „გაჯავრებას, ჩუმად ლაპარაკს“ ნიშნავს, ხოლო სვანურში ლი-ღულ-ი „ბუზღუნს“ ნიშნავს.

წუწუნი – უკმაყოფილო გამოთქმა, – ჩივილი. საბასთან უნდომი, ცუდი ტირილია.

ჩივილი – 1. საყვედურის, უკმაყოფილების გამოხატვა სიტყვიერად (რაიმე უსიამოვნების, ტკივილის და მისთ. გამო), 2. საჩივრის შეტანა სასამართლოში. საბასთან ჩივილი – მოწყინარის ჰამბავი (აჩივლა, მაჩივლა, ნაჩივლები); აჩივლა – ჩივილი ათქმევინა. *ჩივილი* – 1. საყვედურის, უკმაყოფილების გამოხატვა სიტყვიერად (რაიმე უსიამოვნების, ტკივილისა და მისთანათა გამო); 2. საჩივრის შეტანა (სასამართლოში);

ღალღალი გარკვეული ხმაბაძვითობით ხასიათდება, მაგრამ შინაარსობრივადაც საინტერესო სიტყვაა, ამიტომ ქვევით განვიხილავთ სხვა, ასეთივე სპეციფიკური მნიშვნელობის მატარებელ ფორმებთან.

როგორც ჩანს, ასეთმა სიტყვებმა მოგვიანებით იტვირთა ადამიანის ხშიანობის აღნიშვნა, ისინი ერთგვარი ასოციაციის გზით მიმსგავსდნენ ადამიანის მეტყველებას იმის მიხედვით (იმის გათვალისწინებით), მანამდე რასაც გამოხატავდნენ. როგორც ცნობილია, ხმაბაძვით სიტყვებში აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის კავშირი მოტივირებულია, ბერას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. „ბერწერით ლექსიკას ახასიათებს მჭიდრო კავშირი ბერასა და მნიშვნელობას შორის. ამ ტიპის ლექსიკაში მცირე ბგერითი ცვლილებები სემანტიკურ მნიშვნელობათა ელფერის ცვლას იწვევს. ამიტომ ვარაიაციულობა, რომელიც ბერწერითი დერეკაციის სახეს იღებს, ერთგვაროვანი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა კონებს ქმნის. მონათესავე მნიშვნელობის მქონე ლექსემებს მონათესავე ბგერითი სტრუქტურა აქვთ. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ ფონემურ დიფერენციალურ ნიშანთა და სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა კავშირებზე“ (მელიქიშვილი 1999:80). მაგრამ ეს პროცესი სხვადასხვა ენაში განსხვავებულად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, ქართული და ფრანგული ენების მაგალითის გათვალისწინებით, ერთი რამ უდავოა, ქართულში ასეთი სიტყვები გაცილებით მრავალრიცხოვანია და სტრუქტურულად უფრო მოწესრიგებულ, სისტემურ სურათს ქმნის, ვიდრე ფრანგულ ენაში. ქართულში /ა-ი-უ/ ხმოვნების მონაცვლეობა ერთგვაროვან თანხმოვნურ ყალიბში საკმაოდ ხშირია. საშუალო აწეულობის /ე, ო/ ხმოვნები ბგერწერითი სიტყვების გადმოსაცემად არ გამოიყენება ხოლმე. ეს ერთგვარი უკიდურესობა მკვეთრი დაპირისპირების შექმნის მიზნით უნდა აიხსნას. „დიფერენციალურ ნიშანთა დონეზე ფონოსემანტიკური კავშირის გამოვლენა შესაძლებელია ბგერწერითი ლექსიკის შესწავლის, პოეტური შემოქმედების ანალიზის, ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების მეშვეობით. ამ გზით ხერხდება მეტყველთა ენობრივი კომპეტენციის ღრმა შრეების გამოვლენა“ (მელიქიშვილი 1999:83).

განხილული ონომატოპოეტური სიტყვები შევეცადეთ შინაარსისა და სტრუქტურის მიხედვით გარკვეულ კლასიფიკაციაში მოგვექცია და გავგერკვია, რამდენად დაემთხვეოდა შინაარსობრივი მხარე ფონეტიკურ-სტრუქტურულ აგე-

ბულებას. ამის მიხედვით გამოვყავით სიტყვები, რომლებიც ა) მალალ ხმიანობას გულისხმობენ; ბ) საშუალო, ჩვეულებრივ ხმიანობას გამოხატავენ და გ) ხმადაბლა საუბარს. აქ ცალკე გამოიყოფა დეფექტური მეტყველების აღმნიშვნელი ლექსიკა. როგორც ცნობილია, ქართულში აქტიურია სამი ხმოვნით დაპირისპირებული ხმაბადებითი სიტყვები, ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება ა/ი/უ, რომელთა მეშვეობითაც ყოველთვის არ რეალიზდება ტრიადა ან ყოველთვის ადამიანის მეტყველებას არ გამოხატავს.

- [ბაბანი] – [ბიბინი] – [ბუბუნი];
 დადანი – ——— — დუდუნი;
 ——— — ——— — დუდუნი;
 ტატანი – ტიტინი – ტუტუნი;
 ——— — წიწინი – წუწუნი;
 ჯაჯლანი – ჯიჯლინი – ჯუჯლუნი;
 ——— — ჩიჩინი – ჩუჩუნი;
 ——— — ჭიჭყინი – ჭუჭყუნი;
 ——— — ——— — [გუგუნი];
 [კაკანი] – [კიკინი] – [კუკუნი];
 ——— — ——— — [ზუზუნი];
 ——— — [სისინი] – ——— ;
 ——— — [შიშინი] – ——— ;
 ლადანი – ლილინი – ლულუნი;
 ყაყანი – [ყიყინი] – ——— ;
 რახრახი – როხროხი – ——— ;

ამ შემთხვევაში გარკვეული კლასიფიკაცია ხერხდება, ა ხმოვნით წარმოებული სიტყვა უფრო მალალ ტონალობას გამოხატავს, ი და უ კი ცოტა განსხვავებულ სურათს იძლევა. ი ხმოვანი მკვეთრ, გამკვივან ხმოვანებაზე მიგვანიშნებს, რასაც გამაღიზიანებელი და სიჯიუტის ელემენტიც ახლავს (ჯიჯლინი, ჭიჭყინი, წიწინი, ჩიჩინი). თუმცა ყველა ლექსიკური ერთეული ამ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება, მაგალითად, ტიტინი და ლილინი სასიამოვნო, დადებით ეფექტთან არის დაკავშირებული. უ ხმოვანი დაბალხმიანი უარყოფითი ხმიანობის გამომხატველია ყოველთვის, როცა ის ადამიანის მეტყველებას გულისხმობს (გარდა ლულუნისა, რომელიც მტრედის ხმიანობას გამოხატავს, მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით ადამიანებთან დაკავშირებითაც იხმარება). შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული სამი ტონალობის გამოსახატავად ქართულში სამი ხმოვანი გამოიყენება და თუმცა ტრიადები არასრულია და ხშირ შემთხვევაში ადამიანის მეტყველებაზეც არ მიგვანიშნებს, მაგრამ სპეციფიკა მაინც ერთნაირი აქვთ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ცარიელი უჯრები თავისუფლად შეივსებოდა დიალექტური მასალით და ახალ საინტერესო მასალასაც მოგვცემდა.

რაც შეეხება თანხმოვნებს, მალალ ხმას უკეთ გამოხატავენ უკანაენისძირი ხმოული თანხმოვნები, რაც უფრო უკანაწარმოებისაა თანხმოვანი, მით უფრო

მაღალ ტონალობას გამოხატავს; საინტერესოა, რომ ფშვინვიერი თანხმოვნები საერთოდ არ მონაწილეობენ მსგავსი სიტყვების წარმოებაში.

ლიტერატურა

მელიქიშვილი 1999 : ი. მელიქიშვილი, ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი.

რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი 1956.

გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბილისი 1995.

ა. ა. სერეიჩიკოვა, ფრანგული ენის გრამატიკა, თბილისი 1975.

ზ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი 1975

Гумбольдт В. Ф., О различии строения человеческих языков и его влиянии на духовное развитие человечества, Избранные труды по языкознанию, 1984. Tomba-Mecz I., La sémantique, Paris 2006.

საანალიზო მასალა ამოღებულია შემდეგი ლექსიკონებიდან :

ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი 1973.

რ. გაჩავა, სინონიმების ფრანგულ-ქართული სასწავლო ლექსიკონი, თბილისი, 1996.

ა. ნეიმანი, სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი 1978.

ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, თბილისი 1991.

ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი 2001.

ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი 2000.

ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი 1974.

ნ. ქადეიშვილი, ფრანგული ენის თემატურ-დარგობრივი ლექსიკონი, თბილისი 2005

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, ა. ჩიქობავას რედაქციით, თბილისი 1950-64 წწ.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, არნ. ჩიქობავას რედაქტორობით, თბილისი 1985.

ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, I, II, III ტომი, რედ. ნ. ქადეიშვილი, თბილისი 1998.

ს. ყაუხჩიშვილი, მოკლე ქართულ-ლათინური ლექსიკონი, თბილისი 1959.

Ганщина А., Французско-русский словарь, Москва 1946.

Bertaud du Chazaud H. , Dictionnaire de synonymes et mots de sens voisins, 2003.

Dubois J., Mitterand H., Dauzat A., Dictionnaire étimologique et historique du français, 1999.

Genouvrier E., Désirat C., Hordé T., Larousse, Nouveau dictionnaire des synonymes, Paris 1997.

Merveilles et secrets de la langue française - est une réalisation de selection du Reader Digest, Paris, 2002.

Greimas A.J., dictionnaire de l'ancien français jusqu'au milieu du XIV siècle, Canada, 1987.

Micro Robert, Dictionnaire du français primordial, 1987.

Ripert P., Dictionnaire des synonymes de la langue française, 1994.

Lingvo 11.

The Onomatopoeic Words in Georgian and French Languages

Summary

Onomatopoeic words differ according to their characterization in the Georgian and French languages. There are various Onomatopoeic words in Georgian and they create ternaries or pairs through the alternation of vowels and syllables, though the same words are characterized as less systematic ones in the French language. The differentiation of meanings either does not take place or is generally characterized in the translating dictionaries.

რამაზ ქურღაძე

ქართული ლექსიკა რუსულ ჟარგონში

რუსული ჟარგონი და სკაბრეზული გამოთქმები მეტად მრავალფეროვანი და თავისებურია. მას კარგა ხანია სწავლობენ როგორც თვით რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. სრულიად გასაგებია რუსული საენათმეცნიერო-ლექსიკოლოგიური წრეების ინტერესი რუსული ჟარგონისადმი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ საკითხისადმი სხვა ქვეყნების ინტერესიც, რადგანაც ჟარგონი ერთგვარად შეუნიღბავად, დაუფარავად წარმოადგენს ამა თუ იმ ხალხის ბუნებასა და ხასიათს. ჟარგონშივე ჩანს ამა თუ იმ ხალხის დამოკიდებულება სხვა ხალხების მიმართ.

ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, ჩვენთვის არ არის ინტერესს მოკლებული, თუ როგორ არის წარმოდგენილი ქართველი ხალხი და ქართული ლექსიკა რუსულ ჟარგონსა და სკაბრეზულ გამოთქმებში. რა თქმა უნდა, ერთ წერილში შეუძლებელია ამ კუთხით განვიხილოთ მთელი რუსული ჟარგონული ლექსიკა, რომლის შესახებაც საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს როგორც ნაბეჭდი, ასევე საინტერნეტო ელექტრონული ვერსიების სახით. წინამდებარე წერილი მხოლოდ სუთი ლექსიკონის მასალას ემყარება; ამათგან პირველი ოთხი უშუალოდ რუსული ჟარგონის ლექსიკონია, მეხუთე კი XX საუკუნის რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონის მასალებს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ჟარგონი ვიწრო სოციალური ჯგუფის მეტყველებაა, სოციალური დიალექტის სახეა, რომელიც მეტყველების ისეთ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელიც გასაგებია ადამიანთა ვიწრო წრისათვის და გაუგებარია საზოგადოების სხვა წევრებისათვის. სხვა მახასიათებლებთან ერთად ჟარგონი შეიცავს დამცირების, ათვალწუნების (პეიორატიულ) მომენტებსაც (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2003:383-384; ქართული ენა, ენციკლოპედია 2008:383).

დაცინვას, პეიორატიულობას უფრო მძაფრი ხასიათი ეძლევა მაშინ, როდესაც მას ერთი ერის წარმომადგენლები იყენებენ მეორე ერის მიმართ და თანაც დაცინვისა და გაკილვის მიზნით მათი მშობლიური ენის ლექსიკას მიმართავენ.

სწორედ ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რა ადგილი უჭირავს ქართულ ლექსიკას რუსულ ჟარგონში და როგორ იყენებს მას რუსული სლენგის მომხმარებელი.

რუსულ ჟარგონში, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა, თუ როგორ იხსენიებენ ქართველს ან როგორ მიმართავენ მას. ასეთ მიმართვას ირონიული ელფერი აქვს, რასაც ნათლად გამოხატავს ქართული ლექსიკის გამოყენება: ასეთია ქართული სიტყვა *კაცი* ქართული წოდებითი ბრუნვის ფორმით: *კაცო*. ეს

მაგალითი ამერიკაში გამოცემული რუსული ჟარგონის ლექსიკონიდან მოგვყავს. ამ შემთხვევაში სალექსიკონო ფორმას აქაც და ქვემოთაც სრულად წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალასთან ერთად. კონკრეტულად **კაცოსთან** დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ამ ლექსიკონში **კაცო** არასწორად ქართულ სიტყვა მეგობართანაა დაკავშირებული:

КАЦО, *m.*, *indecl.* A Georgien (from the Georgian word for friend). ♦ *Где этот кацо живёт?* "Where does that Georgian guy live?" (Shlyakhov, Adler 1999).

ქართველს მოიხსენიებენ ქართული ანთროპონიმებითაც. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა ქართული სახელის მოფერებით ფორმებს, მაგ.:

ГОГИЯ, *им.*, *шутл.-ирон.* *Грузин.* Елистратов, 94 (Никитина 2003).

ამ სალექსიკონო ფორმას განმარტებისას მიწერილი აქვს: *шутл.-ирон.* – ხუმრობით, ირონიულად. ასევე ხუმრობით და ირონიულად გვხვდება: **გოგი, გივი, ვანო**, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ასევე ხუმრობით, ირონიულად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაცინვითაა შექმნილი რუსეთში მოღვაწე ზოგი ქართველის ან ქართული წარმოშობის ადამიანის ჟარგონული მეტსახელი. ამ შემთხვევაში ზოგჯერ ქართულ სიტყვას იყენებენ, რომელიც ერთმება ამ ადამიანის გვარს:

РКАЦИТЕЛИ, *неизм.*, *м.*, *шутл.-ирон.* *Скульптор Зураб Церетели* (Запись 1999 г.) (Никитина 2003).

ზოგჯერ კი ქართული გვარის დაბოლოებას ინარჩუნებენ და ერთგვარ სიტყვათა თამაშს მიმართავენ, კერძოდ, უღერადობით ქართული გვარის მსგავს სიტყვას ქმნიან, მაგ.:

МАРМЕЛАДЗЕ, *неизм.*, *м.* ****Валерий Мармеладзе**, *шутл.*, *Певец Валерий Меладзе.* Я – молодой, 1997, № 38 (Никитина 2003).

ქართველს აღნიშნავენ არაქართული სიტყვებითაც. დღეისათვის რუსულ ჟარგონზე დიდი გავლენა აქვს ინგლისურ ენას და ეს ქართველთან დაკავშირებულ ჟარგონულ ტერმინებშიც გამოვლინდა, კერძოდ, ქართველს ეძახიან **ДЖОРДЖ**-ს, რაც ინგლისური **Georgian** – **ქართველი** სიტყვიდან მომდინარეობს:

ДЖОРДЖ, *а, м.*, *мн.* **ДЖОРДЖИ.** *Грузин.* Джордж – от англ. Georgian – грузин. Приходили джорджи с *найфами.* Рожанский, 21 – 22. + Борисова-Лукашанец, 112 (Никитина 2003).

რა თქმა უნდა, ქართველს მოიხსენიებენ ყველა იმ ტერმინით, რითაც საერთოდ კავკასიელებს იხსენიებენ. ასეთი ჟარგონული სიტყვებია, მაგალითად, **აბრაგიდან** მომდინარე **АБРЕК**, რაც კავკასიელს, უპატიოსნოს, ქურდს, მატყუარას ნიშნავს:

АБРЕК, *-а, м.*, *neg.* A Caucasian; a dishonest person, cheater (lit., an armed horseman of Caucasian origin). ♦ *На базаре здесь абрак на абраке, все норовят обмануть.* "In this market it's just one thief after another, all trying to rip you off" (Shlyakhov, Adler 1999).

საერთოდ კავკასიელის და, ბუნებრივია, მათ შორის ქართველის აღმნიშვნელადაც რუსულ ჟარგონში არსებობს სომხური ანთროპონიმიც, რაც სომეხსაც აღნიშნავს და ზოგადად კავკასიელსაც:

ХАЧ, а, м., пренебр. *Кавказец*. Хачи как поднялись и вломили ему по полной программе. (Запись 1999 г.).

ХАЧИК, а, м., пренебр. 1. *Армянин*. На рынке в ларьках – одни хачики. Там весь район вокруг армянский (Запись 1989 г.). + Югановы, 237.

2. *Представитель одной из кавказских народностей*. И уже законодателями мод становятся "хачики" (пусть на меня не обидятся представители великих грузинского, армянского и других народов). Я называю этим словом, которое в ходу на толкучках, исключительно рыночных завсегдатаев. Столица, 1992, № 38, 35 (Никитина 2003).

ყველა კავკასიელს მიმართავენ შემდეგი სომხური სახელითაც:

АРМЯШКА – Пренебрежительное название кавказца (СТЛБЖ) (Колесников, Корнилов 1996).

მაშასადამე, სომხურიდან მომდინარე სიტყვებით: **ХАЧ**, **ХАЧИК**, **АРМЯШКА** აღნიშნავენ ყველა კავკასიელს. თუმცა, ქართველის აღსანიშნავად გამოყენებული სახელები უფრო მრავალფეროვანია: **Кацо**, **Гогиа**, **Гоги**, **Гиви**, **Вано**, **Джордж** და, რა თქმა უნდა, **Грузин**. საინტერესოა, რომ ამავე ლექსიკონებში დასტურდება **Мамед**, **Мамеда**, მაგრამ ის შუაზიელს აღნიშნავს და არა აზერბაიჯანელს.

საინტერესოა, რომ რუსულ ჟარგონულ სიტყვებში ხშირად ვხვდებით ქართულ გვართა დაბოლოებებს ნეგატიური მნიშვნელობით. კერძოდ, რუსულ ჟარგონში გვხვდება **-შიელი** და **-ძე** დაბოლოებების მქონე შემდეგი ჟარგონული სიტყვები:

МУДАШВИЛИ – აღნიშნავს სულელს, იდიოტს. ეს სიტყვა საკმაოდ გავრცელებულია, იგი ორ სხვადასხვა რუსულ ჟარგონულ ლექსიკონში დასტურდება.

МУДАШВИЛИ, *m., indecl., joc.* A fool, an idiot (from **мудак** and typical Georgian surname formative **-швили**). ♦ *Что хочет этот мудашвили?* "What does that idiot want?" (Shlyakhov, Adler 1999);

მეორე ლექსიკონის მიხედვით ეს სიტყვა ასევე სულელს აღნიშნავს და თანაც კავკასიელს:

МУДАШВИЛИ – просто дурак – в кавказском исполнении. То же самое – **МУДАК**, **МУДИК**, **МУДИЛО**, **МУДОФЕР**, **МУДОТЯП**, **МУДОЕБ** (Макловски, Кляйн, Щуплов 1999).

ამ სიტყვის პირველ ნაწილს ბევრი ვარიანტი აქვს და ამავე ლექსიკონების მიხედვით უკავშირდება ჟარგონულ სიტყვებს: **МУДА**, **МУДЕ**, რომელებსაც მამაკაცის წელსქვემოთა ნაწილად, გენიტალიებად განმარტავენ; გადატანით

კი უმნიშვნელო ამბავს, წვრილმანსაც ნიშნავს (Колесников, Корнилов 1996; Shlyakhov, Adler 1999).

რუსული ჟარგონული ლექსიკური ერთეული ქართული გვარის -ბე დაბოლოებით ზემოთაც დავასახელეთ, მაგრამ ის კონკრეტულად მოძღვრალ ვალერი მელაძეს ეხებოდა. ამჯერად კი მოვიყვანთ -ბე დაბოლოების მქონე მაგალითს, რომელიც სიზარმაცეს, რაიმის კეთების სურვილის უქონლობას აღნიშნავს:

ВЛОМИНАДЗЕ – лень, нехотение (Макловски, Кляйн, Щуплов, 1999). მართალია, ამ მაგალითის განმარტებაში არაა ნახსენები არც ქართველი და არც კავკასიელი, მაგრამ დაბოლოების მიხედვით აშკარაა, რომ ის ქართულ გვართა მაწარმოებელ ფორმანტს -ბე-ს უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მაგალითთან წარმოდგენილია ფოლკლორული ნიმუშები, რომლებიც ქართველებზეა, მათი მოქმედი გმირები არიან ზოგადად ვინმე ქართველი, გივი, გოგი და ვანო. ეს პერსონაჟები ჰომოსექსუალისტები არიან. აქ ხუთი ფოლკლორული ნიმუშია. ჩვენ ბოლო ორს მოვიყვანთ, რადგან მათში პირველი სამისაგან განსხვავებით არ გვხვდება უხამსი სიტყვები, თუმცა გასაგებია, თუ როგორაა წარმოდგენილი ქართველის სახე ამ ლექსიკონში:

– Дети, разберите предложение: "Гоги и Гиви пошли мыться в баню".

– Здесь Гоги – подлежащее, Гиви – подлежащее, баня – местоимение, а помитсья – предлог.

Встречаются два грузина. Один говорит:

– Ванო, мне приснился страшный сон! . . .

– Мужчина с мужчиной?

– Нэт, хужэ. . .

– Женьщина с женьщиной?

– Нэт, хужэ. . . Я и я! (Макловски, Кляйн, Щуплов 1999).

საინტერესო მნიშვნელობები აქვთ რუსულ ჟარგონში სიტყვებს **Грузин-ს** და **Грузия-ს**:

ГРУЗИН, ა, მ., шутл. *Лгун, обманщик; человек, который говорит вздор, ерунду*. Грузин – кто "грузит", болтает ерунду всякую (Запись 1996 г.). Он грузин тот ещё, только уши подставляй под лапшу (Запись 1996 г.);

ГРУЗИЯ, ი, ჯ., шутл. *Ерунда, лишняя, ненужная информация*. А учителя ей говорят типа того, что лекция ваша – такая грузия, мы и сами знаем про всё это (Запись 1996 г.) (Никитина 2003).

არც ამ სიტყვების განმარტებისას და არც აქ მოხმობილ საილუსტრაციო მაგალითებში ქართველი არაა ნახსენები, ეს სიტყვები უკავშირდება რუსულ ზმნას грузить, რასაც ჟარგონში შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

ГРУЗИТЬ, ж , зит, несов., неодобр. 1. *Вести пустые, бессмысленные разговоры.* . . .

2. *Лгать, обманывать кого-л.* . . . 3. спорт. *Сильно бить по мячу, отдавать навесную передачу (в футболе)*... 4. кого, бизн., крим. *Бить кого-л. с целью получения долга*... ამასვე უკავშირდება სიტყვები: **ГРУЗИТЬСЯ**, **ГРУЗЧИК** (Никитина 2003).

საყურადღებოა, რომ ამათგან მომდინარე სიტყვა ქართულ ჟარგონშიც იხმარება: „**გრუზავს** – ბევრი ლაპარაკით ტვინს უღაყებს, „ტვირთავს“ (მდრ. რუს. грузить – ტვირთვა). „ – *სანდრიკო, იცი, ამ ბოლო დროს უხეში ვახდი. – წადი, რა, ან გაჩუბდი, ნუ მგრუზავ*“ (დავით ქართველიშვილი) (ბრეგაძე 2005).

მაგრამ ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ლაყობა, ფუჭი ლაპარაკი ანუ ის მნიშვნელობანი, რაც რუსულ ჟარგონში რუსულივე грузить სიტყვიდან მომდინარე ჟარგონულ ლექსიკურ ერთეულებს აქვთ, ქართველის (**Грузин**) და საქართველოს (**Грузия**) აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს ემთხვევა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში საგანგებოდ არ შეურჩევიათ ქართველისა და საქართველოს სახელები რუსული ჟარგონის მომხმარებლებს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიტყვების თუნდაც შემთხვევითმა დამთხვევამ კიდევ ერთხელ გახაზა ქართველებისა და საქართველოს მიმართ ირონიული, დამცინავი დამოკიდებულება.

ირონიული დამოკიდებულებით სხვა ქართული სიტყვებიც გვხვდება რუსულ ჟარგონში. ვფიქრობთ, ასეა, როცა პოპულარული ამერიკული მუსიკალური ჯგუფის სახელს „ბონ ჯოვი“ მასთან ხმოვანობით ერთგვარად ახლო მდგომი ქართული სიტყვით **ბორჯომით** ცვლიან:

БОРЖОМИ, нетзм. шутл. *Американская группа "Бон Джови", пользующаяся огромной популярностью у девочек всего Союза (СНГ).* МК, 07.08.92+Я – молодой, 1995, №6; Я – молодой, 1997, №45 (Никитина 2003).

ასევეა მაშინაც, როდესაც რომელიმე ქართულ სიტყვას ირონიით განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობენ, კერძოდ, თამადას (თამადა) დაცინვით სუფრაზე თვითნებურად მოთავე ქალიშვილს ან ქალს უძახიან:

ТАМАДА – ДЕВКА, *верховодящая за столом. То же самое – МАССОВИК-ЗАТЕЙНИК* (Макловски, Кляйн, Щуплов 1999).

რუსული ჟარგონული ლექსიკონების შემდგენლებს ზოგჯერ ისეთი ქართული სიტყვა შეაქვთ ლექსიკონში, რომელიც არც ქართულშია ჟარგონიზმი და არც რუსულში. კერძოდ, ასეთად მიაჩნიათ ქართული სახელი **კობა**:

КОБА – *партийная кликуха И. Сталина*... (Макловски, Кляйн, Щуплов, 1999). სხვათა შორის, ამ სიტყვას ჟარგონული სიტყვითვე განმარ-

ტავენ "кликуха"-ც ჟარგონულია, ის მეტსახელს ნიშნავს (Shlyakhov, Adler 1999).

ამ შემთხვევაში კობა მხოლოდ იმიტომ მიაჩნიათ ლექსიკონის შემდგენლებს ჟარგონიზმად, რომ ის სტალინის რევოლუციური მეტსახელია. ავტორები არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამგვარი მეტსახელები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შემდგომში ფსევდონიმებადაც გაფორმდა, ბევრ რევოლუციონერსა და პოლიტიკურ ლიდერს აქვს, ყველაფერს რომ თავი დაჰვანებოთ, თვითონ ლენინიც და სტალინიც ფსევდონიმებია. მაგრამ კობას კი ჟარგონიზმად თვლიან. საქართველოში ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ კობა იაკობის მოფერებითი ფორმაა და სტალინის რევოლუციური პერიოდის მეტსახელია. რუსული ჟარგონული ლექსიკონის ავტორებმა კი კობა ჟარგონად მიიჩნიეს და ამ ლექსიკურ ერთეულთან თითქმის გვერდნახვერიანი მინაწერი წარმოადგინეს, რომლის მიხედვითაც სტალინი სომხური წარმოშობისაა და საკმაოდ გარყვნილი პიროვნებაა, რომელსაც სისხლის აღრევაც კი ბრალდება. რასაკვირველია, ყოველივე ეს ქართველისა და ქართულის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენაა.

მაგრამ ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არ არის სტალინის დაცვა, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყველა რუსული ლექსიკონი არ არის ასეთი ტენდენციური, ზოგიერთ მათგანში იმავე სტალინთან დაკავშირებით საინტერესო მასალებსაც ვხვდებით, რომლის მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ სტალინი და სტალინიზმი არ არის ქართული მოვლენა. კერძოდ, ერთ-ერთ ლექსიკონში, რომელშიც სალექსიკონო ფორმად დასახელებულია: "отец народов, отец родной И.В. Сталин" წარმოდგენილია ასეთი მინაწერი:

"В разговоре с поэтом Чиковани переводчик А. Г. Сендик обмолвился однажды

– Ваш Сталин...

– Наш Сталин!? – задумчиво повторил Чиковани и иронически хмыкнул. – Почему – наш? В Грузии он был всего только сыном пьянчужки-дьячка (которого за давностью лет стали выдавать сначала за сапожника, а потом за рабочего обувной фабрики). Это у вас он стал "отцом родным"! Смотри-ка, какой ты остроумный – наш, видите ли, Сталин! Ваш, Анатолий Генадиевич! Ваш!" (Гусейинов 2003).

აქ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ქართული სიტყვების გამოვლენა რუსულ ჟარგონულ ლექსიკაში მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ქართული სიტყვა საოცრად განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება რუსულ ჟარგონში. ასეთია, მაგალითად:

ЧОНГУРИ, რაც ბგერობრივი შედგენილობით ზუსტად ემთხვევა ქართული ხალხური მუსიკალური საკრავის სახელს – ჩონგურს, თუმცა მნიშვნელობით წარმოუდგენლად განსხვავებულია, ის შორეული აღმოსავლეთიდან დედაქალაქში ჩამოსულ ჰომოსექსუალისტს აღნიშნავს:

ЧОНГУРИ – гей, приехавший в столицу с Дальнего Востока. Что не шаг – улетает в кашку (Макловски, Кляйн, Щуплов 1999).

ამ შემთხვევაში ბერობრივი შედგენილობის მსგავსების გარდა არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეს ორი სიტყვა ერთმანეთს დავუკავშიროთ, აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ **ЧОНГУРИ**-ს რაიმე სხვა მნიშვნელობა რუსულში ჩვენთვის უცნობია, ვფიქრობთ, ასეთი ცალკეული მაგალითები სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით აშკარაა ის ირონიული, დამცინავი და ერთგვარად ზიზღნარევი დამოკიდებულება ქართველის, ქართულ რეალობათა და საქართველოს მიმართ, რაც რუსულ ჟარგონში გვხვდება. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ მოყვანილი მაგალითები ასახავს მთელი რუსეთის დამოკიდებულებას ქართველების მიმართ, მაგრამ საზოგადოების ერთ ნაწილში, რომელიც ამ ჟარგონული ლექსიკის მომხმარებელია, ქართველების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ნამდვილად არსებობს.

ლიტერატურა

- ბრეგაძე 2005*: ლ. ბრეგაძე, ქართული ენის ჟარგონის ლექსიკონი, თბილისი.
- გამყრელიძე, კიენაძე, შაღური, შენგელაია 2003*: თ. გამყრელიძე, ზ. კიენაძე, ი. შაღური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი.
- ქართული ენა, ენციკლოპედია 2008*: ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი.
- Гусейинов 2003*: Г. Гусейинов, Д. С. П, Материалы к Русскому Словарю Общественно-Политического Языка XX Века, Три квадрата, Москва.
- Колесников, Корнилов 1996*: Н. П. Колесников, Е. А. Корнилов, Поле Русской Брани, Словарь бранных слов и выражений в русской литературе (от Н. С. Баркова и А. С. Пушкина до наших дней), "Феникс", Ростов-на-Дону.
- Макловски, Кляйн, Щуплов 1999*: Т. Макловски, М. Кляйн, А. Щуплов, Жаргон-Энциклопедия Сексуальной Туссовки Для Детей От 8 До 18 Лет, научное издание (жест-1), Москва; Т. Макловски, М. Кляйн, А. Щуплов, Жаргон-Энциклопедия Сексуальной Туссовки Для Детей От 18 До 80 Лет и Дальше, научное издание (жест-2), Москва.
- Никитина 2003*: Т. Г. Никитина, Словарь Молодёжного Сленга, Санкт-Петербург.
- Shlyakhov, Adler 1999*: V. Shlyakhov and E. Adler, Dictionary of Russian Slang & Colloquial Expressions, 2nd Edition, Hauppauge, New York.

Georgian Lexical Units in Russian Jargon

Summary

The article deals with several Georgian words which are testified in Russian speech and are registered in Jargon Dictionaries. These words usually have a derogatory ironic meaning. The examples of such words are: anthroponyms: **Gogia, Gogi, Givi, Vano, Koba**, etc; Russian jargon words containing the endings denoting Georgian family names: **-shvili**, or **-dze**, such as **Mudashvili** – a stupid person, **Vlominadze** – laziness.

Other words of Georgian origin can also be used ironically in Russian jargon: **Rkatsiteli** (a sort of Georgian wine), used to refer to a sculptor Zurab Tsereteli; **Borjomi** a modified form used to refer to an American musical group "Bon Jovie", **Tamada** – an active self-imposed female person at the feast, etc.

ტიპოლოგია

რუსულან ასათიანი

ენის ღომინანტური კატეგორია და მრავალწევრი კონსტრუქციითა
თავისებურებანი ქართულსა და ფოვა-თუშურში

I. შესავალი: თეორიული მიდგომა

1.1. ენათა რელაციური ტიპოლოგია

ინფორმაციის ლინგვისტური სტრუქტურირება ბუნებრივ ენებში ძირითადად სამი მთავარი განზომილების მიხედვით მიმდინარეობს:

1. სიტუაციაში ჩართული მონაწილეების მარკირება;
2. საინფორმაციო ნაკადში ღირებული ინფორმაციის მარკირება;
3. საკომუნიკაციო აქტში ჩართული პირების მარკირება.

პირველი ტიპის ენები ორიენტირებულია ენის გარეთ არსებული სიტუაციის სტრუქტურირებაზე და, სიტუაციიდან გამომდინარე, გრამატიკული ფორმებით განასხვავებენ სახელთა ძირითად სემანტიკურ როლებს: აგენსი, პაციენსი და ადრესატი. მეორე ტიპის ენებში აქცენტი გადატანილია ინფორმაციის ფსიქოლოგიურ აღქმაზე და ლინგვისტური, ფორმალური სტრუქტურებით გამოიკვეთება ინფორმაციის გადამცემის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი, ღირებული ინფორმაცია. მესამე ტიპის ენების შემთხვევაში კი ამოსავალია საკომუნიკაციო აქტის მონაწილეების – მოსაუბრის (I პირი), მსმენელისა (II პირი) და საუბრის საგნის (III პირი) – ფორმალური შეპირისპირება. იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა ენაში გრამატიკალიზებული ეს სამი განზომილება, განარჩევენ სამი ტიპის ენებს (კიბრიკი 1997):

1. ენები, რომლებიც არც ერთი განზომილების გრამატიკალიზაციას არ ახდენენ;
2. ენები, რომლებიც მკაცრად მხოლოდ ერთი განზომილების ლინგვისტურ მარკირებას ანიჭებენ უპირატესობას;
3. ენები, რომლებიც რამდენიმე განზომილების გრამატიკალიზაციის საშუალებით აგებენ სტრუქტურებს.

ამ რელაციური ტიპოლოგიის მიხედვით ბაცბური და ქართული ერთ ტიპოლოგიურ კლასში თავსდება, რამდენადაც ამ ენებში გრამატიკული სტრუქტურები აიგება როგორც სემანტიკური როლების, ისე საკომუნიკაციო როლების მარკირების საფუძველზე.

1.2. საკითხის დასმა

მიუხედავად იმისა, რომ ეს ენები მსგავსია რელაციური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერგატიული კონსტრუქციების განმსაზღვრელი სემანტიკური ნიშნებითა და თავისებურებებით. ერგატიულ კონსტრუქციებს ბაცურსა და ქართულში გასხვავებული საფუძველი აქვთ და საკითხიც შემდგომ ანალიზს მოითხოვს.

II. ერგატიული კონსტრუქციები და მისი განმსაზღვრელი კატეგორიების იერარქიები ქართულში

2.1. სახელთა ბრუნვებსა და პირის ნიშანთა შორის არსებული მიმართებები

როგორც ცნობილია, ქართულში გამოიყოფა პირის ნიშანთა ორი რიგი: ვინისა და მანის:

	ვ-ტიპი			მ-ტიპი		
	მხ.	პრ.		მხ.	პრ.	
I.	ვ-	ვ-	-თ	მ-	გვ-	
II.	—		-თ	გ-	გ-	-თ
III.	-ს,ა,ო	-ნ,ენ,ან, ნენ,ეს		ჰ,ს,Ø-	ჰ,ს,Ø-	(-თ)

ტრადიციულად ვინის რიგის ნიშნები მიიჩნევა სუბიექტის ნიშნებად, მანის რიგისა კი ობიექტის, თუმცა ეს შესაბამისობა ხშირად ირღვევა: პერფექტულ დროებში, აგრეთვე, აფექტურ ზმნებთან შებრუნებული ვითარებაა – სუბიექტი წარმოდგენილია მანის რიგის ნიშნებით, ობიექტი კი – ვინის. სწორედ ამის გამოა, რომ ამ ფორმებს ‘ინვერსიულს’ უწოდებენ. ბრუნვის ნიშნებსა და სუბიექტ/ობიექტის ცნებებს შორის ასეთი არაცალსახა დამოკიდებულების გამო, უფრო ადეკვატური ჩანს ამ ნიშნების გაანალიზება ყოველგვარი ფუნქციონალური კვალიფიკაციების გარეშე, უბრალოდ, ბრუნვებთან ფორმალური მიმართებების აღწერის საფუძველზე:

1. მიცემითში მდგარი სახელი ზმნაში ყოველთვის მანის ტიპის პირის ნიშნებს აჩენს;
2. მოთხრობითში მდგარი სახელი – ვინის რიგის პირის ნიშნებს;
3. სახელობითში მდგარი კი
 - (ა) ვინის ტიპისას (თუ მასთან ერთად ზმნასთან მიმართებას არ ამყარებს მოთხრობითში მდგარი სახელი);
 - (ბ) მანის ტიპისას (თუ მასთან ერთად ზმნასთან წარმოდგენილია მოთხრობითში მდგარი სახელი);
 - (გ) ნულს (თუ მასთან ერთად ზმნას უკავშირდება ორივე, როგორც მიცემითში, ისე მოთხრობითში მდგარი სახელი).

სახელთა ბრუნვებს, თავის მხრივ, განსაზღვრავს ზმნის განსხვავებული სემანტიკური კლასები (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალებითი) და ასპექტსა და დრო-კილოთა

სერიებს შორის არსებული სხვაობები. უღლების ოთხი ტიპისა და სამი სერიის მიხედვით განსხვავებული ბრუნვათა მოდელების აღწერაზე დაფუძნებულ შემავაზებელ სქემას შემდეგი სახე ექნება:

არგუმენტები	I-სერია			II-სერია			III-სერია		
	I	II	III	I	II	III	I	II	III
I-კლასი	NOM	DAT	DAT	ERG	NOM	DAT	DAT	NOM	(PP)
II-კლასი	NOM	(DAT)	DAT	NOM	(DAT)	DAT	NOM	(DAT)	DAT
III-კლასი	NOM	–	DAT	ERG	–	DAT	DAT	–	(PP)
IV-კლასი (პასიური)	NOM	–	DAT	NOM	–	DAT	NOM	–	DAT
(აფექტური)	DAT	–	NOM	DAT	–	NOM	DAT	–	NOM

წარმოდგენილი სქემის ინტერპრეტაციის შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დებულებები:

1. გამოიყოფა სამი ტიპის ბრუნვათა ყალიბები: ნომინატიური (I არგუმენტი – სახელობითში, მეორე (თუ ასეთი არის) და მესამე – მიცემითში), ერგატიული (I არგუმენტი – მოთხრობითში, მეორე (თუ ასეთი არის) – სახელობითში, მესამე – მიცემითში) და დატიური (პირველი არგუმენტი – მიცემითში და მესამე – სახელობითში);

2. აფექტური (ე.წ. ინვერსიული) ზმნები ყველაზე თანმიმდევრულია ბრუნვათა ყალიბების შერჩევის თვალსაზრისით – ისინი ყოველთვის (სერიების განურჩევლად) დატიური მოდელის შესაბამისად აფორმებენ მათთან დაკავშირებულ სახელ(ებ)ს (resp. არგუმენტებს): ექსპერიენცერი (I არგუმენტი, ფუნქციურად სუბიექტი) ყოველთვის მიცემითშია, სტიმული კი (II არგუმენტი, ფუნქციურად ობიექტი) – სახელობითში;

3. II და IV(პასიური) კლასის ზმნები ყოველთვის ნომინატიურ ყალიბს ირჩევენ: პირველი არგუმენტი (resp. სუბიექტი) სახელობითშია, მესამე კი (resp. ობიექტი) მიცემითში (ზოგიერთ II კლასის ზმნას (ე.წ. დეპონენსებს) შეიძლება ახლდეს კიდევ ერთი ობიექტი მიცემითში);

4. ერგატიული კონსტრუქცია გვაქვს მხოლოდ I და II კლასის ზმნების II და III სერიაში: პირველი არგუმენტი (სემანტიკურად – აგენსი, ფუნქციონალურად კი სუბიექტი) II სერიაში წარმოდგენილია მოთხრობით ბრუნვაში, III-ში კი მიცემითში;

5. II და III არგუმენტებს შორის ფორმალური განსხვავება მხოლოდ II სერიაში გვაქვს: II არგუმენტი არის სახელობითში, ხოლო III – მიცემითში. ამდენად, შეიძლება ამ ფუნქციური როლის ცალკე გრამატიკულ კატეგორიად გამოყოფა და პიდაპირი და ირიბი ობიექტების განსხვავება;

6. მოთხრობითი არის ერთადერთი ბრუნვა, რომელიც ფუნქციონალურად მხოლოდ ერთ არგუმენტს უკავშირდება – თუ გვაქვს მოთხრობითი, სახელი სუბიექტია. ყველა სხვა ბრუნვა პოლიფუნქციურია: მიცემითი შეიძლება იყოს

როგორც სუბიექტის (I და III კლასის ზმნებისთვის III სერიაში და IV (აფექტური) ზმნებისთვის), ასევე პირდაპირი (I სერიაში) და ირიბი ობიექტის (I და II სერიაში) ბრუნვა. სახელობითი პოლიფუნქციურია; ის გამოხატავს, როგორც სუბიექტს (I სერიაში და II/III (ვნებით) კლასის ზმნებთან), ასევე პირდაპირ დამატებას (I და III კლასის ზმნების II სერიაში), ასევე სტიმულს IV (აფექტური) ზმნებისა. ამდენად, ბრუნვების ცალსახა დაკავშირება სინტაქსურ ფუნქციებთან, ასევე, ვერ ხერხდება;

7. მოთხრობითი ბრუნვა სამი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩნდება: (ა) სახელი უნდა იყოს III პირის (I ან II პირის ნაცვალსახელები საერთოდ არ იბრუნვიან და არასოდეს დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს); (ბ) ზმნა უნდა იყოს I ან III კლასის (აქტიური, გარდამავალი; ე.ი. სახელი უნდა იყოს აგენსი); სერია კი II. ე.ი ქართულში გვაქვს ე.წ. გახლეჩილი ერგატივი (დიქსონი 1994) – ზმნის აქტიურობის, დრო-კილოთა სერიებისა და I/II:III პირთა დიქტომიის მიხედვით.

ამ ინტერპრეტაციების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მანის ბრუნვები, პირის მანისა და ვინის რიგების მსგავსად, არ გამოხატავენ დაპირისპირებას სუბიექტსა და ობიექტს შორის; ე.ი. არ არიან ფუნქციონალურად, სინტაქსური მიმართებებით განსაზღვრულნი. ამდენად, საძიებელია ის სემანტიკური ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს ბრუნვათა ყალიბებსა და პირის ნიშანთა სისტემებს შორის დაპირისპირებას.

მანისა და ვინის რიგის პირის ნიშნები, ასევე, გამოხატავენ დაპირისპირებას ისეთ მოქმედებებს შორის, რომელთა სუბიექტები მოქმედებენ ან არ მოქმედებენ საკუთარი 'თავისუფალი ნების' შესაბამისად; მაგ.:

- | | |
|-------------|--------------|
| (ა) გავტეხე | (ბ) გამოიყდა |
| დავხარჯე | დამეხარჯა |
| დავკარგე | დამეკარგა |
| ვტირი | მეტირება |
| ვმღერი | მემღერება |

(ა) მაგალითებში სუბიექტი მოქმედებს თავისი 'თავისუფალი ნებით', მაშინ როდესაც (ბ)-ში ის მოქმედებს თავისი 'თავისუფალი ნების' გარეშე (უნებურად, უცაბედად, მოულოდნელად). თუ ამ მონაცემებსაც გავითვალისწინებთ და 'თავისუფალი ნების' სემანტიკური ნიშნის თვალსაზრისით გავაანალიზებთ ბრუნვებსა და პირის ნიშნებს, დავინახავთ, რომ ყოველთვის, როდესაც სუბიექტი მოქმედებს თავისუფალი ნების გარეშე (ასეა აფექტური ზმნების შემთხვევაშიც), ან როდესაც უცნობია სუბიექტის თავისუფალი ნება, ჩართულია თუ არა მოქმედებაში (ასეა III სერიის პერფექტული დროების შემთხვევაში), სუბიექტი წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვით და ზმნაშიც შესაბამისად ჩნდება მიცემითის ფარდი

მანის რიგის პირის ნიშნები. ახლა, თუ სხვა არგუმენტებსაც გავაანალიზებთ ამ ნიშნითა და სემანტიკური როლების მიხედვით, ცხადი გახდება, რომ ქართულისთვის უფრო ადეკვატურია პირის ნიშანთა ანალიზი ფუნქციონალური კვალიფიკაციების გარეშე. მათი კოდირების მექანიზმების დადგენა შესაძლებელია სემანტიკურ როლებზე დაყრდნობითა და არგუმენტების 'თავისუფალი ნების' სემანტიკური ნიშნის დახმარებით. ეს ნიშანი მართლაც ღირებულ როლს თამაშობს პირის ნიშანთა მართვის პროცესში და განსაზღვრავს, თუ რომელი როლის სახელი რომელი ნიშნით (მანისა თუ ვინის) იქნება წარმოდგენილი ზმნაში. კოდირების სხვადასხვა შესაძლებლობები გარკვეული რეგულარული წესების სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

I წესი: ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან ის სახელი, რომლის 'თავისუფალი ნება' მოქმედებაში ჩართული არაა (ან არ არის ცნობილი, მისი ნება ჩართულია თუ არა), ყოველთვის მარკირებულია მანის რიგის ნიშნებით (ასეთებია: Ad, პერფექტულ დროთა Ag, აფექტურ ზმნათა Exp.);

II წესი: ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან ის სახელი, რომლის 'თავისუფალი ნება' მოქმედებაში ჩართულია, ყოველთვის მარკირებულია ვინის რიგის ნიშნებით (ასეთებია: Ag, აფექტურ ზმნათა St.);

III წესი: ზმნასთან დაკავშირებულ სახელთაგან ის სახელი, რომლის 'თავისუფალი ნება' მოქმედებასთან მიმართებაში ყოველთვის გამორიცხულია* (ასეთია მხოლოდ P), მარკირებულია:

1. ვინით, თუ მასთან ერთად ზმნასთან არაა დაკავშირებული სხვა სახელი;
2. ვინით, თუ მასთან ერთად ზმნას უკავშირდება სახელი, რომლის 'თავისუფალი ნება' არაა ჩართული მოქმედებაში;
3. მანით, თუ მასთან ერთად ზმნას უკავშირდება სახელი, რომლის 'თავისუფალი ნება' ჩართულია მოქმედებაში;
4. ნულთ, თუ მასთან ერთად ზმნას უკავშირდება ორივე სახელი, რომელთაგან ერთის ნება ჩართულია, მეორესი კი – არა;

ეს წესები იერარქიულად მოწესრიგებულია: I>II>III-1/III-2/III-3/III-4; ე.ი. ჯერ მოქმედებს პირველი წესი და თუ როლების შესაბამისად ვერ ხერხდება პირის

* Ad და P როლები, ორივე, Ag-სგან განსხვავებით, მოქმედებაში ჩართულები არიან 'თავისუფალი ნების' გარეშე. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ Ad სემანტიკურად შეიძლება იყოს თავისუფალი ნების მატარებელი, P კი პროტოტიპულად ყოველთვის 'ნების' არმქონე როლია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის სემანტიკურად აქტიურია (ე.ი. 'ნების მქონე'), თუმცა, როგორც მოქმედების ქვეშ მყოფი არგუმენტი (resp. undergoer), 'ნება წართმეულია'.

ნიშანთა მინიჭება, გადავდივართ მეორეზე და ა.შ. მაგალითად, ფორმა *მ-იყვარ-ს* მიიღება შემდეგი გენერაციული პროცესით: მას შეეწყობა ორი როლი – Exp. და St. ამათგან Exp. არის როლი, რომელიც ვერ მოქმედებს თავისი თავისუფალი ნების შესაბამისად. ამდენად, I წესის თანახმად ის ზმნაში მარკირებული უნდა იყოს მანის რიგის ნიშნებით (მეორე არგუმენტს რჩება ვინის რიგის ნიშნები – III-3 წესი); და ა.შ.

მაგალითები:

ს-ცივ-ა — I>II
ცხოვრობ-ს — II
იხატებ-ა — III-1
ხატავ-ს — II>III-3
ვ-უხატავ — II>III-2
მ-იხატავ-ს — I>II >III-4
ვ-ახატვინებ-ს — I>II>III-4
ვ-უყვარ-ვარ — I>II

ასე რომ, ქართულის პირის ნიშანთა განაწილება ორიენტირებულია არა სინტაქსურ ფუნქციებზე (სუბიექტი/ობიექტი), არამედ სემანტიკურ როლებზე, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სემანტიკური როლების მთავარ განმასხვავებელ ნიშანს, 'თავისუფალ ნებას'.

2.2. დომინანტური კატეგორია

ახლა გასარკვევია, თუ იმ კატეგორიათაგან, რომლებიც განსაზღვრავენ ერთი კონსტრუქციას, რომელია იერარქიულად უფრო ძლიერი, დომინანტური. ასეთად მიგვაჩნია I/II:III პირის დიქტომია და ამ თვალსაზრისის გასამყარებლად წარმოვადგენთ შემდეგ არგუმენტებს:

- 1. ბრუნვათა მოდელები:** I/II პირი არასოდეს დაირთავს ბრუნვის ნიშნებს (ე.ი. არ იბრუნვის), მაშინ როდესაც III პირის ნაცვალსახელებსა თუ სახელებს აქვთ მეტად განვითარებული, შვიდბრუნვიანი სისტემა;
- 2. ზმნური პირის ნიშნები:** I/II პირი ზმნაში ყოველთვის მარკირებულია პრეფიქსებით, III პირი კი ძირითადად სუფიქსებით;
- 3. III პირის ნიშანთა ალომორფთა სიჭრელე:** I/II პირის ალომორფები ერთგვაროვანია და ძირითადად ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენს, მაშინ როდესაც III პირის ალომორფები მრავალფეროვანია და სხვადასხვა მორფოლოგიური ნიშნებით განპირობებული: სულიერობა, დრო-კილოთა ფორმები, აქტივ-პასივის დაპირისპირება;
- 4. რიცხვში შეთანხმება:** I/II პირი ყოველთვის უპირობოდ ითანხმებს ზმნას რიცხვში, მაშინ როდესაც III პირი ამ თვალსაზრისით შეზღუდულია: მხოლოდ სულიერი სუბიექტი ითანხმებს ზმნას რიცხვში;

5. მრავალპირიანობის ძირითადი ფუნქცია: I/II პირი (სუბიექტი იქნება ის თუ ობიექტი) ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი ზმნაში, III პირი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სუბიექტია;


6. ქცევის კატეგორია: თუ მოქმედების შედეგი ეკუთვნის (ან გამიზნულია) I/II პირს, ზმნაში ყოველთვის წარმოდგენილია მხოლოდ -ო- ხმოვანი პრეფიქსი (ე.წ. სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები), ხოლო თუ III პირს, ან -ო- (სათავისოს დროს) ან -უ- (სასხვისოს დროს);

7. ორიენტაციის კატეგორია: თუ მოქმედება მიმართულია I/II პირისკენ ზმნაში გვაქვს ე.წ. რთული ძო-იანი ზმნისწინები, ხოლო თუ III პირისკენ, – ე.წ. მარტივი ზმნისწინები.

აღნიშნული არგუმენტები ნათლად მოწმობენ, რომ ქართული ენის გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში პრივილეგირებული, დომინანტური როლი სწორედ რომ I/II:III დიქტომიის გრამატიკულ მარკირებას ენიჭება. ინფორმაციის ენობრივი სტრუქტურირების დროს, უპირველეს ყოვლისა, I/II:III დიქტომიის საფუძველზე იმიჯნება I/II და III პირის ქვესისტემები და უკვე შემდეგ III პირის ქვესისტემაში ბრუნვების საშუალებით ხდება სემანტიკური როლების განსხვავება.

2.3. მორფოსინტაქსური კონსტრუქციების განმსაზღვრელი იერარქიები

ზემოთ მოცემული არგუმენტებისა და ანალიზის საფუძველზე წარმოვადგენთ შემდეგ იერარქიას:



III. ერგატიული კონსტრუქციები და მისი განმსაზღვრელი კატეგორიების იერარქიები წოვა-თუშურში

3.1. სახელთა ბრუნვებსა და ზმნაში წარმოდგენილ კლასის და პირის ნიშანთა შორის არსებული მიმართებები

წოვა-თუშურში ზმნური ფორმები იცვლება სახელთა კლასების მიხედვით. მხოლოდობითი რიცხვის სახელები ზმნაში აჩენენ ოთხიდან ერთ-ერთ ნიშანს: *v-*, *b-*, *j-*, *d-*, ხოლო მრავლობითი რიცხვისა – სამიდან ერთს: *b-*, *d-*, *j-*. ამ ე.წ. კლასის ნიშნების სემანტიკური კვალიფიკაცია და კლასების რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა საკმაოდ გართულებულია (სხვადასხვა მკვლევრები სხვადასხვა დროს გამოყოფენ 7-დან 20-მდე კლასს), მაგრამ ამ ნიშნების ფუნქცია გარკვეულია: გარდამავალი ზმნები გვიჩვენებენ ობიექტის კლასს, გარდაუვლები კი სუბიექტისას (ჭრელაშვილი 2002, გაგუა 1953). ამგვარად, კლასის ნიშნების მიხედვით წოვა-თუშური ტიპიური ერგატიული ენაა:

გარდაუვალი კონსტრუქციები

st'ak' v-ayō 'კაცი მოღის'

nan j-ayō 'ქალი მოღის'

bader d-ayō 'ბავშვი მოღის'

vaser b-ayō 'ცხენი მოღის'

გარდამავალი კონსტრუქციები

st'ak'ov voh v-evin 'კაცმა მოკლა ვაჟიშვილი'

st'ak'ov nan j-evin 'კაცმა მოკლა დედა'

st'ak'ov pxak'al d-evin 'კაცმა მოკლა კურდღელი'

st'ak'ov ča b-evin 'კაცმა მოკლა დათვი'

წოვა-თუშურში მოთხრობითი ბრუნვა, ქართულის მსგავსად, გვიჩვენებს I/II პირის დიქტომიას: I/II პირის ნაცვალსახელებს მოთხრობითში ყოველთვის ერთი და იგივე ფორმა აქვთ, მაშინ როდესაც III პირის (ნაცვალ)სახელებს – განსხვავებული:

რიცხვი	მხოლოდობითი		მრავლობითი	
ბრუნვები	NOM	ERG	NOM	ERG
I პირი	<i>so</i>	<i>as</i>	<i>txo</i>	<i>atx</i>
II პირი	<i>ħ o</i>	<i>aħ</i>	<i>šu</i>	<i>ajš</i>

მესამე პირის ალომორფებია *-s* და *-v*. მათი განაწილება განისაზღვრება სპეციფიკური სემანტიკური ნიშნებითა და ზმნური კლასებით. წინა ან გვერდითი თაობის ნათესაობის ტერმინები, საკუთარი სახელები, III პირის ნაცვალსახელი მხოლოდობითში, ასევე, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები წარმოდგენილია *-s* ალომორფით, სხვა სახელები კი *-v* ალომორფით. მრავლობითში III პირის ნაცვალსახელი წარმოდგენილია *-Ø* ალომორფით, ხოლო ყველა სხვა სახელი *-v* ალომორფით. ეს უკანასკნელი (*-v* ალომორფი) შეზღუდულია ზმნური სემანტიკითაც – მხოლოდ გარდამავალი და აქტიური ზმნების სუბიექტი შეიძლება იყოს წარმოდგენილი მოთხრობითში. მეტიც, I/II პირის სუბიექტი მოთხრობითშია არა მხოლოდ გარდამავალ და გარდაუვალ აქტიურ ზმნებთან, არამედ იმ

შემთხვევაშიც, როდესაც ზმნა არის ერთპირიანი, დინამიკური შინაარსისა და მისი სუბიექტი მოქმედებს თავისუფალი ნებით და აკონტროლებს სიტუაციას (პოლისკი 1987). მაგალითად:

as (ERG) *v-ožē-s* (ERG) ‘ჩემი ნებით, ინიციატივით წავიქეცი’; მაგრამ
so (NOM) *v-ožē-s*° (NOM) ‘უნებურად წავიქეცი’.

ამ შეზღუდვების გაანალიზების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი სემანტიკური ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნილობის გაჩენას, არის ‘არგუმენტის თავისუფალი ნება’. მხოლოდ ის სახელები, რომლებიც მიიჩნევა თავისუფალი ნების მქონედ, შეიძლება იყვნენ წარმოდგენილნი -*s* ერგატივში. კოგნიტიური საფუძვლები სახელთა ‘თავისუფალი ნების მქონედ’ ინტერპრეტაციისა ემყარება სოციალურ, კულტურულ წარმოდგენებსა და ტრადიციებს.

ზმნური ფორმები, ასევე, მხარს უჭერენ ამგვარ დაშვებას. კლასის მარკერებთან ერთად, რომლებიც გვიჩვენებენ ერგატიული კონსტრუქციის მორფოსინტაქსურ ვარიანტებს, წოვა-თუშურის ზმნური ფორმა გვიჩვენებს პირის ნიშნებსაც. ნაცვალსახელოვანი წარმოშობის სუფიქსები გამოხატავენ ერგატიულ და ნომინატიურ სუბიექტსაც.

ამდენად, წოვა-თუშურის ზმნა შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც პოლიპერსონალური: გარდამავალი ზმნები ერთდროულად გვიჩვენებენ ობიექტის კლასს (პრეფიქსებით) და სუბიექტის პირს (სუფიქსებით). ზოგიერთი გარდაუვალი ზმნაც გვიჩვენებს სუბიექტის როგორც კლასს (პრეფიქსებით), ისე პირს (სუფიქსებით). ზმნური პირის ნიშნები, ასევე, ასახავენ I/II:III პირის დიქტომიას: ზმნაში მარკირებულია მხოლოდ I და II პირის სუბიექტები, ხოლო III პირი წარმოდგენილია -*Ø*-ით. მაგალითად:

d(O-class)-*aq*’*o*-*s*(S.1.ERG), *d*(O-class)-*exk*’*o*-*h*(S.2.ERG);


მაგრამ: *d*(O-class)-*aq*’*o*-*Ø* (S.3.ERG), *d*(O-class)-*exk*’*o*-*Ø*(S.3.ERG).

ამგვარად, წოვა-თუშურიც მისწრაფვის კომუნიკაციის აქტში მონაწილე და არამონაწილე პირების დაპირისპირების ფორმალური მარკირებისკენ, თუმცა კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ მორფოსინტაქსურ ვარიანტებს, ქართულისგან განსხვავებულ იერარქიულ მიმართებებს ემორჩილებიან.

შეჯამების სახით უნდა დავასკვნათ – წოვა-თუშურში ერგატიულ კონსტრუქცია (განსაკუთრებით ზმნური ფორმები) განსაზღვრულია სამი პირობით: სახელი უნდა იყოს (ა) აგენსი, (ბ) I/II პირის და (გ) უნდა მოქმედებდეს საკუთარი ‘თავისუფალი ნების’ შესაბამისად. როგორც ჩანს, წოვა-თუშურში ერგატიული კონსტრუქციის ტიპური მოდელიდან, რომელიც დაცულია სხვა ნახურ ენებში, განვითარდა ახალი მოდელი, დაფუძნებული პირის ნიშნების I/II:III დიქტომიურ დაპირისპირებაზე, თუმცა კლასის ნიშნები კვლავინდებურად ნახური ენების მოდელს ინარჩუნებენ – კლასის ნიშნების განაწილება არ არის

შემოსაზღვრული პირის დიქტომიით და ობიექტიც არ განასხვავებს I/II:III დაპირისპირებას. ამგვარად, წოვა-თუშურისათვის ქართულისგან განსხვავებული იერარქიები უნდა მოქმედებდეს და დომინანტური კატეგორიაც არა პირის კატეგორიაა, არამედ სემანტიკური როლებია: უპირველეს ყოვლისა სემანტიკური როლების სტრუქტურირება ხდება და უკვე მომდევნო საფეხურზე I/II და III პირების დაპირისპირების ფორმალიზება.

3.2. დომინანტური კატეგორია და იერარქიები



IV. დასკვნები

ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებები წოვა-თუშურში, სავარაუდოდ, ქართული ენის გავლენით შეიძლება აიხსნას, რამდენადაც სწორედ ქართულშია I/II:III დიქტომიის ფორმალური მარკირება დომინანტური (ასათიანი 1994) და იერარქიულად ის სჯობნის სემანტიკური როლების მარკირებას.

მიუხედავად იმისა, რომ წოვა-თუშური გარკვეულწილად ემსგავსება ქართულს – ორივე ახდენს სემანტიკური როლებისა და I/II:III დიქტომიის ფორმალიზებას – ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან ამ კატეგორიების იერარქიული ორგანიზების თვალსაზრისით. ქართულთან მჭიდრო კონტაქტების შედეგად წოვა-თუშურმაც დაიწყო პირის დიქტომიის ფორმალიზება, თუმცა მხოლოდ იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე, კლას-კატეგორიის მარკირების მომდევნოდ (კლას-კატეგორიის მარკირება პროტოტიპული ერგატიული კონსტრუქციების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია). ამდენად, მან შეინარჩუნა კლას-კატეგორია როგორც უფრო ძლიერი, და მას იერარქიულად ორგანიზებულ გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში მიაწვდინა დომინანტური ფუნქცია.

ასეთი თეორიული მიდგომით, ცხადი ხდება, რომ ენათა ამომწურავი ტიპოლოგიისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ კატეგორიათა გრამატიკალიზაციის პრო-

ცესების დაფიქსირება და აუცილებელია ამ კატეგორიებს შორის იერარქიული მიმართებების დადგენა. იერარქიები ავლენენ ენობრივი სისტემის ფუნქციონირების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორებს.

ლიტერატურა

- ასათიანი 1994** : რ. ასათიანი, ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი.
- ბრეტვეიტი 1973** : K. Braithwaite, Case Shift and Verb Concord in Georgian. *PhD thesis. Department of Linguistics, the University of Texas at Austin.*
- გაგუა 1953** : რ. გაგუა, ზმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიის ნიშნის მიხედვით ბატსურ ენაში, *იკე VIII.*
- დიქსონი 1994** : R. M. W. Dixon, Ergativity. Cambridge: Cambridge University Press.
- კიბრიკი 1997** : Beyond Subject and Object: Toward a Comprehensive Relational Typology. *Linguistic Typology 1*, Berlin-New York: Mouton de Gruyter, 1997, p. 279-346.
- მაჭავარიანი, შავხელიშვილი 1998** : მ. მაჭავარიანი და ბ. შავხელიშვილი, ერგატიულობა და ბუნებითი (პირველადი) ზმნები წოვა-თუშურში, „*გ ზა ენისაკენ*“, თბილისი.
- როგავა 1953** : გ. როგავა, კლასიანი უღვლილების პირიან უღვლილებაში გადასვლა იბერიულ-კავკასიურ ენებში, *მოამბე-XIV, 7*, „მეცნიერება“, თბილისი.
- შანიძე 1973** : ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, „მეცნიერება“, თბილისი.
- ჭრელაშვილი 2002** : კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თსუ გამბა, თბილისი.
- ჰოლისკი 1987** : D. A. Holisky, The Case of the Intransitive Subject in Tsova-tush (Batsbi). *Lingua, 71*, 103-132.

Rusudan Asatiani

Dominant Category of Language and the Peculiarities of Ergative Constructions in Tsova-tush and Georgian

Summary

Georgian, according to the general typology, is defined as a mixed language, more precisely, as a role-deixis-oriented language, but the same qualification would apply to Batsbi (or Tsova-tush, the designation now preferably used by native speakers). According to the suggested theoretical approach for a comprehensive description of languages, it is not enough to define languages as merely mixed systems, but also state which hierarchies they make use of. The hierarchies are defined according to the priority given to marked categories during linguistic realizations: they reflect dynamic synchronic and/or diachronic processes of linguistic structuring.

Although Tsova-tush is similar to Georgian in one respect (both can be qualified as role-deixis-oriented languages), it also differs from Georgian in a significant way: it seems that due to the contacts with the Georgian language, Tsova-tush distinguishes the I/II versus III dichotomy, although its formalization takes place only after the grammaticalization of the class category which is basic for the prototypical ergative constructions. That is, it keeps the original category as the stronger one and puts it on a higher position in the hierarchy.

We suppose that hierarchies can give us a new understanding of the nature of linguistic changes in the situation of language interferences: when new categories or structures rise in languages because of contacts (or because of internally motivated variations), the old ones do not disappear, on the contrary, they occupy a high position in a hierarchically organized linguistic system of grammatical categories.

Alice C. Harris
SUNY Stony Brook

Emergence of Morphological Classes¹

1. Introduction

Perlmutter (1978) established that unaccusative intransitive verbs are systematically distinguished from unergative intransitive verbs in Italian, where the former group take the auxiliary "be" and the latter take instead "have", as transitive verbs do. Not long after, Harris (1982) showed that the same groups of intransitive verbs are distinguished in Georgian by differential case marking in Series II, by differences of inversion in Series III, and by several morphological criteria. Since then, the three-way classification of verbs into transitives, unergatives, and unaccusatives has been widely accepted (e.g. Burzio 1986, Levin and Rappaport 1995, and Alexiadou et al. 2004), and a wide variety of phenomena have been associated with this classification of verbs in many languages.

While Harris (1985) deals in detail with the syntactic changes that led to the syntax that distinguishes among transitive, unergative, and unaccusative verbs, the morphology that distinguishes these classes was not systematically investigated there, and the present article seeks to rectify that omission.

Corbett (1991) and Wurzel (1992), in their works on gender, have studied the origins of gender in classification. While differing in many respects, both agree that gender systems are originally semantically determined. As they develop, they often become less semantically defined. In this paper I look at semantic and morphological classes of verbs from the same point of view, and I believe that because the changes involved are relatively recent ones, many aspects of the origins of this system are transparent. I agree with Wurzel that a general problem in morphology is that inflectional classes have no synchronic motivation; they can only be explained historically.

The following definition of verb classification is adapted from Wurzel's definition of noun classification.

A system of verb classification is said to be present if the verbs (verbal lexemes) of a language are divided into a limited number of classes, such that the class membership, at least in certain contexts, is indicated formally.

If the class to which a verb belongs determines that the verb takes one set of inflectional affixes rather than another set that encodes the same categories and values, the class is an inflectional one.

Wurzel argues further that nouns are constantly re-classified according to semantic criteria. Once noun classification is established, it tends toward de-semanticization. Membership in a class becomes conventional, arbitrary. Some parallels to these observations can be found in the Georgian verb classification, though I do not dwell here on these similarities.

2. Transitive, Unergative, and Unaccusative in Georgian

The difference between unergative and unaccusative verbs is very important in the syntax of Georgian (Harris 1981); but this has not always been true, and this syntactic distinction was only nascent in Old Georgian (Harris 1985).

In this paper I identify these classes in Modern Georgian in the following way: In Series II, transitives can be identified by their ergative subject and nominative case direct object, unergatives by their ergative case subject, and unaccusatives by their nominative case subject. These facts hold only in Series II paradigms, the aorist, imperative, and optative screeves.²

There is not a single marker to set apart all the forms of any class - transitive, unergative, unaccusative; but since Old Georgian, several changes have made some forms in each class distinct. Even in Old Georgian some very minor morphological differences of frequency were present, but here I examine only those morphological markings that have changed in historical times.

In Georgian, transitive, unergative, and unaccusative are inflectional classes assigned by derivational rule (cf. Aronoff 1994, 131). For example, inchoatives are formed with the derivational suffix *-d-*, and the rule that assigns this marker also assigns the derived forms to the unaccusative class.

The first three changes I discuss distinguish unaccusatives from other classes of verbs; the last distinguishes unergatives from other classes.

2.1. Series Marker *-eb* in Series I

In Old and Modern Georgian alike, verbs of all classes have a series marker (SM) in Series I forms, but not in Series II forms. A variety of SM's are used for transitive and unergative verbs, including zero, *-am*, *-av*, *-eb*, and *-ob*. In Old Georgian, a variety of SM's were also used for unaccusatives; but unaccusatives have systematically replaced other SM's with *-eb*, except in statives. (15) illustrates the present paradigm of some unaccusative verbs in *-av* and *-am* in Old Georgian, together with the corresponding forms in the modern language.

Old Georgian	Modern Georgian	
v-i-xarš-v-i	v-i-xarš- eb -i	
i-xarš-v-i	i-xarš- eb -i	
i-xarš-v- i-s	i-xarš- eb -a	"it cooks, is cooked"
v-i-sx-m-i	v-i-sx-m- eb -i	
i-sx-m-i	i-sx-m- eb -i	
i-sx-m- i-s	i-sx-m- eb -a	"it pours, is poured"

Table 1. Changes in Series Markers in Series I Forms.

This is perhaps not a surprising change, since a very large number of unaccusatives already had the SM *-eb* in Old Georgian.³ However, substituting *-eb* in Series I for another SM in all unaccusatives that had previously used another SM did not make this class completely different from transitives and unergatives,

since some basic transitive verbs, such as *ak'eteb's* "she does, makes it", and some unergative verbs, such as *t'rialeb's* "she turns" also make use of this SM.

2.2. Third Person Singular Subject *-a* in Present and Future

In Old Georgian all verbs use the third person singular subject suffix *-s* in the present tense, as well as in several other tenses. In Modern Georgian all unaccusatives use the suffix *-a* instead in the present (and in the future, which was later formed from the present). The effect can be seen in Table 2, which lists only present tense-aspect-mood (TAM) forms (screeves). (A related TAM form has a final *-n* in third person singular subjects.)

Old Georgian	Modern Georgian	
Transitives		
dre ^k '-s	dre ^k '-s	"she bends it"
c'er-s	c'er-s	"she writes it"
hk'itxav-s	(h)k'itxav-s	"she asks it"
suam-s	svam-s	"she drinks it"
scem-s	(s)cem-s	"she hits it"
gvi-s	gvi-s	"she sweeps it"
brzaneb-s	brzaneb-s	"she requests it"
icnob-s	icnob-s	"she knows him"
Unaccusatives		
drk'-eb-i-s	drk'-eb-a	"she bends, is bent"
i-mal-eb-i-s	i-mal-eb-a	"she hides"
e-mal-eb-i-s	e-mal-eb-a	"she hides from him"
c'ux-n-eb-i-s	c'ux-d-eb-a	"she bothers, disturbs herself"
axl-d-eb-i-s	axl-d-eb-a	"she is being renewed"
s-c'er-ie-s	s-c'er-i-a	"it is written" (stative)
Unergatives		
glov-s	glov-s	"she mourns"
t'ir(i)-s	t'iri-s	"she cries"
brc'q'inav-s	brc'q'inav-s	"it glitters, glows"
kadageb-s	kadageb-s	"she preaches"
mepob-s	mepob-s	"she reigns"

Table 2. Changes in Marking of Third Person Singular Subjects in the Present Paradigm.

There are two possible sources for the new *-a*. (i) The suffix *-a* is the marker of the third person singular subject in the aorist screeve, where it is used by verbs of all classes.⁴ Thus, in its use in Old Georgian, *-a* does not set one verb class apart or even occur more often with one class than another. In spite of this, in the present it is adopted just for unaccusatives. (ii) A second possible source is *-a*, the

simple clitic form of *aris* "she is". This is, of course, an unaccusative verb (although it is irregular and did not make this change).

Unlike the change considered in §2.1, this one applies to all unaccusative verbs (apart from a handful of irregular ones) and to no transitives or unergatives. However, it distinguishes these unaccusative forms only in the third person singular subject forms of the present and future.

2.3. The Third Person Plural Subject Marker *-nen*

In Old Georgian, third person plural subjects in the aorist were marked with *-es* for verbs of all morphological types. In Modern Georgian, these forms are different for unaccusative verbs in the aorist. The effect is shown in Table 3. Each verb in the table represents a different morphological subgroup.

Old Georgian	Modern Georgian	
Transitives		
midrik'-es	midrik'-es	"they bent it"
dac'er-es	dac'er-es	"they wrote it"
hk'itx-es	(h)k'itx-es	"they asked it"
misc-es	misc-es	"they gave it"
icn-es	icvn-es	"they knew him"
Unaccusatives		
mi-drk'-es	mi-drk'- nen	"they bent, were bent"
da-i-mal- n-es	da-i-mal- nen	"they hid"
da-e-mal- n-es	da-e-mal- nen	"they hid from him"
še-c'ux-n-es	še-c'ux-d- nen	"they were bothered, disturbed"
gan-axl-d-es	ga-axl-d- nen	"they were renewed"
Unergatives		
i-t'ir-es	i-t'ir-es	"they cried"
kadag-es	i-kadag-es	"they preached"
mep-es	i-mep-es	"they reigned"

Table 3. Changes in Marking of Third Person Plural Subjects in the Aorist Paradigm (Some examples are from Imnaišvili 1971).

The source of this *-nen* is double plural marking in Old Georgian. Plural unaccusative subjects and plural direct objects conditioned the suffix *-en* in Series II, though not in I.⁵ This suffix combined with markers of singular and plural subjects in transitive verbs as shown in (1-2).

- | | | | | |
|-----|-----------|------------------|-------------|--------------------|
| (1) | mo-v-k'al | "I killed her" | mo-v-k'al-t | "we killed her" |
| | mo-h-k'al | "you killed her" | mo-h-k'al-t | "y'all killed her" |
| | mo- k'l-a | "she killed her" | mo- k'l-es | "they killed her" |

- (2) mo-v-k'l-en "I killed them" mo-v-k'l-en-(i)-t "we killed them"
 mo-h-k'l-en "you killed them" mo-h-k'l-en-(i)-t "y'all killed them"
 mo- k'l- n-a "she killed them" mo- k'l- n-es "they killed them"
 (Examples from Imnaišvili 1971: 226, 237.)

In unaccusative verbs, the initial direct object is also the subject, and a plural conditions two different plural markers, *-(e)n* and *-es* or a second *-en*.⁶ In the optative, this is realized as shown in (3).

- (3) da-v-i-mal-o "I would hide" da-v-i-mal-n-e-t "we would hide"
 da- i-mal-o "you would hide" da- i-mal-n-e-t "y'all would hide"
 da- i-mal-o-s "she would hide" da- i-mal-n-en "they would hide"
 (Examples from Imnaišvili 1971:239.)

Between Old and Modern Georgian, productive *en*-Agreement is lost; but in unaccusative verbs, the sequence *-n-en* is reanalyzed as a single morpheme, *-nen*, and generalized from the optative to the aorist (Harris 1985, Chapter 10).

Like the change in the third person singular subject marker (§2.2), this change is strictly limited to unaccusative verbs and applies in all subclasses. It thus distinguishes unaccusatives morphologically from other classes, but does so only with the third person plural subject, and not in every paradigm.

2.4. *i-* in Series II Forms

The last change considered distinguishes unergative forms from all others.

Old Georgian			Modern Georgian		
Present		Aorist	Present		Aorist
<i>i-cin-i-s</i>	"he smiles"	<i>gan-i-cin-a</i>	"he smiled"	<i>i-cin-i-s</i>	<i>ga-i-cin-a</i>
<i>i-marx-av-s</i>	"he fasts"	<i>i-marx-a</i>	"he fasted"	<i>marx-ulob-s</i>	<i>i-marx-a</i>
<i>t'ir-s</i>	"he cries"	<i>i-t'ir-a</i>	"he cried"	<i>t'ir-i-s</i>	<i>i-t'ir-a</i>
<i>mep-ob-s</i>	"he reigns"	<i>mep-a</i>	"he reigned"	<i>mepob-s</i>	<i>i-mep-a</i>
<i>γayadebs</i>	"he cries"	<i>γayad-q'o</i>	"he made a cry"	<i>γayadeb-s</i>	<i>i-γayad-a</i>

Table 4. Changes in the Use of *i-* in Unergatives in Georgian.

In Old Georgian, unergative verbs fall into four morphological types. In the first, verbs such as *icinis* "he smiles, laughs" and *imarxavs* "he fasts", *i-* occurred in both Series. In the second type, verbs such as *t'irs* "he cries", the *i-* occurred in Series II forms, but not in forms of Series I. In the third type, exemplified by *mepobs* "he reigns", *i-* did not occur in Old Georgian. I describe the fourth type below. The change we see reflected in Modern Georgian is that verbs of the first and third types changed to the second type, where *i-* distinguishes Series II from Series I. As *icinis* "he smiles, laughs" shows, not every verb made this change.

The fourth group, exemplified by *ᶑᶗᶗᶑᶑᶑᶑ*, *ᶑᶗᶗᶗᶑᶑᶑᶑ* "he cries, he made a cry", is not fully and truly unergative in the aorist in Old Georgian. A complete analysis can be found in Harris (1985), but briefly, in Old Georgian the aorist form is transitive with an incorporated direct object. Because the changes described in this paper had not yet taken place, we really can say of the Series I form only that it was intransitive. Like the first and third morphological types described here, this type developed the prefix *i-* in Series II forms and not in Series I forms.

Several prefixes of the form *i-* occur in this position in the Georgian verb, but the most likely source of the *i-* shown in Table 4 is the *i-* that forms a productive group of unaccusatives, often called mediopassives. However, in the mediopassives, if *i-* occurs, it occurs in all paradigms, not just in those of Series II.

3. Conclusions

In Georgian the unaccusative is more clearly distinguished morphologically from the other two classes than they are from each other.

Attested changes in Georgian show that morphological classification in the verb does not always arise through grammaticalization and does not always resemble the process described for the development of gender. Georgian seems to pull together disparate pre-existing morphological resources to set apart the three classes considered here.

References

- Alexiadou, Artemis, Elena Anagnostopoulou and Martin Everaert, eds. 2004. *The Unaccusativity Puzzle*. Oxford: OUP.
- Aronoff, Mark. 1994. *Morphology by itself: Stems and inflectional classes*. Cambridge, MA: MIT Press.
- Burzio, Luigi. 1986. Italian syntax: A government-binding approach. Dordrecht: Reidel.
- Corbett, Greville G. 1991. *Gender*. Cambridge: Cambridge University Press.
- Harris, Alice C. 1981. *Georgian syntax: A study in relational grammar*. Cambridge: Cambridge University Press.
- Harris, Alice C.. 1982. Georgian and the Unaccusative Hypothesis, *Language* 58: 290-306.
- Harris, Alice C. 1985. *Diachronic syntax: the Kartvelian case*. (Syntax and Semantics, 18.) New York: Academic Press.
- Imnaišvili, I. 1971. *Kartuli enis ist'oriuli krest'omatia, t'. 1, nac'ili II*. [Historical chrestomathy of the Georgian language, vol. 1, part 2.] *zveli kartuli enis k'atedris šromebi*, 14. Tbilisi: Universit'et'i.
- Levin, Beth and Malka Rappaport Hovav. 1995. *Unaccusativity: At the syntax-lexical semantics interface*. (*Linguistic Inquiry Monograph* 26.) Cambridge, MA: MIT.
- Perlmutter, David M. 1978. Impersonal passives and the Unaccusative Hypothesis. *BLS* 4.157-89.
- Wurzel, Wolfgang Ullrich. 1992. Die wiederholte Klassifikation von Substantiven: Zur Entstehung von Deklinationsklassen. *Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung* 39: 76-96.

Notes

¹ The research reported here was supported in part by the National Science Foundation under Grants Number BNS-8217355, SRB-9710085, and BCS-0215523 and by the International Research and Exchanges Board under the ACLS-Academy of Sciences Exchange with the Soviet Union (1989).

² By identifying the class by its syntax and comparing this with its morphology, I am taking an approach opposite to that taken in my 1981 book on the syntax of Georgian. At the time I wrote that book, the notions unergative and unaccusative were just being introduced, and it was essential to argue that they were real. The situation is very different today, and I can assume the existence of these classes and now examine the development of the morphology that marks them.

³ In particular, all of the verbs in three of the four subgroups used the SM *-eb*, namely the *d*-subconjugation, the *en*-subconjugation, and the markerless subconjugation. However, it is the fourth, *i*-subconjugation that is largest and most productive.

⁴ A few verbs used *-o* instead, and a handful still do. But even in Old Georgian the vast majority used *-a*.

⁵ This statement of the trigger is approximate; for a more precise statement, see Harris (1985, Chapter 10).

⁶ See additional conditions on *en*-Agreement in Harris (1985: 218-222).

ახალი წიგნები

Kartvelsprachen. Altgeorgisch, Neugeorgisch, Mingrelisch, Lasisch, Swanisch, Herausgegeben von Heinz Fähnrich, Reichert Verlag, Wiesbaden, 2008.

გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგის, ჰაინც ფენრიხის ინიციატივითა და რედაქტორობით გერმანიაში გამოვიდა მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური კრებული: „ქართველური ენები“. წიგნი მოიცავს ექვს გამოკვლევას: 1. ქართველური ფუძე-ენა – ჰაინც ფენრიხი (გვ. 7-54); 2. ძველი ქართული – ზურაბ სარჯველაძე (გვ. 55-116); 3. ახალი ქართული – ჰაინც ფენრიხი (გვ. 117-182); 4. მეგრული – ოთარ ქაჯაია (გვ. 183-246); 5. ლაზური – გურამ კარტოზია (გვ. 247-304); 6. სვანური – ალექსანდრე ონიანი (გვ. 305-346); ეს წიგნი ქართველ კოლეგებთან ჰაინც ფენრიხის თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია.

ჰაინც ფენრიხმა ამ ქართველოლოგიური კრებულის გამოცემა დიდი ხნის წინ ჩაიფიქრა და ქართველ კოლეგებს შესთავაზა სათანადო გამოკვლევების დაწერა ძველი ქართული ენის, მეგრულის, ლაზურის და სვანურის შესახებ. სამწუხაროა, რომ ამ ჩანაფიქრის განხორციელებას ვერ მოესწრნენ ზურაბ სარჯველაძე და ალექსანდრე ონიანი. კრებულის შემადგენელი ნაწილები შესაბამისი ენობრივი ერთეულების მოკლე მიმოხილვებს შეიცავს, მაგრამ რამდენადაც ავტორები ამ სფეროების გამორჩეული სპეციალისტები არიან, ბევრ ორიგინალურ, პრობლემურ და საინტერესო მოსაზრებას გვაწვდიან მათი საკვლევო ენების შესახებ.

ჰაინც ფენრიხის გამოკვლევაში წარმოდგენილია საერთო-ქართველური ფუძე-ენის მოკლე ფონოლოგიური, მორფონოლოგიური, გრამატიკული და ლექსიკური დახასიათება. ფონოლოგიურ ნაწილში ყურადღებას იპყრობს ლატერალების რეკონსტრუქცია, რაც მას უკვე მოცემული ჰქონდა „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ 2000 წლის გამოცემაში. იგი ორ ჩქამიერ ლატერალს აღადგენს: *l' (ქართ. ს : მეგრულ-ლაზური ო : სვანური ლ შესატყვისობის საფუძველზე) და *L (ქართული წ : მეგრულ-ლაზური ჭ : სვანური ჭ შესატყვისობის საფუძველზე). განსაკუთრებით ღირებულად გვესახება ამ მიმოხილვის ლექსიკური ნაწილი, სადაც მოცემულია საერთო-ქართველური ლექსიკის სემანტიკური ჯგუფები: 1. ნათესაურ ურთიერთობათა აღმნიშვნელი ლექსიკა, 2. სხეულის ნაწილები, 3. მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკა, 4. ავადმყოფობები, 5. ლანდშაფტი, 6. მცენარეული სამყარო, 7. ცხოველები, 8. დროის აღმნიშვნელი სიტყვები, 9. რიცხვითი სახელები, 10. ზედსართავი სახელები, 11. ზმნური ძირები და ფუძეები. საერთო-ქართველური ლექსიკის დიფერენცირებული შესწავლა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ქართველოლოგიის მცირედ დამუშავებული უბანია, ამიტომ გამოკვლევის ეს ნაწილი განსაკუთრებით ღირებულად გვესახება.

ძველი ქართული ენის აღწერა წარმოადგენს ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის“ შემოკლებულ ვარიანტს. მასში კომპაქტურად არის წარმოდგენილი ძირითადი ინფორმაცია ძველი ქართული ენის ფონეტიკის, ფონოლოგიისა და დამწერლობის, მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებ. ნარკვევში ყველა ძირითადი სახელური თუ ზმნური პარადიგმაა წარმოდგენილი, რაც თვალსაჩინოს და ადვილად ასათვისებელს ხდის ძველი ქართული ენის რთულ მორფოლოგიას. საყურადღებოა, რომ ავტორი ნაწევარს არ გამოყოფს ძველ ქართულში. საინტერესოა ავტორის მოსაზრებები ბერძნული ენის გავლენის შესახებ ძველ ქართულ ენაზე. ამ გავლენის შედეგად მიაჩნია მას ვნებითი გვარის ფორმების ხშირი ხმარება ისეთ კონსტრუქციებში, როგორიცაა: *მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უღაბნოდ; თითუეს მას მეექუსესა მივიღინა გაბრეელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქლაქსა გალილეველთასა*; ასევე, მიძლეობათა ხშირი ხმარება, თანდებულების პრეპოზიციული ხმარება – *არცაღა აღანთიან სანთელი და ქვეშე შედვიან იგი კეპირსა, არამედ ზედა სასანთლესა და სხვა*.

ახალი ქართული ენის მიმოხილვა ეკუთვნის ჰაინც ფენრიხს. ამ ნაწილში ჩემთვის საინტერესო იყო ზოგიერთი ქართული გრამატიკული ტერმინის გერმანული ეკვივალენტი, რომელსაც ჰაინც ფენრიხი იყენებს: Handlungspassiv დინამიკური ვნებითისათვის და Zustandspassiv სტატიკური ვნებითისათვის, Intransitives Aktiv საშუალ-მოქმედებითისათვის. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იგი ამ ზმნური კლასის გარკვეულ გააზრებასაც გულისხმობს. დღეს ქართულ ენათმეცნიერებაშიც აქტიურად დადგა ვნებითი გვარის ფორმათა ინტერპრეტაციის პრობლემა, ამიტომ საინტერესოა ავტორის მსჯელობა: ზოგიერთ ვნებითი გვარის ზმნურ ფორმას არა აქვს გარდამავალი აქტივის შესაბამისი ფორმები და ამიტომ მხოლოდ ფორმალურად არიან ისინი პასივები. ამასთან, მათი მნიშვნელობა გერმანული აქტიური გარდაუვალი ზმნების ფარდია (მაგ. *ვვარდები "ich falle", კვვლები "ich sterbe"*) გვ. 147.

საინტერესოა მიცემითქვემდებარიან ზმნათა გერმანული ეკვივალენტები, რომლითაც ავტორს სურს ამ ზმნათა კონსტრუქცია გასაგები გახადოს ევროპელი მკითხველისათვის: *მიყვარს "mir ist sie lieb", აქვს "ihm ist es im Besitz", ვბუღვარ "dir bin ich verhasst"*.

სინტაქსის ნაწილში ჰ. ფენრიხი მიუთითებს, რომ რამდენიმე შემასმენლის შემცველ წინადადებაში ქვემდებარის ბრუნვას უახლოესი ზმნა განსაზღვრავს. მაგალითი: *აღამიანმა, წერა რა იყო, არ იცოდა, მაგრამ ლაპარაკი მაშინაც შეეძლო*. აქ იგი განმარტავს, რომ მეორე ზმნა (*შეეძლო*) ქვემდებარის ბრუნვად მიცემითს მოითხოვს, მაგრამ პირველი ზმნის (*იცოდა*) კონსტრუქცია არის განმსაზღვრელი. ამ დებულების საილუსტრაციო მეორე წინადადება ჩვენ ხელოვნურად გვესახება: *გიორგი ლეონიძეს იცნობს და უყვარს ქართველ ხალხს*. ვფიქრობთ, ეს არ არის მართებული ქართული წინადადება. უნდა იყოს ან: *ქართველი ხალხი იცნობს გიორგი ლეონიძეს და უყვარს ის*, ან: *გიორგი ლეონიძეს იცნობს ქართველი ხალხი და უყვარს ის*. საქმე ისაა, რომ ნაცვალსახელის გამოყენების გარეშე რეფერენცია ვერ განხორციელდება ობიექტების მიმართ.

აუცილებელია ობიექტის განსხვავებული ბრუნვა ნაცვალსახელით დაზუსტდეს. პირველი წინადადება კი მართებულია, რადგან სუბიექტების რეფერენცია შესაძლებელია მათი ბრუნვითი განსხვავებების მიუხედავად (ამგვარი ვითარება სინტაქსური ნომინატიურობის მაჩვენებლად არის მიჩნეული თანამედროვე ტიპოლოგიურ კვლევებში. სინტაქსური ერგატიულობის ენებში სხვადასხვა ბრუნვაში დასმული სუბიექტების იდენტიფიკაცია ნაცვალსახელის ჩართვის გარეშე დაუშვებელია). ობიექტების ასეთ იდენტიფიკაციას კი ქართული სინტაქსი ვერ გუობს. ეს საინტერესო სფეროა ქართული სინტაქსისა, რომელიც ცალკე დაწვრილებით კვლევას მოითხოვს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჰაინც ფენრიხის მიმოხილვა ადეკვატური და უცხოელი მკითხველისათვის საკმაოდ სრული ინფორმაციის მიმწოდებელია.

მეგრულის მიმოხილვა ეკუთვნის ოთარ ქაჯაიას. იგი საკმაოდ ამომწურავ და თვალსაჩინო ინფორმაციას გვაძლევს მეგრული ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებ. ქართველი მკითხველისათვის მის მიერ შედგენილი მეგრული ენის მოკლე ანალიზი მისაწვდომია „ქართულ-მეგრული“ ლექსიკონისთვის დართული ვერსიის საფუძველზე.

ლაზურის შესახებ გამოკვლევა ეკუთვნის გურამ კარტოზიას. ამ ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს ქართველურ ენათა ურთიერთმიმართების, დიფერენციაციის პროცესის, ბგერათშესატყვისობების განხილვას. ავტორი გვაცნობს თავის შეხედულებებს მეგრულისა და ლაზურის ჩამოყალიბების შესახებ; ვრცლად განიხილავს ლაზური დიალექტების ურთიერთმიმართებას როგორც ფონეტიკის, ისე მორფოლოგიის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოკვლევაში სინქრონიულ მონაცემებთან თანაბარი დატვირთვით არის წარმოდგენილი ისტორიულ-შედარებითი ხასიათის მსჯელობები. ავტორი ადარებს ერთმანეთთან მეგრულ და ლაზურ ფაქტებს, ასევე ლაზური დიალექტების ფაქტებს ერთმანეთთან და განსხვავებებს დიაქრონიულ ახსნებს უძებნის. ამგვარად, ამ გამოკვლევაში მკითხველი ლაზურს ისტორიულ-შედარებით პერსპექტივაში ეცნობა.

სვანურის შესახებ გამოკვლევა ალექსანდრე ონიანს ეკუთვნის. ეს გამოკვლევა შემოკლებული ვერსიაა ავტორის მიერ 1998 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიისა „სვანური ენა“ (გერმანული ვერსია ორ ნაწილად გამოქვეყნდა 2005 წელს). ეს მიმოხილვაც ბევრ ორიგინალურ მოსაზრებას შეიცავს, განსაკუთრებით მორფოლოგიის სფეროში – ბრუნების სისტემის, პირის კატეგორიის და სხვა მოვლენათა წარმოდგენისას.

კრებული "Kartvelsprachen" გერმანულენოვანი ქართველოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენამენია. იგი კარგად ასახავს ქართველურ ენათა როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული კვლევის თანამედროვე ეტაპს, საკმაოდ სრულ ინფორმაციას აწვდის უცხოელ მკითხველს ქართველური ენების შესახებ და მთელ რიგ ახალ საინტერესო მოსაზრებებსაც შეიცავს.

ირინე მელიქიშვილი

ეთერ სოსელია, სემანტიკური უნივერსალიები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, გამოქვეყნებულია „ნეკერი“, თბილისი 2009, 159 გვ.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ენათმეცნიერებაში შეინიშნება სემანტიკისადმი ინტერესის ზრდა. ამერიკელი ლინგვისტები ქმნიან სხვადასხვა თეორიებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია კომპონენტური ანალიზის თეორია. ამ ყალიბით კვლევამ ხელი შეუწყო სემანტიკის ტიპოლოგიურ კვლევას და, შესაბამისად, სემანტიკური უნივერსალიების ფორმულირებას.

ავტორი ალბათ სხვა საკითხით დაკავდებოდა და ეს ნაშრომი, შეიძლება ითქვას, არ დაიწერებოდა, 1969 წელს რომ არ გამოქვეყნებულიყო ბ. ბერლინისა და პ. კეის „ფერის ბაზისური ტერმინები“, რომელიც აღმოჩნდა საეტაპო ნაშრომი, რადგან მასში წარმოდგენილია ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელი. სწორედ ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ გააქტიურდნენ ენათმეცნიერები ფერის ტერმინთა კვლევა-ძიებაში.

ეთერ სოსელია ძირითადად ეყრდნობა ბ. ბერლინისა და პ. კეის მოდელს, თუმცა გამოყენებისას ხვეწს და აზუსტებს მას ამა თუ იმ რაკურსში. ფერის კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელის ამოსავალი ცნებებია ბაზისური და არაბაზისური ფერის ტერმინები, რაც მიიღება ოთხი ძირითადი და ოთხი დამატებითი კრიტერიუმით. ეს მოდელი უფრო მოქნილი ხდება ე.წ. fuzzy სიმრავლეთა თეორიის გამოყენებით, რის შედეგადაც ბაზისური ფერის კატეგორიების სამი ტიპი გამოიყოფა. ავტორი ქართული მასალის ანალიზის საფუძველზე ამატებს მეოთხე ტიპის ბაზისური ფერის რთულ კატეგორიას, რომლის დაშვებით შესაძლებელი გახდა ზოგი გამონაკლისის ახსნა.

მკვლევარი არ სჯერდება მხოლოდ ამ მოდელს და დაწვრილებით მიმოიხილავს ფერის ტერმინთა სისტემების კომპონენტურ, ფსიქოლინგვისტურსა და სემანტიკური პრიმიტივებისეულ ანალიზს; ფსიქოლინგვისტური ხასიათის ნაშრომებიდან გამოყოფს რ. ფრუმკინას ექსპერიმენტებს და ადგენს მათ შესაბამისობას ბ. ბერლინისა და პ. კეის ძირითად დებულებებთან.

სემანტიკური პრიმიტივების მკვლევრის ა. ვეჟბიცკას კვლევის წიაღში ავტორი აღმოაჩენს ფერის ტერმინთა სემანტიკური ანალიზისადმი შეთავსებად მიდგომას.

ამდენად, პირველ თავში აკუმულირებულია თეორიული ბაზისი, რომელზედაც აგებულია ნაშრომის ძირითადი ნაწილი. სკრუპულოზურად, კრიტიკულად და თანამემოქმედებითად არის განხილული და შეფასებული ფერთა სისტემის შესახები მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევა. ამ მიმოხილვით თავში ფაქტობრივად ის „ხნულია“ გავლებული, რომელშიც მეორე თავისეული „მარცვლებია“ ჩასაყრელი.

და მართლაც, მეორე თავი საკუთრივ კვლევაა, რომელშიც გამოწვლილვით მოწოდებული მეთოდოლოგია ქართველური მასალის კვლევას არის მისადაგებული.

ბაზისური ფერის ტერმინებში დადგენილი ქართველურ ენათა ფერის ტერმინთა სისტემები სრულად შეესაბამება ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალურ მეთოდს.

ქართულისათვის დამახასიათებელია: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ყავისფერი (ეს უკანასკნელი ავტორმა საკუთარი, ე.წ. სიის, ექსპერიმენტით დაადასტურა).

მეგრული ენის ფერის ტერმინთა სისტემა ბაზისური ფერის შემდეგი ტერმინებით ხასიათდება: ჩე, უჩა, ჭითა, ცვინთელი, მწვანე/ლურჯი.

ლაზური ენის ფერის ტერმინთა სისტემა შემდეგი ტერმინებით ხასიათდება: ხჩე/ჩჩე/ჩქე, უჩა, ჭითა /მჭითა, სარი/საი, აეშილი.

სვანურში გვაქვს: თუეთნე/თუეთუნე, მეშხე, წგრნი, ყუინთელ, წუანილ/-გრჟი.

მონათესავე ენათა ფერის ტერმინების შესწავლა საინტერესოა იმითაც, რომ შესაძლებელი ხდება, ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალურ მოდელზე დაყრდნობით, დიაქრონიული ანალიზის ჩატარება ფუძე-ენის დონეზე ბაზისური ფერის კატეგორიების რეკონსტრუქციისათვის. ეს კი იძლევა იმ ევოლუციური გზის წარმოჩინების შესაძლებლობას, რაც საერთო-ქართველურიდან მოყოლებული განვლეს თანამედროვე ქართველურმა სისტემებმა.

საერთო-ქართველურ დონეზე ეთერ სოსელია ცალსახად აღადგენს ორ კატეგორიას:

$$[\text{თეთრი}] \oplus [\text{წითელი}] \oplus [\text{ყვითელი}] = [\text{ნათელ-თბილი}] \text{ და } \\ [\text{შავი}] \oplus [\text{მწვანე}] \oplus [\text{ლურჯი}] = [\text{მუქ-გრილი}].$$

ავტორი უაღრესად საინტერესო და ყურადსაღებ კონცეპტუალურ სვლებს გვთავაზობს. კერძოდ, ასეთია: მსჯელობა *რუხზე, ყავისფერსა და მრეშზე*; სვლა – *ყვითელ-ყვიც-ღვიძლ*–; *მწვანე/ლურჯის* გაუდიფერენცირება და სხვ.

ეთერ სოსელიას ნაშრომში ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალურ მოდელზე დაყრდნობით რეკონსტრუირებულია ბაზისური ფერის კატეგორიები საერთო-ქართველურ დონეზე და წარმოდგენილია ევოლუციური გზა, რომელიც ფერის ტერმინთა ქართველურმა სისტემებმა განვლეს საერთო-ქართველური დონიდან თანამედროვე სახით ჩამოყალიბებამდე.

ნაშრომი შეუნიღებელი ინტერესით იკითხება.

მარიკა ჯიქია

შინაარსი

ზურაბ სარჯველაძე –70

დამანა მელიქიშვილი – ზურაბ სარჯველაძე – მეცნიერი და პიროვნება	5
გურამ კარტოზია – ზურაბ (ზურა) სარჯველაძე	8
მარინა ქაცარავა – ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის უბადლო მკვლევარი	9
იზა ჩანტლაძე – ზურაბ სარჯველაძის ეტიმოლოგიათა მნიშვნელობა ქართველოლოგიაში	11
Iza Chantladze - The Significance of Zurab Sarjveladze's Etymologies for Kartvelology	18
ზურაბ სარჯველაძის სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია	19

ქართველური ენები

რუსუდან გერსამია – იოტიზაციის საკითხისათვის მეგრულში	32
Rusudan Gersamia - About Iotization in Megrelian	41
მარინე ივანიშვილი – მცენარეთა სახელები ქართველურში: „კოწახური“	43
Marine Ivanishvili - Proto-Kartvelian Plant Names: "koc 'axuri" (barberry)	45
ვახტანგ იმნაიშვილი – მრჩობლი ხმოვნების მართლწერასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი	46
Vakhtang Imnaishvili - Some Questions Linked with the Spelling of Double Vowels	60
გურამ კარტოზია – ნატვრითის წარმოება მეგრულში	61
Guram Kartozia - The Formation of Optative Mood in Megrelian	64
მაია ლომია – სახელთა ბრუნების პარადიგმაში ი ხმოვნის გაჩენის საკითხისათვის მეგრულში	65
Maia Lomia - About the Emergence of ი Vowel in the Paradigm of Noun Declension	71
ქეთევან მარგიანი-სუბარი – რეზულტატიურობა-პირობითობის გამონატვისათვის სვანურ გარდამავალ ზმნებში	72
Ketevan Margiani-Subari - On the Expression of Resultativeness-Conventuality in Svan Transitive Verbs	76
დამანა მელიქიშვილი – ქართული ზმნის ულლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპები	78

<i>Damana Melikishvili - On the Grammatical Principle of Classification of Inflective Forms of the Georgian Verb</i>	96
<i>ირინე მელიქიშვილი – /ჟ/ ფონემის რეკონსტრუქცია და საერთო-ქართველური სიბილანტური შესატყვისობები</i>	97
<i>Irine Melikishvili - The Reconstruction of the Phoneme /ჟ/ and Common-Kartvelian Sibilant Correspondences</i>	105
<i>ჰაინც ფენრიხი – ზოგიერთი ქართველური ლექსიკური ერთეულისათვის</i>	107
<i>Heinz Fähnrich - About some Kartvelian Lexical Units</i>	110
<i>ტარიელ ფუტკარაძე – -ისა, -იშა; -იშე, -იშენ; -ისად, ისდა, -იზა, -იზან, -იზე... ფორმამაწარმოებელი ფორმანტების ისტორიული მიმართებისათვის</i>	111
<i>Tariel Putkaradze - On the Historical Relation of Form-Building Formants -ისა, -იშა; -იშე, -იშენ; -ისად, ისდა, -იზა, -იზან, -იზე</i>	128
<i>თაია ცხადაია – III პირის ნაცვალსახელები მეგრულში</i>	129
<i>Taia Tskhadaia - Third Person Pronouns in Megrelian</i>	139

კველი ქართული ენა და ტექსტოლოგია

<i>Winfried Boeder - Klassizistische Sprachkompetenz: Der altgeorgische Artikel bei Sulchan-Saba Orbeliani</i>	140
<i>ვინფრიდ ბოდერი – კლასიციზტური ენობრივი კომპეტენტურობა: ძველი ქართული ნაწევარი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“</i> ..	162
<i>იოსტ ვიპერტი – სიახლენი ხანმეტობიდან</i>	164
<i>Jost Gippert - News from the Khanmetoba</i>	184
<i>ნინო დობორჯგინიძე – ძველი ქართული ფილოლოგიის ისტორიიდან</i>	185
<i>Nino Doborjginidze - From the History of Old Georgian Philology (The Role of the Kingdom of Antioch in the Political and Cultural- Educational Processes of XI-XII cc.)</i>	194
<i>ვალერიან კვანტრიშვილი – სინონიმური პარალელიზმი ქართული ოთხთავის ორ ძველ და ორ ბოლო რედაქციებში</i>	195
<i>Valerian Kvantrishvili - Synonymic Parallelism in the Two Old and Two Final Editions of the Georgian Four Gospels</i>	204
<i>ნათია მიროტაძე – κατὰ წინდებულის ეკვივალენტები ფსალმუნთა წიგნის ძველ ქართულ რეცენზიებში</i>	205
<i>Natia Mirotadze - The Equivalents of the Preposition κατὰ in the Old Georgian Recensions of the Psalms</i>	214

<i>სოფიო სარჯველაძე</i> – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ორი ხანმეტი პალიმფსესტური ფრაგმენტის შესახებ	215
<i>Sophio Sarjveladze</i> - Two Khanmeti Palimpsestic Fragments Kept in the National Centre of Manuscripts	228
<i>ბერნარ უტიე</i> – ზმნისწინები და ქართული ბიბლიის დედანი	229
<i>Bernard Outtier</i> - The Preverbs and the Origin of the Georgian Bible	233
<i>მზექალა შანიძე</i> – ჰომილია „ფარისეველთა შურისათჳს“ ხანმეტ პრავალთავში	233
<i>Mzekala Shanidze</i> - The Homily "On Jealousy" in Khanmeti Homiliary	248
<i>ნინო ციხიშვილი</i> – -ა და -ე სუფიქსიანი II კავშირებითი საშუალო ქართულში	249
<i>Nino Tsikhishvili</i> - The Second Subjunctive with -a and -e Suffixes in Middle Georgian	263
<i>ანა ხარანაული</i> – ფსალმუნთა ქართული თარგმანის ლექსიკა	264
<i>Ana Kharanauli</i> - The Vocabulary of the Georgian Translation of Psalms	276

სამანტიკა, ლექსიკოგრაფია

<i>ლია აბულაძე, ანდრეას ლუდენი</i> – გასაღები-სიტყვები და მეგობრობის სიტყვათველი ქართულში	277
<i>Lia Abuladze, Andreas Ludden</i> - Die Schlüsselwörter und das Wortfeld "Freundschaft" im Georgisch	287
<i>ქეთევან მირზიკაშვილი</i> – მეტყველების აღმნიშვნელი ონომატოპოეტური სიტყვები ქართულსა და ფრანგულში	289
<i>Ketevan Mirzakashvili</i> - The Onomatopoeic Words in Georgian and French Languages	299
<i>რამაზ ქურდაძე</i> – ქართული ლექსიკა რუსულ ჟარგონში	300
<i>Ramaz Kurdadze</i> - Georgian Lexical Units in Russian Jargon	307

ტიპოლოგია

<i>რუსუდან ასათიანი</i> – ენის დომინანტური კატეგორია და ერგატიულ კონსტრუქციათა თავისებურებანი ქართულსა და წოვა-თუშურში	308
<i>Rusudan Asatiani</i> - Dominant Categories of a Language and the Peculiarities of Ergative Constructions in Tsova-tush and Georgian	318

Alice C. Harris - Emergence of Morphological Classes 320

ახალი წიგნები

Kartvelsprachen. Altgeorgisch, Neugeorgisch, Mingrelisch, Lasisch, Swanisch, Herausgegeben von Heinz Fähnrich, Reichert Verlag, Wiesbaden 2008 (ირინე მელიქიშვილი) 327

ეთერ სოსელია, *სემანტიკური უნივერსალები და ქართველური ენები: ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, გამოცემლობა „ნეკერი“, თბილისი 2009, 159 გვ. (მარია ჯიქია) 330*

გამომცემლობის რედაქტორი ცირა ჯიშკარიანი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi, 0179

Tel 995(32) 25 14 32

www.press.tsu.ge